

საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის შრომები

I

გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“
თბილისი
2014

შრომების კრებულში წარმოდგენილია სამეცნიერო სტატიები, რომლებიც ეხება საქართველოს ისტორიის, ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის აქტუალურ პრობლემებს.

მთავარი რედაქტორი:

პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**

სარედაქციო კოლეგია:

აკადემიკოსი **როინ მეტრეველი**,
პროფესორი **ვახტანგ გურული**,
პროფესორი **გიორგი ალიბეგაშვილი**,
პროფესორი **ეკა დულაშვილი**,
პროფესორი **ტარიელ ფუტკარაძე**,
პროფესორი **როზეტა გუჯეჯიანი**,
პროფესორი **ეთერ შენგელია**,
ისტორიის დოქტორი **ლევან ჯიქია**
(სარედაქციო კოლეგიის მდივანი).

შინაარსი

ისტორია	5-304
როინ მეტრეველი. რა აკავშირებს პეტრე პირველს დავით აღმაშენებელთან (სხვაობა – 600 წელი).....	6-32
სერგო ვარდოსანიძე. პატრიარქ ლეონიდესა და მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას დაპირისპირების ისტორიიდან.....	33-49
ვახტანგ გურჯული. მოწამეობრივი ცხოვრების დასასრული (ილია ჭავჭავაძის მკვლელობა).....	50-87
ვახტანგ გურჯული. პოლიტიკური მკვლევლობის ფიზიონომია (ვინ მოკლა რუსი ეგზარქოსი ნიკონი?).....	88-101
როზეტა გუჯეჯიანი. ისტორიული მასსოვრობის ფაქტები თურქეთის რესპუბლიკის მარმარილოს ზღვის რეგიონების ეთნიკურ ქართველთა შორის	102-129
განცა ბურდული სტატისტიკური ცნობები საქართველოს საეგზარქოსოში 1906 წლისათვის არსებული ვითარების შესახებ	130-144
ლევან ჯიქია. ბათუმელი მოსწავლეების ანტისაბჭოთა საქმიანობის ისტორიიდან (1955 წ.).....	145-147
ლევან ჯიქია. მორწმუნეთა მართლმადიდებლური საზოგადოებების შექმნა ზუგდიდის რაიონში	148-163
გელა ქისტაური. სისხლი როგორც წარმართული რელიქტი V-X საუკუნეების ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობასა და ხალხური ყოფის რწმენა-წარმოდგენებში	164-173
დავით მალაზონია. თამარ ფხალაძე. ინტერკულტურული განათლება, ურთიერთობები და კვლევები საქართველოში. სტიუდენტიური ანალიზი.....	174-188

დავით მაღაზონია. სოციალურ-ეკონომიკური მოტივები თერგალელულთა მხატვრულ შემოქმედებაში	189-202
მხარე (მიქაელ) ბუია. წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე).....	203-233
მაკა კვარაცხელია. ქალაქ თბილისის თვითმმართველობა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე (1917 წლის მარტი - 1918 წლის მაისი).....	234-245
მაკა კვარაცხელია. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ხმოსანთა 1919 წლის არჩევნები.....	246-260
ბესიკ გაფრინდაშვილი. ნიკორწმინდელი მღვდელმთავრები 1534-1822 წლებში	261-286
საბა სალუაშვილი. „რიფსიმიანეთა წამებიდან – წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლამდე	287-298
დურმიშხან ლაშხი. ცოტა რამ მეცნატობისა და ქველმოქმედების წარსულიდან საქართველოში.....	299-304
ფილოლოგია	305-396
ტარიელ ფუტყარაძე. უცხოური პოლისემანტიკური ტერმინები ქართულ პოლიტიკურ კონტექსტში (რეგიონი, რეგიონული ენები, რეგიონალიზმი...)	306-332
მანანა ტაბიძე. ენობრივი პოლიტიკის თეორია და პრაქტიკა.....	333-348
ინგა ღუტიძე. ენობრივი ვითარება ნიგალის ხეობაში – ბორჩხისა და მურღულის სოფლები.....	349-367
ეკა დუღაშვილი. გიორგი მთაწმიდელის მთარგმნელობითი მეთოდი ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის თარგმანების მაგალითზე.....	368-376
გიორგი ალიბეგაშვილი. ბერი – მონაზონი – ენკრატისი.....	377-380
სოფო გვარამაძე. არჩილის „სამიჯნურონი“, მისტიკურ-ალეგორიული ლექსი	381-387

በጽሑፍ

როინ მეტრეველი – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის პროფესორი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
აკადემიკოსი

რა აკავშირებს პეტრე პირველს დავით აღმაშენებელთან (სხვაობა – 600 წელი)

პარალელური ბიოგრაფიების ჟანრი ისტორიოგრაფიაში პლუტარქემ დაამკვიდრა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში. „ბიო პარალელოდ“ – ძველი ბერძენი გამოჩენილი პიროვნების ცხოვრების აღწერასთან ერთად გადმოსცემს მისი ბადალი რომაელი მოღვაწის ბიოგრაფიას და მკითხველს აძლევს საშუალებას, ერთმანეთს შეადაროს ეს ორი ისტორიული პირი. ასე მაგალითად, თეზევსის ბიოგრაფიის გვერდით აღწერილია რომულუსის ცხოვრება. ასევე დაწყვილებულია სოლონი – პუბლიკოლა, პერიკლე – ფაბიუს მაქსიმუსი, ალკიბიადე – გაიუს მარიუსი (კორიოლანუსი), კიმონი – ლუკულუსი, აგესილაე – პომპეუსი, ალექსანდრე მაკედონელი – იულიუს კეისარი, დემოსთენე – ციცერონი და სხვ. პლუტარქეს ნაშრომს უდიდესი გამოძახილი ჰქონდა მსოფლიო ისტორიაში, მისი განვითარების ბევრ ეტაპზე. რენესანსის ეპოქაში თუ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს გატაცებით კითხულობდნენ „პარალელურ ბიოგრაფიებს“. შექსპირი და რასინი უხვად დაეწაფნენ პლუტარქესეულ თემებს. აღფრთოვანებული იყვნენ ამ ნაწარმოებით ვოლტერი, რუსო, ბელინსკი. პლუტარქეს ძველი ქართული მწერლობაც კარგად იცნობდა.

ამჯერად ჩვენი მიზანია, გავისხენოთ ეს ჟანრი და წარმოვაჩინოთ პარალელურად ორი ისტორიული მოღვაწე – დავით

აღმაშენებელი და პეტრე პირველი: XI საუკუნის მიწურულისა და XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველო და XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთი. 600 წელი აშორებს ერთ მეფეს მეორე მეფისაგან, ერთ ეპოქას მეორე ეპოქისაგან. მიუხედავად ამისა, ბევრი რამ მეტად საინტერესოდ ემსგავსება ერთმანეთს ორი ძველი ხალხის ისტორიაში. უმთავრესი ის არის, რომ სწორედ XII საუკუნის პირველ მეოთხედში მიაღწია საქართველომ, ხოლო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთმა განსაკუთრებულ სიძლიერეს; ერთიცა და მეორე სახელმწიფოც სწორედ ზემოხსენებულ მეფეთა მოღვაწეობის დროს იქცნენ ცენტრალიზებულ ქვეყნებად. ძლიერი იყო სამეფო ხელისუფლებაც, რასაც თავისთავად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლება შუა საუკუნეებში (განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში) პროგრესულ ელემენტს წარმოადგენდა.

XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია მნიშვნელოვნად გაფართოვდა. დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძი გვაუწყებს: „... და უწოდა მაგას მეფობაჲ, მამული და ახლად მოგებული ღუაწლი ჩემითა და თქვენითა: ნიკოფსითგან დარუბანდისა ზღუადმდე და ოვსეთიდგან სოერად და არეგაწადმდე“.¹

ასევე ფართოა რუსეთის საზღვრები XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. აშკარად ჩანს ქვეყნის სიძლიერე პეტრე პირველის ერთ სიგელში: „Божию поспешествующею милостию мы, пресвятлейший да державнейший великий государь, царь и великий князь Петр Алексеевич, всея Великия и Малыя и Белыя России, самодержец московский, киевский, владимирский, новгородский, царь казанский, царь астраханский, царь сибирский, государь псковский да великий князь смоленский, тверский, югорский, пермский...“² და სხვ.

¹ ანდერძი დავით აღმაშენებლისა (1125 წ.).— ქართული სამართლის ძეგლები. II. თბილისი, 1965, გვ. 19.

² Полномочная грамота И. Х. Урбиху к австрийскому императору Карлу VI. - Письма и бумаги императора Петра Великого. т. XII. 1975, стр. 217.

სწორედ პეტრე პირველის დროს დამკვიდრდა რუსეთი ბალტიის ნაპირებზე და მოიპოვა უმოკლესი სავაჭრო გზა ევროპასთან.

აი, ყოველივე ამისთვის, არსებითი მსგავსებისათვის მიმოვიხილავთ დავით აღმაშენებლისა და პეტრე პირველის 600-წლოვანი ინტერვალის მქონე მოღვაწეობას.

„დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“

დავით აღმაშენებლის სამეფო ტიტული (ზედწერილი დავითის მონეტაზე, წარწერა მის ოქროს ჯვარზე).

„Божию милостию мы, Петр Первый царь и самодержец всероссийский, и прочая, и прочая, и чая“

პეტრე პირველის სამეფო ტიტული.

ამთავითვე მოვიტანთ რამდენიმე ქრონოლოგიურ ფაქტს. დავით აღმაშენებელი დაიბადა 1072/3 წელს, 600 წლის შემდეგ 1672 წლის 30 მაისს დაიბადა პეტრე პირველი. XI საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან დავით აღმაშენებელი მეფედ იწოდებოდა და ნომინალურად სახელმწიფოს თანამმართველის უფლებები ჰქონდა. 600 წლის შემდეგ 1682 წლიდან პეტრე პირველიც ნომინალურად შეუდგა ქვეყნის მართვას. 1089 წელს დავით აღმაშენებელი ერთიანი საქართველოს მეფე გახდა. 600 წლის შემდეგ 1689 წელს პეტრე პირველი რუსეთის ფაქტობრივი ერთმმართველი შეიქნა. დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა 1125 წლის 24 იანვარს. 600 წლის შემდეგ 1725 წლის 28 იანვარს გარდაიცვალა პეტრე პირველი.

ახლა კი მეტად საინტერესო დამთხვევებს მიღმა უფრო ღრმად გადავიხედოთ საქართველოსა და რუსეთის წარსულში.

ქვეყნის მდგომარეობა ნომინალური მეფობა

XI საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება ერთგვარად გართულდა, რისი მიზეზიც თურქული მოდგმის ტომების – სელჩუკების გამოჩენა იყო. სულთანმა ალფ-არსლანმა (1063-1072 წწ.) არაერთგზის დალაშქრა საქართველო (1065 წ., 1068 წ.). ქართველები მხნედ ებრძოდნენ მომხდურ მტერს და ცდილობდნენ, რომ თურქ-სელჩუკებს ქართულ მიწაზე ფეხი არ მოეკიდებინათ. სელჩუკთა შემოსევები დიდ ზიანს აყენებდა დაპყრობილ ქვეყნებს. საქართველოს ეკონომიკისათვის დამანგრეველი იყო თურქ-სელჩუკთა შემოსევები XI საუკუნის 80-იან წლებში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „მოოხრდა ქვეყანა და ტყვედ გარდაიქცა; ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი დაემკვიდრნეს მას შინა; და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვდრთა ქვეყანისათა“.³ ასეთი უბედურება საქართველოს არასოდეს ენახა. სელჩუკები არსებითად განსხვავდებოდნენ სხვა დამპყრობლებისაგან (ბიზანტია, არაბეთი). ისინი მომთაბარეები იყვნენ და ამიტომ დაპყრობილ ადგილებზე სახლდებოდნენ. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უშლიდა ფეოდალური მეურნეობის განვითარებას, მას საფუძველს (მიწას) აცლიდა და ერთიანად გადაშენების საფრთხეს უქმნიდა. მიუხედავად დიდი მოძალებისა, საქართველომ დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა ქვეყანას მძიმე ტვირთად აწვა კისერზე – გიორგი II (1072-1089 წწ.) სულთნის სასარგებლოდ ყოველწლიურად ხარკს იხდიდა, თანაც მეფე სულთანს ეახლა და მორჩილება გამოუცხადა. მშვიდობიანობა მაინც არ ჩანდა – მომთაბარე თურქების რიცხვი საქართველოში ყოველწლიურად მატულობდა.

³ ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი – ქართლის ცხოვრება. თბილისი, 2008, გვ. 303.

საგულისხმოა, რომ XI საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან დავით აღმაშენებელი ჩანს მეფის თანამმართველად. დავით გარეჯის წიგნოსაცავში აღმოჩენილ 1085 წლის მინაწერში იგი უკვე მეფედ და სევასტოსად იხსენიება: „დაეხრულა საწელიწადოდ საწინასწარმეტყველოდ წესსა, ზედა ბერძულსა, ახალთარგმნილი წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისა, სრული ყოვლითურთ და უნაკლო. მე სულითა საწყალობელმან ეგნატი დაეწერე წმიდა ესე წიგნი საწინასწარმეტყველო დიდებულისა ლავრისა შატბერდისათვის, სალოცველად ღვთით-გვრგუნოსანთა ჩუენთა გიორგი მეფეთა-მეფისა და კესაროსისა და ძისა მათისა დავით მეფისა სევასტოსისა“.⁴ ბუნებრივია, ქვეყანას განაგებდა მეფეთა-მეფე გიორგი, მაგრამ მასთან ერთად სამეფოს მართვის ნომინალური უფლებები მის მცირეწლოვან შვილსაც ჰქონდა. ყურადსაღებია ისიც, რომ მამა-შვილს შორის იერარქია მკვეთრად არის დაცული – გიორგი კესაროსია, დავითი კი სევასტოსი – შედარებით დაბალი რანგის ტიტულის მატარებელი.

რა მდგომარეობაა XVII საუკუნის რუსეთში? რუსეთი უცხოელ ინტერვენტთა თავდასხმის ობიექტადაა ქცეული. მას არ გააჩნია არც მოსახერხებელი საზღვაო ნავსადგურები, არც განვითარებული მრეწველობა, არც გაწვრთნილი არმია და ფლოტი. რუსეთის სახელმწიფო ძალზე ნელა ვითარდებოდა. 60-70-იან წლებში რუსეთს აშკარა საფრთხე შეექმნა თურქეთის მხრიდან. ამ უკანასკნელმა, მას შემდეგ, რაც მარჯვენა ნაპირის უკრაინის გეგმანი დოროშენკო თურქეთის მხარეზე გადავიდა, პრეტენზია განაცხადა მთელს უკრაინაზე. ერთი სიტყვით, რუსეთს სჭირდებოდა ქმედითი ღონისძიებების გატარება თურქეთის წინააღმდეგ, საერთოდ აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება...

⁴ თ. ჟორდანიას. ქრონიკები. I. თბილისი, 2004, გვ. 232.

... 1672 წლის 30 მაისს კრემლის ტაძართა ზარებმა მოსახლეობას უფლისწულის დაბადება აუწყა. ეს უფლისწული პეტრე გახლდათ, რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძის შვილი. პეტრე 42 წლის ალექსი მიხეილის ძეს შეეძინა 21 წლის ნატალია კირილეს ასულ ნარიშკინასთან ქორწინების შემდეგ. ვაჟის შექმნა სასიხარულო იყო მეფისათვის იმიტომაც, რომ პირველ ცოლთან მარია ილიას ასულ მილოსლავსკაიასთან შექმნილი ხუთი ვაჟიდან – სამი მცირეწლოვანი გარდაიცვალა, თევდორე და ივანე კი ავადმყოფები იყვნენ. პეტრეს დაბადება ზარ-ზეიმით აღინიშნა. ოთხი წლისაც არ იყო იგი, რომ ალექსი მიხეილის ძე გარდაიცვალა და მისი ადგილი 1676 წელს თევდორემ დაიკავა. უფრო სწორად, იგი ბოიარებმა ხელით გამოიტანეს და მეფედ გამოაცხადეს. 1682 წელს თევდორე ისე გარდაიცვალა, რომ შთამომავლობა არ დაუტოვებია. ტახტის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო ივანე ან პეტრე. ერთსაც და მეორესაც თავიანთი მომხრეები ჰყავდათ. ივანეს მხარს უჭერდნენ ალექსი მიხეილის ძის პირველი ცოლის ნათესავები, რომელთაც სათავეში ედგა ბოიარი ივანე მიხეილის ძე მილოსლავსკი. ამ დაჯგუფებაში დიდ როლს თამაშობდა მეფის ასული სოფიო – ენერგიული და ძალაუფლებისმოყვარე ქალი, რომელიც თვითონ ოცნებობდა სამეფო გვირგვინზე.

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად, როგორც უფროსს, ივანეს ეკუთვნოდა ტახტი, პატრიარქის წინადადებით მეფედ პეტრე გამოაცხადეს და რეგენტად დედამისი ნატალია ნარიშკინა დაუნიშნეს. ეს უკანასკნელი, როგორც მისი თანამედროვე თავადი ბორის ივანეს ძე კურაკინი გადმოგვცემს, იყო „Доброго темпераменту, доброжелательного, токомом не была ни прилежная и не искусная в делах и ума легкого“.

სასახლის კარზე საქმის ვითარება იმგვარად წავიდა, რომ სტრელეცთა მოთხოვნით სახელმწიფოს მართვა ორივე ძმას – პეტრეს და ივანეს დაეკისრათ, მათივე დაჟინებით, ძმების მცირეწლოვანების პერიოდში სახელმწიფოს ფაქტობრივი გამგებელი მეფის ასული სოფიო გახდა. ამდენად, 1682 წლიდან 7 წლის მანძილზე პეტრე მხოლოდ ნომინალურად ითვლებოდა რუსეთის მეფედ.

გამეფება

XI ს-ის 70-80-იან წლებში ძლიერდებიან მეფის მოწინააღმდეგე ძალები – აღინიშნება საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ დიდგვარიან ფეოდალთა გამოსვლები. საქართველო პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაქვეითების გზას ადგა. ქვეყნის ისედაც გართულებულ მდგომარეობას დაერთო სტიქიური უბედურებანი – მთელი წლის განმავლობაში დიდი მიწისძვრები ყოფილა და მრავალი ადამიანიც უმსხვერპლია. ყოველივე ამან საქართველოს მოსახლეობაში ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, რომ სამეფო კარი და თვით საქართველოს მეფე გიორგი II ცოდვილნი იყვნენ და ღმერთმაც ეს უბედურებანი ამისათვის მოუვლინა საქართველოს („ბუნებით მოწყალე და სახიერი ღმერთი ესეოდენ განარისხეს, ვიდრემდის თვით მოიხადეს განჩინება რისხვისა“⁵).

ასეთი მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობისა და მწვავე სახელმწიფოებრივი კრიზისის პირობებში საქართველოს სამეფო კარზე, როგორც ჩანს, გარკვეული ზემოქმედების შედეგად, მოხდა ცვლილება, რომლის შედეგადაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა გიორგი II 1089 წელს გადადგა სამეფო ტახტიდან და მისი ადგილი დაიკავა დავით გიორგის ძემ, ისტორიაში აღმაშენებლად წოდებულმა. „ბნელსა უკუნსა შინა, – გადმოგვცემს დავითის ისტორიკოსი, – იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელ-მოდგამმან დავით, ღმრთისა მამისამან, და თვთ სამეოცდამეათურამეტემან შვილმან ამის დავითისმან დავით“⁶.

⁵ ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი – ქართლის ცხოვრება. თბილისი, 2008, გვ. 305.

⁶ ქართლის ცხოვრება, გვ. 307.

მძიმე შემკვიდრება ხვდა წილად თექვსმეტი წლის დავითს – სელჩუკებისაგან აკლებული და განადგურებული ქვეყანა, მთებში გახიზნული და დამშეული მოსახლეობა, დაცარიელებული ციხე-ქალაქები და სოფლები: „მოოსრებული იყო ქართლი და თუნიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულობა“.

ქვეყნის მოსაღონიერებლად გადამჭრელი ზომების მიღება იყო საჭირო.

როგორ მიდიოდა პეტრეს ცხოვრება 7 წლის მანძილზე – მისი ნომინალური მმართველობის დროს? იგი დედასთან – დედოფალ ნატალიასთან ერთად ცხოვრობდა მოსკოვის მახლობლად სოფლებში – ვორობიოვოში, კოლომენსკოესა და პრეობრაჟენსკოეში. სასახლის კარზე პეტრეს, ისე როგორც მის ძმას ივანეს, მხოლოდ დეკორატიული როლი ჰქონდა განკუთვნილი: ისინი ესწრებოდნენ სხვადასხვა ზემოებს, ელჩების მიღებას, მონაწილეობდნენ საეკლესიო ცერემონიალებში. ძმებისათვის ორადგილიანი სამეფო ტახტი დაამზადეს. ქვეყანას ფაქტობრივად სოფიო განაგებდა.

პეტრეს 17 წელიც არ შესრულებოდა, რომ დედამისმა მისი დაქორწინება გადაწყვიტა. ნატალია ნარიშკინას ვარაუდით, ქორწინების შემდგომ სრულწლოვან და სრულფასოვან მეფეს მისი დის მეურვეობა აღარ დასჭირდებოდა და პრეობრაჟენსკოედან კრემლის პალატებში გადასახლდებოდა.

დედამ თვითონ შეუძრია შვილს საცოლვე ევლოკია ლოპუხინა, რომელიც თანამედროვეთა გადმოცემით მეტად ლამაზი ყოფილა („лицом изрядная, токомо ума посреднего и нравом несходного своему супругу“).

ურთიერთობა პრეობრაჟენსკოეში მყოფ პეტრესა და კრემლს დაპატრონებულ სოფიოს შორის თანდათან მწვავედებოდა. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ გამოჩნდა, როცა ოფიციალურ აქტებში დაიწვეს სოფიოს მოხსენიება („благочерной царевны и великой

княжны Софьи Алексеевны“). სოფიო აშკარად ამზადებდა სასახლის გადატრიალებას იმ მიზნით, რომ პეტრესათვის მეფობის უფლებები აეყარა. 1689 წლის 7 აგვისტოს ღამით პეტრე იძულებული გახდა, დაეტოვებინა პრეობრაჟენსკოე და სერგი სამების მონასტრისათვის შეეფარებინა თავი. პეტრეს გაქცევამ განგაში გამოიწვია მოსკოვში. სოფიო ამაოდ შეეცადა შერიგებას ძმასთან. ვერც პატრიარქის დამოციქულებამ მოაგვარა საქმე. ეს უკანასკნელი პეტრეს დიდ პატივს სცემდა და მასთან დარჩა. სოფიოს მომხრეები გაიფანტნენ, პეტრეს ირგვლივ კი თავი მოიყარეს მისმა ერთგულმა ჯარებმა. პეტრე და მისი მომხრეები მდგომარეობის ბატონ-პატრონები შეიქნენ. მეფე მოსკოვისაკენ გამოემართა. მას მიწაზე გართხმული ეგებებოდნენ ერთ დროს სოფიოს მომხრე სტრელეცები და შეწყალებას სთხოვდნენ. პეტრემ ადრინად გამოუგზავნა წერილი ივანეს სოფიოს ხელისუფლებიდან ჩამოცილების შესახებ: „Срамно, государь, при нашем совершенном возрасте тому зазорному лицу государством владеть мимо нас“.

ამგვარად, პეტრე 1689 წელს 17 წლის ასაკში ქვეყნის ფაქტობრივი ერთმმართველი გახდა.

გარეგნობა, ხასიათი

ორივე პიროვნებას, დავით აღმაშენებელსა და პეტრე პირველს, თანამედროვენი აღგვიწერენ, როგორც ახოვანი აგებულებისა და კეთილი შესახედაობის მამაკაცებს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თავისი წერის ობიექტს მთელი სისრულით აღწერს, წარმოგვიდგენს როგორც დიდი ფიზიკური ძალის მქონე ძლიერ პიროვნებას, ძლიერს ხასიათიდანაც. დავით იყო „შუენიერ ხატითა, უშუენიერეს მორთულობითა გუამისათა, შეწყობილ ანაგებითა და ახოვან ტანითა, ძლიერ ძალითა, უძლიერეს სიმახვილითა, საწადელ ღიმილითა, უსაწედელს მჭმუნვარებითა, მადლიერი ხედვითა, საზარელი ღომებრ მკრ-

თომელობითა, ბრძენ ცნობითა, უბრძნეს გამორჩევითა, მარტივ სახითა, მრავალსახე მართებითა, შემრისხველ მყუდროებითა, მაქებელ განმსწავლევლობითა...“⁷ ასევე საინტერესოა გელათის ფრესკა დავითის პორტრეტით: ახოვან მამაკაცს, „უშვენიერეს მორთულობითა გუამისათა, შეწყობილ ანაგებითა“, ხელში ტაძრის მაკეტი უჭირავს. ამგვარად ჰყავთ წარმოსახული დავითი თანამედროვეებს.

პეტრე პირველის აღნაგობის შესახებ ცნობები უხვად არის დაცული თანამედროვეთა (მათ შორის უცხოელთა) მოგონებებში. ჯერ კიდევ სრულიად ყრმა პეტრე აღწერა შვედეთის საელჩოს მდივანმა 1683 წლის ერთ-ერთი მიღების დროს: „Лицо у него открытое, красивое, молодая кровь играла в нем, как только обращались к нему с речью“.

თერთმეტი წლის პეტრე თავისი სიმაღლითა და განვითარებით 16 წლის ჭაბუკის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ჰოლანდიაში მიმავალი პეტრე პირველი შეხვდა ბრანდენბურგის კურფიურსტის მეუღლეს სოფია შარლოტას და მის დედას. დედა-შვილმა დაგვიტოვეს პეტრეს საინტერესო აღწერილობა (იგი ამ დროს 25 წლისა იყო):

„Царь очень высокого роста, лицо его очень красиво, он очень строен“.

აი კიდევ ერთი თანამედროვის მიერ აღწერილი მეფის პორტრეტი:

Царь Петр Алексеевич был высокого роста, скорее худощавый, чем полный; волосы у него были густые, короткие, темно-каштанового цвета, глаза большие, черные, с длинными ресницами, рот хорошей формы, но нижняя губа немного испорченная; выражение лица прекрасное, с первого взгляда внушающее уважение“.⁸

⁷ ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი – ქართლის ცხოვრება. თბილისი, 2008, გვ. 344-345.

⁸ Н. Павленко. Петр Первый. Москва, 1976, стр. 58.

როგორც ერთი მეფე, ისე მეორე შრომასა და ბრძოლაში პირად მაგალითებს იძლეოდნენ. როცა დავითის ისტორიკოსი მოგვითხრობს მეფის საქველმოქმედო საქმიანობაზე, განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელი გლახაკებს უწყალობებდა ხოლმე „თუსთა ხელითა“ ნამოდვაწარს: „და ამას – აღნიშნავს ისტორიკოსი – არათუ ხელოსანთაგან მორთმეულისა იქმოდის, ანუ თუ საჭურჭლით, არამედ ხელთა თუსთა ნადირებულისა. რომელთაგანი თუსსა მოძღუარსა იოვანეს მისცა ოდესმე დრაჰკანი, ვითარ ოცდაოთხი ათასი, რათა განუყოს გლახაკთა“.⁹

რაც შეეხება პეტრე პირველს, მისთვის ხელსაქმე და ხელოსნობა ბავშვობის წლებიდან იყო დიდი გატაცება. კალატოზობა, დურგლობა, მჭედლობა – პეტრეს ძალზე იტაცებდა ეს დარგები. უკვე სრულწლოვან მეფეს კარგად სცოდნია 12 სახის ხელობა. განსაკუთრებით კარგად ეხერხებოდა ცუღით მუშაობა და სახარატო საქმე. პეტრე ამაცობდა კიდევ თავისი შრომით; ბრანდენბურგის კურფიურსტის მეუღლის სოფია შარლოტას დედა იგონებდა:

„Он нам сказал, что сам работает над постройкой кораблей, показал свои руки да заставил потрогат мозоли, образовавшиеся на них от работы“.

სწორედ ამგვარმა დამოკიდებულებამ შრომისადმი, დიდმა ფიზიკურმა ძალამ და სიმტკიცემ, ამასთან, როგორც XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში, ისე XIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთში შექმნილმა საშინაო მდგომარეობამ და საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ განსაზღვრა ერთ შემთხვევაში დავით აღმაშენებლის, ხოლო მეორე შემთხვევაში პეტრე პირველის მოღვაწეობის ხასიათი.

⁹ ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი – ქართლის ცხოვრება. თბილისი, 2008, გვ. 337.

პირველი ღონისძიებები

პირველი პერიოდები დავით აღმაშენებლისა, თუ პეტრე პირველის მეფობისა, აღსავსე იყო შინაპოლიტიკური ბრძოლებით. საქართველო XI-XII საუკუნეების მიჯნაზე, ისე როგორც ექვსი საუკუნის შემდეგდროინდელი რუსეთი, შინაპოლიტიკური ბრძოლების ასპარეზს წარმოადგენდა.

რა სახის იყო დავით აღმაშენებლის პირველი ღონისძიებები?

საქართველოს სამეფო ხელისუფლებას კარგად ჰქონდა აწონ-დაწონილი XI საუკუნის დასასრულის საქართველოს მდგომარეობა და ითვალისწინებდა კიდევ იმ წინააღმდეგობებს, რომელიც სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას წინ ეღობებოდა. უპირველეს ყოვლისა, ქვეყანა უნდა მოშენებულიყო და მეფეს გაბნეული და დაქსაქსული ქვეშევრდომები შემოეკრიბა. დავით აღმაშენებელმაც ამით დაიწყო: შემოიკრიბა თავისი ერთგულები, რათა მათი მხარდაჭერით წარმატებით წარემართა ქვეყნის საქმეები. საქართველოს სამეფო კარმა თავი მოუყარა ერთგულ მხედართა რაზმებს და თავს ესხმოდა თურქ-სელჩუკებს. მეფემ წვრილ-წვრილი გამარჯვებების წყალობით სელჩუკები თანდათან აჰყარა ქართლიდან. ამით კი ქართველ ხალხში გარდუვალი გამარჯვებისა და საკუთარი ძალის რწმენას აღვივებდა; მტრის შიშით მთაში გახიზნულ მიწის მუშას ბარად ჩამოსვლის საშუალება მიეცა. ქვეყანა კვლავ დაუბრუნდა სოფლის მეურნეობის ინტენსიურ წარმოებას, ქალაქები აღორძინების გზას დაადგა.

საქართველოს სამეფო კარმა XI საუკუნის ბოლოს მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა მეფისა და ქვეყნის ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე დიდგვარიან ფეოდალებს.

დავით აღმაშენებელმა შეიპყრო 1193 წელს სამეფო კარის წინააღმდეგ გამოსული კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში. ამ უკანასკნელმა ცოდვები მოინანია და მეფემაც გაათავისუფლა იგი. თანაც ფეოდალის ყველა ძველი უფლება შეუცვლელად ცნო. როგორც ჩანს, ლიპარიტმა თავისი ფიცი და პირობა არ შეასრულა და საქართველოს მეფეს კვლავ გაუორგულდა –

„განაცხადა მტერობა და უკეთურებასა იწურთიდა“.¹⁰ საქართველოს მეფე როცა დარწმუნებულა, რომ ლიპარიტის მორჯულება არ შეიძლებოდა, „რამეთუ კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“, კვლავ შეუპყრია და ორი წლის პატიმრობის შემდეგ ბიზანტიაში გაუქმებია, სადაც გარდაცვლილა კიდევ ეს ქედმაღალი ფეოდალი. ამ აქტის შემდეგ კლდეკარის საერისთავომ კიდევ რამდენიმე ხანს იარსება; სათავეში მას ლიპარიტის ძე რატი ედგა. ვერც რატი ლიპარიტის ძემ გამოიჩინა თავი სიკეთითა და საქართველოს მეფისადმი ერთგულებით. ისიც, მისი წინაპრების მსგავსად, სამეფო ხელისუფლებისა და ერთიანი ქვეყნის წინააღმდეგ იბრძოდა. „კაცი ორგული და ნანდვილვე ნაშობი იქედნესი“. – ასეთი მწარე სიტყვებით „ამკობს“ ისტორიკოსი კლდეკარის უკანასკნელ ერისთავს. ბუნებრივია, როცა საქართველოს მეფემ კვლავ ორგულობა იხილა, ბაღვაშთა გვარიდან მომდინარე, მას ისდა დარჩენოდა, უკიდურესი ზომისათვის მიემართა. ეს უკიდურესი ზომა საერისთავოს გაუქმება იყო. 1103 წელს დავით აღმაშენებელმა კლდეკარის საერისთავო გააუქმა და საქართველოს სამეფოს შემოუერთა. 1099 წელს საქართველოს მეფემ სელჩუკებს ხარკის მიცემა შეუწყვიტა და ამით სრული დამოუკიდებლობა აღიდგინა.

1104 წელს დავით აღმაშენებელმა ადგილობრივ დიდებულთა აქტიური მხარდაჭერის წყალობით კახეთი და ჰერეთი შემოიერთა.

საქართველოს მეფის ასეთი მოქმედება ვერაფრად ეპიტწავა სულტანს, რადგან ჰერეთ-კახეთი მისი მოხარკე იყო და ამ ქვეყნის დაკარგვა დიდ დანაკლისს წარმოადგენდა სასულთნოსთვის. სუსტდებოდა თურქების პოზიცია აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. სულთნის დიდმოსხელე, განძის ათაბაგი, მრავალრიცხოვანი ლაშქრით გამოემართა დავით აღმაშენებელთან შესაბრძოლებლად და მის ჰერეთ-კახეთიდან გასადევნად. დავით აღმაშენებელი მომზადებული დაუხვდა მტერს. ბრძოლა გაიმართა ერწუსში

¹⁰ ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი – ქართლის ცხოვრება. თბილისი, 2008, გვ. 308-309.

(ახლანდელ საინგილოში) 1104 წელს და ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა („ერწუხს ქმნა წყობანი დიდნი ხმა-გასმენილი იგი დიდი ძლევა“), ისტორიკოსი აღტაცებით აღწერს დავით აღმაშენებლის უშუალო მონაწილეობას ერწუხის ბრძოლაში: „არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თუსთა, ანუ შორით უზახებდა... არამედ უპირატეს ყოველთასა თვთ წინა უვიდოდა, და ვითა ღომი შეუზახებდა ხმითა მადლითა, და ვითა გრიგალი მიდამო იქცეოდა.“¹¹

დავით აღმაშენებელმა დაიმორჩილა მოწინააღმდეგე ფეოდალები – ძაგან და მოდისტოს აბულეთისძეები. ძაგანი დავითს სიკვდილით არ დაუსჯია, მაგრამ მისთვის ყველა პატივი აუყრია. ნაწილი მისი მიწებისა „ნაქონი მისა-მიმართ თუსებუელი და მღვიმეს ქონებანი მისნი საავაზაკონი და წარტყუენილი“ მისთვის დაუტოვებია სიკვდილამდე. ძაგანის გარდაცვალების შემდეგ კი მისი შთამომავლობა კარგავდა ყოველგვარ უფლებას ზემოაღნიშნულ ქონებაზე.

ამგვარად, დიდგვარიანი ფეოდალების აღვირახსნილობის ალაგმვით, სელჩუკებისათვის ხარკის შეწყვეტით, ჰერეთ-კახეთის შემოერთებით დავით აღმაშენებელმა დიდ წარმატებებს მიაღწია. ამიერიდან უკვე აშკარად ძლიერ, ერთიან საქართველოს შექმლო ფართო მასშტაბის ღონისძიებების ქმედითი გატარება – ეკონომიკური ხასიათისა იქნებოდა, თუ პოლიტიკურისა.

ავიდა თუ არა სამეფო ტახტზე, პეტრე პირველს მოუხდა ოპოზიციურ ძალებთან შებრძოლება. იგი სრულიად განსხვავდებოდა მისი წინამორბედი მეფეებისაგან. სიახლე ყველა საქმეში, ბრძოლა რუსეთის ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისათვის, – აი რა იყო პეტრე პირველის საზრუნავი. თავგამოდებული ბრძოლა იმისათვის, რომ რუსეთს ჰქონოდა ზღვაზე

¹¹ ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი – ქართლის ცხოვრება. თბილისი, 2008, გვ. 312.

გასასვლელი, პეტრესთვის პირველ მოთხოვნებზე გადაიქცა. ევროპის ბევრ ქვეყანაში იმოგზაურა რუსეთის მეფემ, ეცნობოდა გემთმშენებლობასა თუ სხვა საკითხებს. იგი დიდი შთაბეჭდილებებით დატვირთული დაბრუნდა სამშობლოში და ძლიერმა მეფემ მორჩილი თაყვანისცემის გუნებაზე დააყენა ბოიარები. საოცარი ფაქტი მოხდა მეფის რეზიდენციაში – პრეობრაჟენსკოეში, როცა ბოიარები პეტრეს სანახავად მოვიდნენ, რათა მისალმებოდნენ ახლად დაბრუნებულ მეფეს, ამ უკანასკნელმა მაკრატელი მოითხოვა და საკუთარი ხელით მოჰკეცა ბოიარებს წვერი. პირველი მსხვერპლი ბოიარი შეინი გახდა. წვერს შეეღია თავადი რომოდანოვსკიც. შემდგომში უკვე ამ მოვალეობას მეფის მასხარა ასრულებდა.

პეტრემ წვერის მოკვეცა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანა – მოითხოვა, მთელს მოსახლეობას გაეპარსა წვერი. წვერის ტარების უფლება მხოლოდ გარკვეული თანხის გადახდის გზით შეიძლებოდა. მდიდარ ვაჭრებს წვერი წელიწადში 100 მანეთი უჯდებოდათ, აზნაურობასა და ჩინოვნიკებს – 60 მანეთი, სხვა მოქალაქეები 30 მანეთს იხდიდნენ. გლეხები ქალაქში ყოველი შესვლა-გამოსვლისას თითო კაპიკს იხდიდნენ.

პეტრე პირველმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა მისი მოწინააღმდეგე სტრელეცების მოძებნა-დასჯას. სტრელეცები ჯერ კიდევ პეტრეს საზღვარგარეთ ყოფნის დროს აჯანყდნენ. სტრელეცთა მიზანი იყო პეტრეს მოკვლა და სოფიოს გამეფება, მაგრამ ისინი მწარედ დამარცხდნენ მეფის ერთგული ლაშქრის მიერ, აჯანყების მოთავეები დაისაჯნენ. პეტრე პირველმა როცა გაიგო ამ აჯანყების შესახებ, თავად რომოდანოვსკის წერილი გამოუგზავნა: „*Мнѣ Неръ Кенѣ! Письмо твое, юня 17 день писанное мнѣ отдано, в котором пишешь, ваша милость, что семья Ивана Михайловича растет, в чем прошу быть вас крепкими; а кроме сего ничем сей огонь угасить не можно.*

Хотя зело нам жаль нынешнего полезного дела, однако сей ради причины будем к вам так, как вы не чаєте“.

ამ წერილიდან აშკარად ჩანს, რომ პეტრეს თავისთვის გად-

აწვევტილი ჰქონდა სტრელეცთა ბედი. მეფეს ისინი ადრიდანვე არ მოსდიოდა თვალში და უკვე გამარჯვებული ძლიერი პიროვნების ლაგამამოუდებელმა დაუოკებელმა დესპოტიზმმა უდიდესი რისხვა დაატეხა სტრელეცთა პოლკებს. პეტრე პირველმა თვითონ აიღო ხელთ გამოძიების ხელმძღვანელობა, თუმცა მისთვის ნათელი იყო, რომ „Смерти они достойны и за одну провинность, что забунтовали и бились против Большого дома“.

გამოძიებამ დაადასტურა, რომ სოფიო ალექსის ასული გარკვეულად იყო დაკავშირებული აჯანყებასთან. პეტრემ თვითონ დაჰკითხა ცხრა წლის უნახავი და, მაგრამ ამ აქტმა ვერაერთარი შედეგი ვერ გამოიღო, რადგან უშუალო მამხილებელი საბუთი არ არსებობდა. ძიება ფორმალური ხასიათისა იყო. იგი არც კი დამთავრებულა, ისე დაიწყო სტრელეცთა დასჯა. მათ გადაუწვეიტეს სიკვდილი, როგორც „ქურდებს და მოღალატეებს, ფიცის გამტყეხებსა და მოჯანყეებს“. საგულისხმოა, რომ სტრელეცთა სიკვდილით დასჯას თვით პეტრე პირველი ესწრებოდა, სამეფო კარის მაღალ მოხელეებთან და უცხოელ დიპლომატებთან ერთად. მეფის ძლიერი პიროვნება მთელი სიმკვეთრით წარმოისახა თანამედროვეთა წინაშე. პეტრე პირველმა მორჩილების გუნებაზე მოიყვანა აქა-იქ ჯერ კიდევ არსებული მოწინააღმდეგენი და შემდეგ დიდ რეფორმატორულ საქმიანობას შეუდგა.

რეფორმატორული საქმიანობა

დავით აღმაშენებელმა სამეფო ხელისუფლების განმტკიცების მიზნით გატარებული პირველი ღონისძიებების შემდეგ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი რეფორმების განხორციელება დაიწყო. დღის წესრიგში იდგა საქართველოს ეკლესიის საკითხი; ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის, აგრეთვე, სასულიერო პირების თავგასულობისა და თვით ეკლესიის სახელმწიფოსთან დაპირისპირების გამო, აუცილებელი იყო ღონისძიებების გატარება სასულიერო სფეროშიც. შუა საუკუნეების საქართველო-

ში ეკლესია მსხვილ ფეოდალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. განსაკუთრებით გაიზარდა და გაძლიერდა იგი XI საუკუნეში, როცა მის ხელში დიდძალმა მამულებმა მოიყარა თავი. უფრო მეტიც, ეკლესიამ შეუვალბა მოიპოვა და სახელმწიფოში ერთგვარ სახელმწიფოდ იქცა.

XI საუკუნის 60-იან წლებში გიორგი მთაწმინდელმა სცადა, ეკლესია სწორ გზაზე დაეყენებინა, მაგრამ ეკლესიაში არსებული უწესობანი მაინც ვერ მოსპო. საქართველოს სამეფოს წინაშე დასახული იყო ამოცანა – ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაძლიერებისა და განმტკიცების მიზნით შებრძოლებოდა რეაქციულ სასულიერო არისტოკრატიას. პირველი დიდი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ ამ მიმართულებით გადადგა, 1104 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრება იყო – „დიდთა წყლულებათა კურნებად შემოკრება ერი მრავალი“.¹² ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, დავით აღმაშენებელი კრებას დასწრებია, მაგრამ იგი აქ ყოფილა „არა ვითარცა მეფე, არამედ ვითარცა მონა“.

კრებამ დავით აღმაშენებლის მომხრეთა საზი გაატარა: განკვეთა უღირსი სამღვდლო პირები, მათ ნაცვლად ღირსეულები (დავით აღმაშენებლის პოლიტიკის ერთგულები) შეარჩია; განაწესა სასულიერო თანამდებობის დამკავებელთა წლოვანება, დაადგინა ხელდასხმის წესი, აკრძალა გვირგვინის კურთხევა „ჩხვილთა ქალ-ყრმათა“, აგრეთვე ზოგი უწესობა, რომელიც დამკვიდრებული ყოფილა საერო და სასულიერო პირთა შორის.

როგორც ირკვევა, პირველი ღონისძიებების გატარების შემდეგ ეკლესია-მონასტრები დავით აღმაშენებელს მკაცრ პირობებში ჰყოლია ჩაყენებული. საერთოდ, XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში მთელი ეს დიდი საქმიანობა მიმართული იყო სახელმწიფოზე ეკლესიის საზიანო გავლენის წინააღმდეგ. ამიერიდან დიდი ფეოდალები მღვდელმთავრების სახით ძლიერ მოკავშირეებს კარგავდნენ.

¹² ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი – ქართლის ცხოვრება. თბილისი, 2008, გვ. 310.

XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის თანამდებობების გაერთიანებას – ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობის შემოღებას.

მწიგნობართუხუცესი მონაზონი იყო და მიწისმფლობელობისაგან შორს იდგა. სხვა დიდი ფეოდალებისაგან განსხვავებით, ვერ გამოიჩინდა „ხელის“ სამემკვიდრეოდ გადაქცევის მიდრეკილებას. მწიგნობართუხუცესი მთლიანად მეფის ცენტრალურ ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული, ამიტომ იყო ასეთი ხელისუფლების გაძლიერების თავგამოდებული მომხრე.

დავით აღმაშენებელმა სწორედ მწიგნობართუხუცესის თანამდებობა შეაერთა ჭყონდიდელობასთან. მეფის ერთგული მოხელე მწიგნობართუხუცესი, ამავე დროს, საეკლესიო სფეროში გაფლენიანი თანამდებობის, ჭყონდიდელობის, მატარებელიც გახდა. საქართველოს მეფეს მის მიერ შექმნილი ახალი ხელის მოხებით შეეძლო, ფართოდ ჩარეულიყო საეკლესიო საქმეებში. სავარაუდოა, რომ ეს თანამდებობა რუის-ურბნისის კრების მომდევნო პერიოდში 1104-05 წწ. დაარსდა. დავითის ისტორიკოსი ხმამაღლა აცხადებს, რომ ამიერიდან „მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოველისა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცთომელსა, ყოველად შუენიერსა და დაწყობილსა, კეთილწესიერებასა ლოცვისა და მარხვისასა“.¹³

დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება სამხედრო რეფორმის გატარებაც. მას ჯარში მკაცრი სამხედრო დისციპლინა შემოუღია. მეფემ ყურადღება მიაქცია ლაშქრის კარგად გაწვრთნის საქმეს, ლაშქრის მოქმედების სისწრაფისათვის გაამრავლა მხედრობა, ცხენოსანი რაზმები. ბრძოლის დროს ლაშქრის ხელმძღვანელობა ახალ ტაქტიკასა და სტრატეგიულ გეგმებს

¹³ ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი – ქართლის ცხოვრება. თბილისი, 2008, გვ. 336.

მიმართავდა. დავით აღმაშენებლის მიერ ორგანიზებული ქართული ლაშქრის წყალობით საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ არაერთი მნიშვნელოვანი ამოცანა გადაწყვიტა. სამხედრო რეფორმის შემდგომი ეტაპი იყო 1118-20 წწ. ყივჩაყთა გადმოსახლება საქართველოში და მათ ბაზაზე მუდმივი ლაშქრის გაძლიერება. დავით აღმაშენებლის დროინდელი ლაშქარი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ქართველთა ლაშქარი, „მონა სპა“ (მეფის თანმხლები ლაშქარი), ყივჩაყთა ლაშქარი, „როქის სპა“ (დაქირავებული ლაშქარი).

დავით აღმაშენებელმა ფულის კურსის განმტკიცების მიზნით გაატარა დიდმნიშვნელოვანი ფინანსური ღონისძიებები, მოაწესრიგა სამონეტო საქმე. რეფორმები გატარდა სამართლის დარგშიც, დაიხვეწა და გაუმჯობესდა მისი წარმოება. გარდამქმნელი მოღვაწეობა კულტურის სფეროსაც შეეხო.

ერთი სიტყვით, დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული რეფორმები მასშტაბური იყო და ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ აღმავლობას განაპირობებდა.

მრავალმხრივი და ყოვლისმომცველი იყო პეტრე პირველის მიერ გატარებული სახელმწიფოებრივი რეფორმები XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. საგულისხმოა, რომ რუსეთში მეთვრამეტე საუკუნე ახლებურად დაიწყო, ახალი 1700 წელი იდღესასწაულეს არა პირველ სექტემბერს, არამედ პირველ იანვარს. ახალი წლის მესამე დღეს პეტრემ ბრძანება გამოსცა, რომლითაც რუსული ჩაცმულობა იცვლებოდა – ძველებური გრძელი კაბა მოკლე „უნგრულმა კაფტანმა“ შეცვალა.

ბრძანებულებები საკმაოდ დიდი რაოდენობით გამოიცემოდა. მათი ერთი ნაწილი მუდმივმოქმედი იყო და „გენერალური დანიშნულება“ ჰქონდა, ზოგიერთი კი მოკლევადიანი იყო. პეტრეს მიერ გატარებული ადმინისტრაციული რეფორმის წყალობით შეიცვალა სახელმწიფო დაწესებულებები – რუსეთში აბსოლუტური მონარქია დამკვიდრდა.

თუკი წინათ მეფე ბოიართა სათათბიროსთან ერთად მართავდა ქვეყანას, ახლა ეს ინსტიტუტი მოძველებულად გამოჩნდა და მის ნაცვლად დაარსდა ბიუროკრატიული დაწესებულებები, რომლებიც სიტყვაშეუბრუნებლად ემორჩილებოდნენ მეფეს. 1721 წელს სენატმა პეტრე პირველს იმპერატორის ტიტული მიანიჭა. მეფის უფლებათა განუსაზღვრელობა ნათლად ჩანს სამხედრო წესდებაში, სადაც აღნიშნულია, რომ „его величество есть самовластный монарх, который никому на свете о своих делах ответу дать не должен, но силу и власть имеет свои государства да земли, яко христианский государь, по своей воли и благомнению управлять“.

მონარქის აბსოლუტური უფლებიანობა საგანგებოდაა აღნიშნული სასულიერო რეგლამენტში:

„Император всероссийский есть монарх самодержавный и неограниченный. Повиноваться его верховной власти не токомо за страх, но и за совесть, сам бог повелевает“.

პეტრე პირველმა შეცვალა ტახტის მემკვიდრეობის წესი, რომელიც პირმშობაზე იყო დამყარებული. ამიერიდან ტახტის მემკვიდრის შერჩევა იმპერატორზე იყო დამოკიდებული (ნიშანდობლივია, რომ დავით აღმაშენებელმაც 1125 წლის საანდერძო განკარგულებაში, წინააღმდეგ არსებული ტრადიციისა, შესაძლებლად დაუშვა უმცროსი შვილის გამეფება).

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთში სასამართლო რეფორმის გატარებას, რომლითაც მთავრობა შეეცადა, ბურჟუაზიული იუსტიციისათვის დამახასიათებელი წესრიგი დაემყარებინა – ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ხელისუფლება გაეცალკევებინა სასამართლოსაგან.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო რეფორმების გატარებას. ფართო მასშტაბით წარმოებულმა გემთმშენებლობამ რუსეთის არმიას მეტად მნიშვნელოვანი სიძლიერე შემატა. ჯარში გატარებული ღონისძიებების შედეგად შეიქმნა პირველხარისხოვანი სამხედრო არმია და საზღვაო ფლოტი.

მეფის ხელისუფლების ეკონომიკურმა პოლიტიკამ მრეწველობის ზრდა და ვაჭრობის განვითარება უზრუნველყო. ქვეყანა მძლავრ სახელმწიფოდ იქცა. რუსეთმა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით მძლავრი ნაბიჯი გადადგა წინ – დიდმა გარდაქმნებმა დააჩქარა ქვეყნის „ეკროპიზაცია“.

აღმავლობის გზაზე

XII საუკუნის პირველ მეოთხედში მასშტაბური სახელმწიფოებრივი რეფორმების გატარების შემდეგ საქართველოს სამეფო კარი აქტიურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა. XII საუკუნის ათიანი წლებიდან დაიწყო თანამიმდევრული ბრძოლა ქალაქების შემოსაერთებლად. ჯერ სამშვილდე აიღეს (1110 წ.), 1115 წელს ქართველებმა სელჩუკებს რუსთავიც გამოჰგლიჯეს ხელიდან, 1117 წელს – გიში, 1118 წელს – ლორე.

საქართველოს სამეფო მთელი გულისყურით ემზადებოდა გადამწყვეტი ბრძოლისათვის – თბილისის შემოსაერთებლად. ეს ბრძოლა მოხდა 1121 წელს დიდგორთან და, როგორც ცნობილია, ქართველთა ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრდა. მუსლიმურმა კოალიციამ სამარცხვინო მარცხი განიცადა. ამ გამარჯვებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. 1122 წელს თბილისი საქართველოს ერთიან სამეფოს დაუბრუნდა. დავით აღმაშენებელმა ბრძოლის მასშტაბები გაზარდა, რაც არსებითი მნიშვნელობის იყო, როგორც საქართველოს, ისე მეზობელი ქვეყნებისათვის. ქართველთა და შირვანელთა ერთობლივმა ბრძოლამ უზრუნველყო შირვანის დამოუკიდებლობა სელჩუკი დამპყრობლებისაგან. 1124 წელს დავით აღმაშენებელმა შირვანი საქართველოს შემოუერთა. დავით აღმაშენებელმა ისარგებლა სომხეთის ჩრდილო რაიონებში განაღებული განმათავისუფლებელი ბრძოლით და მტერს ხელიდან გამოსტაცა სომხეთის ციხეები: გაგნი, ტერუნაკანი, ქავაზნი, ნორაბერდი, მინასგომნი და

ქალინჯაქარი. 1123 წელს დავით აღმაშენებელმა ანისიცი აიღო.

ამგვარად, XII საუკუნის პირველ მეოთხედში თითქმის მთელი ამიერკავკასია საქართველოს გარშემო გაერთიანდა.

გაერთიანებული და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს წინსვლა მის კულტურაში გამოიხატა. დავით აღმაშენებელი თვითონ ფრიად განსწავლული ადამიანი იყო და ერის განათლებასა და დაწინაურებაზეც ფიქრობდა.

დავითმა 1106 წელს „ადგილსა ყოველად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულსა“ ააგო ტაძარი „ამაღლებული ყოველთა წინანდელთა ქმნულებათა“, განთქმული თავის „სივრცითა და ნივთთა სიკეთითა“, გელათში დაფუძნდა ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა – გელათის აკადემია. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გელათს მოიხსენიებს „ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უადრესა მისსა“.¹⁴

დავით აღმაშენებელმა გელათის აკადემიაში შემოიკრიბა „კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თვსთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთათ სადათცა ესმა ვიეთმე სიწმინდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანნა და დაამკვიდრნა მას შინა“.¹⁵

გელათის აკადემია, როგორც ვარაუდობენ, დაარსებულია 1106-1110 წლებში.¹⁶ იგი განვითარებული შუა საუკუნეების პირველი აკადემიაა, რომელიც შეიქმნა რეალური ინტელექტუალური მოთხოვნილების ნიადაგზე და გზას უკაფავდა ქართულ რენე-

¹⁴ ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი – ქართლის ცხოვრება. თბილისი, 2008, გვ. 332.

¹⁵ ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი – ქართლის ცხოვრება. თბილისი, 2008, გვ. 313.

¹⁶ **როინ მეტრეველი.** მეორე იერუსალიმი და სხვა ათინა. თბილისი, 2007.

სანსს.¹⁷ დაახლოებით ამ პერიოდში მოვიდნენ გელათში სამოღვაწეოდ იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი.

დავით აღმაშენებლის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობაზე მეტად მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის სომეხი ისტორიკოსი ვარდან ბარძებრდუცი: „ის ძლიერ ზრუნავდა ცოდნისმოყვარე ივერიის ხალხზე, რომელთა რიცხვიდან მან შეარჩია ორმოცი ახალგაზრდა და გაგზავნა საბერძნეთში ცოდნის მისაღებად. სამი ამათგანი შემდგომში ცნობილი გახდა თავისი მოღვაწეობით“.¹⁸ ბიზანტიაში ცოდნის მისაღებად ახალგაზრდების გაგზავნა, სამშობლოში, ხალხში კულტურის შეტანა მნიშვნელოვანი საქმე იყო. მუსლიმი მწერლები იმასაც გვამცნობენ, რომ დავით აღმაშენებელს ცალკე სახლიც კი აუშენებია უცხო ქვეყნების მეცნიერთა, ფილოსოფოსთა და პოეტათვის. იგი თურმე ნივთიერადაც ეხმარებოდა მათ და ხანგამოშვებით საზეიმო დარბაზობასაც უმართავდა.

დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოში განათლება და კულტურა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამის სიმაღლეზე იდგა.

დიდი გარდაქმნები ახალ ამოცანებს აყენებდა რუსეთის სახელმწიფოს წინაშე. პირველი დიდი საკითხი – ბრძოლა პოლონეთთან რუსეთისა და უკრაინის მიწებისათვის ნაწილობრივ გადაწყდა ანდრუსოვოს ხელშეკრულებით (1667 წ.) და „საუკუნო ზავით“ (1686 წ.); მეორე მნიშვნელოვანი საკითხი – სამხრეთ რუსეთის მიწების დაბრუნება და შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება ასევე მხოლოდ ნაწილობრივ გადაწყდა რუსეთისათვის აზოვის შეერთებით (კონსტანტინოპოლის 1700

¹⁷ **კ. კეკელიძე.** ძველი ქართული მწერლობის ისტორია. ტ. I. თბილისი, 1980, გვ. 251.

¹⁸ **ვარდან ბარძებრდუცი.** მსოფლიო ისტორია (სომხურ ენაზე). 1861, გვ. 157.

წლის ხელშეკრულება); მესამე დიდი საკითხი – შვედების მიერ რუსეთისგან მიტაცებული მიწებისა და ბალტიის ზღვაზე გასასვლელის მოპოვება იყო. ამ უკანასკნელი პრობლემის გადაჭრა განსაზღვრავდა XVIII საუკუნის პირველი ათწლეულის რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად ხაზს.

რუსეთის მოკავშირეებად გამოვიდნენ დანია, პოლონეთი და პრუსია; ეს ქვეყნები შვედეთის დამპყრობლური პოლიტიკის მსხვერპლნი გახდნენ. შეიქმნა ანტიშვედური კოალიცია. თურქეთთან ზავის დადების შემდეგ (1700 წ.) პეტრე პირველმა ბრძანება გასცა, რუსეთის ჯარს მახვილი ჩრდილოეთისაკენ მიემართა. 1700 წლის 16 სექტემბრიდან 19 ნოემბრამდე რუსეთის 34 ათასიანი არმია წარუმატებლად ცდილობდა ნარვის აღებას. აქ რუსებმა მარცხი განიცადეს და დიდი გაკვეთილი მიიღეს. ისტორიოგრაფიაში ოფიციალურადაა აღიარებული, რომ ნარვასთან მარცხი – ეს იყო გზა გამარჯვებისაკენ.

1702 წლიდან გარდატეხა დაიწყო ჩრდილოეთის ომში. პეტრემ პირველი დამარცხებები აგემა შვედეთს. ამასთან, იგი ამბობდა რუსეთის ქალაქებს. რუსეთის არმია ისე გაძლიერდა, რომ მრისხანე ძალად იქცა. 1708 წლისათვის იგი 135 ათას მებრძოლს ითვლიდა. ეს იყო კარგად გაწვრთნილი, ბრძოლებში გამობრძმედილი, მტკიცე დისციპლინის მქონე შეიარაღებული არმია. პეტრე პირველმა დიდი გამარჯვება მოიპოვა პოლტავასთან 1709 წელს. კარლოს XII-მ მძიმე მარცხი განიცადა. შვედებმა ათი ათასამდე მეომარი დაკარგეს, სამი ათასამდე ტყვედ ჩავარდა. პეტრე პირველმა ზეიმით აღნიშნა გამარჯვება, სადილად შვედი ტყვე გენერლებიც მოიწვია და შესვა სამხედრო საქმეში თავისი მასწავლებლების სადღეგრძელო. როცა ჰკითხეს, თუ ვინ იყვნენ ეს მასწავლებლები, პეტრემ უპასუხა: „თქვენ, ბატონო შვედებო!“

პოლტავის გამარჯვებას ჰქონდა უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა. პოლიტიკური თვალსაზრისითაც განუმეორებელი იყო იგი. რუსეთის ავტორიტეტი განუსაზღვრელად გაიზარდა საერთაშორისო მასშტაბით. პეტრე პირველმა ახალ-ახალი წარმატებები ჩაწერა რუსეთის მატიანეში.

პეტრე პირველის საგარეო პოლიტიკა ისტორიულად პროგრესული ხასიათისა იყო. გაძლიერდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, განმტკიცდა რუსეთის კავშირი სხვა სახელმწიფოებთან. შეიქმნა დამატებითი წანამძღვრები ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის.

პეტრე პირველმა დიდი ყურადღება დაუთმო განათლების საქმეს, ყოველმხრივ ახალისებდა მეცნიერების განვითარებას. 1701 წელს გამოვიდა მეფის ბრძანება, რომლის ძალითაც შეიქმნა სანავიგაციო სკოლა. ამის შემდეგ საარტილერიო და საინჟინრო სკოლებიც დაარსდა. სპეციალისტთა მომზადების დაჩქარების მიზნით პეტრე ახალგაზრდა რუს აზნაურებს გზავნიდა საზღვარგარეთ ცოდნის მისაღებად. საგულისხმოა, რომ უკან დაბრუნებულთ თვითონ მეფე უტარებდა გამოცდას, თუ რამდენად აითვისეს ესა თუ ის საქმე.

ამ დროს მეცნიერება, ბუნებრივია, პრაქტიკული მოთხოვნილებების შესაბამისად ვითარდებოდა. პეტრე პირველის სახელთან არის დაკავშირებული რუსეთის აკადემიის შექმნა. 1724 წელს სენატმა საგანგებოდ განიხილა აკადემიის დებულება. აკადემია გაიხსნა 1725 წელს. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მეცნიერების პროპაგანდასაც, რისთვისაც საგანგებო დაწესებულებებიც შეიქმნა. ერთი სიტყვით, XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთი როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად და კულტურულად მაღალ დონეზე იდგა.

კიდევ ერთი დამთხვევა... როცა კვლავ საკრალური ციფრი 600 ურევია საქმეში: 1125 წლის იანვარში გარდაიცვალა დავით აღმაშენებელი, 1725 წლის იანვარში კი – პეტრე პირველი.

საგულისხმოა, რომ დავით აღმაშენებელმა სიკვდილის წინ დატოვა ანდერძი, რომლის მიხედვითაც მეფედ დემეტრე მტკიცდებოდა, ასევე ნაწილდებოდა მთელი მისი ქონება. ეს მომაკვდავი თვითმპყრობელი მეფის ნება იყო:

„ხოლო დრაჰკანი, კოსტანტი ცუატას და ჩემნი ლაღნი და თუალ-მარგალიტნი ხახულისა ღმრთისმშობლისადა შემიწირავს. ხოლო დუკატი და პოტინატი ატენისა საჭურჭლისა იგიცა ჩემითა სისხლითა მოგებული, თუ ელეოდეს მეფე დიმიტრი, ყოველი მისცეს მოძღუარსა ჩემსა...“

პეტრე პირველმა, იგრძნო თუ არა სიკვდილის მოახლოება, მოითხოვა ქაღალდი, რომელზეც რამდენიმე გაურკვეველი სტრიქონი დაწერა. ამ სტრიქონებში გამოირჩა მხოლოდ ორი სიტყვა: „Отдайте всё“...

სიკვდილის წინ ქონების გაცემა, ეტყობა, დიდი ადამიანების ხვედრი იყო.

POST SCRIPTUM

დავით აღმაშენებლისა და პეტრე პირველის მოღვაწეობის განხილვისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ექვსასწლოვან პერიოდთან ერთად მასშტაბებიც განსხვავებული იყო. რუსეთის იმპერია თვალუწვდენ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული და, ბუნებრივია, პეტრეს მიერ გატარებულ ღონისძიებათა მასშტაბები უფრო დიდი იყო. მნიშვნელობა კი ამ ორი მეფის მოღვაწეობისა თავიანთი ქვეყნებისათვის დაახლოებით ერთნაირი იყო.

საერთოდ, როცა დავით აღმაშენებლისა და პეტრე პირველის მოღვაწეობის დადებით მხარეებზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ როგორც ერთი, ისე მეორე მეფის პოლიტიკა განაპირობებდა მოსახლეობის დიდ დაძაბვას. მთელი გარდაქმნები XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში, თუ XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის რუსეთში, დიდგორისა და პოლტავის გამარჯვებებიც ხალხთა მასების კისერზე გადადიოდა.

გარდაქმნებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა საქართველო

წინა აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში ცნობილ, პოლიტიკურად და ეკონომიკურად მძლავრ სახელმწიფოდ აქცია, პეტრე პირველისამ კი რუსეთი – ევროპის უდიდეს იმპერიად.

600 წელი... 600 არის ციფრი, რომელიც შემთხვევით აღმონდა ხიდად დავით აღმაშენებელსა და პეტრე პირველს შორის. სწორედ 600-მა გადაგვაწვევტინა ჩვენც ამ ერთი შეხედვით უჩვეულო ნარკვევის დაწერა.

სერგო ვარდოსანიძე – საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული
უნივერსიტეტის რექტორი,
პროფესორი, ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი

პატრიარქ ლეონიდესა და მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას დაპირისპირების ისტორიიდან

ურთულეს პირობებში მოუხდა უწმიდესსა და უნეტარესს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს საქმიანობა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ხელისუფლება ათეისტური იყო და დედა ეკლესიისადმი მისი დამოკიდებულება ოფიციალური და ცივი იყო. ხელისუფლების მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტებით საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არსებულ პრობლემებს კარგად ასახავს უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდეს წერილები საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიასადმი გაგზავნილი.

„კვირფასო მამულიშვილო ბატონო ნოე ნიკოლოზის ძეგ ბოდიშს ვიხდი, რომ ჩემი უცილებელი მოვალეობა მაიძულებს წაგართვათ რამდენიმე წამი ძვირფასი დროისა, რომელიც თქვენ ჩვეულებრივად ანდომებთ საქვეყნო დიადი საქმეების მოწყობამოგვარებას. მე მაინც ნებას არ მივცემდი ჩემს თავს შემეწუხებინეთ, რომ ჩემ მიერ წამოსაყენებელი საკითხების მართებულ გადასაწყვეტ გზას ვხედავდე გარეშე თქვენი სახელმწიფოებრივი გამჭრიახობა- სიბრძნისა...“

1. პირველი რაზედაც თქვენს ყურადღებას მივიქცევ, არის სასულიერო წოდების ყოფილი სასწავლებლების ქონება-შენობები, რომელიც გადაეცა სახალხო განათლების მინისტრის გამგეობაში, მაგრამ ჩვენ ვარაუდობდით, რომ არავინ შეავიწროებდა სასულიერო წოდებას. ახლა განათლების სამინისტრომ ხელი ჩაჰკიდა ყველაფერს და ჩვენ სასულიერო უწყების როგორც კანონიერ მფლობელებს გვაგზავნის სასამართლოში, იქ დაგვიმტკიცეთ ოფიციალური საბუთების წამოყენებით რისი პატრონებიცა ხართო. სამწუხაროა, რომ სამინისტროს პატრონობის ჟამს დაიკარგა სასულიერო სასწავლებლისა და სემინარიის პანსიონატის ქონება.

დასასრული აღარ აქვს სამინისტროს უსამართლო მიწერ-მოწერას ჩვენს უწყებასთან პროვინციის რწმუნებულის თაობაზე. აუტანელი ხდება ასეთი ძალმომრეობის დათმენა. სამღვდლოება უსათუოდ შეებრძოლება სამინისტროს იმ წარმომადგენლებს, რომელნიც მის დაჩაგვრას მოინდომებს. ეს კი ხალხის თვალში სახელს გაუტეხავს როგორც სამინისტროს, ისე მთლად საერო მმართველობას.

2. ამგვარსავე უსამართლობას ითმენს სასულიერო უწყება მიწათმოქმედების სამინისტროსაგან, რომელმაც ეკლესიებს ჩამოართვა მიწები, გლეხები, სათიბები, წისკვილები, ტყეები... ვერ გაგვიგია, რით დაგვაყენეს კანონის გარეშე? მონასტრებში, ეკლესიებში ადამიანები ცხოვრობენ და რით იარსებონ მათ თუ მიწა არ ექნათ? ვინ უპატრონებს გელათს, მარტვილს, შემოქმედს, ალავერდს, დავით-გარეჯას, შუამთას, ბოდბეს, შიომღვიმეს, ქვათახევს, მცხეთას?

რომელი სახელმწიფოებრივი საქმე უნდა გარიგდეს მშობელი ბერების შიმშილისაგან გაწყვეტით და ჩვენი ქვეყნის საამაყო ისტორიული ნაშთების განზრახ დანგრევა-განადგურებით? უსამართლობაა რკინიგზაზე მღვდლის თანამდებობის გაუქმება, ჩვენ მთავრობას თავის ბოლოდროინდელ დეკლარაციაში შეუტანია ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა. შეიძლება ეს კარგიც იყოს, თუ დაცული იქნება სამართლიანობა. საქართველოს

ეკლესია უმთავრესი და უთვალსაჩინოესი ფაქტორია ჩვენი ერის სულიერი ცხოვრებისა. ჩვენს ეკლესიას განსაზღვრული დამსახურება მიუძღვის იმ პირობების შექმნაში, რომელთა მეოხებითაც დღეს ჩვენს სამშობლოს დაჰფრიალებს ეროვნული დროშა და სახელმწიფოებრივ ღვაწლს ეწევა ჩვენს დედაქალაქში დამფუძნებელი კრება.

საქართველოს ეკლესიას მოეპოვება კეთილი შენაძენი საკუთრება, რომელსაც ხელს უპოტინებენ რუსეთის საერო და სასულიერო მთავრობანი... დღეს დამოუკიდებელნი ვართ, რუსეთისაგან, მაშასადამე მარჯვე დრო გვაქვს აღვადგინოთ მშობელი ეკლესიის ქონობრივი უფლებების აღდგენა-ხელშეუხებლობისა.

ახლა თვითონ ჩვენმა მთავრობამ უნდა საქმით დაუმტკიცოს კაცობრიობას სრული სამართლიანობა, ღირებული ფასის გადაებით შეისყიდოს ეკლესიისაგან მისი უძრავი ქონება და სრული მშვიდობიანობით განცალკევდეს მისგან.

ჩვენი მთავრობა სოციალისტურია და პრინციპულად ვერ შეგუდება ეკლესიას. თანახმა ვარ, დიახაც დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ გაშორებაშიც, სავალდებულოა სამართლიანობა და ჩვენს მარტო სამართლიან გაყოფას ვთხოვლობთ სახელმწიფოსაგან და სხვა არაფერს.

ჩემმა ხანგრძლივმა სიცოცხლემ განვლო ქართველი ერის თვალთა წინაშე, სამსახურში შესვლის პირველი დღიდან მოკიდებული აქამდე გაუწყვეტლივ დავდივარ საქართველოს მთა და ბარში სახარების სიტყვისა, ჰუმანიტარული სწავლა-განათლებლისა და ეროვნული შეგნების ხელგაშლით საფრად ქართველი ერის მაშვრალთა კლასის ფართო წრეებში. პირველად მე წავაკითხე „დედა ენა“ მთის შვილებს და პირველად მე ავამღერე მშობლიურ ჰანგზე დაბეჩაევებული ჩემი მოძმენი. დღევანდლამდე ვცხოვრობ მხოლოდ იმისათვის, რომ შევიძინო და რამე შევმატო სათაყვანო სამშობლოს. ეს იყო და არის ჩემი სუნთქვა, ჩემი განუშორებელი ძრახვა, ჩემი ერთადერთი ღიხინი და უადრესი ბედნიერება. სამშობლოს კეთილდღეობის სამსახურს ვანაცვალე ყველა ის, რითაც კი საამო და საინტერესოა სხვისთვის წუთი-

სოფელი. მოძმეთა გარდამეტებული სამსახურის გამო სავსებით დაეწყებული მქონდა და მაქვს ჩემს პირად არსებობაზე ზრუნვა.

დღესაც ამ კერძო წერილს გწერთ. მხოლოდ სამშობლოს ერთგულებას ექნება რაიმე შედეგი ჩემს ნაწერს თუ არა დამოკიდებულია თქვენზე. მე კი ამით თავისუფალი ვიქნები მომავალში როგორც საზოგადოების, ისე თქვენს წინაშე ყოველი პასუხისმგებლობისაგან.

1919 წ. 5 მაისი“

„მოწყალეო ხელმწიფე, ბატონო ნოე ნიკოლოზის ძე!“

განვლილი მაისის ნახევარში ვიკადნიერე თქვენი შეწუხება ჩემთვის აუღიენციის მიღებით თქვენთან პირადად და სხვადასხვა საეკლესიო საკითხებზე სათათბიროდ. როგორც მოსალოდნელი იყო პატივი დამდეთ, მიღების საათი დამინიშნეთ და გულმოდგინებითაც მოისმინეთ ჩემი სიტყვიერი ვრცელი მოხსენება.

მომახსენეს, რომ სულ ახლობელ მომავალში ისმინება საკითხი მონასტრებისათვის მიწების დატოვებისა კერძო მესაკუთრეთათვის მიღებული ნორმითა და ჩემთანვე უბრძანეთ თქვენს მდივანს ამის თაობაზე შესაფერისი ქაღალდის გამზადება.

მას უკან აგერ თვე გადის და დღევანდელობამდე ამ საკითხისა არა ვიცი რა, მონასტრების მდგომარეობა დღითიდღე უარესდება: ბერები ზოგნი შიმშილისგან იხოცებიან და ზოგნიც რაკი არაფერს საიმედოს აღარა ხედავენ გარშემო, გარბიან მონასტრებიდან და ამის გამო საქართველოს საამაყო ისტორიული ნაშთები სულ უპატრონოდ დატოვებულნი, ხდებიან მგლების და ტურების საცხოვრებელ ბუნაგებად. მორწმუნენი აღარაფერს სიკეთეს აღარ გამოეღიან მთავრობისაგან და გამწარებულნი ტოვებენ მონასტრებს.

ამის გამო, რადგანაც საქმე აღარ ითმენს გაგრძელება-გადადებას და მეტად რთულდება, უმორჩილესად გთხოვთ შესაძლო

სინქარით ინებოთ ბრძანების მიცემა, ვისდამიც ჯერ არს, რათა მიწის მიმღებმა კომისიებმა...

ვსასოებ, რომ ამ თვის 16-მეტს მისცეთ სასურველი მიმართულება ჩემს შუამდგომლობას.

1919 წ. 9 ივნისი“¹

უწმიდესმა და უნეტარესმა ლეონიდემ გულთან ახლოს მიიტანა 1920 წელს გორში დამანგრეველი მიწისძვრით გამოწვეული ტრაგედია და მიმართა სრულიად საქართველოს.

„კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე, მონა და მსახური უფლისა იესო ქრისტესი, ღვთიერებალულთა მღვდელმთავართა, მღვდელთა და მორწმუნეთა ძეთა და ასულთა საქართველოს წმინდა ეკლესიისათა: მადლი თქვენდა და მშვიდობა ღვთისა მიერ მამისა ჩვენისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!

მდგომარე წლის თებერვლის ოცი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დარჩება საუკუნეთა განმავლობაში წაუშლელ ნიშნად უღრმესი ეროვნული უბედურებისა და საშინელი ღვთის რისხვისა! ამ დღეს ჩვენში არ-გაგონილი სიმძლავრის მიწისძვრისაგან მოისპო და საკუთარ ნანგრევებში ჩაიმარხა ქართლის გული ქ. გორი და მისი მახრის ჩვიდმეტი სოფელი. მე ვინახულე ეს საშინელების ალაგი. დავრწმუნდი, რომ სინამდვილე ბევრად აღემატება გაზეთებში აღწერილ სურათს. ხალხის თავზე დატეხილ უბედურების გამოთქმა შეუძლებელია ჩვენი ენითა და ცრემლით. უძლეველ სტიქიურ ძალას მტვრად უქცევია ყველაფერი, რის შექმნისა და მოპოვება შეძენისათვის შეუძლებელია თვითოეული ოჯახის წევრს თავისი მხნეობა, ცოდნა და გამოცდილება. ესეც ცოტაა: ნანგრევებს ქვეშ მოუქცევია და უფსკრულის ძირში ჩაუნთქავს ოჯახების ამშენებელნი, მარჩენელნი, მომავლის იმედნი: ვაჟკაცი, ყრმანი და მოხუცინი! ზოგიერთი ოჯახი მთლად მოსპობილა, ზოგიდან ერთილა დარ-

¹ საქართველოს საპატრიარქოს არქივი. მიტროპოლიტ ლეონიდეს ფონდი 6443, ფურცელი 1-3.

ჩომილა, ზოგნი თუ სასწაულებრივი ძალით ცოცხლები გადარჩენილან, ნამეტანი შიშისაგან ჭკუაშეშლილად გამოიყურებიან და დედას შვილი ვერ უცვნიან.

უჭეროდ და უკერძოდ დარჩომილებს თავი შეუფარებით მთავრობისაგან მიწოდებულ ტილოს კარვების ქვეშ. რომელ კარავთანაც კი მივედი ნუგეშის-მისაცემად, დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა, ყველამ ხელების აპყრობით, ერთხმად, ცეცხლის ცრემლების ფრქვევით შემომტირა: „მამაო, გვიშველე, შეგვიბრალე, შეგვავედრე უფალს, ნუღარ დაგესჯის, ნუღარ გეკითხავს ცოდვებს, აღარა ვართ ღირსნი მისი შვილობისა, მაგრამ შემობრუნებე მას ჩვენზე მამობრივი გულიო!“

„თანაძმანო და თანამსახურნო, მწყემსმთავარნო და მწყემსნო სულიერნო ძენო და ასულნო!

ბეჯითად და გულმოდგინედ შეუსრულოთ უბედურებაში ჩაცვენილ ჩვენს ძმებს და შვილებს მათი პირველი და მღულარე ცრემლებით ჩვენდამი მომართული ვედრება: ყველა ქალაქში და დაბა-სოფელში გადავიხადოთ სასინანულო სავედრებელი, შემუსვრილი გულით შევავედროთ ზეციერ მამას მიწისძვრისაგან გაჭირვებაში მყოფნი და შვილებრივი კადნიერებით გამოვთხოვოთ მას მთელი ჩვენი ერისათვის მშვიდობა, სიმრთელე და ხსნა სიმშვილისაგან, ძვრისა და სვრისა!

ამ ტეხა-სიცივის დროს ტილოს კარვების ქვეშ მყოფთ ესაჭიროებათ საზრდოც და შესამოსიც. ღმერთმაც უწყის და ქვეყანამაც, რა ხელმოკლეობას და ნაკლუვანებასაც განიცდის ჩვენი სამღვდელოება, მაგრამ მიწისძვრისაგან დასჯილები სულ უსახსრონი არიან, ამიტომ გთხოვთ და გვეედრებით მღვდელმთავრებს და მღვდლებს, მშიერებს ლუკმა გაუყოთ, თავზედ მებდატეხილ ჩვენს ძმებს გაცრეცილი ანაფორებით შეუმოსოთ ყინვისაგან გათოშილი სხეული და ჩვენი ხელით მოვწმინდოთ მწუხარების ცრემლი. ეკლესიებში, ოჯახებში, გზებზე და ყველგან გვახსოვდეს გაჭირვებულთა მდგომარეობა, თვალწინ გვედგას მათი მწუხარება და ყოველი ნაბიჯი, ყოველი მოძრაობა სულისა და გულისა, მიმართული გვექონდეს მათ ტანჯვათა შესამსუბუქებლად,

ნუ დავზოგავთ და ნუ დავიშურებთ მათ მისაწველად ნურაფერს, რაც კი მოგვეპოვება.

სულიერნო ძენო და ასულნო! დღეს დიდმარხვის პირველი კვირიკეა. ყველანი ემზადებით, რომ ეზიაროთ ქრისტეს სისხლსა და ხორცს, ქრისტე კი, მიწისძვრისაგან უბედურებაში ჩაცვივნულთა სახით, მწვავე ცრემლებით გვევდრებათ ქაღსა და კაცს შებრალება-გაკითხვას.

მაშ, ეზიარეთ, ძვირფასნო, ნამდვილად თქვენი მაცხოვრის სისხლასა და ხორცს, გაიკითხეთ, რითაც კი შეგიძლიათ უბედურობაში ჩავინულნი თქვენი მოყვასნი, მიეცით მათ საზრდო და საკვები, აუშენეთ განადგურებული ბინები, მოჰბანეთ მათ მწუხარების ცრემლები და ამით თქვენც ჩამოგვხდებათ ზეციერი მამისაგან თქვენი ცოდვების მიძიმე ტვირთი.

ჩვენი ქვეყნის დიდო იმედო, ქართველო ახალგაზრდობავ! სიყვარული, თანაგრძნობა და სიკეთისათვის თავდადება შენი ბუნებაა. შენ უნდა შენი გმირული მკერდით შეიჭრა იმ უბედურების ზღვაში, რომელმაც წალეკა გორი და მისი მიდამო, შენ უნდა შენი უთვალავი გუნდებით ტარბისებრ მოედო სტიქიისაგან აოსრებულ კუთხეს და სენი მადლიანი მკლავით ისევ აამოძრავო ველგან სიცოცხლე, აანთო გამქრალი კერა და ისევ აამდერო საზარელი მოვლენისაგან თავზარდაცემული შენი თანამძემბი. იცოდე, ეხლა შენკენ აქვს მოჰყრობილი თვალი დანგრეულ გორს და მის მიდამოს!

შვილნო! დაუმტკიცეთ კაცობრიობას, რომ ვიცით თანამძათა უბედურების გაზიარება და ღირსეულად ვატარებთ ღვთის ხატებასა და მსგავსებას.

შეწირულება გროვდება საკათოლიკოსო საბჭოში.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
ლეონიდე²**

² საქართველოს საპატრიარქოს არქივი. მიტროპოლიტ ლეონიდეს ფონდი 6443, ფურცელი 4-2.

კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდეს მმართველობის პერიოდში მოხდა მეტად შემაშფოთებელი ფაქტი: გელათისა და ჯრუჭის მონასტრის განძეულობის ჩამორთმევა და მათი სახელმწიფოს ხაზინაში გადატანა. გახეთმა „საქართველომ“ 1920 წლის №169-ში გამოაქვეყნა გელათის მონასტერში მომხდარი ამბები, რითაც საზიოგადოება გაეცნო საქმის ვითარებას: „ნოემბრის 24-ს, მისმა უწმიდესობამ, კათოლიკოსმა ლეონიდემ ასეთი ხასიათის მოულოდნელი დეპეშა მიიღო ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარისაგან: „23 ნოემბერს, თბილისიდან ჩამოსულმა მთავრობის წარმომადგენელმა ნ. ჟორდანიას პირადმა მდივანმა გ. ცინცაძემ, ადგილობრივი პროკურორის, ერობის თავმჯდომარის და მილიციის უფროსის თანხლებით, ჩემდა ნებადაურთველად და დაუკითხავად წაიღო გელათის მონასტრიდან ძვირფასი ხატები და განძეულობა ამა მონასტრისა და ჯრუჭისა, გაენათის მონასტერში დაცული, დაწვრილებითი მოხსენება იგზავნება“.³

ამ ცნობის მიღებისთანავე მისმა უწმინდესობამ მთავრობის თავმჯდომარეს დაუყონებლივ გაუგზავნა შემდეგი ტელეგრამა: „მოწყალეო ბატონო, ნოე ნიკოლოზის ძეგ! – ქუთათელ მიტროპოლიტისგან მომივიდა შემადრწუნებელი დეპეშა (მოყვანილია ზემოთ მოყვანილი ცნობა). გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს, პატივისცემით გთხოვთ, მოწყალეო ბატონო, გასცეთ განკარგულება ნივთების გელათშივე დატოვებისათვის“.⁴

ამ მიმართვაზედ მისმა უწმინდესობამ მთავრობის თავმჯდომარის სამმართველოდან შემდეგი პასუხი მიიღო: „პასუხად თქვენი ტელეფონოგრამისა, მთავრობის თავმჯდომარის დავალებით მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ დღეს ან ხვალ ქუთაისიდან დაბრუნდება საგანგებო რწმუნებული, რის შემდეგ დაწვრილებით გეცნობება ყველაფერი გელათის მონასტრის განძეულობის შესახებ – მთავრობის საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე“.⁵

³ საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 2009, გვ. 100.

⁴ საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 2009, გვ. 101.

⁵ საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 2009, გვ. 103.

აღნიშნული სახით, კათოლიკოს-პატრიარქმა მთავრობის თავმჯდომარისაგან მიიღო დაპირება, რომ თავის დროზე ყველაფერს აცნობებდნენ. მიუხედავად ამისა, არაფერი აცნობეს. როდესაც ამ რწმუნებულმა მთელი განძეულობა გამოიტანა მონასტრიდან და დაბრუნდა თბილისში, კათოლიკოს-პატრიარქმა მისწერა წერილი მთავრობის თავმჯდომარეს:

„ღიდად პატივცემულო ნოე ნიკოლოზის ძევ!

ტელეფონოგრაფით, რომელიც თქვენი სახელით გადმომცა ბ. ჯაფარიძემ ნოემბრის 26-ს, თქვენ მითვლიდით: „დღეს ან ხვალ ქუთაისიდან დაბრუნდება ჩემი რწმუნებული და შინ დაწვრილებით გეცოდინებათ გელათის ამბებში“. დღეს დეკემბრის 5-ს, თქვენი რწმუნებული, კარგა ხანია, დაბრუნდა და თბილისში იმყოფება, მაგრამ მე მაინც ღირსი არ ვაგხდი თქვენგან აღთქმული ცნობების მიღებისა! დღეიდან ეს ცნობები აღარ მჭირდება, მე უკვე მივიღე სრულებით საიმედო წყაროდან საჭირო ცნობები მთელი სისრულით.

ვცდილობ მივხვდე, რამ გაიძულათ თბილისიდან რწმუნებულის გაგზავნა გელათში მონასტრის განძეულობის გადმოსატანად და ვერ გამიგია, ვერ მივხვედრილვარ, ვერ გამოვკერველვარ, ეს რა ჩაგიდენიათ და როგორ ავიყირავებიათ ყველაფერი. უეჭველია, თქვენ მიმითითებთ სოციალ-დემოკრატების გაზეთებში მოყვანილ ცნობაზე გელათის მონასტრის ვითომდა ბერებისაგან გაძარცვის შესახებ, მაგრამ ეს საბუთები არ გამოგადებათ, რადგანაც დღეს ჩვენში სამი წლის ბავშვმაც კი კარგად იცის, რა ღირებულების და სისწორის ცნობებიც იბეჭდება ეკლესიებზე სოციალისტების ორგანოებში. დაგანებოთ ამას თავი, წარმოვიდგინოთ შეუძლებელი, დავიჯეროთ, რომ სოციალისტების გაზეთში მოყვანილი შემთხვევები გელათის გაძარცვის შესახებ და ქუთაისის მილიციის უფროსის მოხსენებაც ვითომდა ნაჭურდალის აღმოჩენაზე სინამდვილეა, მერე ეს გარემოება გიკარნახებდათ იმ სახიფათო ნაბიჯის გადადგმას, რომელიც თქვენ გადაგიდგამთ? განა თქვენ გქონდათ უფლება, თუ თქვენს გარდა უფლებას სხვებსაც არ გუნებთ, რომ მონასტრის გაძარცვის ამ

ბავი იმავე დღეს არ შეგეტყობინებინათ საკათოლიკოსო საბჭოსათვის ბეჯითი მოთხოვნით, რომ მას დაუყოვნებლივ მიეღო ფიცხელი ზომები ჩადენილი ბოროტმოქმედების გამოსარკვევად და შედეგები ძიებისა ეცნობებია თქვენთვის!

საკათოლიკოსო საბჭო ხომ ჩვენი რესპუბლიკისაგან ჯერჯერობით ცნობილი და შეწყნარებული უზენაესი საეკლესიო ორგანოა და რომელი უფლებამოსილებით ამ ორგანოს გაუსვით განადგურების ხაზი?

მორე, ნუთუ ჩემი მდგომარეობა, როგორც საქართველოს მთელი მორწმუნე მოსახელობის მამათმთავრისა და დროული საზოგადო მოღვაწისა, საბუთია თქვენთვის იმისი, რომ არაფერი ანგარიში არ გამიზიოთ, ჩგარივით მთელთ და ჩემდა სრულე-ბით დაუკითხავად ზიდოთ ტომრებიდან თქვენს ძირგავარდნილ ხაზინებში ვითომდა დასაცველად სასწაულთმოქმედი ხარები, ჯვრები, წმინდა ნაწილები, შესამოსლები, ბარძიმ-ფეშხუმები და სხვა. არც სიცოცხლე, არც გონება და არც მორწმუნე ერისაგან მინიჭებული უფლებამოსილება, ღვთის მადლით, ჯერჯერობით არა დამიკარგავს, და ვერ გამიგია, რომელი უფლებით გინებები-ათ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის კვერთხის აღება ხელში და ბრძანების გაცემა ასეთი რამეების გადმოტანა გელათის მონასტრიდან, რასაც მორწმუნენი მუხლს უყრიან, წმინდა სანთელს უნთებენ და, თუ ესებიან მათ, მხოლოდ და მხოლოდ დიდი კრძალვა-მოწიწებითი ამბორისყოფით, ისიც სამღვდელო პირთა დახმარებით და არა სხვა რომელიმე სახით.

მესამე, განა თქვენ გქონდათ ან დღეს გაქვთ იმის საბუთი, რომ შეიარაღებული მილიციონერების რაზმით შეჭრილიყავით მონასტერში ცნობის მიუცემლად და სრულებით დაუკითხა-ვად ქუთაისის ეპარქიარული მწყემსმთავრისა, რომელსაც ასეთი თქვენი საქციელით პატივისცემას უკარგავთ და საზოგადოების თვალში სახავთ ნდობადაკარგულ, საეჭვო პირად!

მეოთხე, თქვენ შეუფერხებლად შეეხეთ და შეურაცხყავით მორწმუნეთა სვინდისი, იმ ხალხისა რომელიც ეკლესიის ეზოდან გამოსული ფეხს იბერტყავს, წმინდა ადგილის მტკერი არ გამყვე-

სო, რომელიც ეკლესიის ეზოში ნაპოვნ ღურსმანს ხელს არ ჰკიდებს, ღუთისა არისო, თქვენ აბუჩად ივლებთ როდესაც მის სალოცავ და სათაყვანო წმინდა ნაწილებით სავსე ხატებს, ჯვრებს და ბარძიმი-ფეშხუმებს ტყემლის ტყლაპების ყუთებში აყრევიანებთ უბრალო ნაინების მსგავსად, თქვენგან ვაგზავნილ საერო პირს. განა ეს თვენი მხრით სხვისი სვინდისის შეგინება არ არის მორწმუნეთათვის და ბრძოლაში გამოსაწვევი ხელთათმანის გადაგდება არ არის? ნუთუ თქვენ წარმოგიდგენიათ, რომ ამგვარ პროფანაციას მორწმუნე ქართველობა აპატიებს და შეარჩენს ვინმეს?! სასტიკად სცდებით.

გელათში დანთებულია თქვენგან ისეთი ცეცხლი, რომელიც თუ ეხლავე თქვენივე ხელით არ ჩააქრეთ, სულ ჩქარა ცაში ავარდნილი გრანდიოზული ჰიაკოკონა წითლად შეღებავს მთელ საქართველოს არემარეს და ამ კოცონის გარშემო მომუშავე ქრისტიანებს გვერდში ამოუდგებიან მაჰმადიანი ქართველებიც, რომლებიც ხმამაღლა გაიძახიან: სოციალისტები თავიანთი სჯულის ეკლესიას რომ სპობენ, განა ჩვენ კი სიკეთეს დავგაყრიან, ჩვენ კი არ შეგვიბილწავენ მეჩეთებს და ყურანს?

თქვენ ვაგეცინათ ამაზე, მავრამ მოგახსენებთ, რომ თქვენი გაცინება თუ რისხვა არ აჩერებს არც მტკვარსა და არც სხვა რომელიმე მდინარეს.

გული სისხლით მეწურება, როდესაც ვითვალისწინებ თქვენგან ჩადენილი ფაქტის შესაძლო სავალალო შედეგებს და სამშობლოს სახელით გემუდარებით, ნუ გაამწვავეთ ამ საქმეს, ნუ გაიტანთ გელათიდან საეკლესიო გამოტანის ამბავს ფართო საზოგადოებაში, ინებეთ უკანვე მიბრუნება მონასტერში განძეულობისა და ყველაფერი თავისთავად მიხუმდება, თორემ იცოდეთ, სავსებით გამოძედავნილება ხალხში თქვენი განკარგულებისა – ნავთის ტბაში ანთებული ასანთის გადასროლა იქნება.

თუ გელათის მონასტერს არ დაუბრუნდება მისი საკუთრება, ვერც მე შემიძლია განუმება დ ამ შემთხვევისათვის ვიტოვებ მოქმედებათა თავისუფლებას.

თქვენთვის უცნობი არ არის წმინდა წყლის ქართლური

დიდი მოთმინება და მოკრძალება, არასოდეს ამ ენითა და კილოთი არ მილაპარაკნია თქვეთან. მაგრამ ამ ქვეყნად ყველაფერს საზღვარი აქვს: უკანასკნელი საქციელით თქვენ შარაზე დასვით ქართული ეკლესიის ყოფნა-არყოფნის საკითხი და ასეთ შემთხვევაში ჩემი გაჩუმება იქნებოდა ღალატი, ურომლისოდაც ერთ წამსაც არ მსურს სიცოცხლე.

თქვენგან უსამართლოდ უფლებააყრილი, შეურაცხყოფილი კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე“.

ბატონმა ნოე ჟორდანიამ არც ამ წერილს გაუწია არავითარი ანგარიში და მაშინ, კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე საკათოლიკოსო საბჭოს და მცხეთა-თბილის-ურბნისის საეპარქიო დელეგატთა თანხლებით თვით გაემართა მთავრობის თავმჯდომარესთან.

ამ დარბაზობის დროს ადგილი ჰქონდა ასეთ დიალოგს, რომელიც ჩვენ სტენოგრაფიული სისწორით მოგვყავს:

მისი უწმინდესობა: ბატონო ნოე ნიკოლოზის ძე!

თქვენს წინ დგანან საქართველოს თავისუფალი და დამოუკიდებელი ეკლესიის თავი, ამ ეკლესიის მუდმივი საღმრთო კრების წევრები და ამ სამი დღის წინედ დასრულებული მცხეთა-თბილისი-ურბნისის საეპარქიო კრების დელეგატთა წარმომადგენლები. ამ შემადგენლობით მოვედით თქვენთან იმ მიზნით, რომ განვიმეოროთ, ჩემდა, საეკლესიო უზენაესი ორგანოს და ქუთაისის მღვდელმთავრის დაუკითხავად თქვენს რწმუნებულს გადაუზიდია გელათიდან ქუთაისის ხაზინაში, ვითომდა დასაცველად, ჯვრები, ხატები, წმინდა ნაწილები და სხვა. 25 ნოემბერს ტელეფონოგრამით გთხოვთ განკარგულება ნივთების უკანვე დაბრუნებისათვის, თქვენ აღმითქვით დამაკამყოფილებელი პასუხის მოცემა რწმუნებულის დაბრუნების შემდეგ. მაგრამ მე ასეთი არ მიმიღია, თუმცა თქვენი რწმუნებული დიდი ხანია დაბრუნდა თბილისში. ამის გამო მე გიცხადებთ უღრმეს გულისწყრომას და უსასტიკეს გააკიცხვას.

მთავრობის თავმჯდომარე: მე ვსწყევტ ამ სხდომას, ამ კილოთი ლაპარაკს და გულისწყრომას მე, როგორც მთავრობის თავმ-

ჯდომარე ვერ მოვისმენ. ამას მე ვაუწყებ მთავრობას.

მისი უწმინდესობა: ჩვენ სწორედ იმისათვის მოვედით, რომ დამოუკიდებელი ეკლესიის სახელით მოგვეთხოვა თქვენი რწმუნებულის მიერ გელათის მონასტრიდან წაღებული ნივთების უკან დაბრუნება.

მთავრობის თავმჯდომარე: საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელი და თავისუფალი არ არის, ის ჯერ სახელმწიფოსაგან გამოუყოფელია, ვერც შევქმნით სახელმწიფოს სახელმწიფოში. რაც შეეხება საეკლესიო ნივთებს, ისინი შეადგენენ სახელმწიფოს საკუთრებას და სახელმწიფოს საქმეა, სად შეინახავს მათ... უნდა იცოდეთ, ვისთან მიდიხართ...

მისი უწმინდესობა: თქვენ უფლება გაქვთ, ციხეშიდაც ჩამსვათ, მე ვასრულებ ჩემს საღრმითო მოვალეობას, ჩვენ მხოლოდ ის გვინდოდა გაგვევო, რომ საეკლესიო ნივთებს თქვენ სთვლით სახელმწიფო საკუთრებად... მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

მთავრობის თავმჯდომარე: კარგად ბრძანდებოდეთ!⁶

ყოველივე ამის შემდეგ მთავრობამ ქუთაისში გაგზავნა საგანგებო რწმუნებული, რომელთაც დაავალა დაუყოვნებლივ ჩამოიტანონ თბილისში გელათის და ჯრუჭის მონასტერთა მთელი განძეულობა.

როგორც კი, საზოგადოებაში ხმა გავრცელდა ამ აღმაშფოთებელი ამბავის შესახებ, კათოლიკოს-პატრიარქი ინახულეს მრავალმა საზოგადო მოღვაწეთ და აღშფოთება განუცხადეს მას მთავრობის მოქმედების გამო.

„ეკლესიას ყველაფერი ჩამოართვეს, რაც რუსეთის სასულიერო მთავრობამ დააკლო ჩვენს უბედურ ეკლესიას, ის საერო მთავრობამ შეუხსრულა, ფეხქვეშ გაათელეს ნაამაგარი ქართველი ერისა და კულტურის აღმზრდელი დედა ეკლესია“ – წერდა დანანებით დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე. ასეთი რთული ურთიერთობის მიუხედავად როდესაც ბოლშევიკური საოკუპაციო ჯარები მოუახლოვდნენ დედაქალაქს ეკლესია და მისი მეთაური

⁶ საქართველოს ეკლესიის კალენდარი. 2009, გვ. 102-103.

უყოყმანოდ დადგა ხელისუფლების მხარეზე ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე.⁷

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ეკლესიას ფაქტიურად უნდობლობა გამოუცხადა და რელიგიის შესახებ მიღებული კანონით იგი გაუთანაბრა საქართველოს მომქმედ სხვადასხვა კონფესიების „ხელისუფლების ძირითადი მიზანი იყო, საქართველოს ეკლესიის იზოლაცია სახელმწიფო პოლიტიკისაგან, რადგან მან კარგად უწყობდა ეკლესიის დიდი ისტორიული ავტორიტეტი ქართველ მოსახლეობაში, რომლის ძირითადი ნაწილი ეკლესიასთან ერთად, სახელმწიფოში გატარებული რეფორმის წინააღმდეგი შეიძლება გამოსულიყო“. ერთადერთი დადებითი, რაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გააკეთა, ეს იყო 1920 წლის 17 თებერვლის მთავრობის დადგენილება კავკასიის სინოდალური კანტორის გაუქმების შესახებ, ხოლო 7 აგვისტოს დადგენილებით რუსული, ბერძნული და ოსური სამრევლოები დაექვემდებარა საქართველოს ეკლესიას. ამით დასრულდა სამწლიანი გაურკვეველობა, ურთიერთდაპირისპირება და ინტრიგები, რომელსაც მიმართავდა რუსეთის სინოდი საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ, როცა მათ დაარსეს ამიერკავკასიის საეგზარქოსო და მასში გააერთიანეს არაქართული მრევლი. ისინი ედავებოდნენ საქართველოს საკათალიკოსოს ქონებას, ეკლესია-მონასტრებს. მართალია ოფიციალურად 1920 წლიდან ისინი იძულებულნი გახდნენ, დამორჩილებოდნენ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, მაგრამ 1921 წლის თებერვლის შემდეგ, როცა საქართველო კვლავ რუსეთის საოკუპაციო ჯარებით აივსო, რუსული სამრევლოები კვლავ დაუპირისპირდნენ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს და აღარ ემორჩილებოდნენ მას. რა თქმა უნდა, მათ უკან ისევ რუსეთის ეკლესია იდგა. 1921 წლის 11-12 თებერვალს ვითომც „აჯანყებული მშრომელების“ დასახმარე-

⁷ მოქალაქე მღვდლის დღიურიდან. თბილისი, 2013, გვ. 48.

ბლად საქართველოს საზღვრები გადმოლახა ბოლშევიკური რუსეთის XI არმიამ. საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას საფრთხე შეექმნა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სამშობლოს დამოუკიდებლობის სადარაჯოზე დადგა. 1921 წლის 21 თებერვალს თბილისში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელმაც იმსჯელა შექმნილ ვითარებაზე და სპეციალური წერილით მიმართა მცხეთა-თბილისის, ურბნისის, ქუთაის-გაენათის, ჭყონდიდისა და ცხუმ-ბედიის ეპარქიებს: „1. ეკლესიებში დაუყოვნებლივ გადახდით იქნას პარაკლისები მტრებისაგან საქართველოს განთავისუფლებისათვის; 2. ეკლესიებში წინამძღვრების მიერ განმარტებულ იქნას დღევანდელი ომის მნიშვნელობა; 3. სამრევლო საბჭოების მიერ გადაღებულ იქნას ეკლესიის ქონებისგან შეწირულებანი ომისაგან გამოსწვეულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად; 4. მათ მიერ მიღებულ იქნას ზომები ტაძართა განძეულობისა და სიწმინდეთა დასაცავად; 5. იმავე საჭიროებისათვის წირვალოცვის დროს შეკრებილ იქნას ნებაყოფილობითი შეწირულობა; 6. კრებულის წევრთა მიერ მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები ჯარში გაწვეულთა ოჯახების სულიერ მოთხოვნილებათა დაუყოვნებლივ დასაკმაყოფილებლად.⁸ საკათალიკოზო საბჭოს წერილით მიმართა უწმიდესმა ლეონიდმა 1921 წლის 22 თებერვალს, სადაც უნდა ემსჯელათ შემდეგ საკითხებზე: 1. სად და როგორ იქნას დაცული ომისაგან მოსალოდნელ საშიშროებისაგან სოფლებისა და ქალაქის ეკლესიების განძეულობა და სიწმინდე? 2. სად იქნას დაცული საკათალიკოზო საბჭოს ქონება და არქივი? 3. როგორ შეიცვალოს ეკლესიის მართვა-გამგეობის წესები ამ შიშინობის ჟამს? 4. როგორ მოვიქცე პირადად მე, ვინიცობაა ჩვენმა მთავრობამ მოახდინოს ქალაქის ევაკუაცია? 5. რა ზომების მიღებაა საჭირო საკათალიკოზოში ომისაგან შექმნილი არაჩვეულებრივი პირობებ-

⁸ სერგო ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წწ. თბილისი, 2001, გვ. 44.

ის გამო“.⁹ საქართველოს ეკლესიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის საკითხს, როცა მთავრობამ მიიღო თბილისის დატოვების გადაწყვეტილება, სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭომ მიიღო დადგენილება, საეკლესიო განძეულობის, ძვირფასი ხატების თბილისის ეკლესია-მონასტრებიდან გამოტანისა და ქუთაისში ევაკუაციის შესახებ. ამავე დროს მან თხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, გამოეყო დაცვა რკინიგზაზე განძეულობის უსაფრთხოდ გადატანისათვის. საკათალიკოზო საბჭოს სპეციალური რწმუნებით აღიჭურვა ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე) და არქიმანდრიტი პავლე (ჯაფარიძე), რომელნიც პასუხს აგებდნენ განძის უსაფრთხოებაზე. უწმენდისმა ლეონიძმა ასეთი წერილით მიმართა დიმიტრი ლაზარაშვილს: „მამო დიმიტრი, მთავრობა მზად არის მოგვცეს მცველები და გადავიტანოთ რკინიგზით ჩვენი განძეულობა ქუთაისში. თუ ჩვენ ყველა ამას მივიტანთ ვაგზლამდე. აბა დატრიალდი იშოვე რამდენიმე ურემი და ჩააბარე რკინიგზაზე. რაც შეიძლება ჩქარა“.¹⁰ 24 თებერვალს უწმიდესმა და უნეტარესმა ლეონიძემც დატოვა თბილისი და ქუთაისში წავიდა, ხოლო საკათალიკოზო საბჭოს დროებითი თავმჯდომარის მოვალეობას დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე ასრულებდა. როცა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ემიგრაციაში წასვლის და ამავე დროს საქართველოს ეროვნული სიწმინდეების, განძის წადების შესახებ, ეს იყო თავზარდამცემი სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქ ლეონიდისათვის. საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში გაემგზავრა 11 მარტს, განძეულობით დატვირთული კრეისერი „ერნესტ რენანი“ ბათუმიდან გავიდა. საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდი 13 აპრილს თბილისში დაბრუნდა... აღარც დამოუკიდებელი სახ-

⁹ სერგო ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წწ. თბილისი, 2001, გვ. 45.

¹⁰ სერგო ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წწ. თბილისი, 2001, გვ. 45.

ელმწიფო, აღარც საეკლესიო სიწმინდენი, პატრიარქი თითქოს უცხო ქალაქში დაბრუნდა. გაპარტახებული ქუჩები, დაღვრემილ-გატანჯული ქართველობა და გახარებული უცხო ტომეღნნი. ასეთი გამხდარიყო ქართველთა დედაქალაქი... „ახალმა ხელისუფლებამ პირველი სიურპრიზი დაახვედრა მას. საპატრიარქოს ჩამოართვა ერთადერთი ავტომობილი... წინ კიდევ ბევრი უსიამოვნებანი იყო მოსალოდნელი“.¹¹

¹¹ სერგო ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წწ. თბილისი, 2001, გვ. 45.

ვახტანგ გურული – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

მოწამებრივი ცხოვრების დასასრული (ილია ჭავჭავაძის მკვლელობა)

ას წელზე მეტი გავიდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან. საუკუნის მკვლელობის ისტორიაში ბევრი რამ დღესაც ბურუსითაა მოცული. ეს მრავალი მიზეზითაა განპირობებული. 1907 წლის 30 აგვისტოდან ილიას მკვლელობის თაობაზე ხუთი ვერსია შეიქმნა, რომელთაგანაც ჭეშმარიტი მხოლოდ ერთი იყო. მოკლედ მიმოვიხილოთ ეს ვერსიები.

პირველი ვერსია – მკვლელობა ძარცვის მიზნით. ეს ვერსია შემთხვევით არ შეიქმნილა, მას წინასწარ ამზადებდა ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც ილიას მკვლელობა ჰქონდა განზრახული.

1907 წლის 7 ივნისს საგურამოში, ილიას მამულში, ყაჩაღური თავდასხმის დროს მოკლეს ილიას მოურავი **მოსე მემარნიშვილი**, მისი მეუღლე კი სასიკვდილოდ დაჭრეს (როგორც ჩანს, ყაჩაღებს ისიც მკვდარი ეგონათ). როგორც მოურავის, ისე ილიას სახლშიც, ვითომდა ფულისა და ძვირფასი ნივთების ძებნის მიზნით, ყაჩაღებმა ყველაფერი გადაქექეს, წაიღეს კიდევ ზოგიერთი ნივთი. **მოსე მემარნიშვილისა და მისი მეუღლის დახოცვა არ იყო მკვლელობა ძარცვის მიზნით.** ამ მოვლენის ლოგიკური გაგრძელება უნდა ყოფილიყო ილიას მკვლელობა, ვითომდა, ძარცვის მიზნით, ხოლო **ორგანიზატორი ვარაუდობდა, რომ ორივე მკვლელობა (მოსე მემარნიშვილისა და ილია ჭავჭავაძისა) ერთმანეთს დაუკავშირდებოდა და ძარცვის მიზნით ჩადენილ დანაშაულად შეირაცხებოდა.** როგორც 1907 წლის 7 ივნისს საგურამოში მოსე მემარნიშვილის საცხოვრებლის, ისევე ილიას სახლის გაძარცვა, 30 აგვისტოს წიწამურთან მოკლული

ილიასა და მიმედ დაჭრილი მისი მეუღლის გაძარცვა, სიმუღირებული იყო და ხელისუფლების, საზოგადოებისა და გამოძიების შეცდომაში შეყვანას ისახავდა მიზნად. მავანმა და მავანმა იქნებ დაიჯერა კიდევ, რომ ილია ძარცვის მიზნით მოკლეს, მაგრამ კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციას ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ ძარცვა სიმუღირებული იყო. 1907 წლის 1 სექტემბერს, ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით, პეტერბურგში, სახელმწიფო კანცელარიაში, გაგზავნილ ტელეგრამაში თბილისის სამხედრო გუბერნატორი აღნიშნავდა: „ძარცვა სიმუღირებულია“ („грабеж симулирован“).¹ ცხადია, თბილისის სამხედრო გუბერნატორი კომპეტენტური ორგანოების დასკვნას ვერდნობოდა. კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციას, პირადად მეფისნაცვალს, თბილისის სამხედრო გუბერნატორს და სხვა თანამდებობის პირებს ხელს აძლევდათ ძარცვის მიზნით მკვლელობის ვერსია. ძარცვის შემთხვევაში მათ ნაკლები პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ, ვიდრე პოლიტიკური მკვლელობისას. მიუხედავად ამისა, თავდაპირველად კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციამ მისთვის ხელსაყრელ, მაგრამ უსუსურ ვერსიას მხარი არ დაუჭირა – ძარცვის მიზნით მკვლელობის ვერსია გამორიცხა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ძარცვის მიზნით ილიას მკვლელობის ვერსიის წინააღმდეგ მეტყველებდა შემდეგი გარემოება. რა სიმდიდრე (ფული და ძვირფასი ნივთები) უნდა ჰქონოდათ ილიასა და მის მეუღლეს ეტლში? უფრო მეტი ქონების ხელში ჩაგდება ყაჩაღებს შეეძლოთ, თუ ისინი ილიას არყოფნის დროს დაესხმოდნენ მის სახლს თბილისში ან საგურამოში. იმხანად ილიას სახლებს რაიმე განსაკუთრებული დაცვა არ ჰყავდა მიჩენილი და ყაჩაღებს ხელს ვერავინ შეუშლიდა ისევე, როგორც ვერავინ შეუშალა ხელი 1907 წლის 7 ივნისს.

ბუნებრივად ისმის კითხვა: თუ ყაჩაღებს ილიას მკვლელობის გარეშე, გაცილებით უფრო ნაკლები რისკის ფასად, უფრო

¹ პაატა გუგუშვილი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. საგამომიებლო მასალები. თბილისი, 1938, გვ. 42.

მეტი ფულის შოვნა შეეძლოთ, ვიდრე იშოვეს დიდ რისკთან დაკავშირებული ილიას მკვლევლობით, მაშ, რატომღა მოკლეს ილია? ყანადები არც ისე სულელები იყვნენ, რომ არ სცოდნოდნათ: ილიას სახლის გაძარცვა თბილისში ან საგურამოში მათ უფრო ადვილად შერჩებოდათ, ვიდრე დღისით, მზისით ილიას მოკვლა.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: ვერსია ილია ჭავჭავაძის ძარცვის მიზნით მკვლევლობის თაობაზე სრულიად უსაფუძვლოა.

მეორე ვერსია – მკვლევლობა აგრარულ ნიადაგზე. ეს ვერსია იმავე პოლიტიკურმა ძალამ შეთხზა, რომელმაც შეთხზა ვერსია ძარცვის მიზნით მკვლევლობის თაობაზე. მიზანიც იგივე იყო: ხელისუფლების, საზოგადოებისა და გამოძიების შეცდომაში შეყვანა.

გლეხების მიერ მემამულეების მკვლევობებმა და მათი მამულეების დარბევებმა მასობრივი ხასიათი შეიძინა 1905 წლის გაზაფხულიდან და გრძელდებოდა მთელი ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში. მალე გლეხთა „წითელი რაზმების“ თარეშს მემამულეებმა „შავი რაზმების“ შექმნით უპასუხეს. ბევრმა მემამულემ ჩრდილო კავკასიელი მთიელები დაიქირავა და ტერორისტთა თვითნებობა ალაგმა. ხელისუფლებაც სათანადოდ დაეხმარა მემამულეებს. ბევრ სოფელში პოლიცია და ჯარიც კი ჩააყენეს. პოლიცია იცავდა საგურამოში ილია ჭავჭავაძისა და სხვა მემამულეების სახლებს. 1905-1906 წლებში ხელისუფლებამ დამსჯელი ექსპედიციები აამოქმედა. სამხედრო ტრიბუნალებმა მემამულეთა მკვლევლობის მონაწილე ბევრი გლეხი სიკვდილით დასაჯეს, გლეხების ნაწილი ციხეებში გამოკეტეს და შემდეგ ციმბირში გადაასახლეს. 1906 წლის მიწურულისათვის ხელისუფლებამ თითქმის სრულიად აღადგინა კონტროლი სასოფლო რაიონებზე, ამოქმედდა სოფლის ადმინისტრაცია. მემამულეთა მკვლევლობაში ბრალდებული გლეხები, რომლებიც ხელისუფლების მსჯავრს გადაურჩნენ, სოფლებიდან გაიქცნენ (მათმა ნაწილმა თავი ირანს შეაფარა). 1907 წელს, მით უფრო წლის მეორე ნახევარში, აგრარულ ნიადაგზე მემამულის მკვლევობები

ძალზე იშვიათი იყო. 1907 წლისათვის ილიამაც გლეხებთან ძველი, ტრადიციული ურთიერთობა აღადგინა. 1907 წელს ილიასა და გლეხებს შორის ურთიერთობა სერიოზულად არ დაძაბულა, რადგან ამის მიზეზი არ არსებობდა. მუქარის წერილები, რომლებსაც ილია თითქოსდა გლეხებისაგან იღებდა, სინამდვილეში გლეხებს არ ეკუთვნოდა და იმ პოლიტიკური ძალის მიერ იყო შეთხზული, რომელიც ილიას მკვლელობას გეგმავდა. ხმები იმის შესახებ, რომ ილიას მალე მოკლავდნენ, ასევე ხემოსხსენებული პოლიტიკური ძალის მიერ იყო გავრცელებული.

ბუნებრივად ისმის კითხვა: **თუ ილია გლეხებმა არ მოკლეს 1905-1906 წლებში, როცა ბევრი მემამულე გამოასალმეს სიცოცხლეს და როცა მემამულის მკვლელობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რატომ ჩაიდინეს ეს 1907 წლის აგვისტოში, როცა მემამულეთა მკვლელობები უკვე წარსულს ჩაბარდა და მკვლელებს სასჯელისაგან თავის დახსნის არანაირი შანსი არ ჰქონდათ?** 1905-1906 წლებში მემამულის მკვლელობას მიზეზი არ უნდოდა, კლავდნენ იმიტომ, რომ მემამულე იყო. მთელი გლეხობა აფექტის მდგომარეობაში იყოფებოდა. 1907 წლის ზაფხულისათვის ვითარება კარდინალურად იყო შეცვლილი. გლეხობა დარბეული, წელში გატეხილი და, რაც მთავარია, დაშინებული იყო. საგურამოში გლეხების მიერ ილიას მკვლელობის ორგანიზება ძნელად სავარაუდოა.

გარდა ამისა, ყურადსაღებია კიდევ ერთი გარემოება. ილიას რომ გლეხობის შიში ჰქონოდა, მას შეეძლო საგანგებო დაცვის თანხლებით ემგზავრა და მისი სახლებიც საიმედოდ ყოფილიყო დაცული. რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრს დაცვის მოთხოვნის უფლება ჰქონდა. მით უმეტეს, რომ თბილისსა და დუშეთის მაზრაში სამხედრო მდგომარეობა ვრცელდებოდა. **ილიას დაცვის აყვანა აზრადაც არ მოსვლია, რადგან მას ვერც კი წარმოედგინა, რომ გლეხები გზად ჩაუსაფრდებოდნენ და მოკლავდნენ.** იმხანად გლეხები ილიას კი არა, თავისი სისასტიკით ცნობილ მემამულეებსაც კი ველარაფერს აკლებდნენ. თბილისის სამხედრო გუბერნატორი ილიას მკვლელობის მიზეზად გლეხობის აღშფოთებას კი არ ასახელებდა, არამედ მი-

ინწევდა, რომ გლეხები სოციალ-დემოკრატებმა წააქეხეს. 1907 წლის 1 სექტემბერს ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით პეტერბურგში, სახელმწიფო კანცელარიაში, გაგზავნილ ტელეგრამაში თბილისის სამხედრო გუბერნატორი აღნიშნავდა: „предполагается, что князь убит местными крестьянами подстрекательству социал-демократов“².

აქვე გვინდა გავიმეოროთ ზემოთქმული: კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციას ხელს აძლევდა აგრარულ ნიადაგზე მკვლელობის ვერსია (ისევე, როგორც ვერსია ძარცვის მიზნით მკვლელობისა). ამ შემთხვევაშიც პასუხისმგებლობა გაცილებით უფრო ნაკლები იქნებოდა, ვიდრე პოლიტიკური მოტივით მკვლელობის შემთხვევაში.

ამრიგად, აგრარულ ნიადაგზე ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ვერსია უსაფუძვლოა.

მესამე ვერსია – მკვლელობა სომეხი ნაციონალისტების დაკვეთით. სომეხი ნაციონალისტების დაკვეთით მკვლელობის ვერსია, ანუ ვერსია ეროვნული შუღლის ნიადაგზე მკვლელობის თაობაზე იმავე პოლიტიკურმა ძალამ შეთხზა, რომელმაც შეთხზა პირველი და მეორე ვერსიები – მკვლელობა ძარცვის მიზნით და მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე. მიზანიც იგივე იყო: ხელისუფლების, საზოგადოებისა და ძიების შეცდომაში შეყვანა.

ცნობილია, თუ რაოდენ დიდი აღშფოთება მოჰყვა სომეხ ნაციონალისტთა შორის ილიას „ქვათა ღაღადს“ (1899 წ.). **ილიას მკვლელობის სომხური ვერსიის შემთხვევლი სწორედ ამ ფაქტით სპეკულირებდა.** ილიას მკვლელობის სომხური ვერსიით გამოძიების შეცდომაში შეყვანა მკვლელობის მონაწილის, ილიას მეეტლის, თედო ლაბაურის, საშუალებით სცადეს. 1907 წლის 3 სექტემბერს მიცემულ ჩვენებაში თედო ლაბაურმა, მიღებული მითითების თანახმად, განაცხადა, მკვლელები სომეხები იყვნენო

² **პაატა გუგუშვილი.** ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. საგამომძიებლო მასალები. თბილისი, 1938, გვ. 41-42.

³ **პაატა გუგუშვილი.** ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. საგამომძიებლო მასალები. თბილისი, 1938, გვ. 48.

(„По виду мне показалось, что эти были армяне”)³ მეტი დამაჯერებლობისათვის თედო ლაბაურმა აღნიშნა: მკვლელები რუსულად ლაპარაკობდნენ, ოღონდ სომხური აქცენტით: „Мне слышалось, что эти люди говорили с таким акцентом, которым говорят по-русски армяне”.⁴ მეორე დაკითხვისას, 1907 წლის 16 ნოემბერს, თედო ლაბაურმა თვითონვე უარყო ადრე მიცემული ჩვენება და განაცხადა: მკვლელები ქართველები იყვნენო.⁵ ხმები სომეხი ტერორისტების მიერ ილიას მკვლელობის თაობაზე მხოლოდ თედო ლაბაურის ჩვენებიდან არ იღებდა სათავეს. ეს უკანასკნელი ვერსია სხვა წყაროებიდანაც ვრცელდებოდა. სომეხი ნაციონალისტების მიერ ილიას მკვლელობის ვერსია სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნია ვაჟა-ფშაველამ და ხაღხუაძემ, არ აპყობდნენ პროვოკატორებს.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სომხური ვერსიაც სრულიად უსაფუძვლოდ უნდა მივიჩნიოთ.

შეთხე ვერსია – მკვლელობა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით. რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით მკვლელობის ვერსია, ანუ პოლიტიკური მკვლელობის ვერსია იმავე პოლიტიკურმა ძალამ შეთხზა, რომელმაც შეთხზა პირველი, მეორე და მესამე ვერსია (მკვლელობა ძარცვის მიზნით, მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე, მკვლელობა სომეხი ნაციონალისტების მიერ). ამ ვერსიის მიზანს შეადგენდა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების კომპრომეტაცია, ხელისუფლებისა და საზოგადოების დაპირისპირება. ვერსიამ რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ ილიას მკვლელობის თაობაზე მეორე სიცოცხლე შეიძინა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში. გაბატონდა შეხედულება იმის თაობაზე, რომ „ილია ჭავჭავაძე მოკლეს ცარიზმის მიერ მოსყიდულმა აგენტებმა”. საბჭოთა ისტორიოგრაფია ილიას მკვლელობის მიზეზად ასახელებ-

⁴ პაატა გუგუშვილი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. საგამომიებლო მასალები. თბილისი, 1938, გვ. 48.

⁵ პაატა გუგუშვილი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. საგამომიებლო მასალები. თბილისი, 1938, გვ. 71-73.

და: რუსეთის სახელმწიფო საბჭოში ილიას ბრძოლას ქართველი ხალხის ინტერესების დასაცავად, გამოსვლას სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლას. მოკლედ შევეხთ ამ საკითხებს.

ილია რომ რუსეთის სახელმწიფო საბჭოში ქართველი ერის ინტერესებს იცავდა, ეს საყოველთაოდაა ცნობილი. **სახელმწიფო საბჭოში თავისი მოღვაწეობის მანძილზე ილიას ისეთი არაფერი უთქვამს ან გაუკეთებია, რომ ხელისუფლებას იგი მიუღებლად და, მით უმეტეს, საშიშად მიეჩნია.** ილია ტიპური ლიბერალ-დემოკრატი იყო, მისთვის უცხო იყო ყოველივე რადიკალური და ექსტრემისტული. სახელმწიფო საბჭოში ილიას გამოსვლები სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიმუშს წარმოადგენდა. ამ გამოსვლებს ხელისუფლების მხრიდან რაიმე პროტესტი არასოდეს მოჰყოლია. წლების მანძილზე გრძელდება ის გაუგებრობა რომელიც წარმოიშვა სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით ვითომდა ილიას გამოსვლის თაობაზე. იმხანად უამრავი რუსი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, იურისტი ითხოვდა სიკვდილით დასჯის გაუქმებას. საქმე ეხებოდა არა საერთოდ სიკვდილით დასჯის გაუქმებას (რაც გათვალისწინებული იყო რუსეთის იმპერიის კანონმდებლობით), არამედ ხელისუფლების მიერ რევოლუციის პერიოდში დროებით შემოღებული სიკვდილით დასჯის საგანგებო (განსაკუთრებული) წესის გაუქმებას, ანუ სამხედრო ტრიბუნალებისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის უფლების ჩამორთმევას. ილია იზიარებდა გამოჩენილი რუსი პოლიტიკოსებისა და იურისტების აზრს და ემზადებოდა კიდევ ამ საკითხზე სახელმწიფო საბჭოში გამოსვლისათვის. მიუხედავად ამისა, **ილია სიკვდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნით სახელმწიფო საბჭოში არ გამოსულა და რომც გამოსულიყო, ამაში ხელისუფლებებისათვის საშიში არაფერი იქნებოდა** (სამხედრო ტრიბუნალების მოქმედება შემდგომში მართლაც შეჩერებულ იქნა). რუსეთის იმპერიის ხელისუფლებისათვის ჯერ კიდევ 1905 წლისათვის კარგად იყო ცნობილი ილიას დამოკიდებულება საქართველოს ავ-

ტონომიის იდეისადმი. საქართველოს ავტონომიის ილიასეული იდეა რომ რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას საშიშად მიეჩნია, მაშინ ილიას 1906 წელს სახელმწიფო საბჭოს წევრად არ აირჩევდნენ და საქმესაც არ გაართულებდნენ. **ილია ჭავჭავაძეს რუსეთის სახელმწიფო საბჭოში საქართველოს ავტონომიის საკითხი ოფიციალურად არ დაუყენებია, და რომც დაეყენებინა, ეს არ შეიძლებოდა გამხდარიყო სახელმწიფო საბჭოს წევრის მკვლელობის საფუძველი.**

და ბოლოს, რუსეთის იმპერიაში პოლიტიკური მოტივით სახელმწიფო საბჭოს წევრის მკვლელობა ყოველად წარმოუდგენელი იყო. ხელისუფლებისათვის არასასურველი მოღვაწე ადვილად შეიძლებოდა გამხდარიყო სახელმწიფო სათათბიროს წევრი. ამის საშუალებას იძლეოდა საარჩევნო სისტემა. მაგრამ ხელისუფლებისათვის არასასურველი პოლიტიკოსი ვერასგზით ვერ გახდებოდა სახელმწიფო საბჭოს წევრი, ამას გამორიცხავდა საარჩევნო სისტემა. ამიტომ იყო, რომ ხელისუფლებისათვის მიუღებელი პოლიტიკური მოღვაწე არასოდეს ყოფილა რუსეთის სახელმწიფო საბჭოში.

ამრიგად, ვერსია რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

მესუთე ვერსია – სოციალ-დემოკრატების მიერ პოლიტიკური მოტივით ორგანიზებული მკვლელობა. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) ხელმძღვანელობამ (ვლადიმერ ლენინი, გრიგოლ ზინოვიევი და სხვ.), რომელიც იმხანად ემიგრაციაში (პარიზში, ჟენევაში) იმყოფებოდა. ტერორისტული აქტის განხორციელებისთვის საჭირო თანხაც საზღვარგარეთიდან შემოვიდა (საქართველოში არ მოუპოვებიათ), ქილერი ქართველი იყო. რსდმპ თბილისის კომიტეტს ილიას მკვლელობის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიუღია, კომიტეტის სხდომაზე ეს საკითხი არ განხილულა. ქართველ სოციალ-დემოკრატთაგან მკვლელობის ორგანიზებაში მონაწილეობდნენ ფილიპე მახარაძე

და სერგო ორჯონიკიძე. არც ერთი იმხანად რსდმპ თბილისის კომიტეტის წევრი არ ყოფილა, ისინი კომიტეტის დავალებით არ მოქმედებდნენ და არც ანგარიშს აბარებდნენ მას.

რსდმპ ხელმძღვანელობის მიერ ილიას მკვლელობა გულდასმით მომზადდა. ჩვენ მიერ ზემოსხენებული ოთხივე ვერსია (მკვლელობა ძარცვის მიზნით, მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე, მკვლელობა სომეხი ნაციონალისტების დაკვეთით, მკვლელობა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით) სოციალ-დემოკრატებმა შეთხზეს და ილიას მკვლელობის პირველივე დღიდან ავრცელებდნენ ხალხში. ილიას მკვლელობამდე დარხეული ხმები იმის შესახებ, რომ ილიას მალე მოკლავდნენ, ასევე ქართველმა სოციალ-დემოკრატების გეგმის ნაწილს წარმოადგენდა. ილიას მოურავი მოსე მემარნიშვილი და მისი მეუღლეც სოციალ-დემოკრატებმა დაახოცვინეს. გამოძიებისთვის გიგლა ბერბიჭაშვილის, თედო ლაბაურის და სხვათა მიერ მიცემული ჩვენებებიც მეტწილად სოციალ-დემოკრატების მიერ იყო ნაკარნახევი.

სოციალ-დემოკრატების მიერ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ეს ვერსია ოფიციალურად თბილისის დროებითმა სამხედრო გუბერნატორმა წამოაყენა 1907 წლის 1 სექტემბერს პეტერბურგში, სახელმწიფო კანცელარიაში, გაგზავნილ ტელეგრამაში. მასში ვკითხულობთ: „სავარაუდოა, რომ თავადი მოკლეს ადგილობრივმა გლეხებმა სოციალ-დემოკრატების წაქეზებით”. („предполагается, что князь убит местными крестьянами подстрекательству социал-демократов”).⁶ საზოგადოების ნაწილს ამის გარეშეც სჯეროდა, რომ ილიას მკვლელობის ორგანიზატორები სოციალ-დემოკრატები იყვნენ. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ილიას მკვლელობასთან არანაირი კავშირი, არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი, არ ჰქონია ორ ქართველ სოციალ-დემოკრატს – ნოე შორდანიასა და იოსებ ჯუღაშვილს (სტალინს).

⁶ პაატა გუგუშვილი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. საგამომცემლო მასალები. თბილისი, 1938, გვ. 41-42.

დღეს ჩვენს ხელთ არსებული მასალების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ:

1. 1905 წლის გაზაფხულზე ილიას წინააღმდეგ მიმართული ბინძური კამპანიის შედეგად სოციალ-დემოკრატებმა ჩათვალეს, რომ ილიას სახელი გაუტეხეს და იგი ხელს ვეღარ შეუშლიდა მათი გეგმების რეალიზებას. 1905 წელს ილიამ ლიბერალურ-დემოკრატიული ტიპის პარტიის შექმნა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. სოციალ-დემოკრატებმა ესეც თავიანთ გამარჯვებად მიიჩნიეს. რსდმპ ხელმძღვანელობა თვლიდა, რომ საქართველოში მათი ყველაზე ძლიერი და საშიში მოწინააღმდეგე უმნიშვნელო ძალად აქციეს.

2. 1906 წელს ილია რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს. რსდმპ ხელმძღვანელობისთვის ეს მოწმენდილ ცაზე მების გაგარდნის ტოლფასი იყო. ყველასათვის ცხადი იყო, რომ ილიას გარშემო თავს მოიყრიდა საქართველოს ავტონომიისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლი ძალები. ავტონომიაცა და ავტოკეფალიაც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა რსდმპ პროგრამას. საქართველოს ავტონომიის მოპოვებისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემთხვევაში დაიწყებოდა ეროვნული მოძრაობის მძლავრი აღმავლობა. არ იყო გამორიცხული, რომ ილია ამჯერად მოახერხებდა მთელი ქართველი ერის ინტერესების გამომხატველი ლიბერალურ-დემოკრატიული (ცენტრისტული) პარტიის შექმნას. ეს კი მინიმუმამდე დაიყვანდა საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში სოციალ-დემოკრატების გამარჯვების შანსს. ქართულ საზოგადოებრივ მოძრაობაში ეროვნულ ძალთა გაბატონებას რსდმპ ხელმძღვანელობა ვერასვხით ვერ დაუშვებდა. ილიას მკვლელობა ეროვნულ ძალთა დაქსაქსვისა და დასუსტების ერთადერთ საშუალებად იქნა მიჩნეული.

3. ილია შეიძლება მოეკლათ თბილისშიც და საგურამოშიც, მგზავრობისას თუ შინ მყოფი. ამისთვის ქილერის ერთი მარჯვე გასროლა იყო საკმარისი. ამ გზით მკვლელობა რსდმპ ხელმძღვანელობას ხელს არ აძლევდა. ილია უნდა მოე-

კლათ გლეხებს და თანაც ისე, რომ მკვლელობაში სოციალ-დემოკრატების კვალი დაფარულიყო. მკვლელები აუცილებლად ადგილობრივი, ილიას ნაცნობი გლეხები უნდა ყოფილიყვნენ. ილია გლეხებს უნდა მოეკლათ, როგორც მემამულე, როგორც გლეხების მზავრელი. ამით დაიფარებოდა პოლიტიკური მკვლელობა, მკვლელობა ეროვნული მოძრაობის წინამძღოლისა.

4. ილიას მკვლელობისათვის შერჩეული გლეხები: გიგლა ბერბიჭაშვილი, გიგოლა მოძღვრიშვილი, თედო ლაბაური, პავლე ფშავლიშვილი (აფციაური), გიორგი ხიზანიშვილი – მკვლელობაში იდეური მოსახრებით არ მონაწილეობდნენ, ისინი ილიას მოკვლას გარკვეული საფასურის მიღების სანაცვლოდ დასთანხმდნენ, ანუ ტიპური ტერორისტები იყვნენ. ტერორისტების იმედად მკვლელობის უშუალო ორგანიზატორი ვერ იქნებოდა. მათ შეიძლება ნებისმიერ მომენტში გადაეფიქრებინათ ილიაზე თავდასხმა (ასეთი შემთხვევა ბევრი იყო 1905-1907 წლებში). ილიას მკვლელობის დამკვეთსა და უშუალო ორგანიზატორს აუცილებლად სჭირდებოდათ საყოველთაოდ დადასტურებული ფაქტი, რომ ილიას ეტლი ადგილობრივმა გლეხებმა გააჩერეს. დანარჩენი მარტო მოქმედი პროფესიონალი ქილერის საქმე იყო. ეს ქილერი ჩასაფრებული იყო. მან ზუსტად იცოდა, გლეხები ილიას ეტლს სად გააჩერებდნენ. გლეხებმა ქილერის არსებობის შესახებ არაფერი იცოდნენ. გიგლა ბერბიჭაშვილის ჯგუფმა ილიას ეტლი გააჩერა. ილიას მცველის იაკობ ბითარიშვილის ეტლიდან გადახტომამ და ბუნქებში გაქცევამ ტერორისტები დააბნია და შეაშინა. იაკობს შეეძლო მოხერხებული საფრიდან შუა გზაზე მდგარი ტერორისტები ადვილად დაეხოცა. მთელი ყურადღება იაკობ ბითარიშვილზე იქნა გადატანილი. სწორედ ამ დროს გაჩერებული ეტლის უკან ჩასაფრებულმა მარტო მოქმედმა ქილერმა, ვიმეორებთ, მარტო მოქმედმა, ერთადერთი ტყვია გაისროლა. ილია სწორედ ამ ტყვიით არის მოკლული. გასროლის შემდეგ ქილერი შეუმჩნევლად გაეცალა იქაურობას. სწორედ ამიტომაც, რომ ილიას სხეულში ტყვია შევიდა **მარცხენა იდლის უკანა**

კიდესთან, ნეკნებს შორის, გაიარა გული და გამოვიდა მარჯვენა ძუძუს დვრილთან, ოდნავ შიგნით (მაცხენა ძუძუს დვრილისაკენ).⁷ ამიტომ, რომ მარცხენა იდლიის უკანა კიდეზე (ნეკნებს შორის) ტყვიამ დატოვა მცირე დიამეტრის ხვრელი (გამავალი ნეკა თითისათვის), ხოლო მკერდზე (მარჯვენა ძუძუს დვრილთან) – გაცილებით დიდი ზომის ხვრელი (ოვალური ფორმის, სამი სანტიმეტრის სიგრძისა).⁸ ცნობილია, რომ ტყვია სხეულში შესვლისას ტოვებს მცირე დიამეტრის ხვრელს, ხოლო სხეულიდან გამოსვლისას – გაცილებით დიდს. ილია ჭავჭავაძის გვამის დათვალიერების აქტის (1907 წლის 31 აგვისტო) შესწავლის შედეგად ექსპერტი ბ. კილასონია დაასკვნის: ილიას სხეულზე ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული „ჭრილობის არხის მიმართულებაა მარცხნიდან მარჯვნივ, უკნიდან წინ, ე. ი. ილიასათვის ტყვია ზურგიდან უსვრიათ“. 1907 წელს ჩატარებული ძიების მასალების მიხედვით, რომელიც დაადასტურა 1941 წელს ჩატარებული ძიებამაც, ილია მოკლული იქნა ეტლის წინ მდგარი ტერორისტების ჯგუფიდან გასროლილი ტყვიით. შეიძლება თედო ლაბაური და მკვლელობის სხვა მონაწილეები არც ცრუობდნენ, მათ, უბრალოდ, ვერც გაიგეს, ვის მიერ ნასროლმა ტყვიამ მოკლა ილია. ტერორისტებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ იმის თაობაზე, რომ იქვე ახლოს ქილერი იყო ჩასაფრებული.

5. ილიას მკვლელობის დამკვეთმა და მისმა უშუალო ხელმძღვანელმა მიზანს ნაწილობრივ მიაღწიეს – საზოგადოება და გამოძიება დააბნიეს. ილიას მკვლელობა ისე ვერაგულად იყო მომზადებული და განხორციელებული, რომ დღეს მავანს და მავანს კვლავ სჯერა, რომ ილია გლეხებმა აგრარულ ნიადაგზე მოკლეს. კვლავ შევხვდებით ადამიანებს, რომლებიც ამტკიცებ-

⁷ პაატა გუგუშვილი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. საგამომძიებლო მასალები. თბილისი, 1938, გვ. 38-39; გურამ შარაძე. ილია ჭავჭავაძე. 1837-1907. ცხოვრება. მოღვაწეობა. შემოქმედება. ფოტობიბლიანე. ორ წიგნად. წიგნი II. თბილისი, 1990, გვ. 321.

⁸ გურამ შარაძე. ილია ჭავჭავაძე. 1837-1907. ცხოვრება. მოღვაწეობა. შემოქმედება. ფოტობიბლიანე. ორ წიგნად. წიგნი II. თბილისი, 1990, გვ. 322-323.

ბენ, რომ ილია რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით მოიშორეს თავიდან.

ილიას მკვლელობის დამკვეთისა და მისი უშუალო აღმასრულებლის (ტერორისტებს არ ვგულისხმობთ) დადგენა ვერ შეძლო ორმა გამოძიებამ და ორმა სასამართლო პროცესმა. ვერც რუსეთის იმპერიისა და ვერც საბჭოთა მართლმსაჯულებამ ვერ გაბედა, სიმართლისათვის ბოლომდე აეხადათ ფარდა. ჭეშმარიტება მხოლოდ დმურთმა უწყის. მისი მსჯავრი უკვე კარგა ხანია აღსრულდა – ილიას მკვლელობის დამკვეთებსაც, მკვლელობის უშუალო ორგანიზატორებსაც და ტერორისტებსაც მიეზღოთ.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიება და სასამართლო პროცესი (1907-1909 წწ.). ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ძიება (1907-1909 წწ.) ვერ წარიმართა სათანადო დონეზე. ძიების უხარისხოდ ჩატარებამ გავლენა იქონია სასამართლო პროცესზე (1909 წ.) და, ცხადია, განაჩენზეც. ძიებამ და სასამართლომ ვერ მიაღწია უმთავრესს – ვერ გამოავლინა ილიას მკვლელობის დამკვეთი და ვერც მკვლელობის ორგანიზატორი. საუკუნის დანაშაულს არ მიეცა პოლიტიკური მკვლელობის კვალიფიკაცია. პასუხი ვერ გაეცა უამრავ კითხვას. დღეს, ილიას მკვლელობიდან ერთ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, ძალზე ძნელია, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელიც კი, გამოიკვლიო და დაადგინო ის, რაც უნდა გამოკვლეულიყო და დადგენილიყო მკვლელობიდან რამდენიმე კვირის, თუნდაც რამდენიმე თვის განმავლობაში.

ილიას მკვლელობის მასალების მოკვლევით დაკავებული იყო რამდენიმე უწყება: 1) რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტი და მისდამი დაქვემდებარებული თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველო, 2) რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უშიშროების განყოფილება (ოხრანკა) და მისდამი დაქვემდებარებული თბილისის ოხრანკა, 3) თბილისის პოლიცმაისტერის სამმართველო, 4) თბილისის დროებითი სამხედრო გუბერნატორი (იგივე გენერალ-გუბერნატორი) და მისდამი

დაქვემდებარებული დუშეთის მაზრის მმართველობა. უშუალოდ ძიებას აწარმოებდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამძებრო ნაწილი (უმნიშვნელოვანეს საქმეთა გამოძიებელი ილიაშენკო), თბილისის პოლიცმაისტერის სამძებრო ნაწილი (სამძებრო ნაწილის უფროსი ევტუშევსკი). ძიების პროცესზე ზედამხედველობას ახორციელებდა თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორი.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან ილიას მკვლელობის თაობაზე ყველაზე მეტ ინფორმაციას ფლობდა და ყველაზე კომპეტენტური იყო დუშეთის მაზრის უფროსი **ყარამან ფაღავა**. მან იცოდა ყველაფერი, რაც ხდებოდა საგურამოსა და მახლობელ სოფლებში. მაზრის უფროსს აგენტურის ფართო და კარგად ორგანიზებული ქსელი გააჩნდა, ინფორმატორები ჰყავდა მოსახლეობის ყველა ფენაში, განსაკუთრებით, გლეხობაში. ყარამან ფაღავამ კარგად იცოდა, თუ ვინ არხევდა ხმებს, რომლის მიხედვითაც ილიას მალე მოკლავდნენ, იცოდა ისიც, თუ ვინ ამზადებდა ილიას მკვლელობას. სწორედ ამიტომ იყო, რომ ილიას მკვლელობიდან ორი კვირის თავზე ყარამან ფაღავასთვის მკვლელობის ყველა მონაწილის ვინაობა იყო ცნობილი. მან დეტალურად იცოდა მკვლელობის მომზადებისა და განხორციელების მთელი ისტორია. გასაგები მიზეზის გამო ყარამან ფაღავას არ შეიძლებოდა რაიმე სცოდნოდა წინამურთან ჩასაფრებული და დამოუკიდებლად მოქმედი ქილერის შესახებ. ამიტომ იყო, რომ ყარამან ფაღავა ილიას იმ გლეხების მოკლულად მიიჩნევდა, რომელთაც ილიას ეტლი გააჩერეს. **რაც მთავარია, ყარამან ფაღავამ იცოდა, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა დაგეგმეს და განახორციელეს სოციალ-დემოკრატებმა, ე. ი. ეს იყო მკვლელობა პოლიტიკური მოტივით.** იმ ადამიანებს შორის, ვინც ილიას მკვლელობის ორგანიზებაში მონაწილეობას იღებდა, რსდმპ რამდენიმე წევრი იყო, რსდმპ წევრი იყო ასევე თავდამსხმელთაგან ორი. ყარამან ფაღავა კატეგორიულად გამორიცხავდა ყველა სხვა ზემოთ ჩამოთვლილ ვერსიას (მკვლელობა ძარცვის მიზნით, მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე, სომეხი ნაციონალისტების მიერ შეკვეთილი მკვლელობა).

ყარამან ფაღავას ილიას მკვლევლობის საქმის ძიების უფლება არ ჰქონდა, მას მხოლოდ მასალების მოპოვება შეეძლო. ყარამან ფაღავას ვერსია დამაჯერებლად ეჩვენა თბილისის გენერალ-გუბერნატორს. 1907 წლის 1 სექტემბერს თბილისის გენერალ-გუბერნატორმა ილია ჭავჭავაძის მკვლევლობასთან დაკავშირებით პეტერბურგში, სახელმწიფო კანცელარიაში, შემდეგი შინაარსის დეკემა გააგზავნა: 30 აგვისტოს დაახლოებით 12 საათზე დუშეთის მაზრის სოფელ საგურამოდან ოთხი ვერსის მოშორებით ოთხმა ბოროტმოქმედმა სროლის შედეგად მოკლა სახელმწიფო საბჭოს წევრი, თავადი ილია ჭავჭავაძე და მისი ლაქია, კონდახის დარტყმით თავი გაუტეხა (თავის არეში ჭრილობა მიაყენა) თავადის მეუღლეს, ყველანი (ილია ჭავჭავაძე, მისი მეუღლე და ლაქია) გაძარცვეს. მეტად საინტერესო იყო ტელეგრამის დასკვნითი ნაწილი: „სავარაუდოა, რომ თავადი მოკლეს ადგილობრივმა გლეხებმა სოციალ-დემოკრატების წაქეზებით, ძარცვა სიმულირებულია“.⁹ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გენერალ-გუბერნატორმა სახელმწიფო კანცელარიას ყარამან ფაღავას ვერსია აცნობა. ეს არც იყო მოულოდნელი. დუშეთის მაზრის უფროსი უშუალოდ გენერალ-გუბერნატორის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა და გუბერნატორიც ყველაზე მეტად თავის ხელქვეითს ენდობოდა. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ყარამან ფაღავამ მიზანს მიაღწია, – პეტერბურგს ილიას მკვლევლობის მისეული ვერსია აცნობა.

მაინც რა გამომდინარეობდა თბილისის გენერალ-გუბერნატორის 1907 წლის 1 სექტემბრის დეკეშიდან? 1. ილია ჭავჭავაძე მოკლეს სოციალ-დემოკრატების წაქეზებით, ე. ი. მკვლევლობის დამკვეთი იყო სოციალ-დემოკრატია, მაშასადამე, ეს იყო პოლიტიკური მკვლევლება; 2) სოციალ-დემოკრატებმა ილია ჭავჭავაძის მკვლევლება ადგილობრივი გლეხების ხელით განახორციელეს; 3) ილია ჭავჭავაძის, მისი მეუღლისა და ლაქიას გაძარცვა სიმუ-

⁹ პაატა გუგუშვილი. ილია ჭავჭავაძის მკვლევლება. საგამომძიებლო მასალები. თბილისი, 1938, გვ. 41-42.

ღირებული იყო, მაშასადამე, მკვლევლობა გლეხებს პარცვის მიზნით არ ჩაუდენიათ.

ყარამან ფაღავას მიერ ჩატარებული მოკვლევების შედეგად დადგინდა: 1) მკვლევლების (ტერორისტების) ვინაობა; 2) პიროვნებები, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ტერორისტებს; 3) პოლიტიკური ძალა, რომლის ნებითაც განხორციელდა ილიას მკვლელობა. ყარამან ფაღავამ ვერ დაადგინა და არც შეეძლო კონკრეტულად დაედგინა, სად გადაწყდა ილიას მკვლელობა და ვისი მითითებით მოქმედებდნენ თავდასხმის ორგანიზატორები, ანუ ვინ შეუკვეთა მკვლელობა. ეს უკვე ძიების საქმე იყო.

ყარამან ფაღავას მიერ მოკვლეულ მასალაზე დაყრდნობით გამოძიებულმა ილიაშენკომ მიადწია იმას, რომ თედო ლაბაური 1907 წლის 16 ნოემბერს იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ ილიას მკვლელობაში მონაწილეობდნენ: **გიგლა ბერბიჭაშვილი, გიგოლა მოძღვრიშვილი, პავლე ფშაველიშვილი (აფციაური) და ივანე (ვანო) ინაშვილი.**¹⁰ მკვლელობის დამკვეთისა და ორგანიზატორების შესახებ თედო ლაბაურს არ შეიძლება რამე სცოდნოდ. ამის თაობაზე გამოძიებას ინფორმაცია სხვა ეჭვმიტანილებისაგან უნდა მოეპოვებინა, თუმცა ეს არ მომხდარა.

1907 წლის დეკემბრიდან ილიას მკვლელობის ძიების საქმე ჩიხში შევიდა, უფრო ზუსტად, შეწყდა ყარამან ფაღავას ვერსიის (სოციალ-დემოკრატების მიერ შეკვეთილი მკვლელობის) დამუშავება. ამ ვერსიის ავტორი, დუშეთის მაზრის უფროსი, ყარამან ფაღავა, ჯერ მაზრის უფროსის თანაშემწედ ჩამოაქვეითეს, ხოლო შემდეგ საერთოდ მოაშორეს მაზრის მმართველობას. უფრო მეტიც, ყარამან ფაღავას დაუინებელი მოთხოვნით დაპატიმრებული ეჭვმიტანილები, რომელთა საშუალებითაც ძიებას ილიას მკვლელობის ორგანიზატორები (ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე) უნდა დაედგინა, პატიმრობიდან გაათავისუფლეს. გამოძიებას ხელში შერჩა ის აღამიანები, რომელთაც წარმოდგენაც არ ჰქონდათ არც მკვლელობის ორგანიზატორებზე და, მით უმეტეს, არც მკვლელობის

¹⁰ **პაატა გუგუშვილი.** ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. საგამომძიებლო მასალები. თბილისი, 1938, გვ. 71-73.

დამკვეთზე. ყოველივე ეს შემთხვევით არ მომხდარა.

რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრის მკვლელობა არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა. ეს მეტად უსიამოვნო ფაქტი იყო თვით კავკასიის მეფისნაცვლისთვისაც კი. რაც შეეხებათ თბილისის გენერალ-გუბერნატორს, თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსსა და თბილისის ოხრანკის უფროსს, ისინი თანამდებობრივად იყვნენ მოვალენი, დაეცვათ სახელმწიფო საბჭოს წევრი. ილიას მკვლელობის ვერსიებიდან კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაციას ყველაზე მეტად ხელს აძლევდა ვერსია – **მკვლელობა ძარცვის მიზნით**. უფრო ნაკლებად, მაგრამ მაინც მისაღები იყო ვერსია – **მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე**. ყველაზე არასასურველი იყო ვერსია – **სოციალ-დემოკრატების მიერ ორგანიზებული მკვლელობა ანუ პოლიტიკური მკვლელობა**. პოლიტიკური მკვლელობა სერიოზულად აყენებდა ეჭვქვეშ თბილისის გენერალ-გუბერნატორის უწყების, ჟანდარმერიისა და ოხრანკის კომპეტენტურობის საკითხს. რაც შეეხება მკვლელობას ძარცვის მიზნით, ან მკვლელობას აგრარულ ნიადაგზე, ეს კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაციას თავის მართლების მეტ შანსს უტოვებდა. ყაჩაღთა ბანდის მიერ ძარცვის მიზნით ან გლეხების მიერ აგრარულ ნიადაგზე განხორციელებული შემამულის მკვლელობა, ცხადია, არ აღიქმებოდა ისე მწვავედ, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრის პოლიტიკური ანგარიშსწორება.

ილიას მკვლელობის ორგანიზატორები (ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე) გრძობდნენ, რომ ძიებას შეეძლო, მათი ვინაობა დაედგინა. ცხადია, მათ არ შეიძლებოდა სცოდნოდათ, რომ გარკვეული მოსაზრებით ხელისუფლებამ თავად თქვა უარი სოციალ-დემოკრატების მიერ შეკვეთილი პოლიტიკური მკვლელობის ვერსიის დამუშავებაზე. ამიტომ იყო, რომ ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე, თავიანთი მხრიდან, ცდილობდნენ, კიდევ ერთხელ დაეზინათ გამოძიება. ასე გამოვიდა ასპარეზზე **ალექსანდრე გრეკოვი**.

1907 წლის 30 ნოემბერს ოზურგეთის სოფელ ნაგომრის მცხოვრებმა, სოციალ-დემოკრატებთან კავშირში მყოფმა ალექსანდრე გრეკოვმა თავისი ნებით მისცა შემდეგი შინაარ-

სის ჩვენება: 1907 წლის ზაფხულში გურიაში, სოფელ ბახვში, სოციალ-დემოკრატების კრებაზე გადაწყდა ილია ჭავჭავაძის მოკვლა. ტერორისტული აქტის განხორციელება დაევალოთ **ერმილე და კალისტრატე დოლიძეებს და ვინმე ბასილაშვილს.**¹¹ სოფელ ბახვში ჩატარებული კრების თაობაზე დაიწყო გამოძიება, თბილისიდან და საგურამოდან ყურადღება გადატანილ იქნა გურიაზე. შედეგი წინასწარვე იყო ცნობილი: 1908 წლის 19 აპრილს ალექსანდრე გრეგოვმა ჩვენება შეცვალა და განაცხადა: ბახვში არავითარი კრება არ ჩატარებულა, ყველაფერი მე მოვიგონეო.¹² **ბახვში კრება, მართლაც, არ გამართულა. სოციალ-დემოკრატებმა მიზანს მიაღწიეს: ძიება კვლავ აგრარულ ნიადაგზე მომხდარი მკვლელობის ვერსიის დამუშავებას დაუბრუნდა.**

კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლო ძიების მასალებს დაეყრდნო. ილია ჭავჭავაძის მკვლელობას პოლიტიკური მკვლელობის კვალიფიკაცია არ მიეცა. რა თქმა უნდა, არც მკვლელობის დამკვეთი და მისი ორგანიზატორები დაუდგენიათ. ისიც კი არ გამოურკვევიათ, უშუალოდ ვინ ხელმძღვანელობდა ტერორისტებს, ვინ ამზადებდა მათ ტერორისტული აქტისათვის, ვინ მისცა გლეხებს დაგალება, რომ 1907 წლის 30 აგვისტოს გზაზე უნდა დახვედროდნენ ილიას. გამომძიებელმა, მოსამართლემ და პროკურორმა თითქოს არ იცოდნენ, რომ ტერორისტული აქტი ხორციელდებოდა ასეთი სქემით: ტერორისტული აქტის დამკვეთი – ტერორისტული აქტის ორგანიზატორი – ტერორისტული აქტის უშუალო ხელმძღვანელი – ტერორისტები.

1909 წლის 10 აგვისტოს სასამართლომ **თედო ლაბაურს, გიორგი (ლომა) სიზანიშვილს და ივანე (ვანო) ინაშვილს** ჩამოსჩნობა მიუსაჯა. განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი 21 აგვისტოს.¹³ **გიგოლა მოძღვრიშვილი** ციხეში გარდაიცვალა.

¹¹ **პაატა გუგუშვილი.** ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. საგამომძიებლო მასალები. თბილისი, 1938, გვ. 80-82, 85-86.

¹² **პაატა გუგუშვილი.** ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. საგამომძიებლო მასალები. თბილისი, 1938, გვ. 80-82, 85-86.

¹³ **პაატა გუგუშვილი.** ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. საგამომძიებლო მასალები. თბილისი, 1938, გვ. 103-105.

პავლე ფშაველიშვილი (აფციაური) 1908 წლის 11 მაისს ციხიდან გაიქცა. ის 17 დეკემბერს პოლიციელებთან შეტაკებისას მოკლეს. **გიგლა ბერბიჭაშვილის** კვალს პოლიციამ ვერ მიაკვლია. ჩანს, ის სოციალ-დემოკრატებმა საიმედოდ გადაამალეს.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ძიება და სასამართლო (1907-1909 წწ) იყო არც თუ ისე კარგად დადგმული სპექტაკლი. 1907-1909 წლებში წინასწარ განზრახვით, მცდარი ვერსიით, წარმოებული გამოძიებითა და სასამართლოს მიერ იმავე მცდარი ვერსიის ჭეშმარიტებად აღიარებით პასუხგაუცემელი დარჩა ბევრი კითხვა. გამოძიებლებმა (ილიაშენკო, ვებტუშევსკი) მოწმეებს, ეჭმიტანილებსა და ბრალდებულებს არ დაუსვეს ისეთი კითხვები, რომლებიც ლოგიკურად გამომდინარეობდა მათ მიერ მიცემული ჩვენებებიდან. არ დაკითხულა რამდენიმე მნიშვნელოვანი მოწმე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს გამოძიებლები შიშობდნენ, **ფარდა არ ახლოდა სიმართლეს**. გამოძიებამ შეასრულა კავკასიის კოლონიური ადმინისტრაციის დაკვეთა – ილიას მკვლელობას პოლიტიკური, შეკვეთილი მკვლელობის კვალიფიკაცია არ მისცა და, აქედან გამომდინარე, არც მკვლელობის დამკვეთისა და არც მკვლელობის ორგანიზატორების დადგენა უცდია. მთელი ყურადღება უშუალოდ ტერორისტული აქტის (მკვლელობის) მონაწილეთა ვინაობის დადგენას დაეთმო. ამ კითხვებზე პასუხი უნდა გაეცა გამოძიებასა და სასამართლოს. ის, რაც არ გაკეთდა 1907-1909 წლებში, ცხადია, ვეღარ გაკეთდებოდა მეორე გამოძიებისა და სასამართლო პროცესის დროს (1941-1942 წწ). მით უფრო, რომ მეორე გამოძიებამ და სასამართლო პროცესმაც წინასწარ განზრახვით ისევე მცდარ ვერსიას დაუჭირა მხარი.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიება და სასამართლო პროცესი (1941-1942 წწ). რუსეთის იმპერიის აღსასრულს (1917 წლის თებერვალ-მარტი) თითქოს ხელსაყრელი პირობები უნდა შეექმნა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ობიექტურად გამოძიებისათვის. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ხელისუფლებამ ამ თვალსაზრისით

იმედები ვერ გაამართლა. ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე (1918 წლის 26 მაისი) ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისა (ოზაკომი) და ამიერკავკასიის კომისარიატის მმართველობის პერიოდში (1917 წლის მარტი - 1918 წლის აპრილი), ისევე, როგორც ყოფილი რუსეთის იმპერიის მთელს ტერიტორიაზე, საქართველოშიც დაუცველი და მოუვლელი აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო დაწესებულებების არქივები. მასალების დიდი ნაწილი ან დაუდევრობით, ან შეგნებულად (პოლიტიკური მიზნით) განადგურდა. **ყველა პოლიტიკური პარტია და პოლიტიკური მოღვაწე ცდილობდა, მოესპო ისეთი საარქივო მასალა, რომელიც სახელს გაუტეხდა მას.** ასე განადგურდა მასალები თბილისის გუბერნიის უანდარმერიის სამმართველოს, ქუთაისის გუბერნიის უანდარმერიის სამმართველოს, თბილისის ოხრანკის, კავკასიის ოხრანკის, თბილისის პოლიცმაისტერის, დროებითი სამხედრო გუბერნატორების (გენერალ-გუბერნატორების), მაზრების უფროსების, თბილისის საოლქო სასამართლოს, ქუთაისის საოლქო სასამართლოს, თბილისის ოლქის პროკურორის, ქუთაისის ოლქის პროკურორის, კავკასიის სასამართლო პალატის, კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს, თბილისის მეტეხის საპყრობილისა და სხვა საპყრობილეთა არქივებიდან. **შეგნებულად თუ შემთხვევით განადგურებულ საარქივო მასალათა შორის აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის საქმის გამოძიებისა და სასამართლოს მასალები (1907-1909 წწ.).** ამ დანაკარგის ანაზღაურება დღეს უკვე შეუძლებელია.

1918 წლის 26 მაისის შემდეგ ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის საქმის ობიექტურად გამოძიება საზოგადოების სრულიად ბუნებრივი მოთხოვნა იყო. ამ მიმართულებით გადაიდგა კიდევ ზოგიერთი კონკრეტული ნაბიჯი. საბოლოოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული (მენ-შევიკური) ხელისუფლების აზრი ილიას მკვლევლობის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით ორად გაიყო. ერთნი მიიჩნევდნენ, რომ ილია ბოლშევიკებმა მოკლეს, ამიტომაც მკვლევლობის საქმის

გამოძიებას დიდი პოლიტიკურ-იდეოლოგიური მნიშვნელობა ექნებოდა. მეორენი თვლიდნენ, რომ, მართალია, ილია ბოლშევიკებმა მოკლეს, მაგრამ მკვლელობის საქმის გამოძიებას შეიძლებოდა, ჩრდილი მიეყენებინა ქართველი მენშევიკებისათვისაც, რადგან ქართველ მენშევიკთა ნაწილი, იდეური თვალსაზრისით, დაპირისპირებული იყო ილია ჭავჭავაძესთან და აქტიურად ებრძოდა მას. საბოლოოდ **ილიას მკვლელობის საქმის გამოძიება სახელმწიფო ზრუნვის საგნად ვერ იქცა**. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, მართალია, ილიას მკვლელობის თაობაზე მასალებს აგროვებდა, მაგრამ ეს საქმე მინდობილი ჰქონდათ არაპროფესიონალებს, მუშაობა წარმოებდა უსისტემოდ. საზოგადოებაში გავრცეელდა ხმები, რომ **კომისიამ მასალების რაღაც ნაწილი ან გაანადგურა, ან საგულდაგულოდ გადაამალა**.

1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველო საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო. დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. **დაიწყო ილია ჭავჭავაძის ნააზრვეისა და ნაღვაწის უარყოფის ახალი ეტაპი**. ილია გამოცხადდა „ფეოდალურ-მონარქისტული ნაციონალიზმის მამამთავრად“, „ხალხთა შორის ეროვნული შუღლის გამძლეველად“, „თავადაზნაურობის ინტერესების დამცველად“. „ბატონყმობის იდეოლოგად“, „სასტიკ მემამულედ“, „სოციალური თანასწორობის მოწინააღმდეგედ“, „პროგრესის შემაფერხებლად“ და ა. შ. ილიას სულიერი მემკვიდრეობის უარყოფა მიმდინარეობდა საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი პოლიტიკური ლიდერის, XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ილიას წინააღმდეგ მიმართული ბინძური კამპანიის სულისჩამდგმელისა და ილიას მკვლელობის ერთ-ერთი ორგანიზატორის **ფილიპე მახარაძის** ხელმძღვანელობით. აქვე სრულიად გარკვევით უნდა ითქვას: **ილია ჭავჭავაძის ნააზრვეისა და ნაღვაწის უარყოფა არ შეიძლება განვიხილოთ ფილიპე მახარაძის კერძო ინიციატივად**. ეს იყო საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის ნება, **ე. ი. სახელმწიფო პოლიტიკა**. სერგო ორჯონიკიძესა და ფილიპე მახარაძეს შორის 1921-1922 წლებში, სხვადასხვა გარემოებათა გამო, ურთიერთობა სერიოზულად დაიძაბა. მიუხედავად ამისა,

ამიერკავკასიის ფედერაციის პოლიტიკური ლიდერი სერგო ორჯონიკიძე და საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი პოლიტიკური ლიდერი ფილიპე მახარაძე სრული თანხმობის ვითარებაში ცდილობდნენ ილიას სახელის ამოშლას საქართველოს ისტორიიდან. ისინი **ისტორიკოსებსა და ლიტერატურათმცოდნეებს აიძულებდნენ, XIX საუკუნის საქართველოს ისტორია და ქართული მწერლობის ისტორია ილიას გარეშე გაეაზრებინათ.** ამის მაგალითს იძლეოდა ფილიპე მახარაძე, რომელიც ილიაზე წინ დანიულ ჭონქაძეს აყენებდა. ვინც ამ უმსგავსოების წინააღმდეგ ხმას აიმაღლებდა, სასტიკად იდევნებოდა. ილია ჭავჭავაძეს ბევრი სხვა ვინმეც ებრძოდა, მაგრამ მათგან განსხვავებით, ფილიპე მახარაძის ნაწერებში აშკარად იგრძნობა ბიოლოგიური ზიზღი ილიასადმი. **საოცარია, მაინც რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო ფილიპე მახარაძის სიძულვილი ილიასადმი, რომ XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული მთელი ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ ებრძოდა მას, ჯერ ცოცხალს, შემდეგ მკვდარს.**

1921 წლიდან ფილიპე მახარაძე სისტემატურად აფერხებდა ილიას მკვლელობის თაობაზე მასალების მოძიებასა და გამოქვეყნებას. იბეჭდებოდა მხოლოდ ისეთი მასალა, რომელიც მხარს უჭერდა ოხრანკის მიერ ილიას მკვლელობის ვერსიას. ფილიპე მახარაძე ავტორების მიმართ მუქარასა და შანტაჟსაც არ ერიდებოდა.

ილია ჭავჭავაძის ნააზრვეისა და ნაღვაწის უარყოფა ფილიპე მახარაძისა და „მისი რაზმის“ (ე. ი. ხელისუფლების) მიერ 1921 წლიდან 1934 წლამდე გაგრძელდა. ამ სამარცხვინო კამპანიას 1934-1937 წლებში ზღვარი დაუდო **იოსებ სტალინმა.**

1934-1937 წლებში ილია ჭავჭავაძის პიროვნებისა და შემოქმედების მიმართ საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულების სასიკეთოდ კვლავ თავისთავად დასვა კითხვა: **ვინ მოკლა ილია? XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებისათვის პასუხის ერთადერთი, ხელისუფლებისათვის მისაღები ვარიანტი ასეთი იყო: ილია ჭავჭავაძე რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით**

მოკლა ოხრანკამ. დაიწყო ამ ვერსიის დამადასტურებელი მასალების მოძიება. ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს იოსებ სტალინის დავალებით ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა. რამდენიმე ავტორმა, მიუხედავად დიდი მონღომებისა, ვერ შეძლო ხელისუფლების დაკვეთის შესრულება. მოძიებული მასალიდან აშკარა ხდებოდა, რომ **ილიას მკვლელობა შეუკვეთა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიამ**, ოხრანკის კვალი არ დასტურდებოდა. 1938 წელს გამოიცა პაატა გუგუშვილის წიგნი – „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“.¹⁴ მართალია, პაატა გუგუშვილი ილიას ოხრანკის მოკლულად მიიჩნევდა, მაგრამ ნაშრომიდან (გამოკვლევიდან და თანდართული დოკუმენტებიდან) აშკარა ხდებოდა, რომ **ოხრანკის მიერ ილიას მოკვლის ვერსია შეთხზული იყო, კვალი აშკარად სოციალ-დემოკრატებისაკენ მიდიოდა**, ასეთი შეუსაბამობა პაატა გუგუშვილს არ შეიძლებოდა მხედველობიდან გამორჩენოდა. კიდევ რომ გაჰპარვოდა, წიგნს ცენზურა არ გაუშვებდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხსენებულ წიგნში არსებული ეს „შეუსაბამობა“ იოსებ სტალინის სჭირდებოდა. ორი კურდღლის ერთდროულად დაჭერის დიდოსტატს, ალბათ, ამჯერადაც რაღაც მიზანი ამოძრავებდა. **იოსებ სტალინის ეს მიზანი იმდენად ვერაგული იყო, რომ ლავრენტი ბერიაც კი დაიბნა.** იოსებ სტალინისაგან ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიების დავალება რომ მიუღია, გაოცებულ ლავრენტი ბერიას უთქვამს: **ამ საქმეს რაღა გამოძიება უნდა? ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი მკვლეელი ბელადს მოსკოვში ჰყავს თავისთან, მეორე კი მე მიზის თბილისშიო.** ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ლავრენტი ბერია **სერგო ორჯონიკიძესა და ფილიპე მახარაძეს** გულისხმობდა.

ხემოთ აღვნიშნეთ, რომ 1934-1937 წლებში ილიას ნააზრევინსა და ნაღვაწის ობიექტურად შეფასებამ, ილიას რეაბილიტაციამ ბუნებრივად დასვა კითხვა: ვინ მოკლა ილია? ხელისუფლებას, სურდა თუ არ სურდა, ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცა. ეს

¹⁴ **პაატა გუგუშვილი.** ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. საგამომძიებლო მასალები. თბილისი, 1938.

კი ილიას მკვლელობის საქმის გამოძიებას მოითხოვდა. ილიას მკვლელობის საქმის გამოძიება სხვა მიზეზებმაც განაპირობა. უნდა ვივარაუდოთ, ილიას მკვლელობის საქმის გამოძიება და სასამართლო პროცესი იოსებ სტალინს XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებისთვის, შექმნილი ვითარების გამო, დასჭირდა. უფრო კონკრეტულად კი, იოსებ სტალინს ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძის თავიდან მოშორება სურდა. ძველი ბოლშევიკური გვარდია სერიოზულად ფიქრობდა იოსებ სტალინის სერგეი კიროვით ჩანაცვლებაზე. სერგეი კიროვის მკვლელობის შემდეგ (1934 წ.) ძველ ბოლშევიკებს იოსებ სტალინის შემცვლელის ძიებაზე ხელი არ აუღიათ. სერიოზულად იხილებოდა სერგო ორჯონიკიძის კანდიდატურა. თუ სერგო ორჯონიკიძეს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორობა დაუმტკიცდებოდა, ეს იოსებ სტალინის ხელში სერიოზული კომპრომატი იქნებოდა. თუმცა გარკვევით უნდა აღინიშნოს: იოსებ სტალინი სერგო ორჯონიკიძის თავიდან მოშორების სანაცვლოდ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას არ დაადანაშაულებდა, ასეთ ჩრდილს არ მიაყენებდა. გარდა ამისა, ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძის ილიას მკვლელობის ორგანიზატორებად აღიარებით საქმე არ დასრულდებოდა. ბუნებრივად დაისმებოდა კითხვა: ვისი დავალებით მოქმედებდნენ ისინი? მკვლელობის დამკვეთის ვინაობა თავისთავად ცხადი გახდებოდა. **უფრო სავარაუდოა, რომ იოსებ სტალინმა ლავრენტი ბერიას, მართლაც, მისცა მითითება ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძის, როგორც ილიას მკვლელობის ორგანიზატორთა, მამხილებელი მასალების მოძიების თაობაზე, მაგრამ ეს მასალა გარკვეულ დრომდე საიდუმლოდ უნდა ყოფილიყო დაცული, როგორც კომპრომატი სერგო ორჯონიკიძის წინააღმდეგ. ძიებას და სასამართლოს კი ოხრანკის ვერსია უნდა დაესაბუთებინა.**

ილია მკვლელობის საქმის ძიება გარკვეულწილად შეაფერხა ლავრენტი ბერიას მოსკოვში გადაყვანამ (1938 წ.). ამით ისარგებლა ფილიპე მახარაძემ და კიდევ ერთხელ სცადა ილი-

ას მკვლევლობის საქმის გამოძიების შეფერხება. მალე ფილიპე მახარაძე მკაცრად გააფრთხილეს და ისიც იძულებული გახდა, მაყურებლის როლით დაკმაყოფილებულიყო.

ილიას მკვლევლობის საქმის ხელახალი გამოძიების თაობაზე გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმამდე (1941 წლის 22 ივნისამდე) მიიღეს. პირველი მოწმეები 1941 წლის იანვარში დაიკითხნენ. გიგლა ბერბიჭაშვილი პასუხისგებაში მისცეს 1941 წლის 14 ივნისს (ომის დაწყებამდე რვა დღით ადრე). ომის დაწყებამ გამოძიება ვერ შეაფერხა. 1941 წლის ნოემბრის ბოლოს გამოძიებამ საქმე გადასცა საქართველოს უმაღლეს სასამართლოს. 1941 წლის 27 ნოემბერს შედგა საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მოსამზადებელი სხდომა. სასამართლო პროცესი დაიწყო 1941 წლის 25 დეკემბერს, განაჩენი გამოცხადდა 1942 წლის 5 იანვარს.

ცხადია, 1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე შექმნილ უმძიმეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში ხელისუფლებას შეეძლო, გადაედო გამოძიება და სასამართლო პროცესი. მაგრამ, ჩანს, იოსებ სტალინი სხვაგვარად ფიქრობდა: **ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის საქმის გამოძიებასა და სასამართლო პროცესს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლეოდა, რომელიც სცილდებოდა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ფარგლებს.**

და მაინც, ილიას მკვლევლობის საქმის გამოძიება და სასამართლო პროცესი წინასწარ შედგენილი სცენარის მიხედვით წარიმართა. ყველა ჩვენება გამოძიებისა და სასამართლოს დოკუმენტებში (ოქმები, სტენოგრამები) იმ სახით შევიდა, როგორც ეს ხელისუფლებას სურდა. დღეს შეიძლება ძნელი წარმოსადგენია, თუ რას ნიშნავდა 1941 წელს ისეთი ჩვენების მიცემა, რომელიც მიუღებელი იყო ხელისუფლებისათვის. ამიტომ იყო, რომ გამოძიებაც და სასამართლოც მივიდნენ დასკვნამდე: **ილია ჭავჭავაძის მკვლევლობა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების შეკვეთით განახორციელა ოხრანკამ.**

1941-1942 წლების გამოძიება და სასამართლო პროცესი ისევე,

როგორც 30-იანი წლების შუა ხანებიდან დაწყებული ილიას მკვლევლობის თაობაზე მიმდინარე მასალების მოკვლევა, იყო დადგმული სპექტაკლი. რით უნდა დამთავრებულიყო ძიება და რა განახენი უნდა გამოეტანა სასამართლოს, წინასწარ იყო ცნობილი.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: მიუხედავად იმისა, რომ 1907-1909 წლების გამოძიება და სასამართლო პროცესი ხელისუფლების დაკვეთას ასრულებდა, სიმართლის დადგენის თვალსაზრისით, 1907-1909 წლების მასალები უფრო საყურადღებოა, ვიდრე 1941-1942 წლებისა. 1907-1909 წლების მასალებში მცირე დოზით, მაგრამ მაინც აისახა სიმართლე. 1941-1942 წლების მასალები ისეა გაყალბებული, რომ სიმართლის დასადგენად თითქმის მთლიანად გამოუსადეგარია. ილიას მკვლევლობის ისტორიის შესწავლა, სწორედ ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, ფერხდება.

1941 წლისათვის ილიას მკვლევლობის ორგანიზატორთაგან მხოლოდ ფილიპე მახარაძე იყო ცოცხალი, მკვლევლობის უშუალო ხელმძღვანელთაგან - აღარავინ, ილიაზე თავდასხმის მონაწილეთაგან (ტერორისტთაგან) კი - მხოლოდ გიგლა ბერბიჭაშვილი. რადგან ილია ოხრანკის მიერ მოკლულად უნდა გამოცხადებულიყო, ფილიპე მახარაძით გამოძიება და სასამართლო საჯაროდ ვერ დაინტერესდებოდა. რჩებოდა გიგლა ბერბიჭაშვილი. გადაწყდა: **გიგლა ბერბიჭაშვილი უნდა გამოცხადებულიყო ოხრანკის აგენტების მიერ დაქირავებულ ილია ჭავჭავაძის ფიზიკურ მკვლევად, რომლის გასროლილმა ტყვიამაც სიცოცხლე მოუსწრაფა მწერალს.** რადგან მკვლევლობის უშუალო ხელმძღვანელთაგან ცოცხალი აღარავინ იყო, ანუ აღარ იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც ტერორისტთა ჯგუფი შეადგინეს და ილიას გზაზე ჩაუსაფრეს, ძიებასა და სასამართლოს არ გაუჭირდებოდა იმის დამტკიცება, რომ ილიას მკვლევლობის უშუალო ხელმძღვანელები ოხრანკის აგენტები იყვნენ და ოხრანკის დავალებით მოქმედებდნენ. ძალზე გაჭირდებოდა, უფრო ზუსტად, ძალზე არადამაჯერებელი იქნებოდა, გიგლა ბერბიჭაშვილის ოხრანკის აგენტად გამოცხადება. გამოძიებასა და სასამართლოს

ეს არც უცდია. სამაგიეროდ, აუცილებელი იყო იმისი „დადასტურება“, რომ გიგლა ბერბიჭაშვილი 1907 წელს არც რსდმპ წევრი და არც 1905-1907 წლების რევოლუციის დროს სოციალ-დემოკრატების მიერ ორგანიზებული „წითელი რაზმის“ წევრი და მეთაური ყოფილა, სოციალ-დემოკრატების დავალებით ტერორისტული აქტები არ განუხორციელებია, ხოლო 1921-1922 წლებში კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის მანდატი თაღლითობით მიიღო და პენსიაც თაღლითობით დაინიშნა. ყოველივე ამის „დამტკიცება“ გამოძიებამ და სასამართლომ „შეძლო“.

თუ გიგლა ბერბიჭაშვილი არც ოხრანკის აგენტი ყოფილა და არც რსდმპ წევრი, მაშ, ვინ იყო იგი? ამ კითხვაზე გამოძიებას და სასამართლოს ასეთი პასუხი ჰქონდა მზად: გიგლა ბერბიჭაშვილი იყო უიდეო, უზნეო, გახრწნილი, გადაგვარებული ადამიანი, რომელიც ოხრანკის აგენტებმა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობაზე დაითანხმეს.

ასე იქცა გიგლა ბერბიჭაშვილი გამოძიებისა და სასამართლოსათვის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეში ცენტრალურ ფიგურად.

1941-1942 წლებში გამოძიებამ და სასამართლომ დადგენილად მიიჩნია:

1. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა იყო პოლიტიკური მკვლელობა, რომელიც რუსეთის იმპერიის ხელისუფლების ნებით განხორციელდა (მკვლელობის დამკვეთი).

2. მკვლელობა მოამზადა ოხრანკამ (მკვლელობის ორგანიზატორი).

3. მკვლელობას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ოხრანკის აგენტები (მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელები).

4. ოხრანკის აგენტებმა უიდეო, გადაგვარებული, ზნედაცემული და გახრწნილი ადამიანებისაგან შეადგინეს ტერორისტული ჯგუფი, რომელიც თავს დაესხა ილიას 1907 წლის 30 აგვისტოს (მკვლელობის უშუალო მონაწილენი).

ამრიგად, სქემა ასეთ სახეს იღებდა: რუსეთის იმპერიის ხელისუფლება (მკვლელობის დამკვეთი) – ოხრანკა (მკვლელო-

ბის ორგანიზატორი) – ოხრანკის აგენტები (მკვლევლობის უშუალო ხელმძღვანელები) – ტერორისტები (ილია ჭავჭავაძეზე თავდასხმის მონაწილენი).

იოსებ სტალინმა, ლავრენტი ბერიამ და ბევრმა სხვამაც შესანიშნავად იცოდა ჭეშმარიტება, რომელიც უკვე მეორედ მიიჩქმალა:

1. ილია ჭავჭავაძის მკვლევლობა იყო პოლიტიკური მკვლევლობა, რომელიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობის ნებით განხორციელდა (**მკვლევლობის დამკვეთი**).

2. მკვლევლობა მოამზადა რსდმპ ხელმძღვანელობის ნდობით აღჭურვილმა პირმა (ის ეროვნებით ქართველი არ ყოფილა) ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძის მეშვეობით (**მკვლევლობის ორგანიზატორები**).

3. მკვლევლობას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები (**მკვლევლობის უშუალო ხელმძღვანელები**).

4. მკვლევლობის უშუალო ხელმძღვანელებმა შეადგინეს ტერორისტული ჯგუფი, რომელთაგან ორი რსდმპ წევრი და რევოლუციის აქტიური მონაწილე იყო (**ილია ჭავჭავაძეზე თავდასხმის უშუალო მონაწილენი**).

5. გარდა ამისა, იოსებ სტალინმა და ლავრენტი ბერიამ იცოდნენ, რომ ილია მოკლა არა გიგლა ბერბიჭაშვილმა, არამედ დამოუკიდებლად მოქმედმა მკვლევმა, რომელიც ტერორისტთა ჯგუფის ჩასაფრების ადგილზე ტერორისტთაგან ფარულად მიიყვანეს თავდასხმის ორგანიზატორებმა. ილიას მკვლელი ქილერის ვინაობის დადგენა ოხრანკის ვერსიის დადასტურებისათვის სულაც არ იყო საჭირო.

ილიას მკვლევლობის საქმის ხელახალი გამოძიება და სასამართლო დიდი დარტყმა იყო ფილიპე მახარაძისათვის. თუმცა ის ამჯერადაც გადარჩა: **გამოძიებისა და სასამართლოს მიერ ოხრანკის ვერსიის ჭეშმარიტებად აღიარებამ გამოორიცხა ილიას მკვლევლობის ორგანიზატორად ფილიპე მახარაძის მიჩნევა.**

ფილიპე მახარაძეს აშკარად ბედი სწეალობდა! თუმცა ილიას მკვლელობის ორგანიზატორი სხვაგვარად ფიქრობდა: არავინ უწყობდა, რას გადაწყვეტდა, რას მოიმოქმედებდა იოსებ სტალინი, რა გაგრძელება ექნებოდა იმ ფარსს, რომელიც 1941-1942 წლებში გათამაშდა. ფილიპე მახარაძე ორჯერ (1907 წელსა და 1941 წელს) გადაურჩა სასჯელს. მესამედ ბედს აღარ მიენდო და საკუთარ თავს თვითონ გამოუტანა განაჩენი: **თავი ჩამოიხრჩო.**

ოფიციალური ცნობით, სერგო ორჯონიკიძე გულის დაავადებით გარდაიცვალა. მოგვიანებით გაჩნდა ვერსია იმის თაობაზე, რომ ის აიძულეს, თავი მოეკლა. მესამე ვერსიით სერგო ორჯონიკიძე კეფაში ნასროლი ტყვიით გარდაიცვალა საკუთარ ბინაში. ის მოსკოვში, წითელ მოედანზე კრემლის კედელთან დაკრძალეს. ოფიციალური ცნობით ფილიპე მახარაძე ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. თუმცა მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ მან თავი ჩამოიხრჩო.

იოსებ სტალინს არ უყვარდა ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე. რა იყო ამისი მიზეზი, სამივემ კარგად უწყობდა. სამივემ საიღუმლო თან წარიტანა სამარეში.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ორივე გამოძიებამ და ორივე სასამართლო პროცესმა (რუსეთის იმპერიის ხელისუფლებისა და საბჭოთა ხელისუფლების დროს) უპასუხოდ დატოვა ბევრი კითხვა. მათ შორისაა ტერორისტული აქტის განხორციელების საკითხი – ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დეტალები.

საყოველთაოდ გაგრძელებული ვერსიის მიხედვით, ილია 1907 წლის 30 აგვისტოს სოფელ წიწამურთან მოკლა ტერორისტთა ჯგუფმა. სოფელ წიწამურთან დათქმულ ნიშანზე თედო ლაბაურმა ეტლი გააჩერა და ფეხზე წამომდგარი ილია ერთ-ერთი ტერორისტის, კერძოდ, გიგლა ბერბიჭაშვილის მიერ ბერდანის თოფიდან გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა. ტყვია ილიას შუბლში მოხვდა. ამ ვერსიაში ბევრი რამ საეჭვოა. საექსპერტო დასკვნაში ვკითხულობთ:

1907 წ. 31 აგვისტო. ილია ჭავჭავაძის გვამის გაკვეთის აქტი

31 აგვისტო, 1907 წ. აქტი. მე.დუშეთის მაზრის გამომძიებელი, გამოვცხადდი სოფ. გურამიანთკარში, ქვემოთ აღნიშნული მოწმეების თანდასწრებით და დუშეთის მაზრის ექიმის მეოხებით ჩავატარე თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის გვამის გაკვეთა.

გარეგანი დათვალიერება

მიცვალებული (ცხედარი) ასვენია მაგიდაზე საკუთარ სახელში. აცვია რუხი ფერის ჟილეტი და შარვალი, ფერადი კვართი და თეთრი საცვალი, კისერზე გახამებული თეთრი საყელო, რომლის გარშემო დევს ბაფთა – გახსნილი ფერადი ბატისტის ყელ-სახვევი. მარცხენა ხელზე გახამებული მანუეტი მოხსნილია, მარჯვენაზე მანუეტი მოძრობილია და ჩამოკიდებულია საკინძის კვართზე. ფეხზე აცვია წინდები და დაბალყელიანი ჩექმები. ჟილეტი, კვართი და მანუეტი გასისხლიანებულია. სახეზე და შუბლზე სისხლის ზოლები აქვს. გასისხლიანებულია აგრეთვე გულმკერდის ზედა ნაწილი, მარცხენა გვერდი და ორივე ხელის მტევნები. მიცვალებული სწორი აგებულებისაა; მუცელი წინაა წამოწეული... სხეულის დანარჩენი ნაწილები სწორი აგებულებისაა.

გულმკერდის არეში აღენიშნება ცეცხლნასროლი გამჭოლი ჭრილობა, რომლის ერთი ხერეელი მოთავსებულია მარჯვენა ძუძუს დვრილიდან ოდნავ შიგნით, ხოლო მეორე – მარცხენა იდლიის უკანა კიდეზე; პირველი ოვალური ფორმისაა, მისი უდიდესი ზომა კანზე სამი სანტიმეტრია, მეორის ზომა იდლიის კანზე შედარებით მცირეა, გამავალია ნეკა თითისათვის. შუბლის მარცხენა ნახევარში აღინიშნება ოვალური ფორმის დაკუეული ჭრილობა, დამავალი ძვლამდე, ოთხი სანტიმეტრის სიგრძის, ორი სანტიმეტრის სიგანის. აქ ძვალი ჩატეხილია და მარცხენა ნაწილით ჩაწეულია ქვემოთ. ჩატეხილი ძვლის უდიდესი დიამეტრი ერთნახევარი გოჯია, მოტეხილობის ზედა, მარცხენა და ქვედა კიდევები მდებარეობს ქალას სარქველზე დაბლა, ხოლო

მარჯვენა ნაწილი შეერთებულია ქალას სარქველთან, შეერთება არამტკიცება, რის გამოც მოტეხილი ძვალი მოძრავია. კანის ჭრილობის კიდეები არასწორია, მოშავო ფერისაა და მშრალი. მის ქვეშ ძვალზე აღინიშნება გამოყოფილი სისხლის თხელი ფენა. მარჯვენა წარბს ზემოთ მდებარეობს მეორე დაუქეილი ჭრილობა, ისეთივე ხასიათის, როგორც პირველი. ეს ჭრილობა აღწევს ძვლამდე, მაგრამ ძვალი დაზიანებული არ არის. ამ ჭრილობის სიგრძეა სამი, სიგანე ერთი სანტიმეტრი.

სხვა დაზიანება სხეულზე არ არის. გვამური ლაქები და სხვა ნაადრევი გახრწნის ნიშნები არ აღინიშნება. გაშეშების კვალი ჯერ კიდევ შერჩენილია ხელებში...

შინაგანი დათვალიერება

გულმკერდის დრუ. გულმკერდზე ცეცხლსასროლი ჭრილობის უბანში კანქვეშა ქსოვილი მოშავო ფერისაა გამონადენი სისხლისაგან. მარჯვენა მეხუთე ნეკნის მკერდის ძვალთან შეერთების ადგილი დამსხვრეულია. შემდეგ ტყვიამ გაიარა გულის პერანგში, გულის პარკუჭების ზედა ნაწილებში და მარცხენა ფილტვის ქვედა წილის გავლით გამოვიდა გარეთ მარცხენა იდლის მიდამოში. გულის ორივე პარკუჭის კედლების ზედა ნაწილები გარდაქმნილია ნაფლეთებად. გულის მოცულობა არ არის გადიდებული, მაგრამ მისი კედლები გათხელებულია და გადაგვარებულია ცხიმოვან ქსოვილებად, მარჯვენა პარკუჭის კედლის სისქის სამ მეოთხედს ცხიმში შეადგენს, მარცხენა პარკუჭის წინა კედელს მწვერვალთან ახლოს აქვს ხარის გამხმარი ტყავის სისქე, ის მკვრივია, მოთეთრო ფერისაა და წინ გამობერილია მცირედ. გულის კედლის ამ ნაწილზე თითის დაჭერით ეს უბანი ვარდება შიგნით და თითის ალებით გარეთ, როგორც რეზინის ბურთი. მიკროსკოპულად ანეფრიზმული გამობერილობა მოგვაგონებს მკვრივ და დრეკად შემაერთოქსოვილოვან წარმონაქმნს. მარჯვენა ფილტვის პლევრა შეხორცებულია გულმკერდის გვერდით კედელთან; მარცხენა მდებარეობს თავისუფლად. ორივე ფილტვის მოქნილობის და სიფაფუკის ხარისხი დაქვეითებულია.

ლია, ჰაერით არ არიან გადავსებულნი. ორივე ფილტვის ქვედა ნაწილები სრულიად უჰაეროა, რის გამოც მათმა ქვედა კიდებმა კანის სიმკვრივის ბრტყელი დანამატის სახე მიიღეს. ფილტვები განაკვეთზე მოთეთრო-მორუხო ფერისაა. გულმკერდის ღრუ შეიცავს დიდი რაოდენობით შედედებულ და თხიერ სისხლს. მუცლის კედელი შეიცავს ცხიმის სქელ შრეს. თავისა და მუცლის ღრუები არ დათვალიერდა, რადგან სიკვდილის მიზეზი ნათელია.

**დუშეთის მაზრის ექიმი: იაშვილი,
გამომძიებელი: გ. კ. დილეგსკი.**

მოწმეები: სოფ. გურამიანთკარის მცხოვრებნი, გლეხები **სიმონ ჩიხაშვილი** და **ვასილ ნარიმანიძე**, ორივე წერა-კითხვის უცოდინარნი.

მოსაზრება: ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის სხეულზე სამი ჭრილობაა: ერთი ცეცხლნასროლი, გულმკერდის გამჭოლი. ჭრილობის არხი მიმართულია წინიდან უკან და მარჯვნიდან მარცხნივ. გასროლა ალბათ წინიდან მოხდა. სიკვდილი განვითარდა ამ ჭრილობისაგან გულის დაზიანების შედეგად. ორი ჭრილობა, მდებარე თავის ქალას უთმო ნაწილში, მიყენებულია ბლაგვი საგნით. ერთი ამ ჭრილობათაგანი, რომელიც გართულებულია თავის ქალას ძელების დაზიანებით, მიეკუთვნება მძიმე და სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებას; მეორე ჭრილობა უნდა მიეკუთვნოს მსუბუქ დაზიანებათა ხარისხს.

გარდაცვლილ ილია ჭავჭავაძეს გული და ფილტვები ჯანმრთელი არ ჰქონდა. გულის კუნთი გადაგვარებულია ცხიმოვან ქსოვილად და მარხენა პარკუჭის წინა კედელი გაფართოებულია ანევრიზმულად. აღწერილობით ნაწილში მე დამავიწყდა აღმენიშნა, რომ მარცხენა პარკუჭის ენდოკარდი გასქელებულია, მორუხო-მოთეთრო ფერისაა, მკვეთრად გამოირჩევა მარჯვენა პარკუჭის ენდოკარდისაგან, უკანასკნელს აქვს ხორცის ფერი შესახედაობა. მარცხენა პარკუჭის ენდოკარდის ზედაპირი, ნახევარმთვარისებური სარქველები და აორტის შიდა გარსი გლუ-

ვია, ხორკლების გარე-შე, ნახევარმთავრისებური სარქველების ფუძეები გასქელებულია და მკვრივი. დიდი ხნის სიცოცხლე არ დარჩენოდა სამოცდაათი წლის მხცოვან პოეტს. მისი ავადმყოფი გული განგმირულია მტრის ტყვიით. ამ გულს შეიძლება ეტყერა კიდევ რამდენიმე თვეს, ან წელიწადს.

რაც შეეხება ცეცხლსასროლ იარაღს, რომლითაც მოკლეს თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, არ შეიძლება იმის დანამდვილებით თქმა, თუ როგორი იყო ეს იარაღი. თავად ჭავჭავაძესთან ერთად მოკლული იქნა მისი მსახური, რომლის სხეულიდან ამოღებული ტყვია მრგვალია, სიდიდით ჰგავს ტყვიას, როგორითაც იტენება კაჟიანი თოფები. თავად ჭავჭავაძისა და მის მსახურისათვის ცეცხლმსროლელი იარაღით მიყენებული ჭრილობების ხვრელები სიდიდით და ზოგიერთი სხვა თავისებურებებით დაახლოებით ერთნაირია. გვამების გაკვეთის პრაქტიკით ვიცით რა ბერდანიო, ახალი ნიშუშის სამხაზიანი შაშხანით და უბრალო არასწრაფმსროლელი იარაღით მიყენებულ ჭრილობათა თავისებურებანი, მე ვვარაუდობ, რომ თავადი ჭავჭავაძე მოკლულია უკანასკნელი სახეობის იარაღით.

დუშეთის მაზრის ექიმ იაშვილი¹⁵.

დავიწყოთ იმით, რომ ილია ჭავჭავაძის სხეულის ექსპერტიზით დადასტურებულია, რომ ილიას მარცხენა ნეკნის არეში (ილღის ქვეშ) აქვს მცირე დიამეტრის ხვრელი, მკერდის არეში (მარჯვენა ძუძუს დვრილთან) – დიდი ხვრელი. ტყვია სხეულში შესვლისას ტოვებს წვრილ ხვრელს, სხეულიდან გამოსვლისას კი – გაცილებით დიდს. ამდენად, ექიმ იაშვილს უზუსტობა მოუვიდა. ილიასათვის წინიდან რომ ესროლათ, მაშინ მცირე ზომის ხვრელი მკერდის არეში ექნებოდა, დიდი ზომისა კი – ილღის ქვეშ. გვამის გაკვეთის აქტში ყველაფერი პირიქითაა, ე.

¹⁵ **პაატა გუგუშვილი.** ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. საგამომძიებლო მასალები. თბილისი, 1938, გვ. 38-41; **გურამ შარაძე.** ილია ჭავჭავაძე. 1837-1907. ცხოვრება. მოღვაწეობა. შემოქმედება. ფოტომატრიანე. ორ წიგნად. წიგნი II. თბილისი, 1990, გვ. 320-322.

ი. ილიას ზურგიდან ესროლეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ილიას ტყვია შუბლში არა აქვს მოხვედრილი. ეტლიდან გადმოვარდნის შემდეგ ილიას ერთ-ერთმა ტერორისტმა შუბლში ორჯერ ჩაარტყა შაშხანის ღულა, იმ მიზნით, რომ დარწმუნებულიყო, ილია მკვდარი იყო თუ არა. შუბლის არეში მიყენებული არც ერთი დარტყმა სასიკვდილო არ იყო. ექსპერტიზით ასევე დადგინდა, რომ ილია მოკლულ იქნა ტყვიით, რომელიც სხეულში შევიდა ზურგის მხრიდან (მარცხენა ნეკნებს შორის) და გამოვიდა მკერდში მარჯვენა მხარეს (ძუძუს დვრილთან). ისმის კითხვა: ვინ ესროლა ილია ჭავჭავაძეს? აშკარაა, რომ გასროლა იმ ტერორისტმა მხრიდან არ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომლებმაც ეტლი გააჩერეს და გასროლის მომენტში ეტლის წინ იდგნენ.

შეიძლება თუ არა დადგინდეს იმ ტერორისტის ვინაობა, რომელმაც ილიას ზურგიდან ესროლა? იმხანად ტერორისტულ პრაქტიკაში ასეთი წესები მოქმედებდა: ყველა ტერორისტს ჰქონდა თავისი „ხელწერა“, ე. ი. ტერორისტი მსხვერპლს კლავდა მისთვის დამახასიათებელი გასროლით. ასეთი გასროლის ნიმუშები იყო: ერთი ტყვია კეფაში, ოთხი ტყვია ზურგში, ორი ტყვია მკერდის არეში, სამი ტყვია მუცლის არეში, ერთი ტყვია შუბლის არეში და ა. შ. ცხადია, იყო შემთხვევები, როდესაც რამდენიმე ტერორისტი ერთი „ხელწერით“ მოქმედებდა. მაგრამ იმგვარი გასროლით, როგორც ილია მოკლეს (სხეულში მარცხენა ნეკნებს შორის შესული ტყვია გამოვიდა მკერდის არეში მარცხნივ, ძუძუს დვრილთან). იმხანად (1905-1907 წწ.) მხოლოდ ორი ტერორისტი სარგებლობდა ასეთი „ხელწერით“. ერთი მათგანი 1907 წლის აგვისტოსათვის ციმბირის გადასახლებაში იმყოფებოდა და საქართველოში გვიან დაბრუნდა. მეორე 1907 წლის იანვრიდან აგვისტომდე, რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტისადმი დაქვემდებარებული თბილისის, ქუთაისისა და ბაქოს გუბერნიების ჟანდარმერიის სამმართველოების ავენტურული სამსახურის მასალების მიხედვით, არაღვგაღურად ცხოვრობდა თბილისში, ბათუმში, ბაქოში და ბათუმი-თბილისი-ბაქოს მარშრუტით გადაადგილებისას ხშირად იკარგებოდა ჟანდარმერიის თვალთახედვის არიდან. ეს

ტერორისტი შედიოდა იმ 50-55 ტერორისტის რიცხვში, რომელთაც, პოლიციის დეპარტამენტის ანალიტიკოსთა დასკვნით, შეეძლოთ ნებისმიერი სირთულის ტერორისტული აქტის განხორციელება.

ტერორისტი, რომელმაც, ჩვენი აზრით, ილია მოკლა, ჟანდარმერიის თვალთახედვიდან გაქრა 1907 წლის 17 აგვისტოს. ამ დღეს იგი ჟანდარმერიის აგენტმა ბათუმის ნავსადგურში ნახა. ჟანდარმერიის თვალთახედვის არეში ტერორისტი კვლავ მხოლოდ 1907 წლის 21 დეკემბერს მოხვდა, ე. ი. ილიას მკვლელობიდან სამი თვისა და ოცდაერთი დღის შემდეგ. სავარაუდოა, ტერორისტმა „ფსკერზე ჯდომა“ გადაწყვიტა, ე. ი. გადაადგილებისა და ტერორისტული საქმიანობისაგან განგებ იკავებდა თავს. ეს ტერორისტთა საყოველთაოდ მიღებული წესი იყო. ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ ისეთ მასალას, რომელიც ამტკიცებდეს, რომ საქართველოში იმავე „ხელწერით“ სხვა ტერორისტიც მოქმედებდა. მიუხედავად ამისა, კატეგორიული დასკვნის გაკეთებისაგან თავს ვიკავებთ, რადგან ზემოხსენებულ ტერორისტს, პოლიციის დეპარტამენტის და ოხრანკის მასალების მიხედვით, ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან არანაირი კავშირი არ უმტკიცდება. თუმცა, აქვე დავძენთ, რომ ამ ფაქტს არ შეუძლია საფუძველი გამოაცადოს ჩვენს ვერსიას, რადგან 1907 წლის 17 აგვისტოდან 21 დეკემბრამდე პოლიციის დეპარტამენტს არანაირი ცნობა ტერორისტის შესახებ არ მოეპოვება, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა კი სწორედ ამ პერიოდში მოხდა.

მართალია, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა გადაწყდა და დაიგეგმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ემიგრაციულ ცენტრებში (ენენეაში, პარიზში), მკვლელობის კვალის დაფარვაც იმავე ცენტრებში შემუშავებული გეგმის მიხედვით მოხდა, მაგრამ ეს სულაც არ ხსნის პასუხისმგებლობას ქართველ საზოგადოებას, რომელიც წინ ვერ აღუდგა სოციალ-დემოკრატების მიერ ილიას გზის გმობას, ილიას დევნასა და შევიწროებას – ვერ დაიცვა ერის სულიერი მამა და უგვირგვინო მეფე. უფრო მეტიც, იმდროინდელი ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილი ვერც ილიას მკვლელობამ გამოაფხიხლა –

საზოგადოება ძირითადად ისეთივე დარჩა, როგორც იყო 1907 წლის 30 აგვისტომდე. მხოლოდ დმერთმა უწყის ჭეშმარიტება: იქნებ ქართველთა განწყობილებამაც იქონია გარკვეული გავლენა ჟენევისა და პარიზში მოკალათებულ უღმერთო და უსამშობლო პოლიტიკოსებზე, როცა ილიას მკვლელობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდნენ.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ისტორიაში სადღეისოდ დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი:

პირველი. ილიას მკვლელობის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო ემიგრაციაში (პარიზში, ჟენევაში) მყოფმა რუსეთის სოციალურ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობამ (იმხანად ბოლშევიკური და მენშევიკური ფრაქციები ერთ პარტიად იყო გაერთიანებული).

მეორე. ილიას მოკვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზეზი გახდა მისი არჩევა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად (1906 წ.), ასევე ილიას ბრძოლა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიისათვის, მხარდაჭერა ავტოკეფალისტთა მოძრაობისადმი და საერთოდ, ეროვნულ ძალთა გაერთიანების მცდელობა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ეწინააღმდეგებოდა რსდმპ პროგრამას და მისი განხორციელების შემთხვევაში სოციალ-დემოკრატია საქართველოში უმნიშვნელო ძალად იქცეოდა, რასაც ვ. ლენინი და მისი თანამოაზრეები ვერ დაუშვებდნენ.

მესამე. რსდმპ ხელმძღვანელობამ, მკვლელობის დამკვეთის ვინაობის უკეთ დაფარვის მიზნით, ილიას მკვლელობის ორგანიზება არ დაავალა რსდმპ თბილისის კომიტეტს (კომიტეტში ბოლშევიკები და მენშევიკები ერთად მოღვაწეობდნენ), რომელსაც ძლიერი ტერორისტული ორგანიზაცია გააჩნდა. საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა რსდმპ ხელმძღვანელობის ნდობით აღჭურვილმა პირმა (იგი ეროვნებით ქართველი არ ყოფილა) ილიას მკვლელობის ორგანიზება დაავალა ფილიპე მახარაძესა და სერგო ორჯონიკიძეს (არც ერთი მათგანი რსდმპ თბილისის კომიტეტის წევრი არ ყოფილა), რომელთაც მიღებული

ინსტრუქციის თანახმად, საქმის კურსში არ ჩაუყენებიათ რსდმპ თბილისის კომიტეტი.

მეთხე. ტერორისტული აქტის განხორციელებისათვის აუცილებელი ფული სოციალ-დემოკრატებმა საზღვარგარეთიდან შემოიტანეს, ექსპროპრიაციის გზით საქართველოში არ მოუპოვებიათ. ეს იმიტომ გაკეთდა, რომ ჟანდარმერიასა და ოხრანკას ეჭვი არ აეღო, ექსპროპრირებული ფულის კვალს არ გაჰყოლოდა და მკვლელობის ორგანიზატორები არ დაედგინა.

მეხუთე. ილიას მკვლელობის დამკვეთის დაფარვის მიზნით ფილიპე მახარაძემ და სერგო ორჯონიკიძემ ტერორისტულ აქტამდე დაყარეს ხმები იმის თაობაზე, რომ ილიას მალე მოკლავდნენ, მკვლელობის დღიდანვე კი სოციალ-დემოკრატები ძალზე ოსტატურად ავრცელებდნენ სხვადასხვა ხმას, რომლის მიხედვითაც ილია ჭავჭავაძე მოკლეს: ა) ყაჩაღებმა ძარცვის მიზნით; ბ) ადგილობრივმა გლეხებმა აგრარულ ნიადაგზე; გ) სომეხმა ნაციონალისტებმა ეროვნული შუღლის გამო; დ) რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ პოლიტიკური მოტივით. სოციალ-დემოკრატებმა მკვლელობის დამკვეთის ვინაობა საბოლოოდ მაინც ვერ დამალეს, მაგრამ ილიას მკვლელობის პირველ დღეებში ხელისუფლება, საზოგადოება და ძიება სერიოზულად დააბნინეს.

მეექვსე. სოციალ-დემოკრატებს ილია შეეძლოთ, მოეკლათ საკუთარ სახლში (თბილისში, საგურამოში) ან გზაზე, ეტლით მიმავალი. ამისათვის საკმარისი იყო ჩასაფრებული პროფესიონალი ქილერის ერთი გასროლა. ამ გზით განხორციელებული ტერორისტული აქტი სოციალ-დემოკრატებს ხელს არ აძლევდათ. ილია უნდა მოეკლათ ადგილობრივ გლეხებს აშკარა ყაჩაღური თავდასხმით, ხოლო მოკლული უნდა გაემარცვათ. ეს მკვლელობის ორგანიზატორებს საშუალებას მისცემდა, გაეგრცვლებინათ ხმები, რომ ილიას ფიზიკურად გაუსწორდნენ ან ძარცვის მიზნით ან აგრარულ ნიადაგზე.

მეშვიდე. დამკვეთისა და ორგანიზატორების დაფარვის მიზნით ფილიპე მახარაძემ და სერგო ორჯონიკიძემ ტერორისტული აქტი შემდეგნაირად განახორციელეს: ადგილობრივმა გლეხებმა:

გიგლა ბერბიჭაშვილმა, გიგოლა მოძღვრიშვილმა, პავლე ფშავლიშვილმა (აფციაურმა), გიგლა (ლომა) ხიზანიშვილმა 1907 წლის 30 აგვისტოს სოფელ წიწამურსა და სოფელ საგურამოს შორის (საგურამოდან ოთხ ვერსზე) თბილისიდან მომავალი ილია ჭავჭავაძის ეტლი გააჩერეს. ამაში ტერორისტებს დაეხმარა მათი თანამზრახველი, ილიას მეექვსე **თედო ლაბაური**. სოციალ-დემოკრატებს აუცილებლად სჭირდებოდათ საყოველთაოდ დადასტურებული ფაქტი, რომ გლეხებმა ეტლი გააჩერეს (ეს ფაქტი ძიებას კიდევ დაუდასტურეს თედო ლაბაურმა და ილიას მეუღლემ). მკვლელობის ორგანიზატორებს აფიქრებდათ ერთი გარემოება - გლეხები, რომლებიც ეტლს გააჩერებდნენ, პროფესიონალი ქილერები არ იყვნენ. ისინი დემორალიზებული, გადაგვარებული ადამიანები იყვნენ და მათი ნდობა არ შეიძლებოდა. 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში იყო შემთხვევები, როდესაც გლეხებმა (არაპროფესიონალმა ქილერებმა) ფული აიღეს, მაგრამ ბოლო მომენტში მემამულის მკვლელობა გადაიფიქრეს და მხოლოდ ძარცვით დაკმაყოფილდნენ. იგივე შეიძლებოდა მომხდარიყო ილია ჭავჭავაძეზე თავდასხმისასაც. სწორედ ამიტომ ილიას ეტლის გაჩერების სავარაუდო ადგილზე მკვლელობის ორგანიზატორებს მზად ჰყავდათ დამოუკიდებლად მოქმედი პროფესიონალი ქილერი (იგი ეროვნებით ქართველი იყო). გიგლა ბერბიჭაშვილის ჯგუფმა ეტლი გააჩერა, ფეხზე წამომდგარ ილიას კი ზურგის მხრიდან, სავარაუდოდ, გზის მარცხენა ნაპირიდან, ესროლა ჩასაფრებულმა ქილერმა, რომელმაც ერთადერთი ტყვია გაისროლა. **ტყვია ილიას სხეულში შევიდა მარცხენა ნეკნების მხრიდან, გაიარა გული და გამოვიდა მკერდში, მარჯვენა ძუძუს დვრილთან, ოდნავ შიგნით (მარცხენა ძუძუსაკენ).** ცეცხლსასროლი იარაღით (ტყვიით) მიყენებული სხვა ჭრილობა ილიას სხეულზე არ აღმოჩნდა. ქილერის ჩასაფრების შესახებ არაფერი უწყობდა გიგლა ბერბიჭაშვილის ჯგუფმა, ქილერმა კი ზუსტად იცოდა, თუ სად გააჩერებდნენ გლეხები ეტლს. გასროლის შემდეგ ქილერი შეუმჩნევლად გაეცალა იქაურობას, მისი არსებობა არ შეუტყვია არც ძიებას და არც სასამართლოს.

ვახტანგ გურული – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

პოლიტიკური მკვლევლობის ფიზიონომია (ვინ მოკლა რუსი ეგზარქოსი ნიკონი?)

*არა არს დაფარული, რომელი
არა გამოცხადნეს,
არცა საიდუმლოდ, რომელი არა
საცნაურ იყოს
და ცხადად მოვიდეს.*

ლუკა 8,17.

1908 წლის 28 მაისს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი, პოლპოლკოვნიკი ერიომინი პეტროგრადში ჟანდარმთა შეფს, პოლიციის დეპარტამენტის დირექტორსა და ჟანდარმთა ცალკე კორპუსის მეთაურს, ასეთი შინაარსის დეკლამაციას უგზავნის:

„დღეს, დილის 11 საათზე, სინოდალურ კანტორაში შესვლისას კიბეზე მაუზერის ოთხი ტყვიით სასიკვდილოდ დაჭრეს საქართველოს ეგზარქოსი, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ გარდაიცვალა. დაიჭრა ეგზარქოსის უკან მიმავალი მსახური. ორივე მკვლელი, ტუზემცები, მიიმაღნენ. მათი ნიშნები დადგენილია. ძებნა და ძიება მიმდინარეობს“.¹ 28 მაისსავე პოლპოლკოვნიკი ერიომინი იმავე ადრესატებს მეორე დეკლამაციას უგზავნის. ცნობა კვლავ საგანგაშო იყო: „დაახლოებით დღის ორ საათზე მძიმედ დაჭრეს თბილისის ოხრანკის უფროსი როტმისტრი კა-

¹ საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 4.

რაულოვი, რომელიც საქართველოს ეგზარქოსის მკვლელობის საქმის გამოძიებიდან (მკვლელობის ადგილიდან – ვ. გ.) ბრუნდებოდა ეტლით“.²

ნიკონის მკვლელობის შესახებ თბილისში გამოძიებას ერთი კვირის შემდეგაც კი სერიოზული ვერსია არ გააჩნდა. მოულოდნელად 1908 წლის 4 ივნისს რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის დირექტორისაგან თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსმა მიიღო დეპეშა, რომელშიც აღნიშნული იყო შემდეგი: „პეტერბურგის სასულიერო წრეებში გამოითქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ეგზარქოსის მკვლელობა მოხდა არქიელ გრიგოლის წაქეზებით, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს განმათავისუფლებელ მოძრაობაში. შურისძიების საბაზად შეიძლება ქცეულიყო გარდაცვლილი ნიკონის ხელში ისეთი დოკუმენტების მოხვედრა, რომელიც ძლიერ უტყებდა სახელს გრიგოლს. დოკუმენტების ნაწილი ცოტა ხნის წინათ უნდა გამოგზავნილიყო და, ამდენად, შეიძლება აღმოჩნდეს ეგზარქოსის საქმეებში“.³ პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს ავალებდა, ზემოთ მოყვანილი ვერსია „სიტყვიერად საიდუმლოდ ეცნობებინა“ თბილისის სასამართლო პალატის პროკურორისათვის.⁴ **ამრიგად, თბილისში ძიებას ნიკონის მკვლელობის შესახებ არავითარი ვერსია არ გააჩნდა. ვერსია უკარნახეს პეტერბურგიდან.**

თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველომ, თბილისის ოხრანკამ და თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორმა ნიკონის მკვლელობის საქმის ძიება ისე წარმართეს, რომ **მკვლელობაში ბრალი დასდებოდა ქართველ ავტოკეფალისტებს.** პოდპოლკოვნიკი ერიომინი სწრაფად მიხვდა, თუ რა მიმართულებით აპირებდა პეტროგრადი ძიების წარმართვას. სწორედ ამი-

² სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 5.

³ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 13.

⁴ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 13.

ტომ ძიების მიერ მოპოვებული მასალის საწინააღმდეგოდ დაუყოვნებლივ უპასუხა პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის დეკემას. ერიომინი აღნიშნავს, რომ ეგზარქოსის მკვლელობა ორგანიზებული იყო საქართველოს უმაღლესი სამღვდელთა – ავტოკეფალისტების – მიერ. უშუალოდ მკვლელობა კი განხორციელდა დაქირავებული მკვლელების ხელით.⁵

ძიების ყურადღების ცენტრში თავიდანვე მოექცა ეპისკოპოსი კირიონი (ერში გიორგი საძაგლიშვილი), რომელიც, იმხანად საქართველოდან განდევნილი, ხარკოვის ახლოს, კურიაჟის მონასტერში ცხოვრობდა. **ეპისკოპოსი კირიონი ძიების მიერ მიზნული იქნა ნიკონის მკვლელობის „ინტელექტუალურ ორგანიზატორად“.**⁶ დაიწყო სამხილის ძიება, თბილისის გუბერნიის უანდარმერიის სამმართველო და თბილისის ოხრანკა ცდილობდნენ დაედგინათ: იყო თუ არა ეპისკოპოსი კირიონი ფარულად ჩამოსული საქართველოში ნიკონის მკვლელობის წინა ხანებში. გაიმართა მიმოწერა ხარკოვის გუბერნატორთან და ოხრანკასთან, რომელთაც ვერ დაადასტურეს ეპისკოპოს კირიონის ხარკოვიდან საქართველოში გამომგზავრების ფაქტი.⁷ სამაგიეროდ, უანდარმერიამ ხელში ჩაიგდო ეპისკოპოს კირიონის მიერ თბილისში წმინდა ბარბარეს ეკლესიის წინამძღვრის იოსებ ჩიჯავაძისადმი გამოგზავნილი ორი წერილი.⁸ ერთ-ერთი წერილიდან, რომელიც დათარიღებულია 1908 წ. 27 აპრილით, დგინდება, რომ ეპისკოპოსი კირიონი მართლაც ყოფილა თბილისში 1908 წლის აპრილში, თუმცა წერილიდან არ ჩანს, როდის ჩამოვიდა იგი თბილისში.⁹ აღნიშნული წერილის საფუძველზე ძიებამ დაადგინა, რომ ეპისკოპოსი კირიონი თბილისში იმყოფებოდა

⁵ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 14.

⁶ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 120.

⁷ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 32, 61-62, 116.

⁸ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 54-56, 58-60.

⁹ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 58-59.

აღდგომამდე და სამი დღე ცხოვრობდა ავტოკეფალისტ იოსებ ჩიჯავაძის სახლში, ხოლო შემდეგ გაემგზავრა თავის მამულში, გორის მაზრის სოფელ ქვემო ნიქოზში.¹⁰ ეს იყო და ეს. ძიებამ ეპისკოპოს კირიონის რაიმე კავშირი ნიკონის მკვლევლობასთან ვერ დაადასტურა.

1908 წლის 7 ივნისამდე ძიების მასალებში არ იყო არც ერთი ყურადსაღები დოკუმენტი, რომელიც დაამტკიცებდა ქართველი ავტოკეფალისტების კავშირს ნიკონის მკვლევლობასთან. 7 ივლისს ასეთი დოკუმენტიც გაჩნდა. წინასწარ ვიტყვი, რომ ეს დოკუმენტი აშკარად შეთითხნილია ან თვით ჟანდარმერიის მიერ, ან ჟანდარმერია შეცდომაშია შეყვანილი დაინტერესებული პირის (პირების) მიერ. თუმცა ჟანდარმერია ამ უკანასკნელ შემთხვევაში დიდად არ დაზარალებულა, რადგან კარგა ხანია ძიება მიისწრაფოდა ისეთი მასალის ხელში ჩაგდებისაკენ, რომელიც დაადასტურებდა ნიკონის მკვლევლობაში ქართველ ავტოკეფალისტთა მონაწილეობას. ახლა თვით დოკუმენტის შესახებ. 1908 წლის 7 ივლისს ამიერკავკასიის რკინიგზის ჟანდარმერიის საპოლიციო სამმართველოს უფროსი თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს აცნობებს შემდეგს: 2 ივნისს თბილისში, ალექსანდრეს ბაღში საუბრობდა სამი პიროვნება: სიონის ეკლესიის მღვდელი თოთიბაძე, კიდევ ერთი მღვდელი, რომელიც ჟანდარმერიისათვის უცნობი დარჩა და მუშა მიშა შადინოვი. საუბარი შეეხებოდა ნიკონის მკვლევლობის გამომწვევ მიზეზებს. სამთა საუბრიდან დგინდება, რომ თოთიბაძე ძლიერ უკმაყოფილო იყო იმის გამო, რომ რუსეთის ეკლესიის სინოდი საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიას არ აძლევდა. ამაში იგი ადანაშაულებდა ყოფილ ეგზარქოს ნიკონსა და რუსული სამღვდელოების სხვა წარმომადგენლებს. თოთიბაძეს საუბრისას ისიც გაუსენებია, რომ 1907 წელს ავტოკეფალიის მომხრე ქართველი სამღვდელოების კრება ეგზარქოსმა ნიკონმა კაზაკებს დაარბევინა. თოთიბაძე აღშფოთებას ვერ მალავდა ავტოკე-

¹⁰ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 193.

ვალის მომხრეთა (ეპისკოპოსი კირიონი, ეპისკოპოსი ლეონიდე და სხვები) დასჯის გამო. საუბრის ბოლოს თოთიბაძეს უთქვამს: „ეხლა რუსები ქართველების უკმაყოფილონი არიან ეგზარქოსის მკვლელობის გამო, მაგრამ განა რუსებმა თვითონ არ მოჰკლეს დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, შიო ჩიტაძე და სხვები. რუსები ფიქრობენ, რომ ჩვენ, ქართველები, ამას ყურადღების გარეშე დავტოვებთ, არა, ჩვენც ასევე მოვკლავთ“.¹¹ ძიებას არ დაუდგენია არავითარი დეტალი: არ დაუკითხავს დეკანოზი ანტონ თოთიბაძე და მიშა შადინოვი, არ დაინტერესებულა, ვინ იყო ის მეორე მღვდელი, რომელიც საუბარში მონაწილეობდა. მასალებიდან არ ჩანს, როგორ იქნა მოპოვებული ეს ინფორმაცია, სანდო იყო თუ არა დამსმენი, ცნობა აგენტურული იყო თუ შემთხვევითი ხასიათისა და სხვ. რაც მთავარია, გაურკვეველია, 2 ივნისს გამართული საუბრის შინაარსი ჟანდარმერიის ერთმა უწყებამ (ამიერკავკასიის რკინიგზის) რატომ გადასცა მეორეს (თბილისის გუბერნიის) ასე დაგვიანებით – 7 ივლისს. ძიებას ასეთი დეტალები არ აინტერესებდა. მთავარი აქ ის იყო, რომ დოკუმენტი ადასტურებდა ნიკონის მკვლელობის ოფიციალურ ვერსიას – მკვლელობის ორგანიზებას ქართველი ავტოკეფალისტების მიერ.

გარკვეული ხანის შემდეგ ნიკონის მკვლელობაში ბრალი დაედო ორ პიროვნებას – მღვდელ **გიორგი პარკაძესა** და გორის მაზრის სოფელ ურბნისის დიაკონის გიორგი ირემაშვილის ვაჟს – **იოსებ ირემაშვილს**.¹² თბილისის ოხრანკამ დაადგინა, რომ მღვდელი გიორგი ვიქტორის ძე პარკაძე და ასოთამწყობი იოსებ გიორგის ძე ირემაშვილი ცხოვრობდნენ თბილისში. გიორგი პარკაძე 1906 წლის დამდეგიდან იძებნებოდა როგორც გორის მაზრაში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი წინამძღოლი. რაც შეეხება იოსებ ირემაშვილს, თბილისის ოხრანკას მის შესახებ ცნობები არ გააჩნდა. 1908 წლის 28 აგვისტოს პოლიცია მივიდა

¹¹ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 80-81.

¹² სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 111.

იოსებ ირემაშვილის ბინის გასაჩხრეკად. იოსებ ირემაშვილმა გაქცევა მოახერხა, მაგრამ 31 აგვისტოს იგი მანც დააპატიმრეს.¹³

ამრიგად, ძიების მიერ ნიკონის მკვლელებად მიჩნეული ორი პიროვნებიდან ერთი – მღვდელი გიორგი პარკაძე – რევოლუციური მოღვაწეობის აქტიური მონაწილე იყო, ხოლო მეორე – იოსებ ირემაშვილი – სოციალ-დემოკრატი.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკონის მკვლელობაში ქართველ ავტოკეფალისტთა მონაწილეობის დამადასტურებელი მასალა ძიებას არ გააჩნდა, 1908 წლის აგვისტოში თბილისის საოლქო სასამართლოს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელმა მალინოვსკიმ წინასწარი ძიების მიერ მოპოვებული მასალის საფუძველზე შეაჯამა შედეგები. თავისი მოცულობით ვრცელი დოკუმენტი თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორმა 1908 წელის 19 აგვისტოს გადაუგზავნა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს.¹⁴ **გამომძიებელი და პროკურორი ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში ყოველგვარი ეჭვის გარეშე ბრალს სდებდნენ ქართველ ავტოკეფალისტებს.** მკვლელობის მოტივი დოკუმენტში ასეა განმარტებული: ეგზარქოსი ნიკონი წინააღმდეგი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა, რის გამოც იგი თავიდან მოიცილეს ქართველმა ავტოკეფალისტებმა.¹⁵ პროკურორი ჟანდარმერიისაგან მოითხოვდა, რომ „დაედგინა უშუალო კავშირი ავტოკეფალურ მოძრაობასა და ეგზარქოს ნიკონის მკვლელობას შორის“.¹⁶ ე. ი. ასეთი კავშირი 1908 წლის 19 აგვისტოსათვის, პროკურორისავე აღიარებით, ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი. პროკურორი საჭიროდ თვლიდა, აგენტურის საშუალებითა და ფარული მეთვალყურეობის გზით ჟანდარმერიას ავტოკეფალისტთა შორის მოეპოვებინა ისეთი მასალა, რომელიც „საშუალებას მისცემდა, აღმოეჩინა ამ ბოროტმოქმედების რო-

¹³ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 171, 173.

¹⁴ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 126-168.

¹⁵ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 156.

¹⁶ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 157.

გორც ფიზიკური, ისე ინტელექტუალური დამნაშავენი“.¹⁷ დოკუმენტში ჩამოთვლილია 64 ავტოკეფალისტი, რომლებიც ძიების ყურადღების ცენტრში უნდა ყოფილიყვნენ. ძიებისათვის საინტერესოდ მიჩნეულია ორი მონასტერი – **გელათისა და ბერთუბნისა**.¹⁸ ავტოკეფალისტთა სიაში პირველია ეპისკოპოსი **კირიონი**, შემდეგ მოდიან გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი **ლენიდი**, გორის ეპისკოპოსი **პეტრე**, იმერეთის ეპისკოპოსი **გიორგი**, ალავერდის ეპისკოპოსი **დავითი**, არქიმანდრიტი **ამბროსი (ხელაია)**, მღვდლები: **ქრისტეფორე ციციქიშვილი**, **ილარიონ ჯაში**, **კალისტრატე ცინცაძე**, **იოსებ ჩიჯავაძე**, **ვასილ კარბელაშვილი** და სხვები.¹⁹

ეგზარქოს ნიკონის მკვლევლობის საქმის ძიება დიდხანს გრძელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჟანდარმერია დიდი გულმოდგინებით ცდილობდა, ნიკონის მკვლევლობაში ქართველი ავტოკეფალისტებისათვის დაედო ბრალი, ძიების მიერ მოპოვებულ მასალებში სულ უფრო მეტი რაოდენობით ჩნდება ცნობები, რომლებიც აშკარას ხდის **ეგზარქოსის მკვლევლობის ორგანიზებას სოციალ-დემოკრატების მიერ**.²⁰

მაინც ვინ მოკლა ეგზარქოსი ნიკონი? რა პოლიტიკურ მიზნებს ისახავდნენ მკვლევლობის ორგანიზატორები?

ჩვენი ყურადღება მიიქცია ეგზარქოსის მკვლევლობის საქმეში დაცულმა სამმა დოკუმენტმა. ეს დოკუმენტებია: **ჟანდარმერიის ანონიმი აგენტის 1908 წლის 16 აპრილის, 10 მაისისა და 2 ივნისის დასმენები**.²¹

ანონიმი აგენტის პირველი დასმენა ეხება 1908 წლის 12 აპრილს თბილისის ერთ-ერთი მონასტრის მღვდელ-მონაზონის

¹⁷ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 157.

¹⁸ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 157-158.

¹⁹ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 157-158.

²⁰ სსცსა, ფონდი 95, აღწერა 1, საქმე 29, ფურცელი 84-87, 89, 107-108, 119.

²¹ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 1-3, 8-9, 17-19.

სამონასტრო ხაზინის გამგებლის გავრილის მკვლელობას. ანონიმი აგენტი უარყოფს ვერსიას იმის შესახებ, რომ გავრილი ფულის გულისათვის იქნა მოკლული. მისი მტკიცებით, **გავრილის მკვლელობა ბრალად ედება „ღიაკონთა და მეფსალმუნეთა თბილისის კომიტეტს“**, რომელიც იმყოფებოდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის გამგებლობაში.²² აგენტის ცნობით, კომიტეტში შედიოდნენ: მთავარანგელოზის ეკლესიის ღიაკონი ტომითე ბაკურაძე, წმინდა თომას მისიონერთა ეკლესიის ღიაკონი ალექსანდრე დავიდოვი, ანჩისხატის ეკლესიის ღიაკონი დავით ჩიკვაძე, იმავე ეკლესიის ყოფილი მეფსალმუნე სიმონ გოგიაშვილი. კომიტეტის თავმჯდომარე იყო ტიმოთე ბაკურაძე, მდივანი – ალექსანდრე დავიდოვი. კომიტეტს ჰყავდა თავისი ტერორისტები: **დათა, ალექსა და ლადო**. კომიტეტის ბინა ავლაბარში მდებარეობდა, მისი ზუსტი მისამართი აგენტმა არ იცოდა. კომიტეტის მიზანი, აგენტის ცნობით, იყო სასულიერო და საერო წყობილების მოსპობა, კომიტეტის წევრთა ცხოვრების გაუმჯობესება.²³

1907 წელს „ღიაკენების და მეფსალმუნეთა თბილისის კომიტეტმა“ ბრძოლა გამოუცხადა ანჩისხატის ეკლესიის მღვდელ პოლიევქტ კარბელოვს (კარბელაშვილს – ვ. გ.). **კომიტეტის მაშინდელმა მდივანმა, მორჩილმა არსენ ლომიამ ამასთან დაკავშირებით ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში წერილებიც კი გამოაქვეყნა.**²⁴ 1907 წლის 5-7 აგვისტოს კომიტეტმა ორგზის სცადა პოლიევქტ კარბელაშვილის მოკვლა. კარბელაშვილი ორივეჯერ გადარჩა, გადარჩა მხოლოდ იმის გამო, რომ ტერორისტები რაქდენი და ანტონი თავდასხმამდე დააპატიმრეს. კომიტეტსა და პოლიევქტ კარბელაშვილს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით მაშინ დაიძაბა, როცა კარბელაშვილმა მეფსალმუნე სიმონ გოგიაშვილს სამუშაო

²² სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 1.

²³ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 1-2.

²⁴ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 1-2.

აღარ მისცა და მისი საქციელის შესახებ აცნობა თბილისის გენერალ-გუბერნატორს.²⁵ 1907 წლის შემოდგომაზე კომიტეტმა გაილაშქრა წმინდა მარინეს ეკლესიის დეკანოზის ლაზარე ტურეივის (ტურიაშვილის – ვ. ჯ.) წინააღმდეგ. ტურიაშვილის მკვლელობა ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ დეკანოზი ავადმყოფობდა და მის მაგივრად ღვთისმსახურებას სხვები ეწეოდნენ, უფრო ხშირად კი მღვდელ-მონაზონი გავრილი. ამ უკანასკნელს ტომითე ბაკურაძემ აუკრძალა ღვთისმსახურება იმ მოტივით, რომ ეკლესიას ბოიკოტი ჰქონდა გამოცხადებული. მღვდელ-მონაზონი გავრილი არ შეშინდა, პირიქით, ტომითე ბაკურაძეს დაემუქრა: ყველაფერს პოლიციას ვაცნობებო. ტომითე ბაკურაძეც თავის მხრივ დაემუქრა გავრილს და კიდევ აღასრულა მუქარა. 1908 წლის 12 აპრილს ტერორისტებმა დათამ და ლადომ მოკლეს მღვდელ-მონაზონი გავრილი.²⁶ ამავე დასმენაში ანონიმი აგენტი აღნიშნავდა, რომ **კომიტეტის გეგმებში შედის პოლიევქტ კარბელაშვილის, ლაზარე ტურიაშვილის და საქართველოს ეგზარქოსის ნიკონის მოკვლა.** აგენტი საჭიროდ თვლიდა კომიტეტის წევრებზე გაძლიერებული ფარული მეთვალყურეობის დაწესებას. იქვე მიუთითებდა კვირაში ერთხელ მათი შეკრების სამ სავარაუდო ადგილს: ეგზარქოსის კანცელარია, სინოდალური კანტორა და წმინდა მარინეს ეკლესიის ეზო.²⁷

როგორც ვხედავთ, სახეზე იყო კონკრეტული ფაქტები: დანაშაულებრივი ორგანიზაცია მასში შემავალი წევრების ვინაობის ზუსტი მითითებით, ტერორის მცდელობის ორი შემთხვევა, სასულიერო პირის მკვლელობა, მოსალოდნელი ტერორის ობიექტების ვინაობის ზუსტი მითითება. მიუხედავად ამისა, ჟანდარმერიამ არაერთარი ზომები არ მიიღო, მით უმეტეს, რომ აგენტის მიერ 1908 წლის 12 აპრილს შედგენილი დასმენა 19 აპრილს ჟანდარმერიას

²⁵ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 2.

²⁶ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 2-3.

²⁷ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 3.

უკვე მიღებული ჰქონდა, ე. ი. ნიკონის მკვლევლობამდე კიდევ რჩებოდა თვეზე მეტი. აგენტისადმი უნდობლობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი ძიების მასალებში არ მოიპოვება. რა თქმა უნდა, თბილისის გუბერნიის ქანდარმერიის სამმართველო, პროფესიული პრესტიჟის დაცვიდან გამომდინარე, ყოველნაირად შეეცდებოდა ძიების მასალებისათვის არ დაერთო ანონიმი აგენტის 1908 წლის 12 აპრილის დასმენა. მით უმეტეს, რომ პეტროგრადიდან უკვე ძიების დასაწყისშივე (4 ივნისს) პეტროგრადიდან თბილისის გუბერნიის ქანდარმერიის უფროსი სრულიად არაორაზროვნად მიახვედრეს, რომ ნიკონის მკვლევლობაში ქართველი ავტოკეფალისტები უნდა დაედანაშაულებინათ. ხსენებული დასმენა კი ხელისუფლებისათვის სრულიად მიუღებელ ვერსიას უდებდა საფუძველს.

ანონიმი ავტორის მეორე დასმენაში (1908 წლის 30 მაისი) აღნიშნულია, რომ ტიმოთე ბაკურაძეს, აღექსანდრე დავიდოვსა და დავით ჩიკვაიძეს ეგზარქოს ნიკონის მკვლევლობა განზრახული ჰქონდათ 1907 წლის 6 მაისს. მაგრამ იმის გამო, რომ **ტერორისტი ვასო სოციალ-დემოკრატების მიერ კახეთში იყო მივლინებული, ეგზარქოსზე თავდასხმა გადაიდო.**²⁸ 20 მაისს სიმონ გოგიაშვილი დაბრუნდა კახეთიდან და თან ჩამოიყვანა ტერორისტი ვასოც. მკვლევლობამდე ტერორისტს ორი ღამე ეძინა სიმონ გოგიაშვილისას და დავით ჩიკვაიძისას, ხოლო დანარჩენი დროის განმავლობაში ტიმოთე ბაკურაძისას.²⁹ აგენტის ცნობით, 1908 წლის 28 მაისს 9 საათსა და 30 წუთზე ტერორისტი ვასო სინოდალურ კანტორასთან ჩურჩულით ესაუბრებოდა ტიმოთე ბაკურაძეს, დავით ჩიკვაიძესა და აღექსანდრე დავიდოვს. მათ უჩვენეს ვასოს კანცელარიის ყველა შესასვლელი, ასევე აცნობეს ეგზარქოსის მოსვლის დრო. ისინი ერთმანეთს დასცილდნენ 10 საათსა და 25 წუთზე. ეგზარქოსის მოკვლის შემდეგ ტერორისტები მიიმალნენ. აგენტის ცნობიდან ჩანს, რომ მკვლევლობის ადგილზე სულ

²⁸ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 8.

²⁹ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 8.

ოთხი ტერორისტი იმყოფებოდა, რომელთაგან ისროლა მხოლოდ ორმა.³⁰ ძიებას არც ანონიმი აგენტის 1908 წლის 30 მაისის დასმენა გაუთვალისწინებია, თუნდაც იმისათვის, რომ მკვლელობის ერთ-ერთი ვერსია დაემუშავებინა.

ანონიმი აგენტის მესამე დასმენა (1908 წლის 2 ივნისი) აზუსტებს ეგზარქოსის მკვლელობის მნიშვნელოვან დეტალებს. კერძოდ, აგენტი აღნიშნავს, რომ 28 მაისს, დილით, ნიკონის მკვლელობამდე სინოდალური კანტორის შესასვლელთან, მეორე დასმენაში მოხსენიებულია გარდა, იმყოფებოდა კიდევ ერთი პიროვნება, რომელიც მეორე დასმენაში აგენტმა არ მოიხსენია იმიტომ, რომ მისი ვინაობა უცნობი იყო. აგენტს დაუდგენია, რომ უცნობი იყო მღვდელი ობრაზცოვი, რომელიც 1906 წელს თანამშრომლობდა ი. ბრიხნევიჩის ჟურნალში „ვსტან სპიაში“. დასმენიდან ჩანს, რომ ათეისტური და რევოლუციური განწყობილებით ცნობილი ობრაზცოვი იმხანად აგრძელებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას.³¹ როცა ტიმოთე ბაკურაძე და დავით ჩიკვაძე ერთმანეთს დაშორდნენ და თავიანთ სახლებში წავიდნენ, ხოლო ტერორისტები (ოთხნი) სინოდალური კანტორის შესასვლელში შევიდნენ, სინოდალური კანტორის წინ დარჩა მღვდელი ობრაზცოვი, რომელიც თითქოს ეგზარქოსისათვის თხოვნის გადაცემას აპირებდა. ნიკონი მოსვლისას გაესაუბრა გენერალ-ლეიტენანტ გიორგი ყაზბეგს, ხოლო როცა ეს უკანასკნელი დასცილდა ეგზარქოსს, ნიკონთან მივიდა ობრაზცოვი. სწორედ მაშინ, როცა იგი ნიკონს ესაუბრებოდა, გაისმა გასროლა. ორი გასროლის შემდეგ ობრაზცოვი გაიქცა და შევარდა ეგზარქატის ეზოში.³² დასმენიდან ჩანს, რომ აგენტი შესაძლებლად თვლიდა ტერორისტებთან შეთანხმებით ობრაზცოვის მიერ ნიკონის განგებ შეფერხებას შესასვლელთან, ამიტომაც ითხოვდა მის დაპატიმ-

³⁰ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 9-10.

³¹ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 17.

³² სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 17-18.

რებას.³³ აგენტის დასკვნით, სწორედ ობრაზცოვი, ტიმოთე ბაკურაძე, დავით ჩიკვაძე და მათი კამპანია, სოციალ-დემოკრატები, „დიაკონთა და მეფსალმუნეთა თბილისის კომიტეტი“ იყვნენ ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის ორგანიზატორები. ძიებას არც ჟანდარმერიის ანონიმი აგენტის მესამე დასმენა მიუღია მსედველობაში.

კიდევ ერთი დეტალი. აგენტი მესამე დასმენაში ითხოვდა ფულს, რომელიც, მისივე სიტყვებით, აგენტურული ცნობების მოპოვებისათვის სჭირდებოდა (ტრანსპორტის ხარჯები). თუ აგენტისათვის ფულის მიცემა გადაწყდებოდა, ნდობით აღჭურვილი ჟანდარმი 3 იენის სადამოს 5 საათიდან 6 საათამდე უნდა მისულიყო ლორის-მელიქოვის ქუჩა №10-ში.³⁴ ეტყობა, ჟანდარმერიამ აგენტი აღარ დააფინანსა, რადგან მის მიერ მიწოდებული ცნობები ხელს უშლიდა ნიკონის მკვლელობაში ქართველი ავტოკეფალისტებისათვის ბრალის დადებას. ყოველ შემთხვევაში, ძიების მასალებში ანონიმი აგენტის შემდეგი დასმენები აღარ გვხვდება.

სოციალ-დემოკრატები, რომელთაც პოლიტიკური მკვლელობისა და კვალის დაფარვის დიდი გამოცდილება ჰქონდათ, ახლაც დინჯად და დაბეჯითებით მიდიოდნენ დასახული მიზნისაკენ. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ნაპერწკალი“ ნიკონის მკვლელობის შემდეგ დღეებში (30 მაისი, 5 ივნისი, 7 ივნისი) მხოლოდ ისეთ მასალას აქვეყნებდა, რომელიც ხან აშკარად, ხან კი ფარულად მიანიშნებდა ეგზარქოსის მკვლელობაში ქართველი ავტოკეფალისტების მონაწილეობას.³⁵ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა უკვე 31 მაისს გამორიცხეს ნიკონის მკვლელობაში არა მარტო სოციალ-დემოკრატიული პარტიის, არამედ საერთოდ ყველა პოლიტიკური პარტიისა და მიმდინარეობის მონაწილეობა და ეგზარქოსის მკვლელობა „უგუნურ-

³³ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 18.

³⁴ სსცსა, ფონდი 94, აღწერა 1, საქმე 85, ფურცელი 19.

³⁵ იხ. გაზ. „ნაპერწკალი“, 1908, №4, №5, №8, №10.

თა კერძო შურისძიებად“ გამოაცხადეს³⁶ და ეს მაშინ, როცა მთელი შავრაზმელოური რუსეთი, ოფიციალური „კავკაზი“ და „გოლოს კავკაზი“ ნიკონის მკვლევლობას სწორედ ავტოკეფალისტთა შურისძიებად თვლიდნენ.

ზემოთ მოყვანილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1) თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველომ, თბილისის ოხრანკამ და თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორმა, პეტროგრადიდან მიღებული მითითების თანახმად, შექმნა ვერსია, თითქოს საქართველოს ეგზარქოსი ნიკონი მოკლეს ქართველმა ავტოკეფალისტებმა. **მიზანი ასეთი ვერსიისა ნათელი იყო: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლთა დარბევა, ამ მოძრაობის მოსპობა.**

2) ჟანდარმერიის ანონიმი აგენტი ჯერ კიდევ 1908 წლის 16 აპრილს აცნობებდა თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს, რომ **ეგზარქოსის მოკვლას აპირებდა „დიაკონთა და მეფსალმუნეთა კომიტეტი“**, რომელიც თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის ხელმძღვანელობით მოქმედებდა. სოციალ-დემოკრატებმა კარგად იცოდნენ, რომ ნიკონის მოკვლას ავტოკეფალისტთა დევნა მოჰყვებოდა, რაც უშუალოდ შედიოდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა გეგმებში. ქართველ ავტოკეფალისტთა მოძრაობა, როგორც ყველაზე წმინდა ნაკადი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, სულიერ საზრდოს აძლევდა, მორალურად ამხნევებდა იმ ძალებს, რომლებიც საქართველოს რუსეთიდან გამოყოფისათვის იბრძოდნენ. **ამას კი ქართველი სოციალ-დემოკრატები ვერ დაუშვებდნენ. ცნობილია, რა დიდი რისხითა და შემართებით ებრძოდნენ ისინი საქართველოს ავტონომიის იდეასაც კი რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში და შემდგომ ხანებში.**

3) ავტოკეფალისტები ეგზარქოს ნიკონს არ მოკლავდნენ, რადგან მათ კარგად იცოდნენ, რომ ეს არ იყო გზა საქართველოს

³⁶ იხ. გაზ. „ნაპერწკალი“, 1908, №5.

ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებისა. არა მარტო პოლიტიკური მოსახრებებით იყო ეს მკვლევლობა მათთვის მიუღებელი (მკვლევლობას ხომ ახალი რეპრესიები მოჰყვებოდა), არამედ, უპირველეს ყოვლისა, მორალური თვალსაზრისით. ეპისკოპოსი კირიონი და მისი თანამოაზრეები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში ურყევად იცავდნენ უფლის მცნებას: „**არა კაც ჰკლავ; ხოლო რომელმან მოკლას, თანამღებ არს სასჯელი-სა**“.³⁷ ის, ვინც ასე ხელადებით სდებდა ბრალს ქართველ ავტოკეფალისტებს ნიკონის მკვლევლობაში, პირველ რიგში, თავის მორალურ გადაგვარებას უსვამდა ხაზს.

ამრიგად, ეგზარქოს ნიკონის მკვლევლობის ერთადერთი შესაძლო ორგანიზატორები შეიძლებოდა, ყოფილიყვნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები.

დაბოლოს, მაინც ვისი ძალიხმევითაა შექმნილი ის დოკუმენტი, რომელშიც დაფიქსირებულია აღექსანდრეს ბაღში **ანტონ თოთიბაძისა და მიშა შადინოვის** შორის გამართული საუბარი? ეს ხომ ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც ნიკონის მკვლევლობაში ქართველ ავტოკეფალისტთა მხილებისათვის გამოდგებოდა. **მას შესაძლო ორი ავტორი ჰყავს: ქართველი სოციალ-დემოკრატები და ჟანდარმერია. არც ერთს და არც მეორეს ხელს არ აძლევდა ავტოკეფალისტთა მოძრაობის აღმავლობა, რაც უთუოდ შეუწყობდა ხელს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებას.**

ეგზარქოს ნიკონის მკვლევლობა არ ყოფილა ქართველი ერისათვის ტრაგედია. შემზარავი მთელ ამ ისტორიაში ისაა, თუ რა მზაკერული გზა იქნა არჩეული ავტოკეფალისტთა მოძრაობის დარბევა-განადგურებისათვის. პოლიტიკურ ბრძოლაში მიზანი ამართლებს საშუალებას. აქ მიუღებელია სახარების სიბრძნე: **„ყოველმან რომელმან ქმნეს ცოდვაჲ, მონაჲ არს იგი ცოდვისაჲ და მონამან არსადა დაიმკვდროს სახელსა შინა უკუნისამდე“**.³⁸

³⁷ მათე, 5, 21.

³⁸ იოანე, 8, 34-35.

როზეტა გუჯეჯიანი – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული
უნივერსიტეტის პროფესორი,
ისტორიის დოქტორი

ისტორიული მახსოვრობის ფაქტები თურქეთის რესპუბლიკის მარმარილოს ზღვის რეგიონების ეთნიკურ ქართველთა შორის

მარმარილოს ზღვის რეგიონების ქართველი მოსახლეობის კომპაქტური განსახლების არეალი რამდენიმე მსხვილ რეგიონს მოიცავს: საქარია, დუზჯე, ბურსა, ქოჯაელი.¹

¹ **საქარიას რეგიონში** ქართველების კომპაქტური განსახლების ზუსტი არეალი: ადაფაზარი//საქარია (ცენტრალური ქალაქი), ჰენდეკის, ქარასუს, ქოჯაალის, აქიაზის, არიფიეს, საფანჯას, გეივეს, ქაინარჯას, ქარაფურჩეკის რაიონები. **ჰენდეკის რაიონში** ქართველთა კომპაქტური დასახლებები აღმოჩნდა შემდეგ სოფლებში: გიულდიბი, მურადიე, პიჯრიე, შეკვეთიე, ჰუსეინშეჰინი, ესენთეფე, ნურიე (ჰენდეკის დასავლეთით); იკბალიე, ბალიკლი, ჰასანიე, ფეკერლეკი, სულეიმანიე, გუნდოლანი, იკრამიე, ინამიე, კიზანლი (ჰენდეკის სამხრეთით); სერვეთიე, ჰამითლი (ჰენდეკის სამხრეთ-აღმოსავლეთით); ლუტფიეკოშკი, ბიჩქიადიქი (ჰენდეკის აღმოსავლეთით). გარდა ზემოთ დასახელებული სოფლებისა, ქალაქ ჰენდეკის ცენტრალურ ნაწილშიც არსებობს ქართველთა კომპაქტური დასახლება: გურჯუ მაჰალესი - ქართველთა უბანი. ეს არის, ბუნებრივია, ქალაქური ტიპის დასახლება. **ქარასუს რაიონი:** ქალაქის ერთ-ერთი მაჰალე//უბანი - აზიზიე. **ქოჯაალის რაიონი:** სოფლები: ქოხლუელი (ძველი სახელი გურჯი ფაჰრიე), დემირანმა, ქოი იერი (ძველი სახელი - გურჯიქოი). **გეივეს რაიონი:** ქიშლანაია, ქარანაი, დოდანჩაი, სარაი, ნუროსმანიე (ძველი ბიჩქიდერე). **საფანჯის რაიონი:** ქალაქი საფანჯა, მისი ცენტრი - იენი მაჰალე, ქალაქ საფანჯის გარეუბანი - მაჰმუდიე, გიულდიბი, იკრამიე, მურადიე, ერდემლი, ქირქვინარი, აქჩაი. **აქიაზის რაიონი:** ბელდიბი, რეშადიე, ქუზულუქი, ქუზუჯუქი. **ქარაფურჩეკის რაიონი:** აჰმედიე, მეჯიდიე. **დუზჯეს რეგიონი,** აქნაქოჯას

მარმარილოს ზღვის რეგიონების ქართველი მოსახლეობის ისტორიულ მახსოვრობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მუჰაჯირობის ისტორიას. უმრავლეს შემთხვევაში მოხრობელებს ახსოვთ მშობლიური ხეობებისა და სოფლების სახელები. შეონახულია ოსმალური პერიოდის გვარებიც, ზოგიერთ შემთხვევაში კი ისტორიული ქართული გვარებიც.²

მარმარილოს ზღვის რეგიონების ქართველითა წინაპრები, ძირითადად, მოსულნი არიან ზემო აჭარადან (ხულო, შუახევი, ქედა), ისტორიული ნიგალიდან: მდინარე ჭოროხის მარცხენა და მარჯვენა ნაპირებზე არსებული ქართული თემებიდან (ხატილასწყლის ხეობა, ქართლა, თხილაძე/თხილაძორი, ორჯი, ომანა, ტრაპენი, ადაგული, ახალდაბა, ებრიკა, ბაგინისწყლის ხეობა, დევსქელის ხეობა, ბორჩხა, მურღულის ხეობა, ხება-მარადილი, კირნათი,

რაიონი, სოფელი მელენი პირი (თურქულად მელენ აღზუ), **ბურსის რეგიონი**: იზნიქის რაიონი, გემლიქის რაიონი, ინეგოლის რაიონი. **იზნიქის რაიონის** ქართული კომპაქტური დასახლებები: ელმალი, ჰჯიოსმანი, ქირინთი, ჯანდარლი, ქუთლუჯა, სარისუ, ქირხანმანი. **ინეგოლის რაიონის** ქართული სოფლები: ხეირიე//ჰაირიე, გაზელი (ახლანდელი სახელი ჰამიდიე), სულჰიე, ილმიე, მესრურიე, ბახჩეკაია, მურათბეი და სხვ. **გემლიქის რაიონის** ქართული სოფლები: ჰამიდიე, ჰაიდარიე, ჰაირიე, ნეჯიდიე, ბელაქეჩერ, სელიმიე. **ქოჯაელის რეგიონი**: შექქეთიე - საჭმადი, სირეთიე - მურღული, ჰამიდიე - ბორჩხა, მაჰმურიე - მურკიევითი, ნუსრეთიე - დიდი დოშემე, დოშემე - ცოცხოზა, უმიე - კამპარა, ეთნიკურად შერეული სოფლები: ალიმეზარი - იჯადიე, ბეილული - ირშადიე, ჩაიდალი - ფერადიე, ბეგოლლი - ლუტგოე, ჩათალტაში - აივაზპინარი, შირინქოი - დმლარი, სელიმიე - ჩერქეზქოი.

² ნაშრომი ეყრდნობა 2010-2013 წლებში ზემოხსენებულ რეგიონებში განხორციელებულ ინდივიდუალურ (2010-2012 წწ.) და კომპლექსურ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებს. კომპლექსური ექსპედიცია შედგა 2013 წლის აგვისტოში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტის „თურქეთის ქართველები: ისტორია, სულიერი და მატერიალური კულტურა, ენობრივი ვითარება“ ფარგლებში. გრანტის განმახორციელებელია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სასწავლო უნივერსიტეტი. დამოწმებული ეთნოგრაფიული მასალა ინახება ავტორთან, როგორც ჩანაწერების, ასევე ვიდეო მასალის სახით.

ეგრე, გვარა³). ჰენდეკის რაიონში, ინეგოლის რაიონის სოფელ ხეირეში (ჰეირიე) და დუზჯეს რეგიონის სოფელ მეღენიპირში განსახლებულნი არიან მაჭახლეღთა შთამომავლები. მახინჯაურიდან მუჰაჯირები, ძირითადად, გემლიქის რაიონში განსახლებულან და ა. შ.

ქართვეღთა ისტორიულ მახსოვრობას შემოუნახავს ოსმაღღეთის იმპერიის სახელმწიფო მოხელის **ჰასან ფეჰმი ფაშას** სახელი, რომღის დახმარებითაც განსახლებულან მუჰაჯირი ქართვეღები მარმარიღოს ზღვის რეგიონებში. მიუთითებენ, რომ ფაშა წარმოშობით ქართვეღი იყო და ამიტომ დაავაღა მას მუჰაჯირებზე ზრუნვა სულთანმა.

ისტორიული მახსოვრობის მნიშვნეღოვანი სეგმენტი არის ხსოვნა **მშობღიური მხარეების სახეღებისა**, საიდანაც წამოსულან წინაპრები და ტრადიცია – **მშობღიურ სოფეღთა სახეღების ახალი დასახლებებისთვის შერქმევისა**.

ზოგიერთ სოფელს მარმარიღოს ზღვის რეგიონებში, ათათურქის მიერ გატარებულ სახელმწიფო რეფორმებამღე, **ქართული სახეღები** რქმეღია: მაგალითად, საქარიას რეგიონის თანამედროვე სოფელი **ჰიჯრიე** ამოწნდა სოფელი **ორჯი**. ორჯი ართვინის რეგიონშია, მღინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირზე და ორ ნაწიღადღა გაყოფიღი: ზემო ორჯი, ქვემო ორჯი; **გიულღბის** ძვეღი სახელი ყოფიღა **გეეღი**. გეეღი სოფღის სახელია მურღღუღისწყღის ხეობაში, ართვინის რეგიონში. **იკრამიე და ინამიე** არის ძვეღი **ზემო ხატიღა და ქვემო ხატიღა**, სადაც ცხოვრობენ ხატიღასწყღის ხეობიდან (ართვინის ვიღიეთი (თანამედროვე ჰატიღა). მუჰაჯირად წამოსულ ქართვეღთა შთამომავლები. სოფელი **სერგეთიე** აღმოწნდა სოფელ ი **არხვა**. არხვა თემიღა მურღღუღისწყღის ხეობაში, ართვინის რეგიონში. არხვადან იყო წამოსული **ახმეღ მეღაშეიღის** წინაპარიც). **ბიჩქიღდიქი** აღმოწნდა **ქართღა**. ცნობიღია, რომ ქართღას თემი ერთ-ერთი საინტერესო

³ ანუ, თანამედროვე სახელმწიფოებრივი დაყოფით, მუჰაჯირთა წინაპრების სოფლები განთავსებულია როგორც საქართვეღოს, ასევე თურქეთის ტერიტორიაზე.

და მდიდარი თემია ართვინის ვილაიეთში, მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე. დღევანდელ **მურადიეშია** გაერთიანებული ძველი სოფლები: **თოხვეთი, ტრაპენი**. ეს სახელებიც ართვინის რეგიონიდანაა გადმოტანილი და იქ სოფელთა სახელებია მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირზე. **სულეიმანიეს** ძველი სახელია **ავანა**, ავანაც მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირზეა ართვინის რეგიონში. ქოჯაელის რეგიონში: **შევექეთიე - საჭმალი, სირეთიე - მურდული, ჰამიდიე - ბორჩხა, მაჰმურიე - მურკიეეთი, ნუსრეთიე - დიდი დოშემე, დოშემე - ცოცხოზა, უმიე - კამპარა...**

ადგილობრივი ქართველები დღესაც საუბარის დროს ამბობენ, „მე ავანადან ვარ“, „ჩვენი სოფელი გაღმა ხატილაა, ამისი - გამოღმა“. „ჩვენი სოფელი ქართლაა“... „ზემთ ხატილა არი, ორჯი არი, გეველი არი, ქართლა არი“ (ჰენდეკის რაიონი, საქარიას რეგიონი). „აბარაბიქე მეტყოდნენ, მერე ათაბაგი გავხდით. ავანადან მომიყვანეს“.

შემონახულია ლაზების ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელი **„ჭანები“**: „ლაზებ ჭანებს ვეტყვი“ (ჰენდეკის რაიონი, საქარიას რეგიონი).

როგორც უკვე ითქვა, უმნიშვნელოვანესია მუჰაჯირობის შესახებ არსებული გადმოცემები:

„დედეს ბაბა მოსულა აქ, ხარების არაბით მოსულა, ჩვენ აქაური ყველა ხარის არაბით მოვსულვართ, ზოგიც ცხენებით მოსულა. ჩემს დედეს აჰმეთი ერქვა, იმის ბაბო ალი იყო. ალი ჰაჯიდ წასულა და იქ მოკვდა. ჩემი ბაბო იბრაჰიმი იყო, მე ალი ვარ. საქართველოში „მოლოღლუ“ ვყოფილვართ, აქ ჰარუნი არის ჩვენი გვარი“ (ალი ჰარუნი, ჰენდეკის რაიონი, საქარიას რეგიონი).

„საიღამ მოვსულვართ, სოფელი არ ვიცი, ენ წინ ბათუმიდან მოსულან, ბორჩხას დამდგარან. იტყოდნენ, მარადიდიდან მოვიდა ჩვენი დედებიო. ჩემ ნენეის ბაბო ომანადან მოსულა. ომი იყო, რუსი მოსულა, ქალები, ბავშვები გამეიქცნენ. აქედანაწუ ვწვდნენ მუჰაჯირები. როცა ხარაბი დადგა, იმის მემრე წავიდოდნენ, მოვიდოდნენ. ჩვენი დედები რუსიედან მოსული გურჯები იყვნენ. დაღობილი იყო საზღვარი ძუელად, ჭოროხიდან გადმოცურდნენ“

(ჰენდეკის რაიონი, სოფელი ლუტფიე ქოშქი, საქარიას რეგიონი).

„ადრე ჰენდეკი იზმითს ეკუთვნოდა. აქ ქალაქი ყოფილა 1450 წლიდან. ჩვენები აქ მოსულან 1878 წელს. ჯერ იზმითში ჩასულან და სანჯაყმა დაფანტა აქეთ-იქით. ეს გურჯუ მაჰალესია. ასე ჰქვია. აქ სულ გურჯები ვართ. ეს ჰენდეკის მერკეზია, ასამდე ოჯახი ვართ“ (ქალაქი ჰენდეკი, უბანი - გურჯუ მაჰალესი).

„რაფერ მოსულან იცი? ნავით მოსულან სოფამდე. იმის უკან ფეხით წამოსულან, სამი წელი გზაში ვიყავითო. ბათუმში დედე იაშლი იქნა მაშინ, დედეს 35 კაცი უშუვევია, წამუშევანია. ბაბა ცხრა წლის ბაღანა ყოფილა. აქ იკითხა. მერმე ბევრი უკან მიტრიალდა. ქედქელაში მისულან. მე მეხუთე ვარ. ბაბუის ბაბუა მოსულა. მეორე ძმა ბაბაუასი საქართველოში დარჩენლა. თოფები ვარდებოდა ჩვენს სოფელშიო, დაბეზდნენ და მისთვის მოვიდნენ. ერთიც, მუსლუმანობა არ იყოსო, ვერ უნდა ვილოცნოთო, რუსი მოვაო. ამიტომ წამოვიდნენ. ბაბას ძმები დეიჭირეს და მოსკოვას გუუგზავნიათ. ბაბას ძმა ამბობდა, არ წახვიდეთო, სიტყვა გუუვარდა ყველგან ამას ამბობდა, ამიტომ დაიჭირეს. ჩვენები ჯერ მერჯუჰან დამდგარან, აქ, ჰენდეკში. ჰენდეკიდან აქ მოსულან (ქარასუ, საქარიას რეგიონი). ენ წინდელი ქედქედლები აქ მოსულან. აქ ზემოთ თვალის წაყლია. წყალია და ტყეა. წყალი რომ დუნახიან, დამჯდარან. დეეჩვივნენ. იქ დეეარშიყენ გოგოები და ბიჭები ერთამანეთს, იმისთვის „თვალწყალი“ დუურქმევიათ. ჩემი ბაბაოი, ნენეი სულ ქართულად ილაპარაკებდნენ. ჩემმა დიდმა ბიჭმა იცის ქართული. წასული ვარ საქართველოში. ვარშალოშიძეებთან დამდგარი ვარ ხელვაჩაურში. აიღინოღლე ვარ, საქართველოში - ცინცაძე. სამი ბიჭი მყავს, სამივეს ვაკითხე საქმეებ აქვთ. გელინები მყავს, ბადიშები. 17 წლის წინ ბათუმში პირველად ვიყავი. ბათუმში დვენახე, ვიტირე“ (გურჯუ მაჰალესი, ქარასუს რაიონი, საქარიას რეგიონი).

„მე დედეი არ ვიცნობ. აქ სიმონეთიდან, ერგედან, მირვეთიდან, მაჭახლიდან მოსულან, 300 მოსახლეა, შვილები ქალაქში არიან. გემის კაპიტანია ბიჭი“ (მელენიპირი//მელენაღზუ, დუზჯეს რეგიონი).

„მუსტაფა კვახიძეებიდან არის, სოფელ კობალთაიდან; ისტა-როლლები დღვანელები არიან, ფატი არის იქიდან, ჰასანოღლებიც. ომერი ჩემი მაზლის ბაღვია. იზმანოღლები გუნდაძე არიან. თვად-ვირიძეები არიან, ფუტკარაძეები, ლანაძორლები. ფოცხველებიც არიან. მესხები არიან. ესენი გურჯია, ფოცხოღლები არიან (თუ-თია ბაიჰანი, 85 წლის, სოფელი სულჰიე, ინეგოლის რაიონი, ბურ-სის რეგიონი, 73 წლის).

„ჩვენ მაკარაძე ვარ, აქ ბაიქოზები. ოღაღაურიდან მოვს-ულვართ 1890 წლს. მთელი ემიაშვილები წამოვიდნენ, გემით ის-ტანბულ მოსულაა. სხვები არიან დოღანოღლები, აქცუოღლები, ერთად მოსულან თელი“ (მეველუთ ბაიქოზი, 68 წლის, სოფელი სულჰიე, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი).

„ჩინაშემთინ მაღი ვარ, ჩანჩხალოელი. აბდიოღლუ იუნუსა გაგიგია? ჩემი დეღეი იყო. ჭვანადან მოსულა, სოფელ ცეკვადან. ჰასან დეღეს ბაღვი მურადია ჩანჩხალოღან მოსულა“ (სოფელი იღმიე, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი).

„ბუქოღლები ვართ, ყვეღაი ზემოთა ჩვენა ვართ, ბათომიღან, ჭაღისოფლიღან მოვსულვართ“ (სოფელი სააღეთი, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი).

„ჩვენ შუახვევიღან მოვსულვართ. ჩვენ იქ მთღად ხისიმები არ დღგვრჩენია. იქიღან ყაჰვეჯოღლი თღათ აქ წამოსულა, ახღა „ჯან“ არის ჩვენი გვარი (ღურსუნ ჯან//ყაჰვეჯოღლი, სოფელი მესრურიე, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი).

„ჩვენი დეღეებისთვის უთქვამან, რომე თქვენ აქეღან წაღითო, აქ რომე ემეობა არი, თქვენ ვერ გაძღებთ, ზოგი წამოსულა, ზოფ-გიც დარჩენიღა. ჩვენ დღვანიღან მოვსულვართ. გენჯი ვიყო, გვეიღონა დღვანაში“ (ემინე ქაია, სოფელი მესრურიე, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი, 82 წლის).

„ჩვენ სულ მაჭახღეღები ვართ, თელი ჰაიღარიე“. „ჩვენ აღა-გულიღან მოვსულვართ“ (სოფელი ჰაიღარიე, გემღიქის რაიონი, ბურსის რეგიონი).

„ახლოღიანები ვართ, ბათომიღან მოვსულვართ, ჩვეღლით, ვიკითხეთ იქ. გვითხრეს, თქვენ სვანეთიღან მოსული ხართო

ბათომს“ (სოფელი ჰაიდარიე, გემლიქის რაიონი, ბურსის რეგიონი).

„ჩაქვიდან მოვსულვართ, მახინჯაურიდან ვართ, სულ პირველად ჩვენ ჩამოვსულვართ, მერე - მურათბეი, მერე ოსმან-ფაშა“ (სოფელი ჰაიდარიე, გემლიქის რაიონი, ბურსის რეგიონი).

„სულ თელი ბორჩხიდნ ვართ. ჩემი დედეს მამა მოსულა. ჩემი დედე ათ და ოთხი წლის ყოფილა. ერთი ძმა უკან გაბრუნებულა. ზუბოღლუები ვართ“ (ვედათ სირმენი, სოფელი ჰამიდიე, ზველი სახელი ბორჩხა, იზმითი).

„ჩენი დედეები მოსულან. ათი წელი დარჩენილან ქოჯაელის თეფეზე. იმის მერე აქ წყალი დუუნახიან, წისქვილი. ე, რა ლამაზი წყალიაო, ბოსტნებში ფხალი არიო. აქ დუუკავებიან იერები. ვო-იმე, ე რა ლამაზი დელეაო, მიდის წყალიო, ლამაზი თევებიო. ასე დამჯდარან აქ“ (სოფელი გურჯი ქოი, ქოჯაელის რაიონი).

„აქ საქარია სუ არი, ჩვენ ჭოროხ ვეტყვიო. ხებიდან რომ ჩამოვლენ, იენი ქოიში უთქვიან, ჭოროხ გაგსო, უკნიდან მომდევანო, ჭოროხ დამდებულანო. ჩვენები სოფელ ზენობნიდან ჩამოსულან. ახლა ბევრი ვართ. აქედან დიდვანი ნაკითხები არიან გამოსული. აქ ზაფხულში დასაქლომი ადგილი ვერ ნახავ, 70 ოჯახი ვართ ზაფხულში. აფხაზები ჩვენზე 10 წლით ადრე მოსულან აქ. ქართველები მოსულან, ფული მიუციათ, ალაგები უყიდიათ აფხაზებისგან. ის აფხაზები დუზჯეს აბაზებში გუუშვიათ“.

„25 ოჯახი მოსულა ერთად სიმონეთიდან. ჯერ ხის პატარ სახლი დუუდგამთ, მერე ცოტაი ზემოთ სამსართულიანი სახლია. აქ ერთი ყათია, ზემოი - სამი ყათია. მე იმ ზემო სახლში დავიბადე. ჩემი ბაბოის ძმები ერთად ოთხი იყვნენ. ის დასახლებულა, ეს დასახლებულა, მას მემრე ოცდაერთ სულზე ასულან, ოცდაერთი სული ერთად ვჭამდით. 1948 წელს, ჩემი ბაბამ ქომოი სახლი უნდა დავანგრიოო, მე იქ უნდა ჩავიდეო. ზედა სახლი ემი-აშიღლებს გუუშვა. 1948 წელს აშენება დუუწვია, 1950 წელს შევედით. 1999 წლამდე მაქ ვიცხოვრეთ. მერმე ნენეი, ბაბაოი ავწიე, ისტანბულ წვეიყვანე. ჩვენ ორი ბიჭი ვიყავით, ერთი მოკვტა, 1966 წელს მოკვტა. 27 წლის იყო, უშვილოდ მოკვტა. ძმაი აღარ მყავს ახლა, ორი და მყავს. ნენეი, ბაბაოი ავწიე, წავიყვანე ისტამბულ,

ზაფხულში მევიდოდით, თხილი ვკრეფდით. 1999 წელს მიწისძვრა მოხდა, მაშინ გეობზრა ძველი სახლი. მერე არ შევსულვართ. ზოგი ბაბაშვილი შევიდა, ზოგი სხვა. სახლს არ შეხედეს. ამ სოფელში (მელენი პირი) პირველად მე მოვიყვანე იაბანჯი ცოლად. 1973-ში დავსახლდი. მე მივიღე პირველი უმაღლესი განსწავლვა, ინჟინერი გავხიტი. ახლა ბევრია ნაკითხი ამ სოფელში იურისტები ბევრია, აქედანა რიან გუბერანტორები, პარლამენტის წევრი. აქ ერთი მაჭახლეელი იყო, მაგარი კაცი, რაშით გორენი, ირმი გორენის შვილი, ის მოკვტა, ქართული საქმე მოკვტა. იმის შვილები დაიფანტნენ. ჩვენები აქ დღეს 400 ოჯახი ვართ“ (მელენი პირი/მელენაღზუ, დუზჯეს რეგიონი).

„აქ ვებანაობდით (შავ ზღვაში), წყალსაც ვსვამდით ზემოთ. მერე იქ დროუის ქარხანა გაიხსნა, მდინარეც გააფუჭა, ახლა წყალს ვყიდულობთ“.

„ჩვენები რომ მოვიდნენ, ტყე გაკაფეს, ამეების იერი ფულით აიღეს, ტყე აიღეს. ჩვენ კოლტაშვილები ვართ“.

„ხუთი ოჯახი 40-იან წლებში გადმოსულა. ყარსიდან პოლიციას აქ მოუყვანია. აქ ხუთიწელი ყოფილან, მერე ამერიკას თავშესაფარი მიუცია და იქ წასულან. ერთი რესულ სურმანიძე იყო, სოფელ დარჩიძეებიდან ყოფილა“ (ქარაფურჩეკის რაიონი, სოფელი აჰმედიე).

„ჩვენი დედეები მუჰაჯირად წამოსულან 1878 წელს. ეს სოფელი – ქუჩუჯეკი – მანაგების სოფელია, მერე აქ ტრაპიზონიდან მოსულან, სულ ბოლოს ქართველები მოვიდნენ. ჩვენ 1964 წელს ჩამოვსულვართ გირესუნიდან. გირესუნში ქედის სოფელ წონიარისიდან მოვსულვართ 1878 წელს. აქ ჩვენზე ადრე ჩვენი მეზობლები მოვიდნენ, 1930 წელს. ეს მეზობლები ჩვენი ყველაზე ახლო მეზობლები ყოფილან წონიარისში. მაკარიძეები (კვირხიროლდები). ბაბაუამ იცოდა, რომ აქ დასახლდნენ, იზმითში ყოფილა ჯარში, აქაც მოსულა, მოათვალიერა, მოწონებია ჩვენ მერე გადმოსულვართ (ერდოგან შენოლი, სოფელი ქუჩუჯეკი, აქიაზის რაიონი, საქარიას რეგიონი).

„ხატილადან მოსული ხალხი არის იკრამიეში (სახელია

ზედა ხატილა), ინამიეში (ქვედა ხატილა), ეს ჰენდეკია. აქიაზიში არიან აქ, ჩვენთან, რეშადიეში, კიდევ ბურსაში, ქალაქთან არის სოფელი ორჰანიე“.

„ომის დროს (1941-1945 წწ.) მოვიდნენ ბათუმიდან, გამოქცეულან, 4 წელი იყვნენ, 40 ოჯახი მოვიდა, ტყეში მუშაობდნენ, სიმინდ თესდნენ მერე დაქორწილდნენ, წავიდნენ, ამათ გვასწავლეს ქართული წერა“.

„ბათუმიდან გამოსულან ადაფაზარში, მაშინ სოფელი იყო. ორ წელიწად იქ გაშეშებული დარჩენილან. მერე საქარიას წყალს იქიბ გადითო და გადმოსულან. დასასვენებელი ადგილი ეს უნახავან“.

„შუახვევიდან მოვსულვართ ჩვენ. სხვები მოკრეფილები არიან სხვადასხვა სოფლებიდან: ტომაშეთი, კობალთა, დარციეთი. ჩვენ ამ სოფელში ერთი ხანე ვიყავით ხიმშიაშვილები. მუსტაფა იაკუთი ჩემი ემიაშვილის ბიჭია. ადრე სულ გურჯები ვიყავით, ეხლა მეერივნეს. 60-მდე სახლია“.

„მინდიელი იყო ბაბაი, ხეირეში მინიღლები ბევრი არიან. დერეჩათის თავზე იყვნენ ბიძიები“ (სოფელი ბახჩეყაია, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი).

„აწიეს თოხები და აქ მოვიდნენ. ადა არ მოსწონათ, კოლოე ბილაო, ჩვენ ვართ შემთვერი ხალხიო, მთაზე ამოსულან“.

„ჩვენს იერებს ჩვენებური სახელები აქვს: შეშები, კოშები - ტყის სახელია, ცივწყარო - იქ ცივი წყალი დის“.

„ჩვენი ჰასანოღლები ნახევარი ორღუში დარჩნენ, ჩემი დედეს ემიაშვილები იქ არიან. ჩემიდედე 140 წლისა მოკვდა. ერთ სახლში ათნი იყვნენ, ქართულად ვლაპარაკობდით. მუღელინი ყურზე დეწიკებოდა, არ ილაპარაკოო. ბევრი მოვა, მიწა მინდაო, ფული ამდენი მოგცეთო, აქ ქართველის მეტს არ მეყვანთ, ვინმე ყიდის - ჩვენ ავიღებთ“.

„ბევრი ქართველი არიან, ჭანებიც არიან, აბაზაც არის, ჩერქეზიც. 150 ქართველი ვართ. ჩვენები კალანჯოღლები იყვნენ, სხვები მამაიანოღლები მოსულან, ამათი ცოლებიც დები ყოფილან. აქა თელი ძველები არიან, დამდგარან, დარცენილან. მერე ზოგი

გოლჯუკ, იზმით წასულან“.

„ზღვიპირას ბუცუნაკები ბევრი ყოფილან, არ მიკბინათო, ზეით კაპანზე ასულან, რაცხა ჩვენს სოფელს ჰგავსო და ზემოთ დამჯდარან. იქაც ჭოროხი მიდის, აქაც ზევიდან გადმოიხედა, საქარია დაინახა, მოსწონდა, ესეც ჭოროხიაო. აქ მოდიან ქართველები საქართველოდან, ორი ბიჭი იყო ბათუმიდან, ისაქმეს, ფული აიღეს, წვეიდნენ, მაღაზია გუუსხსნიან“.

„საფანჯაში საიდან მოესულვართ? ფეჰმი ფაშას წამოუყვანია გემით ხალხი, ფული მიუცია, სტამბოლთან ახლოს, იქ არ მოეწონათ, 15 დრე იყვნენ, მერე აქ მოვიდნენ, დასახლდნენ. მაჰმუდიეს მთიდან გადმოუხედავთ, ჯამე სადააო? ჯამე არ ყოფილა. მთაზე გუშეკეთებიათ“.

„ხინწკანელი ვარ, გორგოშიძე გვარად. იმამოლლი გავხდით. ჩემი დიდი დედეი ფაფაზი იყო, იმამი გამხდარა ხოფას. სამი ძმა აქ მოვიდნენ, ორი მერე უკან წასულა. ჩვენებიდან ახლა ერთი ყარსს არის, ერთიც - ერზრუმს მუფთია. ესენი სულ ჩვენ ვართ - იმამოლლი“ „მელიქოლლი, იმამოლლი, სერდეროლლი და დემირჩები ერთი გვარი არიან. აქ ცოტა მაჭახლელებიც არიან“.

„შავოლლები ვართ, ახლა ბევრი სხვადასხვა გვარია“.

„აქ (გიულდობი) თელი გურჯია, გაღმა აგარაკები ჩანს, ისიც ჩვენია, ახლა სტამბოლიდან ბევრი მოდის, ყიდვა უნდათ, არ მივცემთ, მარტო ქართველს მივცემთ“.

„ზოგი კირნათიდან მოსულა, კობალეთიდან ზოგიც, ზოგი ბორჩხიდან. რუსი რომ მოსულა, ცვენი დედეები წამოსულან, კახბერიძე ყოფილვართ, კიდევ იყვნენ გორგალაზეები, მოლოგინაძე იყო, წითელაძე - გაღმა მაჰალეში. ვინც არ წამოსულა, ის ბერები სიბირიაში გუუგზაენიათ“.

„კახაბერიძეები სამი ძმა მოსულა იქიდან, მთელი აქ დარჩნენ. ერთი ძმა არ წამოსულა, მარადიდიდ არჩენილა. მე წავედი, მოვებნე იმის შვილები. ოთხი წლის წინ ვიყავი. ახალი ჯამე გუშეკეთებია. დაკეტილი იყო, ახლებ არ უნდებიან ჯამე. ჯუმა ქვემო მარადიდში ვილოცეთ“.

„ამის დედეი მუჰაჯირობის დროს ასკერში ყოფილა, გამოქ-

ცეულა ასკერიდან, მოსულა ხატილაში, არავინაა. უძებნია, მუუგ-
ნია.“

„მოუპაჯირებად მოვსულვართ ბათუმიდან, მე წავედი, ვეძებე,
ჩემი ნათესავები ვერ ვნახე. აქ 150 ოჯახი ვართ, ყველა ქართვე-
ლია, სხვა ხალხ არ უშვებენ აქა. სიზეები არ უშვებენ. ძველებს
ზაკუნი დაუდვიან, თქვენ, სხვა ხალხი სძეი-მიძეი არ მუუშვათ.
სიძე გოგოს სოფელში ვერ დაქდება, გოგო მოგეცით, გეყოფა.
ჩემი ცოლის გვარი ბათუმიდან ჯერ ხატილაში წასულან (იგ-
ულისხმება, ჰენდეკის რაიონის სოფელი ხატილა), მერე - იქიდან
აქ. ჰუსეინის ნენეი იმერხეველია. ქომოი სოფელი არი შერეფიე,
ის იმერხევიდან მოსულა. აქ თავიდან შვიდი ოჯახი მოსულა,
მერე ამდენი გამხდარან“.

„ჩვენები რომ მოსულან, აქ ავადობა ყოფილა. ბაღნები მომ-
კვდარან. ჩვენები ზემოთ წასულან, ტყეებში, ხეები უკაფიათ, იქ
დამჯდარან“. „მეჰმეთ ჩაუში ყოფილა ძველად, ასკერი და აქ
ჩაუშოდლები დაურქმევიან. ესენიც გირესუნიდან წამოსულან აქ
ერთი ძმა დარჩენილა, ერთი იყო, სოფელი გახდა. ჩვენ გავმრავ-
ლებულვართ“. „ჩვენები ხუთი ძმა მოსულან, კოკოლოდლუ ვართ“.

„ჰულუსა იდრისოდლუ ჩამოსულა 1901 წელს, აჭარიდან მო-
სულა ინეგოლში. მისი შვილი ჰასანი ერთი წლის ყოფილა, მე-
ორე შვილი - აბდულა აქ დაბადულა, მე თურანი ვარ. ჩვენი ქარ-
თული გვარია დავითაძე“ (ქალაქი ინეგოლი, ბურსის რეგიონი).

ინეგოლში მეოცე საუკუნის 40-ინ წლებში გადმოსულა
დემირჯი მერჯან უსტა. სამუშაოდ მოსულა, მერე ვერ შესულა
საქართვეოში, იქ საზღვარზე რუსის ჯარი ყოფილა. აქ დარჩე-
ნილა“. იმ დროს მოსულა მეჰმეთ სევალი, იმან იცოდა ქართული
წერა-კითხვა. მისმა შვილმა მეჰმეთამ მასწავლა ქართული წერა“
(სოფელი გულბახჩე, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი).

„გულბახჩეში დედეს ბაბოი მოსულა ჩემი დედე აქ არის
დაბადული. ძველი სახლი იყო, დედეს ბაბაოს გაკეთებული.
ზეით თორმეტი ოთახი იყო, ქვეით - ახორი. გაუყოფელი ძმები
ერთად იყენენ“ (სოფელი გულბახჩე, ინეგოლის რაიონი, ბურსის
რეგიონი).

„ღორჯომიდან მოვსულვართ. ჩემი ქალის დედეს დედეი მოსულა სულ პირველად - ისმაილ ალა. ის დამჯდარა, მერემე სხვები დუუპატიუნია. სოფელსყაზელი დაერქვა, წიფლის დაპეული ფურცლებია ყაზელი, აქ სულ ტყეა, ხე-ტყის 85 პროცენტი წიფელია. ძველი ჯამე დუუნგრევიან, ჯარგვალი ყოფილა. ძველიდან ერთი სახელი დამრჩალა. ახლა ორი იყო, ერთიც ავწიეთ, ერთი დარჩა. აქ სულ ქართული სახელებია: კინტრაკოხი, ცივწყარო, მუხრანი, დუდგულები, გახრეტილი კილდე, კარჭალი, განგზა, გადაღმა ყანები, ჩარჩხალები, კოხიდელები. ქართული სახელები ჩავწერინეთ რუკების გამკეთებელს. კინტრაკოხი ჩუუწერია“სოფელი ყაზელი (თურქულად - გაზელი).

„ყაზელიდან პირველ მსოფლიო ომში 72 კაცი წასულა, სულ ოთხი დაბრუნებულა უკან. ჩანაქქალეს ბრძოლაში ბევრი ინეგოლელი დაღუპულა, ამათ ისტორიაში „ბათუმელები“-ს სახელი აქვთ. ყველა პატივს გვცემდა. მერე ათა-თურქი რომ მოვიდა, ჩვენი ხალხი შეიშალნენ, ათა-თურქმა ქართული ლაპარაკი აგვიკრძალა. სკოლებში აიკრძალა ქართული ლაპარაკი. ჩემი დაი სამი წლით პაწაია, ვერ გავაფერებ თურქულაი, პირი გამოივლე, ვერ მიახვიდნაო. მასწავლებელი ასწავლიდა თათრულს. ქართულ ლაპარაკზე ჯარიმა იყო. აუკრზალეს ჩერქეზებს, აბაზებს, ბოშაკებს. ბევრი ხალხმა თავი დაუღუნეს. ზოგებმა არ დუუღუნეს, იმათმა ფაშისტი გახდნენ, ტერორისტი გახდნენ. ჩვენი ხალხს ოსმალები უყვარან, ისინი ქართულს არ გვიშლიდნენ. ახლა ათი წელია, არ გვიშლიან, ახლა კარგია. გვერდით სხვების სოფელია, იქ გოგო არ მიგვიცემია, სულ ხუთი კილომეტრია, მაინც გოგო არ მიგვიცემია. აქეთაც სულ ერთი გოგო გვყავს, პატივს ცვემთ, მაგრამ ვერ მოვერგეთ. ცემი დედეს დედე - იუსუფაი - ორი ძმა ყოფილან: იუსუფაი და ალი. იუსუფაის უთქვია, მე ისტანბულში უნდა წავიდეო, ჩვენი ხალხი წევდნენ, იქით კარგი ცხოვრებააო. ალია დედის არ უნდოდა გამოგზავნა, მაგრამ მაშინდელს დროში რუსები კლევდნენ. იუსუფს უთქვამს, მე წავალო, ვნახავო. ალის უთქვამს, აქაური უნადი ვიყიდო და ნახევარი მიუცია, რომ უკან მოხვალ, ნახევარი შენი იქნებაო. არ ნდომებია მისი ძმის

წასვლა. ბათუმში ჩამოჰყოლია ძმა, მაშინდელი გარიგება ძნელი ყოფილა. წამოსულა ჩემი დიდი დედეი. იმის შვილი იყო მოლლა ოსმანი, იმის შვილი სულეიმანი ჩანაქქაღეს წვეს. დიდნენი 55 წლის ყოფილა. ე მიველ ღორჯომ 130 წლის მერე. შეიშალნენ, ისე გუუხარდენ. სად არის ჩემი დედეს ალაგები - ვიმახსრე. ძალიან გუუხარდენ. სოფელი მეკეიძეებია ჩემი სოფელი. 1934 წელს გვარის კანონი გემვიდა. ჩვენი ძველი გვარი იყო თათაროდღუ, ასე დავრჩით. იქა მიქელაძე არიან ჩვენები. აქ სხვებიც ღორჯომიდან არიან: თათაროდღი, მამალოღი, ქურდოდღი, მამალოღი მამაულაძე ყოფილა. ღორჯომიდან ცამოსულები შეგროვდნენ ბათუმში, გემი მოვიდა. გემით მივიდენ სტამბულში, იქიდან ინეგლში გუუგზაგნიენ, თქვენი ხისიძეები იქ წევდნენო. ნიგაზეულ-იდან დარჩიძე მოსულა. ფოსოფიდან გადმოსულან მერე 2-3 კვამლი. ისინი გაქართველდნენ. ჩვენებური გამხდარან. იმათ არ იცოდნენ ქართული, ახლა თათრული არ იციან. თხა დაკლეს, ქართველი გახდნენ. სხვა რომ მოვა, თხა უნდა დუკლან სოფელს. ისინი მოსულან, ჩვენი ხალხს შეცოდებია, მიუღია, დუუსახლებია. სოფელში 40 სახლია ახლა ზამთარშიც. ფოცხოვიდან მოსულეებს „ფოცხებს“ ვეძახით. ახლაც ფრთხილად ვართ. მათი ბერები სულ თათრულად ლაპარაკობენ, მაგრამ ამბობდნენ, გურჯი ვართო. მეძრე ენა ისწავლეს და თქვეს, გურჯი არ ვართო. ჩვენ ვუთხარით, თქვენ ორპირ ხართო. არახადიში პირიქით მოხთა, ქართველები გაათურქეს ფოცხოველებმა. ჩვენ ვუთხარით იმ ქართველებს, თქვენ ისე ხართ, ვირი რომ წინ წავა და უკან აქლემი გაყვებაო. იქ ერთი მდიდარი კცი, იღმაზლარი, ბევრი ფული აქვთ და იმიტომ „გამესხდნენ“ იქაური ქართველები“ (აბდულაჰ თათაროდღუ, სოფელი ყაზეფლი//გაზეფლი, ინეგლის რაიონი, ბურსის რეგიონი).

„აქ არის სხვა სოფელი „ფინდიკლი“, ჩვენ „ჩითლიქლის“ ვიტყვით. მეორე ფინდიკლი ჩერქეზულია. აბაზებიც არიან. აბაზები აქაც არ ჭამენ თევზს“ (აბდულაჰ თათაროდღუ, სოფელი ყაზეფლი//გაზეფლი, ინეგლის რაიონი, ბურსის რეგიონი).

„ჭაღლასოფლიდან ვართ, ბათომიდან. ეს ჩემი მამულიშვილია.

ბილნაზ ილდირიმი ვარ. ბექოლდებიდან ვართ. ქალის მამული ცივწყაროა. ეინჯარ არ დარჩენილან, იალია მუუძებნიათ, იქ დასხდნენ. ჩამოსულა აქ, მუუტეხიან სიმინდის კოტოხები, მუუ-წონებია, აქ დაჯდნენ. მე აქ დაბადული ვარ. ბაბოი აქ დაბადულია“ (სოფელი საადეთი, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი).

„იმერხეველი ვარ, მუსა შაჰინი, იალოვას უნივერსიტეტის პროფესორი, ბაბოი მოსულა იმერხევიდან ინეგოლში. ამათი სიძე ვარ. ისტანბულ ვიკითხე. ძირით მესხიხე ვართ“ (მუსა შაჰინი, სოფელი საადეთი, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი).

მარმარილოს ზღვის რეგიონების ქართველთა ერთი ნაწილი ეძებს ფესვებს, წარმომავლობის ადგილებს. ზოგიერთს დაკარგული აქვს ცოდნა მშობლიური სოფლის გეოგრაფიული მდებარეობისა: „ჩვენ ლონგოები ვართ, ლონგოთხევიდან მოვსულვართ, კი ვერ მიგვიგნია, სად არის“. აუხსენით, რომ ლონგოთხევი არტანუჯის მხარეშია. იქ დღეს ქართველები უკვე აღარ ცხოვრობენ.

არის მრავალი **ტრაგიკული ისტორია**, რომელთაც უცრემლოდ ვერ ვისმენთ: „თუთიე ჩემი ბიბიას რქმეგია იქა. ბიბია იქ დარჩენილა, ასია ბიბია და თუთია ბიბია ყოფილან. დედეი აქეთ მოსულა. ბაბოი 6 წლისა ყოფილა, ბიბია ორმოცი დღის. ბიბიები დიდი ყოფილან. ჩემი დიდნე იტირებდა, ასიევ და თუთიევ, სად ხართო. სულ ტიროდა. ისინი გათხოვილი ყოფილან. დედამთილებსა არ გამოუშვიან. ნენეს უთქვამს, რომ მოგენატრებო, მზის თვალი შეხედო, იქედან ჩვენამც შევხედავთო, შენ დიგინახავო (თუთია ბაიჰანი, 85 წლის, სოფელი სულჰიე, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი, 73 წლის).

მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართველთა შორის არსებობს **სამშობლოს, ეროვნული ფესვების ძიების, ეთნიკური იდენტობის მძაფრი განცდა**:

„მე საქართველო მიყვარს. ჩემი ბაბოს ბაბოი ჩამოსულა აქ ბათუმიდან. ჩეველი ბათუმში, ვიტირე. რეჯებელი წამოსულა, ემინალი იყო იმის შვილი, მერე - ალი, ალის შვილი - ჰაირეთთინი. მე საბაჰეთთინი ვარ. გვარი რეჯიბალიოღლი გექონდა“.

„ბათომ რომ ჩამოველ, 130 წლის მერე, ჩვენებური ლაპარაკ

რომ გეგვკონე, გული გამიკანკალდა. დოხტურთან წამიყვანეს. დოხტურმა რომ მითხრა დაწეპიო, კარგად გავხდი“ (აბდულაჰ თათაროღლუ, სოფელი ყაზელი//გაზელი, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი).

„ორი გოგო მყავს. ჩემ გოგოს ქართული ჩემმა ნენემ შეასწავლა. ახლა პაწამ უნდა დაისწავლოს, მიმყავს ახლა ღორჯომში, იქ უნდა დავტოვო და ისწავლის. ჩვენმა ბაღიშებმა არ იციან ქართული, 30 წელი გავდეს, ჩვენ მოვკვდეთ, დაიკარგოს უნდა“ (აბდულაჰ თათაროღლუ, სოფელი ყაზელი//გაზელი, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი).

შემონახულია მცირედი ცოდნა საქართველოს ისტორიის შესახებ, მაგრამ იგი, უმეტესად, წაკითხული, შექენილი ცოდნის მეოხებითა: „თამარაი მეფეა, აქ დედოფალ ვიტყვი, წმინდა დავითიც მეფეა“ (აბდულაჰ თათაროღლუ, სოფელი ყაზელი//გაზელი, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი).

ყველა სოფელში უდიდესი სიხარულით გვხვდებოდნენ. მათ მასინძლობას **ძველქართული ზრდილობისა და სტუმარ-მასპინძლობის წესებიც** გამოარჩევდა: „ტკბილად ვერ მიგხედეთ, მაგრამ გულით-სულით თქვენთან ვართ“ (აბდულაჰ თათაროღლუ, სოფელი ყაზელი//გაზელი, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი). „შეწუხება იქნება? ჩვენ დაჩოული ვართ. თქვენ რომ გნახავთ, გული გემინათდება“. „ჩვენი ჭკუა იქაურობაშია“- ამბობენ საქართველოს შესახებ.

მძაფრია **ეროვნული სიამაყის** განცდა: „გურჯი იქნება, მით მივხვდები, შეებრალება ინსანი“ . „ლამაზს ვნახავთ, მისოები, ქართველია. ქართველი ვართ, ნათესავი ვართ“. „ჩემი ნენის თვალებიც ჭრელი იყო, მამაც. გელინები მევიყვანეთ, მარამ ბადიშები ჭრელთვალა არ გამოდგენენ. ვიყვირო მეც, იმანაც იყვიროს, მარამ მე გურჯი ვარ და გელინიც გურჯი მევეყანე, მეზობელი მევეყანე. ღმერთ გამჩენელ ყველაფერი სჭირია. ნდომონდა, ყველას მუსლიმან გააჩენდა, მარამ ზოგი გიაური, ზოგიც მუსლიმია“ (ემინე ქაია, სოფელი მესრურიე, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი, 82 წლის). „ღმერთი გამჩენელისათვის ყველა ადამიანია,

მაგრამ მე ქართველი ადამიანი უმფრო მიყვარს“.

მთხრობელთა საუბარში შეინიშნება **დედაენის ცოდნის დაქვეითებით გამოწვეული ტკივილი**: „თქვენი ქართული ზორ წმიდაა, ჩვენ ასე ვერ გავარიგავთ“. „ოც წელიწადში ადგება აქ ქართული, ჩვენ მოკვდებით, წავალთ, ქართული არ დარჩება. „რა სოაი, იცი? ერთი ხეა - გატეხავ, 3-4 ხე ერთადაა, ვერ გატეხავ. უწინ ჩვენებმა რატო 5-6 ბაღანა იქმოდენ? ახლა ცოტაი ვართ. ძალა არა გავქვს. საქართველოში ბევრი შვილები უნდა გყავდეთ“. „ჩვენ არ დავგასწავლეს ქართული. ორეთმენები მირტყამდნენ, ქართული წერვა მიტომ ვერ ვისწავლე. რაზე არ ჩამოხვედით, არ გვიპატრონეთ? დვეიკარქეთ ჩვენ. დვეიკარქა ჩვენი ქართული. დვეილიეთ. მალე მოდით, მალე“ (ქარასუ, საქარიას რეგიონი). „ჩვენის ქვეშამ არ იცის ქართული“. „თქვენიც რუსჩეზე გაგნებულა, ჩვენი თურქჩეზე“. „მასსოვს, პაწაი ბაღანა ვარ, 10 წლის, აქედან ქალაქში წავედი, ჩემმა ბაბამ, სირცხვილია, არ ილაპარაკო. მაინც ვლაპარაკობთ ქართულად, ვინმე მოვიდა, ენა არ იცის, არ ვილაპარაკებთ, ჩვენი კულტურა ასე არის“ (სოფელი დემირანმა, ქოჯააღის რაიონი, საქარიას რეგიონი). „ჩვენ აქ სკოლაში წასვლამდე თურქული არ ვიცოდით“. „ჩვენ გურჯიჯა გვიყვარს ლაპარაკი და გენჯებმა არ იციან, პაწაი ბაღებმა არ იციან“ (სოფელი ყაზელი//გაზელი, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი). „ახლა სულ ყველა თურქჩეა, არ იციან რამე გურჯიჯა. მე ახლა ვუთხარ გურჯიჯა, ერთი ვუთხარ, რი - არ იციან, მეც თურქჩა ვუთხარი. ამათ წვიტებმა არ იციან“.

ისმის საყვედურებიც საქართველოს მისამართით: „იქ რომ აკითხებთ, ერთი მექთები აქ გახსენით“.

მთხრობელთა შორის არის ერთი ნაწილი, რომელიც წლებების განმავლობაში ევროპაში ცხოვრობს და მსობლიურ სოფლებს ზაფხულობით სტურობს. მათ შორის **განსაკუთრებით მძაფრია ეთნიკური იდენტობის განცდა**: „ოცდაათი წელია აუსტრიაში ვცხოვრობ, ცოლი გურჯია. შვილებმა იციან ქართული. ბავშვები თურქულ სკოლაში არ გაუშვი, ახლა უნივერსიტეტში არიან. პირველი ჩემი მამაის თაობა წასულა აუსტრიაში.

იქ დერნეგი გვაქვს, იქ მოიკრიფებიან, ვენაში ვართ. 50 ოჯახი ვართ. გერმანელი მკითხავს, ვინ ახარ, მე ვეტყვი - თურქეთის ქართველი ვარ. 17 ოჯახი მოსულა აქ ხატილელი, მერე გამრავლდნენ. ტელევიზიონი რომ გააკეთონ, ჩვენი იქაური ქართულზე არა, აქაური ქართულზე რომ იყოს, ყველა ნახავდა, ყველა სოფელში მევიარიოთ, გავაკეთოთ ქართული ტელევიზია“ (აქიაზის რაიონი, სოფელი შერეფი).

განსახვავებენ **მეტყველების თავისებურებებს**: „აჭარლები ცოტა სხვაი ლაპარაკობენ. აქაური ერთ სოფელში არიან აჭარლები, ჩვენ სოფელში ერთი რძალი მოვიდა აჭარლებიდან, ჩვენ „ღარჯ“ ვიტყვით, ისინი „ბაღანას“ იტყვიან“. „ჩვენ ცოტა ტიფლისის ლაპარაკი ვერ ვაგნებთ. კაი გურჯი თქვენ ლაპარაკობთ. ჩემი ბაბა „დაჯექი“ არ მეტყოდა, „მობრძანდი“ „დაბრძანდის“ იტყოდა“.

განსაკუთრებულად ამაცობენ, როდესაც **შვილიშვილებმა იციან ქართული ენა**: „ამან ქართული არ იცის, მარა ხლომილობს“ (აბდულაჰ თათაროღლუ, სოფელი ყაზელი//გაზელი, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი). „ბაღიშები ზოგს ხლომილობენ, ზოგს - ვერა. ბაღვი ხლომილობს, ციცაი ვერ ხლომილობს, ბურსაში გეიზარდნენ. არ ძინავან კიდო? მევიყვანთ ახლა“ (სოფელი ყაზელი, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი). „ჩემმა შვილებმა იციან ქართული“. „ჩვენ ვიტყვით, გურჯი ვართ. ახლანდელ ღარჯებმა ჩვენებური არ იციან, მაინც იტყვიან, გურჯი ვარო“ (სოფელი ჰაიდარიე, გემლიქის რაიონი, ბურსის რეგიონი).

აღსანიშნავია, რომ **„ლაღაბების“ სახით შენარჩუნდა ქართული თიკუნები**, რომლებიც ადამიანს მისი გარეგნობის ან ხასიათის მიხედვით შეერქმეოდა სოფლისაგან: „კაკუნას ბატკანს ვეტყვით, თიკანი თხისაა. ერთი კაკუნ ნენეი ყოფილა, ღაღაბები ვიცით: სუსლაი, წოწოლაი, ფინხაი, ენკაი, ღანკაი, კობერაი, ბუბმულაი, კრიჭოი, პუმპლიაი, გოდორაი, ზანგურაი“ (აბდულაჰ თათაროღლუ, სოფელი ყაზელი//გაზელი, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი).

მოსახლეობა გამოთქვამს **გულისტკივილს ძველი, ტრადიცი-**

ული ყოფის დაკარგვის გამო. ახალგაზრდობისა და ბავშვობის წლები მათთვის ტკბილად მოსაგონარია. **შემონახულია ხსოვნა ტრადიციული კულტურულ-სამეურნეო ტიპისა:** „ვაზი რაზეც არის გაშვებული, ის ხე არის დაჭაჭი. ნეკერი ვიცი, ნაკაფია. თივას ,ბზეს სახლში ვინახავდით, ის არის საბძელი. ჯარგვალის საბძელია. მსახლი გვაქვ; გოქსულია. ეს დიდი - ცულია ამის პაწაი იქნება ნაჯახი. წაღლიც გვაქვს. ძინდანიც გვაქვს. სახლის წინ ჩიხიკარია. ჭიშკარსაც ვიტყვით. სხვა სოფელში „კაკალის“ ტყვიან, ჩვენ „კარჭალი“ ვიტყვით“ (აბდულაჰ თათაროდლე, სოფელი ყაზელი//გაზელი, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი). „ეს ვაშლი – ფქვილია – იუსუფ დედეს დურგავს, თეთრო ვაშლია. რკინის ემე იყო აქ, დაანგრია. ჭედებდა ხარებს, გოგორაის გარედან რკინას ჭედავდა“ (აბდულაჰ თათაროდლე, სოფელი ყაზელი//გაზელი, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი). „კარგად მახსოვს, ეს სახლი ჩემმა ბაბომ გააკეთა. უსტა კაცი იყო, თვითონ გააკეთა. ძველი სახლები შეშისა იყო, დახეული ხეები. ძველი სახლი ჰამიდმა დაანგრია, ჰამიდი ჩემი ემიაშვილია, ის ძველი სახლი დაანგრია. ჩარდახი იყო, ნაღიებიც იყო, ახლა არ არის. წყალი ფახრაჯებით მოგვქონდა. ეს ჭა არის. ახლა დაილია. უწინ ყუით, თოხით ამოუჭრია დედეს. იმის წინ ტყე გუუჭრიათ, იმაი ზომის ტყე ყოფილა, მიუჭრიათ, მოუჭრიათ, ხის სახლები იყო ძველათ, ქერფიტები იყო ქვითკირის, მიწით ტალახი მუუხელიათ, ბზე შეურევიათ და სახლი აუშენებიათ. სახნეველით ხნავდნენ მიწას“ (ალი ჯანლეჰ ჰარუნი, ჰენდეკის რაიონი, სოფელი ლუტფეი ქოშქი, საქარიას რეგიონი).

„სკამები იყო, ხის, ხის სუფრა იყო, აჭარიდან მუუტანიან, აქაც გააკეთეს. სექვები იყო ძველად, წიფელას გახევდნენ. ძველი ჯამე ქვის იყო, შიგნიდან ხის. გენჯობაში ვაკეთებდი დედოფლის ურუბას. ხელის მაქინაი მქონდა, იმით ვკერებდი. ის მაქინა რავიცი საიდან მოიტანეს, საიდან აიღეს. სახლის უსტები იყვნენ. საცოცოხე ეზოში გვქონდა. ბექმეზს აქ ვაშლით, მსხლით, ყოლით ვაკეთებთ. სხეულის ნაწილები: თმა, შუბლი, წამწამი, წარბი, თვალი, ყური, ლოყა, ნიკაპი, ენა, კიბილი, ტიტვირი, ყია, კინხი, ხელი,

მკლავი, თითები, ფრჩხილები, მენჯი, კოჭი, ფეხიგული, მუხლი, მუცელი, ჭიპი, ჯგერი, შავი ჯიგერი, თეთრი ჯიგერი, გული, ზურგი.: თვალის ფერი: ცისფერი, თაფლისფერი, ჭრელა, შავი. ყარფუზი არ ოდნიათ, ჩემი სიძე შავშეთიდან ყოფილა, მუუტანია ართვინიდან. აქ ხაპი გონებიან, ჩუუფლიან ცეცხლთან. თხა მყავდა, ცხვარი, ჯამუში, სამი ახორი საქონელი გვყავდა. ბევრი ქათმები. ყველს ვაკეთებდით, ძროხის იაღს, ბუნჩხაის ვაკეთებდით. „ლუხუმი“-ლებლები. ქერ-ჭვავ დავთესებდით. ფეტვი ჩვენ არ დავგვითესია. ერთი ბაღვის გაზრდას შვიდი ფეტვი გახრიტე, გერჩიოსო. წინ-წინ დობტორობა-მობტორობა არ იყო. ამათი დიდენენი მოკრეფდა ბაღასს, იმაში ბაღვებს აბანებდა. ფადიმესაც იმ ბებიამ დაასწავლა. ყველაფერ ვუკითხავ, მორჩება. – შენ ამ დუნიას სიმაღლე, ეს მომეც, ის მომეც. ბავში გაცივდა, შავაცივეთ. გაწინბევედით ნინბით თოვლსა. კვარ მუუკიდებდით. ტყიდან მოვიტანდით. მერე ფენერი იყო. აქური ალაგები არის წყაროსწყალი, საწმალი – ყანაა, საკარიკილდე – ტყეა, გადაღმაყანა – ყან იყო ადრე, ვაკე არი, გოსაგოლევი ყანა – ტყე ყოფილა ადრე, მემრე სახლები გუუკეთებინ. სხვა ყანაზე თხილები გვაქვს დარგული, თხილ-ყანას ვეტყვით. კაკალები გავქ, ავერ, რამდენი, წაბლები გვაქ. ძველად კანაფი იყო. ხოშიანი ქოქები გამხდარა. ორწყალი არის, ერთ წყალი იქიდან მოდის, მეორე აქიდან, შეერთდება, ეტოლება. შვიდი დედე გვაქ: ილფანა დედე, ტყეში ყოფილა, მთას წვედოდნენ, ზედა თა - ყარაბუთურა, იქ იალიაა, იალია თურქნეა, გურჯიჯე „თაა“. ერთიც ქვედა თაა. ჩობანი იქაა გათოვლებამდე. რთველზე ჩამოვდოდნენ, გაზაფხულზე წვედოდნენ. მაისში სიმინდე დავთესევდით. წინ-წინ ექვსი თვე ზაფხული იყო, ექვსი თვე - ზამთარი. რთველი შემოდგომაა. როის ავდგებოდით? დილაზე, გათენებისან ეზან იკითხვენ, ავდგებით, ვილოცავთ. მერმე თუ საქმე არ გვაქ, დავწვებით. შუაი დდე მოვა, მიერე – სადამო, სადამოს მერე – დამე. დილის ჭამა „სადილი“ იყო. შუადღესა - შუადღისჭამას ვეტყვით. სადამოზე ვახშამ ვაკეთებთ. დამეში რაახან დაიკავებთ. ქალაჯო, ქინძი, მაკილო, პრასა, ნიორი, პილპილაი გვაქვს. დიდვანი ქვაბები გვაქ, თანჯირა, ტაფა. კეცი მაქ, ჭად დავაკრავ. ტაფის

ჭად გემო არა აქვს. კეცის ჭადი გემრელია. ორ კეც გავახურებ, ერთ-ორ ასე მივაყუდებ ცეცხლზე. ერთში ჭადს დავაკრავთ, საჯს დავადებ და ნაკვერცხალს დავაყრი, საჯი თუჯისაა. ქალაჯო ლამაზ მოდის. წინ-წინ პურს კეცზე ვაცხოვდით, ახლა ფურნეში შევეყრი. ფუნებისაგან ხასისი მოექსოვდით, დავაფენდით. ხალი, ქილიმი არ იყო. იმ კანაფით თოკებ აკეთებდნენ, ძროხას დააბმენ. ყურძენი გვაქ შავი ადესაი, ცხენისძუქუ გვაქ. თეთრი ყურძენია, აუსტოს ყურძენია. ამასია ვაშლი, შექქერვაშლი, სინები//სინაფი ვაშლია, ბარაქაი მსხალი, სასალაი მსხალი. ტაბაკაი მაქვს, მემ-ლექეთიდან გამოტანილი, პატარა იყო გვარგვალი. ჭანჭური გვაქ. ქლიავი სავიც არი, თეთრიც არი. პანტა ვაშლები არი, აბა, არ არი? არი, თუ არ გაადჭრი, მუავე არის. ჩემ დედას ნათქამი აქვს, ჩემი ყველაფერი თუ არ ჭამეთ, არამიაო. ძალიან გერმელი ნენეი“ (სულთან ბაიჰანი, სოფელი სულჰიე, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი, 73 წლის).

„აქ თავს ვირჩენდით, სიმინდი, ჭად ვჭამდით. ჭადი ვიცით. დილა-საღამოს გამოცხვებოდა. პურს არ ვჭამდით. ძროხებს ვაჭმევდით პურს, თათრებიდან ვყიდულობდით, იქით სიმინდ მივცემდით. კეცი მიწიდან იყო, წითელი მიწიდან კეთდება, ქალები აკეთებდნენ. თაფლი იყო. ორჯერ იღებდნენ თაფლს. გვარდაში ვღებდით“ (აბდულაჰ თათაროღლუ, სოფელი ყაზეელი//გაზეელი, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი). „ჯილდა წიფელადან კეთდებოდა, ლეკი კარგია, თუ ნახე. თელა ბევია. ჯილდას წინ წამოაცმვდნენ სახნისს. სახნისს აქ აკეთებდნენ ქვემოთ. ცელის ავიღებდთ. აესტრიიდან მევტანე ორი ცელი, დამლა ორი ბულა იყო. ერთი მომკლილი გვარაღია, მერე - ჭელი, მერე კონა, მერე ზვინი გახთება. ძნას ასე გააკეთებ: დაასობ დიდ დირეგს, იმას დაახვევ ბზეს, ჩაღას. აიღებს ორას კონას. ინახება კარგად. კვერი გვაქნდა. ქვები აქვს ქვემოთ, კაიუი. ხარი ემესიჯება, იარება. არ ჭამოს ხარებმაო, პირზე ტკეჩ ამოღებდნენ. ტკეჩი გათლილი ხე იყო. ტკეჩიდან კალათებს ქსოვენ. კალო იყო. კალო ქვემოთ ხარმანზე არის, დიდი ალაგია, სოფელი ბოლოში. იმ ადგილზე ლეწავენ. ხუთი-ექვსი წისქვილი იყო, ახლა ერთია ამ რელეზე.

წისქვილის ქვას აქვე ჭრიდნენ კიდეში. ტეხავს, ტეხავს, 1000
ოყა არი ერთი ქვა. ამოჭრიან ქვას სატეხით. კაკალი ღამაზია
და მალე ღვება, მაგარი არ არი. პანტა, თხილი დიდვანი იყო.
იმიდან გობ ვაკეთებდით. ორასი წლის სახელი არი, გაღმა დგას
(ნიზამეთინ მალი, 72 წლის, სოფელი ილმიე, ინეგოლის რაიონი,
ბურსის რეგიონი).

შემონახულია **ნადირობის ტრადიციების ხსოვნა**: „წინწინ
თხას მოკვლაზე წავიდოდნენ, თხა იაბანი იქ თეფეებზე ბევრია.
მოკლევდნენ, იქ თეფეებზე იმღერებდნენ, გევიგონებდით. თუ ვერ
მოკლესო, უჩუმრად ჩამოვიდოდნენ, შერცხვებოდნენ. ახლაც არის
იმ თეფეზე თხები. დილაი ადრე წვედოდდნენ სანადიროდ. ჰუსენ
ჩაუშ ვეტყოდით, მთავარი მონადირე იყო. ის ანაწილებდა თეფე-
ეებს: იმ თეფეზე შენ უნდა დადგეო, აქეთ - შენო. გავკოჭებდით ისე,
რომ თხა ვერ გეიქცეოდა. პაწუაი თხები იყო. ძაღლს წავიყვანდით.
აბა, ძაღლის უმისოდ არ იქნება ნადირობა. ძაღლმა უნდა გინახოს,
აყენებს ნადირს. თეფეი დავიჭირავთ. აქაურობაში იყვნენ კაი
თეფეები. ახლა კანალიზაცია ჩაუშვეს, არ ვარგა. არ დავიჭერთ.
თეფეის ჭერისთვის კაკალ დავნაყებდით, წყალში გუღუუგდებდით,
თუთუნ ჩავაწურამთ, მაშინ ამოვდოდა მალლა (თეფეი), კირიც
ჩაემატებოდა, თეფეი მალლა ამოვიდოდა“ (ალი ჯანღუ ჰარუნი,
ჰენდეკის რაიონი, სოფელი ღუტვიე ქოშქი, საქარიას რეგიონი).

მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართველთა შორის **შემონ-
ახულია ქართული ნათესაური სისტემები და ტერმინოლოგია**.
ტერმინთა ერთი ნაწილი ჩანაცვლებულია თურქული სიტყვები-
თაც. გამაკვირვა იმ ფაქტმა, რომ ამ მხარეში უფრო ცოცხალია
ქართული სიტყვა „ნენე“ დედის აღსანიშნავად, ვიდრე ისტორი-
ულ ტაო-კლარჯეთში (გარდა ზემო მაჭახლისა), სადაც უმეტესად,
თურქულ „ანენე“-ს წარმოთქვამენ. მამას „ბაბა//ბაბო“ ეწოდება,
ბებიას - „დიდნენე“, ბაბუას - „დედე“. დედის ძმა - „ტაია“-ა, მამის
ძმა, ძირითადად, თურქული ტერმინებითაა შემონახული: „ემია“,
„ამჯა“, „ემიჯა“, მაგრამ ცოცხალია ქართული „ბიბაი“-ც. მამიდას
ზოგან ამავე სახელს, უმეტესად კი - „ბიბიას“ ეწოდებენ, დეიდას
- „ხალას“. „ნენეს ძმა „ტაია“, ბიბას „ემიას“ ვეტყვით, ბაბოს დას

„ბიბიას“. გელინის მშობლები „დოსტი“. პატარ „წვიტი“. ბიჭი სულ პაჭაი - პაწაი ბიჭია, მერე საშუალო ბიჭია, მერე ცოლს რომ მიეყვანს - კაცი იქნება. სამი ბიჭი და ოთხი გოგო მყავს. გოგო ციციო. ბადიშები მყავს. 24 ბადიში მყავს, 8 ბადიშის შვილი (სულთან ბაიჰანი, სოფელი სულჰიე, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი, 73 წლის). და-ძმის აღსანიშნავად ქართულ ტერმინებსაც იყენებენ და ხანდახან - თურქულსაც: და - აბლა, ბაჯი; ძმა - აბი, ყარდეში. განსხვავებული ტრადიციაა ინეგოლის ქართველთა შორის: „ძმა თუ ჩემზე დიდია „ძიას“ ვეტყვი, პატარას - „ძმას“; ჩვენ სამი ვართ, ერთი ძიაა, ერთიც დაა“ (სოფელი ყაზელი//გაზელი). „რაცხანან ვიტყვით, ჩვენი ნენე-ბაბაოსგან ვიცით: უფროს დას „ბაჯი“ ვეტყვით, პატარაის სახელს დუგუძახებ. ძმა უფროსი „ძიაა“ (სოფელი ყაზელი//გაზელი, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი). „მე ზოიძე ვარ, სოფელ კარაპეტიდან მოვსულვართ. მე მაშინ დუნიაზედ არ ვიყავ. იქ დარჩნენ დედეს პრატები. გოგო შვილები - პრატია, ბიჭი - შვილია (სულთან ბაიჰანი//თავდგირიძემ სოფელი სულჰიე, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი). დეიდაშვილი - ხალაშვილია, მამიდაშვილი - ბიბიაშვილი, მამით ბიბაშვილი - ემიაშვილი, დედით ბიბაშვილი - ტაიაშვილი, თუმცა ცოცხალია ქართული ტერმინიც - „ბიბაშვილი“. „ათ და ერთ ბიბაშვილი ვართ და სოფელში მე ვარ მარტო, მისი ბაღანაც აქ მუშაობს“ (ქოჯაალი, საქარაის რეგიონი).

საგულისხმოა, რომ შემონახულია ძველი ქართული ტერმინი **„განაყოფი“**, რაც გულისხმობს მამის ხაზით უახლოეს მოგვარე ნათესავეებს, ერთი სახლიდან გამოყოფილებს (გამრავლებისა და ცალკეულ კომლებად დაყოფის შედეგად). აღსანიშნავია, რომ შემონახულია ურთიერთდახმარების ქართული ფორმები: „სულ ეშველებიან ერთმანეთს. თუ გაჯავრებული არ არიან, დეეშველებიან ერთმანეთს. თუ მჭირია რამე, მივალ განაყოფთან ავწევ, წავიდებ. არც ვკითხავ. ისიც ასე იქმს“ (კენდეკის რაიონი, საქარაის რეგიონი).

შვილიშვილი „ბადიშა“, ბადიშად იხსენიებენ გოგოსაც და ბიჭსაც.

გთავაზობთ ერთ ჩანაწერს, სადაც მხოლოდ ქართული ტერმინოლოგიაა გამოყენებული: „ჩემი ბაბოი 82 წლის არის, არაბული იცის. 1960 წლის ამბები იყო, დაიჭირეს, მე არ ვიყავი მაშინ, ჩემი ძია იყო დაბადული. მენდერესი ჩამოახრჩვეს, ბევრი ჩვენი ხალხი დაიჭირეს. ჩემი ნენეი 2006 წელს გარდაიცვალა. ნენეი ჯინეზოლდი იყო. სიმამარი, სიდედრი აქვე ცხოვრობენ“ (აბდულაჰ თათაროღლუ, სოფელი ყაზელი//გაზელი, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი). „ეს ჩემი ბაბოს სახლიდანაა“ - აგვიხსნა მთხრობელმა. „ეს ჩემი ძიას ბაღია“ (სოფელი სულჰიე, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი). „ჩემი ცოლიც გურჯია, შვილებიც. ჩემი ძიები (უფროსი ძმები) აესტრიაშია“ (სოფელი მესრურე, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი).

შემონახულია მაზლის ცოლის აღმნიშვნელი ქართული სახელი „შილი“, ქმრის დის სახელი - „მული“: „ახლა ჩემი შილი მოვა. ეს ჩემი მულია, იმის სახლში ვართ. მე ხეირიელი ვარ“ (სოფელი საადეთი, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი).

მეტყველებაში ცოცხალია მეუღლის ძმის ქართული სახელი - „მაზლი“ და მისი შვილის სახელი - „მაზლიშვილი“, ასევე, **მულიშვილი**.

შემონახულია ზრდილობიანი მიმართვის ფორმები: „ჩვენი დიდვანები „ძალო“ იტყოდნენ. ბაბოს „ბატონოს“ ვეტყოდით. მაზლის ბაღებს „ბატონიშვილი“ უძახდით“ (სოფელი სულჰიე, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი).

არსებობდა **ხელოვნური დანათესაების ფორმები**: „დაძმარობა ვიცოდით. ვიტყოდით, შენ დაი, მე ძმაი“, დასავით იყვნეს“ (სოფელი საადეთი, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი). აღსანიშნავია ნათესაობის სხვა ქართული ფორმაც – „ძუძუნაწოვები თუა, იმის მოყვანა არ იქნება“ (სოფელი ჰაიდარიე, გემლიქის რაიონი, ბურსის რეგიონი).

მთხრობელები იგონებენ ქართული საოჯახო ყოფის ტრადიციებს. აღსანიშნავია **გაუყოფელი ძმების ერთ სახლში ცხოვრების წესი** („ენ წინ დიდ სახლში ორი ძმა იქნებოდა, ვერ დაეტეოდა, ახალს აიშენებდნენ. ახალ რძალს ცოტა შერ-

ცხვებოდა საერთო მაგიდასთან დაჯდომა“), **გაყრის ადათები, ოჯახის წევრთა შორის არსებული ტრადიციული ურთიერთობის ფორმები.**

დადასტურდა „**უმძრახობის“ ტრადიციის არსებობა:** „ძველად პატარძალი მამამთილს არ დეველაპარაკებოდა. ერთ თვე გახდებოდა, იმის შემდეგ დეველაპარაკებოდა. აბაზებს და ჩერქეზებს აქვთ წესი, ისე არ იყო ჩვენში, ერთი წელი უმძრახად იყვნენ. ზოგი ჩვენშიც არ დეველაპარაკებოდა. ჩემი ემიჯამ ისე მოკვტა, რძლის უკან არ დუულაპარაკნა, 15 წელიწადი გახდა. ოთხი თანე შვილი ყავდა, მამათილი არ დეველაპარაკებოდა. ზოგები ისე იქნებოდნენ. ჩემ ბაბომა დეველაპარაკა“.

საქორწილო ტრადიციების ძველი ფორმა დღეს უკვე თითქმის გამქრალია და ქორწილი რომელიმე დიდი საბანკეტო დარბაზში იმართება. ტრადიციული წესი კი ასეთი იყო: „დაქორწილების დროს ბაბა-ნენეი ვკითხევდით. თუ პატინა ძმა ქორწილდებოდა, დიდ ძმას ეტყოდა და ის მისცემდა ნებას. პატინა ძმა ამიზე მალე დაქორწილდა (მიმითითა გვერდით მყოფ მეზობელზე) (აღი ჯანლუ ჰარუნი, ჰენდეკის რაიონი, სოფელი ლუტფიე ქოშქი, საქარიას რეგიონი).

ძველად შდლდნენ **საქორწილო სუფრას**, რომელზეც ხარი დაიკვლოდა და ტრადიციული კერძები მზადდებოდა. იწვევდნენ მეზობლებსა და ნათესავ-მოყვარეებს: „ჩემი ქორწილი აქ იქნა, საჭმელი მივართვით, ხარი დეიკლა. გურჯი ყველა ასე იქმოდა. ისტანბულიდანაც იყვნენ სტუმრები. ახლაც არის ფერხულები, ბაიარ შაჰინი მოდის. ცეკვას ფერხული ერქვა. ვმდეროდით ქორწილებში. ვინცხამ იცის სიმდერა, ისინი იმდერებდნენ. ქორწილში მაყარი ვიცოდით. გოგოს მხრიდან დადე იყო, დადე ერთი ან ხუთი თანე იყო, დედოფალს პეჭეტს ჩამოაცმევდნენ. ახლა თელი გათავდა. ნათესავის მოყვანა (ცოლად) ჩვენში ზორ დრამია, ჭანებში არი (აღი ჯანლუ ჰარუნი, ჰენდეკის რაიონი, სოფელი ლუტფიე ქოშქი, საქარიას რეგიონი).

ახსოვთ ქართული ტრადიცია – **ლხინის და ჭირის სუფრასთან ქალებისა და კაცების ცალ-ცალკე დასხდომის წესი:**

„ქორწილში ქალები ცალკე დაუდებოდნენ, კაცები ცალკე“ (ალი ჯანღუ ჰარუნი,ჰენდეკის რაიონი, სოფელი ლუტფიე ქოშქი, საქარას რეგიონი).

არსებობდა **მზითვის ინსტიტუტი**: „ხეირიდან მომიყვანეს ყაზელში. ერთი ქილიმი, ერთი ლოგინი, ერთი საბანი მქონდა და ის მომცეს. ახლა ციციოი გავათხოვე, უუ, ყველაფერი გავატანე. 2500 დავხარჯე. ძველად სიძე მოიტანდა იმდენ ტანსაცმელს, რამდენიც იყო ოჯახში, კაცებს ზუბუნს მუუტანდა“ (სოფელი ყაზელი//გაზელი, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი).

ქართველები მკვეთრად უარყოფენ „ურვადის“ არსებობას ტრადიციულ ყოფაში და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს წესი მათთვის არასდროს ყოფილა დამახასიათებელი: „მე წავედი აბაზებში ფერხულობაში. იმათგან ქალი უნდა გეყიდნა, ფული მიგეცა, ჩვენ არ ვიცოდით ყიდვა. ჩვენ რომ ცოლს ვითხოვთ, ცოტა საჩუქარს მივცემთ, ხარის გაყიდვა არ გეჭირდებოდა, ცეპი რამეს მივცემდით“.

ძველად, მანქანების გავრცელებამდე, პატარძალი ურმით// მარხილით მოჰყავდათ: „მე ზოიძე ვარ, სოფელ კარაპეტიდან მოვსულვართ. მე მაშინ დუნიაზედ არ ვიყავ. იქ დარჩნენ დედეს პრატები. გოგო შვილები - პრატია, ბიჭი – შვილია. ამ სოფელში პაწაი აფხაზებიც არიან. გაღმა წაები და აბაზები არიან. მე თოფექჩიქაპიდან ვარ აქ, გელინი ვარ. 59 წელია აქა ვარ. ხარების არაბაით მომიყვანეს, ქილიმებით იყო გადახურული“ (სულთან ბაირაკი//ზოიძე, სოფელი სულჰიე, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი, 73 წლის).

შემონახულია ქალის მოტაცების წესები: „ძველად ზოგი გოგოს გააქცევდა. ზოგი უკან აართმევდა, მიეყვანებენ. ზოგიც შერიგდებიან, ქორწილს იზამდნენ. ჩემმა ალიჯანამ გამოაქცია გოგო ინეგოლიდან“ (სოფელი საადეთი, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი). „მე მომიპარეს, წყალზე გავედი და მომიპარეს. ჩემი ბაბა გონჯი იყო, აართვა ჩემი თავი და მერე ქორწილით მისცა. იმის ქვიფზე არ იარა. არ გამიხარდა, რომ მომიპარა, პაწაი ვიყავი, ეს იყო გამწარება. მერმე შემეყვარდა“

(თუთია ბაიპანი, 85 წლის, სოფელი სულჰიე, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი, 73 წლის).

დაკრძალვის წესები მუსლიმურია, მაგრამ მას ახლავს ქართული შეწევნისა და დახმარების ტრადიცია. ბუნებრივია, მიცვალებულს, წესით, გარდაცვალების დღესვე, მზის ჩასვლამდე მარხავენ, მაგრამ თუკი ჭირისუფალი შორსაა, მათ მოსვლას ყველაზე მეტი ორი დღე დაელოდებიან: „შეიძლება, ორ დღეს დეიცდის, თუ ვერ უნდა მოხვიდე, არ დაყენებენ“. „ტირილში თან ტიროდნენ, თან მღეროდნენ. სიმღერესავით ღექსები იყო შავ იცმევდნენ ჩემი დიდნენი“ (თურან ადიამანი, ინეგოლი, ბურსის რეგიონი). „მკვდარზე ჰალვას ვაკეთებთ. საფლავზე გაიტანენ განაყრები“ (ჰენდეკის რაიონი, საქარიას რეგიონი). „ზუხუმზე ვიცოდით, მკვდარზე მეზობლები ამოიტანენ. რვა დღე საჭმელს გიზიდავენ მკვდარზე მეზობლები. მომსვლელს ხვალ სადამომდე დუუცდიან (სულთან ბაირაკი, სოფელი სულჰიე, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი, 73 წლის). „მკვდარზე განაყოფები მოუტანენ საჭმელს. სანამ სახლში მკვდარია, თვითონ არ გააკეთებენ საჭმელს, არ იქნება“.

ცოცხალია ქართული ურთიერთდახმარების სხვა ტრადიციებიც: შრომითი ურთიერთდახმარების ტრადიციები „ნადის“ სახითა ყოფილა გამოხატული. „ნადი ვიცოდით. 15-20 კაცი. მანგლით მოჭრიდნენ ქალები. ქალები, კაცები მღეროდნენ. ახლა ცოდვასააო სიმღერა და არ მღერიან ქალები. იმ უსტიებსაც აჭმევენ მეზობლები“ (სულთან ბაირაკი, სოფელი სულჰიე, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი, 73 წლის). „სიმღერებს იტყოდნენ. ნადი დილაშინ იმღერებდენ. საქმეზე შეწუხდებოდი, ვერ მოერეოდი, ნადს მეიწვევდი. გოგვებსა მეიყვანდი სახლში, ნად გააკეთებდნენ. თუთუნი იქნებოდა დასაჭრელი, ყანაში დეეშველებოდნენ. ნადზე ყანაში უნდა წახვიდე. გაემარგლებით ყანას თოხით. „ჰვია მოლას“ ვიტყოდით. როცა მოვხნევდით, ხარებით წამოვიდოდით, ჩვენი განაყოფი მოზობელს დავეშველებოდით. ახლა ადგა. ესენი აღარ იციან“. „**ორპირული** ნადი ვიცოდით. თოხნიდნენ. იქით გოგოები, აქით - ბიჭები. ერთგზას მღეროდნენ“.

ცოცხალია ტერმინი **მეზობელი** - „**მოზობელი**“-ს ფორმით და ის ურთიერთდახმარების ფორმები, რაც, ტრადიციულად, ქართული სამეზობლო ჯგუფებისათვის იყო დამახასიათებელი: დამხარება ჭირის და ლხინის დროს, დამხარება ნადში და ა. შ. „ძველი სახლი იყო, დაიწვა, სოფელში ფული აკერიფეთ, მივეციო. რკინა-ბეტონი დეველეთმა უნდა მისცეს. გოჭი ბავშვებს დუწუწავთ, საბძელ წუუკიდიან, ბევრი თივა დაიწვა. ჩემი ხისიმის სახლი იყო“ (დურსუნ ჯან//ყაჰვეჯოღლი, სოფელი მესრურე, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი).

შემონახულია **ხალხური სამედიცინო ტრადიციების ზოგიერთი ელემენტი**: „მრავაძარღვას ჭრილობას ვადებდით“ (ჰენდეკის რაიონი, საქარიას რეგიონი). „აქიმი იყო ჩემი დედე. ცხელი ჭიმური დაადო ჭრილობაზე. კეციდან ცხელი წადი აიღო, იადი დაასხა. მოზიდა. ჭრილობაში ცაუდო. მოარჩინა“ ისმეთ ათაში, ქალაქი გემლიქი, ბურსის რეგიონი).

დადასტურდა **ქართული ტრადიციული კვებითი კულტურის** არაერთი ელემენტის არსებობა: „კაკალის ხეები გვაქვდა ბევრი. **ლობიოს** მოხარშვა ვიცით. ქინძი, ნიორი, კაკალი ხმელი დანაყო. ფილში დავნაყევდით. ლობიო მოიხარშოდა, თელი გუურეკ, გაღე-სავ, ზორ გერმელი იქნება. შავი ლახანა გარეცხავ, მოხარშავ, ზემოდან მსხვილად დანაყავ კაკალს, იმას დუურთებ და იჭმევა. თუ გინდა, ფურის იადი დუუმატებ“. **„გენდიმას** ვაკეთებთ: პურ დანაყებენ, პურის მარცვალს დანაყვენ, მოიხარშვის, დრამი წყალი უქნა, ბერი რძე, ერთხელ მოიხარშვის, კოვზით იჭმევა“. **„აშურაის კერძი** ვიცით, კანდილმაა. ლობიო, ლუხუტი, ბურღული, ფირინჯი, ცოტა ზმელი ყურძენი, გარგარი. მერე შაქარი უქენ. დარინინი – ზეიდან. ეს ყველაი ცალ-ცალკე უნდა მოიხარშოს და მერმე ერთხელ გუურიო. მეზობლებში დაარიგო“. **„კაკლიანი ქათმის** კერძი ვიცით. ქათამ მოვხარშავთ, მერმე ძვლებიდან გავსნით. კაკალი ზორ უნდა დანაყო. ჭადის ფქვილი ცოტა იმის შიგან უყო, ერთხელ დანაყო. ქინძი აიღე ხმელი და თელი ერთხელ აურიე და მერემ იმ ქათამს ზემოდან წუუსვი“. **„ქადა** ვიცით. პურისგან მოვზელავთ, ფური იად მოასხამ, კაკალს დანეყევ, მერე ოთხად

მოკეცავ“ – „ქუმა ვიცით. ყურძნიდან ფაფას ვიქმთ, პურის ფქვილით მოვხარშავთ, მემრე კაკალს ავასხამთ, ძაფზე გუუყვით, ჩამოვკიდავთ და გავახმოებ“. „**კორკოტი** ვიცით. პურის კაკალს აიღებ, წინა რამით წყალს დაასხმა. მეორე დიდლთ სამჯერ მოხარშავ, წყალს გუმუყველი. რძეს დაასხამ. ხორბალს ქვიჯაში დანაყვენ. ტაკეცვა იყო ხისაგან, იმით ნაყავდნენ. აშურაში ლუხუტ ჩაყერი, ლობიო, თხილი“. „**მაღახტო** ვიცით, ნიორი, რეიჰანი, ქინძი, მაკიდო, პრასა, კაკალი კარგად ჩანაყო“. „**ხაჭაპური** ვიცით, სოდიანი, პაწაი იოღურთი, შიგან კაკალი დანაყილი, მერემ ცომში გაახვევ, მრგვალად შემოუჭუჭნიდი, გამოცხობდი. ამია ხაჭაპურ ვეტყოდით. იმაზე ქათამ დავდებდით, კვერცხ, ქორწილში მივართმევდით, ხუთ ცალ მივიტანდით. წუხელ გავაკეთე, ხუთი ცალი წეიდეს ქორწილში“. „**ბორან** ვაკეთებდით, ახლა ჭინჭრისა ჰქვია“ (სოფელი ბაღჩეყაია, ინეგოლის რაიონი, ბურსის რეგიონი). „მე ზოიძე ვარ, სოფელ კარაპეტიდან მოვსულვართ. **ქადა-მადას** ვეტყვით. ჩათალზე სამ ქადას დავდებდით. ხის ჩანგალზე წამოვაცემევდით კაკალიან, მარილიან ქადას, ზეიდან ლუხუმს მოვყერიდით, იადში“. „**მთრეულას** კერძი: ლობიო, კაკალი, ჭყინტი“. „**ყორავას** ვაკეთებთ, ტყემლის წვენი, ნენეი გააკეთებს. ლობიას თუ ქინძი არა აქვს, ვერ ვჭამ. ხორცი ერთ კუთხეთ დავდებთ, ქინძი - მეორე მხარეთ“.

ამრიგად, მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართველთა შორის დასტურდება ტრადიციული ქართული ყოფის სხვადასხვა ელემენტი, სოციალური მახსოვრობის ფაქტები (მუჰაჯირობის ისტორია, მშობლიურ მხარეთა სახელწოდებები, სგავარეულო ისტორიები, ზოგიერთი ისტორიული მოვლენა), ტრადიციული კულტურულ-სამეურნეო ტიპი, სოციალური და სულიერო ურთიერთობების ტრადიციული ფორმები.

გვანცა ბურდული – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი, ისტორიის
დოქტორი

სტატისტიკური ცნობები საქართველოს საეგზარქოსოში 1906 წლისათვის არსებული ვითარების შესახებ

1906 წლის 8 მარტიდან 15 დეკემბრამდე სანკტ-პეტერბურგში მიმდინარეობდა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირი. თათბირის მიზანი იყო რუსეთში პატრიარქობისა და საეკლესიო კრების აღდგენისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის მომზადება. ჩაფიქრებული საეკლესიო რეფორმა თავისი შინაარსით მრავლის მომცველი იყო. ერთ-ერთ საკითხად რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე იხილებოდა კავკასიაში საეკლესიო ცხოვრების მოწყობის პროექტი. ქართველმა მღვდელმთავრებმა ეპისკოპოსმა კირიონმა (ერში გიორგი საბაგლიშვილი), ეპისკოპოსმა ლეონიდმა (ერში ლონგინოზ ოქროპირიძემ) რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომაზე წარმოადგინეს საქართველოს ეგზარქოსების მოღვაწეობის ყოველის მომცველი და დასაბუთებული კრიტიკა. ცხადია საქართველოს ეგზარქოსები დამოუკიდებლად არ მოქმედებდნენ. ისინი რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის პოლიტიკას ახორციელებდნენ საქართველოში. ამიტომ იყო, რომ რუსმა სამღვდელოებამ და რუსმა მეცნიერებმა (საეკლესიო ისტორიისა და საეკლესიო სამართლის ცნობილმა სპეციალისტებმა) ძალზე მტკივნეულად აღიქვეს ქართველი ეპისკოპოსების გამოსვლები. განსაკუთრებული რისხვა დაატყდა თავს ეპისკოპოს

ლეონიდს, რომელმაც საქართველოს ეგზარქოსების მოღვაწეობა და ზოგადად რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში შავ ფერებში წარმოადგინა. ეპისკოპოსი ლეონიდი თავდასხმის ობიექტი გახდა რამდენიმე სხდომაზე. რუსებმა ესეც არ იკმარეს და ცნობილ მეცნიერებს დაავალეს კონტრარგუმენტების მოძიება ეპისკოპოს ლეონიდისა და ეპისკოპოს კირიონის მოსაზრების წინააღმდეგ. ცნობილმა მკვლევარმა, პროფესორმა ვ. ფ. ტრელინმა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირს წარუდგინა ვრცელი მოხსენება „Бедство русских переселенцев в Грузинском Экзархате“. მოხსენების მიზანი იყო, გაექარწყლებინა ის მიმე შთაბეჭდილება, რაც ეპისკოპოს ლეონიდისა და ეპისკოპოს კირიონის გამოსვლების შედეგად შეიქმნა.

პროფესორი ვ. ტრელინი ცნობილი მკვლევარი იყო, თუმცა ამ შემთხვევაში იგი მოგვევლინა საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიის გამყალბებლად და საქართველოში რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის უსუსურ დამცველად.

პროფესორ ვ. ფ. ტრელინის მოხსენების სათაური – „რუსი გადმოსახლებულების გასაჭირი საქართველოს საეგზარქოსოში“ – უკვე მიანიშნებდა ავტორის მიზანზე. მოხსენების ავტორი დასაწყისშივე ცდილობდა, მწვავედ და მიმედ წარმოედგინა რუსი მოსახლეობის ცხოვრება ამირკავკასიაში. მოხსენების ბოლოს ვ. ტრელინმა წარმოადგინა სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც საქართველოს საეგზარქოსოს და ეგზარქოსების დატვირთულ საქმიანობას ეხებოდა. მონაცემები აღებულია ნაწილობრივ 1904 წლის საეგზარქოსოს წლიური ანგარიშებიდან (1905 წლის ანგარიში ფაქტიურად არ არსებობს), ნაწილი კი წმინდა სინოდის სამეურნეო სამმართველოს მონაცემებიდან და ნაწილიც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოცემიდან, რომელიც ტროინიცკის რედაქტორობით გამოიცა. პროფესორ ვ. ფ. ტრელინის ინფორმაციით 1897 წელს სრულიად რუსეთის იმპერიის მოსახლეობა აღიწერა. როგორც ცნობილია, აღწერა 1897 წლის 28 იანვრისათვის დასრულდა და, აქედან გამომდინარე, აქ დაცული მონაცემები უკვე 10 წლით იყო მოძველებული და აუცილებლად

საჭიროებდა ზოგიერთი სახის დამატებას.¹ რუსმა მეცნიერმა ზემოთ აღნიშნული ფაქტი გაითვალისწინა და სტატისტიკური მონაცემებიც შესაბამისად წარმოადგინა. ჩვენ არ შეგვხვებით ვ. ფ. ტრელინის მოხსენების შინაარსს, არამედ წარმოვადგენთ იმ მონაცემებს, რომლითაც რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მეორე განყოფილების სხდომა სარგებლობდა საქართველოს საეგზარქოსოსთან მიმართებაში. აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პროფესორი ვ. ფ. ტრელინი ყურდნობა რუსეთის იმპერიაში მოსახელობის აღწერის დროს დამკვიდრებულ წესს. რუსეთის ოფიციალურ დოკუმენტებში, მათ შორის, მოსახლეობის აღწერის დროსაც ცნება „ქართველი“ გაიგივებული იყო „ქართლელთან“ და „კახელთან“, „ქართველში“ არ იგუსლიხმებოდა იმერელი, მეგრელი, სვანი, გურული, აჭარელი. ასე რომ, სტატისტიკურ მონაცემებში „ქართველის“ გვერდით და, მის თანასწორად იხსენიებოდა „იმერელი“, „მეგრელი“, „სვანი“, „გურული“, „აჭარელი“. ცხადია, ეს იყო რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთი მზაკვრული და შორს გამიზნული გეგმის ნაწილი.

საქართველოს საეგზარქოსოს შემადგენლობაში შედის შემდეგი ეპარქიები:

1. ქართლის ეპარქია (აღმოსავლეთ საქართველოს), რომელიც მოიცავს – თბილისის, ბაქოს, ელიზავეტპოლისა და ერევნის გუბერნიებს, ასევე ყარსის ოლქს.
2. იმერეთის და გურია–სამეგრელოს ეპარქიები, ორივე გაერთიანებულია ქუთაისის გუბერნიაში, სოხუმის მხარის გამოკლებით.
3. სოხუმის ეპარქია – მოიცავს შავი ზღვის გუბერნიას, სოხუმის მხარეს.

¹ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки и одлежащих раз-смот-рению на Поместном церковном Соборе вопросов. Об уст-роении цер-ковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 12 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковная Ведомости“, №10 за 1907, стр. 316.

სწორედ ამ ეპარქიებზე და გუბერნიებზეა გათვლილი ქვე-
მოთ მოყვანილი ცნობები:

**I. საქართველოს საეგზარქოსოსში ამჟამად
მართლმადიდებელი ქრისტიანების საერთო რიცხვით
1 950 000 ადამიანია
(ორივე სქესის წარმომადგენლები)**

ეროვნული ნიშნის მიხედვით მათ შორის არიან:

ქართულ ენაზე მოსაუბრე: ქართველები – 800 000;
იმერლები – 318 000;
მეგრელები – 280 000;
სვანები – 17 000;
სულ: 1 415 000.²

ბ) არაქართველები: რუსები – 300 000; ბერძნები – 92 000;
ოსები – 82 000; აფხაზები – 55 000; აისორები – 4 000; მართლ-
მადიდებელი სომხები – 2 000;

სულ: არაქართველები – 535 000.

**ეპარქიებში მართლმადიდებელი ქრისტიანების რიცხვი ასე-
თია:**

ა) ქართლის ეპარქიაში სულ – 864 000.

მათ შორის: ქართველები – 478 000;
იმერლები – 5 000.
სულ: 483 000

(ორივე სქესის მაცხოვრებელი).

ბ) თბილისის გუბერნიაში: 478 000

მაზრებში მართლმადიდებელ ქრისტიანთა რიცხვი ასეთია:

² Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих раз-смотр-рению на Поместном церковном Соборе вопросов. Об уст-роении цер-ковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 12 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №10 за 1907, стр. 316.

თელავის მაზრაში – 60 000 ათასი მართლმადიდებელი ქრისტიანი; სიღნაღის მაზრაში – 95 000 ათასი ქრისტიანი; გორის მაზრაში – 127 000 ათასი; დუშეთის მაზრაში – 56 000 ათასი ქრისტიანი; თბილისის მაზრაში – 42 000 ათასი ქრისტიანი, თიანეთის მაზრაში – 35 000 ათასი მართლმადიდებელი ქრისტიანი.

მართლმადიდებელი ქრისტიანების რიცხვი ძალზედ მცირეა ახალციხის მაზრაში – 10 000 ათასი ქრისტიანი; უფრო მცირე რაოდენობითაა ბორჩალოს მაზრაში, სულ 6000-მდე მართლმადიდებელი ქრისტიანი, ზაქათალის მხარეში – 4000 ათასი, ბაქოს გუბერნიაში – 2000; ელიზავეტპოლის გუბერნიაში – 1500, ერევნის გუბერნიაში – 950, ყარსის მხარეში – 550.³

2. რუსი მართლმადიდებლები - 280 000 მაცხოვრებელი.

ა) თბილისის გუბერნიაში – 79 000 ათასი.

მცირე რაოდენობით არიან გორის მაზრაში – 4000, სიღნაღის მაზრაში – 4000, ახალციხის მაზრაში – 3. 500, დუშეთის მაზრაში – 700, თელავის მაზრაში – 500, ბორჩალოს მაზრაში – 6. 000 და თიანეთის მაზრაში – 300.

ბაქოს გუბერნიაში – 98 000 ათასი ქრისტიანი; ელიზავეტპოლის გუბერნიაში – 15 000 ათასი მართლმადიდებელი ქრისტიანი; ერევნის გუბერნიაში – 13 000, ყარსის ოლქში – 23 000.

3. ოსები – 77 000 მაცხოვრებელი.

ოსების უმრავლესობა ცხოვრობს ა) თბილისის გუბერნიაში, ძირითადად გორის მაზრაში – 57. 500.

ქალაქ თბილისში – 900; თბილისის მაზრაში – 800; ბორჩალოს მაზრაში – 600; თიანეთის მაზრაში – 200.

4. ბერძნები – 70 000 მაცხოვრებელი.

მათ შორის:

ა) თბილისის გუბერნიაში – 30 000; ბორჩალოს მაზრაში – 27 000; თბილისის მაზრაში – 2000; გორის მაზრაში – 1000.

³ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устройении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 12 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №10 за 1907, стр. 317

ბ) ყარსის ოლქში – 38 000; გ) ერევნის გუბერნიაში – 1.400;
დ) ელიზავეტპოლის გუბერნიაში – 600.

აისორები – 4000 მაცხოვრებელი

ა) ერევნის გუბერნიაში – 2650; ბ) თბილისის გუბერნიაში – 1000; ყარსის ოლქში – 350.

6. მართლმადიდებელი სომხები – 2000 მაცხოვრებელი.⁴

ა) ერევნის გუბერნიაში – 1300; ბ) თბილისის გუბერნიაში – 700.

თვითონ ქალაქ თბილისში

ა) რუსი ქრისტიანების რიცხვი – 50 000-მდეა; ქართველები კი – 43 000-მდე.

ბ) რუსული სამრევლოების ირცხვი – 13-მდეა, ქართული სამრევლოებისა კი – 15.

ახლა რაც შეეხება სხვა ქართულენოვან ეპარქიებში მართლმადიდებელი ქრისტიანების შემადგენლობას:

ა) იმერეთის ეპარქიაში სულ – 567 000 კერძოდ: ქართველები – 219 000, იმერლები 313 000, სვანები – 17 000. სულ – 549 000 მაცხოვრებელი (უმეტესობა ქუთაისის გუბერნიაში).

ბ) რუსები – 10 000, ოსები – 5 000, ბერძნები – 3 000 (ყველა ქუთაისის გუბერნიაში).

გ) გურია–სამეგრელო ეპარქიაში სულ 371 000 მაცხოვრებელია, მათ შორის: მეგრელები – 257 000; ქართველები – 100 000; სულ – 357 000 (ქუთაისის გუბერნიის მაცხოვრებელი);

2. რუსები – 7 000; 3. ბერძნები – 7 000.

დ) სოხუმის ეპარქიაში სულ 148 000 მაცხოვრებელია, მათ შორის: 1. რუსები – 55 000 (შავიზღვისპირეთის გუბერნიის სოხუმის მხარე); 2. აფხაზები – 55 000 (სოხუმის მხარე); 3. მეგრელები – 23 000 (სოხუმის მხარე); 4. ქართველები – 3000 (შავიზღვისპირეთის გუბერნია); 5. ბერძნები – 12 000 (შავიზღვისპირეთის გუბერნიის სოხუმის მხარე).

⁴ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устройении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 12 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №10 за 1907, стр. 317.

II. მართლმადიდებელი სამრევლოების რიცხვი საქართველოს საეგზარქოსოში 1906 წლის მონაცემებით

სამრევლოების საერთო რაოდენობა – 1613.

ეპარქიების მიხედვით: ა) ქართულ ეპარქიაში – 618 სამრევლოა.

მათ შორის: ა) ქართული სამრევლოები – 392;

ბ) არაქართული სამრევლოები – 226.

მათი ადგილმდებარეობა ასეთია:

ქართული სამრევლოები ყველა თბილისის გუბერნიაშია: გორის მაზრაში – 124, სიღნაღის მაზრაში – 64, თელავის მაზრაში – 56, თბილისის მაზრაში – 49 (აქედან 15 თვითონ ქალაქ თბილისშია), დუშეთის მაზრაში – 47, თიანეთის მაზრაში – 30; ახალციხის მაზრაში – 11; ბორჩალოს მაზრაში – 5, ზაქათალის მხარეში – 6, სულ – 392.⁵

არაქართული სამრევლოები მდებარეობენ:

რუსული სამრევლოები სულ – 92, მათ შორის: ბაქოს გუბერნიაში – 32, ელიზავეტპოლის გუბერნიაში – 16, ყარსის ოლქში – 10, ერევნის გუბერნიაში – 8, თბილისის გუბერნიაში – 26, **სულ – 92**.

თბილისის გუბერნიაში არსებული 26 სამრევლო ასე ნაწილდება: 13 სამრევლო თბილისის მაზრაში, 6 სამრევლო გორის მაზრაში, 2 სამრევლო სიღნაღის მაზრაში, 1 დუშეთის მაზრაში, 4 სამრევლო გორის მაზრაში.

ბერძნული სამრევლოები სულ – 78, მათ შორის: ყარსის მხარეში – 48, ერევნის გუბერნიაში – 3, ელიზავეტპოლის გუბერნიაში – 2, თბილისის გუბერნიაში – 25, **სულ – 78**.

⁵ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устройении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 12 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №10 за 1907, стр. 317

ოსური სამრევლოები სულ – 28, მათ შორის: თბილისის გუბერნიაშია ყველა განთავსებული: გორის მაზრაში – 25 სამრევლო, დუშეთის მაზრაში – 3 სამრევლო.

აისორული, მათ შორის: თბილისის გუბერნიაში – 1, ყარსის ოლქში – 1, ერევნის გუბერნიაში – 6, სულ – 8.

მართლმადიდებლური სომხური სამრევლოები სულ – 9, მათ შორის: ერევნის გუბერნიაში – 5, თბილისის გუბერნიაში – 4.

უღინების (სადაც თათრულად საუბრობენ) ელიზავეტპოლის გუბერნიაში 2 სამრევლოა.

შერეული სამრევლოებია (ქართული, რუსული, ოსური, ბერძნული) მათ შორის: თბილისის გუბერნიაში – 8 სამრევლო, თბილისის მაზრაში – 4 სამრევლო, ბორჩალოს მაზრაში – 2, ახალციხის მაზრაში – 2, ყარსის ოლქში – 1, სულ – 9 სამრევლო.

იმერეთის ეპარქიაში – 507 სამრევლო, გურია-სამეგრელოს ეპარქიაში – 383 სამრევლო.

სოხუმის ეპარქიაში – 104 სამრევლო.

ზუსტი ცნობები ამ ეპარქიათა შესახებ საქართველოს საეგზარქოსოს ანგარიშებში არსად მოიძებნება.⁴

III. საქართველოს საეგზარქოსოში ტაძრების რაოდენობა 1905 წლის მონაცემების მიხედვით ასეთი იყო:

1. საერთო რიცხვი – 2 544 ერთეული, აქედან: სამრევლო (საშტატო) – 1562, მიწერილი და სხვა – 851, 22 (სხვადასხვა).

2. ეპარქიების მიხედვით ტაძრების რაოდენობა ასეთია:

ა) ქართლში – 1103 ტაძარია (სამრევლო 582, მიწერილი 490 და სხვადასხვა);

⁴ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устройении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 12 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №10 за 1907, стр. 318.

ბ) იმერეთის ეპარქიაში – 823 ტაძარია (სამრევლო 506, მიწერილი 269 და სხვადასხვა)

გ) გურია-სამეგრელოს ეპარქიაში – 483 ტაძარია (სამრევლო 376, მიწერილი 79 და სხვადასხვა);

დ) სოხუმის ეპარქიაში – 130 ტაძარია (სამრევლო 98, მიწერილი 13 და სხვადასხვა).

IV. საქართველოს საეგზარქოსოში მონასტრების რაოდენობა 1905 წლის მონაცემების მიხედვით ასეთი იყო:

1. **საერთო რიცხვი – 34**, მათ შორის: 27 მამათა მონასტერია, 7 დედათა.

2. **ეპარქიების მიხედვით:** ა) აღმოსავლეთ საქართველოს (ქართულ) ეპარქიაში 16 მონასტერია, აქედან 13 მამათა, ხოლო 3 დედათა მონასტერი. საფარის, კობენისა და ახტალის მონასტრები რუსების მიერ იქნა აღდგენილი. რუსებმა აღადგინეს წმიდა ნინოსა და მამკოდის მონასტრებიც.

ბ) იმერეთის ეპარქიაში 7 მონასტერია, აქედან 6 მამათა და 1 დედათა.

გ) გურია-სამეგრელოს ეპარქიაში 7 მონასტერია, 5 მამათა და 2 დედათა.

დ) სოხუმის ეპარქიაში 4 მონასტერია, 3 მამათა და 1 დედათა.
ამ ეპარქიებში მდებარე ყველა მონასტერი რუსულია.⁷

⁷ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устройении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 12 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №10 за 1907, стр. 318.

V. სამრევლო-საეკლესიო სკოლები საქართველოს საეგზარქოსოში და მათში მოსწავლეთა რაოდენობა 1905 წლის მონაცემებით შემდეგი იყო:

1. სკოლების საერთო რაოდენობა – 852 იყო, მოსწავლეების – 33 653 (აქედან მამაკაცი – 23 523, ქალი – 10 130).
2. ეპარქიების მიხედვით:
 - ა) ქართლის ეპარქიაში: 352 სკოლა იყო, მოსწავლე – 13. 585 (აქედან კაცი 8 600, ქალი 4 985).
 - ბ) იმერეთის ეპარქიაში: 181 სკოლა, მოსწავლე - 6 485 (კაცი 5 212, ქალი 1 273).
 - გ) გურია-სამეგრელოს ეპარქიაში: 207 სკოლა, მოსწავლე – 9 433 (კაცი 6 498, ქალი 2 935).
 - დ) სოხუმის ეპარქიაში: 112 სკოლა, მოსწავლე – 4150 (კაცი 3 213, ქალი 937).⁸

VI. საქართველოს საეგზარქოსოზე ყოველწლიურად გაცემული თანხის რაოდენობა (რუბლში) ასეთია:

1. ქართულ ეპარქიაზე – 75 126 ათასი რუბლი; იმერეთის ეპარქიაზე – 30 000 რუბლი; გურია-სამეგრელოს ეპარქიაზე – 20 000 რუბლი.
 2. ხაზინაში აღებული საეკლესიო მიწების (მამულების) სანაცვლოდ – 125. 126 ათასი რუბლი.
 3. სასულიერო პირების ჯამაგირებისათვის – 660 000 ათასი რუბლი.
- სასულიერო-სასწავლო დაწესებულებისათვის – 39 733 რუბლი; საეკლესიო-სამრევლო სკოლების საქმეებისათვის – 200 000-მდე რუბლი, ქართული ეპარქიების საჭიროებისათვის (75 136

⁸ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устройении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 12 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №10 за 1907, стр. 318.

ათასი რუბლის დამატებით) 24 874 მანეთი, სასულიერო პირთა პენსიისათვის – 150 000–მდე რუბლი, სულ 1. 200. 000. რუბლი.⁹

VII. არამართლმადიდებელთა რიცხვი საქართველოს საეგზარქოსოში ასეთია:

1. რუსები – ძველი რწმენის (სტაროვერები) და სექტანტები – 100 00 კაცია, ყველანი ცხოვრობენ ქართლის ეპარქიაში.
2. ქართველი მაჰმადიანები – 75 000 კაცია, აქედან: თბილისის გუბერნიაში 10 000 კაცია, ქუთაისის გუბერნიაში 65 000.
3. აფხაზი მაჰმადიანები – 12 000 კაცია, ყველანი ცხოვრობენ სოხუმის ეპარქიაში.¹⁰

ამ მონაცემებით დაამთავრა რუსმა მეცნიერმა ვ. ფ. ტრელინიმა რუსეთის საეკლესიო კრების წინაშე გამოსვლა. მაინც რა სურდა ამ ციფრების ჩვენებით რუს მეცნიერს? ვ. ფ. ტრელინი ირწმუნებოდა, რომ ეს ციფრები სანდო დოკუმენტებზე დაყრდნობით ჰქონდა მოძიებული. მისი მოსხენების მთავარი მიზანი კი რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობის გამრთლება იყო, რითაც კიდევ ერთხელ ყალბდებოდა საქართველოს საეგზარქოსოს ისტორია. ვ. ფ. ტრელინი ასევე შეეხო იმ საქმეების რაოდენობასაც, რომლებიც რუსი ეგზარქოსების დროს იყო შესული საქართველოს საეგზარქოსოში განსახილველად და გადასაჭრელად. აქვე მოვიყვანოთ იმ ციფრებს, რომლიც რუსმა მეცნიერმა წარმოადგინა 1906 წელს რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე:

⁹ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устройении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 12 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №10 за 1907, стр. 318.

¹⁰ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устройении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 12 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №10 за 1907, стр. 318.

ქართლისა და იმერეთის სინოდალური კანტორის
საქმის წარმოება 1902-1904 წლებში:

შენიშვნა: საქმეების რიცხვი ყოველწლიურად 30 000-ით მეტია, ხოლო ოქმების რიცხვი 3 500-ჯერ მეტი.

წლები	საქმეების რიცხვი		ოქმების რაოდენობა	საყურნალო სტატიების რაოდენობა
	შემოსული	გასული		
1902	11.191	18. 319	3. 565	158
1903	13. 316	3. 533	3. 533	245
1904	13. 145	3. 776	3. 776	254

საქმიანობის რიცხვები

სადაზღვეო კომპანია	სადაზღვეო ტიპი	სადაზღვეო პერიოდი	სადაზღვეო ობიექტი	სადაზღვეო ღირებულება	სადაზღვეო პრემია	სადაზღვეო ხარჯები	სადაზღვეო ბალანსი
სადაზღვეო კომპანია	სადაზღვეო ტიპი	სადაზღვეო პერიოდი	სადაზღვეო ობიექტი	1902	1231	1555	1080
				1903	1555	2054	1080
				1904	1080	2615	1253
				1905	2509	2054	2442
				1906	2245	2529	2442
სადაზღვეო კომპანია	სადაზღვეო ტიპი	სადაზღვეო პერიოდი	სადაზღვეო ობიექტი	1907	316	267	254
				1908	89	143	21
				1909	138	156	161
				1910	138	156	161
				1911	267	254	114
სადაზღვეო კომპანია	სადაზღვეო ტიპი	სადაზღვეო პერიოდი	სადაზღვეო ობიექტი	1912	2038	2056	2335
				1913	865	1275	696
				1914	847	996	1031
				1915	847	996	1031
				1916	2056	2335	2000
სადაზღვეო კომპანია	სადაზღვეო ტიპი	სადაზღვეო პერიოდი	სადაზღვეო ობიექტი	1917	521	544	545
				1918	109	93	153
				1919	86	92	142
				1920	86	92	142
				1921	544	545	556
სადაზღვეო კომპანია	სადაზღვეო ტიპი	სადაზღვეო პერიოდი	სადაზღვეო ობიექტი	1922	11	15	10
				1923	544	545	556
				1924	86	92	142
				1925	109	93	153
				1926	521	544	545
სადაზღვეო კომპანია	სადაზღვეო ტიპი	სადაზღვეო პერიოდი	სადაზღვეო ობიექტი	1927	363	417	432
				1928	118	162	199
				1929	64	147	107
				1930	64	147	107
				1931	417	432	504
სადაზღვეო კომპანია	სადაზღვეო ტიპი	სადაზღვეო პერიოდი	სადაზღვეო ობიექტი	1932	35	59	35
				1933	35	59	35
				1934	35	59	35
				1935	35	59	35
				1936	35	59	35

ამ მონაცემების დემონსტრირებით რუს მეცნიერს კიდევ ერთხელ სურდა, წარმოადგინა საქართველოს ეგზარქოსების მრავალმხრივი საქმიანობა. ვ. ფ. ტრელინის ცნობით დოკუმენტების რიცხვი იმდენად დიდი იყო, ეგზარქოსები ვერც ასწრებდნენ საქმეების გადაწვევტას, ამიტომაც ყოველ წელს დაუსრულებული საქმეების რაოდენობა 3000–ზე მეტი იყო.

ვ. ფ. ტრელინი, როდესაც რუსი ეგზარქოსების გულითად მოღვაწეობას აფასებდა საქართველოში, არაფერს ამბობდა იმ მოვლენებზე, რაც მის მიერ ასე ნაქებარ ეგზარქოსების საქმიანობას მიჰყვა, კერძოდ: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსეთის საიმპერატორო კარი შეუდგა რუსული კოლონიალური პოლიტიკის გატარებას საქართველოში. მათ არ იკმარეს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის (თვითმწყემსობის) გაუქმება. ამ მოვლენას თან მოჰყვა საქართველოს ეკლესიის დარბევა და გაძარცვა. 1811-1906 წლებში რუსეთმა საქართველოში დახურა 800 ეკლესია და 15 მონასტერი, 29 ეპარქიის ნაცვლად მხოლოდ 5 ეპარქია დატოვა. ეგზარქოსობის დროს საქართველოში გაიძარცვა უამრავი ეკლესია-მონასტერი, გაიტანეს ხატები, ხელნაწერი წიგნები, ჯვრები, ბარძიშები და სხვა საეკლესიო ნივთები. გარდა ნაძარცვისა, რუსებმა საქართველოს ეკლესიას ოფიციალურად ჩამოართვეს 220 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება, ყოველივე ეს კი საქართველოში გამოგზავნილი ეგზარქოსების ინიციატივითა თუ დახმარებით ხდებოდა. რუსეთის ეკლესია გახდა საქართველოს ეკლესიის უძავე და მოძრავი ქონების სამართალმემკვიდრე.

თავისი მოხსენების დასასრულს პროფესორმა ვ. ფ. ტრელინმა აღნიშნა: „სამართლიანობა მოითხოვს, რომ აქ პირდაპირ ითქვას – რუსი ეგზარქოსები ხედავდნენ რა ამ უბედურებას, ყველანაირ ხერხს მიმართავდნენ მათ აღმოსაფხვრელად, ანდა ცდილობდნენ უკიდურეს შემთხვევაში შეემსუბუქებინათ მაინც თანამემამულეთა ხვედრი; მაგრამ განა აზრი აქვს ამ მანე ქმედებების აღმოფხვრას, როცა საქმე ეხება ამ „უზარმაზარ“ უამგასულ ადმინისტრაციულ მანქანას, რომელსაც „საქართველოს

საეგზარქოსო“ ეწოდება...“¹¹ ამ შემთხვევაშიც რუსი მკვლევარი სიცრუის დამტკიცებას ცდილობს: 1) ვ. ფ. ტრელინი რატომღაც არ ამბობს კონკრეტულად, რას ცდილობდნენ რუსი ეგზარქოსები და რა შედეგებს მიაღწიეს ან რატომ ვერ მიაღწიეს; 2) კონკრეტულად რომელმა რუსმა ეგზარქოსმა აღიარა, რომ საქართველოს საეგზარქოსო ეამგასული ადმინისტრაციული მანქანა იყო. ასეთი განცხადებისათვის ეპისკოპოსი ლეონიდი კინაღამ ჩაქოლეს რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე; 3) რუსი ეგზარქოსების მთელი რეფორმატორული აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოს საეგზარქოსო გარდაქმნათ რუსეთის ეკლესიის სამიტროპოლიტო ოლქად ანუ ისეთ საეკლესიო ადმინისტრაციულ ერთეულად, როგორც უნდა შექმნილი რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში. რა შვებას მოუტანდა საქართველოს საეგზარქოსოს გარდაქმნა საქართველოს სამიტროპოლიტო ოლქად ქართველ მრევლს, ამაზე არც რუსი ეგზარქოსები და არც პროფესორი ვ. ტრელინი არაფერს ამბობენ.

პროფესორ ვ. გ. ტრელინის მოხსენება კიდევ მრავალ სიცრუეს შეიცავს. მართალია, ამ მოხსენებამ ქართველი ეპისკოპოსების ლეონიდისა და კირიონის არგუმენტები ვერ გააბათილა, მაგრამ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირმა მისი ნების აღმასრულებელი ვ. ფ. ტრელინი შეაქო და ნამუშევარიც მოუწონა.

¹¹ Журналы и заседания II-го отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов. Об устройении церковных дел на Кавказе. Журнал №2. Заседание 12 декабря 1906 года. – Приложение к журналу „Церковныя Ведомости“, №10 за 1907, стр. 315.

ლევან ჯიქია – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ისტორიის დოქტორი

ბათუმელი მოსწავლეების ანტისაბჭოთა საქმიანობის ისტორიიდან (1955 წ.)

საბჭოთა რეჟიმის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში (1921-1991 წწ.) საქართველოში ანტისაბჭოთა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მუხტი მუდმივად არსებობდა. ეს მუხტი განსაკუთრებით მძლავრად ახალგაზრდებში იგრძნობოდა. მართალია, საბჭოთა ხელისუფლება ყოველნაირად უხშობდა ახალგაზრდებს სიმართლეს და გაგების შესაძლებლობას, მაგრამ „გაპარვითი“ ხასიათის მცირე ინფორმაცია კი საკმარისი იყო ახალგაზრდებში ანტისაბჭოთა განწყობილების გაძლიერებისათვის.

1955 წლის 12 ივნისის ღამეს ქალაქ ბათუმში რიგითმა მილიციელმა შენიშნა, რომ ახალგაზრდები ქუჩაში პროკლამაციებს აკრავდნენ. მილიციელის დანახვისთანავე ახალგაზრდები შემთხვევის ადგილიდან გაიქცნენ, რა დროსაც დაუვარდათ პროკლამაციის სამი ეგზემპლარი. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდებმა იმავე ღამეს ქალაქ ბათუმში ოთხ ადგილას მოასწრეს პროკლამაციების გაკვრა. ეგზემპლარების შინაარსი ნაციონალური ხასიათის აღმოჩნდა. პროკლამაციის შინაარსმა აჭარის საბჭოთა ხელისუფლება შეაშფოთა. მომხდარზე ძიება დაიწყო. ოთხი თვის თავზე ძიება კვალზე გავიდა და, შესაბამისად, პროკლამაციის ავტორები გამოავლინა და დააპატიმრა, ისინი აღმოჩნდნენ:

1. **გია სიმონის ძე სოსელია**, დაბადებული 1940 წელს, ქალაქ ბათუმის საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე, ამავე სკოლის კომუნისტური კავშირის მდივანი, საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის წევრი;

2. იური მიხეილის ძე გიგინეიშვილი, დაბადებული 1938 წელს, საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის წევრი, ქალაქ ბათუმის საზღვაო სასწავლებლის მოსწავლე;

3. ბადრი შალვას ძე ახვლედიანი, დაბადებული 1938 წელს, მეათე კლასის მოსწავლე, მოსწავლეთა ახალგაზრდული ლენინური კავშირის წევრი;

4. გივი შალვას ძე ახვლედიანი, დაბადებული 1940 წელს, ქალაქ ქუთაისის მკვიდრი, მეცხრე კლასის მოსწავლე, საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის წევრი.

მოსწავლეებმა „დანაშაული“ აღიარეს და გამოძიებას ჩვენებები მისცეს. აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებმა ნახეს კინოფილმი „კრაზანა“, რომელმაც მათში ანტისაბჭოთა განწყობილება კიდევ უფრო გააძლიერა და ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა დაეწყოთ. ამ მიზნით, მათ ჩამოაყალიბეს არალეგალური ჯგუფი „ახალგაზრდა საქართველო“, თითოეულმა მეტსახელი შეარჩია და შექმნეს საიდუმლო შიფრი ერთმანეთთან მიმოწერისთვის. ახალგაზრდებმა ნაციონალური შინაარსის 10 პროკლამაცია დაამზადეს, რომელთაგან სამი დამზადების პროცესში ტუშით გაუფუჭდათ. დანარჩენი პროკლამაციების გაკვრა კი 1955 წლის 12 ივნისის ღამეს გადაწყვიტეს ქალაქ ბათუმის ქუჩებში.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ განსასჯელები არასრულწლოვნები იყვნენ და ისინი სასჯელისაგან გაათავისუფლა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსი ინაურმა მომხდარის შესახებ გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს კომუნისტური პარტიის(ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვასილ მჟავანაძეს, ამ უკანასკნელმა კი 1955 წლის 5 ნოემბერს – საკავშირო კომუნისტური პარტიის(ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის(ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებით საქართველოს კომუნისტური პარტიის(ბ) აჭარის საოლქო კომიტეტმა და საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დაიწყო რიგი ღონისძიებების გატარება ქალაქ ბათუმის საშუალო სკოლებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გასაძლიერებლად.¹

¹ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 30, საქმე 384, ფურცელი 1-2.

ლევან ჯიქია – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მდივანი, ისტორიის დოქტორი

მორწმუნეთა მართლმადიდებლური საზოგადოებების შექმნა ზუგდიდის რაიონში

1924 წლის აჯანყების მასშტაბურობამ და მასში გლეხებისა და მუშების აქტიურად მონაწილეობამ საბჭოთა საქართველოს „მუშურ-გლეხური“ ხელისუფლება საგონებელში ჩააგდო. საბჭოთა ხელისუფლების ინიციატივით, 1924 წლის აჯანყების მიზეზების შესწავლა დაიწყო. მოსახლეობაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ 1924 წლის აჯანყების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი საბჭოთა ხელისუფლების მიერ ეკლესია-მონასტრების დანგრევა-გადაკეთება და რელიგიური ღვთისმსახურების აკრძალვა იყო. ამიტომაც, 1924 წლის 21 ნოემბერს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა მიეღო დადგენილება, რომლითაც მოსახლეობას მორწმუნეთა მართლმადიდებლური საზოგადოებების დაარსების ნებართვა ეძლეოდა.

1925 წლის 5 თებერვალს ქ. ზუგდიდის „წმიდა სამების“ მართლმადიდებლურ საზოგადოებასა და ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულ კირილე მიქაიას შორის შემდეგი სახის ხელშეკრულება დაიდო:

„1. მთელი ჩვენი „წმიდა სამების“ რელიგიური საზოგადოება მოვალეთ გადაცემულ სახალხო ქონებას და ისარგებლოს ამ ქონებით მარტოოდენ მისი დანიშნულების შესაფერისად. ჩაბარებული ქონების სიმრთელისა და შენახვისათვის. აგრეთვე ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა სხვა მოვალეობის შესრულებას;

2. საზოგადოება მოვალეთ რაცხს თავს ტაძრებითა და

იქ შენახულ ღვთის მსახურების საგნებით ისარგებლოს და ასარგებლოს ყველა ერთმორწმუნე მარტოოდენ რელიგიური მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად;

3. საზოგადოება მოვალედ რაცხს თავს მიიღოს ყოველი ღონისძიება იმისათვის, რომ მისთვის ჩაბარებული ქონება არ მოხმარდეს ისეთ მიზანს, რომელიც არ შეეფერება ამა ხელშეკრულების 1-ლ და 2 მუხლს;

კერძო საზოგადოება მოვალეა აკრძალოს მის გამგებლობაში გადასულ ღვთის მსახურების სადგომში:

ა/ საბჭოთა ხელისუფლების სამტროდ მიმართული პოლიტიკური კრებების გამართვა.

ბ/ საბჭოთა ხელისუფლების ან მისი ცალკე წარმომადგენლის წინააღმდეგ მიმართული წიგნების, ბროშურების, ფურცლების და ეპისტოლეების დარიგება და გაყიდვა.

ხცდ/ მცხოვრებთა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრების მიზნით ზარის რეკით განგაშის ატეხა და ხალხის მოგროვება.

4. საზოგადოება მოვალეა თავისი სახსრით გასწიოს „წმიდა სამების“ ტაძრის და ამ ტაძარში დაცული საგნების შენახვისათვის საჭირო მიმდინარე ხარჯები, სახელდობრ: რემონტი, გათბობა, დაზღვევა, დაცვა, გასტუმრება ვალებისა, გადასახადებისა, ადგილობრივი შენაწირებისა და სხვა.

5. საზოგადოება მოვალეა იქონიონ ღვთის მსახურების ქონების საინვენტარო აღწერილობა, სადაც შეტანილი უნდა იქნეს რელიგიური კულტის ყოველი ახლად შესული /შეწირულებით სხვა ტაძრებიდან გადაცემით ან სხვა გზით/ საგანი, რომელიც ცალკე მოქალაქეების კერძო ქონებას არ შეადგენს.

6. საზოგადოება მოვალეა, როცა ღვთის მსახურება არა სწარმოებს, შეუშვას ტაძარში აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლნი ქონების დრო-გამოშვებით შესამოწმებლად და დასათვალიერებლად.

7. მიღებული ქონების დაკარგვის, ან გაფუჭებისათვის საზოგადოება პასუხს აგებს იმ ზარალის ფარგლებში, რომელიც ქონებას მოუვა.

8. საზოგადოება მოვალეა, უკეთეს საჭირო მიღებული ქონების უკანვე ჩაბარება, ჩააბაროს იგი იმ სახით, რა სახითაც მან მიიღო სასარგებლოდ და შესანახად.

9. უკეთეს საზოგადოება მოისურვებს ხელშეკრულების მოსპობას, იგი მოვალეა ამის შესახებ წერილობით აცნობოს აღმასრულებელ კომიტეტს, ამასთან ამ განცხადების შეტანიდან ერთი კვირის განმავლობაში ეს ხელშეკრულება ძალაში რჩება და საზოგადოება პასუხს აგებს მისი ასრულებისათვის, საზოგადოება მოვალეა აგრეთვე ამ ხნის განმავლობაში ჩააბაროს მის მიერ მიღებული ქონება.

10. საზოგადოების ყოველ წევრს, რომელსაც ხელშეკრულებაზე ხელი უწერია შეუძლიან გაეიდეს ხელშეკრულების მონაწილეთა რიცხვიდან, ამისათვის მან წერილობითი განცხადება უნდა შეიტანოს აღმასრულებელ კომიტეტში, მაგრამ ეს ვერ იხსნის გასულ პირს პასუხისმგებლობისაგან მთელი იმ ზარალისთვის, რომელიც სახალხო ქონებას მოუვიდა იმ ხნის განმავლობაში, როდესაც გასული წევრი მონაწილეობას იღებდა ამ ქონების სარგებლობაში და გამგებლობაში იმ დრომდე, ვიდრე იგი სათანადო განცხადებას შეიტანდა.

11. უკეთეს საზოგადოება ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეობათა შესასრულებლად არ მიიღებს ყველა შესაძლებელ ღონისძიებას, ხელშეკრულება ესე სათანადო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ შეიძლება მოსპობილ იქნას, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება აშკარად იქნება დარღვეული, დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით“.

ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ მართლმადიდებლური (რელიგიური) საზოგადოება „წმიდა სამების“ დამფუძნებლები: **ანდრი ჩაგუნავა, ერასტო დგებუაძე, ივანე ნაჭყებია, ელიზბარ კუხალაშვილი, პეტრე წულაია, ანდრი ხურციღავა, კორსანტელი ყოლანდარია.** ხელშეკრულების ძალით „წმიდა სამების“ მართლმადიდებლურ საზოგადოებას გადაეცა ქ. ზუგდიდში მდებარე „წმიდა სამების სახელობის“ ხის ეკლესია და ამ ეკლესიის ქონება: 7 შანდალი 21 მანეთად შეფასებული, პატარა კარადა – 15 მან.,

19 დიდი და პატარა ხატი – 285 მან., 10 წიგნი – 41 მან., გრძელი ჯაჭვი – 10 მან., საცეცხლური – 2 მან., მდუღარების ჭურჭელი – 1 მან., ჯვარი – 1 მან., 2 პატარა შანდალი – 1 მან., მაგიდა – 5 მან., პატარა მაგიდა – 3 მან., პატარა კოლოფი – 50 კაპ., სანთლის ფანარი – 1 მან., მღვდლის შესამოსელი 33 ცალი – 200 მან., ზარი – 140 მან. სულ 726 მანეთის და 50 კაპიკის ღირებულებს.¹

1925 წლის 4 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება კორცხელის თემის მართლმადიდებლურ საზოგადოება „ქრისტეს სჯულსა“ და ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულ კირილე მიქაიას შორის (ხელშეკრულების შინაარსი ერთმანეთისგან პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა – ლ. ჯ.). ხელშეკრულებას მართლმადიდებლური საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **ტუტული ბერაძე, დიმი ლაგვილავა, ბეგი ხვინია, ბარდღუ რაფავა, პეკუ რაფავა, ანტონ თორდია, ილია თოლორაია, ჩ. თორდია.** ხელშეკრულების ძალით „ქრისტეს სჯულის“ მართლმადიდებლურ საზოგადოებას გადაეცა კორცხელის თემში მდებარე ეკლესიის ქვის შენობა, ბარძიმ-ფეშხუმი თავისი კოვზით 20 მანეთად შეფასებული, კარადა – 5 მან., სანთლის შესანახი კარადა – 3 მან., უბრალო სასანთლე – 1 მან., 3 ზარი – 100 მან.²

1925 წლის 21 თებერვალს დაიდო ხელშეკრულება ცაიშის თემის „მარიამ ღვთისმშობლის“ მართლმადიდებლურ საზოგადოებასა და ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელს შორის. ხელშეკრულებას მართლმადიდებლური საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **ჯამუ შამუგია, ისაია ხობულიანი, სანდრო შამუგია** და სხვ. ხელშეკრულების თანახმად, ცაიშის თემის მართლმადიდებლურ საზოგადოებას გადაეცა ცაიშის თემში მდებარე „მარიამ ღვთისმშობლის სახელობის“ ქვის ეკლესია და მისი ქონება: ვერცხლის პატარა სანაწილე 2 მანეთად შეფასებული, უბრალო საცეცხლური –

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 60, ფურცელი 15-17.

² საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 60, ფურცელი 22-23.

10 მან., ბარძიმ-ფეშხუმი – 60 მან., ვერცხლის კოვზი – 10 მან., ვერცხლის ვარსკვლავი – 10 მან., ჯვარსაწერი ბეჭედი – 5 მან., პატარა განსაზავებელი – 10 მან., პატარა უბრალო ჯაჭვი – 1 მან. და 50 კაპიკი, სამღუღარო ტაბუტი – 5 მან., უბრალო ლახვარი – 1 მან., 1 ქართული და 1 რუსული საეკლესიო ბეჭედი – 5 მან., 17 დიდი და პატარა ხატი – 100 მან., ბრინჯაოს ჯვარი – 15 მან., 2 უბრალო ტრაპეზის სასანთლე – 10 მან., 2 უბრალო ჩამოსაკიდებელი ხომლი – 10 მან., ხატის წინ დასადგამი 6 შანდალი – 100 მან., უბრალო საიაზმე – 15 მან., 1 მაღალი და 1 დაბალი ემბაზი – 60 მან., 2 ზარი – 300 მან., პურის საკურთხებელი – 3 მან., უბრალო საადღვომო ფანარი – 50 კაპიკი, 2 უბრალო ბაირაღი – 5 მან., შვიდთავიანი ტრაპეზის სასანთლე – 30 მან., 1 დიდი და 1 პატარა ფრაჟის ლანგარი – 5 მან., 2 გვირგვინი – 2 მან., სახარება ქართულ ენაზე – 5 მან., სპილენძის თუნგი – 15 მან., სპილენძის ტაფა – 15 მან., ფანარი – 3 მან., 4 ანალოღია – 10 მან., 44 წიგნი – 30 მან., 4 ტრაპეზის ფარდა – 5 მან., 13 სამკლავი – 13 მან., ოღარი – 1 მან., ნაბედრენიკი – 1 მან., 8 სარტყელი – 16 მან., 2 გინგელა – 4 მან., 5 დაფარნა – 10 მან., ხატის დასადგამი მაგიდა – 1 მან., დიდი ბოქლომი.³

1925 წლის 6 თებერვალს დაიდო ხელშეკრულება ქ. ზუგდიდის მართლმადიდებლურ საზოგადოება „**მაცხოვრის კარსა**“ და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის წარმომადგენელ კირილე მიქაიას შორის. ხელშეკრულებას მართლმადიდებლური საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **ვასილ ექონია, კაზა ყუფუნია, კოსტა მითაგვარია, არტემ კუცია, რაჟდენ მესხია**. ხელშეკრულების ძალით, ამ საზოგადოებას გადაეცა „**მაცხოვრის სახელობის**“ ქვის ეკლესია და მისი ქონება: 12 საეკლესიო წიგნი 50 მანეთად შეფასებული, ბარძიმ-ფეშხუმი და მისი სამკლავურები – 100 მან., სასანთლე „ლიუსტრა“ – 60 მან., 15 ხატი – 50 მან., 9 სასანთლე კანკელი – 18 მან., მოხატული კანკელი – 300 მან., 4 ზარი – 300 მან., სასანთლე – 2 მან., 2 დროშა – 25 მან., მღვდლის შესამოსელი

³ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 60, ფურცელი 28-30.

– 30 მან., 13 დაფარნა – 26 მან., ტრაპეხის გადასაფარებელი – 10 მან., სამკედლოს გადასაფარებელი – 1 მან., ჯვარი – 1 მან., 3 შანდალი – 3 მან., ფარდა – 4 მან., 2 გვირგვინი – 2 მან., კარადა – 5 მან., 4 ანალოდია – 4 მან., ემბაზი – 5 მან., საიაზმე – 5 მან., სანთლის ჩასაწყოები – 2 მან., კიდობანი – 3 მან., ნოხი – 2 მან.⁴

1925 წლის 12 თებერვალს დაიდო ხელშეკრულება ჯოლეჯიანის თემის მართლმადიდებლურ საზოგადოება „**მართლმადიდებელსა**“ და ზუგდიდის მაზრის აღმასკომს შორის, რომელსაც საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **ესტატე ჭყეია, სვიმონ ქობალია, თედო ფაცაცია, ეგნატე ფულარია**. ხელშეკრულების თანახმად, ჯოლეჯიანის თემის მართლმადიდებლურ საზოგადოებას გადაეცა ამ თემში მდებარე ხის შენობის ეკლესია და მისი ქონება: 4 ვენოკი 20 მანეთად შეფასებული, ზარი – 240 მან., 2 სასანთლე – 8 მან., ანალოდია – 3 მან., სანთლის შესანახი კარადა – 5 მან., 4 ფარანი – 12 მან., საცეცხლური – 2 მან., მღულარების ჭურჭელი – 1 მან., 2 ლანგარი – 2 მან., 20 ხატი – 200 მან., სიწმინდის კოლოფი – 20 მან., ბარძიმი-ფეშხუმი და ვარსკვლავი – 25 მან., 3 შანდალი – 9 მან., კოვზი – 2 მან., ლანგარი – 1 მან., ემბაზი – 8 მან., ზეთის ლამპარი – 2 მან., 2 დიდი შანდალი – 20 მან., დაფარნა – 3 მან., სახარება – 20 მან., კიდობანი – 8 მან., რაშკა – 2 მან., 2 გვირგვინი – 20 მან., ჟამნის წიგნი – 3 მან., დავითნის წიგნი – 1 მან., კონდაკი – 3 მან., ქადაგების წიგნი – 3 მან., სამოციქულო წიგნი – 5 მან., 5 წიგნი – 20 მან., ფარჩა – 2 მან.⁵

1925 წლის 20 თებერვალს დაიდო ხელშეკრულება რიეის თემის მართლმადიდებლურ საზოგადოება „**წმიდა გიორგი**“-სა და ზუგდიდის მაზრის აღმასკომს შორის. ხელშეკრულებას მართლმადიდებლური საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **ზოსიმე ჩხეიძე, ნესტორ ლიპარტია, სამსონ ვეკუა, გიორგი**

⁴ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 60, ფურცელი 36.

⁵ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 60, ფურცელი 42.

ლიპარტია, იულონ ოდიშარია, ივანე ჯოჯუა, ავქსენტი ვეკუა, იასონ გაბუნია, ანდრია ჭიჭინაძე. „წმიდა გიორგის“ მართლმადიდებლურ საზოგადოებას გადაეცა რიყის თემში მდებარე „წმიდა გიორგის სახელობის“ ეკლესიის ხის შენობა ყავრით გადახურული 500 მანეთად შეფასებული და ამ ეკლესიის ქონება: ვერცხლის მოჭედილი ხატი 30 მანეთად შეფასებული, ღვთისმშობლის 10 ხატი – 20 მან., მაცხოვრის 8 ხატი – 8 მან., წმიდა ნიკოლოზის 3 ხატი – 4 მან., წმიდა დავითის და კონსტანტინეს 1 ხატი – 5 მან., წმიდა პანტელეიმონის 1 ხატი – 6 მან., წმიდა გიორგის 3 ხატი – 9 მან., ნათლისღების ხატი – 4 მან., მოწამეთა ხატი – 3 მან., აიაზმის ჭურჭელი – 2 მან., კანკელის 3 შანდალი – 9 მან., ბარძიმი – 5 მან., ფეშხუმი – 6 მან., 1 ვარსკვლავი – 5 მან., 1 კოვზი – 1 მან., 1 ლახვარი – 50 კაპიკ., საცეცხლური – 1 მან., ტრაპეზის 2 შანდალი – 6 მან., 2 სახარება 1 ქართული და 1 რუსული – 10 მან., ჯვარი – 2 მან., გარდამოხსნა – 5 მან., ტრაპეზის გადასაფარებელი – 2 მან., მღვდლის შესამოსელი – 5 მან., თეთრი მატერიის დაფარნა – 2 მან., ერთი წყვილი გვირგვინი – 10 მან., კანკელის 3 შანდალი – 8 მან., კანკელის 22 მხატვრობა – 15 მან., 7 წიგნი – 21 მან., წიგნის მაგიდა – 50 კაპ., სანთლის მაგიდა – 50 კაპ., სანთლის ყუთი – 50 კაპ., აიაზმა – 5 მან., რკინის ჯვარი – 2 მან., დიდი ფარი – 60 მან., პატარა ფარი – 5 მან., კიდევ ერთი ფარი – 20 მან., სულ – 798 მან.⁶

1925 წლის 3 მარტს დაიღო ხელშეკრულება ტყაია-ბეჟაშდალის თემის „**მართლმადიდებელ ქრისტიანეთა**“ საზოგადოებასა და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის რწმუნებულ ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ქირიას შორის. ხელშეკრულებას მართლმადიდებლური საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **იოსე მიქავა, გრიგოლ შეროზია, დავით ქუხილავა, ფარნა მიქავა, მაქსიმე ჩქვანავა, ვლადიმერ ქუხილავა, ესტატე**

⁶ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 60, ფურცელი 48-49.

მორგოშია. ხელშეკრულების ძალით, მართლმადიდებლურ საზოგადოებას გადაეცა ტყაია-ბეჟაშღალის თემში მდებარე „წმიდა გიორგის სახელობის“ ცინკით გადახურული აგურის შენობა 1500 მანეთად შეფასებული და მისი ქონება: ღვთისმშობლის 3 ხატი უბრალო ემალებით 3 მანეთად შეფასებული, იესო ქრისტეს 3 ხატი – 1 მან., 2 ჯვარი – 1 მან., 2 დიდი ფრაჟის სასანთლე – 6 მან., 2 პატარა თითბერის შანდალი – 1 მან., 9 წიგნი (სახარება, სამოციქულო, დავითნი) – 25 მან., მღვდლის 8 შესამოსელი და ტრაპეზის გადასაფარებელი – 25 მან., ფრაჟის ჩამოსაკიდი სასანთლე – 10 მან., 2 ზარი (რომელიც ინახება ღიის რაიაღმასკომში) – 75 მან., პატარა ზარი – 5 მან.⁷

1925 წლის 5 მარტს დაიდო ხელშეკრულება ჯუმის თემის მართლმადიდებლურ საზოგადოება „**მთავარანგელოზსა**“ და ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულ ალექსანდრე ქირიას შორის. ხელშეკრულებას მართლმადიდებლური საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **ლუკა ქაღარია, ერასტო ჯაბუა, კაპიტონ მოსია, სტეფანე ჯიქია, კოსტა დარასელია, ალექსანდრე ფონია.** ხელშეკრულების ძალით, ამ საზოგადოებას გადაეცა ჯუმის თემში მდებარე „მთავარანგელოზის სახელობის“ ეკლესია და მისი ქონება: 1 წყვილი გვირგვინი 2 მანეთად შეფასებული, სამოციქულო – 2 მან., 2 უამნი – 3 მან., 2 ზადიკი – 3 მან., პარაკლიტონი – 3 მან., მარხვანი – 3 მან., კურთხევანი – 1 მან., დავითნი – 1 მან., 2 კონდაკი – 2 მან., ლოცვანი – 1 მან., შალის ფიდონი სტიხარი – 3 მან., 2 ოლარი, 2 სარტყელი, 2 წყვილი სამკლავი და 1 ძველი სტიხარი – 10 მან., 1 პატარა ქეჩა – 1 მან., 6 ფარანი – 1 მან., 5 დიდი ფარანი – 10 მან., ეკლესიის ქონების აღმნიშვნელი წიგნაკი – 20 კაპ., 2 ხის პატარა სასანთლე – 1 მან., 2 კრუჟაკი – 1 მან., 13 გვირგვინი – 26 მან., ფარდა – 15 მან., თითბერის 2 შანდალი – 1

⁷ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 60, ფურცელი, 55.

მან., ბოქლომი თავისი კლიტით – 2 მან., გრიგოლ ეპისკოპოსის ქადაგებანი – 1 მან.⁸

1925 წლის 14 მაისს დაიდო ხელშეკრულება ლეღვებიეს თემის მართლმადიდებლურ საზოგადოება „**მთავარანგელოზსა**“ და ზუგდიდის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულ ალექსანდრე ქირიას შორის. ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ საზოგადოების დამფუძნებლები: **გვადია ქობალია, ძვაძვა სართანია, შარვანი ფიფია, ომარ ბულია, ესავა ქონჯა, გაიოზ ფარცვანია, მელიტონ ბერდუხელია**. ამ მართლმადიდებლურ საზოგადოებას გადაეცა ლეღვებიეს თემში მდებარე „მთავარანგელოზის სახელობის“ ეკლესიის შენობა 300 მანეთად შეფასებული და ეკლესიის კუთვნილი ქონება: სამრეკლო 10 მანეთად შეფასებული, 3 ზარი – 30 მან., წიგნის კარადა – 50 კაპ., ბოქლომი – 50 კაპ., მღვდლის 2 ფილონი (დახეული) – 60 კაპ., ტრაპეზის ოდიკი – 40 კაპ., ნოხი (დახეული) – 40 კაპ., ბაირადის ჯოხი – 5 კაპ., ემბაზი – 3 მან., 3 დიდი სასანთლე – 3 მან., ჩამოსაკიდი სასანთლე – 1 მან., 3 ჩამოსაკიდი სასანთლე – 50 კაპ., საცეცხლური – 20 კაპ., აიაზმა – 50 კაპ., სანთლის კოლოფი – 20 კაპ., წიგნის 2 მაგიდა – 25 კაპ., 6 ვენოკი – 1 მან., 4 სამკლავე – 50 კაპ., 2 ბაირადი – 10 კაპ., ოლარი (დახეული) – 10 კაპ., 8 კოლოფის საფენი – 25 კაპ., ზანდუკი – 1 მან., 3 ტრაპეზის საფენი – 1 მან., მღვდლის სარტყელი – 10 კაპ., პედრენიკი – 20 კაპ., ჯვრის კოლოფი – 20 კაპ., ზეთის 6 სასანთლე – 1 მან., სალოცავი 9 წიგნი – 5 მან., დიდი დასადგამი სასანთლე – 3 მან., ზეთის საკურთხავი – 1 მან., სიწმიდის კოლოფი – 2 მან., 2 ბარძიმ-ფეშხუმი – 1 მან., 2 ხელის ჯვარი – 2 მან., სახარება – 2 მან., 2 სასანთლე – 2 მან., 2 ფრავის გვირგვინი – 1 მან., თანაარსი – 1 მან., 31 ხატი – 31 მან. და 30 კაპ., 34 საეკლესიო სურათი – 34 მან. და 10 კაპ., სულ – 416 მან. და 5 კაპ.⁹

⁸ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 60, ფურცელი 62-63.

⁹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 60, ფურცელი 67-68.

1925 წლის 5 მარტს დაიდო ხელშეკრულება ჭითაწყარის თემის მართლმადიდებლურ საზოგადოება „**მთავარანგელოზსა**“ და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის წარმომადგენელ ალექსანდრე ქირიას შორის. ხელშეკრულებას მართლმადიდებლური საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **საჩინო გეგეჭკორი, ბეგო ჯიქია, ზოსიმე ჩარგაზია, იოსებ ქვარცხია, სანდრო დიდიშვილი, მიხეილ ვეკუტია, გოგია დარჩია**. ხელშეკრულების ძალით, „მთავარანგელოზის“ მართლმადიდებლურ საზოგადოებას გადაეცა ჭითაწყარის თემში მდებარე „მთავარანგელოზის სახელობის“ ეკლესია ყავრით გადახურული 4000 მანეთად შეფასებული და მისი ინვენტარი: 9 ხატი 45 მანეთად შეფასებული, 2 გვირგვინი – 8 მან., ფრაჟის ჯვარი – 4 მან., ბარძიმი – 23 მან., 2 ლანგარი – 1 მან., 2 დაფარნა – 3 მან., სამკლავი – 1 მან., განსახავებელი – 1 მან., საცეცხლური – 5 მან., 2 წყვილი სახეთე – 2 მან., ფეშხუმი – 2 მან., ფრაჟის დიდი სასანთლე – 10 მან., ჩამოსაკიდი სასანთლე – 10 მან., 2 პატარა შანდალი – 2 მან., უილონი – 10 მან., წყვილი ბაირალი – 30 მან., ტრაპეზის გადასაფარებელი – 4 მან., 5 ოლარი – 10 მან., 3 სარტყელი – 3 მან., ვარსკვლავი – 50 კაპ., ტრაპეზის გადასაფარებელი – 5 მან., გარდამოსხნა – 2 მან., დიდი დაფარნა – 5 მან., სააიაზმო – 1 მან., სამკითხველო – 3 მან., ემბაზი – 10 მან., ზანდუკი – 1 მან., პატარა მაგიდა – 3 მან., ზარი – 80 მან., წიგნის ზადიკი – 5 მან., დავითნი – 1 მან. და 50 კაპ.¹⁰

1925 წლის 1 აპრილს დაიდო ხელშეკრულება კახათის თემის მართლმადიდებლურ საზოგადოება „**სამებასა**“ და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის წარმომადგენელ კირილე მიქაიას შორის, რომელსაც საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **ისაკ კაკულია, კოსტა კაკულია, ჩაგუ გუგუჩია, კირილე შედანი, სოლომონ შედანი, ივაკა ნარმანია, მიხა ჩახაია**. ამ მართლმადიდებლურ საზოგადოებას გადაეცა კახათის თემში მდებარე „სამების სახელობის“ ეკლესია და მისი კუთვნილი ქონება: სახარება 10 მანეთად შეფასებული, წიგნები – 3 მან., დავითნი – 1 მან., კონდაკი –

¹⁰ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 60, ფურც, 82-84.

1 მან., სადღესასწაულო – 5 მან., მარხვანი – 3 მან., პარაკლიტონი – 3 მან., კოლოფიანი 4 ხატი – 12 მან., 5 ხატი – 2 მან. და 50 კაპ., სააიაზმო – 5 მან., 2 ფრაუის სასანთლე – 10 მან., ხის სასანთლე – 1 მან., ლანგარი – 20 კაპ., გვირგვინი – 40 კაპ., პატარა სანაწილე – 50 კაპ., საცეცხლური – 1 მან. და 50 კაპ., სპილენძის ემბაზი – 5 მან. ხის სკამი – 3 მან., კარადა – 5 მან., დარღვეული ეკლესიის შენობის ხის მასალა თავისი საძირკვლებით და ფიცრებით, ფანჯრებით, ყავრით, ლურსმნით, კარებით და სხვა (გარდა დარღვევის დროს დამტვრეული უეარგისი მასალისა, რომელიც აწყვია კახათის შეიღწევის სკოლის ეზოში).¹¹

1925 წლის 15 აპრილს დაიდო ხელშეკრულება კოკის თემის „ღვთისმშობლის“ მართლმადიდებლურ საზოგადოებასა და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის წარმომადგენელ კირილე მიქაიას შორის. ხელშეკრულებას საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **პახვალა გუბას ძე გულაია, პეტრე ქუთუს ძე აბსანძე, ამბაკო მარკოზის ძე თორია, ჭუნჭუ ბესელია, იონა ხუხუა, ვარლამ გელენავა.** საზოგადოებას გადაეცა კოკის თემში მდებარე „ღვთისმშობლის სახელობის“ ცინკით გადახურული ეკლესია 3000 მანეთად შეფასებული.¹²

1925 წლის 10 მარტს დაიდო ხელშეკრულება დიდი ნეძის თემის დიხაგუძუბის „წმიდა გიორგის“ მართლმადიდებლურ საზოგადოებასა და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის წარმომადგენელ ალექსანდრე ქირიას შორის. ხელშეკრულებას მართლმადიდებლური საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **ჩაი ჭუჭუს ძე მაქაცარია, ბასა უჩას ძე წურწუშია, პესუ იზორია, მისა კუკავა, გულუ მაქაცარია, ბადუ აკობია, ხუსუ ხარჩილავა.** ხელშეკრულების ძალით, „წმიდა გიორგის“ მართლმადიდებლურ საზოგადოებას გადაეცა სოფ. დიდი ნეძის დიხაგუძუბაში მდებარე „წმიდა გიორგის სახელობის“ ეკლესია და ამ ეკლესიის

¹¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 60, ფურცელი 96-98.

¹² საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 60, ფურცელი 102-103.

კუთვნილი ქონება: უჯრიანი კარადა 10 მანეთად შეფასებული, ბარძიმი თავისი კოვზით – 7 მან., ფეშხუმი – 2 მან., განსაზავებული და ლანგარი – 2 მან., ზეთი და მირონის კოლოფი შუშებით – 1 მან. და 50 კაპ., სააიაზმე – 1 მან., ლახვარი – 50 კაპ., შანდალი – 20 კაპ., სანთლები – 10 კაპ., დიდი ზარი – 50 მან., საშუალო ზომის გატეხილი ზარი – 30 მან., სანათლავი ტაშტი – 50 კაპ., ბაირადის ჯოხი – 50 კაპ., სამრეკლოს ჯვარი – 1 მან., რკინის სასანთლე – 50 კაპ., სულ – 106 მან. და 80 კაპ.¹³

1925 წლის 14 აპრილს დაიდო ხელშეკრულება ჯოღეჯიანის თემის მართლმადიდებლურ საზოგადოება „**ოირემესა**“ და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის რწმუნებულ კირილე მიქაიას შორის. ხელშეკრულების ძალით, საზოგადოებას გადაეცა ჯოღეჯიანის თემში მდებარე „**მაცხოვრის ამალეების სახელობის**“ ეკლესია. ხელშეკრულებას საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **მაქსიმე გვიტია, სამსონ გულია, იოსე ნადარაია, ბიქტორ აბხაზავა, სამსონ კვარაცხელია.** „ოირემეს“ მართლმადიდებლურ საზოგადოებას გადაეცა: ეკლესიის შენობა 1530 მანეთად შეფასებული, ფეშხუმი – 75 მან., ჯვარი – 3 მან., ლახვარი, ვარსკვლავი, განსაზავებული – 2 მან., 2 შანდალი – 2 მან., მაცხოვრის ხატი – 1 მან., ღვთისმშობლის ხატი – 50 მან., მაცხოვრის ხატი – 1 მან., მაცხოვრის ხატი – 1 მან. და 50 კაპ., ღვთისმშობლის ხატი – 1 მან., წმიდა ნიკოლოზის ხატი – 10 შაური, წმიდა სამების ხატი – 10 შაური, მაცხოვრის პატარა ხატი – 10 შაური, მაცხოვრის ამალეების ხატი – 10 შაური, ღვთისმშობლის ხატი – 30 კაპ., წმიდა სვიმონის ხატი და ხის ჯვარი – 30 კაპ., ერთი ხელი უვარგისი შესამოსელი – 50 მან., 1 უამნი – 2 მან.¹⁴

1925 წლის 6 აპრილს დაიდო ხელშეკრულება დარჩელის თემის მართლმადიდებლურ საზოგადოება „**ახალ სოფელსა**“ და

¹³ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 60, ფურცელი 109.

¹⁴ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 60, ფურცელი 114-115.

ზუგდიდის მაზრის აღმასკომის რწმუნებულ კირილე მიქაიას შორის, რომლითაც საზოგადოებას გადაეცა დარჩელის თემში მდებარე „წმიდა გიორგის სახელობის“ ეკლესია. ხელშეკრულებას მართლმადიდებლური საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ საზოგადოების დამფუძნებლები: **დორთოე ჯიქია, ტარასხან სიჭინავა, ესტატე კაკავა, ჩაისმენ სიჭინავა, ნარიქ აბსანძე, ყარამან აბსანძე და გურა კორკელია.** „ახალ სოფლის“ მართლმადიდებლურ საზოგადოებას გადაეცა ეკლესიის შენობა 2 განყოფილებიანი, ყავრით გადახურული, ფანჯრები ჩამტვრეული 600 მანეთად შეფასებული და ამ ეკლესიის კუთვნილი ქონება: დიდი ზარი 90 მანეთად შეფასებული, პატარა ზარი – 25 მან., აიაზმა – 20 მან., დიაკონის მაგიდა – 3 მან., ხის მაგიდა – 3 მან.¹⁵

1925 წლის 17 აპრილს დაიდო ხელშეკრულება კოკის თემის მართლმადიდებლურ საზოგადოება „**ვარსკვლავსა**“ და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის რწმუნებულ კირილე მიქაიას შორის, რომლითაც საზოგადოებას გადაეცა კოკის თემის სოფ. მანუჩარის კახათში მდებარე „ღვთისმშობლის სახელობის“ ეკლესია. ხელშეკრულებას მართლმადიდებლური საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **ბუკუ ქებურია, რაჟდენ კვარაცხელია, გრიგოლ ცაგურია, ხუტუ შელია, დიმიტრი ჩემონავა.**¹⁶

1925 წლის 13 ნოემბერს დაიდო ხელშეკრულება კახათის თემის მართლმადიდებლურ საზოგადოება „**საღოგუო კახათსა**“ და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის რწმუნებულ აკაკი ქავთარაძეს შორის. ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ: **კონსტანტინე კუპრავა, მიხეილ ლოგუა, იასონ ლოგუა, ლუკა მარკოზია** და სხვ. „საღოგუო კახათის“ საზოგადოებას გადაეცა კახათის თემში მდებარე „მაცხოვრის სახელობის“ ეკლესიის შენობა 300 მანეთად შეფასებული, 2 გვირგვინი – 3 მან., ჯვარი, ბარძიშფეშხუმი და კოვზი – 10 მან., 2 ზარი – 150 მან., 2 სურათი – 5

¹⁵ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 60, ფურცელი 138-139.

¹⁶ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 60, ფურცელი 194.

მან., პარაკლიტონი – 3 მან., უამნი – 3 მან., სახარება – 10 მან.¹⁷

1925 წლის 29 მაისს დაიდო ხელშეკრულება აბასთუმნის თემის „წმიდა ნიკოლოზის“ მართლმადიდებლურ საზოგადოებასა და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის რწმუნებულ ალექსანდრე ქირიას შორის, რითაც საზოგადოებას გადაეცა სოფ. აბასთუმანში მდებარე „წმიდა ნიკოლოზის სახელობის“ ეკლესია. ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ: **ვასილ ბერიშვილი, კოსტა ბასილია, გიორგი ბერიშვილი, დათა ლატარია, მურზა ლატარია, ექვთიმე სარჩიმელია, ტატაში ფარჯიკია, გუდუ ჭითანავა, ანტონ ქირია, მიხეილ მირცხულავა, ტაგუია ჯახია, ივანე ქაქუთია, ზაქარია ჩაკაბერია.** „წმიდა ნიკოლოზის“ მართლმადიდებლურ საზოგადოებას გადაეცა 2 განყოფილებიანი ცინკით გადახურული ეკლესიის შენობა 2000 მანეთად შეფასებული, 2 ზარი (დიდი და პატარა) 120 მანეთად შეფასებული, უჯრიანი კარადა – 5 მან., სპილენძის ბავშვის ჩასანათლი – 10 მან., სკამი – 50 კაპ., სულ – 2135 მან. და 50 კაპ.¹⁸

1925 წლის 27 მაისს დაიდო ხელშეკრულება ლედგებიეს თემის „მეორე ალავერდის კარის“ მართლმადიდებლურ საზოგადოებასა და ზუგდიდის მაზრის რწმუნებულ ბესარიონ შოგირაძეს შორის. ხელშეკრულების თანახმად, საზოგადოებას გადაეცა სოფ. ლედგებიეში მდებარე „მეორე ალავერდის წმიდა გიორგის სახელობის“ ეკლესია. ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ: **ივაკა ჭურღულია, იორდანე ჭურღულია, ბეჟა ჭურღულია, ლევან ჭურღულია, იონა ჭურღულია.** ოქმის თანახმად, საზოგადოებას გადაეცა ეკლესიის შენობა 600 მანეთად შეფასებული, სამრეკლო 20 მანეთად შეფასებული, 3 ზარი – 100 მან., ხის კიდობანი – 40 კაპ., საცეცხლური – 40 კაპ., 5 ჩამოსაკიდი სასანთლე – 2 მან., შანდალი – 20 კაპ., ვენოკი – 40 კაპ., ბოქლომი – 50 კაპ., ჯვარი – 1 მან., სასენაკო – 10 მან., ხის ყუთი – 1 მან., 2 დიდი ჩამოსაკიდი სასანთლე ჯაჭვით – 8 მან., მღვდლის ტანსაცმელი – 2 მან., 4 ხის

¹⁷ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 60, ფურცელი 177-178.

¹⁸ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 60, ფურცელი 198-199.

მაგიდა – 5 მან., 3 დაფარნა – 1 მან., 6 ხატი – 8 მან., 2 გვირგვინი – 1 მან. და სხვა.¹⁹

1925 წლის 11 ივნისს დაიდო ხელშეკრულება ნიკოსიის თემის მართლმადიდებლურ საზოგადოება „**ჯვარამ ჭყონსა**“ და ზუგდიდის მაზრის რწმუნებულ ალექსანდრე ქირიას შორის, რომლითაც საზოგადოებას გადაეცა ნიკოსიის თემში მდებარე „**წმიდა გიორგის სახელობის**“ ეკლესია. ხელშეკრულებას მართლმადიდებლური საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **პახვალა ჩიქოვანი, მაცი ჯიჭონაია, ყარა ჭკადუა, ქაქალა ჭკადუა, ალექსი ჩაგუნავა, ნესტორ ბულია, და ელიზბარ გულორდავა.** „**ჯვარამ ჭყონის**“ საზოგადოებას გადაეცა: ვარსკელავი 2 მანეთად შეფასებული, თითბერის კოვზი – 1 მან., ფრაჟის შანდალი – 2 მან., 3 საინი – 1 მან., თითბერის ტაფა – 1 მან. და 30 კაპ., ცინკის აიაზმა – 2 მან., წმიდა ნიკოლოზის ხატი – 5 მან., წმიდა გიორგის ხატი – 5 მან., ღვთისმშობლის ხატი – 10 მან., ღვთისმშობლის ხატი – 2 მან., ღვთისმშობლის ხატი – 2 მან., ღვთისმშობლის ხატი – 2 მან., მაცხოვრის პატარა ხატი – 40 კაპ., ღვთისმშობლის პატარა ხატი – 50 კაპ., მაცხოვრის ხატი – 1 მან., ღვთისმშობლის ხატი – 20 კაპ., 2 პატარა შანდალი – 8 მან., შანდალი – 10 მან., ფეშხუმი – 2 მან., 2 ლარნაკი – 1 მან., ვენოკი – 2 მან. და სხვა.²⁰

1925 წლის 31 ივლისს დაიდო ხელშეკრულება სოფ. ჭკადუაშის „**ახალდაბის მთავარანგელოზის**“ მართლმადიდებლურ საზოგადოებასა და ზუგდიდის მაზრის რწმუნებულ აკაკი ქავთარაძეს შორის, რომლითაც საზოგადოებას გადაეცა ჭკადუაშის თემში მდებარე „**ახალდაბის მთავარანგელოზის სახელობის**“ ეკლესია. ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ: **ყარამან მანია, ბესო ანთია, კვაჯი გაბისონია, ძაკუ ჭოჭუა** და სხვ.²¹

¹⁹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 60, ფურცელი 225-226.

²⁰ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 60, ფურცელი 231-232.

²¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 60, ფურცელი 274.

1925 წლის 18 სექტემბერს დაიდო ხელშეკრულება კოკის თემის მართლმადიდებლურ საზოგადოება „წმიდა გიორგის კარსა“ და ზუგდიდის მაზრის აღმასკომის რწმუნებულს შორის, რომლითაც საზოგადოებას გადაეცა კოკის თემში მდებარე „წმიდა გიორგის სახელობის“ ეკლესია. ხელშეკრულებას საზოგადოების მხრიდან ხელს აწერდნენ: **ბაგრატ ნარმანია, ეგნატე დანელია** და სხვ.²²

ამდენად, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა მოსახლეობის ნებას დაჰყოლოდა და, მორწმუნეთა მართლმადიდებლური საზოგადოებების მოთხოვნის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონის თემებში მდებარე დახურული ეკლესია-მონასტრები გაეღო და ეკლესია-მონასტრებიდან დატაცებული ქონება დაებრუნებინა. გახსნილ ეკლესია-მონასტრებში კვლავ აღდგა მართლმადიდებლური ღვთისმსახურება.

²² საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო ზუგდიდის არქივი, ფონდი 2, აღწერა 1, საქმე 60, ფურცელი 289.

**სისხლი როგორც წარმართული რელიქტი
V-X საუკუნეების ქართულ ჰაგიოგრაფიულ
მწერლობასა და ხალხური ყოფის
რწმენა-წარმოდგენებში**

ქართულ მარტიროლოგიურ თხზულებებში წარმოდგენილია კონკრეტული ქრისტიანი ადამიანის თუ გარკვეულ ჯგუფის ადამიანთა ამქვეყნიური, მოწამებრივი ცხოვრება, რომლებმაც ქრისტიანული მრწამსის გამო და მისი მადლით მოითმინეს ამქვეყნიური ყოველგვარი გასაჭირი, უარი თქვეს სარწმუნოების შეცვლაზე ათასგვარი დაპირების სანაცვლოდ მოძალადეთა მხრიდან, რის გამოც ეწამნენ და მიიღეს დაუჭკნობელი გვირგვინი. ამ ქმედებით მათ ამქვეყნიურ ცხოვრებაში დაიმდაბლეს თავი, რის შედეგადაც უფლისგან ამადლდნენ მარადიულ ცხოვრებაში და შეუერთდნენ წმიდა მოწამეებს.

V-X საუკუნეების ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში ასახულია საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლა-დამკვიდრების და მისი როლის შესახებ ქართველი ხალხის ისტორიაში. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ადრეულ ეტაპზე დაუპირისპირდა ადგილობრივი ქართული წარმართული რელიგია, ხოლო შემდგომ საუკუნეებში კი ქრისტიანობა წარმოვიდგა გარეშე მტრის მიერ შემოტანილი, საქართველოსთვის მოუღებელი, სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლის როლში.

ეს ხიფათი თავიდანვე იქნა შემჩნეული ჩვენში, ამიტომ გაჩაღდა მწვავე, დაუნდობელი, ხან ცხადი, ხან შენიღბული იდეური ბრძოლა. პატარა, მაგრამ შეუდრეკელი ქვეყანა თავის წიაღში

პოულობდა იმდენ ძალას, რომ საჭირო წინააღმდეგობა გაეწია მტერ – მოყვარეთა ზრახვებისათვის.¹

როგორც „წამებების“, ისე „ცხოვრებების“ ციკლის თხზულებები გამოირჩევიან ერთგვარი თავისებურებებით, რომლებსაც ახასიათებთ გარკვეული სიუჟეტური ხაზი.²

ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში, მიუხედავად ჟანრობრივი მიზანდასახულობისა, სინამდვილე აისახა ძალზე ფართოდ და მრავალფეროვნად. ზოგჯერ ავტორთა მიერ დახატულია ცხოვრების ისეთი მხარეები, რომლებიც არ გამომდინარეობს ქრისტიანული მსოფლმხედველობიდან.³

ასეთი მიდგომის თანახმად, ჰაგიოგრაფიულ ნიმუშებში არსებულ პასაჟებში დაეინახავთ არა მხოლოდ იმ დროისთვის და თემატიკისთვის დამახასიათებელ სიახლეს, არამედ ისეთ სიძველესაც, რომელსაც წარმართობის ნიშნები ატყვია.⁴

ამჯერად შევეცდებით, განვიხილოთ მარტიროლოგიურ ძეგლებში არსებული რიტუალებიდან ერთ-ერთი, კონკრეტულად კი სისხლის მნიშვნელობა რიტუალში, რომელშიც გადმონაშთის სახით ასახვას პოუბენ ქართველთა უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენების დეტალები, ანუ სხვა სააზროვნო სისტემის ნაშთები.

ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს სისხლის შესახებ საინტერესო ცნობები დაუცავთ იმ პასაჟებით, სადაც საუბარია ქრისტიანული მრწამსის მქონე ადამიანის ამქვეყნიური მოწამეობრივი სიცოცხლის დასასრულზე.

¹ **კ. კეკელიძე.** კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარქული ძველ ქართულ ლიტერატურაში. თბილისი, 1949, გვ. 3.

² **რ. ბარამიძე.** კომპოზიციის საკითხი ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში.– საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. XV. №9, 1954, გვ. 639.

³ **რ. ბარამიძე.** სოციალური მოტივები ძველ ქართულ ორიგინალურ მწერლობაში (V – X სს.).– ძველი ქართული მწერლობის საკითხები. კრებული I. თბილისი, 1962, გვ. 96.

⁴ **რ. სირაძე.** ქართული აგიოგრაფია. თბილისი, 1987, გვ. 86.

გობრონის „მარტივობაში“ წარმოდგენილია ცნობა, სადაც კითხულობთ: „მაშინ წარუპყრეს ქედი მისი და სცეს მახვლითა ორგზის ოდენ, და წყლეს მცირედ. და გამოიძრო ჳელი ნეტარმან მან კრულებისა მისგან და სისხლი იგი თუსი გამოიწერა ჯუარის სახედ შუბლსა თუსსა... და ესრჭთ უშუენოდა იგი სისხლისა მის გამოწერითა შუბლსა მისსა, ვითარცა იგი, რაჟამს უფალი ჩუენი ცხოვრებისასა მას ვნებასა აღასრულებდ“.⁵ ამ ცნობიდან გამომდინარე, სიკვდილისთვის გამზადებულმა გობრონმა თავისივე სისხლით შუბლზე გამოისახა ჯვარი. წმიდა გობრონის მიერ შესრულებული რიტუალი, ჩვენი აზრით, სწორედ სხვა სააზროვნო სისტემის გადმონაშთია.

ქართველთა წინაქრისტიანული ხანის ზნე-ჩვეულებებში იმ დროის ადამიანთა აზროვნებასა და რიტუალურ ქმედებაში სისხლს რომ განსაკუთრებული ადგილი ეკავა, ყოველივე ამას მოწმობს მითო-რელიგიური სახის ცნობები და სხვა წერილობითი თუ არქეოლოგიური სახის მასალები.

უძველესი ქართული მითოლოგიური პოემა „ამირანი“—ს ერთი მონაკვეთის მიხედვით, როდესაც ამირანი და მისი ძმები გარდაცვლილი ცამცუმის საფლავზე დაკლავენ საკლავს და სისხლად დაწრიტავენ, რათა გაციებულ ცხედარს (ჩვენი აზრით, უფრო გარდაცვლილის სულს) ძალა შემატებოდა. ამ ცნობის მიხედვით, სისხლი გვევლინება საიქიო ცხოვრებაში მყოფ ადამიანთათვის ძალის მიმცემად.⁶

ქართულ ეპოსშიც მნიშვნელოვანია სისხლის დანიშნულება. ამ შემთხვევაში მაგალითისთვის გამოდგება ღვთისშვილ „იაკსარის“ მიერ დევებთან ბრძოლის ამსახველი სურათი. კერძოდ, როდესაც იახსარი გამოუდგება გაქცეულ დევს, ეს უკანასკნელი, თავის გადარჩენის მიზნით, ჩადის აბუდელაურის

⁵ წამებაჲ წმიდისა მოწამისა გობრონისი, რომელი განიყვანეს ყველის ციხით.— ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I (V-X სს). ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით. თბილისი, 1964, გვ. 82.

⁶ ამირანი. მითოლოგიური პოემა. შემდგენელი შ. ნუცუბიძე. თბილისი, 1945, გვ. 35.

ტბაში, სადაც თან იახსარიც ჩაჰყვება და მოკლავს. მოკლული დევის სისხლი ტბას გადაეფარება, რის გამოც იახსარი ვედარ ამოვა, მანამ ეს სისხლი არ მოსცილდება ტბის ზედაპირს. ამის გამო იახსარის ერთგული ყმები აბუდელაურის ტბასთან დაკლავენ ოთხრქა-ოთხყურა ცხვარს, რომლის სისხლსაც ჩადვრიან ტბაში, რის შედეგადაც ტბის ზედაპირს მოცილდება დევის სისხლი და იახსარსაც მიეცემა ტბიდან ამოსვლის საშუალება.⁷ ამ ცნობის მიხედვით, სისხლით შექმნილ წინააღმდეგობას კვლავ სისხლით ძლევენ.

ზოგი უძველესი ქართული ხალხური თქმულების მიხედვით, მაგიურია არა მხოლოდ ცხოველის, არამედ ადამიანის სისხლიც, რომელსაც საზოგადოება მნიშვნელოვანი საკითხის მოსაგვარებლად იყენებს.

ამ სახის ცნობა დაუცავს თიანეთის დაარსების ლეგენდას. დღევანდელი თიანეთის ადგილი წყლით ყოფილა დაფარული, რის გამოც მის გარშემო მცხოვრები მოსახლეობა მიწის სიმცირით შეწუხებული ყოფილა. ერთხელ ერთ მღვდელს დევების ლაპარაკისთვის ყური მოუკრავს. რომლის მიხედვითაც, იქვე მცხოვრებ დაძმა თინათინს და იორამს თუ ხალხი დახოცავდა და მათ სისხლს ტბაში გაურევდა, მაშინ ამ წყალს გზა მიეცემოდა და ადგილიც განთავისუფლდებოდა. მოსახლეობაც ასე მოქცეულა და ადგილიც განთავისუფლებულა წყლისგან.⁸

ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ცნობა დაუცავს „მოქცევა ქართლისაჲ“-ს: „და შეჭამნეს შვილნი მათნი მსხუერპლად კერპთათჳს საძაგელთა, და უბრალოდ იგი ერი ქუეყანისაჲ მის. და რომელნი შვილთა მათთა ვითარცა თივასა თიბდეს, მამანი ჩუენნი, რადთა სათნო ეყვნეს კერპთა და უფროდს ხოლო ორთა მათ მათა, არმაზისა და ზადენისა, რომელთა ქვანიცა

⁷ თ. ოჩიაური. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბილისი, 1967, გვ. 148.

⁸ მღვდელი ი. კოშორიძე. წერილები თიონეთის მაზრიდან. – ჟურნალი „მწვემისი“, 1885, №14, გვ. 8.

მათნი დაუღთვან (!) სისხლითა ჩჳღღთადთა, და ღირსცა არიან მთანი იგი ასპოღვად ცეცხლითა.⁹

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ამ ცნობით, მართალია, უშუალოდ სისხლის შესახებ ბევრი არაფერია ნათქვამი, მაგრამ სისხლის ადგილს ამ წარმართულ რიტუალში, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი ყურადღება ექნებოდა დათმობილი. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი სახის ცნობები: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ერთ მონაკვეთშიც აღნიშნულია, რომ: „ხოლო ამას ქუეყანასა ქართლისასა იყვნეს ორნი მთანი და მათ ზედა ორნი კერპნი, არმაზ და ზედენ, რომელნი იყნოსდეს სულმყრალობით ათასსა სულსა ყრმისა პირმშოდსასა, არმაზ და ზადენ, და შესაწირავად უჩნდეს მშობელთა მათთა მსხუერპლად... ხოლო იყვნეს კერპნი სხუანიცა სამეფონი: გაცი და გა. და შეიწირვოდა მათა ერთი სეფეწული ცეცხლითა დაწუვად და მტუერი გარდაბნევად თავსა კერპისასა“.¹⁰ ამ ცნობის მიხედვით, სამეფო გვარის წარმომადგენელი მსხვერპლად დაწვის ფორმით შეიწირებოდა.

გ. ყიფიანის მიერ კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრების შესწავლის შედეგად, ზოგ წარმართულ ტაძარში მივხვდებით საფეხურებიანი სამსხვერპლო საკურთხეველი, რომელსაც დატანებული ჰქონია ღარები, იქიდან მიედინებოდა სამსხვერპლო ცხოველის სისხლი და აქვე ხდებოდა მსხვერპლის დაწვაც.¹¹

გ. ყიფიანის კვლევაზე დაყრდნობით, ჩვენ გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ რადგანაც ზოგი წარმართული ტაძრის სამსხვერპლოზე სპეციალურად იყო გაკეთებული ღარები სისხლისთვის, ხოლო შემდეგ კი მსხვერპლს წვაედნენ, ალბათ, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს თხზულებაში არსებულ წარმართულ ღვთაე-

⁹ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“- ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I (V-X სს). ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით. თბილისი, 1964, გვ. 158.

¹⁰ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“- ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I (V-X სს). ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით. თბილისი, 1964, გვ. 125-126.

¹¹ გ. ყიფიანი. კოლხეთისა და იბერიის ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები. თბილისი, 2000, გვ. 20.

ბათა – გაცის და გაის პატივსაცემად შეწირულ ადამიანთა დაწვასთან და დამწვარი სხეულის ფერფლის რიტუალურ დანიშნულებასთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი სისხლსაც ექნებოდა დათმობილი.

წინაქრისტიანულ დროში სისხლის საკულტო მნიშვნელობაზე მეტყველებს ჩვენ დრომდე მოღწეული წარმართული ნიშნის მქონე ხალხური ყოფის რიტუალები, სადაც სისხლის მნიშვნელობას განსაკუთრებული ადგილი აქვს მიკუთვნებული. მაგალითად, როცა სვანეთში გვადგვა იყო და ავდარს საჭიროებდნენ, ამის გამო ლოცულობდნენ, მაგრამ, როდესაც ლოცვა–ვედრება ვერ სჭრიდა, სვანები ეკლესიას უწმინდური (სახედრის, ჯორის, ცხენის) ცხოველის სისხლით ბილწავდნენ, რის შედეგადაც წვიმა მოდიოდაო.¹²

გარდა სვანეთისა, ამინდის შესაცვლელად სისხლიანი მსხვერპლის შეწირვის რიტუალები დადასტურებულია საქართველოს სხვადასხვა მხარეშიც.¹³

სისხლის ადგილი განსაკუთრებით კარგად ჩანს სახალხო ხატობებში არსებულ განწმედის რიტუალებში, რომელიც ხევისბერების მიერ სრულდება.

ფშავეში არსებული შეხედულების მიხედვით, ხატში დაკლული საქონლის სისხლი თითქოს ხატს სიამოვნებდა. ხატობაში საქონლის სისხლით აპკურებდნენ სახატო ავეჯეულობას. აქ არსებული ხევისბერი სისხლს მოიცხებდა ხელებსა და შუბლზე, რითაც მიმართავდა ხელ-მხარის განათვლას.¹⁴

ღვთისშვილ იახსარის ხატის საბეროში სისხლის გამოყენებით მიმართავდნენ იქ არსებული შვიდი ქვის სკამის განათვ-

¹² **ა. დავითიანი.** ღმერთები სვანთა რწმენით. რვეული №2, გვ. 53. – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი. ალი დავითიანის პირადი საარქივო ფონდი.

¹³ **ნ. ვაჩნაძე.** სააზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი V-X სს. თბილისი, 1998, გვ. 62.

¹⁴ **ვაჟა ფშაველა.** ლაშარის ჯვარის დღეობა ანუ ლაშარობა. თხზულებანი. ტ. IX. თბილისი, 1964, გვ. 238.

ლას, რომელიც ასე სრულდებოდა: საკლავის სისხლს ჩააყენებდნენ სასისხლიაში და მოასხურებდნენ სკამებს. მთიელთა მითოლოგიის მიხედვით, თვითონ ღვთიშვილებიც მიმართავდნენ სისხლით განათვლის რიტუალს.¹⁵

ლიქოკის ხეობაში (ხევსურეთი) როცა ყმაწვილს ჯვარს (ხატში) ააბარებდნენ, დაკლავდნენ საკლავს და მისი სისხლით ამ ყმაწვილს ხელებზე, გულზე და შუბლზე უკეთებდნენ ჯვარს.¹⁶

ხევსურთა ხატობებში ხვეისბერისგან დაკლული საკლავის სისხლისგან თვით ცხოველის მეპატრონეც მიმართავდა განწმედის რიტუალს, იგი სისხლით დაიბანდა ხელებს, შემდეგ კი ხუცესი შუბლზე სცხებდა სისხლს ჯვარის სახედ. დარჩენილ სისხლს ხუცესი შეადგრიდა ხატის კედლებს.¹⁷

თუ ხატობა რამდენიმე დღე გრძელდებოდა, საკლავის მეპატრონეს პირი არ უნდა დაებანა, „რომ სისხლი არ გასცლოდა შუბლიდან და ჯვარი არ შერეულიყო. ამ ჯვარით მას უფლება ჰქონდა, ყოველ დღით მისულიყო ჯვარში, დაეღია და ეჭამა. თუ შუბლზე სისხლის ჯვარი არ ექნებოდა, ისე ჯვარში მისვლა აკრძალული იყო“.¹⁸

ჯვარში საკლავის დაკვლის დროს ხვეისბერს შუბლზე სისხლისგან გამოსახული ჯვარი მას უფრო აწმიდავებდა და ხალხიც უფრო მეტი პატივით უყურებდა.¹⁹

სისხლის, როგორც განმწმედ საშუალებას მოსახლეობა მიმა-

¹⁵ ი. ქეშიკაშვილი. ღმერთები. მითები. რიტუალები. თბილისი, 1990, გვ. 121-122.

¹⁶ გ. ქობულაძე. 1943 წელს ჩაწერილი მასალები უკანაფხოში. რვეული №1, გვ. 24. – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი. გიორგი ქობულაძის პირადი საარქივო ფონდი.

¹⁷ რ. ერისთავი. ნარკვევი – ცხოვრებისათვის ნათესავთა ხევსურთასა.– ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რაფიელ ერისთავის პირადი საარქივო ფონდი №1074.

¹⁸ ი. ქეშიკაშვილი. ღმერთები. მითები. რიტუალები. თბილისი, 1990, გვ. 129.

¹⁹ დ. ცისკარაული. ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი. სარწმუნოება. – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, დიმიტრი ცისკარაულის პირადი საარქივო ფონდი.

როავდა მაშინ, როდესაც ოჯახი დაკრძალავდა მიცვალებულს.

ოჯახი, სადაც მიცვალებულის ცხედარი ესვენა, უწმინდურად ითვლებოდა. ხალხის რწმენით, ამგვარად გაუწმინდურებულ სახელში ანგელოზები აღარ დგებოდნენ, ამიტომ სახლის სანათლავის დაკვლა სავალდებულოდ მიაჩნდათ. სახლის სანათლავეს – ხბოს ან ბატკანს – მიცვალებულის დამარხვიდან მეორე – მესამე დღეს შიგნით, სახელში, კლავდა ხატის ხუცესი, იქვე ჯამი ან ბაკანი იდგა, რომელშიც სისხლს აგროვებდნენ. შემდეგ ჭვავის ჩაღის კონით სისხლს მთელს სახელში მოაპკურებდნენ, სახლის ახლომახლო გზებზედაც ასხურებდნენ, სახლის პატრონს დაამწყალობებდნენ, უსურვებდნენ, რომ ცუდი აღარაფერი შემთხვევოდა. ამის შემდეგ სახლს უწმინდურება მოშორდებოდა.²⁰

ხევესურეთში სისხლით ოჯახის, სახლის განწმედის რიტუალს მიმართავდნენ, როდესაც ოჯახში ნაბოსლარი ანუ ახლად ნამშობიარევი ქალი (უწმინდურად ითვლებოდა განწმედამდე) დაბრუნდებოდა. ამ შემთხვევაში საჭირო იყო ოჯახის განწმედა, რათა უწმინდურობა მოშორებოდა. ამ რიტუალსაც ხატის ხუცესი ასრულებდა. იგი მიდიოდა უწმინდურ ოჯახში, დაკლავდა წინასწარ გამზადებულ ცხვარს ან ხბოს, სისხლს ჯამში მოაგროვებდა და ასხურებდა სახლის კედლებს და ბოძებს. ამ რიტუალით სახლი გაინათლებოდა და კვლავ წმინდად ითვლებოდა.²¹

თ. გვიმრაძის მიერ კახეთში, ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, სისხლი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ყანის მომკის დროსაც, ამ პროცესის (ყანის მომკის) დაწყებამდე მუშები შეჭამდნენ გამომცხვარ კვერებს, რის შემდეგაც იქვე მინდორში ცხვარს დაკლავდნენ, რომლის სისხლსაც ყანაში მოასხამდნენ.²²

²⁰ დ. გიორგაძე. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში (თუშეთ-ხევესურეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). თბილისი, 1987, გვ. 23.

²¹ ნ. ურბნელი. ეთნოგრაფიული წერილები. – გაზეთი „ივერია“, 1886, №269, გვ. 1.

²² თ. გვიმრაძე. სამეურნეო-რელიგიური დღესასწაულები კახეთში. თბილისი, 2005, გვ. 36.

ხევსურეთში ადამიანის სისხლს საინტერესო დატვირთვა გააჩნდა კაცის თავზე ფიცის დადების დროს. ეს წესი კი სრულდებოდა მაშინ, როდესაც ადამიანს ბრალს სდებდნენ კაცის მკვლელობაში, ის კი თავის გამართლებას ცდილობდა. თავის მართლების და სიმართლის გარკვევის გამო ბრალდებული გარკვეული რაოდენობის ადამიანთა თანდასწრებით მიდიოდა გარდაცვლილის საფლავზე, სადაც ამოთხრიდნენ ორმოს, ბრალდებული ჩაღვამდა ორმოში ფეხს და ეკლით ყურიდან სისხლს გამოიდენდა, რომელიც დაეწვეთებოდა მიცვალებულის საფლავს.²³

აღ. რობაქიძე არ გამოირიცხავს, მონადირისგან პირველად მოკლული ნადირის სისხლის შუბლზე წაცხებაში ჩანდეს მონადირის ზიარების უძველესი წეს-ჩვეულების გადმონაშთი.²⁴

წმიდა მსხვერპლის სისხლით წმინდა ჯვრის გამოწვერა დიდხანს ცოცხლობდა მწიგნობრულ ტრადიციაში. X საუკუნის პირველი მეოთხედის ძეგლში („მარტვლობა გობრონისი“) მახვილის ორგზის ცემით მსუბუქად დაჭრილმა წმიდა გობრონმა „...გამოიძრო კელი... კრულებისა მისგან და სისხლი იგი თუსი გამოიწვერა ჯუარის სახედ შუბლსა თუსსა...“ აქ, რა თქმა უნდა, წმიდანი გაიგივებულია წმიდა მსხუერპლთან, ხოლო წმიდა სისხლით ჯვრის გამოსახვა იმ შორეული ხანების რიტუალია, სულ უკანასკნელ დრომდე რომ შემორჩა ქართულ სინამდვილეს.²⁵

სისხლის მოტივის წარმართული პლასტი თავს იჩენს „მარტვლობა დავითისი და ტირიჭანისი“-ს ერთ პასაჟში, სადაც თავის ძმისგან შვილებდახოცილი დედა დის შვილების მკვლელ, ბოროტების გამო დაბრმავებულ ძმას თვალებზე სცხებს უკვე წმიდანად შერაცხილ დავითის სისხლით შესვარულ მიწას, რის შედეგადაც თევდოსს აღუდგება თვალში მხედველობა: „და მოიღო მიწად იგი, რომელი შესუარულ იყო სისხ-

²³ რ. ხარაძე. ხევსურული რჯული. – ანალები I. 1947, გვ. 188-189.

²⁴ ალ. რობაქიძე. რაჭაში მივლინების ანგარიში. – ენიშკის მოამბე. ტ. XI. თბილისი, 1941, გვ. 9.

²⁵ ნ. ვაჩნაძე. სააზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი V – X სს. თბილისი, 1998, გვ. 61.

ლითა მით დავითისითა, და ჰსცხო თუალთა მისთა და მყის აღიხილნა თუალნი მისნი“.²⁶

ამ პასაჟის მიხედვით, მოხდა უწმინდური ადამიანის განწმენდა, ცოდვათაგან გათავისუფლება, ხილვადაკარგული კაცისთვის ხილვის უნარის დაბრუნება სწორედ სისხლით „შესუარული“ მიწით. ამ ქმედებით სისხლმა განწმიდა უწმინდური (წარმართი) თევდოსი, რაშიც ჩვენი წინაპრების უძველესი რწმენა-წარმოდგენების ანარეკლი ჩანს.²⁷

სისხლის წარმართული ნიშნით არსებობას, როგორც ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში, ასევე დღევანდელ ხალხურ ქრისტიანობაში, მკვლევარ ნათელა ვაჩნაძის კვლევის მიხედვით, განაპირობებს შემდეგი გარემოება: „ადამიანის, ვითარცა მსხვერპლის, სისხლით განწმენდა ან განათვლა არის ძველთაძველი რიტუალი, რომელიც ქრისტიანულმა ეკლესიამ აკრძალა, მაგრამ ვერ აღმოფხვრა, მხოლოდ სახე უცვალა ადამიანის მსხვერპლად შეწირვა აიკრძალა და მთელი ამ რიტუალიდან დარჩა მსხვერპლად შეწირული ცხოველის სისხლის ცხება შუბლზე ან სხვაგან, ჯვრის ან სხვა ნიშნის გაკეთება. აი, ნათელი მაგალითი იმისა, როგორ კონსტრუირდება ძველი ახალში, როგორ ჩაექსოვება ძველი რიტუალი ახალ რწმენას და განაგრძობს არსებობას ცოცხალ სინამდვილეში“.²⁸

²⁶ წმიდათა ყრმათა ორთა ძმათა დავითისი და ტირიჭანისი საკითხავი-ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები.

²⁷ ნ. ვაჩნაძე. სააზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი V-X სს. თბილისი, 1998, გვ. 62.

²⁸ ნ. ვაჩნაძე. სააზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი V-X სს. თბილისი, 1998, გვ. 61-62.

დავით მაღლაზონია – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი

თამარ ფხალაძე – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი,
ისტორიის დოქტორი

ინტერკულტურული განათლება, ურთიერთობები და კვლევები საქართველოში. სიტუაციური ანალიზი

საქართველო მრავალეროვანი სახელმწიფოა. აქ ქართველების გვერდით საუკუნეთა განმავლობაში ცხოვრობდნენ აფხაზები, ოსები, სომხები, ებრაელები, აზერბაიჯანლები, ბერძნები, ქურთები, რუსები და სხვა ეროვნების ხალხი.

საქართველოსთვის უცხო იყო რელიგიური და ეროვნული კონფლიქტები, განსხვავებული კულტურისადმი ანტაგონისტური დამოკიდებულება. ცნობილია ისიც, რომ საქართველოში, სადაც მრავალი საუკუნის განმავლობაში ცხოვრობდნენ ებრაელები, ადგილი არ ჰქონია ანტისემიტიზს. ნიშანდობლივია ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის (XVII-XVIII სს.) სიტყვები: „საქართველოში უფლება გაქვს იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა თავი“. მუსლიმების მიმართ ქართული სახელმწიფოს შემწყნარებლური დამოკიდებულების შესახებ XII საუკუნის არაბი ისტორიკოსი ალ ფარიკი წერდა: „მე ვნახე პატივისცემა მუსლიმებისა, რაც მათ ბაღდადშიც არ ექნებოდათ“.

ჩვენი ქვეყნის ისტორია განსხვავებული რელიგიის, კულტურის, ენის, ეოფისა და ტრადიციების მქონე ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის არაერთ გასათვალისწინებელ მაგალითს იძლევა. ყოველივე ეს მხოლოდ მათ მშვიდობიან თანაცხოვრე-

ბაში როდი ვლინდებოდა, არამედ არაქართველი მოსახლეობის მხრიდან საკუთარი წვლილის შეტანასაც გულისხმობდა ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის განვითარების პროცესში.

საქართველოში ერთაშორისი ურთიერთობების ტრადიცია რადიკალურად იცვლება XIX საუკუნიდან. რუსეთის იმპერია დაპყრობილი ხალხების, მათ შორის ქართველების, ასიმილაციის/რუსიფიკაციის გზას დაადგა. რუსიფიკაციის განხორციელების მიზნით ხელისუფლება მეთოდურად სპობდა ეროვნული კულტურის განვითარების შესაძლებლობებს და, მეორე მხრივ, მიმართავდა ერთა შორის კონფლიქტების გაღვივების ნაცად პოლიტიკას. იმპერიის მესვეურები დაინტერესებულნი როდი იყვნენ საქართველოში მცხოვრებ ეთნოსებს შორის ტოლერანტული დამოკიდებულების გაღრმავებით. პირიქით, ხალხთა შორის სიძულვილის ჩამოგდებით, დაპყრობილი ერების დაქსაქსვითა და მათ შორის კონფლიქტების გამოწვევით ცდილობდნენ, შეესუსტებინათ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ფრონტი.

საბჭოთა მემკვიდრეობამ კიდევ სერიოზულ პრობლემად აქცია საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრება და სამოქალაქო ინტეგრაცია. მათ შორის ინტერკულტურული ურთიერთობების გაღრმავებას აბრკოლებს ერთმანეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ეროვნული ტრადიციების არცოდნა. ყოველივე ეს ხელს უწყობს საქართველოს მრავალეროვან მოსახლეობაში ეთნიკური, რელიგიური და კულტურული სტერეოტიპების დამკვიდრებას, ურთიერთ გაუცხოებას, ჩაკეტილობას.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში (1990-იანი წლები) რუსეთის მიერ ინსპირირებულმა ეთნოკონფლიქტებმა არასახარბიელო გავლენა იქონია ერთაშორის ურთიერთობებზე. საქართველო დატოვა არაქართველი მოსახლეობის ნაწილმა. ეროვნული უმცირესობების მდგომარეობის გაუარესება ერთგვარად აისახა განათლების სისტემაზეც – იხურებოდა არაქართულენოვანი სკოლები. საქართველოს ხელისუფლება

ცდილობდა მდგომარეობის გამოსწორებას. მუშაობა დაიწყო სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამებზე, რაც არაქართულენოვანი მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციის ერთგვარი საფუძველი უნდა გამხდარიყო. თუმცა ინტერკულტურული განათლებისა და ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით გაწეულ ფრაგმენტულ მუშაობას სერიოზული შედეგი არ მოჰყოლია. აღნიშნულის მნიშვნელობას აძლიერებს ის ფაქტი, რომ საქართველოში დღეისათვის 234 არაქართულენოვანი სკოლა (საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის 11%) და 404 არაქართულენოვანი სექტორი ფუნქციონირებს. საქართველოში დაახლოებით 72 ათასი ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეა. რაც შეეხება არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგთა რაოდენობას, ისინი საქართველოში მომუშავე საჯარო სკოლის მასწავლებელთა საერთო რაოდენობის (სულ 68779 პედაგოგი) 9,5%-ს (6541 პედაგოგს) შეადგენს.¹

2005 წლიდან ინტერკულტურული განათლების პოლიტიკა უფრო თანმიმდევრული გახდა. სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა შესაბამისი პროგრამები, გაიზარდა მათი განხორციელებისათვის გამოიხნული ხარჯებიც, მაგრამ გატარებულმა ღონისძიებებმა ვერც ამჯერად გამოიღო მდგრადი შედეგები.

ბოლო ათწლეულებში გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური განვითარების პროცესმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა კულტურათაშორის კომუნიკაციასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენას და მათი აღმოფხვრის ეფექტური სტრატეგიების შემუშავება-დანერგვას. არსებული ვითარების გაუმჯობესება კი აუცილებლად მოითხოვს ინტერკულტურული განათლების საკითხებზე აქცენტირებას. მომავალ თაობებს სჭირდებათ გარკვეული ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამომუშავება იმისათვის, რომ გლობალური სამყაროს წარმატებული წევრები გახდნენ საკუთარ ქვეყანაშიც და სხვაგანაც. ეს მათ ეფექტური ინტერაქციის საშუალებე-

¹ შ. ტაბატაძე, ნ. ნაცვლიშვილი. ინტერკულტურული განათლება. თბილისი, 2008. გვ. 25-31.

ბას მისცემთ იმ ჯგუფებში მუშაობისას, რომლის წევრები სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები არიან. ამ პრაქტიკულ მოთხოვნებებს ხელი შეუწყო საზოგადოებრივი შექმენების ცვლილებამაც – მსოფლიო კულტურების მრავალფეროვნების აბსოლუტურ ფასეულობად აღიარებამ, ტრადიციული კულტურების უმრავლესობის არსებობის მოწყველადობამ და მათი გაქრობის საფრთხემ განაპირობა მსოფლიო ხალხების ინტერესი ერთმანეთის კულტურის მიმართ. იმის აღიარება, რომ სხვადასხვა კულტურის ინდივიდებს განსხვავებული ნორმები, გამოცდილება და მოლოდინები აქვთ, მნიშვნელოვანია გლობალური საზოგადოების შექმნისათვის.

აღსანიშნავია პრობლემის აქტუალობის კიდევ ერთი, ქართული რეალობისთვის მეტად მნიშვნელოვანი მხარე. კერძოდ, საქართველო, როგორც პოსტსაბჭოთა სახელმწიფო, ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიაზე გარდამავალ ეტაპზე იმყოფება. ქვეყანა ღია, სამოქალაქო საზოგადოების შექმნას ცდილობს. ადამიანის თავისუფალი განვითარების თანამედროვე კონცეფცია, სამოქალაქო საზოგადოების ახალი პრინციპები და ღირებულებები, საზოგადოებრივი თანხმობის პრიორიტეტები წინა პლანზე ტოლერანტული გარემოს შექმნის უზრუნველყოფის მოთხოვნას აყენებს. ამიტომ მნიშვნელოვანია ეროვნული უმცირესობების ადგილისა და როლის განსაზღვრა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. სამოქალაქო ინტეგრაციის შემაფერხებელ ერთ-ერთ ფაქტორს საქართველოს კულტურული მახასიათებლების ცოდნის, პატივისცემისა და კომუნიკაციის დეფიციტი წარმოადგენს.

საქართველოსთვის ინტერკულტურული განათლებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით რამდენიმე პრობლემა იჩენს თავს. მათგან ერთ-ერთია არაქართველი ახალგაზრდების სოლიდური ნაწილის მიერ უმაღლესი განათლების მიღება ქვეყნის საზღვრებს გარეთ (ძირითადად სომხეთსა და აზერბაიჯანში). უკანასკნელ წლებში იკვეთება საპირისპირო ტენდენციაც, თუმცა აღნიშნული პრობლემა ჯერ კიდევ სერიოზულად დგას

ქვეყნის წინაშე. 2008 წელს უმაღლესი განათლების მისაღებად ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირდა აზერბაიჯანულენოვანი 250 აბიტურიენტი და სომხურენოვანი 113 აბიტურიენტი.² 2011 წლისთვის აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტთა რაოდენობა 335-მდე (34%-ით), ხოლო სომხურენოვან აბიტურიენტთა რაოდენობა 253-მდე (124%-ით) გაიზარდა.

დღემდე არსებით პრობლემად რჩება სხვადასხვა ეთნო-კულტურული იდენტობის მქონე მოქალაქეთა, ასევე საქართველოში მცხოვრებ დევნილთა (აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან), ლტოლვილთა (ჩრდლით კავკასიიდან, ჩეჩნეთიდან) და რეპატრიანტთა (ე. წ. „თურქი მესხები“) უკონფლიქტო თანაცხოვრება, ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაცია, მობილობა და სხვა. ამასთან, ადგილი აქვს დაპირისპირებას ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე. ასეთი ფაქტები პერიოდულად ფიქსირდება საქართველოს სახალხო დამცველისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ინტერკულტურულ განათლების არასახარბიელო მდგომარეობა, შესაბამის ურთიერთობათა დეფიციტი მნიშვნელოვნად აბრკოლებს სამოქალაქო ინტეგრაციის და, ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესს. არაქართველი მოსახლეობისათვის კი, ყოველივე ეს (განსაკუთრებით, სახელმწიფო ენის უცოდინრობა) ობიექტურ ბარიერს ქმნის სამოქალაქო აქტიუობათა სრულფასოვნად განხორციელებისთვის; ხელს უშლის მათში მოქალაქეობრივი იდენტობის განსაზღვრას.

ინტერკულტურული განათლების კვლევის სფეროში უკვე მიღწეული შედეგების მნიშვნელობის აღიარების პარალელურად ათენის დეკლარაცია (2003 წ.) ევროპის საბჭოს წინაშე აქტუალურ მოთხოვნად აყენებს ინტერკულტურული განათლების სფეროში კვლევების განახლებას. კერძოდ, დეკლარაციაში ნათქვამია: „ა) ხელახლა დაიწყოს ინტერკულტურული განათლების

² ეროვნული უმცირესობის სამოქალაქო ინტეგრაციის შეფასება. თბილისი, 2010. გვ. 57-72.

სფეროში კონცეპტუალური კვლევა;... გ) გაატაროს ღონისძიებები სწავლების მეთოდებისა და სასწავლო საშუალებების სფეროში;... ე) დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს განათლების პოლიტიკაში ინტერკულტურული ელემენტის შეტანაში; ი) შეიმუშავოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დემოკრატიული და ინტერკულტურული პრინციპების გათვალისწინებით;... რ) დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს იმის გაცნობიერებაში, რომ კულტურულ, ეთნიკურ თუ რელიგიურ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება მხოლოდ სკოლებისთვის კი არ არის საჭირობო როტო საკითხი, არამედ მთლიანად საზოგადოებისთვის“.

ათენის დეკლარაციით მეცნიერული კვლევის საგნად აღიარებული ბევრი პრობლემა საქართველოსთვისაც აქტუალურია. მათ გადაჭრაზე დიდწილადაა დამოკიდებული სამოქალაქო ინტეგრაციის და საზოგადოების მშვიდობიანი თანაარსებობის/განვითარების პერსპექტივა.

ინტერკულტურული განათლება წარმოადგენს თანამედროვე სამეცნიერო კვლევის ერთ-ერთ აქტუალურ მიმართულებას, რომლის ძირითადი მიზანი ის არის, რომ შეიქმნას განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობები სხვადასხვა ეთნიკური, სოციალური და კულტურული ჯგუფებისათვის. მისი მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს, მიიღონ განათლება, გამოცდილება, რაც აუცილებელია მათი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამასთანავე, მოსწავლეს შეეძლოს ურთიერთობების ჩამოყალიბება ადამიანთა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებთან და ამით ხელი შეუწყოს ისეთი სამოქალაქო საზოგადოების შექმნას, რომელიც მიმართული იქნება მთლიანად ქვეყნის კეთილდღეობისაკენ.

ცნობილი მკვლევარი ბენკსი გამოყოფს ინტერკულტურული განათლების ხუთ განზომილებას. ესენია: ინტეგრაციის შინაარსი, ცოდნის კონსტრუირების პროცესი, წინასწარი ცრუწარმოდგენების შემცირება, სამართლიანი (მიუკერძოებელი) პედაგოგიკა და

სკოლის კულტურისა და სოციალური სტრუქტურის უფლებამოსილება (სიმტკიცე).³

ინტეგრაციის შინაარსი გვიჩვენებს, თუ რამდენად ფართოდ იყენებს მასწავლებელი სათანადო მაგალითებს და საკვანძო საკითხებს სხვადასხვა კულტურებისა და ჯგუფების ცხოვრებიდან (ისტორიიდან), რათა მოახდინოს ძირითადი კონცეფციების ილუსტრირება, გენერალიზაცია და თავიანთ საგნებსა თუ დისციპლინებში პრობლემების წარმოჩენა.

სწავლების კონსტრუირების პროცესი გვიჩვენებს, როგორ ეხმარება მასწავლებელი მოსწავლეებს გაიგონ, გამოიკვლიონ და განსაზღვრონ, თუ რა გავლენას ახდენს შეხედულებათა ფორმები ცოდნის შექმნაზე, აგებაზე (კონსტრუირებაზე). ცრუ წინასწარგანწყობის შემცირებით მასწავლებლები ავითარებენ დადებითი დამოკიდებულებებს სხვადასხვა რასის, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული ჯგუფის მიმართ. მოწინავე კვლევითმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ბავშვი სკოლაში მიდის უკვე არსებული ბევრი უარყოფითი და დამახინჯებული (მცდარი) წარმოდგენით სხვადასხვა იდენტობების მიმართ და, აგრეთვე ის, რომ განსხვავებულ ჯგუფებზე ინფორმაციის შემცველი სასწავლო მასალის ეფექტურად გამოყენება ეხმარება მოსწავლეს, მათდამი განავითაროს უფრო დადებითი დამოკიდებულება (ბენკსი).⁴

ცოდნის კონსტრუირების პროცესთან ბუნებრივად არის დაკავშირებული უკვე არსებული ცოდნისა და წარმოდგენების (შეხედულებების) ტრანსფორმაცია. ტრანსფორმაციული მიდგომა ეხმარება მოსწავლეებს, გაიგონ ცოდნის აგების პრინციპი და, აგრეთვე, როგორ ასახავს ცოდნა გამოცდილებას, ღირებულებებს და მათი შექმნელების შეხედულებებს. ამ მიდგომისას სწავლების სტრუქტურა, შინაარსი და კურიკულუმის პერსპექტივები ისე არის შეცვლილი, რომ საგნები, ცალკეული საკითხები და პრობლემები

³ Banks, J. A. Multicultural Education: Historical Development, Dimensions, and Practice. Handbook of Research on Multicultural Education. 1995, pp. 3-24.

⁴ Banks, J. A. Multicultural Education: Characteristics and Goals. Multicultural Education: Issues and Perspectives. 3rd ed. Boston: Allyn and Bacon, 1997, pp. 3-31.

ისწავლება სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის ხედვიდან და გამოცდილებიდან. ამ შემთხვევაში კურიკულუმის ცენტრალური ნაწილი აღარ არის ფოკუსირებული ძირითად, დომინანტურ ჯგუფზე, არამედ აქცენტირებულია იმ მოვლენებზე და პრობლემებზე, რომელთა შეფასება ხდება სხვადასხვა კუთხით. ამასთან ერთად, მოსწავლეები უნდა ჩაწვდნენ ძირითად ეროვნულ მემკვიდრეობებსა და ტრადიციებს. მასწავლებლები უნდა დაეხმარონ მოსწავლეებს, გაიგონ, რომ მრავალფეროვან საზოგადოებაში ყველა მოქალაქე იზიარებს ბევრ კულტურულ ტრადიციას, ღირებულებებს და პოლიტიკურ იდეებს, რაც სტაბილურს ხდის და ავითარებს საზოგადოებას. ინტერკულტურული განათლება მიზნად ისახავს, შექმნას საზოგადოება, რომელიც ცნობს და პატივს სცემს სხვა ხალხის კულტურას, გაერთიანებულს ერთიანი დემოკრატიული ღირებულებების ჩარჩოში, რომელსაც ყველა იზიარებს.

მიუკერძოებელი პედაგოგიკა გვაქვს მაშინ, როდესაც მასწავლებელი სხვადასხვა ეთნიკური, კულტურული და სოციალური ჯგუფების მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით ცვლის სწავლების მეთოდებს, სულ უფრო მეტად იყენებს სწავლების კოოპერატიულ და არა კონკურენტულ სტრატეგიებს. კოოპერატიული სწავლების აქტივობები ასევე ეხმარება მოსწავლეებს, განავითარონ უფრო დადებითი დამოკიდებულებები მრავალფეროვნების მიმართ. თუმცა ამ დადებითი შედეგების მისაღებად კოოპერატიული სწავლების აქტივობებს უნდა ჰქონდეს რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი. კერძოდ, მოსწავლეები სხვადასხვა რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფებიდან უნდა გრძობდნენ, რომ მათ აქვთ თანაბარი სტატუსი ჯგუფში და საგაკვეთილო აქტივობებში, მასწავლებლები და ადმინისტრაცია უნდა აფასებდეს და მხარს უჭერდეს ეთნიკურ ურთიერთობებს. მაგალითად, სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ ინტეგრირებულად (გუნდურად), რათა მიაღწიონ საერთო მიზანს (ბენნეტი).⁵

⁵ **Bennett, M.** Towards ethnorelativism: A developmental model of intercultural sensitivity. In M. Paige (Ed.), Education for the intercultural experience. 1993, pp. 21-71.

უფლებამოსილი (მტკიცე) სასკოლო კულტურა და სოციალური სტრუქტურა იქმნება მაშინ, როდესაც სხვადასხვა რელიგიური, რასობრივი ან ეთნიკური წამომავლობის მოსწავლეებს საშუალება აქვთ, განიცადონ თანაბარუფლებიანობა და თანაბარი სტატუსი. ამ განზომილების დანეგვა საჭიროებს სასკოლო გარემოს კომპლექსურ რეფორმირებას, აქ შედის ურთიერთობა, შეხედულებები და მასწავლებელთა და ადმინისტრაციის მოქმედება, კურიკულუმი და სწავლების შინაარსი, შეფასების პროცედურები, პედაგოგიური ურთიერთობის სტილი და სწავლების სტრატეგიები.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერკულტურული განათლების ხუთივე განზომილება ერთმანეთთან არის დაკავშირებული, თითოეულს სჭირდება განსაზღვრული ყურადღება და ფოკუსირება. იმისათვის, რომ ეფექტურად დაინერგოს ინტერკულტურული განათლება, მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია უნდა ფლობდნენ და პრაქტიკაში იყენებდნენ ზემოთ ჩამოთვლილი ინტერკულტურული განათლების ხუთივე განზომილებიდან თითოეულს.

ინტერკულტურული განათლების მნიშველოვანი მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს მიიღონ განათლება და განუვითაროს საჭირო კომპეტენციები, რათა მათ შეძლონ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება და პირადი, სოციალური და მოქალაქეობრივი ქმედებების განხორციელება. ამ მიზნების რეალიზება საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, განავითარონ პიროვნული და მოქალაქეობრივი აქტიურობა, ჩამოუყალიბდეთ რწმენა, რომ მათი ქმედებები უკეთესობისაკენ შეცვლიან იმ გარემოს, რომელშიც ცხოვრობენ და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია - წარმატებით გამოიყენონ ის ცოდნა და უნარები, რომლებიც სკოლაში მიიღეს.

სასწავლო ქმედებები და პროექტები მიმართული უნდა იყოს მოსწავლეების შემეცნებითი და მორალური განვითარებისკენ. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს მათი პრაქტიკულობა და განხორციელებადობა. დაწყებით კლასებში მოსწავლეების ჩართულობა შეიძლება გამოიხატოს ეთნიკურ ხუმრობებზე სი-

ცილის შეწყვეტით. საშუალო კლასებში ეთნიკური, რასობრივი და კულტურული ჯგუფების შესახებ წიგნების კითხვით. მაღალ კლასებში მოსწავლეები შეიძლება დაუმეგობრდნენ სხვა რასის, რელიგიის და ეთნიკური ჯგუფის წევრებს, რათა მონაწილეობა მიიღონ ერთიან სასწავლო აქტივობებში და კვლევით პროექტებში.⁶ საბოლოო ჯამში, როდესაც მოსწავლეები მრავალფეროვანი ჯგუფის გადმოსახედიდან სწავლობენ ერების და სამყაროს შესახებ, ისინი უკეთ ერთვებიან პიროვნულ, სოციალურ და მოქალაქეობრივ აქტივობებში.

ინტერკულტურული განათლება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია იმისათვის, რომ შეამციროს რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური და სოციალური დაყოფა, დაეხმაროს ყველა მოსწავლეს, მიიღოს ცოდნა, გააუმჯობესოს ქცევები, უნარები, რასაც ისინი საჭიროებენ რათა გახდნენ დემოკრატიული საზოგადოების აქტიური მოქალაქეები და მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის სოციალურ ცვლილებებში. ამასთანავე, აუცილებელია, რომ მასწავლებლებმა შეისწავლონ თუ როგორ უნდა აღიარონ, დაიცვან და ჩართონ მოსწავლეთა პირადი უნარები სწავლების მათეულ მეთოდიკაში. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გაუმჯობესდება სკოლის მიღწევები.⁷

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ ძირითადი დებულებები, რომლებიც გვაცნობენ ინტერკულტურული განათლების მიზნებსა და ამოცანებს. ისინი თვისებრივად უკავშირდებიან საქართველოს წინაშე მდგარ პრობლემს. ამავე დროს, მათი იდენტიფიცირებისა და გადაჭრისათვის საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ქართული სპეციფიკა, რაც, ჩვენი აზრით, შემდეგში მდგომარეობს:

- ა) ინტერკულტურული ურთიერთობების დაბალი ხარისხი,

⁶ **C. Birzea.** Intercultural Education - a Priority of Education Policies from the document Learning Democracy. Education Policies within the Council of Europe; Cumming-McCann A.(2003). Multicultural education. Connecting Theory to Practice. Focus on Basics, NCSALL, pp. 31-35.

⁷ **G. Gay.** A Synthesis of Scholarship in Multicultural Education. North Central Regional Educational Laboratory, NCREL, 1994, pp. 45-53.

განსხვავებული იდენტობის მქონე ჯგუფთა ჩაკეტილობა, არაქართველი მოსახლეობის სოლიდური ნაწილის მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა;

ბ) ინტერკულტურული განათლების ტრადიციის არ არსებობა. შესაბამისად, ჯერ კიდევ არაეფექტურია სასწავლო გარემო, დამუშავებული არ არის სათანადო პედაგოგიური მიდგომები, სახელმძღვანელოებში მწირი მასალაა საქართველოს ეთნიკური, რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნების შესახებ და რაც წარმოდგენილია, ისიც უმთავრესად ფრაგმენტული და დეკლარაციული ხასიათისაა; საწყის ეტაპზეა მასწავლებელთა გადამზადების პროცესიც;

გ) ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეები ძირითადად სწავლობენ მათთვის მშობლიურენოვან სკოლებში, რაც აბრკოლებს მათ ინტეგრაციას სხვა წარმომავლობის თანატოლებთან. ჩვენ წინააღმდეგი როდი ვართ არაქართულენოვანი სკოლების არსებობის, პირიქით, ეს ფაქტი მიგვაჩნია ქართული სახელმწიფოს ტოლერანტულობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოხატულებად. არამედ, ვფიქრობთ, ამგვარი ეთნიკური (ენობრივი) ჩაკეტილობის საპირისპიროდ არაფორმალური განათლების დონეზე უნდა დაისახოს მოსწავლეთა ინტერკულტურული ურთიერთობების გაღრმავების ეფექტური სტრატეგიები;

დ) მშობლებსა და, ზოგადად, საზოგადოებაში საკმაოდ დაბალია ინტერკულტურული განათლება და კომპეტენციები, რაც ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს მრავალფეროვნებისადმი მოსწავლეთა წარმოდგენებზე.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველო აღიარებს ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ დეკლარაციებსა და დოკუმენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ ინტერკულტურული განათლების პოლიტიკას. მათგან გამოყოფთ განათლების მინისტრთა მუდმივმოქმედი კომისიის 21-ე სესიის საბოლოო დეკლარაციას (ათენი, 2003 წ.), ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა მესამე სამიტზე მიღებული სამოქმედო გეგმა (ვარშავა, 2005 წ.) და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია

რელიგიისა და განათლების შესახებ (2005 წ.) და სხვ.

შესაბამისად, შეიქმნა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულია საქართველოში ინტერკულტურული განათლების პოლიტიკის განსაზღვრელი ისეთი დოკუმენტები, როგორცაა: „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა“ (2009 წ.) და განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული „მულტილინგუური განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ (2009 წ.). ამ გეგმის ფარგლებში შემუშავებული „მულტილინგუური განათლების პროგრამის“ ეგიდით 40 არაქართულენოვან სკოლაში განხორციელდა ბილინგუური განათლების პროგრამის პილოტირება.

ინტერკულტურული განათლებისა და ურთიერთობების საკითხს ყურადღება ეთმობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ცალკეულ დოკუმენტებსა და სასწავლო გეგმებში. საქართველოს კანონის – „ზოგადი განათლების შესახებ“ – მიხედვით საქართველოს მოქალაქეებს, რომელთათვის ქართული ენა არ არის მშობლიური, უფლება აქვთ, მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე. ამავე კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია: „დაუშვებელია საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება“. იმავე მუხლის მე-6 პუნქტში კი აღნიშნულია: „სკოლა ვალდებულია, დაიცვას და ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა“ და ა.შ. საზოგადოებრივი მეცნიერებების, უცხო ენისა და მშობლიური ენის სასწავლო გეგმები ითვალისწინებს მოსწავლის ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებას. აღნიშნული სასწავლო გეგმების ერთ-ერთ ძირითად მიზნად დასახულია ტოლერანტი, ადამიანის ღირსებების და უფლებების მქონე მოქალაქის ჩამოყა-

ლიბება. საგანმანათლებლო დოკუმენტებში გაწერილი ეს და სხვა მოთხოვნები ადეკვატურია საერთაშორისო გამოცდილების, მაგრამ ძირითად პრობლემად კვლავაც რჩება მიღებული გადაწყვეტილებების დეკლარაციული ხასიათი – პრაქტიკაში მისი განუხორციელებლობა.

ამავე დროს, ქართულ რეალობაში არსებული პრობლემების გადაწყვეტას ართულებს ის გარემოება, რომ ინტერკულტურული განათლებისა და ურთიერთობების არსებული დონე (პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის შესაძლებლობების დასახვა) საქართველოში ჯერ კიდევ არ გამხდარა ფუნდამენტური კვლევის საგანი. ინტერკულტურული ურთიერთობების საკითხით, ძირითადად, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ინტერესდებიან. სწორედ მათ მიერ განხორციელდა რამდენიმე საინტერესო კვლევა, სადაც გაშუქებულია ზოგიერთი რეგიონის პრობლემატიკა და მოცემულია გარკვეული რეკომენდაციები გამოვლენილ უარყოფით მხარეთა აღმოსაფხვრელად.⁸

ბოლო წლებში გამოიცა რამდენიმე საინტერესო ლიტერატურა (სახელმძღვანელო, გზამკვლევი, სატრენინგო მასალა), რომლებიც მნიშვნელოვან დახმარებას უწევს პედაგოგებსა და ფართო საზოგადოებას, გაერკვეს ინტერკულტურული განათლების არსსა და პრობლემატიკაში. მათგან გამოვყოფთ რამდენიმეს: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2008 წელს გამოცემული სახელმძღვანელო – „ინტერკულტურული განათლება“ (ავტორები: შ. ტაბატაძე, ნ. ნაცვლიშვილი); ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ გამოიცა მეთოდური გზამკვლევი „კულტურათაშორისი სწავლება“ (2007 წ.); ასევე საინტერესო სახელმძღვანელოს წარმოადგენს „კულტურათა დიალოგი და სამოქალაქო ცნობიერება“ (შ. ტაბატაძე, 2007);

⁸ ეთნიკურ-კონფესიური ჯგუფები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში. აზერბაიჯანლები, ჯავახეთის სომხები და მუსლიმანი მესხები. თბილისი, 2002; ეთნიკური მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში. თბილისი, 2003; კულტურათა დიალოგი და სამოქალაქო ცნობიერება. თბილისი, 2010; ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის შეფასება. თბილისი, 2010.

„ტოლერანტობა მრავალეროვან საქართველოში“ (ნ. სარჯველაძე, ნ. შუშანიას... 2009) და სხვ.

როგორც აღეზივნეთ, ინტერკულტურულ განათლებასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენასა და მითი გადაჭრის გზების მეცნიერული კვლევა საქართველოში სათანადო სიღრმითა და კომპლექსურობით ჯერ არ წარმოებულა. როგორც წესი, ხდებოდა პრობლემის ცალკეულ სეგმენტზე (მაგ., ენობრივზე ან ეთნიკურზე) აქცენტირება და გამოვლენილი პროცესების სიტუაციური ანალიზი. ჩვენი აზრით, სამომავლო კვლევების მიზანი უნდა იყოს საკითხის კომპლექსური (ეთნიკურ, რელიგიურ, კულტურულ, სოციალურ, საგანმანათლებლო პოლიტიკის, ისტორიულ და სხვ. ჭრილში) შესწავლა და არა საზოგადოების მრავალფეროვნების წარმოდგენა ერთი კონკრეტული ასპექტით.

უფრო კონკრეტულად, საჭიროა გამოკვლეული და შემუშავებული იქნეს საქართველოს მთელი საზოგადოების მრავალფეროვნების ყველა განზომილებისა (ეროვნული, ენობრივი, სოციალური, რელიგიური, კულტურული) და მათი კომბინაციების გავლენა განათლებაზე; სხვადასხვა საგანმანათლებლო პროცესის გავლენა მრავალფეროვანი საზოგადოების განვითარებაზე (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული მანქვენებლები, ინტეგრაციის ხარისხი); მასწავლებლებისა და ოჯახის კულტურათშორისი კომპეტენციების გავლენა/მიმართება ინტერკულტურული განათლების ხარისხსა და მოსწავლეთა მიღწევებზე; საზოგადოების ინტერკულტურულ განათლებასა და ურთიერთობებს შორის ლოგიკური მიმართებები; ინტერკულტურული წიგნიერების თანამედროვე სტრატეგიები და მოხდება მათი აპრობაცია.

ჩვენს მიერ დასახული მიმართულებებით კვლევების წარმოება საშუალებას მოგვცემს, მოვახდინოთ ინტერკულტურული ურთიერთობების პრობლემურ მხარეთა იდენტიფიცირება და პრობლემათა ანალიზის საფუძველზე გამოვკვეთოთ მათი არსებობის წინაპირობები; შევისწავლოთ ინტერკულტურული განათლების დეფიციტის განმაპირობებელი ფაქტორები (დიდაქტიკური, კულ-

ტურული, სოციალური) და დავადგინოთ ამ ფაქტორების გავლენის კოეფიციენტები მოსწავლეთა ინტერკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების აღქმის ხარისხზე; განვსაზღვროთ, თუ რა გავლენას ახდენს ინტერკულტურული განათლებისა და საზოგადოების კულტურული მრავალფეროვნების აღქმის არსებული დონე განსხვავებული იდენტობის მქონე ჯგუფების სამოქალაქო აქტიურობასა და ინტეგრაციის პროცესზე.

ამდენად, მსოფლიოში არსებული გამოცდილებისა და ადგილობრივი ვითარების მეცნიერული შესწავლის საფუძველზე აუცილებელია, შემუშავდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინტერკულტურული განათლების ეფექტური მოდელები/სტრატეგიები და მოხდეს მათი აპრობაცია, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს მრავალფეროვან მოსახლეობაში პოზიტიური დამოკიდებულებების გაღრმავებას და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების დაუფლებას. ეს კი, საერთო ჯამში, განაპირობებს სახელმწიფოებრივად ისეთი აქტუალური პრობლემის გადაჭრას, როგორცაა მულტიკულტურულ გარემოში მოქალაქეობრივი იდენტობის ჩამოყალიბება, ინტეგრაცია და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა.

დავით მაღაზონია – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი

სოციალურ-ეკონომიკური მოტივები თერგდალეულთა მხატვრულ შემოქმედებაში

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციალურ პრობლემებს.

თერგდალეულები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლიანობას. ამ მოთხოვნას განაპირობებდა როგორც ზნეობრივი, ჰუმანური პოზიცია დიდი მწერლებისა, ისე საზოგადოების ერთიანობის მნიშვნელობის შეგნება ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში.

ფართოდ გავრცელებული ეკონომიკური ჩაგვრისა და უუფლებობის გმობა, სამართლიან ურთიერთობათა ქადაგება, მშრომელთა ადამიანური ღირსების დაცვა თერგდალეულთა სოციალურ კრედიტ იქცა, ხოლო მშრომელთა კეთილდღეობის, ადამიანის პიროვნული თავისუფლების უზრუნველყოფას ეროვნული საკითხის გადაჭრისათვის კარდინალური მნიშვნელობა მიენიჭა. ამავე მიზნების განხორციელებას უკავშირებდნენ ისინი ქვეყნის განვითარების უკეთეს პერსპექტივას.

თერგდალეულები ფარდას ხდიან ჩაგრული შრომის სიმძიმეს, უდიდესი მხატვრული ძალით გადმოგვცემენ ყმა-გლეხის გაუხარებელ ყოფას. გუთნისდედა, ქვეყნის მარჩენალი, დიდ განსხვავებას ვერ ხედავს თავის თავსა და მუშა საქონელს შორის. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ გლეხი მეტყველია. მაგრამ ეს უპირატესობაც ტრაგედიად ქცევია ცოცხალ ადამიანს – მას არ შეუძლია, გაილაშქროს უკანონობის, უს-

ამართლობის, ჩაგვრის წინააღმდეგ, მას სიმართლე ვერ უთქვამს, რასაც შრომის ზედმეტ სიმძიმეზე კიდევ უფრო მწვავედ განიცდის უუფლებო მშრომელი.¹

საყურადღებოა, რომ აქ ხსენებულ მშრომელებს მათი უუფლებობა და პირუტყვის დონემდე დაყვანილი ცხოვრება იმთავითვე განსაზღვრულად და მარადიულად კი არ მიაჩნიათ, არამედ მტრული ძალისხმევის მიძიმე შედეგად:

„მეც შენებრ მიწას დავეურებ თვალით,
რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით...“.

იმის შეგნება, რომ ზეცა (ე. ი. სინათლე და ადამიანური არსებობა) წართმეულია, ის აუცილებელი ნაპერწკალია, რომლისგანაც აქტიური სოციალური პროტესტი უნდა გადვიდვს.

ამ ფონზე, რა თქმა უნდა, სცდება ვაჟას გუთნისდედა, რომელიც თავის უბადრუკ, გაუხარებლ ყოფას ბუნების (მთის) მიძიმე პირობებს აბრადებს – თითქოს მასაც ზურგი უქცევია მუშაკისათვის, – სიუხვეს, დოვლათს, ბარაქას ამადლის მას. მთის მკვიდრიც „რისხავს“ ბუნებას – საკუთარი ტანჯვის მიზეზს შეცდომით მასში ხედავს და არა სოციალურ პირობებში.

ის, რომ უსამართლო სახელმწიფოში მშრომელი კაცი განწირულია, რომ არაადამიანურად მიძიმე შრომა და მაინც სულისშემხუთველი სიდატაკეა მისი ცხოვრების თანამგზავრი და ღირსებასაც, ფეხქვეშ უთელავს უზნეო საზოგადოება... თერგდალეულთა არაერთ ნაწარმოებშია ასახული.²

მუშას თითქოს არ ბოჭავს ბატონყმურ ურთიერთობათა არტახები, მაგრამ მის ხვედრს ვერ ამსუბუქებს პიროვნული თავისუფლება. სოციალური უკუღმართობა და ეკონომიკური სიდუხჭირე მის არსებობას უაზროს ხდის და, „გუთნისდედის“ მსგავსად, მასაც უკარგავს ადამიანურ სახეს, ყველასაგან მოძულეებულ არსებად აქცევს.

¹ ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. ერთტომეული. თბილისი, 1984, გვ. 44.

² ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. ერთტომეული. თბილისი, 1984, გვ. 62-63; აკაკი წერეთელი. თხზულებანი. ერთტომეული. თბილისი, 1988, გვ. 162-164.

ცხოვრების მძიმე პირობებზე, უკუღმართობასა და აუტანელ სიდუხჭირეზე ჩივის ლელთ-ღუნიაც (ილია, „მგზავრის წერილები“). ნოყიერი მიწების სიმცირე და მათი უსამართლო განაწილება დიდ მატერიალურ სივიწროვეს განაცდევინებდა მთიელ ხალხს. ხელისუფლებაც უსამართლოდ ექცეოდა მათ. სოფელ გერგეთის მკვიდრთ ძველად წმინდა სამების ტაძრის დაცვა ჰქონდათ დაკისრებული და ამისთვის საქართველოს სამეფო კარმა ბეგარისაგან თავისუფლება უწყალობა მათ. „რუსობაჩი“ ჩავარდნის შემდეგ სოფელს მძიმე ტვირთად დააწვა გადასახადები. ამ კონკრეტული მაგალითების ჩვენებით ილია აკრიტიკებს რუსული მმართველობის მტაცებლურ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც არას დაგიდევდა ადგილობრივი ტრადიციებით განსაზღვრულ ურთიერთობებს, ადგილობრივი საზოგადოების ფსიქოლოგიას, მიზანმიმართულად შლიდა და ანადგურებდა მას.³

მშრომელი მოსახლეობის ცხოვრების პირობებს კიდევ უფრო ამძიმებდა რუსეთის სინამდვილეში ჩამოყალიბებული წესრიგის მექანიკური გადმოტანა განსხვავებული ტრადიციების ქვეყანაში.

მოწინავე საზოგადოება ვერ ეგუებოდა ქვეყნის სავალალო მდგომარეობას და ცდილობდა, პრაქტიკული მოქმედებით თუ თეორიული ძიებით მიეგნო იმ გზისთვის, რომელიც თანამემამულეთ მცირედ შვებას მაინც მოუტანდა.

მწვავედ განიცდიდა ქართველი მოსახლეობა ხელისუფლების მხრიდან შევიწროებას. სამოხელეო-ჩინოვნიკური აპარატი ახალ მმართველურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა.⁴ მოხელეთა მექრთამეობა, დიდკაცური ამბიციები, მეტისმეტად თრგუნავდა ისედაც დაბეჩავებულ მშრომელებს.⁵ ამიტომაც ზრახვიდა ხალხი სახელმწიფოსა და სამართლის ასეთ ქომაგებს (აკაკი, „გლეხის ღოცვა“).

³ ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული. ხუთ ტომად. ტ. 5. თბილისი, 1961, გვ. 78-80.

⁴ ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული. ხუთ ტომად. ტ. 5. პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები. თბილისი, 1961, გვ. 85.

⁵ აკაკი წერეთელი. რჩეული ნაწერები. ხუთ ტომად. ტ. 3. თბილისი, 1989, გვ. 261.

მიძმე ბეგარა ისედაც ხელმოკლე მოსახლეობას ხელს ადებინებდა მეურნეობის ინტენსიურ დარგებზე და ორიოდ გროშის საშოვნელად უცხო მხარეში წასვლას აიძულებდა, სადაც, ძირითადად, „მუშის“ ბედის თანაზიარი ხდებოდა. ხალხის ყოფის უბადრუკობა, სამწუხარო ბედისწერით, მათსავე ზნეობრივ მიდრეკილებებს უკავშირდება – „სძინავს ფიქრს კაცისას ტბილის ძილით, სადაც მყუდროებაა, სადაც აზრი მძლავრადაც არ ჭაჭანებს და თუნდაც იგი, როგორც გაზაფხულზეც მერცხალი, შეფრინდეს სადმე, უეჭველად კაკლის ფუღურო უნდა მოსძებნოს ბინად, კაცის ტვინის მაგივრად და იქ მოიკალათოს, სადაც ცხოვრობენ ნინიკა-პეტრიკეები, ბერიეები, მუშაკანი მიწისა, ხელთოხ-ნიჩაბ-ბარანები, მკერდოფლიანნი, გულით მართალნი, აზრით გამჭრალნი, სწავლას მონატრულნი მზა-მზარეულად და ცოდნის მოსახვეჭად ხელ-გაინძრეველნი...“ (ვაჟა, „სოფლის სურათები“).

ყოფითი პრობლემებით გამწარებული ხალხისათვის მშვიდობასაც კი დაუკარგავს ფასი. რეალობის სირთულე ძველი, ომიანობით მშფოთვარე ცხოვრების ნოსტალგიას იწვევს მათში.⁶

არადა კარგად გრძნობენ (ილიას მეგზური) ამ უსამართლობის, გაუსაძლისი ცხოვრების მიზეზს. თავისუფლებაწართმეული ქვეყანა საკუთარ პრობლემებს ვერ მოაგვარებდა. სიტუაციას ის გარემოებაც ამწვავებდა, რომ ხალხი თანდათან გადაგვარების გზაზე დამდგარიყო. ზნეობადაქვეითებულ მოსახლეობას კი ნაკლებად შესწევდა წინააღმდეგობის უნარი. ამიტომაც მიანნდათ მოხვევებს სომეხი მევახშე უფრო საშიშ მტრად, ვინემ ძველად იარაღით მოსული მომხვედური (ილია, „მგზავრის წერილები“).

სოციალურ ურთიერთობათა უმთავრეს დამამძიმებელ ფაქტორად თერგდალეულები ბატონყმობას თვლიდნენ. დიდებულ მხატვრულ ნაწარმოებებში მათ დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ეს დრომოჭმული სისტემა აფერხებდა ეკონომიკის განვითარებას, არააღამიანურად ზღუდავდა და ჩაგრავდა გლეხს, უზნეობისა და გამრუდებული ცნობიერების მიზეზი იყო თავადაზნაურობის უდიდესი ნაწილისათვის.

⁶ ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. ერთტომეული. თბილისი, 1984, გვ. 195-217.

შთამბეჭდავად ხატავდნენ ისინი ბატონყმობის არაადამიანურ ბუნებას, როცა კაცში ადამიანურ გრძნობას ვერ ხედავენ, როცა იგი სხვისი საკუთრება ხდება და მისი ბედისა თუ უბედობის მჭედელი ბატონია.⁷

ბატონყმობის უღლით დამძიმებული, წელში გატეხილი გლეხობის მდგომარეობა მეტად უბადრუკია, მათი დრტვინვა, სამართლიანი გოდება ყრუ კედელს აწყდება – ბედისაგან დაჩაგრულს მოსარჩლე არავენ ჰყავს (აკაკი, „მუშური“, „გლეხის აღსარება“). სასოწარკვეთილთ, თითქოს აღარც უკეთესი მომავლის დამკვიდრება ეიმედებათ... საფუძვლიანია მათი ეჭვი, რომ ხელისუფლება, ბატონყმობის გაუქმებით მონობის ახალ უღელს ამზადებს უკვე თავგასულ ჩინოვნიკთა ხელში.⁸ (გ. წერეთელი, „მგზავრის წერილები“²). და ეს შიში სულაც არ იყო უსაფუძვლო. საგლეხო რეფორმის პროექტი მემამულესა და გლეხს შორის მრავალ სადაოს ტოვებდა, რაც ზნეწამხდარ მოხელეთა ანგარი მოქმედების ასპარეზს ზრდიდა (აკაკი, „მამლის ყივილზე“). არადა გრძნობენ გლეხები, რომ საკუთარი თავის პატრონთ წინ ვერაფერი დაუდგებათ, მხნე გარჯით კეთილდღეობას მოიძიან – „ნეტაი ღმერთი იმ ჩემ ბატონს მომაშორებდეს, თვარა კაცი როგორ მეჯობინება ქვეყანაზე!...“ – ასე შემოგვჩვივის საკუთარ ბედს ღენხუმელი გლეხი (გ. წერეთელი, „მგზავრის წერილები“).

თერგდალეულთათვის ბედის მორჩილი ადამიანი (ისეთი როგორიც გლეხი გიგუაა (იაკობი, „მონადირე“)) არასოდეს ქცეულა ქების ობიექტად. თავისუფლებისათვის ბრძოლას ისინი ადამიანის უმთავრეს მოვალეობად თვლიდნენ და, ამდენად, ძალისმიერ გზასაც არ გამოირიცხავდნენ ამ მიზნის მიღწევისათვის. ილიას დიდებული ნაწარმოებები „კაკო ყაჩაღი“ და „გლახის ნამბობი“, გარდა იმისა, რომ ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ბატონყმობის ხასიათზე, ემაგლეხის მძიმე ხვედრზე და აუტანელ ჩაგვრაზე, – პიროვნების ამბოსსაც ასახავენ სოციალური უუფლებობის წინააღმდეგ.

⁷ ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. ერთტომეული. თბილისი, 1984, გვ. 130-147.

⁸ გიორგი წერეთელი. მგზავრის წერილები. ქართული პროზა. წიგნი X. თბილისი, 1985, გვ. 453.

ბატონყმობის მიმართ მძაფრი პროტესტი ა. წერეთლის პოეზიაშიც აშკარად ჩანს, იმ განსხვავებით კი, რომ იგი უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის ასეთ კონკრეტულ მაგალითებს არ გვიხატავს. აკაკი, თანამებრძოლების მსგავსად, სოციალური ჩაგვრის დამძიმებას ეროვნულ უფლებობას უკავშირებდა. მხოლოდ პოლიტიკური თავისუფლების პირობებში თვლიდა შესაძლებლად დამორგუნველი სოციალური ვითარების გამოსწორებას. ვფიქრობთ, ამით აიხსნება მის შემოქმედებაში სოციალურ უსამართლობასთან მებრძოლ ინდივიდთა ნაკლებობა (ილიასთან ბატონყმობასთან დაპირისპირებას სწორედ რომ ინდივიდუალური ხასიათი აქვს).

თერგდალეულთა მიზანია, დაარწმუნონ საზოგადოება, რომ უფლება – განაგოს სხვათა ბედი, თვით მისი მფლობელისთვისაც ტრაგიკული ხდება, რადგან სხვაზე სულით-ხორციანად ბატონობა ადამიანს სახეს უცვლის და ჯალათად აქცევს.⁹ უნდა გვახსოვდეს, რომ დათიკოს, იერემია წარბას, ტარიელ მკლავადის¹⁰ და მსგავსთა ზრახვების აღსრულებას შესაბამისი სოციალური გარემო პირობები უწყობდა ხელს. ამ გადაგვარებულ გვამთა ნაცვლად ახალი დრო განსხვავებული ცნობიერების, ენერგიული მოქმედების ადამიანებს მოითხოვდა (ბახვა ფულავას („პირველი ნაბიჯი“), თავად ლევანს („კაცია ადამიანი“?!...)).

საყურადღებოა, რომ თერგდალეულები ბატონყმურ ურთიერთობათა ხასიათს ისტორიულ ჭრილშიაც განიხილავენ. ჩვენში სოციალურ ურთიერთობათა ტრადიციულ ფონად ისინი წოდებათა ვალდებულებების განსაზღვრულობას თვლიდნენ (თავადაზნაურობას ქვეყნის დაცვა, გლეხობას მეურნეობის გაძღოლა ევალებოდა). მიაჩნდათ, რომ მოვალეობათა ასეთი განაწილება ხალხის ერთიანობის საფუძველს ქმნიდა და სოციალური ჩაგვრის სიმძიმესაც რამდენადმე ანელებდა (აკაკი, „მოხუცის გრძნობა“). მოგვიანებით კი, მიუთითებდნენ ისინი, რუ-

⁹ ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. ერთტომეული. თბილისი, 1984, გვ. 362; გიორგი წერეთელი. პირველი ნაბიჯი. თბილისი, 1991.

¹⁰ ეგნატე ნინოშვილი. ჩვენი ქვეყნის რაინდი. ქართული პროზა. ტ. XV. თბილისი, 1988. გვ. 413-472.

სულმა მმართველობამ წოდებრივი დაპირისპირების გაღრმავებით, სამართლის ტრადიციული (ჰუმანური) ნორმების უგულვებელყოფით, მოუქნელი და უხეში ადმინისტრაციით მებატონისა და ყმა-გლეხის ურთიერთობას სიმძაფრე შემატა.¹¹

საგულისხმოა აკაკის მტკიცება, რომ ხშირად გლეხის ყმურ მოვალეობას მებატონისათვის ზღაპრების თხრობა წარმოადგენდა („ჩემი თავგადასავალი“). ამის შესახებ ერთ მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის მიხეილ ჩიქოვანი „ფეოდალურ კარზე მუდმივ მთქმელთა კადრის შექმნა საქართველოში გავრცელებული მოვლენა იყო. 1939 წელს დუშეთის რაიონში ჩვენს მიერ ჩატარებულმა სამეცნიერო-ფოლკლორულმა ექსპედიციამ სოფელ ბახალეთში გამოარკვია, რომ ადგილობრივი ფეოდალები სწორედ ამავე წესს მიმართავდნენ ყმა-გლეხობის დაბეგვრაში“.

ბატონყმობა გადაულახავ უფსკრულს ქმნიდა საზოგადოების შიგნით და მის არსებობას ზნეობრივ საფუძველს აცლიდა. ქვეყნის ერთიანობა მოსახლეობას შორის ურთიერთპატივისცემას, სიყვარულს და საერთო მიზნების პირადულზე წინ წამოწევას უნდა დაფუძნებოდა. ბატონყმობა კი ამის საფუძველს არ იძლეოდა. მის პირობებში, გარეგნული მოჩვენებითობის მიუხედავად, კარგი მებატონის არსებობა შეუძლებელია (ილია, „გლახის ნაამბობი“). ბატონყმობას უაღრესად უარყოფითი გავლენა აქვს ადამიანის ფორმირებაზე, მის მოქმედებასა და აზროვნებაზე. ბატონყმობა არა მარტო იმით იყო ცუდი, რომ გლეხს სხვის საკუთრებად აქცევდა და ცხოვრების დამოუკიდებლად წარმართვის საშუალებას ართმევდა (აკაკი, „მუშური“), არამედ იმითაც, რომ ის თვით თავადებსაც ლუარსაბად ქცევას უქადდა. აკი ბევრ შემთხვევაში ლუარსაბის კარმიდამოც მოსანატრი ჰქონდა. წოდებრივ უპირატესობას გამოდევნებულნი, მოკლე თვალსაწიერის მქონენი, საღად აზროვნებისა და მოქმედების უუნარონი, წინაპართაგან ნაანდერძვე მამულებს გირაოს ფურცლებზე ცვლიდნენ და, საბოლოოდ, უმიწაწყლონი რჩებოდნენ.

¹¹ აკაკი წერეთელი. ჩემი თავგადასავალი. ქართული პროზა. ტ. IX. თბილისი, 1985. გვ. 7-122.

როგორც ვხედავთ, თერგდალეულების დამოკიდებულება ბატონყმობისადმი აშკარად უარყოფითია, ისინი ებრძვიან მას, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარკვეულ წესრიგს, რომელიც სოციალური უსამართლობითა და ეკონომიკური ჩაგვრით აბრკოლებდა საზოგადოების შემდგომ განვითარებას, რაც მხოლოდ თავისუფალი მუშახელის არსებობით განხორციელდებოდა. ამასთან, გლეხობის ყმური მდგომარეობიდან გამოსხნა რამდენადმე მაინც შეარბილებდა სოციალურ დაპირისპირებას და შესაძლებელი გახდებოდა მთელი ერის კონსოლიდაცია ეროვნული პრობლემის გადაჭრის მიზნით. ამდენად, ბატონყმობის გაუქმების აუცილებლობას ამართლებდა, როგორც საკითხისადმი პრაგმატული, ისე ჰუმანური დამოკიდებულება.

სამოციანელებს მტკიცედ სწამდათ, რომ შრომის შემბოჭველი ბორკილი უკვე დასამსხვრევად იყო განწირული. „შრომის ახსნის“ იდეა სულ უფრო ფართოდ იკიდებდა ფეხს და მალე მთელი კაცობრიობის შეუპოვარი ბრძოლის იმპულსი გახდებოდა (ილია, „აზრდილი“).

შრომის განთავისუფლებას აუცილებლად უნდა გამოეწვია ქვეყნად სამართლიანობის დამკვიდრება და საყოველთაო კეთილდღეობა (აკაკი, „ტყვე“). ეს ოპტიმიზმი ქართული სიტყვის დილოსტატა არაერთ ნაწარმოებს მსჭვალავს:

*„მწამს, რომ ანათებს ღვთის სადგურს
სანთლები მშრომელთ ოფლისა“ (ვაჟა).*

საზოგადოებრივი ურთიერთობების განახლებას თვით დრო აყენებდა დღის წესრიგში. ამ განახლებისათვის ბრძოლა ისტორიული ლოგიკით იყო ნაკარნახევი და ძალამიცემული. ტყვედქმნილი შრომა აუცილებლად განთავისუფლდებოდა და ეს გახდებოდა როგორც ახალი ცხოვრების დაწყების საფუძველი, ისე საკუთრივ ჩვენი ქვეყნის მომავალი კეთილდღეობის საწინდარი, – საერთო ბედნიერების მიღწევის გზაზე.

თერგდალეულებს ღრმად სწამდათ, რომ მხოლოდ თავისუფალ შრომაში ჰპოვებდა ადამიანი შევებას, მისი წყალობით შეიძენდნენ ნამდვილ შინაარსს ღვთაებრივი სიტყვები: ძმობა, ერ-

თობა, თავისუფლება, ქვეყნად კი კაცთმოყვარეობა და სათნოება გაბატონდებოდა. აი, ის დიდი მნიშვნელობა, რასაც ისინი ანიჭებდნენ „შრომის ახსნას“.

თერგდალეულები კარგად ხედავდნენ საკუთრივ შრომის უდიდეს როლს. მიაჩნდათ, რომ ქართველი ერი ჩვენს დრომდე, სამშობლოსათვის გამირულ თავდადებასთან ერთად, შრომის-მოყვარეობამაც მოიყვანა. მებრძოლისა და მშრომელის თვისებების ქართველ კაცში თავმოყრას თვლიდნენ ისინი ჩვენი არსებობის ქვაკუთხედად. მომავალში რაციონალური, გონივრული შრომა კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას შეიძენდა, რაც მხოლოდ თავისუფალი („ახსნილი“) შრომის პირობებში განხორციელდებოდა.

თერგდალეულები აღნიშნავდნენ, რომ შრომა არ უნდა ყოფილიყო მარტოდენ უუფლებოთა, საზოგადოების დაბალი ფენების წარმომადგენელთა ხვედრი. სწორედ ეს უაღრესად პროგრესული აზრია გატარებული ქვეტექსტის დონეზე, ნამდვილი მხატვრული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი შეფარვით, ისტორიულ-საყმაწვილო მოთხრობაში „ამბად გაგონილი“ (ილია).

აქ მკითხველი იხიბლება ქართველთა სათაყვანებელი მეფის, უბადლო სარდლისა და მეომრის ერეკლეს, უბრალოებით. ამასთან, მას უყალიბდება აზრი, რომ შრომა არ შეიძლება უღირსი საქმე იყოს, თუკი მას თვით მეფეს ასრულებინებენ.

შრომის სიყვარულის ჩანერგვა ქართველი საზოგადოებისთვის, მისი გამოცხადება ადამიანური ღირსების, ზნეკეთილობის საფუძვლად აკაკის მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთ ნიშანდობლივ მხარესაც შეადგენს. ურყევია პოეტის რწმენა, რომ მწარმოებლური შრომა ყოველისშემძლეა, იგი თვით ფიზიკურად დაუძღურებულსაც კი კურნავს, სასიცოცხლო ძალით ადავსებს დაერდომილთ. შრომის მაცოცხლებელი ძალა თვით სახელოვან მეფეს – ვახტანგ გორგასალსაც მოარჩენს და ქვეყნის გაძღოლის ხალისსა და უნარს დაუბრუნებს (აკაკი, „გორგასლიანი“).

მოზარდ თაობას მისაბამ მაგალითად ექცევა მშრომელი კაცის თავმოყვარეობაც – ხანდაზმული, ხელმოკლე, მაგრამ ამაყი

გლეხი როდი კადრულობს სხვისგან მოწყაღების მიღებას, მხოლოდ საკუთარი მარჯვენაა მისი შემწე – გაჭირვებისგან გამომხსნელი (იაკობი, „პატიოსანი და უპატიოსნო“).

ადამიანური გულთბილობით აღბეჭდილი ეს მოთხრობები თავისებურად ასახავენ კიდევ სამოციანელთა მისწრაფებას ჰარმონიული, არაანტაგონისტური, ზნემაღალი საზოგადოებისადმი.

თერგდაღეულები, როგორც ერის ჭეშმარიტი წინამძღოლნი, არ მაღავენენ ჩვენს უარყოფით მხარეებსაც. პირიქით, მათი სააშკარაოზე გამოტანით, მათი გამომზეურებით სურთ, საკუთარ ნაკლოვანებებს მიახვედრონ ხალხი. საკუთარი თავის ბოლომდე შეუცნობლად კი საეჭვო ჩანდა ეროვნული თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის აღდგენისათვის ბრძოლის წარმატება.

როგორც უზნეობას კიცხავდნენ ისინი საყოველთაო უბედურების შამს განცხრომით ცხოვრებას. საკუთარი ინტერსების ზოგადეროვნულზე მაღლა დამყენებელი ვერასოდეს გასწევდა ჭეშმარიტ ერისკაცობას, არასოდეს არ აღუდგებოდა წინ არსებულ ბოროტებას, – მისი პრივილეგირებული მდგომარეობა ხომ სწორედ ამ ძალმომრეობის შედეგი იყო (ილია, „აჩრდილი“; ვაჟა, „ბაგრატ ზახარისის სიკვდილი“, „ბიოგრაფია ურიადნიკისა“). იქ, სადაც ღირსება, შრომისმოყვარეობა, პატიოსნება არად ფასობს, ადამიანი მხოლოდ თვალთმაქცობით და დაუნდობლობით აღწევს წარმატებას. მანკიერი თვისებები ჩრდილაგს ადამიანის ღირსებას, ასეთი საზოგადოება ზნეობრივად დავრდომილია და სიცოცხლის უნარს მოკლებული (იაკობი, „მელია და მისი სახლობა“; აკაკი „ახალი გზა“).

წვრილი აზნაურების, ძმების, ბეჟანისა და მათეს თავგადასავალიც საუკეთესო ნიმუშია ანგარების, ავზრახვათა მოძალებით საზოგადოების გარყვნილების, მისი ზნე-წამხდრობის (ილია, „მდივანბეგობა“). ბედის საძიებლად ქალაქში წამოსულ ძმათაგან იღბალმა უფროსს, ბეჟანს გაუდიმა და სხვისი დახმარებით სამსახური იშოვა. სწორედ აქ იკვეთება ზედმიწევნით ზუსტად გადაგვარებული ადამიანის ფსიქიკა, მისი

მოქმედება. სხვისი წყალობით ფეხზე დამდგარმა ძმას არა თუ ხელი გაუმართა, არამედ სახლიდან გააგდო, როგორც ზედმეტი ტვირთი. მრავალ გაჭირვებაგამოვილიშა, ხალხისაგან აბუჩად აგდებულმა და შეურაცხყოფიმა ბეჟანმა იცის, რომ მომავლის დამკვიდრება მხოლოდ პირფერობით, ლაქიაობითა და დასმენა-დაბეზღებით შეუძლია. ცხადია, ბეჟანი ამ ტიპის ადამიანად ცხოვრებამ აქცია. არაჯანსაღ საზოგადოებაში ძნელია საკუთარი ღირსებით წარმატების მიღწევა და თუ არა მდაბალი ზრახვები, ისიც უმცროსი ძმის მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ადამიანის ეს მახინჯი მეტამორფოზი, ქალაქში ჩამოსული ახალგაზრდის უზნეო კარიერისტად ქცევა, ძირითადად, გარემო პირობებით იყო განსაზღვრული.

სოციალური გარემოს უკუდმართობა მძიმე დაღს ასვამს კერძო პირის მისწრაფებებს, მიდრეკილებებს, ამრუდებს მის ზნეობას – ეს მძაფრი ფსიქოლოგიური გარემო აუხეშებს ადამიანის სულს, ახშობს გულმოწყალებას, სხვათა დახმარების სურვილს კლავს მასში და თანამოძმეთადმი შურისმაძიებლად აქცევს (გ. წერეთელი, „პირველი ნაბიჯი“).

სწორედ გაბოროტებულ, დაუნდობელ საზოგადოებასთან ურთიერთობამ ამოატივტივა მცირეწლოვან ძმებში თავის გადარჩენის ველური ინსტიქტი (ილია, „სახრჩობელაზე“). შედეგიც ლოგიკური აღმოჩნდა: ერთი ძმა მისივე დამღუპველი ხალხის თვალწინ მათ გასართობად და სასეიროდ სახრჩობელაზე აიყვანეს... ხოლო მეორე საზოგადოებაზე შურისმაძიებლად იქცა.

უმაქნისობით, მხოლოდ საკუთარ თავზე და გამორჩენით მიღწეულ კეთილდღეობაზე ფიქრით მორალურად დეგრადირებული საზოგადოების მიმართ გამოთქმულ ღრმა პროტესტში ცხადად წარმოჩინდება თერგდალეულთა პოზიცია. ისინიც მთავარ დამნაშავედ საკუთრივ ხალხს და მათ მიერვე ცხოვრებისა თუ თავის გატანის წესად დამკვიდრებულ ძალმომრეობას თვლიან. სწორედ ამ უსამართლობამ, გამეფებული უზნეობით ძალამიცემულმა სოციალურმა უკუდმართობამ შეასრულა ყველაზე დრამატული როლი მომხდარ ტრაგედიაში.

მწერლობის მიზანი ერთია, ჭირისა და უბედურების არა მალე, არამედ სააშკარაოზე გამოტანა და ხალხისათვის სიმართლის თქმა. არსებულ უმსგავსიობებზე მითითებით, მკაცრი გაკიცხვით – მათ გამოსწორებაზე ზრუნვა.

მწერლის, პოეტის და, საერთოდ, ერისკაცის მაღალ დანიშნულებაზე საუბარია ლექსებში „პოეტი“, „ჩემო კალამო“ (ილია), „მგოსანი“ (ვაჟა) და სხვა. მათში ნათლად არის გადმოცემული ერის წინამძღოლის საპატიო და დიდი მისია, რომელსაც თერგდალეულები კარგად გრძნობდნენ. ამის დასტურია მათი მრავალმხრივი მოღვაწეობის ყოველი ასპექტი. სწორედ ამ დიადი მისიის გათავისება აძლევდა მათ ერის საძრახისი თვისებების სააშკარაოზე გამოტანის ძალას (ილია, „ბედნიერი ერი“). იმ ზნეობრივი ღირებულებებისადმი საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბების უფლებას, რომელთა მიხედვით მოქმედება ადამიანის ცხოვრების წესად უნდა ქცეულიყო გაბატონებულ მანკიერებათა სანაცვლოდ (ილია, „დამაკვირდი“). მწერლის საზოგადოებრივი დანიშნულების ასეთსავე გააზრებას გვთავაზობდნენ, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი და გ. წერეთელი.¹² შემოქმედის უპირველეს მოვალეობად მათაც ეროვნული და სოციალური პრობლემატიკის ყველაზე აქტუალურ საკითხებზე ყურადღების გამახვილება მიაჩნდათ, ამისთვის კი მწერალს მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს ცხოვრებასთან და ხალხის თვითშეგნების ზრდას, მასში ზნეობრივი პრინციპების გაცოცხლებას უნდა ემსახურებოდეს.

ქართველ სამოციანელთა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა ბურჟუაზიული რეფორმების გატარების ხანას დაემთხვა. ბატონყმობის გადავარდნამ, ფულად-სასაქონლო ურთიერთობების დანერგვამ საფუძვლიანად შეცვალა საქართველოში ეკონომიკური და სოციალური გარემო, სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარება-გაფართოება მანამდე უცნობ, ძირეულად ახალ შესაძლებლობებს წარმოაჩენდა ჩვენი საზოგადოების წინაშე. არა წოდებრივი მემკვიდრეობით მინიჭებული მდგომარეობით, არამედ

¹² ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, 1963, №5.

პირადი გამჭრიახობით, უნარიანობით, ცოდნით, მიზანსწრაფვით უნდა დაემკვიდრებინა ადამიანს უკეთესი მომავალი.

ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა წინააღმდეგობრივ, რთულსა და ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენდა (გ. წერეთელი „პირველი ნაბიჯი“, „მამიდა ასმათი“). ახალ პირობებში თავად-აზნაურობისათვის საარსებო აუცილებლობად იქცა ცხოვრების წესის შეცვლა, ფეხის აწყობა დროის მოთხოვნებისათვის. ცხოვრების ძველ სტილზე მოქმედება მათ არსებობას ეკონომიკურ საფუძველს აცლიდა. ერთადერთ საიმედო გზად მეურნეობის განახლება, მისი რაციონალიზაცია რჩებოდა. მხოლოდ უნარიან მეურნეექცეულ მებატონეს შეეძლო თავის გადარჩენა.

ამ ტიპის ადამიანია თავადი ლევანი (ილია, „კაცია ადამიანი?!“). ის ურმების ქირაზე გაგზავნით შემოსავლის მყარ წყაროს იხენს. ეს ნაბიჯი ბევრში გაუგებრობასთან ერთად, გაღიზიანებასაც იწვევდა. სინამდვილეში აქ საკამათო არაფერია. ლევანი თავდაზნაურობის იმ ნაწილის წარმომადგენელია, რომელიც დროზე უღებს ალღოს ცხოვრების შეცვლილ პირობებს: თანდათანობით ცვლის მეურნეობის ფეოდალურ ხასიათს, ურმების ქირაზე გაგზავნით უარს ამბობს დრომოჭმულ ფეოდალურ კარნაკეტილობაზე და სინამდვილის სათანადო გააზრებით საკუთარ მომავალსაც უზრუნველყოფს.

ბატონყმობის გაუქმებით ადამიანს საშუალება მიეცა, თავისი უნარის მიხედვით აეწყო ცხოვრება. ეკონომიკური სტიმულაციის, გლეხის დაინტერესების ქვაკუთხედს გაწეული შრომის სანაცვლოდ მიღებული მოგება კმნიდა. ამ პროცესმა გადამწყვეტი როლი ითამაშა სოფლის მეურნეობის დაწინაურებაში – კარნაკეტილი, თვითკმარი წარმოებიდან სასაქონლო ურთიერთობებზე გადასვლაში (ილია, „ოთარაანთ ქერივი“ – უაღრესად პროგრესულია შრომისადმი და, კერძოდ, ქალის შრომისადმი ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულება; აკაკი, „აღლავერდი“, „ქართლის საღამო“, „ნაცარქექია“).

როგორც ვხედავთ, ცნობილ ქართველ მწერალთა მხატვრუ-

ლი შემოქმედების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები სრულ შესაბამისობაშია მათ იდეურ-პოლიტიკურ შეხედულებებთან. ეს ნაწარმოებები, ამხელდნენ რა მძარცველურ ეკონომიკურ პოლიტიკასა და სოციალურ ანტაგონიზმს ხელს უწყობდნენ საპირისპირო, ნათელი მისწრაფებების დანერგვას მოსახლეობაში.

დეკანოზი მიქაელ ბუკია – თბილისის წმიდა ნინოს
სახელობის ეკლესიის
წინამძღვარი, საქართველოს
საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის
დოქტორანტი

წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე)

*„ეგრეთ ბრწყინვედინ ნათელი თქუენი
წინაშე კაცთა, რადთა იხილნენ საქმენი
თქუენნი კეთილნი და აღიდებდენ
მამასა თქუენსა ზეცათასა“¹*

წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე იყო სწორედ ის ბრწყინვალე ნათელი, რომლის ნათებაც ერს აჩვენებდა მამულის ჩვეულებისამებრ სვლის გზას – გზას, რომელიც ყოველთვის იყო და იქნება ერის გადარჩენის უტყუარი გარანტი. წმინდა ალექსანდრე სწორედ რომ საჭირო დროს მოეწვინა ქართველ ერს. როგორც წმინდა ილია მართალი ბრძანებდა: „ნამეტნაობაში ნუ ჩამომართმევთ და გულით წმიდით ვიტყვი, რომ სჩანს, ღმერთს კიდევ არ დავევიწყებივართ, რადგანაც თქვენისთანა სათნოებიან კაცს მოუფლენს ხოლმე ჩვენს ქვეყანას... ერის შემნახველი და განმადიდებელი, ქვითკირი ადამიანის ცხოვრებისა, მარტო სათნოებაა და მარტო სათნოებიანი კაცი ქმნის ამ წუთისოფელს ტაძრად, სადაც ღმერთს აღიდებენ, და სამოთხედ, სადაც ბედნიერება ადამიანისა ჰსადგურობს“² კაცი, რომელიც ქმნიდა „ამ

¹ მათე. 5,16.

² გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1989, 20 მაისი.

წუთისოფელს ტაძრად“, – ასე უწოდა წმიდა ილია მართალმა ალექსანდრე ეპისკოპოსს. წყალობა ღვთისა, სხვა რა უნდა ეწოდოს ღვთის ამგვარ განგებას, რომელმაც ქართველ ერს 1824 წელს³ გორის რაიონში, სოფელ დისევში, მღვდლის, დავითის ოჯახში მოუვლინა ალექსანდრე (ერისკაცობაში ალექსი) ოქროპირიძე. სასულიერო განათლება მიიღო ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ კი თბილისის სასულიერო სემინარიაში. მშობლები და მისი აღმზრდელი პედაგოგები ალექსიზე დიდ იმედებს ამყარებდნენ და გაამართლა კიდევ. „ნეტარება იმ ღედას, იმ ქართველ მანდილოსანს, იმ ღვთისნიერ ადამიანს, რომელმაც პაწია ალექსის აწოვა თვისნი ძუძუნი და ტკბილ რძესთან ერთად ჩაუნერგა მას გულში უღრმესი სიყვარული ღვთისა და მოყვასისადმი“.⁴

1845 წელს წმინდანი თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ შეუდგა მოღვაწეობით საქმიანობას. იგი თბილისის ფერისცვალების მონასტერში ბერად აღიკვეცა და სახელად ალექსანდრე უწოდეს, იმავე წლის 18 აგვისტოს კი მთავარდიაკვნად აკურთხეს. ახალგაზრდა ალექსანდრე სწავლის გასაგრძელებლად მთავარი დიაკვნის ხარისხით გაემგზავრა ყაზანის სასულიერო აკადემიაში. აქ იგი, 1846-1850 წლებში, დრმად და საფუძვლიანად დაეუფლა სასულიერო და საერო მეცნიერებებს: ღვთისმეტყველებას, საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიას, სიტყვიერებას, ფილოსოფიას, ფიზიკა-მათემატიკას, უცხო ენებს: ბერძნულს, ლათინურს, გერმანულს, თურქულსა და არაბულს. როგორც ყაზანის სასულიერო აკადემიის ისტორიის აღმწერი, პროფესორი ზნამენსკი იგონებს „ერთ წელიწადს ქ. ყაზანში ქოლერა მძვინვარებდა, ბერ-დიაკონი სტუდენტი ალექსანდრე ოქროპირიძე პირველი ჩაეწერა ავადმყოფების მომვლელთა დასში“... „უშიშრად და თავგანწირულად ემსახურებოდა ამ საშინელი სენით შეპყრობილთ, განურჩევლად მათი ჩამომავლობისა და სარწმუნოებისა“.

³ ვ. გურგენიძის ცნობით ალექსანდრე დაიბადა 1822 წელს.

⁴ **ზ. ჭიჭინაძე**. სიტყვები და წერილები ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეზე. თბილისი, 1907, გვ. 68.

ნობისა“,- ამბობდა შემდეგში არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია. „მისი თავგანწირულობა მოძმეთათვის, მოურიდებლობა მისი ამ საშინელი და მეტადრე მაშინ თავზარდამცემი სენისა ანცვიფრებდა ყველას“.⁵

ყაზანში სწავლის დროსვე, 1849 წლის 6 ოქტომბერს, იგი ხელდასხმულ იქნა მღვდელმონაზვნად. ერთი წლის შემდეგ წარჩინებით დაამთავრა აკადემიის სრული კურსი და სამშობლოში ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით დაბრუნდა. პირველ ხანებში იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა საღმრთო წერილს, ლათინურს, ზნეობრივ ღვთისმეტყველებასა და არქეოლოგიას. 1851 წლის 21 სექტემბერს, უწმიდესი სინოდის გადაწყვეტილებით, მღვდელმონაზონი ალექსანდრე დაინიშნა აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად და მასვე მიენდო აფხაზეთის მღვდელმსახურთა შორის მღვდელმონაზონთა ხელმძღვანელობა, შეთავსებით ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორის მოვალეობასაც ასრულებდა.

წმინდა მღვდელმთავარი ხელაედა, რომ თავის ქვეყანაში „სამკალი ფრიად“ იყო, მუშაკნი კი მცირედ და ცდილობდა თავისი ცხოვრებით მაგალითი ყოფილიყო ჭეშმარიტი მოძკელისა. მისი სიტყვა და საქმე შენივთებული იყო ერთმანეთს, არ შემცდარა ქართველი ხალხი, როცა მას „აღმაშენებელი“ უწოდა.

აფხაზეთში ჩასვლისთანავე მან დიდი გულმოდგინება გამოიჩინა აფხაზეთის ილორში დაარსებული სასწავლებლის წარმატებული მუშაობის ხელშესაწყობად. მისი მოღვაწეობა სრულიად დამსახურებულად დააფასა როგორც ადგილობრივმა მოსახლეობამ, ასევე მთელმა საქართველომ და მას აფხაზეთის მეორე მოციქული უწოდა. ეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია იტყვის: „არ ზოგავდა საკუთარ საშუალებას სკოლათა დაარსებისთვის,- თავისი ხარჯით ზრდიდა აფხაზთა შვილებს და ამზადებდა მათ მღვდლობის ხარისხში სამოღვაწეოდ,- მედგრად იცავდა სამღვდლოების და სამწყსოს ინტერესებს, უხვად ეწეოდა ქერივ-ობოლთა, მასა და სამწყსოს

⁵ „საკატორიარქოს უწყებანი“, 2002, №45, გვ. 7.

შორის არსებობდა მამაშვილური კავშირი დაფუძნებული ჭეშმარიტ ქრისტიანულ სიყვარულზე. მას არ უყვარდა მდიდრული ცხოვრება, სცხოვრობდა თითქმის აგრეთვე სადათ, როგორც ერთი უკანასკნელი ღარიბი მისი სამწესოთაგანი. ეს სადა ცხოვრება, ეს ხალხთან სიახლოვე ხდიდა მას ნამდვილ ძველ მშობლიურ ეკლესიის მწვემსთ-მთავართა მსგავსად“.⁶ 1853 წლის 7 თებერვალს აფხაზეთში გაწეული დეაწლისთვის უწმიდესმა სინოდმა აღექსანდრეს თავისი მადლობა გამოუცხადა.⁷

სამხედრო გარემოებათა გამო აფხაზეთა სასულიერო სასწავლებელი გაუქმდა და 1854 წლიდან წმიდა აღექსანდრე კელაე ქუთაისშია, სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად და უფროს განყოფილებათა მასწავლებლად, 1855 წლის 3 მარტამდე. შემდეგ დაინიშნა გელათის პირველხარისხოვან მონასტრის წინამძღვრად და მიენიჭა აფხაზეთის საეკლესიო კათედრის იღუმენობა.

1856 წელს, უწმიდესი სინოდის ბრძანებით, აღექსანდრე ხელდასხმულ იქნა აფხაზეთის არქიმანდრიტად და გაგზავნილ იქნა ისევ აფხაზეთში. 1862 წელს ხელდასხმულ იქნა მღვდელმთავრად თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში, ეგზარქოსის, ევსევის მიერ სხვა მღვდელმთავრების თანამწირველობით და მას ჩაბარდა აფხაზეთის კათედრა. მეტად მძიმე იყო ის ჯვარი, რომელიც ჭეშმარიტ მწვემს უფალმა არგუნა, მაგრამ მან უფლისავე შეწევნით მუხლჩაუხრელად იტვირთა იგი და შეუდგა გზას გოლგოთისაკენ.

საქართველო და, მითუმეტეს, მისი ძირძველი კუთხე აფხაზეთი, სადაც წმინდა მღვდელმთავარმა თავისი მოღვაწეობა დაიწყო, მხოლოდ წარსული დიდების აჩრდილსდა წარმოადგენდა.

საქართველო – რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ განაპირა მხარე – მეფის რუსეთის რუსიფიკატორული რეჟიმის წყალობით, ერთ დროს შარავანდედით მოხილი ქვეყანა, გაძვალტყავებულ, გაძარცვულ და გადატაკებულ პროვინციას წარმოადგენდა.

⁶ **ზ. ჭიჭინაძე**. დასახ. ნაშრ. გვ. 11.

⁷ გაზეთი „ივერია“, 1897, №89.

1869 წელს ალექსანდრე გადმოყვანილ იქნა თბილისში გორის ეპისკოპოსად და საქართველოს ეგზარქოსის პირველ ქორეპისკოპოსად, 1869-1882 და 1886-1898 წლებში ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე 25 წელი გორის ეპისკოპოსი იყო. მღვდელმთავარს ხშირად უწევდა საქართველოს ეგზარქოსის მაგივრობის გაწევა, როცა ეს უკანასკნელი დროებით რუსეთს მიემგზავრებოდნენ. 1882-1885 წლებში მართავდა გურიის, ხოლო 1903 წლამდე – გურია-სამეგრელოს ეპარქიას. 1903 წელს ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეროვნული საქმისთვის თავდადების „ბრალდებით“ განთავისუფლებულ იქნა ეპარქიის მართვა-გამგეობისაგან და მსცოვანმა, უყურადღებოდ მიტოვებულმა, შიო მღვიმის მონასტერში დაივანა, როგორც განდევილმა.

უყურო წმინდა მღვდელმთავრის მიერ გავლილ გზას სულის შეუქმერელად მეტად მძიმეა. მძიმეა ჩვენი გადასახედიდან, მაგრამ უფრო მძიმე იყო იმ დროის მკვიდრთათვის, ქართველობა გადაგვარების გზაზე იდგა, ეროვნულობა წაშლის ზღვრამდე იყო მისული თავისი ყველა ნიშნით. დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძის თქმით: „ყველგან და ყველაფერში ჩამოერთვა ჩვენს ერს ინიციატივა, შეწყდა მისი შემოქმედებითი ნიჭის თავისუფალი ვარჯიშობა. ჩვენმა ერმა ისტორიულად მიიძინა“. ამავე აზრს აგრძელებს დეკანოზი კ. კეკელიძე: „სარწმუნოებრივი შემოქმედებითი გრძნობა და ნიჭი, რომლითაც ცხოველ იყო და ძლიერ იგი ძველად, შესამჩნევად შესუსტდა. რიცხვი იმ განათლებულ სამღვდელო პირთა, რომელნიც სათავეში უდგნენ ძველად ქართულ განათლებას და ქმნიდნენ ქართულ კულტურას, შემცირდა, თითქოს მოისპო. მონასტერი აღარავის იზიდავდა, რის გამოც ის დაცარიელდა და შესანიშნავ ეკლესიებთან ერთად ნანგრევებად იქცა“.⁸ მიუხედავად ამ სიმძიმეებისა, ქართველთა შორის იმ პერიოდში მრავლად აღმოჩნდნენ ერის თვითცნობიერებაში მომყვანი ხალხი, რომელთა შორისაც ბრწყინავდა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე. ის არ ზოგავდა საკუთარ სიცოცხლესაც კი, ოღონდ როგორმე აღმოეფხვრა ერში გამეფებული სიცრუე, მლიქვნელობა,

⁸ „საპატრიარქოს უწყებანი“, 2002, №45, გვ. 8.

ღალატი, ცილისწამება, ქრთამი, ზემდგომი პირებისადმი მონური მორჩილება. იგი იბრძოდა დროთა და უამთა ვითარებისაგან განსაცდელში ჩაგარდნილი ქვეყნისათვის.

მან როგორც მღვდელმთავარმა, მრავალმხრივი მოღვაწეობა გაშალა ერის სულიერი გამოფხიზლებისა და განათლებისთვის. სხვა თუ არაფერი, მარტო ილიას მოძღვრობაც კი ეყოფოდა წმინდა ალექსანდრეს ერის წინაშე ამაგად. წმინდა მღვდელმთავარი მშობლიური ქვეყნის დაცემა-დაკნინების მთავარ მიზეზად მიიჩნევდა ეროვნული სწავლა-განათლების დაცემას. ამ ფაქტს კი იმიტი ხსნიდა, რომ ქართველი ახალი თაობა ქვეყნის სასწავლებელში სწავლა-აღზრდას უცხო, გაუგებარ, არა მშობლიურ ენაზე იღებდა. ამ მდგომარეობით აღშფოთებული მღვდელმთავარი ხშირად იტყოდა ხოლმე: „ნეტავი როდის ეღირსებათ ქართველებს ქართული სკოლაო“⁹... სწორედ მშობლიურ ენაზე მიღებული განათლება მიაჩნდა მას ქვეყნის აღდგენის ერთადერთ გზად. მისი სურვილი იყო, ისტორიული წარსულის ფონზე, ჩვენს ეკლესია-მონასტრებში კვლავ დანთებულყო სწავლა-აღზრდის ისეთი ლამპარი, რომელიც ენთო გელათის, იყალთოს, ფაზისის და სხვა აკადემიებში.

„თავის უმთავრეს საქმედ მის ირგვლივ მყოფთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა-განმტკიცებასა და მათთვის სასწავლებელთა დაარსებას მიიჩნევდა“.¹⁰

როდესაც საკითხი დაისვა გახსნილიყო ქალთათვის სპეციალური სასულიერო სასწავლებელი, მან პირველმა დიდი როლი ითამაშა ამ კეთილშობილურ საქმეში – მისი ფინანსური დახმარებითა და მეცადინეობით თბილისში დაარსდა ეპარქიალური სასწავლებელი, რომელმაც ჩვენს ერს აღუზარდა რამდენიმე ათასი განათლებული ქალი.

1889 წელს 24 სექტემბერს ალექსანდრე ეპისკოპოსმა აკურთხა გორის სასულიერო სასწავლებლის ეკლესია, რაც გო-

⁹ ზ. ჭიჭინაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 57.

¹⁰ „მოამბე“ საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის ყოველთვიური ბიულეტენი. მეორე გამოშვება. 1995, ნოემბერი, გვ. 3.

რის მოსახლეობის დიდი სურვილი ყოფილა. სასწავლებლის კურთხევასთან ერთად წმინდა ალექსანდრეს უკურთხებია წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის ეკლესია.

კურთხევის ბოლოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ წარმოთქვა სიტყვა: „მიჰმართა მასწავლებელთა და მოსწავლეთ, რომ ერთგულად და ერთსულად მოჰკიდონ საქმეს ხელი; ამ ახალს სახელში სარწმუნოება და მეცნიერება ერთად მოთავსებულნი და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი უნდა იყვნენო“.¹¹ ქველმოქმედ მღვდელმთავარს ეს დღე იმითაც აღუნიშნავს, რომ დაუწესებია ყოველწლიური სტიპენდია წარჩინებულთათვის. ხალხი დიდი აღფრთოვანებით შეხვედრია ამ ქველმოქმედებას.

როგორც განმანათლებელი და პედაგოგი, იგი მარად ქადაგებდა ხალხთა შორის სიყვარულს, ძმობას და ერთობას. იგი იყო ნამდვილი მოძღვარი არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, თავისი პრაქტიკული მოღვაწეობითაც.

წმ. ილია მართლის გაზეთის 1898 წლის №103 მოთავსებულ წერილში, სამეგრელოს ეპარქიაში გადაყვანასთან დაკავშირებით, იგი დახასიათებულია, როგორც დიდი მამულიშვილი, სათნო ადამიანი, სამშობლოს უერთგულესი მოძღვარი, ხალხის გულში სინათლისა და სიყვარულის მთესველი. არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს დიდებული ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, ზაქარია ჭიჭინაძის, სიტყვები, რომელიც მას ფოთში წარმოუთქვამს. იგი ალექსანდრე ეპისკოპოსის დახასიათებისას დასძენს:

„იმ დროს, როდესაც, ქართველ წარჩინებულთა უმრავლესობათათვის ყვავილოვან ხანას მხოლოდ ჩვენს დაღუპვის მოქმედებაში ატარებს, როდესაც მათ ერთი გროშის გამეტებაც კი ეძნელებათ ჩვენის დაქვეითებულის ტომის საქმეთა სასარგებლოდ. აი სწორედ ამ დროს, თქვენი მეუფება სდგას წმინდა მამულისშვილობით აღვისილი, ქართველი შეუძლო, ერის სიყვარულით და დახმარებით მიუბაძავი მაგალითით ყველასი, უშურველი ყველაფრის და ყველგან ოღონდ-კი ამით ჩვენი ტომის ძეთა განკაცებას, განვითარებას და რამე შეემატოს... თქვენგან დაწყებულმა

¹¹ გაზეთი „ივერია“, 1889, №204.

კეთილმა საქმეებმა, თავგამოდებულმა ჭეშმარიტმა სამსახურმა, მალაღმა ზნეობამ და ერის სიყვარულმა ყველა ქართველის გულში თქვენი სახელი ბრწყინვალედ დანერგეს. ეს დანარგი ქართველის გულში მტკიცედ ჩაიქსოვა; ქართველი ერის წინაშე თქვენი სამსახური განათლების სასარგებლოდ ცხად იქმნა, ამიტომ ქართველებმა საერთოდ თქვენ „ქართველთა მამა“ გიწოდეს. ამ საუკუნეში, ქართველთა ერის წინაშე არც ერთს ქართველთა მთაველ-მთავარს არ დაუმსახურებია ასეთი სახელწოდება, თქვენ პირველი ბრძანდებით...¹²

როგორც 1891 წლის 27 აპრილის გაზეთ „ივერიის“ სტატიაში „ქველმოქმედების საიმედო ნიშნები“ კითხულობთ, იმ დროს საქართველო ქველმოქმედების დიდ ნაკლებობას განიცდიდა: „ჩვენი ქვეყანა რაღაც განუსაზღვრელს უქმობას მიეცა, ხელმხარ მოსხლეტილად იჯდა სახლში და სმა-ჭამის და გართობის მეტს კი აღარას დასდევდა...“¹³ ამგვარი ყოფის შემხედვარე წმინდა მღვდელმთავარი დღენიდაგ იწვოდა სამშობლოსთვის გულანთებული, მისი ქველმოქმედება ძირითადად მიმართული იყო მწიგნობრობისა და სკოლების გავრცელება-წარმატებისათვის.

და ყოველივე ამის შეუძლებელი თვითონ ისე ღარიბად ცხოვრობდა, რომ უგუნურნი სიძუნწესაც კი მიაწერდნენ. როგორც 1907 წელს აღავერდელი ეპისკოპოსი დავითი აღნიშნავდა: „ბევრნი უგუნურნი შენ უბრალო ცხოვრებას აწერდნენ შენს ვითომდა სიძუნწესა – საწყლები რა რიგ სცდებოდნენ! განა ძუნწი ეწოდა იმ კაცს, რომელმაც თავისი შეძლება მოახმარა ქერივ-ობლებსა, მონასტრებსა და მწიგნობრობას?“¹⁴

„საქმენი დიადნი“ მრავალი და აურაცხელი იყო წმინდა მღვდელმთავრის ცხოვრებაში, მაგრამ არ შეიძლება მათ შორის არ აღინიშნოს ერთი ეპიზოდი, თუ რამდენად მზრუნველი გული ჰქონდა წმიდა მამას და რამდენად ენდობოდნენ მას თვით მაჰმადიან აფხაზთა შორის. 1866 წელს აფხაზთა უმრავლესობა

¹² **ზ. ჭიჭინაძე.** დასახ. ნაშრომი. გვ. 51.

¹³ გაზეთი „ივერია“, 1891, №88.

¹⁴ **ზ. ჭიჭინაძე.** დასახელებული ნაშრომი, გვ. 8.

იძულებული გახდა, გადასახლებულიყო ოსმალეთში... აი ამ ხანებში მწვემსმთავართან შემოდის ერთი მაჰმადიანი აფხაზი, სახელად ურუსი, თვისის თორმეტი წლის შვილით. როდესაც ყოვლად სამღვდელომ სიყვარულით, აღერსიანი კილოთი ჰკითხა ურუსს მოსელის მიზეზი, უკანაკნელმა მოახსენა შემდეგი: „შენთან მოვედი, კეთილო მწვემსო და მამაო! მე სამუდამოდ ვეთხოვები სამშობლოს, მივდივარ ოსმალეთში საცხოვრებლად და ჩემი ვაჟი უნდა დავტოვო შენთან. მეტი არ გამაჩნია რა. არ ვიცი, რა მომელის უცხო მხარეში, მაგრამ მაინც ვტოვებ ჩემს საყვარელ სამშობლოს, არ მინდა ჩემი უბედურება გაავუზიარო ჩემს ერთადერთ შვილს და შენთან მოვიყვანე, მოწყალეო მამაო, ვიცი მიიღებ, აღზრდი ქრისტიანულად და იქნება ბედნიერი“. თვალცრემლიანი მამა გამოეთხოვა საყვარელ შვილს, რომელიც მღვდელმთავრის მეოხებითა და საფარით აღიზარდა და მღვდლობის ხარისხში დიდი სარგებლობა მოუტანა ქრისტიანობას აფხაზეთში. ამ ფაქტს განმარტება არ სჭირია“, – დასძენს წმიდა მღვდელმთავარი ამბროსი, – ამნაირ განწყობილებას სამწყსოსთან დიდი ნაყოფი მოჰქონდა, იწყეს აფხაზთა ქრისტიანობის მიღება, რომელიც კიდევ დამთავრდა 80-იან წლებში აფხაზეთის ნეტარსენებუელი მეორე მოციქულის დროს.¹⁵ წმიდა მღვდელმთავრის მოღვაწეობის შემდგომ აფხაზეთი კვლავ სიბნელემ მოიცვა, ჟამთა სიავის გამო.

ტანჯვა-ტკივილთან წილნაყარი იყო წმიდა მღვდელმთავრის ცხოვრება. მას თავისი თავი სამსხვერპლოზე მიჰყავდა სამშობლოსთვის შესაწირად. ის იყო პიროვნება, რომელსაც ყველაფერი პირადული განზე ჰქონდა გადადებული – „შიოდა და არ ჭამდა, სწყუროდა და არ სვამდა, ციოდა და არ თბებოდა“...¹⁶

წმიდა მღვდელმთავარი თავის მამობრივ მზრუნველობას არ აკლებდა რუსეთში სასწავლებლად მყოფ ახალგაზრდობას და უგზავნიდა მათ თავისი გამოცემული წიგნების თითო ეგზემპლარს. ასევე რეგულარულად უგზავნიდა კიევში წიგნებს

¹⁵ **ზ. ჭიჭინაძე**. დასახელებული ნაშრომი, გვ. 12-13.

¹⁶ **ზ. ჭიჭინაძე**. დასახელებული ნაშრომი, გვ. 16.

თავის ძმისწულს, კიევის სასულიერო აკადემიის მაშინდელ სტუდენტს, ლონგინოზ ოქროპირიძეს (შემდგომში კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს).

წმიდა მღვდელმთავარს სთხოვდნენ რეკომენდაციებს უცხოეთში სწავლის მიღების მსურველი ახალგაზრდები.

აურაცხელია წმიდა ალექსანდრეს მიერ გაწეული ქველმოქმედება. როგორც გაზეთი „მწყემსი“ იუწყებოდა: „ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე წვერი იყო მრავალ საქველმოქმედო საზოგადოებათა და დაწესებულებათა, რომელნიც კი რუსეთის სახელწმიფოში არსებობდნენ. რუსეთ-ოსმალეთის, ყირიმის ომის დროს სევასტოპოლის გმირთა და მათ დაობლებულ სახლობათა სასარგებლოდ ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე სწირავდა ყოველ წლებით 200 მანეთს. მანვე განაახლა ქ. სოხუმის ახლოს, ძველი ეკლესია. 25 მაისს 1867 წელს ტფილისის სასულიერო სემინარიას შესწირა 2000 მანეთი.... ამ თანხით იზრდება სემინარიაში ერთი სტეპენდიანტი, რომელსაც თვით ყოვლადსამღვდელო ირჩევს. ყაზანის სასულიერო აკადემიის ღარიბი სტუდენტების სასარგებლოდ 300 მანეთი შესწირა; ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებელს კი 3000 მანეთი, მასში სტიპენდიების დასაარსებლად. მცხეთის დიდებულს თორმეტის მოციქულის საკრებულოს ტაძარს შესწირა განსაახლებლად 1500 მანეთი... მან 2000 მანეთი ქართული გალობის ნოტებზე გადასადებად გადასდო... ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ განაახლა დიდებული მონასტრები წმიდა შიოსი და იოანე ზედაზნელისა, – პირველს 21 000 და მეორეს 11 700 მანეთი შესწირა“...¹⁷ ეს ჩამონათვალი, რა თქმა უნდა, სრულად ვერ ასახავს ამ ღვთისკაცის მოწყალებას. ამ კეთილი საქმეების მცირედად აღმნუსხველი გაზეთი „ივერია“ 1897 წლის №180-ში იუწყებოდა: „დღევრძელი იყოს დღენი ყოვლად სამღვდელო ალექსანდრესი, რომ მისის მაგალითით აღფრთოვანებულს ყველა ქართველს ასეთი ღრმა ნაყოფიერი კვალი დაემჩნიოს თავის შემდეგ“.¹⁸

¹⁷ **ზ. ჭიჭინაძე.** დასახელებული ნაშრომი, გვ. 50.

¹⁸ გაზეთი „ივერია“, 1897, №180.

1898 წელს თეკლათის დედათა მონასტერთან დაარსებული საქალბო სკოლა, რომელიც წმიდა მღვდელმთავარს უკურთხებია და „თვისის უხვის კალთისაგან ახლად დაარსებული სკოლისთვის ათი თუმანი შეუწირია“.¹⁹

1898 წელს ალექსანდრე ეპისკოპოსს გადაუწყვეტია, ქ. ფოთში დაეარსებინა საეპარქიო დედათა სასწავლებელი, რასაც ადგილობრივი მკვიდრნი და ქალაქის საბჭო დიდი სიხარულით შეხვდნენ, რადგანაც ნათელი იყო, რომ „მსცოვანი მწყემსმთავრის სიტყვასა და საქმეს შორის სრული თანხმობა იყო“...²⁰

წმიდა მღვდელმთავარს დიდად ახარებდა მწიგნობრობისა და განათლების აღმავლობის გზაზე წინ გადადგმული ყოველი ნაბიჯი.

1899 წლის 14 იანვარს, ნინობა დღეს, ალექსანდრე ეპისკოპოსმა აკურთხა ფოთის სამკითხველო და 100 მანეთი შესწირა. ოზურგეთში საკუთარი თანხებით დაარსა ორკლასიანი ეპარქიალური სასწავლებელი 1885 წელს, 100 მანეთი შესწირა ოზურგეთის ქალთა სასწავლებლის ფონდს.

მღვდელი პოლიექქტოს კარბელაშვილი იხსენებს, რომ თვითონ იყო მოწმე, როგორ ყოველდღიურად ზოგავდა თავის ქონებრივ შეძლებას და ნაშრომ-ნაღვაწს: „ყოველ ცისმარე დღე პურსა და წყალზე აღამებდა, რომ თავისი მშობელი ერის საქმისთვის მიეხმარებინა ეს დაზოგილი წვლილი“.²¹

წმიდა ალექსანდრეს მიერ გაღებული საფასით, მისივე ინიციატივითა და რეკომენდაციით, დაიბეჭდა მრავალი სასულიერო და საერო წიგნი, მათ შორის: „ქადაგებანი და მოძღვრებანი თქმულნი ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოსის მიერ“ 1881 წელს. 1884 წელს გამოიცა გიორგი ავალიანის „ხმა ცოდვილისა ღმრთისადმი“ (პოემა); 1885 წელს „ქართული ღრამატიკა“, შედგენილი ანტონ I-ის მიერ; 1892 წელს „მზამეტყველება, ქმნილი ანტონი I საქართველოს კათოლიკოსისაგან“; 1896 წელს თ. ჟორდანიას

¹⁹ გაზეთი „ივერია“, 1898, №223.

²⁰ გაზეთი „ივერია“, 1898, №249.

²¹ **ზ. ჭიჭინაძე**. დასახ. ნაშრომი. გვ. 54.

„ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და ძეგლი ვაჰანის ქვაბთა“; 1900 წელს იპოლიტ-ივანოვის: „ქართული გალობა (ქართლ-კახური კილოთი)“ და პოლიევეტოს კარბელაშვილის „იერარქია საქართველოს ეკლესიისა“; 1903 წელს თედო უორდანიას „ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები“. „ყოველად სამღვდელმ დიდი სამსახური გაუწია ქართული „დაბადების“ შესწორებისა და მისი დაბეჭდვის საქმეს“.²² წმიდა მღვდელმთავრის ლოცვა-კურთხევით გამოიცა სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“, რაფიელ ერისთავის წინასიტყვაობითა და რედაქტორობით.

1882 წელს ეპისკოპოსი ალექსანდრე ოზურგეთიდან ზაქარია ჭიჭინაძეს იმასაც წერდა, რომ მას გადაუწყვეტია პეტრიწის ლექსიკონის გამოცემა, მაგრამ არ ვიცო, ვინ იქნება ისეთი კაცი, რომელსაც მივანდობთ ამ საქმესო... „კაცი უნდა იყოს სწავლული და პატრიოტი“. ასევე აპირებდა პლატონ იოსელიანის თხზულებათა გამოცემას. ზაქარია ჭიჭინაძისადმი გამოგზავნილ წერილშივე ალექსანდრე ეპისკოპოსი წერდა: „მე დიდად მოხარული ვარ, რომ თქვენ დიდ ღირსებას აძლევთ იმ საქმეთა, რომელთაც მე შედგომილი ვარ; ე. ი. ქართულ ძველ და ახალი მწერლობის აღდგენასა, ეგრეთვე, გალობისა და სხვათა. ერთი სიტყვით, მე შეეუდექი ქართული ენისა და ლიტერატურის აღდგენას, და თქვენც ძლიერ კარგად მიმხვდარხართ და ავიწონიათ, რომ მე ჩვენის სამშობლო ქართულს ენის აღდგომის, დაფუძნების და განვითარების სარბიელზედ გამოვსულვარ. ასპარეზი ესე, ჩემი აზრით და თქვენითაც, ფრიად მშვენიერ და სასარგებლო არს“.²³

როგორც ვხედავთ, დიდ მამულიშიელს კარგად ესმოდა, თუ რისთვის ზრუნავდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის მის მიერ დაბეჭდილ წიგნებს, აღდგენილ ეკლესია-მონასტრებს, სკოლებსა და სემინარიებში ქართული ენის დანერგვას, ქართული საგალობლების აღდგენას და ჩაწერას, ისტორიული საბუთების შეკრებასა და მათ პუბლიკაციას.

²² ზ. ჭიჭინაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 50.

²³ ზ. ჭიჭინაძე. დასახ. ნაშრომი. გვ. 10

წმიდა ალექსანდრეს ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე საქართველოში არ დაწყებულა არც ერთი ეროვნული საქმე მისი თანადგომისა და მონაწილეობის გარეშე. ალექსანდრე ეპისკოპოსი ითვლებოდა „ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“, „წითელი ჯვრის, დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა“, „უსინათლოთა სამზრუნველოს“, „რუსეთში წყალში დარჩომილთაგან გადამრჩენელი საზოგადოების“, „პირუტყვთა მფარველი საზოგადოების“, „ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოების“, „წმიდა ანდრიას და ყოვლადწმიდა დეთისმშობლის ძმობის“, „ფილარმონიული საზოგადოების“, „ძველთა განმაახლებელი კომიტეტის“, „მცხეთის ტაძრის განმაახლებელი კომიტეტის“, „ქართლ-კახეთის სამღვდელთა სიძველეთა დაცვის“, „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების აქტიურ წევრად“.²⁴

წმიდა მღვდელმთავარი მოსარჩლეობას უწევდა „ღვთაებრივ საუნჯეს“ ქართულ ენას, რომელიც XIX საუკუნის 80-იანი წლებამდე საქართველოს სასულიერო უწყების სასწავლებლებში ყოველ პატივს იყო მოკლებული.

ქართველთა გადარჩენის ერთ-ერთ ნიშანსეცტად ეპისკოპოს ალექსანდრეს სწორედ ენა მიაჩნია. ის მეტად გულმოკლული იყო იმის გამო, რომ ქართველი ახალი თაობა მშობლიურ ენას, მშობლიურ ლიტერატურას, სამშობლოს ისტორიის ცოდნას არაფრად აგდებდა და გატაცებული იყო არა მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღებით. მას გულს უკლავდა ის ფაქტი, რომ საქართველის სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენა, როგორც სავალდებულო საგანი, არ ისწავლებოდა. ეს კი სწორედ იმ ბარბაროსული პოლიტიკის შედეგი იყო, რომელსაც რუსეთის იმპერიალისტური ხელისუფლება იანოვსკისა და ვოსტორგოვის მსგავსი მტრების ხელით აკეთებდა.

თვით რუსული განათლების მქონე მღვდელმთავარი უფრო მეტად გრძნობდა ქართული ენის შესწავლის აუცილებლობას. 1861 წლის 29 ივლისს აფხაზეთის არქიმანდრიტი ალექსანდრე

²⁴ ვ. გურგენიძე. წმიდა მარიამის წილხვედრ ქვეყანაში. წიგნი II. თბილისი, 1997, გვ. 82.

მიმართავს ქართველებს, დაიცვან მშობლიური ენის სიწმიდე, სთხოვს მათ „განაღვიძონ, განაახლონ, განამშვენონ და განამტკიცონ ქართული ენა“.²⁵

ქართული ენის დაცვის მიზნით, წმიდა ალექსანდრემ არაერთი მოხსენება წარუდგინა პეტერბურგიდან ჩამოსულ სინოდის რევიზორებს და ნაწილობრივ შედეგსაც მიაღწია – ქართული ენა და ქართული გალობა ქართველ მოწაფეთათვის სავალდებულო საგნებად იქცა.

მეტად მნიშვნელოვანია დიდი მღვდელმთავრის როლი სამეგრელოს სამრევლო სკოლებში ქართული ენის უფლებების დაცვის საქმეში. საფრთხე მართლაცდა დიდი იყო – დეკანოზი ვოსტორგოვი და მისი დამქაშები ცდილობდნენ სამეგრელოს საქართველოსაგან ჩამოშორებას. ისინი ცდილობდნენ მეგრელები დაერწმუნებინათ იმაში, რომ ისინი თითქოს ქართველები არ იყვნენ. მაგრამ დიდია ღვთის განგება, წმიდა მღვდელმთავარმა შეძლო ემხილებინა და დაეგმო „ვოსტორგოველების“ განზრახვა. ეპისკოპოს ალექსანდრეს და სხვათა აქტიური ჩარევით, ამხილეს რუსი საერო და სასულიერო ხელმძღვანელები, პირველ რიგში, ეგზარქოსი, ზემოხსენებული იდეის სიყალბეში.

ამის შემდეგ დიდი ხანი აღარ დარჩენილა ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოს ეპარქიაში. ეგზარქოსისა და სინოდის განკარგულებით, „საკუთარი თხოვნის“ საფუძველზე, სინამდვილეში კი საკუთარი ქვეყნის სიყვარულისა და მისი სიწმიდის დაცვის ბრალდებით, იგი ეპარქიიდან გაანთავისუფლეს, თუმცა კი ოფიციალურ საბაზად მოხუცებულობა იყო გამოყენებული.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1896 წლის 12 მაისს საერთო კრებაზე, იაკობ გოგებაშვილისა და დავით კარიჭაშვილის მოხსენებათა საფუძველზე, ალექსანდრე ეპისკოპოსი, ილიასთან და აკაკისთან ერთად, აირჩია საზოგადოების პირველ საპატიო წევრად „ნიშნად პატივისცემისა იმ დიდი ღვაწლისათვის, რომელიც მას მიუძღვის საქართველოს

²⁵ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ალექსანდრე ოქროპირიძის პირადი ფონდი, №93.

წინაშე როგორც იმითი, რომ ბეჭდავს წარჩინებულთა სასულიერო მწერალთა თხზულებათა, აახლებს შესანიშნავ დანგრეულ ტაძართა და სცდილობს აღადგინოს ძველი ქართული გალობა და ამისათვის ყოველ გვარს ღონისძიებასა ჰქონობს, ისე იმითი, რომ ხელს უწყობს საქართველოს ხალხის გონებრივს განვითარებას და თავისის ხარჯით ჰზრდის ბევრს ობოლს სხვადასხვა სასწავლებლებში“.²⁶

თავისი პირადი ცხოვრებით წმიდა მღვდელმთავარი წარმოადგენდა იშვიათ მაგალითს ღრმად მორწმუნე ადამიანისას. მისი ხასიათის ძირითად თვისებასა და სამკაულს შეადგენდა სარწმუნოების დიდი მნიშვნელობის შეგნება, როგორც წმიდა ილია მართალი ამბობდა თავის მოძღვარზე: „თქვენ გწამთ, რომ ადამიანის მხსნელი, მისი ხელმძღვანელი და გამწმენდელი მისი სჯული და საწრმუნოებაა, და ამ გზაზე დვაწლმოსილობისათვის არა დაგიზოგიათ-რა... თქვენის ცხოვრების წმიდათაწმიდად ორი დიდი საგანია: ერთი ღმერთი და მეორე თქვენი სამშობლო ქვეყანა: ღმერთს ღვთისას აძლევედით და ქვეყანას – ქვეყნისას, და ორსავე ემსახურებოდით ერთმანეთის დაუფლისათ, გუღმხურვალეებით და სიყვარულით“...²⁷

დიდი მღვდელმთავარი, რომელსაც ქართველმა ერმა „აღმაშენებელი“ უწოდა, მართლაც შეუდარებელი იყო ეკლესიამონასტრების აღდგენასა და აშენებაში. მას ღრმად ჰქონდა გააზრებული, თუ რა შეიძლება ყოფილიყო ერის გადარჩენის, მისი „ჩვეულებისამებრ სვლის“ განმაპირობელი. მასზედ ბრძანებდა დეკანოზი კორნელი კეკელიძე: „შენ კარგად გქონდა შეგნებული, რომ ჩვენ სწავლა-განათლებას ძველად ქმნიდა განსაკუთრებით ორი უმთავრესი ფაქტორი: მონასტრებში ბერობა და სოფლად კი დედა, ეს ოჯახის კერა, რომელიც წერა-კითხვის ნაკვეთსხალს გაუქრობლად იცავდა და გადასცემდა შვილთა და შვილის შვილთა, ამისთვის პირველ ყოვლისა შენ განსაკუთრებით ყურადღება მიაქციე ჩვენში ბერობის მიძინებულ სულის

²⁶ გ. გურგენიძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 82.

²⁷ ზ. ჭიჭინაძე. დასახელებული ნაშრომი გვ. 16.

გაცხოველებას და მართლაც, შენი მაგალითის მიბაძვით არა ერთი და ორი ღვთისმოსავი, სწავლითა და ცოდნით აღჭურვილი ბერი და მონაზონი შეეძინა საქართველოს, შენ დარწმუნებული იყავი, რომ როგორც თვეში ვერ მომრავლდება უწყლოთ, ისე ბერობა უმონასტროთ, ამისთვის გულმოდგინეთ მიყავი ხელი ძველ ეკლესიას და მონასტერ-ლაგრათა განახლებას და ბევრგან, სადაც უწინ ყვაებოდა ჩხავილი ისმოდა, დღეს ატკობს ყურს მომხიბლავი ხმა ქართულ საეკლესიო გალობისა“.²⁸

შიომღვიმისა და ზედაზნის მონასტრების ისტორიის ფურცლებზე აღიბეჭდა წმიდა მღვდელმთავრის ღვაწლი, როგორც ამ მონასტრების აღმდგენისა და გამამშვენებლისა.

შიომღვიმე იმ დროს უკაცრიელ და უდაბურ ადგილად იყო ქცეული. წმიდა ალექსანდრემ შექმნა მონასტრის ადგენის ფონდი, რომელსაც თავადვე შესწირა 21000 მანეთი. იგი მიმართავდა „ღვთისმოყვარე ქრისტიანებს“ გაელოთ შეწირულობები, სამაგიეროდ აღუთქვამდა მათ, რომ მონასტრის საძმო ილოცებდა მათი ჯანმრთელობისა და განსვენებული მშობლების სულისათვის.²⁹

შეწირულობები ყველა მხრიდან იგზავნებოდა თბილისში, ალექსანდრე ეპისკოპოსის სახელზე. მღვდელმთავარი რამოდენიმე ფონდს განაგებდა. ფონდის მოქმედება უკანასკნელ კაპიკამდე გამჭვირვალე იყო, რათა არავის ეჭვი არ შეჰპარვოდა ალექსანდრე ეპისკოპოსის პატიოსნებაში. იმ პერიოდის გაზეთებში იგი ანგარიშს აბარებდა საზოგადოებას და მადლიერებით სავსე წერილებით მიმართავდა შემომწირველებს. 1887 წლამდე შიომღვიმის მონასტერი თბილისის ფერიცვალების მონასტერს ეკუთვნოდა. ამ დროიდან კი სინოდმა დამოუკიდებელ მონასტრად განაწესა. სინოდის ბრძანებით, მღვდელმთავარი ალექსანდრე დაინიშნა ამ მონასტრის წინამძღვრად. ივანე რატიშვილი გამოსათხოვარ სიტყვაში წერდა: „ყველაზე მეტი ღვაწლი მიგიძღვის შენ იმ ძველის-ძველ და სახელგანთქმულ სავანეს წინაშე... შენ

²⁸ ზ. ჭიჭინაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 16.

²⁹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ალექსანდრე ოქროპირიძის პირადი ფონდი №316.

აღადგინე მკვდრებით ეს მონასტერი და აღმოიყვანე სიკვდილისაგან ცხოვრება, მიანიჭე სიცოცხლე ახალთ: გამოცოცხლდნენ ძველი ტაძრები, სენაკები, გამოცოცხლდა უდაბნო მოოხრებული და მოიფინა ვენახებითა, – უნაყოფო კვლემ გამოსცა ნაყოფი კეთილი... ესრეთ გამოჩნდი შენ მეცხრამეტე საუკუნეში და მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოსთვის მეორე „შიო ახლად“.³⁰

გარდა საკუთრივ მონასტრისა, წმიდა მღვდელმთავარი ზრუნავდა რკინიგზის ბაქანის გამართვისათვის, რომ მლოცველებს მისვლაში პრობლემა არ ჰქონოდათ. 1888 წელს ეს ბაქანი გაიმართა. ეს დიდი საქმე იყო და დიდი მოწონებითაც შეხვდა საზოგადოება თუ პრესა. განსაკუთრებით სამადლო საქმე იყო ეს ახლამახლო სოფლების მცხოვრებთათვის. აღექსანდრე ეპისკოპოსის მოთხოვნით, დღის განმავლობაში გამგლევი ოთხივე მატარებელი როგორც სამგზავრო, ასევე სატვირთო მონასტერთან ახლოს ჩერდებოდა. ერთი წლის შემდეგ, 1889 წელს, მღვდელმთავრის მეცადინეობით მტკვარზე გაიმართა ბორანი, რომელიც თვითონვე აკურთხა.³¹

აღექსანდრე ოქროპირიძემ ხელი მოკიდა მონასტერში სამეურნეო საქმიანობის აღდგენასაც. სულ რამდენიმე ხანში მან გაუდაბურებული მონასტერი წალკოტად აქცია.

წმ. მღვდელმთავარს მრავალი ცილისწამების ატანაც უწევდა, მაგრამ დიდბუნებოვნად იტანდა ყველაფერს. მან კარგად უწყოდა, რომ ყოველ კეთილ საქმეს თან ახლდა ბოროტიც; ბოროტი, რომლის განდევნაც „ოდენ ღოცვითა და მარხვით იყო შესაძლებელი“ და სწორედ ამგვარი იყო მისის ცხოვრებაც. ყოველად სამღვდელო აღექსანდრემ განვლო ცხოვრების მღვდლვარე ზღვა, განიცადა ამ სოფლის მრავალი სიბოროტე, ორგულობა, ღალატი, ცილისწამება, დასმენა, ძმის გაცემა.

რასაკვირველია, ამ ტკივილთა მიმყენებელნი იყვნენ ისინი, ვისაც ეკლესიისა და სამღვდელოების დაცემა სურდათ ხალხის თვალში. ამ ბოროტმოქმედთა მტარვალნი ხელი იქამდეც

³⁰ ზ. ჭიჭინაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 31.

³¹ გაზეთი „ივერია“, 1889, №46.

მიწვდა, რომ მათ გაძარცვეს მონასტერი და მოკლეს მაქსიმე „კელენიკი“, მღვდელმთავრის საყვარელი მოწაფე და მომგლელი. მიუხედავად იმისა, რომ მან გაიგო თუ რომელი სოფლიდან იყვნენ ბოროტმოქმედნი, მაინც ხალხის სიბრალულმა და სიყვარულმა დასძლია და სწორედ მისთვის, რომ ეგზეკუცია არ ჩაეყენებინათ სოფლებისათვის, სადაც დამნაშავესთან ერთად უდანაშაულოც დაისჯებოდა, გაჩუმდა და გულში ჩაიკლა ეს ვარამიც“...³² ამით მან ანახა საზოგადოებას, თუ როგორ უნდა გიყვარდეს მტერი შენი.

დიდი მღვდელმთავრის წყალობით გამოცოცხლდა აგრეთვე სავანე ღიდებული იოანე ზედაზნელისა. 11700 მანეთი შესწირა ზედაზნის ფონდს, რომლის მონაგები მონასტრის განკარგულებაში იყო. ალექსანდრე ეპისკოპოსს აღთქმა ჰქონია დადებული, იოანე ზედაზნელის სსენების დღეს: „კვლავ ვადიარებ, რომ უკუეთუ ღმერთმა სიცოცხლე მომცა ეს მონასტერი აღვადგინო და შეწირვითა უზრუნველყო“...³³ აღასრულა კიდევ ეს აღთქმა.

1890 წელს ალექსანდრე ოქროპირიძემ თხოვნით მიმართა ეგზარქოს პალადის (1887-1892) ჯვრის მონასტრის უკეთ დაცვის მიზნით, მისი ზედაზნის მონასტრისთვის გადაცემის შესახებ.³⁴ ეს თხოვნა დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილების მიღების სამადლოდ წირვა აღავლინა მღვდელმთავარმა ჯვრის მონასტერში, რომლის დასასრულს მრევლს სიამოვნებით განუცხადა ეს ამბავი.

„აღმშენებელმა“ დაიწყო კიდევ ერთი დიდი და მძიმე საქმე ჯვრის მონასტრის რესტავრირებისა. იმ წმიდათა ლოცვით, რომელნიც იყვნენ მეოხნი წინაშე უფლისა, ალექსანდრე ეპისკოპოსმა კვლავაც შეძლო მონასტრის აღდგენა. ის იყო დიდი ქტიტორი არა მხოლოდ თავისი დროისა, არამედ წარსულისაც და მომავლისაც.

³² ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი №41.

³³ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი №104.

³⁴ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი №135.

1500 მანეთი შესწირა წმიდა ალექსანდრემ სვეტიცხოვლის აღდგენის ფონდს. იგი განაგებდა იკორთის ტაძრის აღმდგენელ კომიტეტს. ტაძრის აღდგენის ნებართვა ეგზარქოსისგან გამოუთხოვია გორის საკრებულო ტაძრის მღვდელს ი. გამრეკელს. იკორთა ერისთავების საგვარეულო სამარხი იყო, ამიტომ ალექსანდრემ ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის ძირითადად შეძლებული ერისთავები მოიშველია.³⁵

არც თავის სოფელს აკლებდა ყურადღებას ალექსანდრე – განაახლა მშობლიური დისევის ეკლესია. ასეთი დამოკიდებულების შედეგი იყო მისი თანასოფლელის ალ. თატუნაშვილის წერილი, რომელიც მის იუბილესთან დაკავშირებით გამოუგზავნა სპარსეთის საზღვრიდან. იგი წერს: „საქართველოს ისტორიის ფურცლებზე ოქროს ასოებით აღბეჭდავს თქვენი მეუფების სახელსა და ღვაწლს. საუკუნოდ იქნება აგრეთვე დაუვიწყარი თქვენი სახელი გორის მაზრის პატარა სოფელ დისევში“.³⁶

აფხაზეთის ეპისკოპოსად ყოფნისას ალექსანდრე ხელმძღვანელობდა ბიჭვინთის ტაძრის შესაკეთებელ სამუშაოებს. ტაძარს შესწირა ქართული ხუცური წიგნები, მთელი წლის სახმარი. მან აღადგინა და განაახლა ორი ეკლესია ქ. სოხუმთან ახლოს.

„სხვა მრავალ ძველის ტაძრისა და მონასტრის განახლების საქმესაც ყოვლადსამღვდელომ უხვი ნივთიერი დახმარება თვისთა საშუალებათაგან აღმოუჩინა, როგორც ამერეთსა, ისე იმერეთში“.³⁷

ალექსანდრე ოქროპირიძეს, როგორც ტაძრების „აღმშენებელს“, საქართველოს საზღვრებს გარეთაც ჰქონდა სახელი გავარდნილი. მას შემწეობას სთხოვდნენ სხვა ქვეყნების მართლმადიდებელი ქრისტიანებიც. 1898 წელს ილია ჭავჭავაძემ შემდეგი სიტყვით მიმართა მას ალექსანდრეს: „... თქვენი მაღლით ცხებული მარჯვენა ყველგან მოგიწვდენიათ, საცა კი თქვენის ქვეყ-

³⁵ გაზეთი „ივერია“, 1890, №143.

³¹ გაზეთი „ივერია“, 1889, №46.

³⁷ გაზეთი „ივერია“, 1902, №48.

ნის, თქვენის ერის საკეთილდღეოდ საქმე რამ აჩენილა. არ არის არც-ერთი საერო საქველმოქმედო საქმე ქართველობისა, რომ თქვენი უხვი წვლილი არ ერიოს, თქვენი ღოცვა კურთხევა წინა არ უძღვოდეს, თავს არ დასტრიალებდეს“, – მიმართავდა დიდი ილია თავის სულიერ მოძღვარს³⁸.

კიდევ ერთი დიდი და საშვილთაშვილო საქმე, რომელშიც მართლაც „უხვი წვლილი ურევია“ ალექსანდრე ოქროპირიძისა, იყო ქართული საეკლესიო გალობის აღდგენა. გალობისა, რომელსაც რუსები „მგლების ყმუილს ეძახდნენ“. რუსები ყველა ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ უძველესი ქართული საგალობლების ეროვნული თვითმყოფადობა დაკარგულიყო. ამ მხრივ პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა საქართველოს ეგზარქოსმა თეოფილაქტე რუსანოვმა (1817-1821 წწ.), რომლის ბრძანებით თბილისის ეკლესიებსა და სასულიერო სასწავლებლებში, როგორც წყაროები გადმოგვცემენ, „ამან აღიღო გალობა ქართული და ნაცვლად მისსა მოაყოლა გალობა ქართულის ენით რუსთა და ლათინდა კილოზედა“.³⁹

რუსმა მოხელეებმა იცოდნენ, რომ უძველესი ქართული საგალობლები ავტოკეფალია-წართმეულ ეკლესიაში ეროვნული სულის შენარჩუნებას შეუწყობდა ხელს. ეს კი დამაბრკოლებელი საშუალება იქნებოდა ასიმილაციის განხორციელებისათვის.⁴⁰ ამის გამო, 1872 წლიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სემინარიაში ქართული გალობა აღარ ისწავლებოდა. ქართული გალობის ამგვარ ყოფას ვერცერთი ქართველი და, მითუმეტეს, ეპისკოპოსო ალექსანდრე ვერ შეეგუებოდა.

1860 წელს შეიქმნა კიდევაც ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტი. 1879 წლიდან ამ კომიტეტს სათავეში

³⁸ გაზეთი „ივერია“, 1898, №103.

³⁹ ე. ბებულაშვილი. ქართული საეკლესიო საგალობლები ეგზარქოსობის პერიოდში.– ქართული საეკლესიო გალობა. ერი და ტრადიცია. თბილისი, 2001, გვ. 175.

⁴⁰ ე. ბებულაშვილი. ქართული საეკლესიო საგალობლები ეგზარქოსობის პერიოდში.– ქართული საეკლესიო გალობა. ერი და ტრადიცია. თბილისი, 2001, გვ. 174.

ჩაუდგა ეპისკოპოსი ალექსანდრე და დაიწყო მეტად აქტიური საქმიანობა. კომიტეტის წევრები მის ბინაზე იკრიბებოდნენ გალობის საკითხების განსასჯელად. შეიქმნა ფონდი, რომელსაც თავადვე ხელმძღვანელობდა და სოლიდური თანხაც შესწირა. კომიტეტის თავმჯდომარეობამდე დიდი ხნით ადრე მან სემინარიას შესწირა 1500 მანეთი, რომელიც ასე გაანაწილა: 500 მანეთი – ძველი ქართული გალობის აღდგენა-გამოცემის საქმეს, 300 მანეთი – სამოსწავლო ბიბლიოთეკას, 200 მანეთი – ზნეობრივი შინაარსის წიგნების რუსულიდან ქართულად თარგმნისა და დაბეჭდვის საქმეს, 500 მანეთი დააწესა პრემიად ან ჯილდოდ მათთვის, ვინც წარმატებით და სწორად გადაიტანდა ნოტებზე ძველ ქართულ გალობას.

პირველად წმიდა მღვდელმთავარი ქართლ-კახური გალობით იყო დაინტერესებული. მასვე ეკუთვნოდა ინიციატივა თბილისში ქართული საეკლესიო გალობის სასწავლებლის დაარსებისა. მან ეგზარქოსისაგან გამოითხოვა ნებართვა, რომ ერთი წლის განმავლობაში მრევლში შემოწირულობა ჩამოეთხოვათ ამ საქმის გასასრულებლად. საქმისწარმოება დაევალა შუამთის მონასტრის მღვდელმონაზონ ილარიონს. მღვდელმთავარმა ალექსანდრემ წერილობითი თხოვნით მიმართა სრულიად საქართველოს: უნდა აკრეფილიყო ფულიც და სხვა სანოვაგეც, ვინც რას შესწირავდა (რომელიც შემდეგ ფულად იქცეოდა) და თანხის მითითებითა და ხელმოწერით ჩაბარებოდა ილარიონს, რათა საშუალება ყოფილიყო თანხის ზუსტი კონტროლისა. ალექსანდრეს განზრახული ჰქონდა იმერელი და ქართლელი „გალობათა მცოდნე ოსტატების მოწვევა“. „ვინც ამა ოსტატთაგანი ნიჭსა და პატიოსნებას და ერთგულებას გამოაჩენს სწავლაში და შევირდების მიზიდვაში, იმას ექნება პატივი და ყურადღება“, – უთითებდა იგი.⁴¹

მეტად გაჭირდა კომპეტენტური პირების მონახვა. მ. მაჭავარიანმა გადაიღო ნოტებზე იოანე ოქროპირის ლიტურგიის რამდენიმე ნაწილი, მაგრამ დაიწუნეს.

⁴¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი №113.

ალექსანდრე ეპისკოპოსი საზოგადოების მოთმინებასა და თანადგომას მოითხოვდა: „ნურც ენით და ნურც კალმით ცუდად ნურავინ ახსენებს ამ გალობას, ცუდხსენებით გალობის ატმოსფერო არ გაიწმინდება... ნათქვამია, ჩქარს უგვიანდებოდესო.⁴² ბოლო იტყვის ყველას და დაავირობავინებს საქმესა“.

წმიდა მღვდელმთავარი სთხოვდა მუსიკისა და ნოტების კარგ მცოდნეებს, გამოხმაურებოდნენ კომიტეტს და ეკისრათ საშვილიშვილო საქმე, ხოლო თუ ქართველთა შორის ამ საქმის მოთავე არ გამოჩნდებოდა, მაშინ მღვდელმთავარი იძულებული გახდებოდა, პეტერბურგისთვის მიემართა.

გალობის საქმე თანდათან წინ მიდიოდა ალექსანდრე ოქროპირიძის შეთანხმებით თბილისის სამუსიკო სკოლის დირექტორთან – იპოლიტოვ-ივანოვთან. მას ნოტებზე უნდა გადაეღო ხუთასამდე ქართული საგალობელი, რისთვისაც წმ. მღვდელმთავარი 2000 მანეთს უხდიდა. იპოლიტოვ-ივანოვი, მართალია დიდი ენთუზიაზმით შეუდგა საგალობლების ნოტებზე გადატანას, მაგრამ ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლი ვერ შეასრულა. 500 საგალობლის ნაცვლად 76 საგალობლის ჩაწერა მოახერხა. გათვალისწინებულ ვადაშიც ვერ ჩაეტია... 1896 წელს იპოლიტოვ-ივანოვის ქართული საგალობლების კრებული სინოდში წარადგინეს. სინოდალური სასწავლებლის ქოროს დირექტორმა და მუსიკათმცოდნეებმა მას დადებითი შეფასება მისცეს. კომისიამ დაბეჭდვის ნებართვისათვის კრებული ისევ სინოდში წარადგინა. 1899 წელს ალექსანდრე ოქროპირიძის დაფინანსებით აღნიშნული საგალობლები გამოქვეყნდა. კრებულს თან დაერთო მოკლე ახსნა-განმარტება და მითითებანი.⁴³

ამ საშვილიშვილო საქმეში მონაწილეობდნენ ძმები კარბელაშვილები, დიდი ამაგი დასდო ამ საქმეს ფილიმონ ქორიძემ. განსაკუთრებული იყო დგაწლი იღუმენ ექვთიმე კერესელიძისა.

⁴² ქართული საეკლესიო გალობის თანამედროვე პრობლემები. თბილისი, 2002, გვ. 114.

⁴³ ქართული საეკლესიო გალობა. ერი და ტრადიცია. თბილისი, 2001, გვ. 190.

მათთან მრავალი შემსრულებელი იკრიბებოდა ქართული გალობისა, მათი მიზანი იყო ქართული საეკლესიო გალობის გადარჩენა.

1893 წელს იპოლიტოვ-ივანოვი სწერდა ერთ თავის ნაცნობს: „აუწყეთ ყოვლადუსამღვდელოესს ალექსანდრე ეპისკოპოსს, რომ მისი ბრძნულის მეთაურობის წყალობით ქართული გალობა და სიმღერა მუსიკის ისტორიაში შესამჩნევს ადგილს დაიჭერს“.⁴⁴

1898 წლიდან წმ. ალექსანდრე გურია-სამეგრელოს ეპარქიაში აგრძელებს მოღვაწეობას. მან ოზურგეთში დაარსა გალობის კაბინეტი. შეიქმნა გურული გალობის ადღეგნის ფონდი, რომელსაც ალექსანდრე ეპისკოპოსის სახელი ეწოდა. მან თავისი ხარჯით მოიწვია ორი მგალობელი: თ. ნაკაშიძე და ს. მოლარიშვილი და დაავალა მათ, რომ უფასოდ ესწავლებინათ ხალხისთვის გალობა.

ალექსანდრე ეპისკოპოსი იმედიანად იყო განწყობილი საქმის კეთილად გასრულებსიადმი და დაინტერესებულ პირებს მიმართავდა: „ბოლო იტყვის ყველას და დააგვირგვინებს საქმესა. იქნება ბოლოს სთქვან ძეთა ძველის იბერიისათა: გამობრწყინდა ნათელი ქართული ეკლესიის გალობისა ჰორიზონტსა ზედა, გადაღებულ იქნა ნოტსა ზედა და დღეს ისარებს ერი ქართველთა გაწყობილად გადაცემისათვის წინაპართა მშვენიერთა გალობათა“.⁴⁵

ასეთი დრო მართლაც დადგა და რომ ქართველმა ხალხმა თავისი უდიდესი განძი – ძველი საეკლესიო გალობა – არ დაკარგა, სწორედ წმიდა მღვდელმთავრისა და მისი დიდი მამულიშვილების წყალობით.

ეპისკოპოსი ალექსანდრე ცნობილი იყო, როგორც სიძველეთა დიდი ქომაგი. მას მტკიცედ დაუცავს მარტვილის ტაძრის სიძველენი, რომელთა მოსკოვში გატანა სდომებია გრაფინია უგაროვას, თითქოსდა იქ უკეთ დასაცავად. მღვდელმთავრის პასუხი შემდეგი ყოფილა: „1500-მდე მანეთი გადავდე მარტვილის

⁴⁴ გაზეთი „ივერია“, 1893,

⁴⁵ ქართული საეკლესიო გალობის თანამედროვე პრობლემები. თბილისი, 2002, გვ. 114.

სამკაულთათვის, მტკიცე თავსაფარის ასაგებად და დასაცავად და აქედან წმინდა ნივთების წაღება შეუძლებლად მიმაჩნია და სარწმუნოების მხრივ უხერხულადო“.⁴⁶

2000 მანეთამდის შესწირა ალექსანდრე ოქროპირიძემ ქართლ-კახეთის ეპარქიის სიძველეთსაცავს ქართული ხელნაწერის დასაბუჭლად.

წმიდა მღვდელმთავარი ქვეყნის გადარჩენის ერთ-ერთ ნიშანსეეტად მიიჩნევდა ბერ-მონაზონობას. ეს ინსტიტუტი საქართველოში მეტისმეტად დაკნინებული იყო. ამგვარ ყოფას შესაბამის შეფასებას აძლევდა დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე წმიდა მღვდელმთავრისადმი წარმოთქმულ გამოსათხოვარ სიტყვაში: „დღეს თუ მონაზონობის უმრავლესობას შეადგენენ უსაქმოდ ცხოვრების მოყვარენი, წინათ ასე როდი იყო. წინათ მონაზონობა და საზოგადო ასპარეზზედ მოღვაწეობა სინონიმები იყვნენ... სანამ ბერ-მონაზონობა თავის დანიშნულებას ემსახურებოდა და მოვალეობას ასრულებდა – საქართველოც დაქუცმაცდა, დანაწილდა, დაეცა...“⁴⁷

ყოველივე ეს გასიგრძეგანებული ჰქონდა წმიდა მღვდელმთავარს და ძალ-ღონეს არ იშურებდა ჩვენში ჭეშმარიტი ბერ-მონაზონობის აღსადგენად, განსაახლებლად. პირველ ყოვლისა, ის თვითონ იყო „ცხოველი სურათი ძველი ბერმონაზონობისა“. ასეთ ადამიანებს მაგალითის ძალა აქვთ და არ იყო შემთხვევითი, რომ მის სახელს დაუკავშირდა კიდევ ერთი დიდი მოღვაწე საქართველოს ეკლესიისა, კათოლიკოს-პაქრიარქი ლეონიდე (1918-1921), წმიდანის ძმისწული. მეტად მზრუნველი დამოკიდებულება ჰქონდა ბიძას ძმისშვილისადმი. ალექსანდრე რუდუნებით ინიშნავდა ყოველ წვრილმანს, რომელიც ღონგინოზს უკავშირდებოდა. როცა თბილისის სასულიერო სემინარიიდან ღონგინოზი კავკასიის სემინარაიში გადავიდა, ალექსანდრემ წერილი მისწერა არქიმანდრიტ ტიხონს და მზრუნველობით ჩააბარა ძმისშ-

⁴⁶ გაზეთი „ივერია“, 1903, №38.

⁴⁷ **ზ. ჭიჭინაძე.** დასახელებული ნაშრომი, გვ. 24-25.

ვილი, იგი ფიქრობდა, რომ ლონგინოზი იმედს გაამართლებდა და გაამართლა კიდევ. მადლიერების გრძნობით მიმართავდა წმიდა ილია მართალი მსცოვან მღვდელმთავარს: „რომ თქვენის მეოხებით, თქვენის ღვაწლით, თქვენის მამობრივი სიყვარულით გაუზარდეთ ჩვენს ქვეყანას იმისთანა შვილი, როგორც ახლად ნაკურთხი ეპისკოპოსი ლეონიდეს... ჩვენ შეეხარით ჩვენს ახალს ეპისკოპოსს სასოებით და იმედითა, იმიტომ რომ თქვენი გაზრდილია, თქვენი სულიერი შვილია და ყოველი მსგავსი მსგავსს შობსო ნათქვამია. თქვენს გაზრდილს დიდი და ეკლიანი გზა უდევს წინ, ის სიყვარულს ქვეყნისას თქვენებრ წინ წაიმძღვარებს და მსახურება მისი მსახურება იქმნება ქვეყნისა. ეს გზა გზაა საკუთარი თავის გაწირვისა, წამებისა, ნამეტავად ჩვენში, სადაც უმადურობა და კილვა ისე ხშირია როგორც არსად. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენს მაგიერობას გაგვიწვეს“.⁴⁸

აღექსანდრე ეპისკოპოსს, როგორც შესანიშნავ ადამიანსა და მოქალაქეს, ახასიათებდა ზომიერ მეტად თავმდაბლობა, გულკეთილობა და შემწყნარებლობა. მისი თავმდაბლობის დადასტურებაა 1897 წლის 25 აპრილს „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილი, როცა საზოგადოებამ გადაწყვიტა მსცოვანი მამისთვის 35 წლის მოღვაწეობის იუბილე გადაეხადათ, მან რედაქციას თხოვნით მიმართა: „ბატონო რედაქტორო!“ ნურავინ შეწუხდება მისალოცად, რადგან დათქმული თარიღი 9 მაისი წმიდა შიოს ხსენების დღე ყოფილა და გადაწყვეტილი ჰქონდა წირვის ჩატარება.⁴⁹ რაღა თქმა უნდა ქებისა და ხოტბის მოსასმენად იგი წირვას არ გადადებდა. 1897 წლის 9 მაისს გაზეთი „ივერია“ წერდა: „საიუბილეო დღესასწაულს განშორდა და მილოცვასა და ზეიმს ვედრება და ლოცვა ამჯობინა მრისხანე და ყრუ უდაბნოში!.. ამ ოცდათხუთმეტის წლის განმავლობაში და წინადაც მისი მეუფება მტკიცედ და სავსებით ადგა მცნებასა უფლისასა, - „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და

⁴⁸ ვ. გურგენიძე. წმიდა მარიამის წილხვედრ ქვეყანაში. წიგნი II. თბილისი, 1997, გვ. 70.

⁴⁹ გაზეთი „ივერია“, 1897, №78.

ტვირთ-მძიმენი, და მე განგისვენებთ თქვენ“.⁵⁰

დიდი მღვდელმთავრის იუბილესთან დაკავშირებით თბილისის სამღვდლოებამ პარაკლისები გადაიხადა და იუბილარს „მშვენვირად შემკული მიტრა“ მიართვა.

თავად იუბილარმა კი ეს იუბილე კიდევ ერთი საქველმოქმედო საქმით დააგვირგვინა თბილისის სასულიერო სასწავლებელში 2500 მანეთი შეიტანა და დაარსა სტიპენდია „საუკეთესო და ღარიბ ქართველ მოსწავლის გამოსაზრდელად“.⁵¹

9 მაისს გადახდილი წირვის მერე წმიდა მღვდელმთავარს, საზოგადოების გულთბილი შეხვედრით გახარებულს, დაუდია აღთქმა, თუ ღმერთი ხელს მომიმართავსო: „1. დაეხმაროს ქართულ გალობას და მგალობელთა გუნდის დაარსებას; 2. შეაგროვოს ძველი ხელთნაწერები, რომელთაც რაიმე მნიშვნელობა აქვთ საქართველოს წარსულის შესასწავლად, და დაარსოს წიგნთსაცავი ან შიო მღვიმის მონასტერში ან ტფილისს... 3) განახლოს არჩილ ღუარსაბის ეკლესია თიანეთის მაზრაში, თუმცა ეს საქმე მის მეუფებას სათქმელადაც კი მეტად ეძნელება“.⁵²

1998 წელს თბილისიდან აღექსანდრე ეპისკოპოსი ქართველმა საზოგადოებამ დიდი სიყვარულით გურია-სამეგრელოს ეპარქიაში გაამგზავრა. ამ თარიღთან დაკავშირებით მადლიერმა სამწყსომ თანხა შეკრიბა და მოსკოვიდან გამოიწერა იშვიათი ნაკეთობის ძვირფასი კვერთხი. ოქროში დაფერილი ვერცხლის კვერთხი პერანგში იყო ჩასმული და ტარზე ჰქონდა წარწერა: „აღიღე კვერთხი ესე და წაიყვანე ერი შენი გზასა სიმართლისასა. 15 მაისი 1898 წლისა“. კვერთხის ბუდის თავზე ამოჭრილი იყო ასო „ა“, რომელსაც თავზე სამღვდელმთავრო მიტრა ჰქონდა გააკეთებული.⁵³

აღექსანდრე ეპისკოპოსის გამოსათხოვარ სიტყვაზე ბევრი

⁵⁰ გაზეთი „ივერია“, 1897, №89.

⁵¹ გაზეთი „ივერია“, 1897, №180.

⁵² გაზეთი „ივერია“, 1897, №91.

⁵³ გაზეთი „ივერია“, 1898, №103.

ატირებულა, მას უამრავი ხალხი ეხვეოდა, რათა მიეღო საყვარელი მწვემსმთავრისაგან ლოცვა-კურთხევა. მღვდელმთავარს გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა ილია ჭავჭავაძემ, რომლის ნაწვევებიც არაერთხელ მოვიხმეთ. იგი მღვდელმთავარს მიმართავდა: „ქვეყნას ემსახურებოდით ღვთისათვის და ღმერთს აღიდებდით ქვეყნისათვის, რადგანაც ღმერთი არის სიყვარული და სიყვარული მხსნელია ქვეყნისა“... წმიდა ილია მართლის ბრძანებით ატირებულ სამწყსოს „იმერ ძმათა“ სიყვარული უნელებდა მწუხარებას და ამხნევებდა.

ზემოთ რამდენადმე შევეხეთ აღექსანდრე ეპისკოპოსის ღვაწლს გურია-სამეგრელოს ეპარქიაში. მას მეტად მიმიეპირობებში უწევდა ყოფნა. ირგვლივ სუფევდა „სიბნელე და ზნედაცემულობა. ღვთისმოსავ სამწყსოს ნათლის იმედი ჩაესახა. გურია-სამეგრელოს მოსახლეობა აღფრთოვანებული მიეგება აღექსანდრე ეპისკოპოსის იქ ჩასვლას. მთელი სამეგრელო გამოსული იყო მღვდელმთავართან შესახვედრად. ასაკის მიუხედავად აღექსანდრე ეპისკოპოსმა თითქმის მთელი ეპარქია მოიარა. ეს მისი ცხოვრების ჩვეულებრივი მომენტი იყო და ამას ისე მხნედ აკეთებდა, რომ თურმე ყველაზე ადრე თვითონ დგებოდა და თავის მხლებლებს თვითონვე აღვიძებდა.

ეპარქიის სამღვდლოება მღვდელმთავრისადმი მიმართულ სიტყვებში დიდ იმედსა და სიხარულს გამოთქვამდა. მათ სწამდათ, რომ აღექსანდრეს აღმშენებელი მარჯვენა ააყვავებდა გურია-სამეგრელოს გაუკუღმართების გზაზე შემდგარ ეპარქიას.

ხალხი ხედავდა მღვდელმთავრის მხნეობას, შემართებას და ღვაწლს, მაგრამ, ალბათ ცოტა ვინმემ თუ იცოდა, რომ ლოცვისას დაჩოქილი თვითონ ვეღარ დგებოდა, ეხმარებოდნენ.

1900 წელს მღვდელმთავარმა აკურთხა ახლად აშენებული ვანისა და ჯუმათის ეკლესიები, 1901 წელს ფოთის ტაძარი აღექსანდრე ნეველის სახელზე. 1898 წელს აკურთხა ქობულეთში ერთადერთი მართლმადიდებლური ეკლესია წმ. ნიკოლოზის სახელზე.

ფოთში მოღვაწეობის დროს წმ. მღვდელმთავარმა თავის

სახლში გადაიტანა და ამოქმედა სანთლის ქარხანა, რომლის მონაგებით მას დაგეგმილი ჰქონდა სამეგრელოს სასულიერო სკოლის, დედათა საეპარქიო სასწავლებლის, სამრევლო სკოლების მოწეობა და მრავალი სხვა საქველმოქმედო საქმიანობა.

წმიდა მღვდელმთავრის მზრუნველი თვალი საქართველოს ყოველ კუთხე-კუნჭულს სწვდებოდა. მისი მზრუნველი ხელი სწვდებოდა მესხეთსაც, ახალციხე-ახალქალაქის საბლალონოს.

წმიდა მღვდელმთავარმა მამობრივი სიყვარულით ჩაიხუტა დედა სამშობლოს 1878 წელს შემოერთებული აჭარა. თბილისში ჩამოსულ აჭარის დელეგაციას მღვდელმთავარმა მრავლისმთქმელი სიტყვებით მიმართა: „ხმები, რომლებიც დადის აჭარის ძალით გაქრისტიანებაზე, მცდარია. ამაში ძალას არავინ დაგატანთ, ხოლო თუ სურვილი გექნებათ, კარებს არავინ დაგაკეცავთ. ვადიდოთ ღმერთი თქვენ თქვენს რჯულზე, ჩვენ-ჩვენს რჯულზე. გისურვებთ შინ მშვიდობით დაბრუნებას“ – ბრძანა მღვდელმთავარმა.⁵⁴

ალექსანდრე ეპისკოპოსის ასეთი ტაქტიკა გონივრულად გათვლილი პოლიტიკური ნაბიჯი იყო. აჭარლების ბედი ბოლომდე დარჩა მისი ზრუნვის საგნად. 1899 წელს მღვდელმთავარი ბათუმს ეწვია. ბათუმში ჩატარებული წირვის მერე მღვდელმთავარმა სიტყვით მიმართა მოსახლეობას: „ღმერთმა მოგვასწრო ამ საქართველოს კუთხის შემოერთება, და სწორედ სირცხვილი იქნება, რომ ერთი პატარა ეკლესიაც ვერ ავაშენოთ იქ, სადაც ჩვენ წინაპართ უხვად უშენებიათ ტაძარი-მონასტერი“, – ბრძანა მან.⁵⁵ 500 მანეთი შესწირა ტაძრის ფონდს და იქვე ჩააბარა კომიტეტს.

წმიდა მღვდელმთავრის მთელი ცხოვრება იყო მამულისათვის თავდადება. სწორედ ამ თავდადებისათვის ჩამოაშორა იგი იმპერიამ ეპარქიის მწყემსმთავრობას. 1903 წლის 30 ნოემბერს იგი გამოეთხოვა გურია-სამეგრელოს ეპარქიას. „ახლა კი აქვს

⁵⁴ გაზეთი „ივერია“, 1899, №234.

⁵⁵ გაზეთი „ივერია“, 1899, №234.

უფლება მწყემსმთავარს, დამშვიდებით გადაავლოს თვალი თავისი სიცოცხლის ნაღვაწს, რომ დანარჩენი დღენი თავისი სიცოცხლისა მყუდროდ და სიმშვიდით განატაროს მონასტრის ზღუდეთა შორის... სვინდისი ეს მოუსყიდველი მსაჯული, არ დაუწყებს ქენჯნას მის სულსა, არ დააყვედრებს უმოქმედობას. უქმად ყოფნას, ცხოვრების გზის განვლას კვალის აღუბუკდავად“, – წერდა იმ დღეს პრესა.⁵⁶

დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდა წმიდა მღვდელმთავარი იმ მტრულ აქტზე, რითაც ერთმორწმუნე რუსული ეკლესიის მესვეურთა „წყალობით“ ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია დაეკარგა. ალექსანდრე ეპისკოპოსი ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ჩვენს ეკლესიას თვითმწყემსობის უფლება დაბრუნებოდა. „ავტოკეფალია იმისთვის კი არ მეხმარება, - ამბობდა ალექსანდრე ეპისკოპოსი, - რომ, როგორც ყველა დამსახურებულს, კათოლიკოზობა მე მერგოს, არამედ იმისათვის, რომ ქართველ სასულიერო წოდებას ცოტათ თუ ბევრად თავისუფლება მიეცეს. მაშინ ის ქართველებისათვის მანვე პირები, რომელნიც ესხლა არიან სასულიერო წოდებათა რიცხვში, საქართველოს ეკლესიიდან განდევნებიან“⁵⁷

წმიდა მღვდელმთავარი „მოსასვენებლად“ თავისსავე აღდგენილ შიომღვიმის მონასტერში გაგზავნეს. ცხოვრობდა გარიდებული ყოველგვარ ამოებას და აღიდებდა უფალს.

სიცოცხლის ბოლო თვეები კიდევ ერთმა საშინელებამ მოუშხამა მოხუცს. ეს იყო 1907 წლის 30 აგვისტოს წიწამურის ტრაგედია. გულმოკლულმა მამამ მხოლოდ ერთხელ დატოვა მონასტერი და ილიას დაკრძალვის დღეს თბილში ჩამოვიდა. როგორც მისი ღრობის თანამედროვე ივანე რატიშვილი იხსენებს: „მცოვანებისაგან მოუძღურებული, იგი მაინც დაესწრო ჩვენი ახალდროების მოწამის, დიდი ილიას დასაფლავებას, შეასრულა სარწმუნოებრივი წესი, გამოესალმა თავისი გულითადი სიტყვით და სიყვარულით ემთხვია ილიას გვამსა! ეს იყო უკანასკნელი

⁵⁶ გაზეთი „ივერია“, 1899, №234.

⁵⁷ **ზ. ჭიჭინაძე**, დასახელებული ნაშრომი, გვ. 4.

ნახვა მისი ჩვენი დედაქალაქისა და უკანასკნელი ნახვა მისი ჩვენი დედაქალაქის მიერ... დასაფლავების მეორე დღეს შევიდა დილა ადრიანად ჩვენს წმიდა სიონში, ილოცა ღმობიერად, გამოეთხოვა თავისს საყვარელ სიონის ღვთისმშობელს, წმიდა ნინოს ხატსა და ჯვარსა, გამოეთხოვა სიონის დეკანოზსა და გამოეშურა თავის საყვარელ შიოსადმი, თავის უკანასკნელ საიქაო ნავსაყუდელისაკენ – გაიარა ორმა თვემ და კიდევ აღესრულა სასოებით, უჭირველად, ურცხვენელად – განუტევა წმიდა სული თავისი მშვიდობით, მისი საყვარელი მამა შიოს გვერდით“.⁵⁸ 83 წლის მღვდელმთავარი გარდაიცვალა 1907 წლის 9 ნოემბერს. მან დაუტოვა სააქაო ნავსაყუდელიც და შევიდა საუკუნო სამშვიდობო ნავსაყუდელსა...

წმიდა ალექსანდრე დაიკრძალა შიომღვიმის სავანეში, დიდ საკრებულო ტაძარში. შემთხვევით არაფერი ხდება ამქვეყნად, ყველაფერი ღვთის ნება ან ღვთის დაშვებაა, ალექსანდრე ეპისკოპოსის ჩანაწერში დაცულია ერთი უთარილო ჩანაწერი: „სიზმარი ვნახე, რომ ჩემი სახელი შიო მღვიმესთან იყო ქალაღლზე დაწერილი“.⁵⁹

16 ნოემბერს დაკრძალვას დაესწრო მრავალი ადამიანი. ქართული ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები თბილი და მადლიერებით აღსავსე სიტყვებით ემშვიდობებოდნენ „ქართველთა მამას“, ალექსანდრე აღმშენებელს, აფხაზეთის მეორე მოციქულს, ახალ შიოს... გამოგვეთხოვა და დაგვიტოვა ჭეშმარიტი სახე ნამდვილი მღვდელმთავრისა, როგორც არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია ამბობდა გამოსათხოვარ სიტყვაში: „განსვენებულმა ყოვლად სამღვდელომ გვასწავლა ჩვენ, რამდენად შეიძლება ამ უკუღმართ დროშიც ვიყოთ ნამდვილი ქრისტიანი, ქრისტიანულ იდეალების მატარებელები. როგორც ყველას ერთ რიგად უნდა ავიწყებინებდეს პირად ინტერესებს და აბედინებდეს სიცოცხლის შეწირვას მოყვასისათვის – როგორც მატარე-

⁵⁸ ზ. ჭიჭინაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 33.

⁵⁹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი №119.

ბელი ამნაირი სიყვარულისა,ის თვისის ცხოვრებით გვიმტკიცებს, რომ ეს ქრისტესაგან მის მიმდევართათვის დახატული იდეალი ამ ქვეყნად შეიძლება განხორციელდეს...⁶⁰

ამ უდიდესი და აუწონელი ღვაწლისათვის, 1995 წელს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა ალექსანდრე ეპისკოპოსი წმინდანად შერაცხა და მოიხადა მისის ხსოვნის წინაშე ნათელი ვალი. დიახ, ზეციურ მოზემე ეკლესიას კიდევ ერთი წმინდანი შეემატა საქართველოსათვის და მთელი ქრისტიანობისათვის მლოცველი – კაცი, რომელმაც პირნათლად აღასრულა უფლის სიტყვები: „ეგრეთ ბრწყინავდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“.⁶¹

⁶⁰ ზ. ჭიჭინაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ 10.

⁶¹ მათე, 5, 16.

მაკა კვარაცხელია – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის
დოქტორანტი

ქალაქ თბილისის თვითმმართველობა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე (1917 წლის მარტი - 1918 წლის მაისი)

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის დაწყებამ დასაბამი მისცა სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის სისტემის დემოკრატიულ საწყისებზე გარდაქმნას.

1917 წლის 25 აპრილს რუსეთის დროებითმა მთავრობამ დაადგინა: 1) გაუქმდეს 1892 წლის საქალაქო დებულების 22-58 მუხლები; 2) ახალი საქალაქო დებულების შედგენა-დამტკიცებამდე ძალაში შევიდეს საქალაქო სათათბიროს ხმოსანთა არჩევნების დროებითი წესები.

ახალი 1917 წლის 15 აპრილის დებულება აუქმებდა ქონებრივ ცენზს, ზოგიერთ სხვა შეზღუდვას, რაც დემოკრატიული ძალების გამარჯვების რეალურ შანსებს იძლეოდა. აგრეთვე, იძლეოდა საშუალებას არჩევნები ჩატარებულიყო სამართლიანად, დემოკრატიულად, გამჭვირვალედ.

დროებითი წესები 37 მუხლისაგან შედგებოდა. დებულების შესაბამისად, ხმოსნები ირჩეოდნენ 1919 წლის 1 იანვრამდე. თბილისის სათათბიროში ასარჩევ ხმოსანთა რიცხვი 120 კაციით განისაზღვრა. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა ყველა მოქალაქეს განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, რომელსაც საარჩევნო სიების შედგენის დაწყებამდე შეუსრულდებოდა ოცი წელი, ცხოვრობდა ან მოღვაწეობდა მოცემულ ქალაქში. არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მოკ-

ლებული იყვნენ: მთავრობის მოხელეები, მილიციის მოსამსახურეები, ბერები, სასამართლოსგან მსჯავრდებული პირები, უნარშეზღუდული პირები, ხოლო ხმოსნად და მის კანდიდატად შეიძლება არჩეული ყოფილიყო ყველა, გარდა იმ პირისა, რომელსაც ჰქონდა ხმის მიცემის უფლება, ისეთიც, რომელიც ქალაქში არ ცხოვრობდა, არ ჰქონდა ბინა, სამსახური ან სამუშაო, მაგრამ აკმაყოფილებდა არჩევნებში მონაწილეობისათვის სხვა საჭირო პირობას.

დებულებისა და მისი თანდართული დოკუმენტებით დეტალურად იყო გაწერილი, თუ ვინ ადგენდა და რა წესით უნდა გამოქვეყნებულიყო საარჩევნო სიები, ქალაქის თავის ვალდებულებები ქალაქის თვითმმართველობის ირგვლივ, ბიულეტენების წარმოების წესი, ხმის მიცემის წესები, მილიციის უფლებამოსილება არჩევნების დღეს, ხმის დათვისის წესი, გასაჩივრების წესები, არჩევნების ჩატარების დრო და სხვა საკითხები.

ხმოსანთა საერთო რიცხვი, რომელიც არჩეული უნდა ყოფილიყო მთელ საარჩევნო ოლქში, ნაწილდებოდა პროპორციულად სიათა შორის მიღებული ხმების შესაბამისად.¹

არჩევნების დროებითი წესები, რა თქმა უნდა საქართველოსაც შეეხო, დიდი ცვლილებები გამოიწვია საქალაქო თვითმმართველობათა, სოციალურ ბაზათა და პოლიტიკურ სტრუქტურაში, მათ პრაქტიკულ საქმიანობაში. საქართველოს ყველა თვითმმართველ ქალაქთა ზედაფენა, მართალია, ცდილობდა წამყვანი პოზიცია შეენარჩუნებინა, კვლავ კონტროლქვეშ ყოლოდა საარჩევნო კომისიები და ამით უზრუნველყო გამარჯვება, მაგრამ დემოკრატიამ თითქმის ყველგან უნდობლობა გამოუცხადა მსხვილ ბურჟუაზიას და საბოლოოდ შეძლო საქალაქო სათათბიროებში თავისი წარმომადგენლობის საგრძნობლად გაზრდა.

1917 წლის მაისში შინაგან საქმეთა მინისტრმა ხელახალი

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1836 (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტი), ანაწერი 1, საქმე 157, ფურცელი 40-50.

ცირკულარი გამოსცა, რომელშიც იგი არჩევნების დაუყოვნებლივ ჩატარებას მოითხოვს უკვე გამოქვეყნებული კანონის თანახმად. ქალაქის თვითმმართველობის არჩევნების გარშემო აქტიური მოქმედება დაიწყო.

თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის მხრივ იმსჯელა ამ საგანზე და მოუწოდა ხალხს, საარჩევნო კამპანიას შესდგომოდა და ყველგან საარჩევნო ბიუროები მოეწყო.²

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, თბილისის საქალაქო სათათბიროს პირველი არჩევნები 1917 წლის ივნისისათვის დაინიშნა. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობდა თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია (ბოლშევიკები ხელისუფლების ორგანოდ მუშათა საბჭოს თვლიდნენ, თბილისის საქალაქო სათათბიროს არჩევნებს მათ ბოიკოტი გამოუცხადეს).

საკმაოდ აქტიურობდა ქართული პრესა. განსაკუთრებით აქტიური იყო გაზეთი „ერთობა“, რომელიც წარმოადგენდა სოციალ-დემოკრატიულ ცენტრალურ ორგანოს. გაზეთი „ერთობა“ ინტენსიურად აშუქებდა წინასაარჩევნო პროცესებს, ეწეოდა დიდ აგიტაციას და პოზიციასაც მკვეთრად აფიქსირებდა.

გაზეთის რედაქცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ადგილობრივი თვითმმართველობის სიძლიერეს, რამეთუ „განახლებულ პირობებში იგი სახელმწიფოს დიდი დამხმარე ორგანო იქნება და მრავალ ფუნქციებს, რომელსაც ამ დრომდე ცენტრალური ბიუროკრატიული ორგანო უმსგავსოდ ასრულებდა, თვითონ შეასრულებს. რამეთუ მის მოვალეობას შეადგენს ქალაქის საზოგადოებრივ ჰიგიენაზე ზრუნვა, საზოგადოებრივი შენობების აშენება, მიმოსვლის მოწყობა, არხებისა და კანალიზაციის გაყვანა, მუშათა ეკონომიურ მდგომარეობაზე ზრუნვა, სწავლა, განათლება, ღარიბთა დახმარება და სხვა მრავალი ამგვარი საზოგადოებრივი საქმეები.

ძველ თფილისის თვითმმართველობას ზევით დასახელებულ საზოგადოებრივ ასპარეზზე თითქმის არაფერი გაუკეთებია და

² გაზეთი „ერთობა“, 1917, 11 მაისი, №44.

თუ რამ გაუკეთებია ისე უმნიშვნელო და უვარგისი, რომ მოხსენებაც კი არ ღირს”, – აღნიშნავდა წერილის ავტორი.³

ქართველი სოციალ-დემოკრატები და მათი ორგანო გაზეთი „ერთობა“ მოუწოდებდა მოქალაქეებს მაღალი შეგნებით მოჰკიდებოდნენ თბილისის თვითმმართველობის ისტორიაში საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე, პირველი საქალაქო არჩევნების ჩატარებას, რასაც, მათი აზრით, უდიდესი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. თბილისის სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა გამოაქვეყნა თავისი მუნიციპალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა თვითმმართველობის უფლება-კომპეტენციის საგრძნობლად გაფართოებას, ყველა საქალაქო თანამდებობის არჩევითი წესით დაკავებას, საქალაქო მილიციის მუნიციპალიტეტისათვის დაქვემდებარებას, თვითმმართველობის საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით აღჭურვას.

სოციალ-დემოკრატთა მიზანშეწონილად მიანდა საქალაქო თვითმმართველობის ფინანსურ-საბიუჯეტო უფლების გაფართოება. მისი აზრით, თბილისის თვითმმართველობას მიზნად უნდა დაესახა საჯარო-პოლიტიკური სისტემის გაუქმება, საზოგადოებრივი ხასიათის დაწესებულება-საწარმოთა მუნიციპალიზაცია; იაფფასიანი ბინების აგება, ბინის ქირის რეგულირება, ვიწრო ქუჩა-შესახვევების გაფართოება, უფასო სწავლისა და მკურნალობის დაწესება, უმუშევრობისაგან მუშათა დაზღვევის ორგანიზაცია, კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების პრაქტიკისა და 8 საათიანი სამუშაო დღის დაკანონება.

პარტიათა მოწოდებებმა, პრესის აქტიურობამ, თავისი როლი შეასრულა და, მართლაც თბილისის და თბილისელები, როგორც არასდროს, დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ წინასაარჩევნო მზადებას. თბილისში ყველგან საუბნო არჩევნები და აგიტაცია მიმდინარეობდა.

პარალელურად თბილისში კვლავ პრობლემად რჩებოდა კრიზისი, კონკრეტულად კი სასურსათო საკითხი. რაც საერთო

³ გაზეთი „ერთობა“, 1917, 11 მაისი, №44.

პირობებით: ომით, ინფლაციით და სხვა მიზეზებით იყო განპირობებული.

ამ საკითხზე აპელირებდა გაზეთი „ერთობა“: „ერთი საყურადღებო საკითხთაგანი, რომლის მოგვარებას უნდა მიჰყოს ახალმა საბჭომ – ეს ქალაქის მცხოვრებთა სასურსათო საგნებით უზრუნველყოფა“ და წინასაარჩევნო პროპაგანდად იყენებდა ამ მტკივნეულ საკითხს „საჭიროა ხალხისათვის სურსათის მიწოდების საქმეს განაგებდეს ხალხისავე ნამდვილი წარმომადგენელი და არა მდიდართა ერთი მუჭის მიერ არჩეული პირები, როგორც ეს დღემდე იყო“. „ქალაქის საბჭოს უფლება ჰქონდეს ადგილობრივ საჭიროებათა ფარგლებში თვითონ ანაწილებდეს ქალაქში შემოტანილ სასურსათო საგნებს. ქალაქის საბჭომ უნდა იზრუნოს, რათა სურსათი ქალაქში თანასწორად იქნეს განაწილებული. არ უნდა ეძლეოდეს ერთს ბევრი, მეორეს – ცოტა“. ძველი ქალაქის საბჭოში პრობლემებს სწორედ მრეწველებისა და ვაჭრების მეთაურობას აბრალებს: „ეცადეთ, რომ სოციალდემოკრატების უმრავლესობა იქნას არჩეული ქალაქის საბჭოში. მხოლოდ მაშინ შეეძლებათ მათ მთელი საქალაქო მეურნეობის ხელში აღება“.⁴

დიდი ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, ქალაქში გრანდიოზული წინასაარჩევნო მზადება იყო. ქალაქის სურათს კარგად გვიხატავს გაზეთი „ერთობა“ ივლისის ნომერში: „ჭადარა თფილისის ქუჩები და ეზოები არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა. მთელი ქალაქი არაჩვეულებრივ მოძრაობაში იყო მთელი კვირის განმავლობაში“.

ქალაქში მოსულს თვალში ეცემოდა მისი უცნაური მორთულობა: „პლაკატები“ და განცხადებები. ყველა პარტია, ყველა ჯგუფი ფერად-ფერადი დიდი განცხადებებით ამცნობდა მცხოვრებთ, რომ 30 ივლისისათვის დანიშნულია საქალაქო არჩევნები, ყველა პარტია დიდი ფერადი პლაკატებით ამცნობდა მცხოვრებთ თავის საარჩევნო ნომერს და მოუწოდებდა მისთვის მიეცა ხმა. ასეთი პარტიები და ჯგუფები კი თორმეტია. ყველანი ყოველ დღე ცე-

⁴ გაზეთი „ერთობა“, 1917, 8 ივნისი, №66.

ლიან, ყოველ დღე ახალი ფორმის განცხადებებს და პლაკატებს უშვებენ და აივსო ქალაქი ფერადი ქაღალდებით, ყველა სახლის კედელი, ბოძი, ტრამვაის ყველა ვაგონი, ყველა ავტომობილი, ეტლი და საერთოდ ყველაფერი მორთულია პლაკატებით. ქალაქი ემსგავსება ფერადი ქაღალდების მღელვარე ზღვას.

ქალაქში ყველა ფაცი-ფუცშია. საარჩევნო ბიუროებში ხალხი ბუზივით ირევა: ვინ საარჩევნო ბარათს ეძებს და მიაქვს, ვინ ხმაურობს, პროტესტს აცხადებს, რომ სიაში გამორჩენილა, ვინ ამა თუ იმ ბიულეტენს კითხულობს...

ყველგან, საზოგადო საკრებულოებში, თეატრებში, მოედნებზე, ბაღებში და ქუჩებში კრებები და მიტინგებია, ყველგან პარტიათა შორის ხელჩართული ბრძოლაა... ფურცლებს აღარ არიგებენ, ისვრიან დასტა-დასტათ მაღლა ხალხის თავზე, რაც იშლება ჰაერში და შემოდგომის ფოთლებივით ფარფატებენ...

წინასაარჩევნო მზადება ქალაქში დიდ დღესასწაულს ჰგავდა. ყოველი პარტია ყოველდღიურად ახალ რამეს იგონებდა ყურადღების მისაპყრობად. ორიგინალობასაც ცდილობენ“.

აქვე წერილის ავტორი იხსენებს 1911 წელს: „მაშინ ვერც კი მოვასწართ გამოქვეყნება სახმოსნო სიისა, პროვოკატორების მეშვეობით ის უმალ გაიგეს და მოხსნეს ამხანაგები: ჩხენკელი, გოგუა, სხვები და გაგზავნეს როსტოვში, დაგვფანტეს იქეთ-აქეთ. მაგონდება 1912 წელიც, მეოთხე დუმის არჩევნები! დღეში ორჯერ ვიცვლიდით სახეს, ტანისამოსს... მაგრამ ბოლოს მაინც ჩავარდით ბევრი“.⁵

1917 წლამდე როცა საქართველო რუსეთის კოლონია იყო ამგვარ საარჩევნო პირობებზე ვერც იოცნებებდნენ. არჩევნებმა დემოკრატიულ პირობებში ჩაიარა. ყველას შეეძლო თავისი აზრის და პოზიციის თავისუფლად გამოხატვა.

1917 წლის არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა, მართალია, ადრინდელზე გაცილებით მეტი ხმა მიიღო, საქალაქო სათათბიროში 30-მდე ხმოსანი გაიყვანა, მაგრამ უმრავლესობა მაინც ბურჟუაზიას დარჩა. თბილისის ახალ სათათბიროში ჩამოყალიბდა

⁵ გაზეთი „ერთობა“, 1917, 20 ივლისი, №110.

სამი ძირითადი ფრაქცია – სოციალ-დემოკრატიული, დაშნაკების და ესერების. ისინი გაბატონდნენ საქალაქო გამგეობაშიც.

თბილისის საქალაქო თვითმმართველობის რეორგანიზაცია ფაქტი გახდა. მუნიციპალიტეტის უფლება-კომპეტენცია საგრძნობლად გაფართოვდა. მის უწყებაში გადავიდა ადგილობრივი ადმინისტრაცია, მილიცია, სასამართლო, ყველა ადგილობრივი მასშტაბის სამეურნეო საქმეები და მათ შორის სასურსათო საქმეც, მაგრამ ეკონომიურ-ფინანსური კრიზისის პირობებში თვითმმართველობას უჭირდა ამ გაზრდილ მოვალეობათა შესრულება.

4 აგვისტოს ჩატარდა თფილისის ახლადარჩეული საბჭოს კერძო თათბირი. თათბირს სამოცამდე ხმოსანი ესწრებოდა. თათბირი ქალაქის თავმა ალექსანდრე ხატისოვმა გახსნა. თავმჯდომარედ დაასახელეს ნოე რამიშვილი. კერძო თათბირი ითვალისწინებდა წვრილი პრაქტიკული საკითხების გადაჭრას. მართალია, სხდომა დახურული უნდა ყოფილიყო, მაგრამ პრესის წარმომადგენლებს მაინც მისცეს დასწრების უფლება.

სხდომაზე განიხილეს საქალაქო დებულების ზოგიერთი მუხლი, გადაჭრეს რამდენიმე პრაქტიკული საკითხი, დაიგეგმა მომავალი პირველი სხდომის დღის წესრიგი: 1) ქალაქის თავის განცხადება; 2) ფრაქციების დეკლარაცია; 3) პრეზიდიუმის არჩევა; 4) სხვადასხვა საკითხი (სარაიონო საბჭოები, მილიცია, ბინის საკითხი, ტრამვაი, საბჭოს მოწყობა და სხვა).⁶

თბილისის, ისევე როგორც რამოდენიმე სხვა ქალაქს (ქუთაისი, ფოთი, ბათუმი, ახალციხე, გორი), თვითმართვის საკმაოდ გამოცდილება გააჩნდა და ისინი ახალ პირობებშიც, შეიძლება ითქვას, ინერციით აგრძელებდნენ პრაქტიკულ საქმიანობას. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური სირთულეების, გარდამავალი პერიოდის მიუხედავად, სანიმუშო იყო თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ენთუზიაზმი, აგრეთვე მისი მუშაობის გამჭვირვალობა და დემოკრატიის ხარისხი. ყველა

⁶ საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 192, ანაწერი 4, საქმე 120.

საკითხი შექდებოდა პირადი ხასიათის საკითხებიც კი (მათ შორის პირადი შემადგენლობის ხარჯები), რაც ჩვენი რეალობისთვისაც კი სამაგალოთაა.

ქალაქის თვითმმართველობის წინაშე ამოცანად იდგა სასურსათო კრიზისის მოგვარება, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის ფონზე სულ უფროდაუფრო მწვავედებოდა. ქალაქის საბჭო ყველა ღონეს ხმარობდა პრობლემის მოსაგვარებლად: ებრძოდა სპეკულაციას, მოაწყო უფასო მუნიციპალური სასადილოები, ცდილობდა დაერეგულირებინა სურსათზე ფასები...

თბილისის ქალაქის თვითმმართველობამ რამდენიმე სავალდებულო დადგენილება გამოსცა აღნიშნული საკითხის ირგვლივ, მაგალითად: 1918 წლის 1 თებერვლიდან პური გაიცემოდა მხოლოდ საბინაო კომიტეტებზე; აგრეთვე მნიშვნელოვან პრობლემად რჩებოდა ქალაქში საბინაო საკითხი. იმდენად პრობლემას წარმოადგენდა საცხოვრებელი ფართი, რომ ხშირ შემთხვევაში მოსახლეობა გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდა, სადაც მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობებიც კი არ იყო. ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული კუთხითაც ცდილობდა ღონისძიებების გატარებას. თბილისის ქალაქის თვითმმართველობა ამ თემაზეც აცხადებდა რამდენიმე სავალდებულო დადგენილებას. ამ დროს ადგილობრივი თვითმმართველობა უფლებამოსილი იყო მოეხდინა კერძო ბინებისა და შენობების რეკვიზიცია (1917 წლის 16 ნოემბერი);

ამ მიზნით ყველა სამხედრო და საქალაქო დაწესებულებებს, ქალაქის სამმართველოს დადგენილებით, 1918 წლის 5 იანვრამდე ქალაქის სამმართველოს ბინების განყოფილებისათვის უნდა წერედგინა ცნობა დაკავებული ოთახების რაოდენობის შესახებ.

თბილისის ქალაქის სამმართველო აუწყებდა ყველას, რომ სასურსათო საკითხმა თბილისში მწვავე ხასიათი მიიღო. „თფილისში მომავალი მოქალაქეები არ უნდა იყვნენ დაიმედებულნი სურსათისა და ბინის შოვნაზე და ამიტომ უნდა ერიდონ ამ გაჭირვებას, რომელიც მათ მოელოთ თბილისში ჩამოსვლით.

ყველა მოქალაქეს, რომელიც არ არის იძულებული რაიმე უკიდურესი შემთხვევით თფილისში ჩამოვიდეს, ქალაქის თვითმმართველობა დაჟინებით ურჩევს ამ უკანასკნელთ ნუ ჩამოვლენ თფილისში“.⁷

ამას ყველაფერს ემატებოდა ქალაქში დამკვიდრებული არასტაბილურობის შეგრძნება და შიში. ქალაქის თვითმმართველობის ორგანოთა დადგენილებით ქალაქში უსაფრთხოების დაცვა გადაეცა თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. აღნიშნულის შესახებ მიმართვას თბილისის მცხოვრებთა მიმართ ხელს აწერდნენ: ქალაქის თავი ნ. ელიავა, ქალაქის თავის ამხანაგები მ. ნ. სმირნოვი და ა. ა. კალიუჟნი, აგრეთვე გამგეობის წევრები...

განსაკუთრებით პანიკამ მოიცვა ქალაქის მოსახლეობა თბილისში ამიერკავკასიის ფრონტიდან ჯარის ნაწილების საზამთროდ დაბინავების შესახებ ინფორმაციის გავრცელებითანავე.

ადგილობრივი თვითმმართველობა თავისი განცხადებებით ცდილობდა არ გავრცელებულიყო სიმართლეს მოკლებული ხმები. მოსახლეობას ამცნობდა, რომ ჯარი ფრონტიდან იგზავნება მხოლოდ საზამთროდ დასაბინავებლად და არა სხვა რაიმე მოსაზრებით.

ქალაქის სამმართველო იღებდა ყოველგვარ ზომებს, რომ მოსული ჯარი მოეთავსებინა ბინებში, რაც შეიძლება მცხოვრებთა ნაკლები შევიწროვებით, თავის მხრივ მოსახლეობას მოუწოდებდნენ, რომ ჩამოსულ ჯარს, როგორც მამულისთვის თავდადებულთ, შეხვედროდნენ თანაგრძნობით და შესაფერისი მასპინძლობა გაეწიათ. გასათვალისწინებელია, რომ საბინაო და სასურსათო კრიზისის ფონზე, როდესაც შეზღუდული, ხშირად დეფიციტური, იყო ბიუჯეტი, ჯარისკაცთა შენახვა, მათი ინვენტარით აღჭურვა დიდი ტვირთი იყო ქალაქისათვის.

თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივით,

⁷ საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 192, ანაწერი 4, საქმე 120.

1917 წლის სექტემბერში, თბილისში ჩატარდა ქალაქის თვითმმართველობების ყრილობა, რომელიც მიზნად ისახავდა შექმნილი ვითარების გამო ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

პრობლემის მოგვარებას, მდგომარეობიდან გამოსავალს ადგილობრივი თვითმმართველობები ერთმანეთის გვერდში დგომასა და ურთიერთგატანაში ხედავდნენ. განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ საზოგადოების ღარიბ ნაწილზე. „აბსოლიტური ნაკლებობა პირველ საჭირო საგნების – აუცილებლად თხოულობს მის სამართლიანად განაწილებას მცხოვრებთა შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში სპეკულაციის მთავარ მსხვერპლად ღარიბი ნაწილი გახდება, შეძლებული კლასები კი, მთელ ამ პირველ საჭირო ნივთებს ფულის საშუალებით ერთიანად ხელში ჩაიგდებენ.

აქედან წარმოსდგება სასურსათო საკითხი, ერთი მხრით, შოვნა ამ სურსათის, მეორე მხრით, მისი განაწილება დიდ ენერჯიას, შრომას და ამასთანავე შეკავშირებას მოითხოვს ქალაქებისაგან“.⁸

ქალაქის საბჭოში 1917 წლის 27 ნოემბრის სხდომაზე გამგეობის წევრმა მ. ნ. სმირნოვმა გააკეთა ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება გამგეობის ფინანსური მოქმედების გეგმის შესახებ. მოხსენების მთავარი თეზისები შემდეგში გამოიხატებოდა: „1. დღევანდელ რთულ პირობებში გარკვეულ და მტკიცე ფინანსიურ გეგმის შედგენა შეუძლებელია; ახლანდელი ფინანსები საგსებით დამოკიდებულია შემთხვევებზე; 2. იზრდება დეფიციტები და დავალიანება; 3. თფილისის ფინანსიური მდგომარეობა ისეთივეა, როგორც რუსეთის სხვა დიდი ქალაქების მდგომარეობა; 4. ფინანსიურ არეგ-დარეგასთან შეიძლება სამი გზით: ხარჯების შემცირებით, შემოსავლის გადიდებით და სესხით; 5. თფილისის ქალაქის თვითმმართველობამ უკვე შეამცირა რამდენადაც შესაძლებელი იყო, ხარჯები; 6. შემოსავლის გადიდება შეიძლება 1917 წლის 13 ოქტომბრის კანონის ძალით, რომელიც დემოკრატიულის თვალსაზრისით არ არის დამაკმაყოფილებელი, მაგრამ

⁸ გაზეთი „ერთობა“, 1917, 19 სექტემბერი, №149.

ამით მოხერხდება დეფიციტის ნაწილის დაფარვა. მომხსენებელი იძლევა საინტერესო ცნობებს სხვადასხვა ქალაქების და თფილისის ფინანსური მდგომარეობის შესახებ“.

მომხსენებლის აზრით, დღეს ფინანსების გასწორება მხოლოდ სესხით თუ შეიძლებოდა, ვინაიდან ყველა უბედურებებში ნაკლებ უბედურებად სესხი უნდა ჩათვლილიყო.

საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება და დაამტკიცა: დაწესებული იქნეს განსაკუთრებული გადასახადი გასართობებზე (თეატრები, პროუექტორები და სხვა).⁹

ზემოხსენებული პრობლემების ფონზე ქალაქის თვითმმართველობა ცდილობდა სხვადასხვა წერილმანი, საჭირობოროტო საკითხების გადაჭრას, ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, როგორცაა: ქალაქში განათების სწორედ განაწილება; პერიფერიული უბნების წყალმომარაგება; ღვინის აღმართზე ძველი სახლების აღება (1918 წლის იანვარი); კუკიის სასაფლაოსათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა; უპატრონო ძაღლების ლიკვიდაცია; ახალი ბაზრის მოწყობა; არტისტული საზოგადოების საზაფხულო კლუბის რეკვიზიციის შესახებ ლტოლვილთათვის (1918 წლის 2 აპრილის სხდომა), ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომელთათვის ხელფასზე დანამატების შესახებ; ინდივიდუალურად პირებზე /ან ოჯახებზე ერთჯერადი დახმარებების გაცემა; მუნიციპალური სასადილოების მოწყობა; ქალაქში ნავთის გამათბობლების ამუშავება; თბილისში ლტოლვილთათვის საერთო საცხოვრებლის მოწყობა; საკვებ პროდუქტებზე ფასების რეგულირება; ტელეფონით სარგებლობის გადასახადი და ასე შემდეგ.

წელიწადნახევრის განმავლობაში ქალაქის საბჭომ შეძლო თანამშრომელა და მისი საქმიანობა, სირთულეების მიუხედავად, არ შეფერხებულა. თუმცა სხვადასხვა გარემოება (საქართველოს ცაღკე სახელმწიფოდ გამოცხადება, ომი საქართველოსა და სომხეთს შორის) საბჭოს შემადგენლობაში შიდა დაპირისპირებები და წინააღმდეგობები გამოიწვია, რაც პირველ რიგში

⁹ გაზეთი „ერთობა“, 1917, 29 ნოემბერი, №207.

აისახა ქალაქის საბჭოში. განსაკუთრებით უმოქმედო აღმოჩნდა საქალაქო სათათბირო ბოლო სხდომებზე, როდესაც სათათბიროში შიდადაპირისპირებების ფონზე არცერთი საკითხი აღარ წყდებოდა. უზომოდ გაწეილი სხდომები მხოლოდ კამათს, დებატებს, ურთიერთბრალდებებს ეთმობოდა და ვერცერთი გადაწყვეტილების მიღება ვერ ხერხდებოდა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე ვერ მოხერხდა შექმნილიყო ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის საკანონმდებლო ბაზა. რუსეთის მთავრობამ, მართალია, შეადგინა ახალი საქალაქო დებულება, მაგრამ მის ამოქმედებამდე მთელ სახელმწიფოში მოხდა ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალება. რუსეთი ფაქტობრივად დაიშალა. რომანოვთა იმპერიის ნანგრევებზე რამდენიმე ეროვნული სახელმწიფო ჩამოყალიბდა. ყველა თავისებურად ცდილობდა მართვა-გამგეობის სისტემის რეორგანიზაციას. ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების უფლება – კომპეტენციის გამიჯვნას.

ამიერკავკასიის მომენტალურმა რესპუბლიკამაც გააგრძელა სარეფორმო საქმიანობა, მაგრამ მაინც ვერ შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის საკანონმდებლო ბაზა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობა ინერციით განაგრძობდა თავის საქმიანობას. საქართველოს დედაქალაქის თვითმმართველობა ყველაზე ასაკოვანი იყო, იგი აძლევდა ტონს სხვა ქალაქების მუშაობას. თბილისის მუნიციპალიტეტის გამოცდილებას საკმაოდ წარმატებით იყენებდნენ სხვა ქალაქები და მუნიციპალიტეტები.

1917 წლის ივნისის არჩევნების შემდეგ ქალაქის საბჭოში დემოკრატიულ ძალთა მომრავლების, დიდი გეგმებისა და სურვილების მიუხედავად, ქალაქის თვითმმართველობამ ვერ შეძლო ქალაქში მნიშვნელოვანი რეფორმები გაეტარებინა, არსებითი ცვლილებები მოეხდინა მის ცხოვრებაში.

მაკა კვარაცხელია – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული
უნივერსიტეტის დოქტორანტი

თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ხმოსანთა 1919 წლის არჩევნები

1917 წლის ივნისში არჩეულ თბილისის საქალაქო სა-
თათბიროს უფლება-მოხილებების ვადა 1918 წლის 31 დეკემბერს
უთავდებოდა. ორიოდე თვით ადრე დაიწყო მზადება ახალი
არჩევნებისათვის. ამ ხნის განმავლობაში სოციალ-პოლიტი-
კურ ძალთა განლაგება საგრძნობლად შეიცვალა. საქართვე-
ლოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოქალაქეობის შესახებ,
რომლის მიხედვით საარჩევნო ხმის უფლებას კარგავდა ის
თბილისელი, რომელსაც არ ჰქონდა მიღებული საქართველოს
მოქალაქეობა. თბილისელი რუსები, აგრეთვე სომხები, ბოიკო-
ტით შეხვდნენ მოქალაქეობის კანონს, არჩევნების ახალ წესს,
დიდი სიძნელეები შექმნეს მომავალი სათათბიროს მუშაობაში
და ახალი არჩევნების ჩატარებაშიც.

ქალაქის საბჭოს 1918 წლის 4 ნოემბრის სხდომაზე, რომელ-
საც ალექსანდრე ლომთათიძე თავმჯდომარეობდა, მოისმინეს
საარჩევნო კომისიის მოხსენება. მელ. რუსუას მოხსენებით
საარჩევნო კომისიას სულ ორი სხდომა ჰქონდა ჩატარებული.
პირველ სხდომაზე კომისიამ აირჩია პრეზიდიუმი და მოისმი-
ნა მოხსენება ქალაქის მდივნის არჩევნების შესახებ. „კომისიამ
იქონია მსჯელობა თუ რა ფუნქციები დაეკისროს: იყოს აღმას-
რულებელი ორგანო, თუ მხოლოდ საარჩევნო მოსამზადებელი
ფუნქციებით განსაზღვროს თავისი მოქმედება“. კომისია თავის
მოხსენებაში განიხილავდა ქალაქის ხმოსანთა არჩევნების დე-

ბულების მუხლებს და წინადადებით გამოდიოდა შეცვლილიყო აღნიშნული დებულების პროექტში რიგი მუხლებისა, რომლებიც შესაბამისობაში მოვიდოდა დამფუძნებელი კრების არჩევნების კანონპროექტთან: „დამფუძნებელ კრების არჩევნებში ჯარს მხოლოდ პასიური საარჩევნო უფლება ეძლევა. ასეთივე ცვლილება უნდა შევიტანოთ ქალაქის არჩევნებისათვის, აგრეთვე კომისიის აზრით თბილისი უნდა დაიყოს 40 საარჩევნო უბნათ. ქალაქის საბჭო უნდა ირჩეოდეს ორი წლის ვადით. ყველა ეს ცვლილება უნდა შესაძლებელია საქართველოს პარლამენტმა ორ კვირაში განიხილოს და ამგვარად არ შეფერხდეს არჩევნები“.

საქართველოს პარლამენტმა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ 1919 წლის 17 დეკემბერს მიიღო დებულება „ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა არჩევნებისა, რომელიც შეიქმნა შინაგან საქმეთა სამინისტრომ და წარმოადგენდა რუსეთის დროებითი მთავრობის 1917 წლის 15 აპრილს გამოცემული დებულების თარგმანს, გარკვეული შესწორებებითა და დამატებებით, რაც შეესაბამებოდა საქართველოს პირობებს და პარლამენტის მიერ მიღებულ „დამფუძნებელი კრების არჩევნების“ დებულებას (1918 წლის 22 ნოემბერი), საიდანაც მთლიანად გადმოტანილი იყო მე-5 მუხლი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა 1918 წლის 11 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს მოკლე წინასისყვაობით წარუდგინა „ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა არჩევნების“ დებულება დასამტკიცებლად, სადაც განმარტავს, რომ ქალაქ თბილისის ხმოსანთა რიცხვის 120-დან 90-მდე შემცირება განპირობებულია „ძალთა ეკონომიით“.¹

დებულება 37 მუხლისგან შედგებოდა. ქალაქის საბჭოს ხმოსნები ირჩეოდნენ ორი წლის ვადით. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა,

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1836 (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტი), ანაწერი №1; საქმე №157, ფურცელი 3.

რომელსაც საარჩევნო სიის შედგენის დაწყებამდე შეუსრულდებოდა 20 წელი, ცხოვრობდა ან საქმიანობდა აღნიშნულ ქალაქში; არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მოკლებულნი იყვნენ: ბერ-მონაზონნი, უნარშეზღუდული პირები; საარჩევნო უფლება არ ჰქონდათ სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ პირებს...

ხმოსნად შეიძლებოდა არჩეული ყოფილიყო ყველა, გარდა იმ პირისა, რომელსაც ხმის მიცემის უფლება ჰქონდა, ისეთიც, რომელიც ქალაქში არ ცხოვრობდა და არ იყო დაკავშირებული თავისი საქმიანობით ქალაქთან, მაგრამ აკმაყოფილებდა არჩევნებში მონაწილეობისათვის სხვა საჭირო პირობებს.

თითოეული ქალაქი წარმოადგენდა ერთ საარჩევნო ოლქს. საარჩევნო სიებს ადგენდა ქალაქის გამგეობა; დებულებით აგრეთვე განსაზღვრული იყო: საარჩევნო სიების გამოქვეყნების წესები; სიების გასაჩივრების, შესწორების და შემდგომი პროცედურები; არჩევნების დრო; ხმოსანთა კენჭისყრის წესი; ქალაქის საარჩევნო კომისიის შექმნის პირობები; არჩევნების ჩატარების წესი და პროცედურა; არჩევნებზე ზედამხედველობის საკითხები; ხმების დათვლის წესი და პროცედურა; ხმოსანთა სიის შედგენა; არჩევნების შედეგების გასაჩივრების წესი და სხვა საკითხები.

საარჩევნო წესების სხვა დაწერილებითი მხარე, რომელიც ვერ იქნებოდა აღნიშნული დებულებით, განიმარტებოდა შინაგან საქმეთა მინისტრის ცალკე დადგენილებით.

დებულებაში მცირედი შესწორებები შევიდა 1919 წლის 14 და 18 იანვარს საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის მიერ მიღებული კანონით „ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა საარჩევნო დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ“, შეიცვალა მუხლები ამომრჩეველთა სიების შედგენის, სიების შესწორების წესის შესახებ.²

ქალაქი წელიწადნახევრის შემდეგ კვლავ აქტიურად ჩაება წინასაარჩევნო პროცესში. მითუმეტეს ეს ორმაგი მზადება იყო, როგორც საქალაქო და ასევე დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის.

² საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. თბილისი, 1990.

პერიოდული ორგანოებიდან წინასაარჩევნო პროცესში ისევ აქტიურად იყო ჩართული გაზეთი „ერთობა“. გაზეთი „ერთობა“, მართალია, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანო იყო, მაგრამ ის ერთადერთი გაზეთი გახლდათ, რომელიც ინტენსიურად ეხმიანებოდა ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნებს, განსაკუთრებით 1919 წელს, როდესაც ყველა პერიოდული ორგანო გადართული იყო დამფუძნებელი კრების არჩევნებზე.

გაზეთი „ერთობა“ კვლავ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საარჩევნო სიების სამართლიანად შედგენას, საარჩევნო აღწერას, რომლის შესახებ დარღვევებსა და უსამართლო ცქევეებზე პერმანენტულად იწერებოდა გაზეთის ფურცლებზე, მიანიშნებდა ქალაქის თვითმმართველობას კონკრეტულ დარღვევებზე, ცალკეულ შემთხვევებსაც კი აქვეყნებდა და ქალაქის ადგილობრივ თვითმმართველობას მოუწოდებდა ხარვეზების გამოსწორებას.

დიდი ყურადღების მიუხედავად, მოსახლეობის აღწერა სრულყოფილად ვერ მიმდინარეობდა. „ქალაქ თფილისის მცხოვრებთა საარჩევნო აღწერა უკვე დასრულდა, მაგრამ ამ აღწერამ ვერ გამოიღო შესაფერისი ნაყოფი: დიდი ნაწილი ამომრჩევლებისა აუწერელი დარჩა“, – წერს უკვე 1919 წლის 5 იანვრის ნომერში გაზეთი „ერთობა“. „სამწუხაროდ, ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტს კარგად ვერ უსარგებლია წარსული გამოცდილებით და ამ საარჩევნო აღწერას დიდი დეფექტები და უსისტემობა აღმოაჩნდა; აღწერის სწორად ჩატარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საარჩევნო აღწერის სისტემას და შესაფერ და მომზადებულ აღმწერლების გამონახვას“. მოსახლეობის აღწერას ქალაქის თვითმმართველობა აწარმოებდა, რომელსაც არ ჰქონდა პარტიული მუშაობის, პოზიციის გამოხატვის უფლება. გაზეთი კი ამხვეილებდა ყურადღებას აღმწერლების მხრიდან კონკრეტულ დარღვევებზე. როგორც ერთი პოლიტიკური შეხედულების ამომრჩეველთა აღწერის შემთხვევებზე, აღმწერლების მოუმზადებლობასა და უცოდინრობაზე, აგრეთვე უპასუხისმგებლობაზე, რამეთუ მათი დაუდევრობით ქალაქის ზოგიერთი ქუჩის მაცხოვრებლები საერთოდ არ შეუტანიათ სიაში. გაზეთის რედაქცია ქალაქის თვითმ-

მართველობას ავალდებულებდა მიეღო ზომები და დაუყოვნებლივ გამოესწორებინა აღნიშნული ხარვეზები.³

აღნიშნული თემა გახდა ქალაქის სათათბიროში განსახილველი საკითხი 1919 წლის 15 იანვრის სხდომაზე: სხდომაზე მოისმინეს ქალაქის თავის მოხსენება, რომელმაც, თავის მხრივ, შეაჯამა გამგეობის მიერ მომზადებული მასალა ამომრჩეველთა აღწერის შესახებ. მისი დასკვნით, აღწერაში დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად, რომელსაც არ გამორიცხავს, ქალაქს მზად ჰყავს 14 წყება აღმწერლებისა, რომელთა მეშვეობითაც დეფექტები შესწორებული იქნება.

ამჯერად საარჩევნო სიაში შეტანილი იყო 65 ათასი ამომრჩეველი და აგრეთვე 19 ათასამდე სადავო ხმა, რომელიც კომისიის მიერ განხილვის პროცესში იყო. 1917 წლის არჩევნებში კი მონაწილეობა 117 ათასმა ამომრჩეველმა მიიღო, „მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ „ზემგორის“ საერობო კავშირს და სხვადასხვა დაწესებულებათა მოსამსახურეთ და ჯარს, რომლებიც მაშინ იღებდნენ მონაწილეობას არჩევნებში, ახლანდელი ამომრჩეველების რიცხვი სწორი იქნება. ქალაქი ამაზე მეტ ამომრჩეველს ვერ მოგვცემს“.

მოხსენების მერე გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ხმოსნები: არსენიძე, ჭიაბრიშვილი, გეაშტეინი, ხანდანოვი, გოთუა, იაგჯიანი და სხვა. კადეტები, ესერები და დაშნაკელები მოითხოვდნენ არჩევნების დანიშნულ დროზე მოხდენას. საბჭოს წარედგინა სათანადო რეზოლუციები, რომელთაგან არც ერთი არ იქნა მიღებული ხმის უმეტესობით.⁴

აღსანიშნავია, რომ საქალაქო არჩევნებისათვის გენერალ-გუბერნატორმა სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომლის საფუძველზე არჩევნებთან დაკავშირებით ქალაქში ნებადართული იყო ყოველგვარი ღონისძიება: მოქალაქეთა თათბირები, შეკრებები, აქციები და სხვა...

³ გაზეთი „ერთობა“, 1919, 5 იანვარი, №4; 10 იანვარი, №6.

⁴ საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 192, ანაწერი 4, საქმე 125.

გუბერნატორი ავალებდა მილიციის მოხელეებს არავითარ შემთხვევაში არ შეეშალათ ხელი აღნიშნული ღონისძიებებისათვის, არ ჩაბმულიყვნენ მასში ან არ მიეღოთ რაიმე მონაწილეობა.⁵

ეს მნიშვნელოვანი იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ სულ რაღაც ორი თვით ადრე ქალაქში გამოცხადებული იყო სამხედრო წესები. ქალაქში იკრძალებოდა ყრილობები, მიტინგები, ქუჩაში შეკრება, მანიფესტაცია, ქუჩებში სიტყვის წარმოთქმა და სხვა. ლექციების და რეფერატების კითხვაც კი მხოლოდ გენერალ გუბერნატორის ნებართვით იყო შესაძლებელი.

საქართველოს პარლამენტმა 1919 წლის 14 იანვარს მიიღო კანონპროექტი, რომლის საფუძველზე ქალაქის თვითმმართველობის არჩევნები უნდა ჩატარებულიყო არა უგვიანეს ერთი თვისა იმ დღიდან, როდესაც ქალაქის საბჭოებს მოქმედებას ვადა დაუმთავრდებოდა. რუსეთის დროებითი კანონის ძალით კი როგორც ავღნიშნეთ ეს ვადა 1919 წლის 1 იანვარს იწურებოდა, შესაბამისად არჩევნები უნდა ჩატარებულიყო არაუგვიანეს თებერვლის პირველი რიცხვებისა.

ქალაქის თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიას დაემთხვა 1917 წელს არჩეული ქალაქის სათათბიროს რამოდენიმე სხდომა, რომელზეც განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა, შიდა დაპირისპირებებისა და განსხვავებული მიზნების გამო, ხმოსანთა უუნარობა და უსუსურობა. „ქალაქის საბჭოს შემადგენელი ელემენტები ისე აუძღურებენ ერთმანეთს, რომ საბჭო ერთ ადგილზე გაყინული დგას, უძრავი გამხდარა და უბრალო საქმესაც კი ვერ აკეთებს“. სოციალ-დემოკრატები აღნიშნულ მდგომარეობას იმ ხმოსნებს აბრადებებდნენ, რომელთაც ეროვნული თვითშეგნება არ ამოძრავებდათ, „ვერ ურიგდება საქართველოს დამოუკიდებლობას და ცდილობს ქალაქის თვითმმართველობა გამოიყენოს ამ დამოუკიდებლობის ძირის გამოსათხრელად. იგი ცდილობს ქალაქის თვითმმართველობა გადააქციოს პოლიტიკურ იარაღად საქართველოს რესპუბლიკასთან საბრძოლველად, მის დასასუსტებლად...“ აღნიშნულ საკითხს თავის წინასაარჩევნო

⁵ გაზეთი „ერთობა“, 1919, 7 იანვარი, №5.

აგიტაციაშიც ხშირად იყენებდნენ სოციალ-დემოკრატები. ისინი მოუწოდებდნენ მოსახლეობას გამოეცნოთ პარტიების გულწრფელი მოწოდებები, რამეთუ „დღევანდელ პირობებში დემოკრატიის მტერია ყოველი ის პარტია, რომელიც არ ცნობს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას“.⁶

ქალაქის საბჭოს ბოლო სხდომები ნათელი მაგალითი იყო, თუ რამდენად დამლუპველი იყო შიდადაპირისპირებები, შუღლი, მტრობა. საბჭოს სხდომებზე გატანილი მთელი რიგი საკითხებიდან, ვერცერთი საკითხის გადაწყვეტა ვერ ხერხდებოდა. დროში უსაშველოდ გაწელილ სხდომებზე მხოლოდ დებატებს და კამათს უნდებოდნენ...⁷

საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 14 იანვრის კანონით მიიღეს წესი „ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანოებში ენის ხმარების შესახებ“, რომლის შესაბამისად მსჯელობა, საქმის წარმოება და მიწერ-მოწერა ქალაქ თბილისის საბჭოში, ისევე როგორც სხვა ქალაქის და ერობის თვითმმართველობაში წარმოებს სახელმწიფო ენით.⁸

სოციალ-დემოკრატიის წინასაარჩევნო პროგრამა დიდად არ შეცვლილა. ეს პარტია აღთქმა-დაპირებებს არ იშურებდა და მოქალაქეებს მოუწოდებდა ხმა მიეცათ მათი 1 სიისათვის. თბილისის საქალაქო საბჭოს (ახალ საქალაქო დებულებაში საქალაქო სათათბიროს ნაცვლად დაფიქსირდა საქალაქო საბჭო) არჩევნებში ხმოსნობის კანდიდატთა თავისი სიებით გამოვიდნენ ეროვნული დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები. გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია წერდა, რომ ნამდვილი ეროვნული პოლიტიკის გატარება მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატებს შეუძლიათ და ყველა პატრიოტმა ხმა მათ კანდიდატებს უნდა მისცეთ. გაზეთის რედაქცია ბრალს სდებდა სოციალ-დემოკრატებს ყალბად გაგებულ ინტერნაციონალიზმში. იმის ნაცვლად,

⁶ გაზეთი „ერთობა“, 1919, 16 იანვარი, №11.

⁷ საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალრი საისტორიო არქივი, ფონდი 192, ანაწერი 4, საქმე 129, ფურცელი 1-14.

⁸ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. თბილისი, 1990.

რომ ქალაქი სომხებისაგან გაწმინდონ, მათი წარმომადგენლები ხმოსნების კანდიდატთა სიაში შეაქვთ, სომხური ბურჰუაზიის პოზიციების განმტკიცებაზე ზრუნავენო.⁹

გაზეთი „ერთობა“, თავის მხრივ, ასე ახასიათებს საქალაქო არჩევნებში მონაწილე პატიებს: „ჩვენი ბურჰუაზია იმდენად უსუსურია, რომ მან ჯერ კიდევ ვერ მოაწყო პოლიტიკური პარტია. ამის დამამტკიცებელია ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამა და ტაქტიკა. ამ პარტიაში სულ უკანასკნელ დრომდე თავსდებოდნენ ერთმანეთის გვერდით ერთის მხრივ ვაჭრების წარმომადგენლები და მეორეს მხრივ მემამულე თავადთა იდეოლოგები. და მხოლოდ პირად კინკლაობის ნიადაგზე აღმოცენდა ის განხეთქილება, რომელმაც ეს პარტია ორად გააყო: ეროვნულ-დემოკრატიულ (გვაზავა, კედია და სხვა) და ეროვნულ პარტიად (ვეშაპელი, გაბაშვილი). კედია-გვაზავას პარტია ფეოდალურს უწოდებს ვეშაპელ-გაბაშვილის პარტიას, ხოლო ეს უკანასკნელი პირველს სპეკულიანტთა პარტიად თვლის. ეს დახასიათება საუკეთესო მაჩვენებელია ამ პარტიების უნიადგობისა ჩვენში“.

უმნიშვნელოა განსხვავება სოციალისტ-ფედერალისტთა და სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის შინაარსსა და წინასაარჩევნო პლატფორმაში. „იმ დროს როცა ჩვენ რუსეთის დემოკრატიასთან ერთად ვაძლიერებდით საქართველოს დემოკრატიათ, ესენი „მამაო ჩვენოსავით“ იმეორებდნენ ავტონომიას, არ სურდათ გაეგოთ, რომ შექმნილი მდგომარეობის მიხედვით შესაძლოა ავტონომიაზე შორს წასვლა და სრული დამოუკიდებლობისათვის მხარის დაჭერა. დღეს უკვე ფაქტია ეს დამოუკიდებლობა, რიმელსაც ჩვენ ვიცავთ. ამ გარემოებას თვითონ ფედერალისტებიც კი ვერ უარყოფენ დღეს. რაც შეეხება მათს სოციალიზმს, ეს გამოიხატება სოციალიზაციის უმწყო გამომზეურებაში. ცხადია, ფედერალისტებს დღეს ხალხთან მისასვლელი პირი არ აქვთ“.¹⁰

სოციალ-დემოკრატთაგან გამოყოფილმა პარტიამ, რომელიც

⁹ გაზეთი „საქართველო“, 1919, 24 იანვარი.

¹⁰ გაზეთი „ერთობა“, 1919, 30 იანვარი, №23.

რუსეთის სოციალ-დემოკრატთა მუშათა პარტიის სახელით გამოდიოდა, შემდეგი პროგრამა წარმოადგინა: 1. მოქალაქეობის კანონის გადასინჯვა (რომელიც თვითმმართველობის კომპეტენციას არ განეკუთვნება), 2. მილიცია, საგანგებო რაზმი და შინაგან საქმეთა მინისტრი „რომ ეს ორგანოები მათი გუნებისათ იყოს მოწყობილი, ხელს ვერაფერს შეუშლიდა საქართველოსთვის ძირის გამოთხრაში და მისი დემოკრატიის დასამარებაში“ და 3. ნაციონალიზაცია, ე. ი. სახელმწიფო ენის შემოღება დაწესებულებებში. თუმცა სოციალ-დემოკრატები კრიტიკულად აფასებდნენ მათ წინასაარჩევნო აგიტაციას და ყველა პუნქტში ამხედლდნენ მათ. „სანამ რუსული სახელმწიფოებრიობა იყო და დაწესებულებები რუსულ ენით აწარმოებდნენ საქმეებს, ამ ჯგუფის წევრებს ერთხელაც არ მოგონებიათ, არც ნაციონალიზაცია, არც ეროვნებათა ინტერესები, არც მოთხოვნილებანი დემოკრატიისა. ახლა კი, როცა სახელმწიფო ენათ ქართული ენა გახდა, ე.ი. ენა ოთხიმეხუთედი მაცხოვრებლების – ეს ვაჟბატონები შეძრწუნდნენ და გაიხსენეს პრინციპი ენათა თანასწორობისა“.¹¹

თბილისში ჯერ კიდევ გარკვეული რაოდენობით რჩებოდნენ რუსეთის ესერთა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის წევრები და სომეხი დაშნაკები. მაგრამ მათ ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნებს. ამას ჰქონდა სოციალურ-პოლიტიკური სარჩული; მას შემდეგ, რაც ჯარმა ქალაქი დატოვა, ბოლო ადგილზე დარჩენილმა რუსმა მოხელეებმა საქართველოს მოქალაქეობა არ მიიღეს, ესერთა პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციამ საქალაქო საბჭოში ხმოსნების არჩევის შანსი დაკარგა. თითქმის ასეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდა დაშნაკთა პარტია; იგი ბოიკოტის ტაქტიკაზე დააყენა იმ ფაქტმა, რომ სომეხ-ქართველთა ომის დროს სომეხი მოსახლეობის საგრძნობმა ნაწილმა თბილისი დატოვა, ადგილზე დარჩენილთაგან კი ბევრმა საქართველოს მოქალაქეობა არ მიიღო, რის გამოც საარჩევნო უფლება დაკარგა. ერთი სიტყვით, ესერებიცა და დაშნაკებიც თავის უძღურებას ბოიკოტის ტაქტიკით ფარავდნენ, ცდილობდნენ ჩაეშალათ

¹¹ გაზეთი „ერთობა“, 1919, 28 იანვარი, №21.

არჩევნები, დათმობაზე წაყვეანათ მთავრობა და ქართველი საზოგადოება.

დაშნაკელების პერიოდული ორგანო „პარაჩი“ ასაბუთებს ბოიკოტის ტაქტიკას ქალაქის არჩევნებში: „ამისთანა პირობებში, როცა ქალაქში რამდენიმე ათასი სომეხი დააპატიმრეს და მერე შეადგინეს სიები, არჩევნებში მონაწილეობის მიღება იქნებოდა ათი ათასობით სომეხი ამომრჩეველების უფლების დაკარგვა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თფილისის სომეხი მშრომელი ხალხი აქტიურ ბოიკოტს გაუკეთებს თვითმმართველობის არჩევნებს და თვითმპყრობელ სოციალ-პატრიოტებს გააწინავს იმ ზნეობრივ სილას, რომლისკენ ისინი ასეთი გულმოდგინებით ისწრაფოდნენ“.

გაზეთი „ერთობა“ პასუხობს ამ მოწოდებას 1919 წლის 24 იანვრის ნომერში. და განმარტავს, რომ „დაჭერილი იყვნენ ერევნელი სომხეთის ქვეშევრდომნი, ჩვენთან მეომარ სახელმწიფოს მოქალაქენი, მაგრამ მათ ხომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა ჰქონდათ და არც ახლა აქვთ. ცხადია მათი დაჭერით არავის დაჰკარგვია უფლება“.¹²

აღნიშნულ ბოიკოტს ესმიანება გაზეთი „ერთობა“ 1919 წლის 17 იანვრის ნომერში და კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოსახლეობას მონაწილეობა მიიღონ ქალაქის ხმოსანთა არჩევნებში: „ვინც არ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, ის დაშნაკელთა უნებური მონაწილეა, ის დემაგოგიის ხელის შემწეობია, ის მოქალაქეობრივ ვალის უარყოფელია“...¹³

თფილისის საბჭოს ხმოსანთა ამომრჩეველთა სიები 19, 20, 21, 22 და 1919 წლის 23 იანვარს ქალაქში 13 ადგილას გამოქვეყნდა (პირველი ვაჟთა გიმნაზია, მესამე ვაჟთა გიმნაზია, მანტაშევის ქარვასლა, პუშკინის ქალაქის სასწავლებელი, იმედის თავშესაფარი, ავლაბრის კლუბი, პირველი საკომერციო სასწავლებელი, ქალაქის სასწავლებელი პეტრე დიდის სახელით, სახალხო სახლი ზუბალაშვილებისა, ნაძალადევის თეატრი, რკინისგზის სას-

¹² გაზეთი „ერთობა“, 1919, 24 იანვარი, №18.

¹³ გაზეთი „ერთობა“, 1919, 17 იანვარი, №12.

წავლეველი, საბურთალოს კომისარიატი). პრესის ფურცლებიდან მოსახლეობას ინტენსიურად მოუწოდებდნენ გადაემოწმებინათ თავი სიებში, გამორჩენის შემთხვევაში კი გამგეობის მიერ დაწესებული წესით შეეცნათ თავი სიაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის, რომელიც საქართველოს პარლამენტის დადგენილებით 1919 წლის 14-16 თებერვალს ჩატარდებოდა, ამომრჩეველთა ახალი სიები არ შედგებოდა. მოსახლეობას აფრთხილებდნენ, თფილისის ქალაქის გამგეობის სპეციალური მიმართვით, ამის შესახებ და ამდენად ორმაგად პასუხისმგებლობას აკისრებდნენ მოსახლეობას, გადაემოწმებინათ თავი სიებში და გამორჩენის შემთხვევაში ზომები მიეღო.

1919 წლის 20 იანვარს ჩატარდა ქალაქის ტრამვაის მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის გამგეობის სხდომა, რომელზეც გამგეობამ გაარჩია ქალაქის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოტანილი პროტესტი ქალაქის საბჭოს და დამფუძნებელი კრების არჩევნების გამო და დაადგინა: 1) თავის მხრივ პროტესტი განეცხადებინათ ქალაქის მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის ამგვარი ანტიდემოკრატიული გამოსვლისა და დემოკრატიული საბჭოსადმი აშკარა მტრული დამოკიდებულებისათვის; 2) შეეწყვიტა ყოველგვარი კავშირი ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელ კომიტეტთან, არანაირი ანგარიში არ გაეწია ამ კავშირისათვის, მისი პოზიციის გამო; 3) და თხოვდა ქალაქის გამგეობას არ დაეკავშირებინათ ისეთი საკითხები, რომლებიც ტრამვაის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირს შეეხებოდა, ქალაქის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის აღმასრულებელი კომიტეტისათვის.¹⁴

1919 წლის 30 იანვარს ქვეყნდება საქალაქო არჩევნებისათვის მეორე რაიონის ნინო-წმინდის უბნის საერთო კრებაზე გამოტანილი რეზოლუცია: „ვიღებთ, რა მხედველობაში, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ საქართველოს

¹⁴ გაზეთი „ერთობა“, 1919, 22 იანვარი, №16.

დემოკრატია სწორი ხელმძღვანელობა გაუწია, გადაარჩინა საქართველო, როგორც გარეშე, ისე შინაური მტრისაგან, შეინარჩუნა და განამტკიცა რევოლუციის მონაპოვარი თავისუფლებანი, შექმნა უფლებრივი წესწყობილება და აგვირგვინებს ჩვენს დამოუკიდებლობას, ამიტომ სრული ჩვენი შეგნებით ხმას მივცემთ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას, როგორც ქალაქის, ისე დამფუძნებელი კრების არჩევნებში 1-ს“.

ამდენად, თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნებმა, რომელიც წინ უსწრებდა დამფუძნებელი კრების არჩევნებს, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა. მუნიციპალურ-სამეურნეო პრობლემები მეორე რიგში გადავიდა. ყველა თბილისელი ხვდებოდა, რომ ეს იყო საქართველოს სოციალ-პოლიტიკურ ძალთა განლაგების, მათი მზაობის, პირველი შემოწმება. „თბილისის არჩევნები პირველი გამოცდაა დემოკრატიისა, პირველი გარკვევაა ძალთა ურთიერთობისა დიდი მრავალმნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტების შემდეგ, რომელთა ისტორიული ფასი და ღირებულება ჯერ კიდევ ძნელი გასათვალისწინებელია“, – წერდა „ერთობის“ რედაქცია.

თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნები 1919 წლის 2 თებერვალს ჩატარდა. მასში ხმის უფლების მქონე თბილისელთა 51%-მა მიიღო მონაწილეობა.

თბილისში არჩევნებში ხმა მისცა სულ 35 366 ამომრჩეველმა. აქედან სოციალ-დემოკრატიულმა სიამ 1 - მიიღო 26 909 ხმა. გაიყვანა 69 ხმოსანი; ნაციონალ-დემოკრატებმა 2 – 3806 (10 ხმოსანი); სოციალისტ-რევოლუციონერებმა 3 – 141 (კერცერთი ხმოსანი), რუსეთის სოციალ-დემოკრატ პარტიის ჯგუფმა 4 – 440 ხმა (1 ხმოსანი); სოციალისტ-ფედერალისტებმა 5 – 2924 ხმა (7 ხმოსანი); მუსულმანთა ნაციონალურმა საბჭომ 6 – 6 ხმა (არცერთი ხმოსანი); ფედერალისტთა მაშვრალთა პარტიამ 7 – 418 ხმა (1 ხმოსანი); დამოუკიდებელმა ეროვნულ-დემოკრატებმა 8 – 398 ხმა (1 ხმოსანი); სახლის პატრონთა კავშირმა 9 – 306 (1 ხმოსანი).¹⁵

არჩევნებმა მტრულ გარემოში ჩაიარა. „საქართველოს და-

¹⁵ გაზეთი „ერთობა“, 1919, 5 თებერვალი, №28.

მოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი ორ რამეს შეტრფოდნენ, ერთი მხრით აბსენტიზმის მოლოდინი, მეორე მხრით სოციალ-დემოკრატიის დასუსტება“, არჩევნების დღეს თითქოს ბუნება და შექმნილი მდგომარეობა ხელს უწყობდა მათი იმედების გამართლებას. „დიდიდან დაწყებული თოვლ-ჭყაპი ხელს უშლიდა ჩაუცმელ, დაუხურავ მცხოვრებთ ქუჩაში გამოსულიყო თავის მოვალეობის ასასრულებლად. ათასგვარი სახადი, ტიფი, ისპანკა და სხვა სნეულებანი, რომელიც მოდებულია ქალაქში, და რომელიც გაცივების ნიადაგზე ერთი ორათ გაძლიერდება, აიძულებდა ბევრს თავის ოთახს არ გაშორებოდა“. იყო შემთხვევებიც, რაც კომისიის ოქმებშია აღნიშნული, რომ მთელი ოჯახი, დაავადყოფებული ითხოვდა მიეცათ მათთვის საშუალება არჩევნებში მონაწილეობისა, მაგრამ ფორმის დარღვევას კომისია ვერ თანხმდებოდა და უარს ეუბნებოდა.

ყოველივე აღნიშნულისა და ზემოთხსენებული პარტიების ბოიკოტის მიუხედავად, საარჩევნო ყუთებთან გამოცხადდა 51 პროცენტი ამომრჩევლებისა. „მართალია საერთო რიცხვი ამომრჩეველთა ახლა ნაკლებია ვიდრე დამფუძნებელი კრების არჩევნებში 1917 წელს ან ქალაქის არჩევნებში იმავე წლის ზაფხულში, მაგრამ მაშინ თფილისის საგსე იყო ჯარით და ზურგის მოსამსახურეთა დიდძალი არმიით, რომელნიც ყველანი იღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას“.¹⁶

შეიძლება ჩაითვალოს, რომ ქალაქ თბილისში ამომრჩეველი აქტიურობით გამოირჩეოდა. დიდი შეგნებით და ენერგიით ეკიდებოდა ქალაქის საქმეებს. ბოიკოტის მიუხედავად, თბილისის ამომრჩევლების აქტივობას თუ შევადარებთ ევროპის ქალაქთა მოსახლეობის აქტივობას მუნიციპალური არჩევნების დროს (სადაც ხშირად მეტ აბსენტიზმს აქვს ადგილი), დავრწმუნდებით, რომ თბილისელები დიდი პოლიტიკური ხალისით ეკიდებიან ქალაქის საქმეებს, დაინტერესებული არიან დედაქალაქის ბედით და თვით უძძიმეს პირობებშიც არ ტოვებენ ყურადღების გარეშე.

ერთი რამ აღსანიშნავია, რომ დაშნაკელების ბოიკოტის გამო,

¹⁶ გაზეთი „ერთობა“, 1919, 22 იანვარი, №16.

ქალაქის თვითმმართველობაში არ ეყოლება წარმომადგენლობა სომხის საზოგადოების ერთ მნიშვნელოვან ნაწილს, რომელმაც ამ პარტიის მოწოდებებს დაუჯერა, მაგრამ არჩევნებზე დიდი იყო აქტიურობა როგორც სომეხი მოსახლეობის, აგრეთვე სხვა ეროვნულ უმცირესობათა.

ქალაქის საბჭოს 1919 წლის 10 თებერვლის სხდომა უკვე ქართულ ენაზე წარიმართა. ქალაქის თავმა ნ. ზ. ელიავამ გახსნილად გამოაცხადა ახალარჩეული საბჭოს სხდომა და მიულოცა ხმოსნებს ის ნდობა, რომელიც მათ თფილისის მოსახლეობამ გამოუცხადა.

სხდომაზე კიდევ ერთხელ გაიხსენეს არჩევნები, ის ობიექტური გარემოებები, რის ფონზეც ჩატარდა არჩევნები. ქალაქის თავმა ნ. ელიავამ მოუწოდა ხმოსნებს არ დაეშვათ ძველი საბჭოს მიერ დაშვებული შეცდომები და ეფექტურად გაძლოდნენ ქალაქის საქმეებს. ხმოსნებმა ქალაქის დებულების თანახმად შემუშავებული ფიცი დადეს. ამავე საბჭოს სხდომაზე განისაზღვრა პრეზიდიუმის წევრთა ჯამაგირი და შემადგენლობა – ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე – ალექსანდრე ლომთათიძე და მდივანი ვ. ხახანაშვილი. ქალაქის მოურავის, მისი ამხანაგის და წევრების არჩევნები შემდეგი სხდომისათვის გადაიდო.¹⁷

1919 წლის 17 თებერვალს ახლად არჩეული საქალაქო სათათბიროს მეორე სხდომაზე, ხმოსნებმა ქალაქის თავად/მოურავად აირჩიეს ბენიამინ ჩხიკვიშვილი, „მოურავის ამხანაგად“ – გიორგი კონიაშვილი, გამგეობის წევრებად – პავლე მასალკინი, იოსებ ბესელიძე, კონსტანტინე პანიევი.

ამავე სხდომაზე ჩატარდა იმ კომისიების არჩევნები, რომელთა მოწვევა გადაუდებელი იყო ქალაქის მეურნეობის გარკვეული საკითხების გადასაწყვეტად (საბიუჯეტო-საფინანსო, სარევიზიო, სამეურნეო-სასურსათო, სარეკომენდაციო).¹⁸

¹⁷ საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 192, ანაწერი 4, საქმე 129, ფურცელი 15-20.

¹⁸ საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 192, ანაწერი 4, საქმე 129, ფურცელი 21-30.

1919 წლის 2 თებერვლის არჩევნებისათვის მზადებამ და თვით არჩევნებმა, წინააღმდეგობების მიუხედავად, წარმატებულად ჩაიარა. იმ სოციალურ ფონზე (შიმშილი, გაჭირვება, ავადმყოფობები) და პრობლემებში (გარკვეული ჯგუფების ბოიკოტი, პოლიტიკური გარემო, საბჭოს შიდა დაპირისპირებები) თბილისში საქალაქო არჩევნები წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, მოსახლეობის აქტიურობის 51% მაჩვენებელია, რომ ქალაქის მაცხოვრებელი, გაჭირვების მიუხედავად, ქალაქის გულშემატკივარია. იგი არასოდეს არ იყო დედაქალაქის მიმართ გულგრილი და ეს ტრადიცია გრძელდება. აქვე საგულისხმოა, რომ დაშნაკელების ბოიკოტის მიუხედავად ეს ფაქტი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ბოიკოტი ეროვნული კუთხით, რამეთუ საარჩევნო ურნებთან აქტივობა იყო, როგორც თბილისელი სომხების, აგრეთვე სხვა ეროვნული უმცირესობების მხრიდან. ეს იმას ნიშნავდა, რომ **არჩეულ საბჭოს სრული უფლება ჰქონდა ელიარებინა თავი ხალხის ნდობით აღჭურვილად, ხოლო ახალარჩეული საბჭოს პირველ სხდომაზე, თავის მხრივ, ნ. ელიაშვილმა აღნიშნა, რომ „ეს საბჭო არასოდეს არ აწარმოებს ანტინაციონალურ პოლიტიკას“.**¹⁹

¹⁹ საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 192, ანაწერი 4, საქმე 129, ფურცელი 15-20.

ბესიკ გაფრინდაშვილი – საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული
უნივერსიტეტის დოქტორანტი

ნიკორწმინდელი მღვდელმთავრები 1534-1822 წლებში

1534 წელს იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის (1510-1565) ინიციატივით, ახლადდაარსებულ ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად მანოელი იქნა დადგენილი. მანოელის ნიკორწმინდელად ხელდასმის თარიღთან დაკავშირებით სამეცნიერო წრეებში აზრთა სხვადასხვაობაა გამოთქმული. ნაწილი მეცნიერებისა მიიჩნევს რომ იგი 1534 წელს იქნა დადგენილი ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად (თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილი, მ. ბერძნიშვილი გ. გუგუშვილი და სხვ.), ნაწილი კი 1544 წელს ასახელებს (ს. კაკაბაძე, თ. ბერაძე, მ. მურუსიძე და სხვ.). აღნიშნულ აზრთა სხვადასხვაობას ბაგრატ III-ის მიერ ნიკორწმინდისათვის გაცემული სიგელის განსხვავებული დათარიღებები იწვევს, სადაც ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსებაზეა საუბარი (ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდებით).

მანოელი ნიკორწმინდელი მეფე ბაგრატ III-ისადმი ერთგულეობით გამოირჩეოდა. მეფე ბაგრატი თავის სიგელში მას „წმინდა და ღმერთშემოსილ“ პიროვნებად იხსენიებს: „მეფეთ მეფემან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან ელენე ვიგულისმოდგინეთ და ხელგაყავით აღშენებადა დაკინებულისა მონასტრისა ნიკოლწმიდისა და შეეკმენ საყდრადა და საეპისკოპოზოდა და დავადგინე და წმიდა და ღმერთშემოსილი ანგელოზთა მობაძავი მღვდელთ მთავარ ეპისკოპოზი წმიდა და მეუფე მანოელ.....“¹

¹ ს. კაკაბაძე. სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი. ტფილისი, 1912, გვ. 6.

მეფე ბაგრატ III-ის მიერ ნიკორწმინდის ტაძრის განახლების შესახებ საუბრობს თავად მანოელ ნიკორწმინდელიც: „ქ. ღვთივ გვირგვინოსანმან მეფემან ბაგრატ განაახლა და კიდით აღაშენა ეკლესია წმიდის მღვდელთმოძღვრის ნიკოლოზის მისდა სადღეგრძელოთ და გასამარჯვებლად..... იგულისმოდგინა თვით მპყრობელმან მეფემან და უძლეველმან ხელმწიფემან მონასტერი ესე ეკლესიად და დამადგინა მე განმგედ და ეფისკოპოსად უღირსი და ცოდვილი მღვდელ მთავარი მანოელ...“²

ზემოთ მოყვანილ დოკუმენტებში მოხსენიებული მანოელ ნიკორწმინდელი, თ. ჟორდანიას ვარაუდით ყოფილა.³ თ. ჟორდანიას გამოცემაში იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის სიგელი, სადაც შეიძლება იგივე მანოელ ჩხეტიძე იყოს, რომელიც 1529 წელს ხონელად დასვეს.⁴ არსებობს ვარაუდი, რომ მანოელი ხონელობამდე ქუთათელი მანოელის ნიკორწმინდელად ხელდასხმაზეა საუბარი, დათარიღებულია 1534 წლით: „.....დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისა მეოთხესა (ქორონიკონსა) :ს კ ბ: (1534) (თვესა) აგვისტოსა ცხრასა“.⁵ აღნიშნული დოკუმენტი ს. კაკაბაძის მიერაც იქნა გამოქვეყნებული სადაც “ქორონიკონსა :ს კ ბ:“ – ს (1534) დამატებული აქვს ათის აღმნიშვნელი “ი.” ასეთ შემთხვევაში ვღებულობთ არა 1534, არამედ 1544 წელს. „.....დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა მეოთხესა ქორონიკონსა : ს კ ი ბ:“ – (1544).⁶

ბაგრატ III იმერეთის სამეფო ტახტზე 1510 წელს ავიდა, აქედან გამომდინარე, მისი მეფობის მეოთხე ინდიკტიონი 1514 წელი გამოდის და შეუსაბამობაში მოდის აღნიშნული საბუთის 1534 და 1544 წლებით დათარიღებასთან. თ. ჟორდანიას ვარაუდით, დოკუმენტში აღნიშნული „მეფობისა ჩუენისა მეოთხესა“-

² ს. კაკაბაძე. სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი. ტფილისი, 1912, გვ. 4.

³ ს. კაკაბაძე. სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი. ტფილისი, 1912, გვ. 233.

⁴ თ. ჟორდანია. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. ტფილისი, 1897, გვ. 379.

⁵ ს. კაკაბაძე. სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი. ტფილისი, 1912, 38.

⁶ ს. კაკაბაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 8.

ს ნაცვლად, უნდა იგულისხმებოდეს „ოცდამეოთხესა“.⁷ ასეთ შემთხვევაში მანოელის ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად ხელდასხმის თარიღი 1534 წელი იქნება (1510 + 24 = 1534). ეს ვარაუდი უფრო მისაღები ჩანს. მანოელ ჩხეტიძეს ნიკორწმინდელი ეპისკოპოსის პატივი ბაგრატ III-ის გამეფებიდან ოცდამეოთხე წელს, ანუ 1534 წელს უნდა მიეღო.

მანოელ ნიკორწმინდელი ყოფილ ხონელ ეპისკოპოსს მანოელ ჩხეტიძედ მიიწინიეს გ. გუგუშვილმა და მ. მურუსიძემაც. უკანასკნელი მანოელის ხონიდან ნიკორწმინდაში გადაყვანის ფაქტს 1534 წლის ნაცვლად 1544 წლით ათარიღებს.⁸

მანოელ ჩხეტიძე არც ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე დარჩენილა დიდხანს. როგორც ირკვევა, ის ნიკორწმინდიდან აწყურში გადასულა. ამ ფაქტს მოწმობს ერთ-ერთი მინაწერი: „ჩხეტიძესა მანოელსა მაწყურელსა დღეგრძელობით ცოდვანი მათნი შეუწდნეს ღნ (ღმერთმან)“.⁹ ე. თაყაიშვილი ვარაუდობდა, რომ ეს მინაწერი იმერეთის მეფის გიორგი II-ის მეფობის დროს შესრულდა 1548-1585 წლებში.¹⁰ დიდი მეცნიერი ეყრდნობოდა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას, რომლის მიხედვით ბაგრატ III 1548 წელს გარდაიცვალა და იმავე წელს ტახტზე მისი ძე – გიორგი II ავიდა. თანამედროვე სამეცნიერო წრეებში ბაგრატ III-ის გარდაცვალების თარიღად 1565 წელია მიჩნეული. ზემოთ მოყვანილი მინაწერი არა გიორგი II-ის (1565-1584), არამედ მისი მამის – ბაგრატ III-ის მეფობის პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. საფიქრებელია, რომ მანოელ ჩხეტიძის ნიკორწმინდიდან აწყურში გადაყვანა ბაგრატ III-ის ინიციატივით მოხდა.

1535 წელს მურჯახეთთან ბრძოლაში ბაგრატ III-მ დაამარცხა სამცხის ათაბაგი ყვარყვარე ჯაყელი და სამცხე იმერეთს შე-

⁷ თ. ჟორდანიას დასახელებული ნაშრომი, გვ. 379.

⁸ მ. მურუსიძე. ნიკორწმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი. ქუთაისი, 2008, გვ. 51.

⁹ ე. თაყაიშვილი. მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატთანე ნიკორწმინდის ხელნაწერში. პარიზი, 1939, გვ. 5.

¹⁰ ე. თაყაიშვილი. მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატთანე ნიკორწმინდის ხელნაწერში. პარიზი, 1939, გვ. 5.

მოუერთა. ბაგრატმა სამცხეზე გავლენა ათი წელი შეინარჩუნა. ამ ხნის განმავლობაში ის ცდილობდა სამცხეში თავისი პოზიციების განმტკიცებას. დასახული მიზნების განსახორციელებლად ბაგრატისათვის მნიშვნელოვანი იყო ეკლესიის მხარდაჭერა. აწყურის საეპისკოპოსო უპირატესი იყო სამცხის ეპარქიათა შორის, ამიტომ მაწყვერელის კათედრაზე მეფე ბაგრატის ნდობით აღჭურვილი პირის ყოფნა მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სამცხეში იმერეთის მეფის პოზიციების განმტკიცებისთვის. სწორედ ამას უნდა უკავშირდებოდეს მეფე ბაგრატ III-ის მიერ მანოელ ჩხეტიძის ნიკორწმინდიდან აწყურში გადაყვანა, რაც ქართლის კათალიკოსთან შეთანხმების შემდეგ უნდა მომხდარიყო, რადგან აწყურის საეპისკოპოსო მცხეთის (ქართლის) საკათალიკოსო ტახტს ემორჩილებოდა.

სავარაუდოდ მანოელ ჩხეტიძის ნიკორწმინდიდან აწყურში გადაყვანა 1538-1545 წლებს შორის მოხდა, რადგან 1538 წლამდე აწყურის საეპისკოპოსო კათედრა იოაკიმეს ეკავა,¹¹ 1545 წელს კი სოხოისტას ბრძოლაში ბაგრატ III-მ მარცხი განიცადა ოსმალებთან, დაკარგა სამცხე და აქედან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამის შემდეგ ბაგრატს მოეხერხებინა, სამცხის ყველაზე გავლენიან საეპისკოპოსო კათედრაზე თავისი ერთგული სასულიერო პირი დაესვა.

სამწუხაროდ, მანოელ ჩხეტიძის შესახებ სხვა ცნობები არ მოგვეპოვება. მან ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე დაახლოებით 1534 წლიდან 1540-იანი წლების პირველ ნახევარში იმოდგაწა.

მანოელის შემდეგ ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი იოაკიმე გახდა. მან მონაწილეობა მიიღო ბაგრატ III-ის თაოსნობით გამართულ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრებაში, რომელიც იმ ხანად ერსა და ეკლესიაში გავრცელებული მანკიერებების აღსაკვეთად იქნა მოწვეული.¹² კრებას მიუღია დადგენილება,

¹¹ ნ. გურგენიძე. მაწყვერელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი (ხელნაწერის უფლებით).

¹² ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. ტ. IV.

რომელიც „სამართალი კათალიკოზისა“-ს სახელით არის ცნობილი. აღნიშნული კრება XVI საუკუნის 50-იან წლებში ჩატარდა. სხვა ცნობები ნიკორწმინდელი იოაკიმეს შესახებ არ მოგვეპოვება. სავარაუდოდ მან ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე დაახლოებით 1540-იანი წლების მეორე ნახევრიდან 1550 წლების ჩათვლით იმოღვაწა.

1559 წლის 24 ოქტომბრით დათარიღებულ დოკუმენტში ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად დავით საყვარელიძე იხსენიება. იგი ნიკორწმინდის ეკლესიას სწირავს სოფელ ხიფში მცხოვრებ გლეხს – ლაზარე დონაძეს: „...ჩვენ ფრიად ცოდვილმან მღვდელთ-მთავარებისკოპოსმან ნიკორწმინდელმან დავით საყვარელიძემან, შემოგწირეთ... ხვიშს ერთი გლეხი დონაძე ლაზარე, მისის ცოლშვილითა... საძებრითა და უძებრითა, დღეს ამას იქით რისიც მქონებელი იყოს, მართლის სამართლიანის საქმითა შემოგვიწირავს ყოვლის კაცის უსადგვოთ... აღიწერა თვესა ოკტომბრის კ დ, (24) ქორნიკონს ქრისტეს აქეთ ჩ ფ ნ თ (1559)“.¹³ ს. კაკაბაძემ მიიჩნია, რომ აღნიშნული დოკუმენტი ხელის მიხედვით არა XVI, არამედ XVII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს და ის 1559 წლის ნაცვლად 1659 წლით დაათარიღა. მასში მოხსენიებული ნიკორწმინდელი დავით საყვარელიძე კი გააიგივა მეფე ბაგრატ IV-ის მიერ 1669 წელს რუსეთის მეფისადმი გაგზავნილ წერილში მოხსენიებულ ნიკორწმინდელ დავითთან.¹⁴

ს. კაკაბაძის ვარაუდი გაიზიარა გ. გუგუშვილმა და მ. მურუსიძემ. ამ უკანასკნელმა მიიჩნია, რომ დავით საყვარელიძე უნდა იყოს რუსი ელჩების იველევისა და ტოლოჩანოვის აღწერილობაში მოხსენიებული დავით მიტროპოლიტი.¹⁵ იველევი და ტოლოჩანოვი რაჭასა და იმერეთში 1650-1652 წლებში იმყოფებოდნენ (ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდებით).

¹³ ი. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. თბილისი, 1970, გვ. 263.

¹⁴ ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი I. ტფილისი, 1921, გვ. 63.

¹⁵ მ. მურუსიძე. ნიკორწმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი. ქუთაისი, 2008, გვ. 54.

1559 წლით დათარიღებულ საბუთში მოხსენიებული ნიკორწმინდელი დავით საყვარელიძის XVI ს-ის 50-70-იან წლებში მოღვაწე ნიკორწმინდელ დავითთან გაიგივება კითხვებს ბადებს და დაზუსტებას მოითხოვს. წყაროთა სიმცირის გამო ძნელია ზუსტი დასკვნის გაკეთება. აქედან გამომდინარე, ამ საკითხს ჯერ-ჯერობით ღიად დავტოვებთ.

1560-იანი წლების დასაწყისში ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა ამბროსის უჭირავს. იგი მეფე ბაგრატ III-ის შეწირულების წიგნშია დაფიქსირებული. აღნიშნულ სიგელში მოხსენიებული ამბროსი, ნიკორწმინდელი ამბროსი ბაქრაძე უნდა იყოს, რომელიც აგრეთვე მოხსენიებულია 1591 წელს დათარიღებულ ლეგან იმერთა მეფის მიერ გაცემულ სიგელშიც.

იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის შეწირულების წიგნში ნათქვამია: „ქ. ჩვენ ღთისაგან ამაღლებულმან პატრონმან მეფეთ მეფემან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან ელენე ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, მოვიკითხეთ წმინდის ნიკოლოზს შეწირული სოფელნი და ვითაცა პირველ პაპა მამათა ჩვენთაგან განჩინებული და შეწირული ყოფილიყო, ისე ჩვენ დაგიმტკიცეთ და განგიახლეთ შენ მდღელმთავარ ეფისკოფოზს ამბროსეს რცხილათი ბუჯას აქეთ სრულად სამნი გვარნი მოსახლენი გაბისაძენი, ჩაფიძენი, გამეზარდა შეილნი..... აწ ვინც ეს ჩვენგან დაწერილი სცვალოს ჩვენის ცოდვის გვარად და მუქაფად განიკითხოს. ამინ“.¹⁶ საბუთს თარიღი არ გააჩნია. იგი 1560-იანი წლების დასაწყისში უნდა იყოს შედგენილი.

ამბროსის ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა, როგორც ჩანს, ბაგრატ III-ის მეფობის ბოლო ხანს ეკავა (1565 წლის ახლო ხანები). მეფე ბაგრატ III ნიკორწმინდის საეპისკოპოსოზე ზრუნვას განაგრძობდა. მან, ზემოთ მოყვანილი საბუთის მიხედვით, ამბროსი ნიკორწმინდელის თხოვნა დააკმაყოფილა და ნიკორწმინდის სამწყსოს შესწირა არგვეთის მხარის სოფელი რცხილათი სამი მოსახლე გლეხის ოჯახით.

¹⁶ ს. კაკაბაძე. სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი. ტფილისი, 1912, გვ. 10.

დაახლოებით 1565 წლიდან ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი მელქისედეკ საყვარელიძე გახდა. ნიკორწმინდის ტაძრის დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ ნაწილში ქვაზე კუთხოვანი ასომთავრულით წერია: „წმინდაო ნიკოლოზ: მეოხ ეყავ მეფეს გიორგის: მისი მოწყალებით ჭელიში ავაშენე: ნიკოლოზწმიდელმან საყვარელიძემან მელქიხედეკ: ამინ“.¹⁷

მოყვანილ წარწერაში მოხსენიებული ნიკორწმინდელი მელქისედეკ საყვარელიძე პირველი გენათელი ეპისკოპოსი მელქისედეკი უნდა იყოს, რომელმაც გიორგი II-ის გამეფების შემდეგ ნიკორწმინდელის პატივი მიიღო. ნიკორწმინდელ მელქისედეკ საყვარელიძეს პირველ გენათელ მელქისედეკთან აიგივებს მ. მურუსიძე და მის ნიკორწმინდელად მოღვაწეობის პერიოდს 1565 – 1573 წლებს შორის ვარაუდობს.¹⁸

1573 წლით დათარიღებულ საბუთში იმერეთის მეფე გიორგი II გენათელი საყვარელიძის კარ-მიდამოს სწირავს გელათს. დოკუმენტში ნათქვამია, რომ: „გელათს სახლი, საყვარელიძე გენათელი რომ მიიცვალა, ის ადგილი და იმას ქვეშით გაღაფნისა და იმას შუა ბოსტანი... აწ ესე გლეხები და მამული ყოფლისა კაციისაგან შეუციდლებლათ შეგვიწირავს... (გელათისათვის – **ბ. გ.**). დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისა (ქორონიკონსა) ორას სამოცდაერთსა (1573), ხელითა კარისა ჩუენის დივანმწიგნობრისა თავაქალაშვილის ალასითა“.¹⁹ სავარაუდოა, რომ საბუთის შედგენის დროს მელქისედეკ საყვარელიძე ახალი გარდაცვლილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მას გარდაცვალების ჟამს გენათელის პატივი აღარ ეჭირა, მეფე გიორგი II მაინც გენათელად იხსენიებს როგორც გელათის პირველ ეპისკოპოსს და მის საცხოვრისს გელათს სწირავს.

ირკვევა, რომ მელქისედეკს გენათლობიდან პირდაპირ

¹⁷ **გ. ბოჭორიძე.** რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები. თბილისი, 1994, გვ. 99.

¹⁸ **მ. მურუსიძე.** დასახელებული ნაშრომი, გვ. 53.

¹⁹ **ს. კაკაბაძე.** დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი 1. ტფილისი, 1921, გვ. 31.

ნიკორწმინდელობა არ მიუღია. ზემოთ ნახსენებ დოკუმენტში – „სამართალი კათალიკოზისა,“ რომელიც საყვარუდოდ XVI ს-ის 50-იან წლებშია შედგენილი, ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად ილაკიმე იხსენიება, ხოლო გენათელად ყოფილი მაწყვერელი ანტონი. ცხადია, ამ დროს მელქისედეკს აღარ ეკავა გელათის საეპისკოპოსო კათედრა, ხოლო ნიკორწმინდელობა ჯერ არ ჰქონდა მიღებული. წყაროთა სიმცირის გამო, ჩვენთვის უცნობია, რა პატივს ატარებდა მელქისედეკ საყვარელიძე გენათლობიდან ნიკორწმინდელობამდე.

მელქისედეკ საყვარელიძის შემდეგ ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე ამბროსი ბაქრაძე ბრუნდება. ჩვენთვის, აგრეთვე, უცნობია, თუ რით იყო განპირობებული ამბროსის ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრიდან ჩამოცილება გიორგი II-ის მეფობის დასაწყისში.

ამბროსი ბაქრაძე, როგორც თავში აღვნიშნეთ, იხსენიება იმერეთის მეფის ლევანის (1583-1590) შეწირულების წიგნში: „... ჩვენ ღთივ გვირგუინოსანმა მეფეთმეფემან პატრონმან ლეონ ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყაღეთ და გიბოძეთ თქვენ ნიკოლწმინდელსა ბაქრაძესა ამბროსეს, მას ჟამსა ოდეს თქვენისა ერთგულობისათვის დაგვიჯენიათ და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და შეგიწყაღეთ და გიბოძეთ ხონტორი სრულობით და ჭელიში და ნამარნევეს მჭედლიძენი, ესენი ხელ-შეუაღათ თქვენთვის გვიბოძებია...“²⁰ სიგელში, აგრეთვე, აღნიშნულია რომ მეფე ლევანი ნიკორწმინდელ ამბროსის უბოძებს კისორეთს მცხოვრებ ლომთაძეებს, ჩხეტიძე ლომინს და ესტატე გარეყანიძის შვილებს თავიანთი მამულებით.²¹ მეფე ლევანი სიგელში, ამბროსი ბაქრაძის მიმართ აღნიშნავს, რომ: „რაც სხვა წიგნი და სიგელი ან ბატონის მამის ჩუენისაგან და ან ჩუენგან გქონდეს, არც ის მოგიშალოთ, არც დაგამცროთ და არც გაგიცეთ“-ო.²² ეს სიტყვები დასტურია იმისა, რომ

²⁰ ს. კაკაბაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 35.

²¹ ს. კაკაბაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 35.

²² ს. კაკაბაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 35.

ამბროსი ბაქრაძე ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი ყოფილა ლევანის მამის გორგი II-ის მეფობის დროსაც.²³

აღნიშნული სიგელი 1591 წლით თარიღდება: „დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეორესა ქორონიკონს ს სამოცდაცხრამეტსა – 279 (1591) თვესა მაისსა ი ე (15).“²⁴ ეს თარიღი სწორი არ უნდა იყოს, რადგან ლევანი გამეფდა 1583 წელს. შესაბამისად, მისი მეფობის მეორე ინდიკტიონი არა 1591, არამედ 1585 წელია. გარდა ამისა, ცნობილია, რომ სამეგრელოს მთავრის, მამია დადიანის მიერ დატყვევებული მეფე ლევანი 1590 წელს შხეფის ციხეში გარდაიცვალა.²⁵ აქედან გამომდინარე, ის 1591 წელს სიგელს ვეღარ გასცემდა. უფრო მისაღები იქნება, ვიფიქროთ, რომ ზემოთ მოყვანილი სიგელი ლევანის მეფობის მეორე „ინდიკტიონს“ – 1585 წელს დაიწერა. ამბროსი ბაქრაძის ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე მოღვაწეობა 1590 წლების დასაწყისამდე უნდა გაგრძელებულიყო.

ამბროსი ბაქრაძის შემდეგ ნიკორწმინდელის პატივი ნიკოლოზმა მიიღო. იგი მოხსენიებულია ოთარ იაშვილის მიერ მიცემულ სიგელში: „ქ. ესე წიგნი მოგეც მე ოთარმან იაშვილმან და მეუღლემან ჩემმან წერეთლის ქალმან.... თქვენ ნიკოლწმინდელსა მღდელთ მოძღვარსა ნიკოლოზს... ასრედა ამა პირსა ზედან რომე მოგეიხდა ცოდვისა საქმედა დიდად საკანონო ცოლი შევირთეთ ჩვენისა განაყოფისა ცოლყოფილი და დიდისა შეხვეწითა ბატონისა მეფისა გიორგისათა შევეხწენი გაღარიბებულნი სხვას გარეთ შევსწირეთ საოხად სულისა ჩვენისა და სახსრად შევსწირეთ სამისდღეთ სხვაგას კვირიკესშვილი გლეხი 1 მის ყოვლისფერით.... (მოწამე) კაცთაგან მეფე მეფეთ ხელმწიფე გიორგი და თანამეცხედრე მათი

²³ მ. მურუსიძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 52.

²⁴ ს. კაკაბაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 35.

²⁵ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად. ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 141.

ასული დადიანისა დედოფალთა დედოფალი თამარ²⁶.²⁶ სიგელში ნახსენები მეფე გიორგი გახლავთ იმერეთის მეფე გიორგი III (1604-1639), რომლის მეუღლე დადიანის ასული თამარი იყო. სამწუხაროდ, სხვა ცნობები ნიკოლოზ ნიკორწმინდელის შესახებ არ მოგვეპოვება. მას ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე დაახლოებით XVI ს-ის ბოლოდან XVII ს-ის 20-იანი წლების ჩათვლით უნდა ემთხვეოდეს.

XVII საუკუნის 30-იან წლებში ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე ჩანს სვიმონ ჩხეტიძე. იმერეთის მეფე გიორგი III თავის შეწირულების წიგნში ნიკორწმინდელ სვიმონს უწყალობებს ესფოფოა მღრდელაძეს. სიგელი დათარიღებულია 1637 წლით.²⁷

სვიმონ ჩხეტიძე იმერეთის მეფის სახთუხუცესის – სეხნია ჩხეიძის ძმა იყო. იგი ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე 1630-იან წლებში მოღვაწეობდა. 1639 წლიდან ხონელი ეპისკოპოსი გახდა, 1650-იანი წლების დასაწყისში კი ქუთათელის პატივი მიიღო. მცდარია ბ. ლომინაძის, თ. ქორიძისა და გ. მჭედლიძის ვარაუდი, რომ თითქოს სვიმონ ჩხეტიძე 1637 წელს გახდა ქუთათელი ეპისკოპოსი (ბ. ლომინაძე: 1954 133, თ. ქორიძე: 2000 153, გ. მჭედლიძე, მ. კეზევაძე: 2008 210). გ. მჭედლიძე ამ ფაქტს იმით ხსნის, რომ 1637 წლით დათარიღებულ საბუთში, სადაც იმერეთის მეფე გიორგი III გელათის მონასტერს რაჭაში, ჭელიშის საყდარსა და მის სახასო ალაგებს წირავს, არ არის მოხსენიებული ნიკორწმინდელი სვიმონ ჩხეტიძე, ალბათ იმიტომ, რომ იგი საბუთის გაცემის დროს ნიკორწმინდელი აღარ იყო.²⁸ ეს ვარაუდი ნაკლებ დამაჯერებელია, რადგან სხვა საბუთში, რომელიც, აგრეთვე, 1637 წლით თარიღდება, მეფე გიორგი III ნიკორწმინდელ სვიმონ ჩხეტიძეს წირავს ესფოფოა მღრდელაძეს. (ეს საბუთი ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ).

²⁶ ს. კაკაბაძე. სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი. ტფილისი, 1912, გვ. 11.

²⁷ თ. ჟორდანიას. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. წიგნი 2. ტფილისი, 1897, გვ. 452.

²⁸ გ. მჭედლიძე, მ. კეზევაძე. ქუთაის-გაენათის ეპარქია. ქუთაისი, 2008, გვ. 210.

იმერეთის მეფე ბაგრატ IV 1660 წლით დათარიღებულ საბუთში ნიკორწმინდელ გედეონ ლორთქიფანიძეს მიმართავს: „ბატონს მამაჩემს ბაჯას გლეხი შე(ე)წირა წმინდის ნიკოლოზისათვის და სვიმონ ნიკორწმინდელს ჰქონდა და ახლა თქუენც შემოგვეხვეწეთ და გიბოძეთ ბაჯას ისევ გლეხი დათუა მგელაძე.“²⁹ ამ ცნობაზე დაყრდნობით მ. მურუსიძემ მიიჩნია, რომ სვიმონ ჩხეტიძეს ბაგრატ IV-ის მამის – ალექსანდრე III-ის (1637-1660) მეფობის პერიოდშიც, ანუ 1637 წლის შემდეგაც ეკავა ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა (ალექსანდრე III 1637 წელს გამეფდა).³⁰ თუმცა ისმის კითხვა, ამ შემთხვევაში რომელ ნიკორწმინდელ სვიმონზეა საუბარი, სვიმონ ჩხეტიძეზე თუ სვიმონ ჯაფარიძეზე? სვიმონ ჯაფარიძეს ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა, სავარაუდოდ, 1650-იანი წლების გარკვეულ პერიოდში ეკავა (ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდებით).

მეცნიერთა ნაწილი სვიმონ ჩხეტიძის ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრაზე გადასვლას XVII ს-ის შუა ხანებიდან, დაახლოებით 1651 წლიდან ვარაუდობს,³¹ რაც დამაჯერებლად მიგვაჩნია. მანამდე კი როგორც აღვნიშნეთ, 1640-იანი წლები სვიმონ ჩხეტიძემ ხონის საეპისკოპოსო კათედრაზე გაატარა.

სვიმონ ჩხეტიძის შემდეგ ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად ჩანს დავითი. დავით მიტროპოლიტს, როგორც ნიკორწმინდის საყდრის მფლობელს, იხსენიებენ რუსი ელჩები ალექსი იევლევი და ნიკიფორე ტოლოჩანოვი, რომლებმაც ნიკორწმინდის ტაძარი 1651 წლის 16 ივნისს მოინახულეს.³² მეფე ალექსანდრე

²⁹ ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი 1. ტბილისი, 1921, გვ. 64.

³⁰ მ. მურუსიძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 54.

³¹ პ. გაბისონია. ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორია (ავტორეფერატი). თბილისი, 2006, გვ. 15.

³² ა. იევლევი. 1650- 1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა. ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ. თბილისი, 1969, გვ. 109.

III-სთან შესახვედრად მიმავალი რუსი ელჩები დავით მიტროპოლიტს ქუთაისამდე გაუცილებია.³³ დავით ნიკორწმინდელი მეფე ალექსანდრესა და რუსი ელჩების შეხვედრებსაც დასწრებია. იველევის ცნობით, ალექსანდრე III-სთან შეხვედრის დროს მეფესთან მყოფ სასულიერო პირთა შორის მიტროპოლიტი დავითიც იყო, რომელიც მიტროპოლიტ ზაქარიას (გენათელი) გვერდით იჯდა.³⁴ ტოლოჩანოვს ნიკორწმინდელი დავითი არქიეპისკოპოსად ჰყავს მოხსენიებული. იგი მეფე ალექსანდრესა და რუსი ელჩების ერთ-ერთი შეხვედრის დროს, მეფის გვერდით მსხდომ ზაქარია მიტროპოლიტსა (გენათელი) და სიმონ არქიეპისკოპოსს (ხონელი) შორის მჯდარა.³⁵ დავით არქიეპისკოპოსი მეფე ალექსანდრესთან ერთად იმყოფებოდა, 1651 წლის 5 ივლისს ზაქარია გენათელის სახლში გამართულ სადილზეც,³⁶ აგრეთვე იგი დასწრებია 22 ივლისს სკანდის ციხეში მეფე ალექსანდრესა და რუსი ელჩების შეხვედრას. ამ შეხვედრაზე მეფე თეიმურაზ I-იც იმყოფებოდა შვილიშვილებთან ერთად.³⁷

დავით ნიკორწმინდელმა ხელი მოაწერა 1651 წლის 9 ოქტომბერს მეფე ალექსანდრე III-ის მიერ რუსეთის ხელმწიფისადმი დადებულ ფიცის წიგნს. ამ დოკუმენტში დავითი

³³ ა. იველევი. 1650- 1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა. ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ. თბილისი, 1969, გვ. 109.

³⁴ ა. იველევი. 1650- 1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა. ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ. თბილისი, 1969, გვ. 113.

³⁵ ნ. ტოლოჩანოვი. იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა. 1650 – 1652 წწ. ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ. თბილისი, 1970, გვ. 98.

³⁶ ნ. ტოლოჩანოვი. იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა. 1650 – 1652 წწ. ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ. თბილისი, 1970, გვ. 107.

³⁷ ნ. ტოლოჩანოვი. იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა. 1650 – 1652 წწ. ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ. თბილისი, 1970, გვ. 119.

მოსხენიებულია როგორც „არქიებისკოპოსი დავით ნიკორწმინდელი“.³⁸

თ. ბერაძე მიიჩნევს, რომ იეველევისა და ტოლჩანოვის იმერეთის სამეფოში ელჩობის დროს (1650-1652 წწ.), ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი იმერეთის მეფის მოღარეთუხუცესის ლომკაც ჯაფარიძის ძმა – არქიებისკოპოსი სვიმონ ჯაფარიძე იყო,³⁹ რაც სიზუსტეს მოკლებულია და ამას ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ცნობები ცხადყოფს.

სვიმონ ჯაფარიძეს, როგორც არქიებისკოპოსს, იხსენიებს ალექსი იეველევი, მაგრამ არ აკონკრეტებს, თუ რომელი ეპარქიის მმართველია იგი. ფაქტია, რომ სვიმონს რუსი ელჩების იმერეთის სამეფოში ყოფნის პერიოდში ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა არ ეკავა. იეველევის თქმით, არქიებისკოპოს სიმონ ჯაფარიძის საცხოვრისი მდინარე კრიხულას იქეთ, მთებში, მდ. რიონის ნაპირას ყოფილა, სადაც მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ხის ეკლესია მდგარა.⁴⁰ რუსი ელჩები ამ ეკლესიაში წირვას დასწრებიან და შემდეგ არქიებისკოპოს სიმონ ჯაფარიძესთან უსადილიათ.⁴¹

ალექსი იეველევი და ნიკიფორე ტოლჩანოვი სიმონ ჯაფარიძეს ისევ შეხვდნენ, როდესაც იმერეთიდან რუსეთში რაჭის გავლით ბრუნდებოდნენ. მათ თან ახლდათ მეფე ალექსანდრეს მიერ რუსეთის ხელმწიფესთან მივლინებული ელჩი, ლომკაც ჯაფარიძე. იეველევი და ტოლჩანოვი 1651 წლის 17 ოქტომბერს ლომკაც ჯაფარიძის სოფელში მივიდნენ. მათ ლომკაცის ძმა – არქიებისკოპოსი სიმონი შემოეგებათ მრავალი აზნაურის თანხლებით. სტუმრებმა ლომკაცთან ისაუბლეს. რუს ელჩებს თან მიჰქონდათ მეფე ალექსანდრეს მიერ დადებული ფიცის წიგნი, რომელზედაც

³⁸ ა. იეველევი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 175.

³⁹ თ. ბერაძე. რაჭა. თბილისი, 2004, გვ. 93.

⁴⁰ ა. იეველევი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 107.

⁴¹ ა. იეველევი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 108.

ხელი არქივისსკოპოსმა სიმონ ჯაფარიძემაც მოაწერა.⁴²

სვიმონ ჯაფარიძე მოსხენიებულია ამბროლაურის ეკლესიის ხატის წარწერაშიც. ქ. (წმიდაო),ღმერთო და წმიდაო ამბროლაურისა ღვთისმშობელო, დაიცევ ორთავე შინა ცხოვრებათა მამკობი და შემომწირველი თქვენი მთავარეპისკოპოზი ჯაფარიძე სვიმონ“.⁴³ საგარაუდოდ, სვიმონმა ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე დავით მიტროპოლიტი 1650 – ანი წლების მეორე ნახევარში შეცვალა. ჩვენთვის უცნობია, რით იყო განპირობებული ეს ჩანაცვლება, თუმცა მსგავსი შემთხვევები იმ ხანის დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსო კათედრებზე ხშირი იყო. 1669 წელს ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად კვლავ დავითია მოსხენიებული (ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდებით).

სვიმონ ჯაფარიძეს ნიკორწმინდელად დიდი ხანი არ უმოდვაწია. მეფე ბაგრატ IV-ის მიერ 1660 წელს გაცემულ სიგელში ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად გედეონ ლორთქიფანიძე ჩანს.⁴⁴ მოგვიანებით გედეონ ლორთქიფანიძემ ნიკორწმინდელობასთან ერთად გენათლობაც შეითავსა. 1664 წლის საბუთში ის გენათელ-ნიკორწმინდელად იხსენიება (იქვე), 1668 წლის დოკუმენტში კი იგი მხოლოდ გენათელად არის დაფიქსირებული.⁴⁵ ჩანს, 1668 წლისათვის გედეონ ლორთქიფანიძეს ნიკორწმინდელის პატივი აღარ ჰქონდა და ის მხოლოდ გელათის საეპისკოპოსო კათედრას განაგებდა.

დაახლოებით 1666–1667 წლებში გედეონ ლორთქიფანიძის შემდეგ ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა კვლავ დავითმა დაიკავა. იგი, როგორც „ნიკოლოზ წმინდელი დავითი,“ მოსხენიებულია მეფე ბაგრატ IV-ის მიერ რუსეთის ხელმწიფისადმი

⁴² ა. იეგლევი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 171.

⁴³ გ. ბოჭორიძე. რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები. თბილისი, 1994, გვ. 139-140.

⁴⁴ ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი 1. ტფილისი, 1921, გვ. 64.

⁴⁵ თ. ჟორდანიას. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. წიგნი 2. ტფილისი, 1897, გვ. 485.

გაგზავნილ წერილში, რომელიც 1669 წლით თარიღდება.⁴⁶ წყროთა სიმცირის გამო ვერ დგინდება, თუ რამდენ ხანს გასტანა დავითის ნიკორწმინდელობამ 1669 წლის შემდეგ.

დავითის მომდევნო ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად ცნობილი ფეოდალის, მერაბ წულუკიძის ძმა – სვიმონ წულუკიძე ჩანს. მერაბ წულუკიძე სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის გაზრდილი ყოფილა.⁴⁷ იგი XVII ს-ის მეორე ნახევარში დასაველეთ საქართველოში გაველენიან ფეოდალად იქცა. მას აუშენებია ნიკორწმინდის მახლობლად სოფელ აგარაში პატარა ეკლესია და მისთვის მრავალი ნივთი შეუწირავს. შეწირულ ნივთებს შორის არის ვერცხლის ფეშხუმი მხედრული წარწერით: „ქ: წმიდაო გიორგი მხნეო და მხედარო აგარისაო.... მე დამიჭირავს წულუკიძეს მერაბს ჯინჭროლსა და იწროთას შუა გაღმა ჭრებალო და ზოგიში მათს გარდაღმა ოკრიბა და ტყილბური და ძმა ნიკორწმინდელად დამისვამს და მეორე ძმა კიდე ხოფს სოფლათ დამისვამს ნასაუნჯევს ხორგას სასახლე მისი შემავლის კაციანათა და ხონი კიდე სულათა“.⁴⁸ მერაბ წულუკიძის მიერ თავისი ძმის ნიკორწმინდელად დასმა XVII ს-ის 70-იანი წლების ბოლოს უნდა მომხდარიყო. შემორჩენილია ამ პერიოდის საბუთი, რომელიც ნიკორწმინდელი სვიმონ წულუკიძის მიერ არის გაცემული. ეს უკანასკნელი მერაბ წულუკიძის ძმა უნდა იყოს: „...მთის მთავარმოწამეო წმინდაო (გიორგი).... ჩვენ წულუკიძემან ნიკოლაოწმინდელმან სვიმონ.... შემოგწირეთ კინი და მცირე ესე შესაწირავი შავრას გლეხი დვალი ნასხიდა მისის ყოველისფერით, ასრე და ამა პირსა ზედა რომე დაშხიშვილის ყოფილიყო, დაშხიშვილს ლომინ ერისთავისაგან გამორთმეოდა და ერისთავისაგან ჩვენ

⁴⁶ Броссе. Переписка грузинских царей с русскими государями от 1659 г. по 1770 г. СГБ., 1861, стр. 82.

⁴⁷ **ქ. თაყაიშვილი.** არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში. თბილისი, 1963, გვ. 41.

⁴⁸ **ქ. თაყაიშვილი.** არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში. თბილისი, 1963, გვ. 42.

გვიყიდა და ჩვენ თქვენთვის შემოგვიწირავს“.⁴⁹ საბუთს თარიღი არ გააჩნია. ს. კაკაბაძემ ის დაახლოებით 1680-1685 წლებით დაათარიღა.

სვიმონ წულუკიძეს, როგორც ირკვევა, ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე საკმაო ხანს უმოდგაწია. იგი ნიკორწმინდელად ჩანს XVIII საუკუნის 20-იან წლებშიც. სვიმონ ნიკორწმინდელი გენათელ გედეონ ჩხეტიძესთან ერთად ამოწმებს იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის მიერ პაპუნა წერეთლისათვის ბოძებულ წყალობის სიგელს: „არს ამისი გამრიგე და მოწამე გენათელი გედევან, ლიგორწმინდელი (ნიკორწმინდელი ბ. გ.) სვიმონ, სახლითუხუცესი ჯაფარიძე ლომკაცი...მდივანს ლევანს დამიწერია და მოწამეცა ვარ...“⁵⁰ საბუთი უთარიღოა. გენათელი გედეონ ჩხეტიძე გელათის საეპისკოპოსო ტახტზე 1723-24 წლებიდან ჩანს. ზემოთ მოყვანილი საბუთიც ამ პერიოდში უნდა დაწერილიყო. ნიკორწმინდელი სვიმონ წულუკიძე ამ დროისათვის საკმაოდ ხანში შესული იქნებოდა.

სხვა ცნობები სვიმონ წულუკიძის შესახებ არ მოგვეპოვება. იგი ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე დაახლოებით XVII ს-ის 80-იან წლებიდან XVIII ს-ის 20-იან წლებში მოღვაწეობდა.

სვიმონ წულუკიძის შემდეგ XVIII ს-ის პირველი ნახევრის არსებულ დოკუმენტებში, ნიკორწმინდელი ეპისკოპოსები არ ჩანან. სავარაუდოა, რომ ამ პერიოდში ნიკორწმინდის საეპისკოპოსომ, მსგავსად ქუთაისის და ხონის საეპისკოპოსოებისა, ჟამთა სიავის გამო, მოქმედება შეწყვიტა. მისი აღდგენა იმერეთის მეფის სოლომონ I-ის (1752-1784) ინიციატივით უნდა მომხდარიყო, დაახლოებით 1750-იან წლებში. ამ პერიოდში ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად ჩანს გერმანე წულუკიძე.

გერმანე წულუკიძე რაჭა-ლეჩხუმის სარდლის – მერაბ

⁴⁹ ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი 1. ტფილისი, 1921, გვ. 81.

⁵⁰ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი 2171.

II წულუკიძისა და დარეჯან აბაშიძის ვაჟი იყო.⁵¹ ირკვევა, რომ გერმანეს ნიკორწმინდელობამდე აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსო ტახტი ეკავა, მაგრამ, წყაროთა სიმცირის გამო, რთულია განსაზღვრა მისი ამ თანამდებობაზე მოღვაწეობის წლებისა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: ქორნიკონსა უ ლ – 430 (1742) მოკუდა (კათალიკოზი) აფხაზთა გრიგოლ (ლორთქიფანიძე ბ. გ.), დაჯდა გერმანე.⁵² ბ. ლომინაძე ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას საეჭვოდ მიიჩნევს, რადგან აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსის ბესარიონ ჩხეიძის ბეჭედზე 1742 წელია ამოტვიფრული, რაც ჩვეულებრივად კათალიკოსობის დასაწყისს უჩვენებს,⁵³ აქედან გამომდინარე, 1742 წლიდან აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი არა გერმანე წულუკიძე, არამედ ბესარიონ ჩხეიძე გახდა.⁵⁴ ბ. ლომინაძე გერმანე წულუკიძის კათალიკოსობის პერიოდს ზოგადად XVIII ს-ის შუა წლებით საზღვრავს. რ. მეტრეველის ავტორობით გამოცემულ ნაშრომში – „საქართველოს მეფეები და პატრიარქები“, – 1742-1769 წლებში აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსად ბესარიონ ჩხეიძეა დაფიქსირებული,⁵⁵ ხოლო გერმანე წულუკიძის აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსად მოღვაწეობა, აგრეთვე XVIII ს-ის შუა ხანებით არის განსაზღვრული.⁵⁶ გ. გუგუშვილი წყაროების მიუთითებლად ამტკიცებს, რომ გერმანე წულუკიძე აფხაზეთის (დასავლეთ

⁵¹ **ო. სოსელია.** ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოები). წიგნი 2. თბილისი, 1981 გვ. 68.

⁵² ქართლის ცხოვრება. ტ. IV. თბილისი, 1973, გვ. 913.

⁵³ **ბ. ლომინაძე.** მასალები დასავლეთ საქართველოს XVII-XVIII საუკუნეთა ქრონოლოგიისათვის. თბილისი, 1954, გვ. 134.

⁵⁴ **ბ. ლომინაძე.** მასალები დასავლეთ საქართველოს XVII-XVIII საუკუნეთა ქრონოლოგიისათვის. თბილისი, 1954, გვ. 134.

⁵⁵ **რ. მეტრეველი.** საქართველოს მეფეები და პატრიარქები. თბილისი, 2010, გვ. 143.

⁵⁶ **რ. მეტრეველი.** საქართველოს მეფეები და პატრიარქები. თბილისი, 2010, გვ. 144.

საქართველოს) კათალიკოსი 1742-1751 წლებს შორის იყო.⁵⁷

გერმანე წულუკიძე ნიკორწმინდელობამდე რომ აფხაზეთის კათალიკოსი იყო, ეს იმ ხანის სიგელებით დასტურდება. სვიმონ ნუქიფიშვილის შეწირულების წიგნში გერმანე წულუკიძე მოხსენიებულია, როგორც „პირველ კათალიკოსი გერმან ნიკოლაოზწმიდელი“.⁵⁸ აღნიშნული სიგელი 1769 წლით თარიღდება.⁵⁹ „პირველ კათალიკოზი არქიერი გერმანე“, მოხსენიებულია ბერი და გიორგი წულუკიძეების შეწირულების წიგნშიც.⁶⁰ ნიკორწმინდის საყდრის სამხრეთის კედელზე მიშენებულ ეკვდერში არის წარწერა: „გერასიმე კათალიკოსი შეიწყაღე...“⁶¹ ს. კაკაბაძის აზრით, გერასიმე იგივე გერმანე უნდა იყოს.⁶² გადმოცემის თანახმად გერმანემ მეფე სოლომონ I-ის თხოვნით, აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსობა რაჭის ერისთავის ძეს – ბესარიონს დაუთმო, რომლის დრმა განათლება მაშინდელ საქართველოში ცნობილი იყო,⁶³ თვითონ კი ნიკორწმინდელის კათედრა დაიკავა. თუმცა ძნელი სათქმელია რამდენად შეესაბამება სიმართლეს ეს გადმოცემა.

გერმანე წულუკიძე კათალიკოსად არის მოხსენიებული თავისი დედის – დარეჯან აბაშიძის 1756 წლის შეწირულობის წიგნშიც,⁶⁴ მაგრამ არსებობს ვარაუდი, რომ 1756 წელს გერმანე

⁵⁷ გ. გუგუშვილი. ნიკორწმინდის ეპარქია.- უურნალი „ორნატი“, თბილისი, 2003, გვ. 63.

⁵⁸ ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი 2, გვ. 39-40.

⁵⁹ ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი 2, გვ. 39-40.

⁶⁰ ს. კაკაბაძე. წერილი შტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ. ტფილისი, 1914, გვ. 25.

⁶¹ ს. კაკაბაძე. წერილი შტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ. ტფილისი, 1914, გვ. 25.

⁶² ს. კაკაბაძე. წერილი შტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ. ტფილისი, 1914, გვ. 25.

⁶³ გ. გუგუშვილი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 63.

წულუკიძე არა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი, არამედ უკვე ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი იყო.⁶⁵

როგორც აღვნიშნეთ, XVIII ს-ის 50-იან წლებში იმერეთის მეფის სოლომონ I-ის თაოსნობით დასავლეთ საქართველოში გაუქმებული საეპისკოპოსოების აღდგენის პროცესი დაიწყო. აღდგენილ იქნა ქუთაისისა და ხონის საეპისკოპოსო კათედრები. 1750-იანი წლების მეორე ნახევარში უნდა აღმდგარიყო ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაც, რომელსაც გერმანე წულუკიძე ჩაუდგა სათავეში. თავად ნიკორწმინდელი გერმანე აქტიურად იყო ჩართული, უამთა სიავის გამო, გაუქმებული საეპისკოპოსოების აღდგენის პროცესში. 1759 წლის კრებას, სადაც ქუთაისის საეპისკოპოსოს აღდგენის საკითხი განიხილებოდა, სხვა მღვდელმთავრებთან ერთად გერმანე ნიკორწმინდელიც ესწრებოდა.⁶⁶

ნიკორწმინდელი გერმანე მოხსენიებულია 1759 წელს შედგენილ ტყვეთა გაუსყიდველობის გუჯარშიც.⁶⁷

გერმანე წულუკიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა რაჭის ერისთავ როსტომ ჩხეიძესთან, რომელიც მეფე სოლომონ I-ის მოწინააღმდეგე გავლენიანი ფეოდალი იყო. 1769 წელს მეფე სოლომონ I-მა როსტომ ჩხეიძე და მისი ოჯახის წევრები დაატყვევა და რაჭის საერისთავო გააუქმა. ცოტა ხნის შემდეგ კი მან ნიკორწმინდის ეპისკოპოსობა ჩამოართვა გერმანე წულუკიძეს და მის ნაცვლად ნიკორწმინდელად სილიბისტრო ლოღობერიძე დასვა.⁶⁸

სილიბისტრო ლოღობერიძე 1750-იან წლებში იმერეთის

⁶⁴ ბ. ლომინაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 136.

⁶⁵ ბ. ლომინაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 136.

⁶⁶ ს. კაკაბაძე. საეკლესიო რეფორმებისათვის სოლომონ I-ის დროს. ტფილისი, 1914, გვ. 4.

⁶⁷ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი 2976.

⁶⁸ დავით ბატონიშვილი. მასალები საქართველოს ისტორიისათვის (1744-1840 წწ.). ტფილისი, 1905, გვ. 19.

სამეფო კარის წინამძღვარი ყოფილა, მას არქიმანდრიტის ხარისხი ჰქონდა. ამავე დროს სილიბისტრო იყო მწერალი და დამმოწმებელი იმ მრავალი დოკუმენტისა, რომელიც იმერეთის სამეფო კარზე დგებოდა. მათ შორის არის ქუთაისის საეპისკოპოსოს აღდგენის საბუთი და განჩინება ხონის საეპისკოპოსოსათვის სახუცო და სამრევლო გამოსადების შესახებ. ამ დოკუმენტებს ახლავს სილიბისტროს ხელმოწერები: „მე არქიმანდრიტს, ჩემი ხელმწიფის კარის წინამძღვარს მდღელ მონაზონს დოდაბერიძეს სილიბისტროს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი...“⁶⁹

სილიბისტრო დოლობერიძე 1766 წელს სამეგრელოს მთავარს, კაცია დადიანს „ღეჩხუმის საირმედ სახელდებულის“ უდაბნოს მამად დაუდგენია: „ვეძიებდი მამასა უდაბნოსასა და ვპოვე სანახებისა ჩვენისა მხრისა ადგილებით იმერელი დოდაბერიძე არხიმანდრიტი სილივისტრო და ვაწვიე რაი მანცა ჯერ იჩინა მამობა უდაბნოსა ამის ადგილობით ღეჩხუმის საირმედ სახელდებულისა და ჩვენცა კეთილად აღგვიჩნდა მამად დადგინება ამისი და სიგელი ესე დავსდევით და განვაწესეთ შესაწირავი უდაბნოსა ამის.“⁷⁰ სიგელი თარიღდება ქორონიკონით: ჩ დ ა: რაც 1701 წელს აღნიშნავს. ეს დათარიღება სიზუსტეს მოკლებულია, რადგან სიგელში მოხსენიებული პირები XVIII ს-ის მეორე ნახევრის მოღვაწენი არიან. ს. კაკაბაძემ აღნიშნული სიგელი 1766 წლით დაათარიღა.⁷¹

სილიბისტრო დოლობერიძის ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე დადგენა 1771-1773 წლებს შორის უნდა მომხდარიყო, რადგან 1771 წელს ის ჯერ კიდევ საირმის უდაბნოს მამად ჩანს,⁷² 1773 წლის საბუთში კი უკვე ნიკორ-

⁶⁹ ს. კაკაბაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 5.

⁷⁰ ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი 2, ტფილისი, 1921, გვ. 31.

⁷¹ ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი 2, ტფილისი, 1921, გვ. 32.

წმინდელ ეპისკოპოსად იხსენიება.⁷³

ნიკორწმინდელი სილიბისტრო ერთ-ერთ უთარილო საბუთშიც არის მოხსენიებული. ეს გახლავთ განჩინება სოლომონ I-სა, ქაიხოსრო აგიაშვილისა და ნიჟარაძეთა მამულის საქმეზე. როგორც ჩანს აგიაშვილისა და ნიჟარაძეების სასამართლო დავის პროცესში ნიკორწმინდელი მთავარეპისკოპოსი სილიბისტრო ღოღობერიძეც იყო ჩართული.⁷⁴

სილიბისტრო ღოღობერიძემ ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე მოღვაწეობა ტრაგიკულად დაასრულა. ის გლეხი ნადირაძის მსხვერპლი გახდა: „ესე სილიბისტრო მოკლა მუნებურმან გლეხმან ნადირაძემ მიზეზისა ამისთვის: ვინათგან ჟამსა აღრეულებასა რაჭისასა ერთი გლეხის ცოლი შთავარდნილ იყო ტყვედ და ლეკთაგან დაეხსნა ამა ნადირაძეს და შეერთო თვით ცოლად. ესე მიულო (სილიბისტრო ნიკორწმინდელმა – ბ. გ.) და მისცა (ნადირაძის ცოლი – ბ. გ.) ძველსავე ქმარსა მისსა, და ამისა გამო ჰკრა თოფი (ნადირაძემ – ბ. გ.) ახალს ნაწირავს (სილიბისტროს – ბ. გ.) ეკლესიის კარზედ და მოკლა იგი. და კვალად დასვეს გერმანე“.⁷⁵ წყაროში არ ფიქსირდება, თუ რომელ წელს მოხდა აღნიშნული ფაქტი.

სილიბისტრო ღოღობერიძის მკვლელობის შემდეგ ნიკორწმინდის ეპისკოპოსო კათედრაზე გერმანე წულუკიძე დაბრუნდა. გერმანე წულუკიძე ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად ჩანს 1784 წლით დათარიღებულ ბერი და გიორგი წულუკიძეების შეწირულობის სიგელშიც. ეს უკანასკნელნი, გერმანე წულუკიძის ძმები იყვნენ (აღნიშნული სიგელი ჩვენ ზემოთაც ვახსენეთ). ბერი და გიორგი წულუკიძეები ნიკორწმინდის საყდარს სწირავენ შავრას

⁷² ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი 2, ტფილისი, 1921, გვ. 31.

⁷³ ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი 2, ტფილისი, 1921, გვ. 47.

⁷⁴ ი. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. V. თბილისი, 1974, გვ. 274.

⁷⁵ დავით ბატონიშვილი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 19.

მცხოვრებ გვენცაძეებს, რომლებიც იმთავითვე ნიკორწმინდისათვის შეწირულნი იყვნენ. სიგელის ბოლოს აღნიშნულია: „ოდეს შინასა ეკლესიასა ზ“ა (ზედა) იყოფებოდა ძმა ჩვენი პ ლ (პირველ) კათალიკოზი არქიერი გერმანე ქორონიკონს ქ ს (ქრისტეს) აქეთ ჩ ლ ოთხმოც დ (ოთხმოცდაოთხსა – 1784 – ბ. გ.) დაიწერა გუჯარი ესე“.⁷⁶ ერთ-ერთი წყაროს ცნობით, გერმანე წულუკიძეს ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა 1792 წელსაც ეჭირა. ჭელიშის მონასტრის ძმათა 1842 წლის ნამსახურეობის სიაში, მღვდელმონაზონ სვიმონის შესახებ ნათქვამია, რომ იგი უკურთხებია ყოვლად სამღვდელო ნიკორწმინდელ გერმანე არხიეპისკოპოსს ქორონიკონს: „ჩ ლ ქ ბ“ – 1792 წ.⁷⁷

1793 წლიდან ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად ჩანს სოფრონიოს წულუკიძე.⁷⁸ წულუკიძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი სოფრონიოსი, ახლო ნათესავი იყო გერმანე წულუკიძისა, რომლისგანაც სასულიერო განათლება მიიღო ნიკორწმინდის ტაძარში. 1778 წელს ეფთვიძე გენათელმა სოფრონიოსი გელათში ბერად აღკვეცა.⁷⁹

სოფრონიოსი, ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად მოღვაწეობის პირველივე წლებიდან შეუდგა ნიკორწმინდის საყდრისათვის კუთვნილი მამულების დაბრუნებას, რომელნიც, ჟამთა ვითარების გამო, დაკარგული იყო. ამ საქმეში მას დახმარებას უწევდა იმერეთის მეფე სოლომონ II (1790-1810).

სოფრონიოსი ეხმარებოდა ნიკორწმინდის სამწყსოს წევრებს ფულით, მამულით ან სხვა რაიმე საჭიროებით. ერთ-ერთ სიგელში იგი აღნიშნავს: „...რაოდენ შესაძლო იყო, ვიდვამე... უწყის

⁷⁶ ს. კაკაბაძე. წერილი შტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ. ტფილისი, 1914, გვ. 25.

⁷⁷ მ. მურუსიძე. ნიკორწმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი. ქუთაისი, 2008, გვ. 55.

⁷⁸ ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წიგნი 2. ტფილისი, 1921, გვ. 102.

⁷⁹ მ. კეზევაძე. არქიეპისკოპოსი სოფრონი შემწე სტამბისა.– გაზეთი „მწიგნობარი“, 2000, №1, გვ. 1.

უფალმან წყალობისამა... მამულით თუ გლეხის შოვნითა თუ ადგილის შემატებითა და სხვითა საეკლესიო სახმარებითა“.⁸⁰

ნიკორწმინდელი სოფრონიოს წულუკიძე აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ პროცესებშიც. ის პრორუსული პოლიტიკის მხარდამჭერი იყო.

1810 წელს რუსეთის ხელისუფლების მიერ იმერეთის მეფის სოლომონ II-ს განდევნის შემდეგ იმერეთის სამეფოში რუსული მმართველობა დამყარდა. იმერეთის თავად-აზნაურობისა და სამღვდელოების ერთი ნაწილი ამ ფაქტს დადებითად შეხვდა, მათ შორის იყო სოფრონიოს ნიკორწმინდელიც. მას რუსეთის ერთგულებისათვის 1811 წელს ჯილდოც გადაეცა, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ აღნიშნული ჯილდო არა ნიკორწმინდელი სოფრონიოსის, არამედ ხინოწმინდელი ეპისკოპოსის დავით წერეთლისათვის ყოფილა განკუთვნილი, მაგრამ სოფრონიოსს, გადაცემული ჯილდო უკან აღარ ჩამოართვეს.⁸¹

სოფრონიოსი დიდ ყურადღებას აქცევდა სასულიერო განათლების საქმეს. მისი თაოსნობით მრავალი ხელნაწერი გადაიწერა.⁸² 1809 წელს სოფრონიოსის ინიციატივით სოფელ წესში დაარსდა სტამბა, სადაც ათამდე ქართული წიგნი დაიბეჭდა.⁸³

სოფრონიოს ნიკორწმინდელი იღწვოდა ოსი მოსახლეობის გაქრისტიანებისათვის. მისი თაოსნობით ნიკორწმინდის ეპარქიის მახლობლად, კუდაროს ხეობაში მცხოვრები 912 ოსი გაქრისტიანებულა.⁸⁴

1817 წელს საქართველოს ეგზარქოსათ მოვლინებულმა თეოფიაქტე რუსანოვმა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რეფორმირება დაიწყო, რამაც ხალხის აღშფოთება გამოიწვია. ქარ-

⁸⁰ მ. მურუსიძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 56. მ. მურუსიძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 56.

⁸¹ ს. კაკაბაძე. იმერეთის სამეფოს გაუქმება. თბილისი, 1956, გვ. 494.

⁸² ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში. თბილისი, 1963, გვ. 103.

⁸³ მ. კეზევაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 2.

⁸⁴ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი 5237.

თული ეკლესიის თავისუფლების გადასარჩენად ერი და ბერი გაერთიანდა, რასაც მოჰყვა 1819-1820 წლების აჯანყება, რომელსაც რუსეთის სახელისუფლებო წრეებმა „საეკლესიო ბუნტი“ უწოდეს. აჯანყება მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო. აჯანყებულებს მხარში ედგნენ დოსითეოს ქუთათელი, ეფთვიმე გენათელი და ანტონ ხონელი. მათგან განსხვავებით სოფრონიოს ნიკორწმინდელმა რუსეთის მთავრობას უერთგულა და ამაგიც დაუფასდა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ის „უმაღლესის ბრძანებით დაიდგინა იმერეთის არხიეპისკოპოსათ...“⁸⁵

სოფრონიოსის მიმართ სიმპატიით იყო განწყობილი საქართველოს ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი. ერთ-ერთ წერილში თეოფილაქტე აცხადებს, რომ ის არის სოფრონიოსის: „ჭეშმარიტითა მაღალ პატივისცემითა და ძმებრივითა სიყვარულითა უმორჩილესი მოსამსახურე და მლოცველი...“⁸⁶

სოფრონიოსს ნდობას უცხადებდა საქართველოს მომდევნო ეგზარქოსი იონაც. მან სოფრონიოსს იმერეთის ეპარქიის რეფორმირება დაავალა. რეფორმის მიხედვით საეკლესიო გლეხებს ნატურალური გადასახადების ნაცვლად ფულადი გადასახადები ეკისრებოდათ. ყოველი სასულიერო მოხელე საეკლესიო შემოსავლებიდან მიიღებდა მათთვის დაწესებულ გარკვეულ ჯამაგირს. საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში, რომელიც 1814 წელს შეიქმნა, სოფრონიოსს უნდა წარედგინა დაწერილებითი ცნობები იმერეთის ეკლესია-მონასტრების ქონებისა და შემოსავლის შესახებ. ამავე დროს მას საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში უნდა გაეგზავნა ერთი წარმომადგენელი მუდმივ სამუშაოდ.⁸⁷ უნდა შემცირებულიყო სასულიერო პირთა რიცხვი.

დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნის საქმეში დიდი დამსახურებისათვის არქიეპისკოპოსი

⁸⁵ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. IV. თბილისი, 1954, გვ. 390.

⁸⁶ ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 21, საქმე 15.

⁸⁷ გ. ვაჭრიძე. იმერეთის დროებითი მმართველობა. ქუთაისი, 1999, გვ. 251.

სოფრონიოსი 1839 წელს წმინდა ანნას პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.⁸⁸

იმერეთის ეპარქიის მმართველობის ბოლო წლები სოფრონიოს წულუკიძემ ავადმყოფობაში გაატარა. მძიმედ დასნეულებულს მარჯვენა ხელი „დაუქმებია“.

1841 წლის 18 ნოემბერს რუსეთის უწმინდესმა სინოდმა პირადი თხოვნის საფუძველზე, ავადმყოფობის გამო, არქიეპისკოპოსი სოფრონი გაათავისუფლა იმერეთის ეპარქიის მმართველობისაგან.⁸⁹ ამის შემდეგ სოფრონს დიდხანს აღარ უცოცხლია. ის 1842 წლის 1 იანვარს გარდაიცვალა და დაკრძალულ იქნა ქუთაისის საკათედრო ტაძარში.

⁸⁸ გ. ვაჭრიძე. იმერეთის დროებითი მმართველობა. ქუთაისი, 1999, გვ. 252.

⁸⁹ მ. კეზევაძე. დასახელებული ნაშრომი, გვ. 2.

ნიკორწმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი

- მანოელ ჩხეტიძე – 1534-1540-იანი წწ-ის პირველი ნახევარი
იოაკიმე – 1540-იანი წწ-ის მეორე ნახევარი-1550-იანი წწ.
დავით საყვარელიძე – 1559 (?)
ამბროსი ბაქრაძე – 1560-იანი წწ-ის დასაწყისი
მელქისედეკ საყვარელიძე – დაახლოებით 1565-1573
ამბროსი ბაქრაძე – 1573-1590-იანი წწ.
ნიკოლოზი – XVI ს-ის ბოლო-XVII ს-ის 20-იანი წწ.
სვიმონ ჩხეტიძე – XVII ს-ის 30-იანი წწ-ის დასაწყისი-1639
დავითი – 1639-1650-იანი წწ-ის პირველი ნახევარი
სვიმონ ჯაფარიძე – 1650-იანი წწ-ის მეორე ნახევარი
გედეონ ლორთქიფანიძე – 1660-1666-67 წწ.
დავითი – 1666-67-1670-იანი წწ-ის დასაწყისი
სვიმონ წულუკიძე – XVII ს-ის 70-იანი წწ-ის ბოლო-XVIII
ს-ის 20-იანი წწ.
გერმანე წულუკიძე – XVIII ს-ის 50-იანი წწ.-1771 წ.
სილიბისტრო ღლობერიძე – 1771-72-1770-იანი წწ-ის ბოლო
(?)
გერმანე წულუკიძე – 1780-იანი წწ.-1792 წ.
სოფრონიოს წულუკიძე – 1793-1821 წწ. (იმერეთის ეპარქია
– 1821-1842)

საბა სალუაშვილი – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის
დოქტორანტი

„რიფსიმიანეთა“ წამებიდან – წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლამდე

თხრობის დაწვებამდე გვინდა აღვნიშნოთ, „...რომ წმ. ნინოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მრავალი გადმოცემა, თქმულება თუ ლეგენდა შემოუნახავს სომხურ, ბერძნულ, არაბულ, სირიულ, კოპტურ, რუსულ თუ სხვა მრავალი ქრისტიანული ქვეყნის ისტორიას. ისინი ძირითადად ქართულ წყაროებს ეყრდნობოდნენ და სწორად ასახავდნენ სინამდვილეს, თუმცა გადახვევებიც ხშირად იყო. ამა თუ იმ ფაქტს საკუთარი ინტერპრეტაციით გადმოსცემდნენ, რაც იწვევდა ზოგიერთ ფაქტობრივ უზუსტობას, ცნობის ნაწილობრივ გაზვიადებას ან შეკვეცას.

წმ. ნინოს ცხოვრებით განსაკუთრებით დაინტერესებულან რუსი ისტორიკოს-თეოლოგები. ეს იქიდან ჩანს, რომ რუსულ ენაზე არსებობს „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მრავალი რედაქცია. მათ შორის შედარებით ძველია „წმინდა ნინოს ცხოვრების“ 1512 წლის მატჩიანისეული რედაქცია, 1641 წლის პროლოგ სვინაქსარის 27 ოქტომბრის საკითხავი და სტეფან აფინსკის „აზრთა სავანეში“ (1659) დაცული ცნობა. დანარჩენი რედაქციები XIX ს-ის II ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისს განეკუთვნება...“¹

წინამდებარე კვლევის საბოლოო შეჯერებამდე უნდა აღვნიშნოთ, რომ „...ჩვენ მიერ საძიებელი საკითხის მთლიანი სურათის

¹ ვ. თორაძე, ნ. თორაძე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია. თბილისი, 2007, გვ. 48.

ადღეენა, მხოლოდ „წმ. ნინოს ცხოვრების“ ყველა რედაქციაში დაცული ცნობების ურთიერთშეჯერებისა და ურთიერთანალიზის წყალობით ხდება შესაძლებელი. კერძოდ:

- უპირველეს ყოვლისა მოხერხდა: წმ. ნინოსა და მისი თანმხლები პირების ქ. ყვესოდან გამოქცევის წლის დადგენა, ესაა - ახ. წ. 322 წელი;

- მხოლოდ: „მოქცევაჲ ქართლისაჲსეული“ ცნობა: „...წარმოვემართენით თთუესა პირველსა ათხუთმეტსა...“² გვაუწყებს, რომ ლტოლვილები, დადგენილი წლის 15 მარტს, ხუთშაბათ დღეს გამოქცეულან;

- მხოლოდ: „ქართლის ცხოვრებისა“ და XIII ს-ის მეტაფრასულ რედაქციებში დაცული ცნობის „...და ვითარცა მოიწივნეს სომხითად, სამეფოსა თრდატისსა, დაიმაღნეს საწნეხელთა შინა...“³ თანახმად, მოხერხდა განგვესაზღვრა, რომ ლტოლვილები, სომხითში ჩასულან: დადგენილი წლის ხარება დღეს - 25 მარტის კვირა დღეს;

- მხოლოდ: არსენ ბერისეულ თხზულებაში დაცული ინფორმაციის მეშვეობით ვგებულობთ, რომ თურმე ლტოლვილები, სომხითში მისვლის (25 მარტის) შემდეგ, იქ გარკვეული დროის მანძილზე იმალებოდნენ „...ვითარცა მოიწივნეს მახლობლად სამოთხესა თრდატ მეფისასა და დაადგრნეს მუნ ჟამ რავდენმე...“⁴

- დაბოლოს, მხოლოდ: „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით ვგებულობთ, რომ თრდატ მეფის მიერ, სომხითში მისულ ლტოლვილთა წამება, დადგენილი წლის 30 მარტს, პარასკევ დღეს მომხდარა „...იგინი მოიკლნეს მუნ თთუესა პირველსა

² მ. საღუაშიელი, ს. საღუაშიელი. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები. თბილისი, 2010, გვ. 60; იხ. აგრეთვე: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ი. აბულაძის რედაქციით. წიგნი I. თბილისი, 1963, გვ. 115.

³ ცხოვრება და მოქალაქეობაჲ ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოსი. - ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. ტომი I. შემდგენელი სოლ. ყუბანეიშიელი. თბილისი, 1946, გვ. 220.

⁴ ცხოვრება წმიდა ნინოსი, შედგენილი დიდის არსენი ქართლისა კათოლიკოსის მიერ X საუკუნეში XI-XII-ს ხელნაწერიდგან. დაბეჭდილი მდ. პ. კარბელაშიელის რედაქციით და ბოლოთქმით. ტფილისი, 1902, გვ. 15.

ოც და ათსა, დღესა პარასკევსა...⁵ მაშასადამე, ზემოთქმული „ჟამ რავედენმე“, თურმე მარტის თვის 25-დან 30-მდე არსებულ დროით მიჯნას მოიცავს.

თავად წამებულთა თაობაზე კი არსენ ბერისეული რედაქცია ასე გვაუწყებს: „...წმიდად რიფსიმე და მისთანანი იგი იწამნეს სახელისათვის ქრისტესისა თრდატის მიერ და გვრგვან შემკობილნი ღირს იქმნნეს სასუფეველისა...“⁶ ხოლო „ქართლის ცხოვრება“ კი აზუსტებს, რომ „...რომელნიმე მათ წმიდათაგანნი დაიმაღნეს და ივლტოდეს...“⁷

მაშასადამე, ქართული წყაროების მიხედვით, საძიებელ დროში მომხდარის მთლიანი სურათი ასეთია: ლტოლვილობის დაწყების წელია ახ. წ. 322 წელი; ქ. ეფესოდან მათი გამოქცევა მომხდარა 322 წლის 15 მარტს, ხუთშაბათ დღეს; ლტოლვილები სომხითში მისულან ამავე წლის 25 მარტს, კვირა დღეს; ხოლო სომხითში ჩასული ლტოლვილები, თრდატ მეფეს იმავე წლის 30 მარტის პარასკევ დღეს უწამებია.⁸

ზემოთქმულის შემდეგ, ვნახოთ, ჩვენ ხელთ არსებულ ხსენებულ წერილობით წყაროებში, თუ როგორაა აღწერილი „რიფსიმიანელთა“ წამებიდან მოყოლებული, წმ. ნინოს ქართლის სამეფოში შემოსვლისეული ეტაპები და მათი სათანადო გაანალიზება რა კონკრეტული დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა.

⁵ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები, გვ. 60; იხ. აგრეთვე: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 115.

⁶ ცხოვრება წმიდა ნინოსი, შედგენილი დიდის არსენი ქართლისა კათოლიკოსის მიერ X საუკუნეში XI-XII-ს ხელნაწერიდან. გვ. 15;

⁷ ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. ტ. I. თბილისი, 1955, გვ. 84.

⁸ ს. საღუაშვილი. „ქართლის მოქცევის“ თარიღთან დაკავშირებული საისტორიო ძიებები. თბილისი, 2010, გვ. 63-64.

ა) დროითი ნიშანი - „ვარდის ყვავილობა“

„წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი რედაქციებიდან მხოლოდ ორი - „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“ უთითებს „რიფსიმიანეთა“ წამების შემდეგ წმ. ნინოს დამალვის ახალ ადგილს.

თუ დაუგვირდებით, აღმოვაჩინებთ, რომ ამ ორ წყაროს შორის არსებული, ერთი შეხედვით, ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები სინამდვილეში მთლიანი სურათის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა.

სომხეთში მოსული ლტოლვილების თავდაპირველი დამალვის ადგილის თაობაზე მხოლოდ „ქართლის ცხოვრება“ და XIII ს-ის მეტაფრასული რედაქცია იძლევა ცნობებს:

- „...და მოვიდეს ლტოლვილნი არეთა სომხითისათა, ადგილსა მას, რომელსა ჰქვიან ახალქალაქი, უაღერეს შენებულსა, რომელ არს დვინი, საყოფელი სომეხთა მეფისა. და **შევიდეს მუნ საწნეხელთა ვენახისათა**, რომელი შენებულ არს ჩრდილოთ - კერძ და აღმოსავალით...“⁹

(სომეხი მემატრიანის - აგათანგელოსის თანახმად კი „... მოიწიეს ქალაქსა არარატისასა და იყვნეს სადგურად მათდა საწნეხელნი ქალაქისანი...“).¹⁰

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ სომხეთში მისული ლტოლვილების თავდაპირველი განთავსების ადგილზე არაფერს უთითებს და მხოლოდ, რიფსიმიანთა წამების შემდეგ, ნინოს დამალვის ადგილმდებარეობის მინიშნებით კმაყოფილდება:

„...რიფსიმე დედოფალი და გაიანე დედამძუძე და ორმეოც და ათი სული წარმოვემართენით თთუესა პირველსა ათხუთმეტსა და გამოვედით არეთა სომხითისათა, სამოთხესა მას თრდატ

⁹ ქართლის ცხოვრება, ტ. 1. გვ. 82; იხ. აგრეთვე: ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ დირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოსის. გვ. 220.

¹⁰ ცხოვრებაჲ წმ. გრიგოლ პართელისაჲ, გამოცემული ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ. - ქართული ძეგლები. ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემანი. I. საეკლესიო მწერლობა. №2. ტფილისი, 1920, გვ. 21.

მეფისასა. ივინი მოიკლნეს მუნ თთუესა პირველსა ოც და ათსა, დღესა პარასკევსა. ხოლო მე დავშთი ეკალთა შინა ვარდისათა, რამეთუ ვარდი და ნუში ყუავოდა მას ჟამსა...“¹¹

ამდენად, სომხითში ჩასული ლტოლვილები სომეხთა მეფის სამყოფელში მისვლის შემდეგ **„შევიდეს მუნ საწნახელთა ვენახისათა“**. რიფსიმიანთა წამების შემდეგ კი წმ. ნინო უკვე სხვა ადგილას იმალება.

ამ ადგილის მიმანიშნებელ თხრობაში, ჩვენი აზრით, ორი დროითი მონაკვეთია გაერთიანებული. ესაა, ამ ადგილას წმ. ნინოს მისვლისა - **„მე დავშთი ეკალთა შინა ვარდისათა“**, და ამ ადგილიდან მისი წამოსვლის კონკრეტული დროითი მინიშნება - **„რამეთუ ვარდი და ნუში ყუავოდა მას ჟამსა“**. მაშასადამე, 30 მარტის წამების დღის შემდეგ, წმ. ნინოს თავი შეუფარებია „ეკალთა შინა ვარდისათა“ და იქიდან წამოსულა მხოლოდ ამ ვარდის აყვავების შემდეგ - **„რამეთუ ვარდი და ნუში ყუავოდა მას ჟამსა“**.

ზემოთქმულის დასტურად, ჯერ „ქართლის ცხოვრებისეული“ მინიშნება გაეცხენოთ: „...იწამა იგი, დედამძუძე მისი გაიანე და სსუანი მრავალნი მათთანანი... ხოლო რომელნიმე მათ წმიდათაგანნი დაიმაღლეს და ივლტოდეს (აქ მინიშნებაა თავდაპირველი დამალვის ადგილიდან: „საწნახელთა ვენახისათა“ - მათ სიღვტოლვაზე - ს.ს.);

მაშინ ესე წმ. ნინო („საწნახელთა ვენახისათა“-დან წამოსული - ს.ს.) დაიმაღლა ეკალთა შორის ვარდისათა, რომელი-იგი ჯერეთ არა ყუაოდა მას ჟამსა...“¹² ამდენად, დამალვის ახალ ადგილას, „ეკალთა შორის ვარდისათა“ მისვლისას, თურმე ვარდი „ჯერეთ არა ყუაოდა მას ჟამსა“.

„ეკალთა შორის ვარდისათა“ დამალვის ადგილიდან წმ. ნინოს წამოსვლის დროითი მინიშნება უკვე მოცემულია იმ თხრობაში, რომელშიც წმ. ნინოს ხილვაა გადმოცემული.

¹¹ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები, გვ. 60; იხ. აგრეთვე: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლტერატურის ძეგლები, გვ. 115.

¹² ქართლის ცხოვრება, ტ. I. გვ. 84.

ჯერ კიდევ უყვავებელი ვარდის ეკლებში დამალული წმ. ნინო, ხილვაში ხედავს „რიფსიმიანეთა“ ნაწამებ სულებს - „... ხედვიდა სიმრავლეს ანგელოსთასა წმიდათა მოწამეთა ზედა მოსრულად, ზეცად დიდებით აღმყვანებლად“.¹³

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“ იქვე გვაუწყებენ ხილვაში მომხდარის თაობაზეც. ოღონდ ერთი განსხვავებით: „ქართლის ცხოვრებაში“ წმ. ნინოს წინაშე გამოცხადებული დიაკვნის „სახელიცაჲ“ მოცემული: „...იხილა წმიდამან ნინო სტეფანეს მსგავსი დიაკონი, ჩამომავალი ოღარითა ნათლისათა...“¹⁴

ორივე ზემოთდასახელებული წყარო გამოცხადებული „სტეფანეს მსგავსი დიაკვნის“ მიერ ნათქვამს ერთნაირად გადმოგვცემს, რომელშიც, წმ. ნინოს მიერ ამ ახალი დამალვის ადგილიდან წასვლის კონკრეტული დროა მითითებული:

„...მაშინ ხმა ესმა ზეგარდმო, რომელი ეტყოდა, ვითარმედ: „ესრეთვე იყოს წარყვანება შენი ოდეს ეგე ეკალი, რომელი არს გარემოს შენსა, ყოველი იქმნეს ვარდის ფურცელ სულნელ აღდეგ და ვიდოდე ჩრდილოთ - კერძო...“¹⁵

მაშასადამე, 30 მარტს მომხდარი რიფსიმიანელთა წამების შემდეგ, წმ. ნინო იმალება ჯერ კიდევ უყვავებელი ვარდის ბუჩქში - „ღაიმაღლა ეკალთა შორის ვარდისათა, რომელი - იგი ჯერეთ არა ყუაოდა მას ჟამსა“¹⁶ და - ხილვაში მითითებულის თანახმად, იგი ამ ადგილიდან მხოლოდ ვარდის აყვავების შემდეგ მიდის - „...რამეთუ ვარდი და ნუში ყუაოდა მას ჟამსა...“¹⁷

¹³ ცხოვრება წმიდა ნინოსი, შედგენილი დიდის არსენი ქართლისა კათოლიკოსის მიერ X საუკუნეში XI-XII-ს ხელნაწერიდან, გვ. 15.

¹⁴ ქართლის ცხოვრება, ტ. I. 84; იხ. აგრეთვე: „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები, გვ. 61; იხ. აგრეთვე: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 115.

¹⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. I. გვ. 84-85; იხ. აგრეთვე: „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები, გვ. 61; იხ. აგრეთვე: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 115.

¹⁶ ქართლის ცხოვრება, ტ. I. გვ. 84.

¹⁷ მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები, გვ. 61; იხ. აგრეთვე: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 115.

როგორც ვიცით, ძველ ქართულად მაისის თვეს „ვარდობისა“ ეწოდება. მაშასადამე, შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ქართულ წყაროებში დაცული ცნობა, სწორედაც რომ დროით მინიშნებას უნდა შეიცავდეს, კერძოდ: 30 მარტს რიფსიმიანეთა წამების შემდეგ დამალვის ახალ ადგილზე გადასული წმ. ნინო, მეორე თავის ლტოლვილობას - ვარდის აყვავების შემდეგ, ანუ - „ვარდობის“ თვეში, ე. ი. მაისში იწყებს. და ამას იგი ხილვაში მოწვედილი ინფორმაციის საფუძველზე აკეთებს:

„...ესრეთვე იყოს წარყვანებაი შენი, ოდეს ეგე ეკალი რომელი შენსა გარემოდს არს, ყოველივე იქმნეს ვარდ მეწამულ, სულნელ შენ მიერ, ხოლო შენ აღდეგ და ვიდოდე აღმოსავლით...“¹⁸

აღნიშნული მონაკვეთის დასასრულს, შეგვიძლია დიდი ალბათობით დავასკვნათ, რომ **რიფსიმიანელთა წამების შემდეგ, წმ. ნინო მთელი ორი თვე – აპრილი და მაისი – იმალება და მხოლოდ ამის შემდეგ მიდის ე. წ. მეორე ლტოლვილობაში.**

ბ) „პირველი“ თვიდან - „მეოთხე“ თვემდე

ქართულ წყაროებზე დაკვირვების შედეგად, შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი წმ. ნინოს ლტოლვილობითი დროის სამ პერიოდად დაყოფის შესახებ, რომელთაგან **პირველზე, წმ. ნინოს ქ. ფეხსოდან გამოქცევისა და სომხითში „საწნეხელთა ვენახისათა“ და მეორეზე, „საწნეხელთა ვენახისათა“-დან წმ. ნინოს მიერ „ეკალთა შინა ვარდისათა“-ში დამალვის შესახებ, ზემოთ უკვე დეტალურად ვისაუბრეთ.**

ახლა ვნახოთ, რა ინფორმაციებია დაცული ქართულ წყაროებში ლტოლვილობის **პირობით - მესამე პერიოდზე.** აღნიშნულ დროით მონაკვეთს „წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი ყველა რედაქცია ეხება. ზემოთქმულის მსგავსად, მათ შორის

¹⁸ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები, გვ. 61; იხ. აგრეთვე: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 115.

ამ საკითხთან მიმართებაშიც შეიმჩნევა მცირეოდენი განსხვავებანი. ამიტომ, შემდგომი ჩვენი თხრობაც სწორედ მათი განხილვით განვაგრძობთ.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, თრდატ მეფის მიერ რიფსიმიანელთა წამების შემდეგ „ეკალთა შინა ვარდისათა“ დამალული წმ. ნინო, ამ ადგილს, სასწაულებრივ ხილვაში მოცემული მითითების თანახმად, „...ესრედვე იყოს წარყვანებაი შენი, ოდეს ეგე ეკალი, რომელი შენსა გარემოდს არს, ყოველივე იქმნეს ვარდ მეწამულ, სულნელ შენ მიერ. ხოლო შენ აღდეგ და ვიდოდე აღმოსავლით...“¹⁹ ანუ ვარდის აყვავების შემდეგ ტოვებს, ამ, ლტოლველობის ე. წ. მეორე პერიოდის ადგილსამყოფელს - „...მაშინ შექრწუნებულნი წამოველ და მოველ უღუპორეთა...“²⁰

წმ. ნინოს დამალვის ახალი ადგილის თაობაზე ასეთსავე ცნობებს შეიცავს XIII ს-ის მეტაფრასული და არსენ ბერისეული რედაქციები - „...ხოლო წმიდაჲ ნინო განეშორა განგებითა ღმრთისაჲთა, განერა ხელთა მათგან და ივლტოდა, და მივიდა უღოპოროს...“²¹

არსენ ბერისეულ თხზულებაში, ამ ადგილის სახელი ოდნავ განსხვავებულადაა მოცემული - „...მოვიდა ოლოპორთა...“²²

ამდენად, სამივე განხილული რედაქცია წმ. ნინოს დამალვის ახალი ადგილის სახელს ოდნავი განსხვავებებით მოიხსენიებს -

¹⁹ მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები, გვ. 61; იხ. აგრეთვე: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 115.

²⁰ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები, გვ. 61; იხ. აგრეთვე: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 115.

²¹ ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოსის. გვ. 200.

²² ცხოვრება წმიდა ნინოსი, შედგენილი დიდის არსენი ქართლისა კათოლიკოსის მიერ X საუკუნეში XI-XII-ს ხელნაწერდგან, გვ. 15.

„ულოპორეთა“ (სინური და შატბერდული რედაქცია), **„ულეპორეთა“** (ჭელიშური რედაქცია), **„ოლოპორთა“**²³ და **„ულოპორს“**²⁴

„ქართლის ცხოვრება“ ზემოთქმულისაგან განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის - „...და წარმოვიდა მუნით წმიდა ნინო და მოვიდა **ორბანთად** საზღვართა სომხითისათა...“²⁵ „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ხელნაწერში ამ ადგილის სახელი ოდნავ განსხვავებულადაა მოცემული - „...**ორბანთა, ორბანად**...“²⁶

აღნიშნული თხრობა წმ. ნინოს მიერ სომხითის საზღვართან გატარებული დროის დაფიქსირებით გრძელდება, რომლის თაობაზეც „წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერი ყველა რედაქცია ერთნაირ ცნობებს გვაწვდის. ამასთანავე, არსენ ბერიძეული და XIII ს-ის მეტაფრასული რედაქცია მხოლოდ ორიოდ ფრაზით შემოიფარგლება - „...მუნ დაიზამთრა...“²⁷

ამათგან განსხვავებით, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს - „...და მუნ დაიზამთრა ჭირთა შინა მრავალთა...“²⁸

ჩვენი აზრით, სწორედ ამ **„ჭირთა შინა მრავალთა“** - სეული ინფორმაციიდან იკვეთება ლტოლვილობის, ზემოთქმული, ე. წ. მესამე ეტაპის არსი. კერძოდ, ამ ფრაზით გვეთითება იმ „მრავალთა“ ჭირზე, რასაც სავარაუდოდ სომხითში მყოფი, ქრისტეს სჯულის მაღიარებელი, წმ. ნინო განიცდიდა.

²³ ცხოვრება წმიდა ნინოსი, შედგენილი დიდის არსენი ქართლისა კათოლიკოსის მიერ X საუკუნეში XI-XII-ს ხელნაწერიდან. გვ. 15.

²⁴ ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოდისი, გვ. 200.

²⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. I. გვ. 85.

²⁶ ქართლის ცხოვრება, ტ. I. გვ. 85.

²⁷ ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოდისი, გვ. 200; ცხოვრება წმიდა ნინოსი, შედგენილი დიდის არსენი ქართლისა კათოლიკოსის მიერ X საუკუნეში XI-XII-ს ხელნაწერიდან. გვ. 15.

²⁸ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 84; „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები, გვ. 61; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 115.

ზემოთმითითებული თხრობის გაგრძელებაში, წყაროების მიხედვით, გვიკონკრეტდება წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლის დრო. არსენ ბერისეული და XIII საუკუნის მეტაფრასული რედაქციები აღნიშნულის თაობაზე ერთნაირ ინფორმაციას გვაწვდიან - „...და ვითარცა მოიწია ზაფხული, აღმოვიდა მათა ჯავახეთისათა...“²⁹

ამასთან დაკავშირებით „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ვკითხულობთ - „...მოვედ უღოპორეთა, და დავიზამთრე ჭირთა შინა დიდთა. და თთუესა მეოთხესა წარვედ მათა ზედა ჯავახეთისათა...“³⁰ მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულით გვეუწყება, რომ წმ. ნინო ქართლში შემოსულა „ზაფხულში“, „თთუესა მეოთხესა“.

აქ მითითებული „ზაფხულის“ განმარტებაში, სულხან-საბა ორბელიანთან ვკითხულობთ - „ზაფხული, ზაფხული არს თვე სამი: მარიალისა, თიბისა და ქველთობისა...“³¹ სულხან-საბას მიხედვით, იქვე გვეუწყება, რომ მითითებულ თვეთა - „მარიალისა“, „თიბისა“ და „ქველთობისა“ ქართულ სახელდებებს, ლათინურად - იენისი, ივლისი და აგვისტო შეესაბამება.³²

ლეონტი მროველისეული მითითება, ერთგვარად განმარტავს ყოველივე ზემოთქმულს - „...და მუნ დაიზამთრა ჭირთა შინა მრავალთა. და **თთუესა მეოთხესა, რომელ არს იენისი**, წარმოემართა და მოიწია მათა ჯავახეთისათა...“³³ მაშასადამე, გვიკონკრეტდება, რომ საძიებელი „ზაფხულის“ შესატყვისი - „თთუესა მეოთხესა“, ყოფილა იენისის თვე. „ქართლის ცხოვრების“ ზოგი-

²⁹ ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოსი, გვ. 220; ცხოვრება წმიდა ნინოსი, შედგენილი დიდის არსენი ქართლისა კათოლიკოსის მიერ X საუკუნეში XI-XII-ს ხელნაწერიდგან, გვ. 15.

³⁰ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები, გვ. 61-62; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 115.

³¹ **სულხან-საბა ორბელიანი**. ლექსიკონი ქართული. ტ. 1. თბილისი, 1991, გვ. 277.

³² **სულხან-საბა ორბელიანი**. ლექსიკონი ქართული. ტ. 2. თბილისი, 1991, გვ. 650.

³³ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 85.

ერთ ხელნაწერში, ამ „მეოთხე თვის“ ათვლაც არის მოცემული - „...მეოთხესა + მარტივან“.³⁴

ჩვენი აზრით, სულაც არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ წმ. ნინო, ქართლის სამეფოში, მაისის მომდევნო - ივნისის თვეში შემოდის. აქ, წმ. ნინოს „ეკალთა შინა ვარდისათა“ ყოფნის დროს, სასწაულებრივი გამოცხადებისას მითითებული ანარეკლი უნდა იკითხებოდეს. შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ისევე როგორც „ეკალთა შინა“ ყოფნის ადგილიდან, აქაც, ანუ ულოპოროს, ანდა - ორბანთად ყოფნის ადგილიდანაც, წმ. ნინო ვარდის აყვავების დროითი მიჯნის შესაბამისი - „ვარდობის“, ანუ მაისის თვის გასრულების შემდეგ მოდის.

ყოველივე ზემოთქმული შეგვიძლია შევაჯამოთ და ვთქვათ, რომ „წმ. ნინოს ცხოვრების“ აღმწერ რედაქციებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა - **წმ. ნინოს ლტოლვილობის სამი პირობითი ეტაპი და მასთან დაკავშირებული - კონკრეტული დროითი მიჯნები.** კერძოდ:

- ლტოლვილობის პირობითი პირველი პერიოდი მოიცავს ქ. ეფესოდან სომხითში მოსვლისა და „საწნეხელთა ვაზისა“ ყოფნის დროით მონაკვეთს, რომელიც ლტოლვილების - ქ. ეფესოდან წამოსვლის, ანუ - 322 წლის 15 მარტიდან იწყება („თთუესა პირველსა ათხუთმეტსა“), სომხითში მათი მოსვლით, იმავე წლის 25 მარტიდან, მათი - „საწნეხელთა ვაზისა“ ყოფნით გრძელდება („დაადგრეს მუნ ჟამ რავდენმე“) და იმავე წლის 30 მარტს რიფსიმიანელთა წამებით მთავრდება („იგინი მოიკლნეს მუნ თთუესა პირველსა ოც და ათსა, დღესა პარასკევსა...“).

მაშასადამე, **ლტოლვილობის პირობითი პირველი პერიოდი 322 წლის 15-30 მარტამდე არსებულ დროით მონაკვეთს მოიცავს;**

- „წმ. ნინოს ლტოლვილობის ე. წ. მეორე პერიოდი, რიფსიმიანეთა წამებიდან ათვლით „ეკალთა შორის ვარდისათა“ ადგილზე დამადვის პერიოდს მოიცავს რომელიც იწყება როდესაც ვარდი „...იგი ჯერეთ არა ყუაოდა მას ჟამსა...“ და მთავრდება

³⁴ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 85.

მაშინ, როდესაც: „ვარდი და ნუში ყუაოდა მას ჟამსა...“ ეს კი, როგორც ითქვა „ვარდობის“ თვეზე, ანუ - მაისზე უნდა მიგვანიშნებდეს.

მაშასადამე, **ლტოლვილობის ე. წ. მეორე პერიოდი 322 წლის მარტის თვიდან, ვიდრე ამავე წლის მაისის მიწურულამდე არსებულ დროით მონაკვეთს მოიცავს;**

- დაბოლოს, წმ. ნინოს ლტოლვილობის ე. წ. **მესამე პერიოდის** დაწყება-დამთავრება განსაზღვრულია წმ. ნინოს მიერ „ეკალთა შინა ვარდისათა“ ყოფნისას მიღებული გამოცხადებით - „...ესრეთვე იყოს წარყვანებაი შენი, ოდეს ეგე ეკალი, რომელი არს გარემოს შენსა, ყოველი იქმნეს ვარდის ფურცელ სულნელ აღდეგ და ვიდოდე...“³⁵

ლტოლვილობის ე. წ. **მესამე პერიოდი იწყება „ვარდი და ნუში ყუაოდეს მას ჟამსა“-დან, ანუ 322 წლის მაისის თვიდან და მთავრდება ერთი წლის თავზე („...და მუნ დაიზამთრა...“³⁶), ანუ 323 წლის მაისის თვეში („...ვარდი და ნუში ყუაოდეს მას ჟამსა...“³⁷**

მაშასადამე, წმ. ნინოს ლტოლვილობა დაწყებულია ქ. ეფესოდან გამოქცევის, ანუ 322 წლის 15 მარტიდან და დამთავრებულია 323 წლის მაისის თვეში, რომლის შემდეგაც წმ. ნინო „...თუესა მეოთხესა, რომელ არს იენისი, წარმოემართა და მოიწია მათათა ჯავახეთისათა...“³⁸

³⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 85.

³⁶ ცხოვრებად და მოქალაქეობად ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოესი, გვ. 220.

³⁷ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ რედაქციების პარალელური ტექსტები, გვ. 61; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 115.

³⁸ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 85.

ღურმიშხან ლაში – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის
დოქტორანტი

ცოტა რამ მეცენატობისა და ქველმოქმედების წარსულიდან საქართველოში

„ქველმოქმედებას ხანგრძლივი ისტორიული ფესვები აქვს. ძველი რომის დიდი მოაზროვნეები, ციცერონი, პლინიუსი და სხვანი მიუთითებდნენ, რომ უნდა დავეხმაროთ მათ ვისაც უჭირს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი საუკუნის მოღვაწის გაიოზ მეცენატის მფარველობით და ქველმოქმედებით მრავალი ნიჭიერი ადამიანი დაფრთიანდა“.¹

ქრისტიანულმა რელიგიამ ქველმოქმედება ღვთისადმი სამსახურის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა და ორგანიზებული ხასიათი მისცა. ყოველივე ამან, ცხადია, პრაქტიკული გამოხატულება პპოვა. საუკუნეთა განმავლობაში, ქრისტიანულმა ეკლესიამ, რომელიც თავისი ჰუმანური იდეებით მკვეთრად გამოირჩეოდა, აშკარად აგრესიული ხასიათის სხვა მსოფლიო რელიგიების ფონზე, საქველმოქმედო ხასიათის არაერთი აქცია განახორციელა, რისთვისაც ფართოდ იყენებდა შემოწირულობებსა და სხვა გზით შეგროვებულ სახსრებს. ესე იგი, ქველმოქმედება მოწოდებული იყო ქრისტიანული რელიგიით და სრულიად გამართლებული იყო.

ქველმოქმედება და მეცენატობა შინაარსობრივი თვალსაზრისით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება; სიტყვა მეცენატი

¹ **დ. გურეშიძე**. ქველმოქმედება. ნარკვევების კრებული. ქუთაისი, 1995, გვ. 3.

ნიშნავს „მეცნიერებისა და ხელოვნების მდიდარ მფარველს. მდიდარი რომაელი პატრიციის მეცენატის სახელის მიხედვით“² რაც შეეხება სიტყვა ქველმოქმედს, ნიშნავს ღარიბი ადამიანის მფარველს, რომელსაც ფინანსურ დახმარებას უწევს ესა თუ ის კონკრეტული ადამიანი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქველმოქმედება და მეცენატობა ძირითადად დამახასიათებელია კაპიტალიზმის განვითარების პერიოდისათვის. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ თითოეულ მათგანის შინაარსს, განსაკუთრებით კი ქველმოქმედებისას, რეალურად დავინახავთ, რომ ქველმოქმედების ელემენტები არსებობდა საქართველოში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში.

რა გვაძლევს ამის ფიქრის საბაბს? საქმე იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებაში ყოველთვის არსებობდა ისეთი ფენა, რომელიც საჭიროებდა დახმარებას. ამას მოწმობს ქართულ სიტყვიერებაში არსებული ისეთი ტერმინები, როგორებიცაა: გლახაკი, უქონელი, უპოვარი და სხვა.

საქართველოში ქველმოქმედებას ეწეოდა როგორც სახელმწიფო ანუ ხელისუფლება, ასევე კერძო პირებიც. მაგალითად ბაგრატ კურაპალატმა დააწესა საქართველოში „გლახაკთ ნაწილი“, რომელიც XIII საუკუნემდე არსებობდა. ეს იყო სახელმწიფო შემოსავლიდან 10%-ის ღარიბებისთვის დარიგება, რომელიც ორგანიზებული იყო სახელმწიფოსგან. ქველმოქმედებას თვალყურს ადევნებდნენ სახელმწიფოს მიერ დანიშნული ზედამხედველები.

ქველმოქმედება უნდა იყოს წარმოებული ნებაყოფლობით და არა ძალდატანებით. ზემოთ აღნიშნული ქველმოქმედება იმითაა აღსანიშნავი, რომ სახელმწიფო თავისი შემოსავლიდან გასცემდა დახმარებას, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. ამას ადასტურებს ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „ქართულ საზოგადოებაში ისეთი აზრი და რწმენა ტრიალებდა, რომ მხოლოდ იმ ფულისა და ქველსაქმარის მიცემა

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. 5. თბილისი, 1958, გვ. 215.

შეიძლება, რომელიც ადამიანს თავისი ოფლით და სინდისიერად ნაშოვნის და შექმნილი ჰქონდა“.³ ასეთ ქველმოქმედებას დიდი ზნეობრივი დანიშნულება ჰქონდა.

სახელმწიფოს გარდა, ქველმოქმედებას ეწეოდნენ ეკლესიამონასტრებიც, რომლებიც შეწირული თანხებით დახმარებას უწევდნენ გლახაკებს.

XIX საუკუნეში საქართველოში იწყება კაპიტალიზმის განვითარებას, რამაც საფუძველი ჩაუყარა გარკვეული კაპიტალის დაგროვებას კაპიტალისტის ხელში. სწორედ ამიტომ, რომ XIX საუკუნე ითვლება ქველმოქმედებისა და მეცენატობის განვითარების პერიოდად, რადგანაც ქართველი კაპიტალისტები იწყებენ საქართველოში ამ საქმიანობას.

XIX საუკუნის 70-80-იანი წლებიდან საქართველოში ჩამოყალიბებას იწყებს სხვადასხვა სახის საქველმოქმედო საზოგადოება, რომელიც დიდ დახმარებას უწევს მოსახლეობის დაჩაგრულ ფენას. ეს ორგანიზაციები აგრეთვე მიზნად ისახავენ საქართველოში სწავლა-განათლების გავრცელებასა და ხალხთა ფართო ფენების მასში ჩაბმას. ბუნებრივია, ეს ორგანიზაციები დამოკიდებულნი იყვნენ კერძო შეწირულობაზე.

XIX საუკუნეში ბევრი წვრილი ქველმოქმედი იყო, მაგალითად მიხეილ, დავით, გრიგოლ და გიორგი სარაჯიშვილებმა ალავერდის ეკლესიის კანკელი გააკეთებინეს, აგრეთვე მათ გააკეთებინეს მოსკოვში და ჩამოატანინეს ვერცხლითა და ოქროთი შემკული მშვენიერი სახარება მარტყოფის ღვთაების ტაძრისა. ამავე ტაძარს მათ 1907 წელს ვერცხლის ტრაპეზის ჯვარი შესწირეს.

XIX საუკუნეში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ქართველი საზოგადო მოღვაწეები სწირავდნენ სტუდენტებისთვის თანხებს ან ანდერძს ტოვებდნენ, რომლითაც მთელ თავიანთ ქონებას უტოვებდნენ სხვადასხვა საზოგადოებას, რომელთაც უნდა მოეხმარებინათ სწავლა-განათლების ან სხვადასხვა კულტურული

³ ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წიგნი II. ნაკვეთი II. თბილისი, 1929, გვ. 33.

საქმიანობის განსახორციელებლად. სწორედ ასეთ პიროვნებას წარმოადგენდა გაბრიელ ეპისკოპოსი.

1890 წელს გაბრიელ ეპისკოპოსმა დატოვა ანდერძი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ბახვის სოფლის სკოლას გადაეცეს 12 200 მანეთი, საეპარქიო სამზრუნველო სასულიერო წოდების ღარიბთათვის იმერეთის ეპარქიაში 2000 მანეთი, ქუთაისის საქალაქო საქველმოქმედო საზოგადოებას ღარიბთათვის 1500 მანეთი, ქუთაისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოსწავლეებს 3000 მანეთი, თბილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოსწავლეებს 3000 მანეთი, იმერეთის საეპარქიო სკოლას 5000 მანეთი, გელათის მონასტერს 1000 მანეთი გლახაკთათვის დასარიგებლად“.⁴

XIX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში იწყება ქართველი სტუდენტების დასახმარებლად ფულის შეგროვება, რომელშიც ძირითადად მონაწილეობას იღებდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწენი. ისინი ფულს აგროვებდნენ შემდეგნაირად: „ერთი რომელიმე პირი ითავებდა ამ საქმეს და თავის ნაცნობ მეგობრებში მოაგროვებდა მცირე, მაგრამ ღარიბი სტუდენტებისათვის მაინც მნიშვნელოვან თანხას. პირადი ან რომელიმე ნათესავის საშუალებით მიაწოდებდა ამ თანხას ვისთვისაც იყო განკუთვნილი“.⁵

1862 წელს „ცისკარი“ წერდა: „პროვიანტის მაღაზიის ჩინოვნიკებმა მოაგროვეს თავიანთში ფული, რომელიც შესდგა ცამეტი თუმანი და ერთი მანეთი. ეს ფული გაგზავნეს პეტერბურგის უნივერსიტეტში ღარიბი სტუდენტების შესაწევნელად“.⁶

70-იან წლებში შეიქმნა ე.წ. „თბილისის კეთილმოქმედი საზოგადოება“, რომელიც თავდაპირველად არსებობდა მხოლოდ საწვერო შესატანით, თუმცა საწვეროთი შეგროვებული თანხ-

⁴ მელიტონ კელენჯერიძე. გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთის. თბილისი, 1913, გვ. 227.

⁵ ირ. ტატიშვილი, თ. დეკანოზიძე. მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა. თბილისი, 1960, გვ. 154.

⁶ ჟურნალი „ცისკარი“, 1862, №2, გვ. 212.

ები არასაკმარისი აღმოჩნდა, ამიტომ ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც საზოგადოების წევრები მოსახლეობაში ავროვებდნენ ფულს.

თბილისის კეთილმოქმედთა საზოგადოება ატარებდა კონცერტებს, სპექტაკლებს და შემოსულ თანხას უგზავნიდა სტუდენტებისათვის.

1885 წელს საჩხერეში დადგმულ სპექტაკლში შემოვიდა 45 მანეთი, რომელიც მთლიანად გადაერიცხა ღარიბ სტუდენტებს.

„თბილისის კეთილმოქმედი საზოგადოების“ არსებობას ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა, რადგანაც ეს საზოგადოება არა თუ ეხმარებოდა სტუდენტებს, არამედ იცოდა საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში მყოფი სტუდენტების რაოდენობა და, აგრეთვე, მათი ეკონომიკური მდგომარეობა, რადგანაც სტუდენტები ხშირად წერდნენ წერილებს ზოგი სტიპენდიის დანიშვნის თხოვნით, ზოგიც კი მადლობის გადასახდელად.

1901 წელს კიევში ქართველმა სტუდენტებმა ჩაატარეს ეროვნული საღამო, სადაც 600 მანეთი ვალი დაედოთ. ამის გამო ისინი თხოვნდნენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს დახმარებას, რათა მათ დაეხმარებინათ განცხადებები და სტუდენტობას დახმარებოდნენ ვალის გადახდაში. სტუდენტების ამ მოთხოვნას დიდი მხარდაჭერა მოჰყვა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის. როგორც ირკვევა, სტუდენტებს 100 მანეთით დახმარება აღმოუჩინა ვინმე ჯიშკარიანმა, რომლის შესახებაც „კვალში“ სამადლობელი წერილი დაიბეჭდა. სტუდენტებს ვალის გადახდაში დაეხმარა მღვდელი ქრისტეფორე ჯიოფეი, მან 14 მანეთი გაუგზავნა მათ. სტუდენტების 21 მანეთი გაუგზავნა ანა ანდუყაფარმა.

1888 წელს გიორგი ქართველიშვილმა დააფინანსა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაცია, რომელიც შეასრულა მიხაილ ზინმა. ილუსტრაციის გარდა გიორგი ქართველიშვილმა დააფინანსა ამ „ვეფხისტყაოსნის“ ყდის ძვირფასად მოჭედვაც (ცნობილია, როდესაც ზინი „ვეფხისტყაოსნის“ უკეთებდა ილუსტრაციას, ცოცხალი პერსონაჟებიდან ხატავდა იმ სცენებს, როდესაც თამარ

მეფეს შოთა რუსთაველი გადასცემს „ვეფხისტყაოსანს“. შოთა რუსთაველის პერსონაჟს განასახიერებს დავით სარაჯიშვილი).

ქველმოქმედებას და მეცენატობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც XIX საუკუნეში ქართველი ხალხის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა ცარიზმის კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაცია, პერსპექტივაში სრული ეროვნული და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პერსპექტივის მოპოვება, ქართველი ხალხის განათლება, ეროვნული თვითშეგნების აღზრდა და ქართული ენისა და კულტურის დაცვა. ეს გახლდათ მთავარი კრიტერიუმი XIX საუკუნის საქართველოსი. ბუნებრივია, ამ იდეის განხორციელებაში ჩაბმულები იყვნენ არა მარტო საზოგადო მოღვაწენი, არამედ საქველმოქმედო საზოგადოებებიც და ის ქველმოქმედები, რომლებიც მოღვაწეობდნენ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში.

ფილოლოგია

ტარიელ ფუტკარაძე – საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსი-
ტეტის პროფესორი, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი

უცხოური პოლისემანტიკური ტერმინები და რუკები ქართულ პოლიტიკურ კონტექსტში

თანამედროვე ლექსიკონებში ტერმინ „რეგიონს“ რამდენიმე კონკრეტული მნიშვნელობაც აქვს; მაგ., ოქსფორდის ლექსიკონში ვკითხულობთ¹:

- ადგილი/არეალი, ქვეყნის ან მსოფლიოს განსაზღვრული ნაწილი განსაკუთრებული მახასიათებლებით, რომლის საზღვრები ყოველთვის დადგენილი არ არის: ეკვატორული რეგიონები; ღვინის წარმოების მთავარი რეგიონი...²

- ქალაქის ან ქვეყნის ადმინისტრაციული რაიონი: ლოტიანის რეგიონი (რეგიონი შოტლანდიის ცენტრალურ ნაწილში); საქსონია დაყოფილი იყო ოთხ დიდ რეგიონად და სხვ.³

- (რეგიონები) ბრიტანეთი - ქვეყნის ნაწილები დედაქალაქის

¹ <http://oxforddictionaries.com/definition/english/region?q=region>.

² an area, especially part of a country or the world having definable characteristics but not always fixed boundaries: the equatorial regions; a major wine-producing region.

³ an administrative district of a city or country: Lothian Region Saxony was divided into four large region.

გარეთ ან ხელისუფლების მთავარი ადგილი: რეგიონებში ინვესტიციის დანერგვა/წამოწყობა;⁴

- აქტივობებისა და აზროვნების არეალი: იგი კერავს/ქარავს ფოლკლორული ხელოვნების რეგიონში (სფეროში)⁵

- სხეულის ნაწილი, განსაკუთებით ორგანოების ირგვლივ ან ახლოს⁶...

„რეგიონი“ მომდინარეობს ლათინური სიტყვისგან: რეგიო (რეგიონის), რომელიც ნიშნავს: „ქვეყანას“, „მხარეს“, „ოლქს“. ცნობილ ლექსიკონებში ზოგადი მნიშვნელობაა: „მსხვილი ტერიტორიული ერთეული (ბუნებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვ.)“. რეგიონის რამდენიმე მნიშვნელობიდან გამოვარჩევთ ჩვენი თემისთვის საინტერესო სამ ძირითად განმარტებას:

რეგიონი:

- მსოფლიოს ან ქვეყნის რომელიმე ნაწილი კონკრეტული ადმინისტრაციული **საზღვრების გარეშე**; შდრ.: კავკასიის რეგიონი; საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონი;

- დედაქალაქის გარეთ არსებული ეკონომიკურ-ინდუსტრიული, ეკოლოგიური... სივრცე კონკრეტული ადმინისტრაციული **საზღვრების გარეშე**;

- ქვეყნის ადმინისტრაციული ერთეული თავისი **კონკრეტული საზღვრებითა** და ხელისუფლებით, ზოგჯერ პრეზიდენტითა და კი (მაგ., ლოზანას ჰყავს თავისი პრეზიდენტი (იტალია).

რეგიონის განსხვავებულ განმარტებებს შეესაბამება ტერმინ „რეგიონალიზმის“ სხვადასხვა გაგებაც⁷:

- ლოიალურობის განცდა გამორჩეული რეგიონის მიმართ, სადაც ერთგვაროვანი მოსახლეობაა დასახლებული;

⁴ [the regions] British the parts of a country outside the capital or chief seat of government: the promotion of investment in the regions.

⁵ an area of activity or thought: his work takes needlework into the region of folk art.

⁶ a part of the body, especially around or near an organ: the lumbar region.

⁷ იხ., ვებსტერის ლექსიკონი /<http://www.merriam-webster.com/dictionary/regionalism/>.

- პოლიტიკური ან სოციალური სისტემის განვითარება, რომელიც დაფუძნებულია ერთ ან რამდენიმე მსგავს ადგილზე.

- საზგასმა რეგიონულ ადგილმდებარეობაზე და მახასიათებლებზე ხელშეწყობასა თუ ლიტერატურაში.

- გეოგრაფიული ადგილის დამახასიათებელი თვისება (როგორცაა მეტყველება).

რომელი სემანტიკითაა გამოყენებული განხილული ტერმინები ქართულ სინამდვილეში?

საქართველოს მთავრობის (2011 წ.) ყოფილი პირველი ვიცე-პრემიერის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრის, **დავით ტყეშელაშვილის, ხელმძღვანელობით** საქართველოს რეგიონული განვითარების კომისიამ /ევროსაბჭოს ექსპერტების მონაწილეობით/ 2009 წელს მოამზადა სახელმწიფო დოკუმენტი, სადაც ვკითხულობთ:

„თვითმმართველობის დონეზე „რეგიონის“ ქვეშ იგულისხმება მუნიციპალიტეტები და თვითმმართველი ქალაქები (სულ 69, აქედან 5 თვითმმართველი ქალაქი). მმართველობის დონეზე „რეგიონად“ განიხილება სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის – კომპეტენციების გავრცელების ტერიტორიული არეალი“.⁸

საქართველოს იმავე მთავრობის სხვა ოფიციალურ დოკუმენტში⁹ კი ასეთი ფრაზაა: „ქვეყნის მდგრადი რეგიონული განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისას **რეგიონი განიმარტება**, როგორც ფუნქციურ-დაგეგმარებითი ერთეული, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ერთობლიობას და, როგორც წესი, ემთხვევა საქ-

⁸ http://icsrpa.org.ge/images/DR_Geo.pdf.

⁹ დადგენილება 172 2010 წლის 25 ივნისი; ქ. თბილისი საქართველოს რეგიონული განვითარების 2010–2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ.

რთველოს სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების – სამოქმედო ტერიტორიას. სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე, რეგიონად აგრეთვე განიხილება ქ. თბილისი, საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკები და დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული“.¹⁰

საქართველოს ამჟამინდელი (2013 წ.) მთავრობის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებგვერდზეც მსგავსი ინფორმაციაა: ამ შემთხვევაშიც საქართველოს რეგიონების საზღვრები ზუსტად ემთხვევა რწმუნებულების საგამგებლო არეალს;¹¹ აქვე საუბარია კომპეტენციების გამიჯვნაზეც:

„რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ერთ-ერთი პირველი ამოცანაა „ცენტრალური [ხელისუფლების], რეგიონული მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებათა გამიჯვნისა და გადანაწილების საკითხებზე წინადადებების შემუშავება“.¹²

ახლა არის მცდელობა, ორგანულ კანონშიც შევიდეს ტერმინი „რეგიონი“, როგორც ადმინისტრაციული საზღვრების მქონე ავტონომიური ერთეული. კერძოდ: 2013 წლის 5 აპრილს საქართველოს საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე „რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს“ სახელით მინისტრის მოადგილემ **ბ-ნმა თენგიზ შერგელაშვილმა** განაცხადა, რომ იგეგმება, კანონით დარეგულირდეს **რეგიონულ დონეზე** წარმომადგენლობითი საბჭოების ამოქმედება /თვითმმართველობის კომპონენტების დანერგვა/ და რეგიონული ბიუჯეტის შემოღება... აქვე აღვნიშნავ, რომ **სამინისტროს ერთ-ერთი სამსახური** - „ვანო ხუხუნიაშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის

¹⁰ http://www.lsg.gov.ge/files/_1909_814272_STATESTRATEGY2010-2017GEO.pdf.

¹¹ <http://mrdi.gov.ge/ge/regions-map/directory/gmap.html>.

¹² <http://mrdi.gov.ge/ge/-/the-goals-and-the-objectives-of-the-ministry.html>.

სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი“ - ანალოგიურ ხედვას უფრო ადრე აყალიბებდა: საქართველო „მომზადებული უნდა შეხვდეს იმ დროს, როცა საქართველო რეალურად დადგება რეგიონული მოწყობის საკითხის გადაწყვეტის წინაშე, რომელიც გულისხმობს არა მარტო ცენტრალური ხელისუფლების გაგრძელებას რეგიონულ დონეზე, არამედ, ასევე, **რეგიონული წარმომადგენლობითი ორგანოების შექმნას**“.¹³

შემდგომმა ნაბიჯმაც არ დააყოვნა: 2013 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა¹⁴ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“,¹⁵ რომელშიც ვკითხულობთ:

„მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანების“ ხელმძღვანელია ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული **სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი** (მუხლი 175)...

ახალი „**მუნიციპალიტეტთა რეგიონულ გაერთიანება**“ სტრუქტურითა თუ ფუნქციებით „რეგიონულ პარლამენტს“ ჰგავს. კერძოდ, რეგიონული გაერთიანების წარმომადგენლობით ორგანოს ქმნიან მოცემულ რეგიონში შემავალი **მუნიციპალიტეტების საკრებულოს არჩეული დეპუტატები** (მუხლი 169). ამ რეგიონულ „წარმომადგენლობით ორგანოს“ ეყოლება ხელფასიანი არჩეული თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე (მუხლი 171). რეგიონული გაერთიანება წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (მუხლი 166); მის უფლებამოსილებებს განეკუთვნება:

ა) მოცემული ტერიტორიის განვითარების სტრატეგიის დამტკიცება და განხორციელება;

ბ) პროექტების, პროგრამების და მათი ხარჯთაღრიცხვის

¹³ http://www.lsg.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=301&info_id=1181.
http://www.lsg.gov.ge/files/_2358_384382_ActionPlan.pdf .

¹⁴ <http://mrdi.gov.ge/ge/component/content/article/1161-the-government-of-georgia-approved-the-self-government-code.html>.

¹⁵ <http://mrdi.gov.ge/ge/component/content/article/5-archive/1161-saqarhvelos-mthavrobam-thvithmmarthvelobis-kodeqsi-daamtkica.html>.

მომზადება, დამტკიცება და აღსრულება შემდეგ სფეროებში და სხვა სამეურნეო ხასიათის ფუნქციები (მუხლი 168) და სხვ.

რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი, რომელიც რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილების აღსრულებას ახორციელებს სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის საშუალებით (მუხლი 175)¹⁶...

ანუ შემოთავაზებულ საკანონმდებლო ინიციატივას პარლამენტი თუკი დაამტკიცებს, მოცემულ მხარეში ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი (რწმუნებული) **რეგიონული წარმომადგენლობითი საბჭოს აღმასრულებელ ხელისუფლებად იქცევა** - მკვეთრად შესუსტდება ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლის ფუნქციები¹⁷.

ვფიქრობ, დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების ამბიციების დაპირისპირების ველში – **კავკასიის¹⁸ ცენტრალურ ნაწილში** – არსებული საქართველოს სახელმწიფოსათვის სერიოზული რისკების შემცველია „**მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანება**“. **კერძოდ**, მთავრობის მიერ მომზადებული კანონპროექტის მიხედვით, ამ ეტაპზე თითქოსდა მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობით შემო-

¹⁶ კანონპროექტი მომზადებულია რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლის, „რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს“ მინისტრის მოადგილის თენგიზ შერგელაშვილის მიერ.

¹⁷ შდრ., „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს“ ვებგვერდზე განსხვავებულ ინტერპრეტაციას ვკითხულობთ:

¹⁸ ევრაზიის კავშირის შექმნის მცდელობის პროცესში რუსეთი დიდ იმედებს ამყარებს გუიმრის სამხედრო ბაზაზე, რომელთან სახმელეთო კავშირის აღსადგენად ესაჭიროება სამცხე-ჯავახეთის კონტროლი; მასვე აქვს დაუოკებელი მიზანი, შექმნას ბუფერული აფხაზურ-მეგრული სახელმწიფო... შდრ.: ისლამისტურ-ოსმალური იმპერიის აღდგენას ესწრაფვის თურქეთის პოლიტიკური ელიტის ერთი ნაწილი და ამ მიზნით ცდილობს, გამოიყენოს სამხრეთ-დასავლეთი თუ სამხრეთი საქართველო... ოსმალური იმპერიის აღდგენას ესწრაფვის თურქეთის პოლიტიკური ელიტის ერთი ნაწილი და ამ მიზნით ცდილობს, გამოიყენოს სამხრეთ-დასავლეთი თუ სამხრეთი საქართველო...

ფარგლული ე. წ. რეგიონული საბჭო არც თუ შორეულ მომავალში, ძლიერი გეოპოლიტიკური მეზობლების „მეცადინეობით“, საქართველოს ზოგი განაპირა მხარის მოწყვეტის განმაპირობებლად შეიძლება მოგვევლინოს. ამგვარი დასკვნის გამოტანის საფუძველს ქმნის რამდენიმე გარემოება:

1. ე. წ. რეგიონული (სამხარეო) ხელისუფლების ფუნქციების ზრდის დინამიკა:

პოსტსაბჭოთა საქართველოში საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ ერთ-ერთი პირველი წერილი დაიბეჭდა 1993 წელს, რომელშიც ვკითხულობთ:

„სასურველია თუ ამას საფუძველად დაედება საქართველოს ისტორიულ-ეთნიკური დაყოფა: ქართლი, კახეთი, იმერეთი და ასე შემდგომ. ისინი უნდა იყვნენ დამოუკიდებელი, მაქსიმალური უფლებების მქონე ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები, რომელთაც უნდა გააჩნდეთ რეანიმირებული, ეთნიკურ ქარგას მორგებული მმართველობა“¹⁹...

1995 წელს შევარდნაძემ თავისი ბრძანებულებით შექმნა პრეზიდენტის რწმუნებულის თანამდებობა და დანიშნა პირველი „რწმუნებულები“²⁰ ამ დროს საქართველოს საკანონმდებლო ბაზაში რაიმე მსგავსი ჩანაწერი არ არსებობდა; მხოლოდ მოგვიანებით, 1997 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“²¹ კერძოდ, ამ კანონის V კარის მიხედვით, „სახელმწიფო რწმუნებუ-

¹⁹ ვრცლად იხ. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, „რეგიონალიზმი შეაფერხებს ეროვნულ კონსოლიდაციას“ <http://gtu.ge/e/books/teologia/regkons.pdf>; აქვეა ამ ტიპის „რეგიონალიზმის“ ადეკვატური კრიტიკაც.

²⁰ ერთ-ერთი პირველი იყო თეიმურაზ შაშიაშვილი – პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთში /ზ-ნ თ. საშიაშვილთან დავაზუსტე მისი გუბერნატორად დანიშვნის სამართლებრივი გარემოებები/.

²¹ საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წელი – 17-18.

ლი საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ტერიტორიულ ერთეულებში ან ცალკეულ დავალებათა შესასრულებლად“.

მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დასაწყისშივე (2004 წლის 11 თებერვალი) გაიზარდა პრეზიდენტის რწმუნებულის უფლება-მოვალეობანი. კერძოდ, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით (თავი VIII, მუხლი 271), „სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე; დ) საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს წინადადებებს საკრებულოს საქმიანობის შეჩერების ან დათხოვნის თაობაზე, თუ მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას“...²²

შდრ.: მთავრობის მიერ 2013 წლის 31 ოქტომბერს მოწონებული კანონპროექტის საფუძველზე, ე. წ. რეგიონულ მმართველობას დაემატება თვითმმართველობითი კომპონენტი - მუნიციპალიტეტებში არჩეული დეპუტატებით შექმნილი რეგიონული საბჭო... წარმოდგენილი საკანონმდებლო აქტით რეგიონული მმართველობა იძენს რეგიონული თვითმმართველობის ფუნქციებს, რითაც, ფაქტობრივად, სრულდება და საბოლოოდ კანონდება საქართველოს მოწყობის რეგიონული (ფედერაციული) მოდელი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ე. შვეარდნაძის მმართველობის დროს.

²² საქართველოს კანონი, საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=A.&sec_id=41; იხ., აგრეთვე: საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება 406; 2007 წლის 27 ივნისი („სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ“).

2. ისტორიული კონტექსტის გაუთვალისწინებლობა

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სწორი დაგეგმვა შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის ისტორიული გამოცდილების ანალიზის გარეშე. ქართულ ისტორიოგრაფიაში **პროგრესულ პოლიტიკურ მოღვაწეებად ითვლებიან** ის პიროვნებები, რომლებიც თავიანთი მსოფხედველობითა და პრაქტიკული საქმიანობით ხელს უწყობდნენ ერთიანი სახელმწიფოებრივი და ეკლესიური ცნობიერების განვითარებას (დავით კურაპალატი, ბაგრატ III, დავით აღმაშენებელი, გიორგი III, თამარ მეფე, გიორგი ბრწყინვალე...); **ვეროპისა თუ აზიის ისტორიაშიც დიდ მოღვაწეებად მიიჩნევიან ქვეყნის გაერთიანებაზე ორიენტირებული ლიდერები.**²³

3. ვეროპული კანონმდებლობის იგნორირება

2004 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული (26.10.2004 წლის N 515-II ს დადგენილება) „ვეროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ (სტრასბურგი, 15.X.1985)“ არ გვავალებულებს, რომ მცირე ტერიტორიის მქონე საქართველომ განავითაროს ე.წ. რეგიონალური თვითმმართველობა; დემოკრატიული სულისკვეთების ამ დოკუმენტის ღირებულებები სავსებით იქნება დაცული, თუკი გაძლიერდება სოფლის თვითმმართველობა და შენარჩუნდება მუნიციპალიტეტური თვითმმართველობა, და რაც მთავარია: ვეროპული კანონმდებლობა ოფიციალურად არ ითხოვს ე.წ. რეგიონული მმართველობისა თუ თვითმმართველობის ჩამოყალიბება-გაძლიერებას;

²³ გერმანიაში – ოტო ფონ ბისმარკი, თურქეთში - ათათურქი, ირანში - შაჰ-აბასი, რუსეთში - პეტრე... ვრცლად იხ.: ს. ვარდოსანიძე, მ. ჯიბუტი, ტ. ფუტკარაძე, „მცდარ იდეაზე დაფუძნებული რეფორმა – საფრთხე საქართველოს აწმყოსა და მომავლისათვის“ http://sangu.edu.ge/?page_id=3004.

მეტიც: ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპულ ქარტიაში საერთოდ არ არის ნახსენები ტერმინები: „რეგიონული თვითმმართველობა“ და „რეგიონული მმართველობა“.

ე.წ. მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანებისა თუ „სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს“ დაკანონების კონტექსტში განსახილველი ე.წ. **რეგიონული ენის სტატუსის მინიჭების მცდელობა:**

შემთხვევითი დამთხვევა არ უნდა იყოს, რომ საქართველოში თუ საქართველოს გარეთ მოქმედი პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც საქართველოში რეგიონალიზმის დამკვიდრებას ესწრაფვიან, პარალელურად ცდილობენ, რომ საქართველოში დაკანონდეს 12-დან 20-მდე რეგიონალური ენა; კერძოდ, ისინი ითხოვენ, მოხდეს „რეგიონული ან უმცირესობის შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიცირება.


ჩნდება ლეგიტიმური ეჭვი, რომ საქართველოში 12-20 ენობრივ-ეთნიკური ანკლავის აღიარების პროპაგანდა მიზნად ისახავს საქართველოს „რეგიონულ“ – კონფედერაციულ თუ ფედერაციულ მოწყობას. საერთაშორისო ველში საამისო „იდოლოგიური ბაზა“ კარგადაა მომზადებული. კერძოდ, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს წინააღმდეგ საინფორმაციო ომის 150-წლიან პროცესში შექმნილია ბევრი იდეოლოგიზებული დებულება (იდეოლოგემა), ანტიქართული ეთნოლინგვისტური კვალიფიკაცია თუ რუკა, რომელიც ფართოდაა გაგრცვლებული საერთაშორისო ქსელსა თუ ენციკლოპედიებში; სამაგალითოდ წარმოვადგენთ რამდენიმეს:

მსოფლიო გლობალური ქსელის ძირითადი ეთნოლოგიური ენციკლოპედიის მიხედვით (2013 წლის მდგომარეობით), საქართველოში არის შემდეგი ენები (/ეთნოსები): აზერბაიჯანელები - 308 000, ასირიელები (აისორები) - 3 000, აფხაზები - 101 000, ბაცბები - 3 420, ბერძნები - 38 000, ლაზები - 2 000, მეგრელები - 500 000, ოსები - 100 000, რუსები - 372 000, სვანები (სამწერლობო ენად იყენებენ ქართულს და რუსულს) - 15 000, სომხები - 448 000, ურუმები - 97 746, ქართველები - 3

901 380, ქართველი ებრაელები - 20 000, ქურთები - 40 000.²⁴


შდრ., არაადეკვატურია მსოფლიოს ვირტუალური ისტორიის ვებგვერდზე წარმოდგენილი საქართველოს ისტორიული რუკებიც, რომელთა მიხედვით ქართული სახელმწიფო - **GEORGIA** - არ არსებობდა მე-13 საუკუნემდე (<http://www.euratlas.com/summary.htm>; **GEORGIA**-ს ნაცვლად რუკებზე ჩანს: **Iveria**, **colkhida** და **Abkhazia**. არაქართველი მკითხველისთვის მიწოდებულია ინფორმაცია, რომ სახელმწიფო საქართველო დაპყრობითი ომებით შეიქმნა მხოლოდ მცირე დროით: **XIII** საუკუნეში; შდრ.:

1. ევროპა III საუკუნეში (<http://www.euratlas.net/history/europe/300/index.html>); რაც არ უნდა დაუჯერებელი იყოს, აქ დამოუკიდებელი სახელმწიფოებია: ლაზიკა, კოლხეთი და იბერია:




²⁴ http://www.ethnologue.com/show_country.asp?name=GE.

2. ევროპა IV-V საუკუნეებში (იხ., მაგ.: <http://www.euratlas.net/history/europe/400/index.html>); აქ უკვე მხოლოდ ლაზიკა და იბერიაა დამოუკიდებელი სახელმწიფოები (არადა, ამ დროს არსებობს ვახტანგ გორგასალის ერთიანი სახელმწიფო, რომელიც საერთოდ არ ჩანს ამ ვებპორტალის რუკებზე!):



3. ევროპა 900 წელს (<http://www.euratlas.net/history/europe/900/index.html>); ამ რუკაზე დამოუკიდებელ სახელმწიფოებად წარმოდგენილია დიდი აფხაზეთი; საინტერესოა ისიც, რომ რუკის შარშანდელ ვარიანტზე აფხაზეთის სამეფოს გვერდით იყო Georgia და თბილისის სახელმწიფო; ამჟამინდელ ვარიანტზე კი არის იბერია და თბილისის სახელმწიფო; შდრ., რუკების ავტორთა აზრით, იბერიის ადგილას 1100 წლიდან ჩნდება სახელმწიფო სახელად Georgia; მათთვის უცნობია, რომ ქართლი და საქართველო ერთ ქვეყანას აღნიშნავს!:



4. ევროპა 1000 წელს (<http://www.euratlas.net/history/europe/1000/index.html>); ამ რუკაზე დამოუკიდებელ სახელმწიფოებად წარმოდგენილია უკვე იბერია და კახეთი:



ევროპის ისტორიის ამ გვერდზე საქართველოს შესახებ არსებული სხვა რუკებიც საეჭვოა; უფრო არსებითი ისაა, რომ აქ ერთმანეთს გაუაზრებლად ცვლის ქართველთა სახელმწიფოს აღმნიშვნელი სხვადასხვაენოვანი ქორონიმები: ქართლი, კოლხეთი, ლაზიკა, იბერია, გეორგია, კახეთი, აფხაზეთი... და საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ თითქოსდა სხვადასხვა დროს სახელმწიფოებთან გვაქვს საქმე და არა, ძირითადად, ერთ სახელმწიფოსთან, რომელიც ქართულ წყაროებში ჯერ **ქართლად**, შემდეგ კი - **საქართველოდ** აღინიშნებოდა. ევროპის ისტორიის გვერდის ავტორებს ქართველ კოლეგებთან ერთად უნდა ემუშავათ და სათანადო კომენტარებით მაინც უნდა დაეცვათ ისტორიული რეალობა.

საფიქრებელია, რომ შუა საუკუნეების რუკებზე, ერთის მხრივ, **აფხაზეთისა** და **იბერიის** გვერდიგვერდ არსებობა, მეორე მხრივ კი - ქორონიმ *iberia*-ს შეცვლა ქორონიმ **Georgia**-თი შემთხვევითი არ არის: პოლიტიზებულ მეცნიერთა ერთი ნაწილი დღეს ცდილობს დააჯეროს მსოფლიო, რომ ისტორიულად **აფხაზეთი** სხვაა, **საქართველო** კი სხვა; რომ **აფხაზეთი** არ იყო ქართულენოვანი სახელმწიფო (ამგვარი პათოსითაა შექმნილი ეს რუკებიც); რომ **საქართველო**, თურმე არ არის **იბერია**; რომ **საქართველო** დავით აღმაშენებლის დროს შეიქმნა... სინამდვილეში, ქართულ წყაროებთან ერთად სპარსული და ბერძნული წყაროებიც ადასტურებს, რომ ამ პერიოდში დამოუკიდებლად არსებული აფხაზეთი ქართულენოვანი სახელმწიფო იყო, მეტიც, XI-XII საუკუნის სპარსულ წყაროებში სრულიად საქართველო აფხაზეთადაც კი იხსენიება.

ზემოთ წარმოდგენილი ლინგვისტური, ეთნოლოგიური თუ ისტორიოგრაფიული გაყალბებული კვალიფიკაციები თუ რუკები ფართომასშტაბიან საინფორმაციო ომის კონტექსტშია გასააზრებელი.²⁵

საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საინფორმაციო ომის ეს მიმართულება („გათიშე და იბატონე“) სათავეს იღებს ჯერ კიდევ მეფის რუსეთში და პიკს აღწევს სტალინის ეპოქაში; მაგ., ი. სტალინის წიგნში: „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ (თბ., 1951) ვკითხულობთ:

„კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებულნი არიან... **რა გუყოთ ასეთ ხალხებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ.**, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ?“ (გვ. 138-139)... „ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმარ-

²⁵ ვფიქრობ, თანამედროვე მსოფლიოში სამხედრო ინტერვენციაზე გაცილებით მეტადაა საშიში სამეცნიერო-საინფორმაციო ველში წაგებული ომი.

თულებით, რომ დაგვიანებული ერები და ხალხები (მეგრელები, სვანები, აჭარლები... ხაზგასმა ჩემია - ტ.ფ.) უმაღლესი კულტურის საერთო კალაპოტში მოვაქციოთ“ (გვ. 142).

ზემოთწარმოდგენილი რუკებისა თუ კვალიფიკაციების ავტორებისთვის თითქოსდა უცნობია ისტორიული ფაქტი:

მრავალი საუკუნის მანძილზე არსებული ქართველთა ერთიანი სახელმწიფო რამდენიმე საუკუნის წინ დაიშალა **პატარა საქართველოებად** და არა - საკუთარი ენისა და კულტურის სამეფო-სამთავროებად. დეზინფორმაციული მანქანა კი ადრეულ თუ გვიანდელ საქართველოს დაშლილად, ქართველებს კი სხვადასხვა ეთნოსებად დანაწევრებულად წარმოადგენს; დამპყრობელს არ სურს, საქართველო იყოს ერთიანი და ძლიერი. ამავე დისკურსშია გასააზრებელი ჯორჯ ჰიუიტის, ალექსანდრე ჭაჭიას, ნუგზარ ნადარაიას და ზუგდიდში, ბათუმში, თბილისსა თუ ქუთაისში არსებული სხვათა მცირერიცხოვანი ჯგუფების „მოდლაწეობა“, რომლებიც მხარს უჭერენ მეგრულ-ლახურისა და სვანურისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭებას; **სამაგალითოდ მოვიყვან ოთხ ფაქტს:**

1. ფრაგმენტი ჟურნალისტ ლადო ქირიას რეპორტაჟიდან:

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ (თავმჯდომარე ალექსანდრე ჭაჭია) ღონისძიების ფორმატში „გალელმა პოეტმა ნუგზარ შამუგიამ წაიკითხა გაზეთ „გალის“ რედაქტორის, ეროვნებით აფხაზის, მეგრული ენისა და კულტურის თაყვანისმცემლის, ნუგზარ სალაყაიას, მიმართვის წერილი დამსწრე საზოგადოებისადმი, რომელშიც გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ გაზეთ „გალის“ პირველი ნომრის გამოსვლის დღე, 5 ივნისი (1995 წ.), გამოცხადდეს გალის რაიონში მეგრული ენის დღედ, რასაც მოჰყვა ზურაბ კვარაცხელიას შემხვედრი მოსაზრება. „დღეს ჩვენ ზუგდიდში გვაქვს მეგრული სიტყვისა და პოეზიის ზეიმი. უნდა დავანახოთ ყველას, რომ ვარსებობთ და ვიარსებებთ მომავალშიც. მეგრული ენის დღე უნდა იყოს ერთი ენგურს გაღმა-გამოღმა. ამიტომ შემომაქვს წინადადება,

რომ მეგრული ენის დღედ გამოცხადდეს 29 მაისი – ცნობილი მეგრული ენათმეცნიერისა და მეგრული ენის მეკლევარის – მამანტი ძაძამიას დაბადების დღე“, – აღნიშნა ზურაბ კვარაცხელიამ და მის ამ მოსაზრებას დარბაზი ადფრთოვანებით შეხვდა (19. 12. 2012, 11:27:39)“.²⁶

2. **ლაზური დეკლარაცია** თურქეთისა და საქართველოს ხალხს და მსოფლიო საზოგადოებას²⁷:

ახლახან თურქულად, ქართულად და ინგლისურად გამოქვეყნდა ერთი ვითომდა „ლაზთა დეკლარაცია“, რომელიც სპეცსმსსსურების ნაწერს უფრო ჰგავს; წარმოვადგენ ერთ ფრაგმენტს <http://tinyurl.com/cf7glo/>:

„ლაზები ქართველი ერის ნაწილს არასოდეს წარმოადგენდნენ და არც ახლა არიან მისი ნაწილი. ლაზები ქართველები (ქართველური) არ არიან... ლაზური დედაენის, ქართული ენისა ან სხვა სამხრეთ კავკასიის ენების ისტორიულ და გენეტიკურ სიახლოვეს არ უარვეყოფთ. ეს სიახლოვე ინდოევროპულ ენათა ოჯახის ტევეტონური ჯგუფიდან გამოსული გერმანული და ინგლისური ენების სიახლოვისთვის შეიძლება იყოს შედარებული. ზემოთ მოხსენებული ენები ერთმანეთთან ლაზურსა და ქართულ ენაზე მეტად ახლოს დგანან, მაგრამ როგორც გერმანელებს ინგლისელებს ან ინგლისელებს გერმანელებს არ უწოდებენ, ასევე არ შეიძლება ეწოდოს ამ სიახლოვის გამო ლაზებს ქართველები, ლაზურს ქართული!

...თუ საქართველოს და საქართველოში არსებულ ორგანიზაციებს სურვილი აქვთ ლაზების კეთილგანწყობისა და საქართველოს მიმართ სიმპათიის გაზრდის, მათ ხელი უნდა შეუწყონ მეგრელებისა და სვანების კულტურულ ავტონომიას, მისცენ მათ

²⁶ http://www.geworld.ge/View.php?ArtId=4516&Title=megruli+poeziis+saRamom+_zugdidSi&lang=ge.

²⁷ Türkiye ve Gürcistan halklarına ve dünya kamuoyuna, To the Turkish and Georgian People and the General Public.

მშობლიურ ენაზე განათლების საშუალება“... ამგვარი იდეოლო-
გიითაა შექმნილი შემდეგი რუკა:²⁸



²⁸ <http://tinyurl.com/ct98yrp>.

3. მეგრული ენისა და ხალხის აღიარების მოთხოვნით ერთი მცირერიცხოვანი ჯგუფის წერილი ევროსაბჭოს რეგიონული ან უმცირესობის ენების ქარტიის აღმასრულებელ კომიტეტს /<http://tinyurl.com/cs8kudx/>:

„Hereby we, the members of Megrelian Language Group on facebook, would like to address you on the matters concerning inclusion of Megrelian language in the list of regional languages of Georgia meriting protection under the convention on European Charter for Regional or Minority Languages.

Megrelian language is the language spoken mostly by indigenous people living in the western part of Georgia who are referred in Georgia as Megrelebi (Megrels). The Megrelian language does not have any institutional support neither in Georgia nor elsewhere in the world. When Georgia became a member of the Council of Europe it undertook obligation to ratify the Charter for Regional and Minority languages, but so far Georgia has not fulfilled its obligations.

We are aware that recently the working group of the committee visited Georgia and discussed issues relating to the ratification of the convention. Once the process is activated, we would like to you're your attention to some fact which makes us, the members of Megrelian language community, utterly concerned.

The Georgian Orthodox Church, especially Patriarch of Georgia, who is often referred in Georgia as the Father of Nation, have activated campaign in relation to Megrelian language. The church takes the position that the qualification of Megrelian may pose threat to Georgian unity and therefore, Megrel Language should be treated as a dialect of Georgian. Taking into account the huge influence the church has on government, public officials, populace and even over the scientists, we are afraid that Government of Georgia will be treating Megrel Language as dialect not meriting protection under the Charter. To our utter disappointment many linguists, who previously in their writings considered Megrelian as a language (not a dialect) relating to Georgian, yielded themselves to the influ-

ence of church and have changed their positions (Mr. Futkaradze, Mr. Gvantseledze, Mrs. Gujejiani etc.). These scientists, often refer to political reasons (e.g. prevention of disintegration of Georgia) for the justification of lowering Megrelian to the status of dialect. By such a campaign, especially in light of existing territorial conflicts in Georgia, this group is gaining influence which makes us extremely concerned about the prospect of Megrelian Language“...

ამ წერილისგან არსებითად არ განსხვავდება „მარგალური ნინას“ ფეისბუქის გვერდზე გამოქვეყნებული წერილი, რომელიც, გამოქვეყნებულია, ვითომდა, ლაზთა დეკლარაციის პასუხად.²⁹

4. სვანეთის კონფერენციის სამუშაო ენები:

შვანია ბიბლიოთეკააღლე მომავალ როლ - ბიბლიოთეკაა სემინარ შვანისგა; დეკემბერ 3-4, 2010 მესტია, ლატლი ი ბეხო.

The Future Role of the Svaneti Libraries - Library seminar in Svaneti; December 3-4, 2010 Mestia, Latali and Becho.

ლეგრგალი ნინარ: ლუმნუ ი ინგლისურ; Working languages: Svan and English.

სპონსორარ/Sponsors: ფინლანდიაგრანდ ჰოტელ უშბა; მესტიაშ საკრებულ; მესტიის ბიბ-კა. Grand Hotel Ushba; Mestia region administration; Mestia library.³⁰

ბუნებრივია, ამის მოსურნე არ არის სვანთა თუ მეგრელთა აბსოლუტური უმრავლესობა და ლაზთა დიდი ნაწილი; ამას ცხადყოფს ჩემი თანააგტორებისა და კოლეგების: ალექსი ჟორდანიას, რევაზ შეროზიას, ეკა დადიანის, თამაზ ბერაძის, ბეჯან ხორავას, როზეტა გუჯეჯიანის, ნომადი ბართიას, ზურაბ თორიას, დაზმირ ჯოჯუას, მაკა სალიას, ლელა ავალიანის, ლელა მარგია-

²⁹ <http://www.facebook.com/megrelianlanguage/posts/572802636086229>.

³⁰ http://www.facebook.com/note.php?note_id=166202273411106&id=252861043627.

ნის, ლაშა გვასალიას, ერეკლე საღლიანის, ზურაბ თანდილაგას, იაშა თანდილაგას, ფიქრი სარაჩის (თურქეთის მოქალაქე ლაზის) და მრავალ სხვათა არაერთი ნაშრომი თუ ნაწერი.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერიის მიერ მართულმა თბილისურმა შეიარაღებულმა ჯგუფებმა გასული საუკუნის 90-იან წლებში არაერთხელ დაარბიეს სამეგრელო და საქართველოს „ვანდად“ აქციეს, იოვანე ლაზის, ჭყონდიდლებისა თუ გამსახურდიების მშობელ კუთხეში ვერ განავითარეს ცენტრიდანული ტენდენციები.

დღესაც სამეგრელო-სვანეთის ქართველობა მყარად იცავს საუკუნოვან კალაპოტს - დღენიადავ ამყარებს ქართველთა ერთიანობის ფუნდამენტს; მაგ., სვანეთის კონფერენციის ორგანიზატორებს ასე უპასუხა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ლელა მარგიანმა /ციტატა სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მასალიდან/:

„ძალიან სამწუხაროა, რომ თანამედროვე სვანეთში ხდება ის, რასაც საუკუნეების განმავლობაში ვერ მიაღწიეს რუსებმა და საქართველოს სხვა მტრებმა სვანეთში – ქართულის – როგორც სახელმწიფო ენის უგულბელებოფა!!!!“

ჩვენს ტერიტორიებდაკარგულ სამშობლოს ესღა აკლდა - სვანებმა უარვეთ ქართული და არაკეთილმოსურნე უცხოელების განზრახვა შევასრულოთ“³¹

ზემოთხსენებულ სვანეთის კონფერენციის ფინელ დამფინანსებელსა თუ ორგანიზატორს როცა მიუთითეს, რომ სვანები ქართველები არიან და მათი დედაენა და სალიტერატურო ენა არის ქართული, მან აქეთ დაგვამადლა და თქვა, რომ გვეხმარება, რომ სვანების დედაენა – სვანური – უნდა განვითარდეს, ვინაიდან იგი საფრთხის ქვეშ მყოფი უმცირესობის ენაა. საბუთად გამოაქვეყნა იუნესკოს კვალიფიკაცია,³² სადაც, **საბჭოური დეზინფორმაციების ინერციით**, მართლაც წერია, რომ სვანური არის

³¹ იხ. იქვე: http://www.facebook.com/note.php?note_id=166202273411106&id=252861043627.

³² <http://www.unesco.org/culture/languages-atlas/index.php>.

უმცირესობის ენა, რომელიც საფრთხის ქვეშაა.

ვფიქრობ, აუცილებელია, ჩვენმა სახელმწიფომ დღეს დიდი სამუშაოები გასწიოს, რომ ოფიციალურ საერთაშორისო დოკუმენტებსა თუ ავტორიტეტულ ენციკლოპედიებში მაინც კვაზიმეცნიერული ინფორმაციები შეიცვალოს ან დააბალანსდეს აკადემიური ინფორმაციებით.

ამავე კონტექსტში აღვნიშნავ, რომ ბოლო პერიოდში რუსეთში, თურქეთსა თუ საქართველოში ისევ გააქტიურდნენ ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ საქართველოში ეთნიკურ უმცირესობად გამოაცხადონ **მესხებიც და აჭარლებიც**; ასეთი კვალიფიკაცია წარმოდგენილია ზოგ ევროპულ ცნობილ ლექსიკონშიც კი (იხ., მაგ., ლარუსის 2005 წლის გამოცემა).

ვფიქრობ, ის, ვინც ლაზთა, მეგრელთა, სვანთა, აჭარელთა თუ მესხთა საშინაო კილოებს **უმცირესობების ენებად**³³ აცხადებს, აგრძელებს კ. იანოვსკის, ი. ვოსტორგოვისა და ი. სტალინის მცდელობას, ამ ქართველებს დაუკარგოს მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ქმნადობაში მონაწილეობის ისტორია და უკულტურო საზოგადოებებად (უმწიგნობრო ენების მქონე „მცირე ერებად“) გამოაცხადოს; შდრ.: საქართველოს მოქალაქე-

³³ ტერმინი: „უმწიგნობრო ენა“ შეურაცხმყოფელია სულ მცირე, 15-საუკუნოვანი სამწიგნობრო კულტურის მქონე ქართველების - იოვანე ლაზის, ჭყონდიდლების, მარტვიელი იოვანე მინჩხის თუ იოვანე აფხაზის (მეგრელის) და მბადადებელი კუთხეების მცხოვრებთა – საშინაო მეტყველებებისთვის. მათი ისტორიული სამწიგნობრო დედაენა ქართულია, კუთხური კილო კი – ლაზურ-მეგრული, თუ სვანური მეტყველების რომელიმე ვარიანტი: ხოფური, ვიწურ-არქაული, ათინური... ბალსხემოური, ბასქვემოური, ლენტეხური, ლაშხური...

შდრ.: უკლებლივ ყველა ენათმეცნიერის აზრით, მეგრულ-ლაზურიცა და სვანურიც ქართული სამწიგნობრო ენის სახესხვაობებია და არა ქართულისგან ისე არსებითად განსხვავებული ენები, როგორც, მაგ., აფხაზური ენა, რუსული ენა, სომხური ენა, ინგლისური ენა, ოსური ენა და სხვ. შესაბამისად, „რეგიონული და უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ კონტექსტში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ლაზურ-მეგრულ თუ სვანურ იდიომებს უმწიგნობრო სახესხვაობებად განვიხილავთ თუ ქართული ენის დიალექტებად, ვინაიდან, „ევროპული ქარტია“ არ განიხილავს სახელმწიფო ენის სახესხვაობებსა და დიალექტებს.

თა დიდი უმრავლესობისთვის ცნობილია, მაგრამ ჩანს, ევროპასა თუ აზიაში ბევრმა ექსპერტმა არ იცის, რომ ისტორიული (თუ თანამედროვე) ქართული სამწიგნობრო კულტურის შემქმნელ პიროვნებათა უდიდეს ნაწილს წარმოადგენენ: ლაზები, აჭარლები, მეგრელები, სვანები, ლივანელები, ტაოელები, შავშეთ-იმერხეელები და სხვ. ამ ე. წ. ექსპერტთათვის უცნობია ისიც, რომ არქაული ქართული სამწიგნობრო ენის სტრუქტურის მქონე ენაა ამოსავალი ყველა თანამედროვე ქართველური კილოსათვის; ყველა ქართველური ქვესისტემის ძირითადი ლინგვისტური მახასიათებელი საერთოა; მაგ., მიცემითი ბრუნვის ნიშანი ყველა ქართველურ ქვესისტემაში არის -ს, კერძოდ, ხუთივე სვანურ კილოში მრავლობით რიცხვში გვაქვს -ს, რომელიც ზოგჯერ იკარგება: ხან-არ-ს - ხარებს, ბეფშუ-არ-ს – ბავშვებს...³⁴

აქვე აღვნიშნავთ, რომ გარდა ტერმინოლოგიური დივერსიები-სა, საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციის ავტორებმა, ვფიქრობ, უნდა გაითვალისწინონ რამდენიმე სხვა გარემოებაც:

³⁴ შდრ., სხვა ქვესისტემები: მეგრ.: წყარ-ს „წყალს“, ოსურ-ს „ქალს“, ბოში-ს „ბიჭს“, ბუა-ს „მზეს“, თუთა-ს „მთვარეს“ (მეგრ.); კონი-ს „კაცს“, ოსურ-ს „ქალს“, ბერ-ს „შვილს“, კუჩხე-ს „ფეხს“ (ჭან.); მარა-ს „კაცს“, ზურაალ-ს „ქალს“, ყელ-ს „ბაღს“, ხონა-ს „კარგს“ (სვან.)...
 ზოგჯერ მიცემითის -ს მორფემა შემდეგი ალომორფებით დასტურდება: -ს, -სა, -ჰ, ც, 0. ისინი ფონეტიკური ცვლილებით არის მიღებული: ჰ<ს: რაჰ<რას, ძმაჰ<ძმას (სამცხე-ჯავახ.) (ბ. ჯორბენაძე, 1998, 550); -ც<ს: მეგრულში (ი. ყიფშიძე, 1914, გვ. 24; გ. კლიშოვი, 1962, გვ. 69-70; ა. ლომთაძე, 1987, გვ. 10); აგრეთვე გურულსა და აჭარულში (ს. ჟღენტი, 1936; ი. მეგრელიძე, 1938; შ. ნიჟარაძე, 1957). მაგ.: მეგრ.: უწუ მუში ცხენ-ც - უთხრა თავის ცხენს” (ხუბ. 218,33), პალურ-ც ქუჩანთუანც „პანდურს ურტყამს” (ხუბ. 185,36). გურ.: წალ-ც<წალდ-ს, ვარ-ც<ვარდ-ს, სტუდენ-ც<სტუდენტ-ს... (ი. მეგრელიძე, 1938); გულ-ც<გულ-ს, წყალ-ც<წყალ-ს, სადილ-ც<სადილ-ს (გრ. იმნაიშვილი, 1966, გვ. 250); აჭარ.: ბღაილ-ც... (შ. ნიჟარაძე, 1957, გვ. 31). /0/: კახ., ქართლ., აჭარ., ჯავახ., კაკ., იმერ., ლაშხ., ლენტ., მეგრ. დიალექტებში: ას ნაბიჯზე კვერცხი-0 არტყამდა, ირმებ-0 ქამანდო იჭერდა (ქართლ.); პოლ-0 რცხენ, ჩედიან ქორწილ-0 (კაკ.); ცხენ-0 საძოვარი მისცა, თათრებ-0 დაუძახა, ხურჯინ-0 პირი მოხსნა (ჯავახ.); მატყუარა ხალხ-0 ვერ იპონი იქა, ვექსილ-0 დოუწერდენ (ზ.იმერ.); მეზობლეფ-0 დურიგეს, კარდლეფ-0 მუაკალიეფ (ზ.აჭარ.); იმა-0 მოყვებიან (რაჭ.)...

1. „ენობრივი პოლიტიკის“ მიმართულებით საქართველო აგებს საინფორმაციო ომს იმიტომ რომ, საქართველოს შესაბამისი სტრუქტურების პასიურობის ფონზე, საქართველოს ენობრივ-ეთნიკური და პოლიტიკური ისტორიის შესახებ სრულიად არაადეკვატური ინფორმაციებია გავრცელებული მთელ მსოფლიოში, რომელთა გავლენით საქართველოს მეგობარი სახელმწიფოებიც კი წამგებიან კონსულტაციებს გვაწვდიან...

შესაბამისად, აუცილებელია საქართველოს ახალმა მთავრობამ ამ მიმართულებით სერიოზული გეგმები შეადგინოს და განახორციელოს, ხოლო პოლიტიკურმა სპექტრმა უფრო მეტი დრო დაუთმოს წარმოდგენილ პრობლემებზე ფიქრს და არა - ურთიერთანგარიშსწორებას შიდაპოლიტიკურ ველში.

2. თანამედროვე მსოფლიოში რთულია საქართველოს დანაწევრების დაკანონება ოკუპაციის გზით, შესაბამისად, **მომავალშიც გაგრძელდება მცდელობანი, „მეცნიერული“ კვალიფიკაციებით და ისტორიული სინამდვილის გაყალბებით - საინფორმაციო დივერსიებით - მოექცნოს საფუძველი:**

- ▶ ქართველთა ნაწილის არაქართველებად გამოცხადებას,
- ▶ საქართველოშივე ქართველთა ახალი უკანონო ავტონომიებისა თუ ე. წ. თვითმმართველი რეგიონების შექმნას,
- ▶ ქართველთა დიდი ნაწილისთვის დედაენის - ქართული ენის გაუცხოებას,
- ▶ „ევროპული ქარტიის“ გამოყენებით მიგრანტებისათვის ავტოქტონი უმცირესობის უფლებების მინიჭებას...

შესაბამისად, ჩვენი ქვეყნისთვის არსებითია, სწორად დაიგეგმოს ქართველოლოგიის ძირითადი მიმართულებების განვითარება და თავდაცვის სტრატეგია ინტენსიური საინფორმაციო აგრესიის პირობებში.

3. ნორმალურ სიტუაციაში „ენის ქარტია“ არ არის სახიფათო დოკუმენტი. საქართველოსთვის „ენის ქარტია“ საშიში მხოლოდ

იმ შემთხვევაში გახდება, თუკი გარეშე ძალები ჩვენს ქვეყნას თავს მოახვევენ ამ დოკუმენტის ძირითადი პრინციპებისა და კრიტერიუმების არაადეკვატურ კვალიფიკაციებს.

„ქარტია პრეროგატივას ანიჭებს ქვეყნის ხელისუფლებას, რომელმაც დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით, თავად უნდა განსაზღვროს ის კრიტერიუმები, რომლებზე დაყრდნობითაც ამ ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებულ ამა თუ იმ ენას მიენიჭება დამოუკიდებელი ენის სტატუსი“. შესაბამისად, არსებობს რეალური საფუძველი, საქართველომ საფრთხეების პრევენციის გათვალისწინებით, მოაწეროს ხელი ამ დოკუმენტს და, როცა ამის დრო მოვა, დაადასტუროს ის ინგლისსა თუ ფინეთში ჩამოყალიბებული ლოგიკური პრინციპების მიხედვით.

4. „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპის ქარტიის“ რატიფიცირებასა და 1944 წელს მესხეთიდან გასახლებულთა შთამომავლების კომპაქტურად დასახლებაზე სერიოზული მსჯელობა მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება დაიწყოს, როცა დასრულდება საქართველოს დეოკუპაცია და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული წესის მიხედვით, აღდგება სახელმწიფო ენის ფუნქციონირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ალბათობაა, ძლიერ და არაკეთილმოსურნე მეზობელ სახელმწიფოებთან საბოლოოდ წავაგოთ საინფორმაციო ომი. რის შემდეგაც გარეშე ძალები „ევროპული ქარტიების“ სუბიექტური ინტერპრეტირებით ქართველ ერს დაანაწევრებენ ენობრივ-ეთნიკურად, საქართველოს კი დე იურეც დაშლიან ე. წ. თვითმმართველ რეგიონებად³⁵...

³⁵ პოლიტიკურ დოკუმენტებში დაუსაბუთებელი მსჯელობაა იმაზეც, რომ ისტორიულად საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა და ამიტომ აუცილებელია ე. წ. „რეგიონული დემოკრატია“ („მეტი დამოუკიდებლობა რეგიონებს“) ... სიტუაციას ართულებს ისიც, რომ საერთაშორისო სივრცეში საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაცია თუ პოლიტიკური ისტორია ძირითადად ისევ საბჭოური იდეოლოგიებითაა წარმოდგენილი...

სტატიაში წარმოდგენილი მსჯელობა ასე შეიძლება შევაჯამოთ:

დღეს საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის მესამედზე სრულიად იგნორებულია სახელმწიფო ენის სტატუსი; კერძოდ:

1. რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე – აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში – ოფიციალურადაც უარყოფილია ქართული ენა და, ფაქტობრივადაც, ამ მხარეების დიდი ნაწილიდან გამოდევნილია ავტოქთონი ქართულენოვანი მოსახლეობა;

2. სამხრეთ საქართველოს რამდენიმე რაიონში ქართული ენა დე იურე ინარჩუნებს სახელმწიფო ენის სტატუსს, მაგრამ ფაქტობრივად ვერ სრულდება კონსტიტუციური მოთხოვნა, რამდენადაც მოსახლეობა ვერ ფლობს ქართულ ენას.

...ასეთ სიტუაციაში ქართველ თუ უცხოელ ექსპერტთა რამდენიმე ჯგუფი საქართველოს ხელისუფლებას სთავაზობს, რატიფიცირება გაუკეთოს „ევროპულ ქარტიას რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ“ და რატიფიცირების დოკუმენტს დაურთოს სია, სადაც წარმოდგენილი იქნება სულ მცირე, 12 რეგიონული ენა; მაგ., ტომასში ვიხერკევიჩისა და მისი ქართველი თანაავტორების მიერ საქართველოს ხელისუფლებისათვის 2005 წელს მომზადებული რეკომენდაციების მიხედვით, საქართველოში რეგიონული ან უმცირესობის ენების კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს 12 ენას: სომხურს, აზერბაიჯანულს, რუსულს, ბერძნულს, ებრაულს, ქურთულს/იეზიდურს, უკრაინულს, ჩეჩნურს/ქისტურს, ასირიულს, ავარიულს და „უმწერლობო ენებს“: მეგრულ-ლაზურსა და სვანურს.³⁶

წარმოდგენილი ჩამონათვალი არ გამომდინარეობს „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიიდან“; ამ შესანიშნავი ევროპული დოკუმენტის პრინციპებს მკაცრად თუკი დავიცავთ, საქართველოში ვერ ვიპოვით ვერცერთ ენას, რომელიც

³⁶ <http://www.scribd.com/doc/16212237/Recommendations-on-Language-Policy-to-Protect-Linguistic-Minorities-Shalva-Tabatadze-Kakha-Gabunia-Marika-OdzeliGeorgian-Version>.

სახელდებულ უნდა იქნეს ტერმინ „რეგიონული ენით“.³⁷

პარალელურად, ბოლო პერიოდში მუშავდება **სახელისუფლებო პროექტი**, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში **რეგიონული თვითმმართველობების** დამკვიდრებას, რეგიონული ბიუჯეტების შემოღებას და ა. შ. პოლიტიკური სპექტრის ნაწილის მიერ საუბარია გუბერნატორების არჩევაზეც; ფაქტობრივად, საერთაშორისო ველში არსებული ტერმინების (რეგიონი, რეგიონალიზმი...), „რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ ევროპული ქარტიისა“ და „თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“ არსის გაყალბებით მზადდება საქართველოს დეზინტეგრაციის საფუძვლების შექმნა.

აშკარაა: საერთაშორისო სივრცეში საქართველო აგებს საინფორმაციო ომს საქართველოს დანაწევრების მოსურნე ძალებთან. აქვე აღვნიშნავ, რომ სამხედრო ინტერვენციაზე უფრო საშიშია ე. წ. „ტერმინოლოგიური დივერსიებითა“ და ე. წ. “მეცნიერული რუკებით” წაგებული სამეცნიერო-საინფორმაციო ომი, რამდენადაც საინფორმაციო ველში მარცხი შეუქცევადს გახდის მრავალსაუკუნოვანი ერთობის - **ქართველი ერის - ენობრივ-ეთნიკურ დეზინტეგრაციასა და მრავალსაუკუნოვანი საქართველოს სახელმწიფოს საბოლოო დანაწევრებას** /ქართველი ერისთვის მიძიმე თანამდევი მოვლენებით/.³⁸

³⁷ მსჯელობისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტყარაძე, ე. დადიანი, რ. შეროზია, „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენის შესახებ“ და საქართველო“, ქუთაისი, 2010; „European Charter for Regional or Minority Languages“ and Georgia“, Kutaisi, 2010; E.Dadiani, R. Serozia; <http://www.scribd.com/doc/35702700/Tariel-Putkaradze-Eka-Dadiani-Revaz-Serozia-2010>.

³⁸ უმძიმესი შედეგი ასეთი იქნება: ქართველი ერის ისტორიული მიწა-წყალი გადაიქცევა დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების სტრატეგიული ბაზების განლაგების ველად, ჩვენი წინაპრების მიერ სისხლითა და დიდი ღვაწლით დღემდე მოღწეული საქართველოს სახელმწიფო კი გაქრება მსოფლიო რუკიდან.

მანანა ტაბიძე – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ენობრივი პოლიტიკის თეორია და პრაქტიკა

თანამედროვე საენათმეცნიერო კვლევები ხშირად ეძღვნება ისეთ თემებს, როგორცაა ენის ბუნებისა და თავისებურებების ახსნა დისკურსული და ფართო ექსტრალინგვისტური გარემოებებით. დღეს, როდესაც მსოფლიოში გახშირდა ე. წ. ენათა კვდომა (თუმცა ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, ენები კვდებიან თუ კილოკავები; ისევე, როგორც იმის გარკვევა, როგორ შეინარჩუნონ დიალექტები ისეთმა ქვეყნებმა, რომლებიც საყოველთაო განათლებითა და მაღალი ენობრივი სტანდარტიზაციით იწონებენ თავს, ასევე მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, საჭიროა თუ არა ამგვარი კილოური მრავალფეროვნების შენარჩუნება და რომელი არგუმენტებია ან ერთ ან მეორე მხარეს), ამ სიკვდილიანობის მიზეზთა გამოძიებაც ფატალურ მნიშვნელობას იძენს, რადგან ამ მიზეზთაგან ზოგიერთი მაინც შეიძლება ექვემდებარებოდეს რეგულაციას და ამდენად სწორად წარმართვის შემთხვევაში სიკვდილისაგან ენის გადამრჩენლადაც მოგვევლინოს. თუმცა აქვე ერთი რამ უნდა აღინიშნოს: ენის ბედის, ფუნქციონირების სივრცის, მასზე და მისგან მომდინარე გავლენების, ენობრივი იდენტობის შეფასების (ფილოსოფიური, პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული) გარემოებები და საფუძვლები ხშირად იცვლება, და ამ ცვალებადობას ენობრივი სიტუაციის რეგულირების ღონისძიებათა კრიზისები მოსდევს. ამის ერთ-ერთ ყველაზე მეტყველ მაგალითს საბჭოეთის ცნობილი „დისკუსიები“ წარმოადგენს, როდესაც ადრე კულტად ქცეული თვალსაზრისები, საკმაოდ მოკლე ხანში სასტიკი გამოხისა და

უარყოფის ობიექტად გამოცხადდა. ნ. მარი (1893-1935), რომელიც 50-იან წლებამდე საბჭოთა ენათმეცნიერების უალტერნატივო ლიდერი იყო, გახეთ „პრავდის“ ფურცლებზე დაწყებული დისკუსიის შედეგად ანტისაბჭოთა მოაზროვნედ გამოცხადდა.¹ თავად სტალინი, რომელიც რეჟიმის უმძიმეს პერიოდებშიც კი ნ. მარის თეორიების მიმართ კეთილგანწყობილი ჩანდა, დისკუსიაში სასტიკად აკრიტიკებს მას.² ანუ ის, რაც ადრე მარიზმის სახელით ხორციელდებოდა, 50-იანი წლებიდან თავად მარსა და მის სკოლას უკანვე მიუბრუნდა.³ პოლიტიკური კლიმატის შესაბამისი რყევები მთელ ჰუმანიტარულ სამეცნიერო სამყაროს აგდებდა კალაპოტიდან. ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც სტალინი, და მისი გავლენით ბევრი სხვა სპეციალისტიც, 50-იან წლებში მარის ნაკლად აცხადებს, ის იყო, რომ მარს ენა ზედნაშენურ კატეგორიად მიაჩნდა. თუმცა ნ. მარის ახალი ენობრივი თეორია, რომელიც ძალაში შევიდა 1928-1929 წლებში, ფარავს საბჭოთა ენათმეცნიერებას 1950-იან წლებამდე, და შესაბამისად, თეორიულ საფუძველს უქმნის პრაქტიკულ ენობრივ პოლიტიკას, რომელიც ამ პერიოდში სახელმწიფოებრივ დონეზე ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ მარიზმის ქებისა და კრიტიკის მიმართულებით 1928-29 წლებიდან მოყოლებული დღემდე უამრავი სამეცნიერო თუ ფსევდოსამეცნიერო ნაშრომი შექმნილა ჩვენშიც და უცხოეთშიც, ჯერჯერობით არავის შეუსწავლია ის პრაქტიკული შედეგები, რომელიც ამ თეორიისადმი სხვადასხვაგვარმა დამოკიდებულებამ მოიტანა ენის პოლიტიკის სფეროში (ხომ სწორედ ამ დამოკიდებულებათა მიხედვით იგეგმებოდა სახელმწიფო და შიდა საზ-

¹ იხ. იოსებ სტალინის ინტერვიუ გახეთი „პრავდისათვის“; И. В. СТАЛИН. Относительно марксизма в языкознании: Марксизм и вопросы языкознания. Москва, 1950.

² თუმცა, როგორც მიუთითებენ, დისკუსიის დროს სტალინის სიმკაცრემ მოგვიანებით, პოსტსტალინურ ხანაში, ნ. მარი სტალინიზმის მსხვერპლად წარმოაჩინა და ისეთ საკითხებშიც კი აღმოუჩინა მას ქომაგები, რომლებშიც მარი მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ყველა ეტაპზე მცდარ პოზიციას იღვა. В. М. Алпатов, МАРР, МАРРИЗМ И СТАЛИНИЗМ, <http://www.ihst.ru/projects/sohist/papers/alp93sp.htm>

³ იხ. Г. ДАНИЛОВ : Мои ошибки.– „Революция и язык“, 1931, №1, გვ. 9-10.

ღვრების, ადმინისტრაციული დაყოფის, განათლების, კულტურის, სამოქალაქო ურთიერთობების, სახელმწიფოთა ენობრივი კონტაქტების, საკონსტიტუციო-საკანონმდებლო მიდგომების პოლიტიკა); 1919 წელს ლინგვისტი-ექსპერტები, მათ შორის ანტუან მეიე, მონაწილეობდნენ ვერსალის ხელშეკრულების მომზადებაში და გვეგვადნენ ევროპის რუკას ლინგვისტური პრინციპით. ენათმეცნიერებივე უძებნიდნენ საფუძველს ევროპისა და აზიის საზღვარს; სწორედ ამ დროს გააქტიურდა ე. წ. სამი სამყაროს თეორია, რომლის ძირითადი სულისკვეთება ასეთი იყო: არის სამი სამყარო – ევროპა, აზია და რუსეთი, რომელიც მათ შუაში მდებარეობს. ვ. ი. ლამანსკის ეს თეზა (გამოთქმული 1892 წელს) მეოცე საუკუნეშიც მუშაობდა. სწორედ მეოცე საუკუნეში დაიბადა იდეოლოგია, რომ რუსეთი არის სპეციფიკური ლინგვისტური მთლიანობა ერთი არეალის „ევრაზიის“ ფარგლებში (ანუ რუსეთი არის ევრაზია). ეს იდეოლოგია უკავშირდება რ. ო. იაკობსონსა (1896-1982) და ნ. ს. ტრუბეცკოს (1890-1938),⁴ რომელთა „მეცნიერულ ობიექტურობაში“ საბჭოთა ენათმეცნიერებას ეჭვი არ შეჰქონდა.⁵ ევროპისა თუ აზიისათვის კუთვნილების საკითხს პრინციპული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მსოფლიოშიც, როდესაც შეიქმნა ღირებულებათა მთელი სისტემა ე. წ. დასავლური კულტურის, დასავლური დემოკრატიის, დასავლური ჰუმანიზმისა და სხვ. სახელით...⁶

დიდ გავლენას ახდენს ენობრივ პოლიტიკაზე, დროთა გან-

⁴ ტრუბეცკოს მოსწონდა საბჭოთა კავშირის კულტურული მოდელი და სურდა ჩეხოსლოვაკია სსრკ-ში შეეყვანა (ეძებდა ლინგვისტურ დასაბუთებას ამ მიზნის მისაღწევად); აშშ-ში ემიგრაციამდე ტრუბეცკოი მოლდავურსა და რუმინულს შორის საზღვარს ავლებდა მდ. პრუტზე, 1940-იან წლებში კი იქ სსრკ საზღვარი გაველო. ასე მოახერხა რუსულმა ენათმეცნიერებამ დამტკიცებინა, რომ მოლდავური რუმინული არ იყო და მისი ანბანი კირილიცას საფუძველზე უნდა შექმნილიყო.

⁵ მსჯელობის მოცემული სტილი და თანმიმდევრულობა ეკუთვნის ლოზანის უნივერსიტეტის პროფესორს პატრიკ სერიოს, რომელმაც ეს ლექცია წაიკითხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2009 წლის 17 მარტს.

⁶ ამ სისტემის მიხედვით აღმოსავლეთი ევროპაც ცდილობს დასავლეთი ევროპა გახდეს.

მავლობაში კი თავად ენათა ბედზეც, ენის არეალური კვალ-
იფიკაციაც, რომელიც ასევეა დამოკიდებული კონკრეტულ ის-
ტორიულ მომენტში ენის ამა თუ იმ კონტინენტური ან უფრო
ვიწრო გეოგრაფიული სივრცისათვის მიკუთვნების საკითხზე,
ენათმეცნიერება ასეთ შემთხვევებში კონსულტანტია, მიმკუთვნე-
ბელი კი – პოლიტიკა გახლავთ (ზოგჯერ პოლიტიკა დამკვეთია,
მეცნიერება – შემსრულებელი).

უნდა ითქვას, რომ საქართველოს ენობრივი სიტუაცია ჯერ
არ შესწავლილა არეალური ლინგვისტიკის სოციოლინგვისტურ-
ი პროფილით, რაც ძალზე საშური საქმეა და საზღვრისპირა
რეგიონების ენობრივი სიტუაციის სრული შეფასებით არა მხ-
ოლოდ ამჟმინდელი ვითარების ახსნის, არამედ სამომავლო პერ-
სპექტივების განჭვრეტის შესაძლებლობასაც შეიცავს. ამა თუ
იმ ხალხის, ენის, კულტურის მიკუთვნება ფართო კონტინენტური
სივრცისათვის ადვილი საქმე არაა, როგორც უკვე აღვნიშნეთ,
ევროპაც კი იყოფა დასავლეთ და აღმოსავლეთ არეალებად, და
ამ დაყოფაში მთავარია არა ფიზიკური, არამედ პოლიტიკური,
ეკონომიკური, კულტურული ფაქტორები (შდრ. აშშ, რომელიც
სამხრეთად და ჩრდილოეთად იყოფა). პროფ. ნ. ნათაძემ თავის
ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში დაახლოებით ამგვარი
რამ განაცხადა: ჩემი აზრით, ევროპისათვის საქართველოს მი-
კუთვნებულობა საერთო კულტურული, უპ. ყოვლისა კი, საერთო
ლიტერატურული პროცესებით დასტურდება, რამდენადაც ისეთი
ლიტერატურულ-კულტურული მიმდინარეობები, როგორცაა ამ-
ჟამად ევროპულად წოდებული რენესანსი, აგრეთვე, რომანტიზ-
მი და სიმბოლიზმი, საქართველოში ბუნებრივად და უმადლესი
ხარისხით განვითარდა, ახიის არცერთ ქვეყანაში ამგვარი რამ
არ მომხდარაო. ვფიქრობთ, საგულისხმო მსჯელობაა, თუმცა, აღ-
ბათ, უფრო გამოწვლილვით შესამოწმებელი.⁷

⁷ ამავე რიგისა უნდა იყოს დავა „ვეფხისტყაოსნის“ დასავლური თუ
აღმოსავლური სამყაროს კუთვნილებად გამოცხადების თაობაზე. თუ
„ვეფხისტყაოსანი“ რენესანსული ნაწარმოებია, მაშინ ის ევროპულია.
თუმცა ეს საკითხი ვერ შემოწმდება დასავლური და აღმოსავლური
ღირებულებების შესაფასებლად საერთო სოციოკულტურული კრიტე-
რიუმების დადგენის გარეშე.

არეალური ლინგვისტიკის ცნება უშუალოდაა მიბმული ლინგვისტური გეოგრაფიის⁸ ცნებასთან და სოციოლინგვისტიკისათვის განიმარტება, როგორც ლინგვისტური გეოგრაფიის მეთოდებით ენობრივ მოვლენათა სივრცეში გავრცელებულობისა და ენათაშორისი (დიალექტთაშორისი) ურთიერთქმედების შემსწავლელი დარგი; იგი ფასდაუდებელია სოციოლინგვისტიკისათვის, რომელსაც ენობრივი სივრცე აინტერესებს, ანუ აინტერესებს ენის ტერიტორიული ვარიანტების გავრცელებულობა ენობრივი კოლექტივების კომპაქტური/დისპერსიული დასახლების ადგილებისა და ენის მტარებელთა მიგრაციების კონტექსტში.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში, რომელიც დღეს გაცილებით უფროა მისწრაფებული პრაგმატული, გამოყენებითი კვლევებისაკენ, ვიდრე ოდესმე ყოფილა, ერთ-ერთ საკვანძო საკითხად ენისა და დიალექტის დეფინიციისა და, შესაბამისად, მოხმარებაში არსებული სამეცნიერო ვარიანტების ენებად თუ დიალექტებად კვალიფიკაციის საკითხი დაჩნდება.

რამდენადაც ამ მომენტისათვის მონოდისციპლინურ კვლევებს თითქმის სრულად ჩაენაცვლა ინტერდისციპლინური კვლევები, ენათმეცნიერებასაც მოუხდა მონათესავე დარგების განსაზღვრა და მორგება. ამის შედეგია ისეთი ახალი სამეცნიერო სფეროების გამოჩენა, როგორცაა: სოციოლინგვისტიკა, ლინგვო-ანთროპოლოგია, ლინგვოკულტუროლოგია, ფსიქოლინგვისტიკა,

⁸ აქვე განვმარტავთ: ლინგვისტური გეოგრაფია არის ენათმეცნიერების დარგი (ნაწილი), რომელიც სწავლობს ენობრივ მოვლენათა გავრცელებულობას; ლინგვოგეოგრაფია XIX საუკუნის ბოლოს დიალექტოლოგიას გამოეყო ცალკე დარგად და მჭიდროდ დაუკავშირდა არეალურ ლინგვისტიკას (თუმცა არ უდრის მას). რუკაზე სხვადასხვა ენობრივი მოვლენის თავისებურებათა გადატანამ აჩვენა, რომ ამ თავისებურებათა გავრცელებულობა წარმოადგენს იზოგლოსების (რუკაზე გამოხატული ხაზები, რომლებიც შემოსაზღვრავენ ცალკეული ენობრივი ფაქტის გავრცელების ტერიტორიას) რთულ წნულს; ამასთან, ჩვეულებრივ, მოცემული დიალექტის სხვადასხვა მოვლენის იზოგლოსები, ერთმანეთს არ ემთხვევა. იზოგლოსების ერთობლიობა მოცემული ენის გავრცელების ტერიტორიაზე, ანუ „ენობრივი ლანდშაფტი“, ჩვეულებრივ ლინგვოგეოგრაფიის შესწავლის საგანს წარმოადგენს (Словарь социолингвистических терминов. Москва, 2006).

ლინგვოპოლიტიკა, იურისლინგვისტიკა და სხვ. ამ ახალ დარგებში განხორციელდა სინთეზი საკუთრივ ლინგვისტური ცოდნისა იმ ცოდნასა და მეთოდოლოგიებთან, რომელსაც ადრე მხოლოდ ცალკეული დარგები იყენებდნენ. ეს პროცესი განაპირობა იმ სოციალურ-პოლიტიკურმა „დაკეოთამ“, რომელსაც თანამედროვე მსოფლიო აძლევს ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობების დარეგულირების, ადამიანის უფლებების დაცვის, საკონსტიტუციო სამართლის მოწესრიგების, სახელმწიფოს შიგნით საგანმანათლებლო და საკომუნიკაციო პოლიტიკის განსაზღვრის, მსოფლიო გლობალიზაციურ კურსთან ოპტიმალური შესაბამისობის დაძვინისა და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაგეგმვა-მართვისათვის სწორი ინფორმაციისა და რეკომენდაციების მიწოდების მიმართულებით.

ტრადიციული ენათმეცნიერების გზაზე ამ ახალი პროცესების გაჩენა-გააქტიურებას, ცხადია, ზოგიერთი საკითხის ახლებურად გააზრება და შეფასება დასჭირდა. ზოგჯერ კლასიკურ ენათმეცნიერებაში უკვე მრავალგზის აპრობირებული ტერმინების მრავალდარგოვან სივრცეებში გადატანას დუბლეტური ტერმინების გაჩენა მოჰყვა, ზოგჯერ კი ამ ტერმინთა ვიწრო დარგობრივი მნიშვნელობა დაბრკოლებად ექცა სახელმწიფოებრივი მოწყობის სფეროში ენობრივი პოლიტიკის წარმატებულ რეალიზაციას. მხედველობაში გვაქვს გრამატიკოსთათვის ადრე სავსებით მისაღები „მუშატერმინები“, როგორცაა: სამწერლობო ენები, უმწერლობო ენები, კონიე, სტანდარტული ენა, დიალექტები, კილოები, კილოკავები, მეტყველება, კუთხური მეტყველება, ენათა ოჯახები, დარგობრივი ენები, მონათესავე ენები, ენობრივი კოლექტივი, ენობრივი ჯგუფი და სხვ.; ამ ტერმინებს დაემატა თანამედროვე პოლიტიკურ დოკუმენტებში ხშირად გამოყენებული შესიტყვებები: სახელმწიფო ენები, დიასპორის ენა, ენობრივი უმცირესობები, უმცირესობათა ენები, რეგიონული ენა, პირველი ენა, მეორე ენა, უცხო ენა და სხვ.

აღმოჩნდა, რომ ტრადიციული ენათმეცნიერება თავისი ტერმინოლოგიით სრულად ვერ გამოხატავს ენობრივი ვარიანტების

სოციალურ-პოლიტიკურ ბუნებას, თუმცა კი მას არ ეთმობა ენასთან დაკავშირებული საკითხები სხვა დისციპლინებისათვის; ეს „სიჯიუტე“ შესაძლებელია საბედისწერო აღმოჩნდეს იმ სახელმწიფოთათვის, რომლის საენათმეცნიერო სკოლები დაავიანებენ თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში გარკვევას და ძველი ცნებების ახალ რეალობაში მექანიკურად დანერგვას შეეცდებიან. კერძოდ, არ შეიძლება ავტომატურად გაუიგივდეს „უთხის მეტყველება“ „რეგიონულ ენას“, ან შეუძლებელია, ერთი ერისა და კულტურის ფარგლებში, მუდმივად ერთი და იმავე სამწერლობო ენით ნაკვები ენობრივი ვარიანტები განიხილებოდეს საერთო ლათინიზებულ საფუძველზე განშტოებული დამოუკიდებელი სამწერლობო და კულტურული გამოცდილების მქონე ევროპული ენების ტოლფასად. ეს საკითხები უთუოდ „მშვიდი“ დისკუსიის ფარგლებში დარჩებოდა, რომ არა მათი მწვავე პოლიტიკური დატვირთვა: მრავალრიცხოვანი საერთაშორისო ნორმები, ქარტიები და დეკლარაციები ავალდებულებს სახელმწიფოებს, ენობრივ უმცირესობათა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად შეიმუშაონ სახელმწიფოთა შიგნით არსებული ენობრივი კოლექტივების ზუსტი კვალიფიკაცია და შესაბამისი ენობრივი კანონმდებლობა.⁹

სწორედ ამგვარმა პრობლემებმა გამოიწვია საქართველოში არსებული ენობრივი სიტუაციის შესწავლა-შეფასებასთან დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობა. ჩვენში ქართველური ენობრივი სამყაროს სამეცნიერო შესწავლა უძველესი დროიდან მიმდინარეობს; ამაზე მიუთითებს დოკუმენტურად დადასტურებული უნიფიცირებული, მაღალსტანდარტული სამწერლობო ქართული ენა უკვე ჩვ. წ. პირველ საუკუნეებში, სრულყოფილი და უნიფიცირებული გრაფიკული სისტემა, მაღალხარისხოვანი მწიგნობრობა, მთარგმნელობითი ტრადიციები, კვალიფიციური გრამატიკული კვლევები საქართველოში თუ საქართველოს ფარგლებს

⁹ Словарь Социолингвистических терминов.– Российская академия наук, Институт языкознания, Российская академия лингвистических наук, Институт иностранных языков. Москва, 2006.

გარეთ (ათონელები, პეტრიწი...), სტანდარტიზებული საკანცელარო ენა, დარგობრივი ტერმინოლოგიები, ლექსიკოგრაფიული ნამუშევრები და სხვ.¹⁰

ქართული სამწიგნობრო ენის მიმართ მისი ენობრივი ვარიანტების, დიალექტური სახესხვაობების რაიმე სპეციალური ტერმინით გამიჯვნის საკითხებით დაინტერესება ძირითადად XIX საუკუნის დასაწყისიდან იჩენს თავს, როდესაც საქართველოს 1801 წლიდან რუსეთი თავის საიმპერიო გუბერნიების სახით შუაზე ყოფს და მისი ეთნოგრაფიული თუ ენობრივი თავისებურებების მიზანმიმართული ინტერპრეტირებით სათავეს უდებს იმ კურსს, რომელიც საბოლოოდ საქართველოს დაშლითა და გაქრობით უნდა დასრულდებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველო სწორედ ამ მომენტში წააწყდა ქართველურ ენა-კილოთა სტატუსობრივი მარკირების უპრეცედენტო ლოგიკას, რომელიც რუსი ან უცხოელი ვიზიტორის კერძო შთაბეჭდილებებსა თუ გამიზნულ სამოხელეო გეგმებს უკავშირდებოდა, და რომლითაც საქართველოში ქართველებად აღარ მიიჩნეოდნენ ხევესურები, თუ მეგრელები, იმერლები თუ სვანები, რამდენადაც მათი სამეტყველო თავისებურებები „უცხო“ „ეუცხოვა“. მანამდე კი საქართველოში, თუნდაც სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცბულობის უამს,

¹⁰ М. Табидзе. О некоторых аспектах языкового законодательства в Грузии в XIX-XX веках. XI коллоквиум Европейского общества Кавказоведов. 20-22 июня, 2002; МГУ им. М. В. Ломоносова. Филологический факультет; Институт языкознания Российской Академии наук, Москва, 2002, Стр. 75. წინამდებარე სტატიის საერთო ფორმატში უპრიანი იქნება ერთი ისტორიის გახსენებაც: სწორედ მითითებული მოხსენების თეზისებში მოსკოველმა კოლეგებმა (სარედაქციო ჯგუფმა) ავტორის ნებართვის გარეშე ჩაწერეს ფრაზა „რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთების შემდეგ...“, რასაც მოჰყვა მწვავე მიმოწერა ავტორსა და რედაქციას შორის, რომლის ბოლოს რედაქციამ ბოდიში მოიხადა, ხოლო ავტორმა კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობას (ვისი ელექტრონულ ფოსტაც მითითებული იყო კონფერენციის მასალებში) დაუგზავნა მიმოწერის ტექსტები და განმარტებითი წერილი, სათაურით „ენობრივი პოლიტიკის ერთი მაგალითი“.

არასოდეს დასმულა ქართველთათვის გარდა ქართულისა სხვა რომელიმე მეტყველების სრულფასოვან ენად მიხნევის შესაძლებლობის საკითხი, ანუ არც ერთი კუთხის (სამეფო-სამთავროს) მმართველს არ მოუხმია სამეტყველო თავისებურებები კერძო იდენტობის მანვენებლად და უარი არ უთქვამს ქართულ სალიტერატურო ენაზე.¹¹

თავისთავად ტერმინი „ენა“ მრავალგვარად განიმარტება იმის მიხედვით, თუ რომელი კუთხით ხდება სამეტყველო ვერსიის შეფასება და მარკირება. ამიტომაცაა, რომ ამ ტერმინის მსაზღვრელებად სრულიად განსხვავებული ღირებულებისა თუ ტევადობის ლექსიკა შეიძლება შეგვხვდეს: „უესტების ენა“, „ადამიანთა ენა“, „ცხოველთა ენა“, „ბავშვის ენა“, „დარგობრივი ენა“, „ქურდების ენა“, „პოლიტიკის ენა“ და ა. შ.; საბასთან ენა სრულიად ზოგადადაა განმარტებული: „ენა – საუბრის ასო; ნ. ენოვანი, ირმის ენა, მზეენაობა, ნაენავი, ორენა, ფურის ენა, ძაღლის-ენა. „ორენა – ორპირი კაცი“, „ნაენავი – ენით ნათქვამი“.¹²

საკუთრივ ლინგვისტურ დეფინიციებშიც არ არის მიღებული ამ ტერმინის ერთადერთი ვარიანტი (ენები, როგორც ერთი და იმავე ენის ფუნქციური სტილები, ენები, როგორც ერთი და იმავე ენის სხვადასხვა გენდერული სიბრტყეები, ენები, როგორც სოფლისა თუ ურბანული მეტყველებათა ვარიაციები და ა. შ. ცხადია, ვიდრე ზუსტად არ განისაზღვრება ენა, ზუსტად ვერ განისაზღვრება მისი სახესხვაობაც – დიალექტი. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გავლენა ენობრივი მრავალფეროვნების საკვალი-

¹¹ თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, მ. აჭყეაბია. სტიქიური პლემბისციტები სოციოლინგვისტურ საკითხთა შესახებ XIX ს-ის II ნახევარსა და XX ს-ის I ნახევარში. კავკასიოლოგიური კრებული, ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი, კუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, კავკასიოლოგიის ინსტიტუტი (ედღენება პროფ. იან ბრაუნის დაბადებიდან 80 წლისთავს). თბილისი, 2007.

¹² სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი. პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით. ტფილისი, 1928.

ფიკაციო კრიტერიუმებზე სამეცნიერო აზრს წინა საუკუნეებშიც აღელვებდა.¹³

- ენა-დიალექტის გამიჯვნის თაობაზე სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში არაერთი დისკუსია გამართულა.¹⁴ ამ მხრივ არც ჩვენა ვართ გამონაკლისი. ბოლო ხანებში ეს კამათი გამწვავდა, თუმცა XIX-XX ს.-ის მოღვაწეთა ნაწერების ამ თვალთ გადაკითხვა აშკარად აჩენს, რომ ამ თემაზე ცხარე კამათი რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდში არაერთხელ გამართულა და თითქმის ყოველთვის ამ დისკუსიებს პოლიტიკური ქვეტექსტი ახლდა. ამჟამადაც ენა-დიალექტის კვალიფიკაციის საკითხი პოლიტიკურ ბიძგებს უკავშირდება. საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ქარტიების მოთხოვნათა შესაბამისად, ამ დოკუმენტებთან მისადაგების მოწადინე სახელმწიფოებს აუცილებლად ესაჭიროებათ მეტყველების ამა თუ იმ ტიპისათვის „ენის“ („უმცირესობის ენის“, „უმწერლობო ენის“, „დაგვიანებული ენის“ და სხვ. (ამის შესახებ იხ. ქვემოთ)) ან „დიალექტის“ სტატუსის მინიჭება. სტატუსი კი რომელიმე კომპეტენტურმა დარგმა (ან დარგებმა) უნდა განსაზღვროს. ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკა, გარეგნულად მაინც, თავიდან ირიდებს ამ ტვირთს და „თავგანწირვისათვის“ მზად მყოფ დისციპლინებს აკისრებს პასუხისმგებლობას. ასეთი მზაობა საქართველოში ენათმეცნიერებამ (სათანადო ინსტიტუტებმა) გამოხატა. თუმცა აღ-

¹³ მაგალითისათვის, დავასახელებთ თუნდაც ფრანგული ენის თავისებურებათა საკმაოდ მიკერძოებულ ანალიზს XX საუკუნის 20-იანი წლების რუსეთში: К. Н. Державин. Борьба классов и партий в языке Великой Французской Революции. „Язык и Литература“. 1927, т. II, в. I. გვ. 1-62.

¹⁴ **მ. ტაბიძე.** ენები თუ დიალექტები? კრებული II. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. 2002, გვ. 207-219; **მ. ტაბიძე.** ენობრივი ვარიანტების კვლევის საკითხისათვის.– ქართველური მემკვიდრეობა. 7. ქუთაისი, 2003, გვ. 201-205; **მ. ტაბიძე.** სად გადის საზღვარი დიალექტსა და ენას შორის?– ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. 8. თბილისი, 2003, გვ. 189-194.

მოხნდა, რომ ისტორიკოსების, ეთნოგრაფების, სოციოლოგებისა და პოლიტოლოგების ჩართვის გარეშე ეს საკითხები ვერ გადაწყდება. აღმოჩნდა ისიც, რომ თავად დარგის შიგნით ენათმეცნიერება ჯერ არ არის საბოლოო დასკვნამდე მიხული.¹⁵ ამჟამად ქართული ენა-დიალექტების კვალიფიკაციის თაობაზე მიმდინარე პოლემიკის ძირითადი საკითხებია:

- არსებობს თუ არა ობიექტური კრიტერიუმები იმის დასადგენად, თუ სად მთავრდება დიალექტი და იწყება ენა?
- რა არის ქართული სამწერლობო ენა ყოველთა ქართველთათვის – დედაენა, სალიტერატურო კოინე, თუ საქართველოს მოსახლეობის ნაწილისათვის (ქართველი ნაწილისათვის) მშობლიური, ხოლო მეორე ნაწილისათვის არასაკუთარი, არამშობლიური, თავს მოხვეული და იძულებითი ენა, ისეთი, როგორიც იყო რუსული საბჭოთა პერიოდში?
- არის თუ არა მსოფლიოში ყველგან და ყველა დროში არსებული ნებისმიერი დიალექტი გასაგები ქვეყნის ყოველი მოქალაქისათვის? რა პროცენტისთვის არ არის გასაგები ესა თუ ის დიალექტი? რა თქმა უნდა, დედამიწაზე არსებული ყოველი ენობრივი სახესხვაობა არც ჩვენ შეგვიძლია მოვიცვათ და არც ჩვენს ოპონენტებს, მაგრამ რასაც შეიძლება გავწვდეთ, ის აშკარას ხდის, რომ ენობრივი მრავალფეროვნება განუზომელია და ყველა სახესხვაობას თავისი საკუთარი, მხოლოდ მისი წარმოშობის, განვითარების, გარემოცვის, სოციალურ-კულტურული გამოცდილების, გენეტიკური თავისე-

¹⁵ სწორედ ამ პრობლემებმა წარმოშვა ახალი დისკუსია, რომელიც როგორც არ უნდა დაამცროს რომელიმე მოკამათე მხარემ, მაინც მიმდინარეობს, და ხშირად არა მარტო პროფესიული ეთიკის დარღვევამდე მიიყვანს ზოგიერთი ოპონენტი, არამედ სამსახურებრივი დევნის ბერკეტების ამოქმედებისკენაც უბიძგებს სამეცნიერო დაწესებულებათა ადმინისტრაციულად დაწინაურებულ წარმომადგენლებს (დისკუსიის სხვადასხვა ასპექტი განხილულია მრავალ ნაშრომში, მათ შორის: **თ. გვანცელაძე**, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში. კავკასიოლოგიური სერია. I. იბერიულ-კავკასიური საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრი. თბილისი, 2006; **ტ. ფუტკარაძე**. ქართველები. თბილისი, 2005.

ბურებების, რელიგიური წარმოდგენების, საყოფაცხოვრებო სპეციფიკისა და სხვათა გავლენით აქვს მიღებული ესა თუ ის სახე. ამიტომ სხვისი მაგალითები მხოლოდ იმისთვის თუ გამოგვაღებია, რომ ვთქვათ: – ერთი და იგივე კრიტერიუმში და ერთადერთი რეკომენდაცია არ არსებობს.

- არის თუ არა, ერთი მხრივ, ქართულის მიმართ ფრანგულის, და მეორე მხრივ, ქართული სამწიგნობრო ენის მიმართ მისი რომელიმე სამეტყველო ვარიანტის შესაბამისობა ტოლფასი? და თუ არა, ტერმინი „ენა“ ორივე შემთხვევისათვის მისაღებია?
- როგორ უნდა განვიხილოთ სამეტყველო ვარიანტები, როგორც პარალელურად მომუშავე დამოუკიდებელი ენები, თუ როგორც საკომუნიკაციო დონის შესაბამისად გამოსაყენებელი კოდები? ენის ადგმისას ადამიანის სამეტყველო და საინფორმაციო ბაზისი ვიწროა, სისტემატურად ერთსა და იმავე საკომუნიკაციო სიტუაციაში გამოსაყენებელი ენობრივი მასალაც ვიწროდ შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ რაც უფრო ფართოვდება ცოდნისა და ინფორმაციის საზღვრები, და თავად ადამიანის მოღვაწეობის გეოგრაფია, მით უფრო ფართო ენობრივი არსენალის ამოქმედება-მოხმარება ხდება საჭირო; ასეთ დროს დიალექტის მოქმედების გეოგრაფიული და კულტურული საზღვრები გაცილებით შორს იწევენ და ენობრივი ფაქტურაც ამ საზღვრებიდან იწყებს მოქმედებას. ის, რომ მეგრელი ან გურული „ვეფხისტყაოსნის“ კითხვისას სათანადო ეპოქის ენობრივ მასალას იმარჯვებს, ვაჟას კითხვისას XIX საუკუნის ქართულს, ხოლო ქიმიისა და ფიზიკის სახელმძღვანელოების დამუშავებისას ამ დარგობრივ ენებს ირგებს, მის მიერ ყოველ ჯერზე ახალი უცხო ენის სწავლას კი არ უდრის, არამედ მთლიანი ენობრივი კომპეტენციის სხვადასხვა კოდის დანიშნულებისამებრ გამოყენებას ნიშნავს.
- არის თუ არა ენა-დიალექტებად დაყოფის დღეს მიღებული ვერსიები ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილი და ამ მიმართულებით აღარაფერია საკვლევი? რატომ იწევენ

ესოდენ დიდ შეშფოთებას მკვლევართა ერთი ჯგუფის დაინტერესება ქართველურ ენა-კილოთა დღეს ოფიციალურად მიღებული კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის საკითხებით, როდესაც ამ კვლევის შედეგები არც ქართული ენისა და არც მისი დიალექტებისთვის არ იქნება საზიანო, ხოლო რაც შეეხება ქვეყნის, ეროვნული ცნობიერების მთლიანობას, ამ მხრივ სასარგებლოც აღმოჩნდება?

თუ არსებობს რაღაც განსაკუთრებული უტყუარი ენათმეცნიერული კრიტერიუმი ენა-დიალექტის გასამიჯნად, მაშ რატომ არ ჰგავს ერთმანეთს ის კრიტერიუმი, რომლითაც რუსული, უკრაინული და ბელორუსული ცალკე ენებად კვალიფიცირდება, ხოლო ბრიტანული, ამერიკული, კანადური, ავსტრალიური და ინდოეთის ინგლისურები ერთ ენად – ინგლისურად იწოდება?

ენა თავის მრავალფეროვნებას ორ სიბრტყეზე წარმოაჩენს – ჰორიზონტალურსა და ვერტიკალურზე (ვერტიკალური ხაზით სტანდარტულ ენასა და მის განშტოებებს განიხილავენ ისეთი გრადაციებით, როგორიცაა: ძველი, საშუალი, ახალი; ან სამწერლობო ენა ლიტერატურული ტენდენციების გასწვრივად ხასიათდება (მაგალითად: ე. წ. მონღოლთა ბატონობის პერიოდის ენა, ან გერმანული ენის განვითარების ეტაპები: ა) კარლოს დიდის დროინდელი ძველი გერმანული; ბ) ფრიდრიხ ბარბაროსას დროინდელი შუა გერმანული; გ) გუტენბერგისა და ლუთერის დროინდელი გვიანდელი ახალი გერმანული; დ) ახალი გერმანული და სხვ.); ენათმეცნიერულ ლიტერატურაში მიღებული არ არის ამგვარ ქრონოლოგიურ დაყოფას მიესადაგოს ტერმინი დიალექტი, თუმცა, გარკვეული მნიშვნელობით, **დროში** განფენილი ენობრივი ვარიანტები თავისი სტანდარტიზებული თუ არასტანდარტიზებული ვერსიებით, ერთმანეთზე გავლენისა და სოციალური მგრძობიარობის თვალსაზრისით, მაინცა და მაინც არ განსხვავდებიან **სივრცეში** განფენილი ენობრივი ვარიანტებისაგან. მით უფრო, რომ მათ ერთ სახელწოდებას აძლევენ; იმის მიუხედავად, შესიტყვების ერთ კომპონენტად ძველს, ახალსა და საშუალებას იხმარენ თუ არა, ენას მაინც ერთი სახელი ექნება (გერმანული, ბერძნული,

სომხური და ა.შ., თუმცა კი „გაგებინება“ ამ ვარიანტებს შორის ხშირად „უკიდურესად მიუწვდომელია“); ერთი კი ცხადია, „ენა“ და „ხალხი“ ერთმანეთთან უშუალოდ დაკავშირებული ცნებებია, რომელთა გამაერთიანებელ ღირებულებას „ერი“ წარმოადგენს. თუ არსებობს ენა, მაშინ მას ჰყავს შემქმნელი და პატრონი (თუნდაც დღეისათვის „მკვდარი“), პატრონობა ქონების ფლობას გულისხმობს, კარგია თუ ცუდი ქონების ფლობა? შეიძლება ბავარიელისათვის სასიამოვნო იყოს მხოლოდ ბავარიულის ანაბარა დარჩენა, გერმანულის გარეშე? და თუ ბავარიელისათვის ორივე საკუთარია – გერმანულიცა და ბავარიულიც, მაშინ როგორია ამ ვერსიათა იერარქია? გერმანული მოიცავს ბავარიულსაც და არა პირიქით (გერმანულად ლაპარაკობს გერმანელი ხალხი გერმანიის მიწებზე“ – წარწერა ზიგფრიდის მონასტრის ჭიშკარზე)?

ქართული ენა თავისი ისტორიული გზის მანძილზე მუდმივად წარმოადგენდა ერთ მთლიანობას, მრავალფეროვანი, რთული სახესხვაობების სისტემურ ერთიანობას. აქ საქმე გვაქვს არა დიფერენციის ისეთ ფორმასთან, რომელსაც ევროპის ენათა უმრავლესობა გვიჩვენებს, როდესაც ერთი საერთოდან წამოსული განშტოებები დამოუკიდებელ არსებობას იწყებენ (თუმცა, ცხადია, არც ისინია მთლად ასე მარტივად წამოსული ერთი ფუძიდან), ანუ როდესაც ე. წ. ფუძე ენა ტოტებსშირ ხედ გადაიქცევა, არამედ სრულიად სპეციფიკურ მოვლენასთან, როდესაც ერთი ენობრივი ბირთვი მუდმივ პულსაციაშია და მისგან ტალღებად წამოსული ვარიაციები ზღვის მოქცევა-უკუქცევის მსგავსად სულ მუდამ უბრუნდებიან საკუთარ წიაღს.

1. დიახ, ქართულ ენობრივ სამყაროში მოვლენები სპეციფიკურად ვითარდებოდა. ქართული ენის ვარიანტული სხვადასხვაობები არასოდეს დაშორებიან ერთმანეთს დიდი ხნით, ისინი მუდმივად იყვნენ ურთიერთკავშირში და ზეგავლენას ახდენდნენ ერთმანეთზე. ქართველური ენობრივი სივრცის განვითარება არც შეიძლება ყოფილიყო ევროპული ენების მსგავსი ბედისა შემდეგი მიზეზების გამო:

2. საქართველოს ტერიტორია და ქართველური ენა-კილოე-

ბის გავრცელების არეალი არ არის ისე დიდი, როგორც მაგ. ევროპა, ან ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოები და არც საქართველოს მოსახლეობა ყოფილა იმდენად მრავალრიცხოვანი, რომ მას ღოკალიზებული ეთნოკულტურული განვითარების მისწრაფება ან საშუალება ჰქონოდა;

ქართული სამწერლობო ენა უძველესი ისტორიის მქონეა და მის გარშემო ქართველთა კონსოლიდაცია უძველესი ფაქტია, რომელშიც იკითხება თვით ერისა და მისი სახელისუფლებო მმართველობის ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული ნება – ერის ყველა კუთხის კულტურული ენერგია მიმართულიყო სახელმწიფო ერთიანობის იდეალისაკენ; ამიტომაც იყო, რომ ყველა ქართველი მეფე-მთავარი მიუხედავად ნებისმიერი შინაური ქიშპისა თუ დაპირისპირებისა, გარეშე მტრის მიერ ინსპირირებული საშინაო კონფლიქტებისა, ქართველთა ენობრივ რელიგიურ და კულტურულ მთლიანობას უდავო ფაქტად მიიჩნევდა. საქართველოს არც ერთ კუთხეში არასოდეს დასმულა საკითხი ქართველთა ეთნიკური სხვადასხვაობისა თუ ქართული სამწიგნობრო ენისადმი „არამშობლიური“ დამოკიდებულებისა; ამგვარი მცდელობები ფიქსირდება მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნიდან რუსებისაგან, რომლებიც მეოცე საუკუნეშიც აგრძელებენ ამ კურსს და სამხედრო-ადმინისტრაციული ღონისძიებების გარდა სამეცნიერო საფუძვლების შექმნასაც ღამობენ სამომავლოდ ქართველთა მთლიანობის დასარღვევად. შეიძლება ამით აიხსნას სამეგრელოსა და სვანეთის ეთნო-ენობრივ კვლევათა პროექტების საგანგებო გრანტირება უცხოური ფონდების მიერ. „საფრთხის ქვეშ მყოფი ენების“ გადარჩენის მოტივით მიმდინარეობს ქართული ენობრივი სივრცის ასიმეტრიული დაყოფა, რასაც პარალელურად ახლავს ისეთი კულტურულ-იდეოლოგიური მოსამზადებელი სამუშაოები, როგორცაა: სახარების გადაწეობა მეგრულად და სვანურად, „ვეფხისტყაოსნის“ გადაწეობა მეგრულ-სვანურად, სპეციალური, არა ლინგვისტური, არამედ „თარგმნითი“ დექსიკონების (ქართულ-მეგრული) შედგენა-გამოცემები, რომლებზედაც ავტორიტეტულადაა მითითებული „დამხმარე“

უცხოური ფონდები, მეგრული ელექტრონული ენციკლოპედიის – ვიკიპედიის შექმნა, ე. წ. მეგრული რადიო და სატელევიზიო ხაზების მომარაგება სათანადო აპარატურითა და ფინანსებით. არის თუ არა სოციალურ-პოლიტიკური ასპექტების გარდა რაიმე საფუძველი მონათესავე ენების ენა-დიალექტად დაყოფისათვის? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გაირკვევა, რა დოზით და რა ხარისხში შეიძლება ენათმეცნიერებას მიეცეს უფლებამოსილება, იყოს ერთადერთი არბიტრი ამ საკითხში და მოამზადოს ნიადაგი ამ კვალიფიკაციის მიხედვით პოლიტიკური გადაწყვეტილებებისათვის. აქვე გაირკვევა, იყო თუ არა ენათმეცნიერება მზად ამგვარ კითხვაზე პასუხისათვის წარსულში, ცალკე დარგად ჩამოყალიბებიდან დღემდე.

ინგა ლუტიძე – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

ენობრივი ვითარება ნიგალის ხეობაში – ბორჩხისა და მურღულის სოფლები¹

ნიგალის (//ლივანის//ლივანის) ხეობა ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონია ფეოდალური ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მდინარე ჭოროხის ქვემო დინებაში. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ლივანის ხეობა მოიცავდა მდინარე ჭოროხის ხეობის იმეურ და ამეურ მხარეს ართვინის სანახებითურთ: „და ართვანის სანახებითურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე, ჭოროხის ჳეობის იმერი და ამერი იწოდების ლივანის ჳეობად. და არს ეს ლივანის ჳეობა თჳნიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერო ნარინჯით, თურინჯით, ლიმონით, ზეთისხილით...“² შემდგომში ლივანად მიაჩნდათ მდინარეების აჭარის წყლისა და ჭოროხის შესაყართან მდებარე ტერიტორია. 1549 წელს ლივანა ოსმალებმა დაიკავეს. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიებთან ერთად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა... დღეს ლივანის მხოლოდ მცირე ნაწილს ფლობს საქართველო, დიდი ნაწილი კი თურქეთის საზღვრებში რჩება.³

¹ ნაშრომი შესრულებულია რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - *თურქეთის ქართველები: ისტორია, სულიერი და მატერიალური კულტურა, ენობრივი ვითარება* - ფარგლებში, 2012-2015.

² **ვახუშტი ბაგრატიონი.** აღწერა სამეფოსა საქართველოს. თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, 1941, გვ. 136.

³ Taoklarjeti.com/index.php/history/geography-of-tao-klarjeti.

ენობრივი თვალსაზრისით ბორჩხა და მურღული, ისევე როგორც ისტორიული საქართველოსა და ეთნიკური ქართველებით დასახლებული თურქეთის დანარჩენი ქალაქები თუ სოფლები, გამორჩეული რეგიონებია. ბორჩხა ოთხი ხეობის – ჭოროხის, დევსქელის, ჩხალასა და მურღულის შესაყარზე, კარჩხლისა და პონტოს ქედებს შორის მდებარეობს, ამიტომ აქ თავს იყრის ყველა ახლომდებარე სოფლის, მურღულის რაიონის, ქლასქურის, ხება-მარადიდის, დევსქელის, ჩხალას ხეობებსა და ართვინში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველთა - გურჯების დიდი ნაწილი.

რა და როგორ შემოგვინახეს ისტორიული სამშობლოს დიდ ნაწილს მოწვევტილმა ქართველებმა, ამის გადმოცემას ნაწილობრივ 2012 წელს ჩატარებული სამეცნიერო-საგეგმე ექსპედიციისას ჩაწერილი ენობრივი მონაცემების საშუალებით შევეცდებით.

თუ ენობრივი ვითარების შესწავლას ეთნიკური ენის გეოგრაფიული საზღვრებით დავიწევთ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს საზღვრები მთლიანად მოიცავს ჩვენი კვლევის ობიექტის – 1. ბორჩხის სოფლებს: დევსქელი, ზედა მარადიდი, ქლასქური, ავანა, აგარა, ახალდაბა, არჰავეთი, ბაგინი, ბანაკნა, ბელღევანი, ბეშაგლი, დამფალი, ებრიკა, ვაზრია, ვალაშენი, კვინტავლი, ზედუბანი, ზელიეთი, თხილაზორი, კატაფხია, კვარჩხანი, კინცხურეთი, კირსა, მურკივეთი, ნიგია, ომანა, ორჯი, ოფუჯა, ოხორჯი, საბაერი, უზრუმა, უკარნერე, ქართლა, ღვია, შუახევი, ჩარბიეთი, ჭინკური, ხება, ხინწკანა... 2. მურღულის სოფლებს: არხვა, ბაგა, აღუნა, აგარა, ბუჯური, ბაშქოი, გურბენი, დურჩა, დიღეთი, გეგლი, გოგლიეთი, ერეგუნა, ისკები, კაბარჯეთი, კასიმეთი, კორიდეთი, ლომეკეთი, ოზმალი, ტრაპენი, ქვამჭირეთი, ქობეკეთი, ქამიღეთი, ფოროსეთი, ჩხალა, ქორთუკეთი, ქურა, ყავრიეთი, ჭილაერი, ძანცული, წყალყა, ბუდიეთი, ხახური, ხორსოლო, ჯანსული... რადგან ეს ტერიტორია ყოველთვის გურჯების სამკვიდრო იყო (დღეს ქართული ტოპონიმების უდიდესი ნაწილი, რასაკვირველია, თურქული ტოპონიმებითაა შეცვლილი). ზემოჩამოთვლილი სოფლები მურღულის წყლის ორივე მხარესაა განლაგებული და გურჯების ოდინდელი სამკვიდროა (ზოგიერთ

სოფელში სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებიც ცხოვრობენ, მაგალითად, გოგლიეთში ჰემშინებიც ცხოვრობენ, ადრე კი სოფელი მხოლოდ გურჯების იყო). უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეგიონის პირველი მკვლევარებიდან დაწყებული დღემდე სოფლების ჩამონათვალი და, შესაბამისად, რაოდენობაც განსხვავებულია. ზ. ჭიჭინაძე მურღულში 31 სოფელს ჩამოთვლიდა და მიუთითებდა, რომ ლივანა მურღულის ხეობასთან ერთად სამუსლიმანო საქართველოს ერთ-ერთი იმ ნაწილთაგანია, სადაც ქართული ენა ყველაზე კარგად არის შემონახული.⁴ ჩვენი ექსპედიციის პერიოდში კი ადგილობრივებმა სოფლების რაოდენობა ოცდაერთით შემოფარგლეს, რადგან ბევრი სოფელი უკვე სხვა სოფელს შეუერთდა, მის ერთ-ერთ უბნად იქცა.

აქ მკვიდრი ეთნიკური ქართველები იდენტიფიკაციას ეთნონიმ გურჯთა და ისტორიული მახსოვრობის შედეგად შემორჩენილი გვარებით, ოდლებით გამოხატავენ: სარიშვილები, ჯამბაზ-ოდლები, ჩიღალ-ოდლები, უზუნეძინ-ოდლები, მაზლიმ-ოდლები, მუშტაფ-ოდლები (სოფელი ბაგინი, ბორჩხა); ქიქვაძე, ბოლქვაძე, ჯიმშერაძე, საღე-ოდლი, ხოჯ-ოდლი, ბექირ-ოდლი... სუბაშები (სუბაშები ალიადასანები არიან), ბაიაჭორები, ოსმანააშუშები, ჩიტოსანი, ფაშალისანი, მელეგოსანი, გედუგისანი, ალიჯანისანი, ემინადასანი, მემიშ-ოდლები, ჰაჯი-ოდლები, ხოჯ-ოდლები (სოფელი დურჩა, მურღულის ხეობა), ლამაზიშვილები, ყადირ-ოდლი, ეფენდ-ოდლი, მემიშ-ოდლი (სოფელი კორიდეთი, მურღულის ხეობა), კალინჯ-ოდლები, მემშ-ოდლები, ქემალ-ოდლები, დურები, მეულუდ-ოდლები, ჯინოები (დოლაბიძის უბანი, სოფელი ქართლა, ბორჩხა), ხალიბრაიმ-ოდლები, ალტაშ-ოდლები, ნუმემედ-ოდლები, დირბერ-ოდლები, კუტუმ-ოდლები (ვასაჯის უბანი, სოფელი ქართლა, ბორჩხა), თეთრუები, იმამ-ოდლები, იდრის-ოდლები, მედეგ-ოდლები, ზენგინ-ოდლები, ხოჯ-ოდლები (გუგუცურის უბანი, სოფელი ქართლა, ბორჩხა), ქემალ-ოდლები, არდანთ-ოდლები, დილბერ-ოდლები (თრიმლების უბანი, სოფელი ქართლა, ბორჩხა);

⁴ ზ. ჭიჭინაძე. ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში. მუჰაჯირი. ემიგრაცია. თბილისი, 1912, გვ. 148.

თაფლიძე (სოფელი თხილაზორი, ბორჩხა), ბოლქვაძეები, იუსუფ-ოღლები (სოფელი დამფალი, ბორჩხა); ზაქარაძეები, ფუტყარაძეები, ბოლქვაძეები (სოფელი ტრაპენი, მურღულის ხეობა); ხოლო *თურქეთის ვათანდაშობა* გარდაუვალი ვალდებულებაა იმ სახელმწიფოს წინაშე, რომელმაც თავის საზღვრებში მოაქცია ისტორიული საქართველოს უდიდესი და განუყოფელი ნაწილი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბორჩხასა და მურღულში შემორჩენილია ხსოვნა ფაქტისა: *ჩვენი დიდვანები ჰრისტიანები ყოფილან*, რასაც თურქეთის საქართველოს სხვა ადგილებში ვერ გაიგებთ ობიექტურ მიზეზთა და ისტორიის არცოდნის გამო.

ენობრივი ვითარების აღწერისას მნიშვნელოვანია ეთნიკური ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა და შობადობის ხარისხი. თურქეთში ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის წევრთა სიდიდე-სიმცირის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მოპოვება ძალიან ძნელია, მაგრამ ეს ტერიტორია ოდითგანვე გურჯების ისტორიული სამკვიდრო იყო და არის, ამიტომ აქ ეთნიკურ ქართველთა რაოდენობა დიდია, ასევე ბოლო პერიოდამდე მალაღლი იყო შობადობის ხარისხი.

ეთნიკური გურჯები ჯერ კიდევ 15-20 წლის წინ ძირითადად სოფლებში ცხოვრობდნენ, რაც ძალიან უწყობდა ხელს ეთნიკური ენის შენარჩუნებას იმ პირობებში, რომლებშიც ისტორიულ სამშობლოს დიდ ნაწილს მოწყვეტილი გურჯები აღმოჩნდნენ. დღეს განუზომლად დიდია ურბანიზაციის მასშტაბი. ბორჩხა და, ნაწილობრივ, მაინც მურღულია (მოსახლეობის დიდი ნაწილი მურღულიდან აყარეს, მცირე ნაწილი კი თვითონ გადასახლდა) ამ თვალსაზრისით გამონაკლისი. ბორჩხისა და მურღულის მოსახლეობის დიდი ნაწილი ზამთარში ადგილზე რჩება. თითქმის ყველა სოფელი გურჯებისაა, მხოლოდ ორ სოფელში არიან ლაზები/ჭანები – გურბენი/გურბინსა და ჯეველ-ქორუჯულარში; ბუჯურში (მურღულის ხეობა) ერთი-ორი ოჯახია ლაზებისა/ჭანებისა, დობერკეთის მაჰალეში (სოფელი ბუჯური, მურღულის ხეობა) კი ჰემშინები ცხოვრობენ. ქლასქურში თუ ზაფხულობით 300 ოჯახზე მეტია, ზამთარში აქ მხოლოდ 100 ოჯახი რჩება;

დევესქელში ზამთარში 340 კომლიდან 200 კომლამდე რჩება, იგივე შეიძლება ითქვას ჩხალას ხეობის შესახებაც.

ეთნიკური ჯგუფები ამ ტერიტორიაზე კონცენტრირებულად ცხოვრობენ. ეთნიკური ენისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორია გარემო – მონოეთნიკური თუ პოლიეთნიკური. ბორჩხისა და მურღულის სოფლები, ქლასქური, ხება-მარადიდი, დევსქელი, ჩხალას ხეობები უმეტესწილად ისევ მონოეთნიკურია. ეთნიკურ ქართველთა გვერდით აქ დღეს უმნიშვნელო რაოდენობით ცხოვრობენ და საქმიანობენ სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებიც. აქაური გურჯები ჯერაც ცდილობენ თავიანთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელზე დაქორწინდნენ, რომ გურჯობა და გურჯიჯა/გურჯიჯე არ მოიშალოს, მაგრამ მიგრაციის მაღალი ხარისხი სოფლებიდან ქალაქში ამ პროცესს დიდხანს ვეღარ შეუწყობს ხელს.

მნიშვნელოვანი ფაქტორია ეთნიკური ჯგუფის ცხოვრების წესი. ბუნებრივია, მიგრაციის მაღალი ხარისხი, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან ურთიერთობა და ინტეგრაციის პროცესი დიდწილად ცვლის ცხოვრების წესს. ეს პროცესი შეუქცევადია ქალაქებში გადასახლებული გურჯების შემთხვევაში, ხოლო ადგილზე დარჩენილი ეთნიკურ ქართველებთან, ამ მხრივ, არსებითი ცვლილებები არ გვაქვს, ისინი ცდილობენ საგულდაგულოდ დაიცვან ეთნიკური ჯგუფისათვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი. აქ ასევე დიდია მშობლების როლი და გავლენა, რაც ერთ-ერთი პირობაა ეთნიკური ენის შენარჩუნებისთვის.

რაც შეეხება სოციალურ სტატუსს, გურჯები, თავიანთი ისტორიისა და კულტურის გათვალისწინებით, მაღალი სოციალური სტატუსის მოპოვებისკენ ისწრაფვიან.

ბორჩხის, მურღულის, ქლასქურის, ხება-მარადიდის, დევსქელის, ჩხალას ხეობების ქართველების აზრით, აქაურმა ქართველებმა ყველაზე კარგად იციან ქართული. ჩვეულებრივ, როცა თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველები თავიანთ ენობრივ მდგომარეობას აფასებენ, რეალურ სურათს არ აღამაზებენ. ამ შემთხვევაშიც ზემოაღნიშნულ შეფასებას იქვე

დაურთავენ: ერთი თაობის შემდეგ ბორჩხისა და მურღულის სოფლების, ქლასქურის, ხება-მარადიდის, დევსქელის, ჩხალას ხეობებში ქართული არ იქნება.

ბორჩხისა და მურღულის სოფლების, ქლასქურის, ხება-მარადიდის, დევსქელის, ჩხალას ხეობებში მცხოვრები ყველა ეთნიკური ქართველისათვის, ასაკისა და ენის ცოდნის ხარისხის მიუხედავად, **გურჯიჯა, ქართულა/ქართველა** მშობლიურია, დედის ენაა. გურჯიჯა საოჯახო ენაა აქ მცხოვრები გურჯების უმეტესობისთვის: *სახლში სულ ქართულა ვლაპარაკობთ დიდვანები*; მაგრამ დასძენენ: *მართალი ქართული არ ვიცით*. ეთნიკური ქართველები წუხან, რადგან ამბობენ: *ჩვენი გურჯობა თურქობაზე გადავატრიალეთ*. აქ, ცხადია, ისინი მხოლოდ ენობრივ ვითარებას არ გულისხმობენ, საუბარია მათ ყოფა-ცხოვრებაში შეჭრილ თურქულ ელემენტებზე. გურჯები აღნიშნავენ, თუ როგორი მნიშვნელობა ჰქონდა საზღვრის გახსნას ენის შენარჩუნებისთვის: *ჩვენც დავიწყებული ვექონდა, საზღვარი რომ არ გახსნილიყო*. წერა-კითხვა უკანასკნელ პერიოდამდე, რასაკვირველია, არავინ იცოდა რამდენიმე უიშვიათესი გამონაკლისის გარდა. დღეს კი ეთნიკური გურჯების გარკვეული რაოდენობა ცდილობს ეთნიკური ენის ანა-ბანას, წერა-კითხვას სხვადასხვა საშუალებებით – საზღვრის გახსნის შემდეგ ინტენსიური ურთიერთობით, სპეციალურად მათთვის დაწერილი წიგნებით, სოციალური ქსელებით – დაეუფლოს: *ასო-ენა უნდა დევსწავლოთ*.

რადგანაც ბორჩხისა და მურღულის სოფლები, ქლასქურის, ხება-მარადიდის, დევსქელის, ჩხალას ხეობები გურჯებითაა დასახლებული, აქ ქართული ისმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე – ქუჩებში, სავაჭრო დაწესებულებებში, თავშეყრის ადგილებში: **ჩვენი გურჯიჯა უწმარი არ არი** (resp.: გამოუყენებელი).

ყველაზე მნიშვნელოვანია, იციან თუ არა ბავშვებმა გურჯიჯა, ასწავლიან თუ არა ეთნიკურ ენას ბავშვებს, მომავალ თაობას; ამ ფაქტორის გათვალისწინებისას შემდეგი სურათი გვაქვს: *ბავშვები ქართულად არ ვლაპარაკობენ*. სკოლაში ვერ ისწავლიან და აკვნიდან რომ გადმოვარდება, თურქულად

ლაპარაკობენ. ეთნიკური ენის შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, თუ სად იზრდებიან ბავშვები და ვინ ზრდის მათ, ოჯახში იზრდებიან თუ ოჯახს გარეთ. ოჯახური გარემო ეთნიკური ენის ათვისებას აადვილებს, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ბავშვები ბებია-ბაბუებთან ერთად იზრდებიან. თუ ბავშვები ოჯახისგან მოშორებით, სკოლა-ინტერნატებში იზრდებიან, ეთნიკური ენის გადაცემა, ჩვეულებრივ, წყდება. სკოლა-ინტერნატის სისტემას დამანგრეველი ეფექტი აქვს ეთნიკური ენისთვის. თურქეთის რესპუბლიკამ კი ამგვარი კეთილმოწყობილი სკოლებით უზრუნველყო სოფლის ბავშვები, რომლებიც უკვე მთელ სასწავლო წელს ამგვარ სკოლებში ატარებენ, რის შედეგადაც: **ქართულად ველაპარაკები, ესმის, მაგრამ ვერ ლაპარაკობენ**. პირველ მექთებში (resp.: სკოლაში) **სახლში იყო, მეორე მექთები სკოლაში იზრდებოდა**. **სკოლაში მიდიან, ვეღარ ლაპარაკობენ; მექთებში გურჯობა არ ალი** (resp.: სკოლაში ქართული არ არის); **შივლს ქართულად ველაპარაკები, შვილიშივლს თურქულად**.

ამ მხრივ, გამორჩეული და და დასამახსოვრებელი იყო სოფელი ბაგინი და მთელი დევსქელის ხეობის სიტუაცია, ასევე სოფელი ქართლა, სადაც სოფელში გაზრდილმა თითქმის ყველა ბავშვმა იცის ეთნიკური ენა – 4 წლის ბავშვებიც ლაპარაკობდნენ ქართულად. უფროსები ბავშვებს ქართულად ველაპარაკებიან და პასუხსაც ქართულად იღებენ: *სოფელში გაზრდილი ბავშვი მალე ეჩვევა ლაპარაკს*.

ხეობებში მუდმივად მცხოვრებმა 17-20 წლის ახალგაზრდებმა კი თავიანთი ენობრივი კომპეტენცია ასე შეაფასეს: *სახლში გურჯულად ველაპარაკობთ, ამხანაგები რომ ვიკრიბებით, ხან თურქულად, ხან გურჯულად ველაპარაკობთ*.

ეთნიკური ენის სწავლების თვალსაზრისით, ხშირად ბებიებს უფრო მეტი გავლენა აქვთ ბავშვებზე, ვიდრე სხვებს. სწორედ ისინი გადასცემენ ენას ბავშვებს, რასაც ბორჩხისა და მურღულის სოფლების, ქლასქურის, ხება-მარადიდის, დევსქელის, ჩხალას ხეობების ეთნიკური ქართველებიც ადასტურებენ თავიანთივე სი-

ტყეებით: ბაბანე (resp.: ბებია) ელაპარაკება, გურჯიჯა იცოდნონო; ქართული ნენედსგან, ბაბოდსგან დევსწავლეთ.

რაც შეეხება სახელმწიფო ენას, განათლების ენას, ძირითად ენას, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან ურთიერთობის ენას – ეს საკითხი დიდი ხანია თურქული ენის სასარგებლოდ არის გადაწყვეტილი.

მ. ჩოხარაძე ამ საკითხისადმი მიძღვნილ ნაშრომში, რომელიც XIX-XX საუკუნეების მიჯნას მოიცავს, დაასკვნის: “სამწუხარო რეალობაა, მაგრამ თანამედროვე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მშობლიურმა ენამ აშკარად დათმო პოზიციები. იმერსევსა და ლივანაში, ასევე ტაოს ორიოდ სოფელში ქართულად მეტყველებენ მხოლოდ საშუალო ასაკს გადაცილებულნი, იშვიათად – ახალგაზრდებიც. პრაქტიკულად, ენის მცოდნე ბოლო თაობა ცხოვრობს იქ. ბავშვებმა და ახალგაზრდების უმრავლესობამ თითქმის აღარ იცის წინაპრების ენა”.⁵

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბორჩხისა და მურღულის სოფლების მკვიდრი გურჯები ბილინგვები არიან, გამიჯნული აქვთ ენობრივი ვარიაციები და იციან, ამა თუ იმ კონკრეტულ სფეროში რომელი ენობრივი ვარიაცია გამოიყენონ.

მასალის ჩაწერისას საინტერესო იყო ერთი შენიშვნა **დერგთან** დაკავშირებით: *დიდვანი დერგები იყო, დერგში ღვინოს ვასხამდით*. მხოლოდ ამ წინადადებითაც კი აშკარაა, რომ ეთნიკური ენა თურქეთის საქართველოში დღემდე იმ უნიკალური ინფორმაციის მატარებელია, გურჯები დღეს რომ ბოლომდე ვერც აცნობიერებენ. ამ წინადადებით ისინი იმ პერიოდზე მიუთითებენ, როცა ყურძნის დაწურვა და ღვინის დაყენება აქ ეთნიკურ ქართველთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. ეს დღეს მხოლოდ ენამ შემოგვინახა.

აღსანიშნავია დამობიძგების ტრადიცია, რომელსაც შემდეგნაირად გადმოგვცემენ: *ძუძუ მათწოვე სხვა ვინმესა, შენ გოგო იმ ბიჭ ვერ მიცემ, ძმა არი. შენი ძუძუ მოწოვა, ძმა გახდა. გოგო*

⁵ მ. ჩოხარაძე. ქართული ენა და ეროვნული იდენტობის ზოგიერთი საკითხი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე – ჩვენი სულიერების ბალავარი. ბათუმი, 2009, გვ. 91.

დობილი ვახლება, ბიჭი ძმა ვახლება. არიან დობილები ავსილი. აღნიშნავენ იმასაც, რომ ადრე გურჯების ადათი არ იყო ნათესავების ერთმანეთზე დაქორწინება: *მაშინ ადეთი არ იყო, მემრე გამააშენეს აქრაბაზე* (resp.: ნათესავზე) *მიცემა*.

ზემოთქმულს თვით ბორჩხისა და მურღულის სოფლების მკვიდრი ეთნიკური ქართველები ამგვარად აფასებენ: **წინ სხვა-ნაირი კულტურა იყო, ახლა გედეიცვალა.**

ამ ადგილების ტოპონიმია, რომელთაც სხვა ფაქტორების გათვალისწინების გარეშე შემოუნახავთ ისტორია, ცალკე კვლევის საგანია, ამიტომ აქ მხოლოდ მოკლედ ჩამოვთვლით იმ ტოპონიმებს, რომელთა აღნუსხვის საშუალება დროის მცირე მონაკვეთში მოგვეცა:

შაქარეთი, ბულარეთი, ნაძ უნარა, კვინტა ური/კვინტა ული, განი (სოფელ ბაგინის (ბორჩხა) უბნები; **ნაბედლაგი, ლოთაგი** – ტოპონიმები სოფელ ბაგინში (ბორჩხა); **გადმობანი, ქომობანი, უკანმერე, ტყემალათი, ჩიტა ური, ოჯვათი, შ უაქვევი** (დევსქელის უბნები, ბორჩხა); **ჯღელიფეთი, ქოსქაია, მურკიფეთი, კება** (მარადიდის სოფლები, ბორჩხა); **მურკიფეთი, ცოცხობა, ბოსელთა** (სოფელ მურკიფეთის უბნები, ბორჩხა); **კონტაქვევი, ნაქერავი, შალიკიშვილების მაჭალე, ზეთი მაჭალე, ქეთი მაჭალე** (სოფელ თხილაზორის უბნები, ბორჩხა); **კაკლოვანი, მეღლოვანი, ეწერი/იმჭრი, კაირანიელტე** (ტოპონიმები სოფელ თხილაზორში, ბორჩხა); **ვასაჯე, დოლაბიძე, გუგუცური, ჯ უანჯე, თირიმლები, დიდმაჭალე** (სოფელი ქართლა, ბორჩხა); **ჭიღვანი, ზელიეთი** (სოფელ ავანის უბნები); **ზეგანი, ზომოდ მაჭალე** (სოფელ ორჯის უბნები, ბორჩხა); **ჭინკასწვევი** – გადმოცემით, ძველად მურღულს რქმევია **ჭინკასწვევი; ბაგად, ჯამეკარი, გურბენი** (სოფელ გურბენის უბნები, მურღულის ხეობა); **დოდობეთი, გზაკეთილი, შველა ური, ქილისეთიფე** (სოფელი ბაგა, მურღულის ხეობა); **საჯვარეთი** ადგილის სახელია (მურღულის ხეობა); **ზემოქურა, ქურა, ჭილაგრი** (რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ ცალკე ერთეული იყო) (სოფელ ბაგას უბნები, მურღულის ხეობა); **ჩხალეთი, გოგლიეთი, ქოროსეთი, ზემო ქოროსეთი, ლომიკეთი** ცალკე სოფლები იყო, დღეს კი სოფელ

ბაშქოის უბნებია (მურღულის ხეობა); *კაკლოვანი, აღუჩა, მადენი, აგარა* (სოფელ ისკების უბნები, მურღულის ხეობა); *წიქარეთი, საკმელეთი, ხახვილეთი, ჯიმშერეთი, ქვადიდი* (სოფელ ჯანსულის უბნები, მურღულის ხეობა); *ზემბადეთი, ხოსროლოლი, დობერკეთი, ქომო უბანი* (სოფელ ბუჯურისუბნები, მურღულის ხეობა); *ჭადუკეთი, ქეთქეთი/თეთქეთი, შუაგულე, ჭელო, გაღმა მეჭელე, ქომო მეჭელე* (სოფელ დურჩას უბნები, მურღულის ხეობა); *გამორჯიკა, შვა მაჰალე, ჩამაქეთი, კალაგატი, აბანო* (სოფელ ტრაპენის უბნები, მურღულის ხეობა)...

„ნიგალის ხეობაში, კონკრეტულად სოფლებში: სვეტსა და იბრიქლში/ებრიკა შემორჩენილია როგორც მატერიალური კულტურის ძეგლები, ისე სოფლის უბნების დღევანდელი ქართული სახელწოდებანი: პეტრული, მამაწმინდა, ნიგია, ელიაწმინდა სოტი, ნიგალა, ლომაშენი და სხვა ქართული სახელები: ალვანა, ლელვიყანა, ქედიბირი, ახალშენი, ნაცარაბოლო, წითელმიწა, კოკოლაქვა, ფონიყანა, ფარფაშა ყანა და ა. შ.“⁶

მდინარეების (დელეების) სახელებად გვაქვს: *ქლასქურის წყალი, წიქვაგი დელე* (ქლასქურის ხეობა, ბორჩხა); *ბაგინის დელე, დიდდელე, ვარაჯიბული, დარგულა, ყურდიდი, სამზორე* (სოფელი ბაგინი, ბორჩხა); *ჩიტა ური დელე, უკანმერე, საწვეწელი, ჯუხუმერე, ჩიბოლელე* (დევსქელის ხეობა, ბორჩხა); *გონთკევის დელე, ნაქერავის დელე, ციდეაკეს დელე* (სოფელი თხილაზორი, ბორჩხა); *წიფლარდელე, ფინთდელე ბოგნარი დელე, ქოქირდიდელე* (სოფელი ბაგა, მურღულის ხეობა); *კარანჩხით დელე/კალანჩხით დელე, ლომიჯი დელე, არია დელე, ნაგომავი დელე* (სოფელი ქვამჭირეთი, მურღულის ხეობა); *ნაბრინჯევი* (სოფელი ლომიკეთი, მურღულის ხეობა); *ღალიშკარი* (ჩხალეთი, მურღულის ხეობა); *ბაშქოი დელე* (სოფელი ბაშქოი, მურღულის ხეობა); *ჩამოყარო დელე* (სოფელი გოგლიეთი, მურღულის ხეობა); *კაბარჯეთის დელე* (სოფელი კაბარჯეთი, მურღულის ხეობა), *ისკების წყალი* (სოფელი ისკები, მურღულის ხეობა), *კევი წყალი* (სოფელი დურჩა, მურღულის ხე-

⁶ ეთერ ბერიძე. ნიგალის ორი სოფელი.– ჩვენი სულიერების ბალავარი. ბათუმი, 2009, გვ. 78.

ობა), **კორიდეთის ღელე** (სოფელი კორიდეთი, მურღულის ხეობა)...

ტყეების სახელები: **ვანითავი, ჯორატყე, ზეგანთი, სამზორე** (სოფელ ბაგინში, ბორჩხა), **ახარშენი, ბარდნალი** (სოფელი ბაგინი, მურღულის ხეობა), **წუმპო, დიდი ტყე** (დევსქელის ხეობა, ბორჩხა); **ფოტოჯირი** (მურღულის ხეობა), **ტბეთი** (სოფელი კორიდეთი, მურღულის ხეობა)...

მთების, ქედების, ზეგნების სახელები: **ტალახლო ქედი, ბოგოილი, ახალშენი, პირდაპირი** (ქედების სახელები სოფელ ბაგინში, ბორჩხა); **ფიქალის მთა, თენარა, პატინა მთა, დიდი მთა** (მთების სახელები დევსქელის ხეობაში, ბორჩხა); **ლექსა, უღელტეხილა, ტვერი, ბურდნალი, ტრეალი, საჭალიმეთი, თეთრუბი, კერწენი, კურტუმელა** (სოფელი ქართლა, ბორჩხა); **თხილაზორის თა** (სოფელი თხილაზორი, ბორჩხა); **ყორნალი, ნაჭვავი, გუბე** (სოფელი ავანა, ბორჩხა); **ბუდიეთი** (მურღულის ხეობა); **გულიყანა** (მურღულიდან ქობაქში გადასასვლელი მთის სახელი); **კარანჩხეთის მთა: კარანჩხეთის მთის** გვერდით არის **ნაბეღლავის მთა**, ნაბეღლავის მთის ქვემოთ არის კიდევ **ქვაბი** (სოფელი ქვაბჭირეთი, მურღულის ხეობა); **ფარკეი** (მურღულის ხეობა), **ქარშოვანი/ვაშროვანი, მოჭვენა, ნაკირავლები, თეთრობი, ნაჟვია თა** (resp.: მთა), **მაღლა ზეგანი, დაბლა ზეგანი** (სოფელი დურჩა, მურღულის ხეობა)...

საეარცხალა, კილდიძირი კლდეების სახელია (სოფელი ქართლა, ბორჩხა).

ყანების (ჭაღების, სათიბების, საძოვრების) სახელები: **მაღრიყანა, ზეგანი, ბოსელთი, ცქემნარა** (სოფელი ბაგინი, ბორჩხა); **ქარათი, ქურდიეთი** (ქლასქურის ხეობა, ბორჩხა); **გორგიწმინდა, წუმპო, ნასელვარი, მოღული, საწურათვევი, ჭენჭიკალო, ნატირიფევი, კილდიანი, ცხილვანი, ქოცანაქეთი, ჭიტა[^]ური, საცირავი, ცხადა[^]ური, ქველა, ნამუწვარი, თავეკალი, ბითაგეკალო, გზელყანა** (სოფელი ქართლა, ბორჩხა); **თოჯინეთი** (საძოვრის სახელია – სოფელი ქართლა, ბორჩხა); **ნამყნარა, ნაბოკვარი, ნალიკარი/ნარეკალი, ციღვაკე, აგარა, ჯეცეკალი, ველიწვერი** (სოფელი თხილაზორი, ბორჩხა); **სამხოსლო** (საძოვრის სახელია – სოფელი

თხილახორი, ქართლა); *ბელეშავრი, კალობალი, ვაღიყანა, მიღმაყანა, ჭალა, ჭელი* (სოფელი დამფალი, ბორჩხა); *კალოყანა, ფაჩვიეთი, ანიეთი, კარტნალი, საყავრიეთი, სხოლოფუნა, გულიყანა, კუზიეთი, წითელმიწა, ქარაფიზირი, წყალჩხური...* (სოფელი გურბენი, მურღულის ხეობა); *ნალიკარი, ნასახლევი, ზენეფეთი* (სოფელი ბაგა, მურღულის ხეობა); *ბუნდალი, წყაროთი, არტანი, ზედვაკე, ალაზნიკარი, ბარნოვალი, საკანაფე, საყავრიეთი, მესაბუღარა, ახარშენი, კატროვანი, წყალჩხური*, (სოფელი ბაგა, მურღულის ხეობა); *ეგრი-სო/ეგრისუ* საძოვრის სახელია (სოფელ ბაგა, სოფელი დურჩა, მურღულის ხეობა); *სატურეთი, არია* (სოფელი ქვაბჭირეთი, მურღულის ხეობა); *ქოქლითი* (საძოვრის სახელია – სოფელი ბაშქოი, მურღულის ხეობა); *გორიკევი, გორა, ახალმეიდანი, თიკალთა, კურტუმელა* (საძოვრების სახელები – სოფელი ისკები, მურღულის ხეობა); *ჩანამარეთი, ჯაჭიკეთი, თეგჭიეთი, აშამეთი, სოჭებიძირი, დამპალყანა, საძირე ყანა, მიღმა ყანა, ვაკეყანა, მიქელავი, ნაფეტვარი, დანანიყური/დანალიყური, ჯამყური, ოჯორჯიეთი, ყურმელაძირი, ჭანდრებიძირი, წისქვილიყანა, ბარცკუნა, გულიყანა, შოვალი, აბანო, კოდლიყანა, ბარდნალი, წუბლივაკე, წიფლიზირი, ახალმეიდანი, დიდჩაირი* (resp.: დიდი ჭალა) (სოფელი დურჩა, მურღულის ხეობა); *ბუღალეთი, ჭუბუნა* (სოფელი კორიდეთი, მურღულის ხეობა); *ზიარეთი* (საძოვრის სახელია – სოფელი ბუჯური, მურღულის ხეობა); *ჯანეელა, ვაშლიყანა, ბაბუშკარი, შავრუფი* (სოფელი ტრაპენი, მურღულის ხეობა)...

ძირითად ლექსიკური ფონდში შემავალი ერთეულები აღნიშნავენ ადამიანთა ცხოვრებისა და ურთიერთობის უაღრესად მნიშვნელოვან საგნებსა და მოვლენებს, მათ თვისებას, რომლობას, მოქმედებას, ურომლისოდაც შეუძლებელია ადამიანთა ურთიერთობა. ამ ფონდში შედის ენის ყველა ძირეული სიტყვა, როგორც მისი ბირთვი. ეს ფონდი ძალზე გამძლეა და ეთნიკური ჯგუფის მთელი ისტორიის მანძილზე ცოცხლობს. „ქართული ენის ისტორია გვეუბნება, რომ წყალი, მიწა, მთა, ტყე, თევზი, კაცი, ქალი, სიარული, კეთება, ჭამა, სმა, ვაჭრობა უხსოვარი დროის წინ შექმნილია როგორც ქართული ენის ლექსიკის უცვლელი

ბაზა და ცოცხლობს საუკუნეთა განმავლობაში. ეს სიტყვები აღბეჭდილია V-X სს. ქართულ ძეგლებში. მათი გაჩენის შემდეგ მრავალი საუკუნე გავიდა, ბევრმა წყაღმა ჩაიარა, ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდი ისტორიული ძვრები მოხდა, მაგრამ ეს სიტყვები, როგორც ენის ლექსიკის საფუძველი, დარჩა უცვლელი, დარჩა როგორც ენის ლექსიკის განვითარების ბაზა“.⁷

გამძლეა ქართული სიტყვის ძირითადი ფონდი საუკუნეთა განმავლობაში ისტორიულ სამშობლოს მოწყვეტილი ხალხის ცნობიერებაში, ყოველდღიურ ურთიერთობაში, რასაც ადასტურებს კიდევ შემდეგი ლექსიკური ერთეულები: *ბაბო, ნენე, დედა, მამა, დედამთილი, მამამთილი, და, ძმა, ცოლი, ქმარი, მაზლი, რძალი, ბაღიში, დობილი...* საცხოვრებელი და სხვა დანიშნულების ნაგებობათა აღმნიშვნელი სახელები: *სახლი-კარი, კარმიდამო, ჭერი, საბზელი, აჭორი, მარანი, ბეღელი...*

მცენარეთა სახელები: *კო (resp.: მუხა), ცაცხვი, წაბლი, თჭმელა, კაკალი, ლეღვი, დათვიჭალა, ლობიო, ხაპი/აყირო, სიმინდი, ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ტყია წყავი (resp.: ტყის წყავი), მაცვალები (resp.: მაყვალი), ატამი, წიპუნტური/სიპუნტური (resp.: ზღმარტლი), თჭილი...* ყურძნის ჯიშების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: *ჩხაველა* (სოფელი თხილაზორი, ბორჩხა); *ადესა ყურძენი, თეთრი ყურძენი, ჯინეში...* ვაშლის ჯიშების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: *ბათუმელა* (სოფელი ბაგინი, დევსქელის ხეობა, ბორჩხა), *ქვავაშლი* (სოფელი გურბენი, მურღულის ხეობა), წარმოების მიხედვით გაქართულებული: *დემირელა, შექერა* (დევსქელის ხეობა)... მსხლის ჯიშების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები თავისი მრავალფეროვნებით განსაკუთრებით გამორჩეულია: *ხეჭუჭური/ხეჭუჭურა* (ქლასქურის ხეობა, დევსქელის ხეობა, ბორჩხა), *სხალთაფლა, ბანწულაღ* (ქლასქურის ხეობა, ბორჩხა), *სხალთლო* (resp.: სხალთაფლა), *ქოთანა, სასელა, წოწოლა, ისტამბოლელა* (დევსქელის ხეობა, ბორჩხა); *გულაბი, ბანგარი* (სოფელი თხილაზორი, ბორჩხა); *პანტა სხალი, სხალოქრო,*

⁷ **აღ. ღლონტი.** ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები. თბილისი, 1983, გვ. 53.

სხალსაკმელად, პეტრულად კოხად (სოფელი გურბენი, მურღულის ხეობა), ჭანურად, ვენაჯისხალი (სოფელი ბაგა, მურღულის ხეობა); თეთრი ჭანურა, შავი ჭანურა, ურჯუმალა, ხეჭექურა, სხალოქრო, თეთრი ბანგად (სოფელი ისკები, მურღულის ხეობა)... ტყემლის ჯიშების აღმნიშვნელი ლექსემები: ძაღლის ტყემალი, ტყუბა, დოდოფალა, ჭიანჭურ... ქლიავის სახეობის აღმნიშვნელი სახელი: დოდოფალა ქლიავი... ბალახების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: მოლაზარღვა (მრავალძარღვა), ქათამნაცარა, ჭინჭარი/სუსხი, ღიონჯა, სამყურამოლი, კატარამოლი, იმჭერი, მოლოქვამოლი, ბერათოკვი, სურო, თუთუნამოლი, ბებერამოლი (სოფელი ისკები, მურღულის ხეობა)...

ცხოველების, ფრინველების, მწერების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: ცქნეები, თჯები გეყავდა, ძროჯები, ბულა, ვირი, ტურა, მელი, კურდღელი, ქათამი, კროჯი (resp.: კრუხი), ჭუჭული, სავარცხალა (resp.: ოფოფი), მერცხალი/მერცხალა ჩიტი, გულწითელა, შაშვი, ჩხიკვი, ჩჯართვი, სკვინჩა, ტრედი, ქედანნი, ყორანი, ძერა, ქორი, ბულბული, გუგუეში (resp.: გუგული), კოდალი, მამალი, რწყელი, ტილი, ბზიკი ორ პირ, სამ პირ ჩაგასობს, ფუტკარი ერთ პირ ჩაგასობს; ლეში... ლეკვი ძაღლის დასმულია (resp.: შვილია), ხბო ფურის დასმულია, ბურვაკი დათვის დასმულია, თაი ცხენის დასმულია.

ანატომიური ლექსიკა: შუბლი, ცხვირი, თვალი, თვალის კაკალი, წარბი, წამწამი, ყური, ყურის ბიბილა, გული, მუცელი, ჯიგერი, ჭაჭა (resp.: თირკმელი), წელი, თითი, ფჩხილი, დიდაყვი, გვერდები (resp.: ბარძაყი), ჭლიკები (resp.: წვივები), ქუსლი, კოჭები, კიბილი...

საკვები პროდუქტებისა და კერძების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: თაფლი, რძე, კვერცხი, ყველი, ხაჭო, მაწონი, ფხალი, ღერღილი, ლობიო, ჭადი, პილაპილა...

სამუშაო იარაღების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: საჯ ნეველი, საჯნისი, ცული, თოხი: კორდის თოხი, სამარგელის თოხი... საყოფაცხოვრებო ნივთების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: გიდელი, გოდორი, დერგი, გობი, ციცკვი, საჯ ვეწავი (კობზებ ვჯვეწდით ამით, გავაკეთებდით), მაშა (შიშასთვის, გამორ-

ენისთვის, *კელ ვერ გამოურევ და მაშას ვიხმართ*), *ქვეშავი/ლოგინი*, *ბალიში*, *ბალიშის წამოსაცმელი*...

ბუნების მოვლენების, ციური სხეულების აღმნიშვნელი და მათთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები: *ქარი*, *წვიმა*, *თოვლი*, *ქუხვილი*, *თვარე*, *ღურბელი* (resp.: ღრუბელი)...

ტრადიციის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები: **ახალი წელი**: *ახალ წელს კარიკარ დადიოდენ და თხილ მოავროვებდენ*. *ახალ წელ კვერცხებ ვლებავდით ჯმელი ფურცლებისგან; ნადი*: *პური ჭრაში ნადი იქნებოდა, გოგო-ბიჭები მეიერებოდენ*; ცეკვითამაშის აღმნიშვნელი: **ფერჯული**: *ენ წინ ლამაზა ფერჯულობდა*; დაავადებათა სახელები: **კოწიწა/კვაწიწა** (resp.: ყივანახველა) – *კაკლის ფესვში გააძვრენდენ*.

მორფოლოგიური პროცესებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

მიცემითი ბრუნვის –ს ფორმანტის დაკარგვას აქ რეგულარული ხასიათი აქვს: *ჩემი შეილეფი უკერევი*; *კვარძ დავაპობდი*; თუმცა ერთსა და იმავე წინადადებაში მიცემითი ბრუნვის –ს ფორმანტიანი და ბრუნვის ნიშანდაკარგული ფორმები შეიძლება გვერდიგვერდ შეგვხვდეს: *დათესთვისთვის გამოულებო კიტრებსა თესლები*.

მეტყველებაში შემორჩენილია –ა სავრცობი: დავძახევი ძაფსა.

-ში თანდებული დაცულია ძველი **შიგან** ფორმით: სახლის შიგან პურსა, ფრინჯსა მოვაბზავებდით.

თითობის და- ზმნისწინი: წინდებსა ბევრ დავქსოვი.

ლოკალურობის, სადაობის აღმნიშვნელი სახელი –ში თანდებულიანი სახელის ნაცვლად წარმოდგენილია ფუძის სახით: **მაჭახელ** (resp.: მაჭახელში) *აკეთებენ გობებს; ჩემი ბიჭი გოლჩუკ* (resp.: გოლჩუკში) საქმობს.

ქართული ზმნის უძველესი ძირები აქაც შეუცვლელია, მაგრამ 1. ზმნათა ორგანულ ფორმებს თურქული ენის გავლენით ენაცვლება აღწერითი ფორმები: *გოგო ნიშანში მყავს* (resp.: დანიშნულია); 2. გარდაუვალ ზმნათა ერგატიულ კონსტრუქცია ჩვეულებრივი მოვლენაა აქ მკვიდრთა მეტყველებაში: *ერთი კვი-*

რემა გეიარა; ამანაც მივიდოდა; 3. II და III სუბიექტური პირების მრავლობითობა ზმნის ფორმაში გამოხატულია –ნ/ენ სუფიქსით: რისი დაწერა გინდანა? ავადობა არ ქონდენ; 4. დასტურდება ხოლმეობითის ფორმები შესაბამისი მაწარმოებლით: ზდია, ზდია და მოკლიან (resp.: ზრდის, ზრდის და ბოლოს მოკლავენ); ამათმა უყურიან (resp.: უყურებენ), ვინმე არ მოჭრასო; 5. ინტერესს იწვევს ზმნის II სერიის წყვეტილის ფორმაში დადასტურებული –ევ სუფიქსი, რომელიც აქ ერთგვარად წყვეტილის მაწარმოებლად გვევლინება: გუუგდევით (resp.: მიუგდეთ, მიეცით), ითამაშე- ვით (resp.: ითამაშეთ), ჭამევეით (resp.: ჭამეთ), მევეყვანევეით (resp.: მოვიყვანეთ) წყლები; 6. III სერიის I თურმეობითის მწკრივში უქნიათ ფორმის ნაცვლად გურჯებს წარმოების მიხედვით საინტერესო იქმილან ფორმა შეუქმნიათ: ასე იქმილან; 7. შე- ზმნის- წინს ენაცვლება მო- ზმნისწინი: ვიარებოდი ღამეში, მომეშინა (resp.: შემეშინდა); 8. საინტერესოა თემის ნიშანთა შენაცვლება: –ებ თემის ნიშანს ენაცვლება –ობ თემის ნიშანი: ტვეილობს (resp.: იტყუება)... ენაცვლება –ავ თემის ნიშანი: ჩვენ მოვინდო- მავთ; თემის ნიშნის შენაცვლებით მიღებულია შემდეგი ღე- ქსიკური ერთეულები: გეიქუნხავს (resp.: იქუნხებს), რომელიც საწყისად ქუხვილს გვიჩვენებს; გეიელვავს (resp.: გეიელვებს)... –ავ თემის ნიშანს ენაცვლება –ევ თემის ნიშანი: ჩემ შვილევ უკერევი; დაეძახევი ძაფსა... –ამ თემის ნიშანი იცვლება –ემ თემის ნიშნით: ძვალეებს არ ვიხმარავთ (resp.: ვხმარობთ); –ი თემის ნიშანს –ავ სუფიქსი ენაცვლება: ავიროს გაჭრავ... ჩხუ- ბობს ზმნის საწყისი ჩხუბვა ფორმითაა წარმოდგენილი: თქვენ- ი ჩხუბვაც იმან გამოიღო; 9. მიმღეობის წარმოება დღემდე სალიტერატურო ქართულისა და დიალექტებისათვის დამახა- სიათებელი ყალიბის მიხედვით ხდება: საძულველი ქალი; 10. ხშირია სხვათა სიტყვის –ო ნაწილაკის გამოყენება: ფაშა ჩემი გულისა ამ დუნიაში შენ ხარო; 11. კითხვით წინადადე- ბაში კითხვითობის ფუნქციას ასრულებს, კითხვას გამოხატავს კითხვითი –ა ნაწილაკი: რა დაწერვა გინდანა?

უარყოფით ნაცვალსახელს არავინ გურჯების მეტყველე-

ბაში ენაცვლება განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ვინმე: ვინმე არ მისმენენ (resp.: არავენ მისმენს), ხოლო ნაცვალსახელს არაფერი ცვლის რამე: რამე უჭმელი მიჭვალთ? (resp.: არაფერი ვიჭამიათ, ისე მიდიხართ?).

შემდეგ ზმნიზედის მნიშვნელობით იყენებენ მას უკან: მას უკან ვწიკვედით შეშას.

ბორჩხისა და მურღულის სოფლები, ქლასქურის, ხება-მარადიდის, დევსქელის, ჩხალას ხეობებში, სხვა ტერიტორიული ერთეულებისგან განსხვავებით, იყენებენ თუ კავშირს, ოღონდ წინადადების ბოლოს, რომელსაც კითხვითი სიტყვის ფუნქცია აქვს მინიჭებული: ერთი ვ უკითხო (resp.: ვკითხო), მიდიან თუ?

ამ არეალშიც, ისევე როგორც თურქეთის საქართველოს ბევრ ადგილას, ჩვეულებრივია ზმნისა და მოდალური ნაწილაკის ან სახელისა და მოდალური ნაწილაკის შერწყმის შედეგად მიღებული ფორმები: სამზე ავდგენა (resp.: უნდა ავდგე), ც ვარ დაკვლანა (resp.: უნდა დაკვლა); ახლა ემეკლინა გახდეს (resp.: პენსიონერ უნდა გახდეს), სახლინა გააკეთოს (resp.: სახლი უნდა გააკეთოს).

ლექსიკის თვალსაზრისით ბევრი ერთეული იპყრობს ყურადღებას. ყოველგვარი ნორმისა და სტანდარტისგან თავისუფალი ენა შეუზღუდავია სიტყვაწარმოების თვალსაზრისით ან კიდევ ბევრი ლექსიკური ერთეულის სემანტიკურად სახეცვლილია:

რთული სიტყვების საინტერესო წარმოებაა **პურ-ხორბალი** და **პურ-მარცვალი**; **კარისღობი** ზღურბლის აღმნიშვნელია; **ცუდებრალოდ** (resp.: ტყუილუბრალოდ): **ცუდებრალოდ ღარჭები კტებიან**.

ტირილი აყვავებას ნიშნავს: **ტიროდენ ბალი და სხალი** (resp.: ყვავდა ბალი და მსხალი; შდრ.: ვაზის ტირილი).

-ობა სუფიქსით არის ნაწარმოები **ღარჭობა**, რომელიც ბავშვობის აღმნიშვნელია: **ღარჭობაში წვედოდი კორიდეთ, ჩემ ნენეს სოფელში**; **ბოსტნობა**: **ბოსტნობა მაქვა**.

საქლდავი ყავრის სახურავია, **გოგორაძს** კი ნაღიის დაფერდებულ ადგილს უწოდებდნენ, თავი რომ არ ასულიყო.

სიმინდს რომ ვთესავთ, ღლობოს რომ ვთესავთ, **ვენაცს** ვეტყვი, შორს რომ სთესია, იმას **ყანას** ვეძახით. ეს მაგალითი სხვა მხრივაც არის საინტერესო, რადგან რომ კავშირის გამოყენების შემთხვევას გვიჩვენებს, რასაც სხვაგან ვეღარ ვადასტურებთ. სადაც თხილი და თუთუნი აქვთ დათესილი, იმ ადგილსაც **ვენახს** უწოდებენ: **თხილის ვენახი** მაქვს. ასევე **მარანი** თივის, ჩალის შესანახი ადგილი იყო, ხოლო **ბეღელი** კი საჭმლისა: **სახლი თუ დეიწვოდა, ბეღელი არ დეიწვოდა, ცალკე იყო.**

გული ფქვილი დაფქული სიმინდის გაცრილი, წმინდა ფქვილია: **ღერდიღ გამოცერიდი, ღერდილი ცოტა სხვილია, გული ფქვილი კაჟ ფქვილია;** **კორკოტანი** სიმინდის ტაროა; **დედაბერი კიტრი** სათესლე კიტრია; **მიწყნარება მოსავლის დაბინავებაა: ჩვენ ღლობო, სიმინდი უკვე მივაწყნარეთ.**

ერცხაჯერ ნიშნავს მომავალში: **ერცხაჯერ ისინი დაახუმოს უნა** (resp.: ოდესმე, მომავალში ისინი უნდა გაახუმოს).

ორსულ ქალს **მუცლიანს** უწოდებენ, ხოლო ბებიაქალს, რომელიც მშობიარეს ეხმარებოდა, **ბებურას** უწოდებდნენ; **მალიანი** ძლიერს ნიშნავს; **გატლიკული** უწვეურულვაშო ადამიანია: **გატლიკული ვიყავი; ხარების ჭედვა** ხარების შებრძოლებაა.

ქონა-ყოლას –იან სუფიქსი აწარმოებს: **თვალიანი** ბეჭედი.

ფრაზეოლოგიზმები: **თვალეები დემიღამდა** (resp.: თვალეები დამიბნეულა), **კვამლი ადგა, ტყე გახშირდა** (resp.: გაუდაბურდა, გაუკაცრიელდა); **სული მევისვენე** (resp.: სული მოვითქვი); **ქვას ქვავს** (resp.: აღარაფერი აქვს).

დალოცვის ფორმულები: **ღმერთმა გიჩუქოს!** (resp.: ღმერთმა გაგიზარდოს! ღმერთმა გიცოცხლოს!); **ღმერთმა კარგობით განყოფლონ!** **ღმერთმა ერთგულა გაგახარონ, ერთგულა განყოფლონ!** (resp.: ღმერთმა ერთად გაგახაროთ, ღმერთმა ერთად გამყოფოთ!); **თელი ერთგულა მოქცევს!** (resp.: ყველაფერი ერთად მოგცევს); წყევლის ფორმულები: **ღმერთმა გამოგიწყვიდოს!** **ღმერთმა დუშმვას თავში!** (resp.: ღმერთმა დიდი დარდი გაუჩინოს!).

მიმართვის ფორმებია - **გო** (ქალის) და **ჭო** (კაცის).

ეთნიკური ქართველები ცდილობენ მათ მეტყველებაში შემოტრილი თურქული ლექსიკური ერთეულები გააქართულონ

მშობლიური ენის მოდელების ამუშავებით და, შესაბამისად, სა-
თანადო აფიქსების დართვით: *გაყირმიზებულა – გაწითლებულა*.

დღემდე შემოუნახავთ ერთსტროფიანი ლექსები, რომელსაც
მოყრილობაში (ერთად შეკრების უამს) ამბობდნენ: *რწეილი ჭარ
ამუშავებ,/ ტილი მიდევდა კვალშიო,/ ამ მოყრილობაშიო / საყვა-
რელია თელშიო; მუსლიმნობა ინხუტესა,/ არც ლოცვა არი, არც
ღუა,/ ვირ მუცელი ეტკინა,/ არც იცოჭნა, არც ძოვა*.

ეთნიკური ენის მდგომარეობა, მისი შენარჩუნება, ისტორი-
ულ სამშობლოს მოწყვეტილი ხალხის შემთხვევაში, ბევრ სხვა
ფაქტორთან ერთად დიდწილად არის დამოკიდებული თვით ამ
ხალხზე, ეთნიკურ ჯგუფზე. ვფიქრობთ, *გურჯიჯა/ქართულას*
შენარჩუნებაშიც გადამწყვეტი თურქეთის ეთნიკურ ქართველთა
დამოკიდებულება იქნება, რომელთაც არასდროს ავიწყდებათ,
რომ *ერთი ვართ, თქვენ იქ დარჩენილხართ, ჩვენ აქ; შენი გურ-
ჯიჯა არ უნდა გამოწვინდო* (resp.: მოშალო).

ეკა დულაშვილი – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის პროფესორი,
ფილოლოგიის დოქტორი

გიორგი მთაწმიდელის მთარგმნელობითი მეთოდი ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის თარგმანების მაგალითზე

ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ქართულად თარგმნას ხანგრძლივი ისტორია აქვს. თარგმანების უძველესი ნიმუშები გვხვდება ჯერ კიდევ VII ს-ით დათარიღებულ იერუსალიმურ ლექციონარში (რომელიც V ს-ის იერუსალიმურ საეკლესიო პრაქტიკას ასახავს), შემდგომ უძველეს იადგარში.¹ X ს-ის დიდ იადგარში და ბოლოს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის თარგმანის ერთგვარი შემაჯამებელი ეტაპის ამსახველ გიორგი მთაწმიდელის მიერ შედგენილ ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკულ კრებულებში: თვენში, პარაკლიტონში, მარხვანსა და ზატიკში.

ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის თარგმანის ათონური ანუ გიორგი მთაწმიდელისეული ეტაპისთვის ბერძნული დედნისადმი დამოკიდებულება იცვლება (ამის შესახებ მრავალ მკვლევარს აქვს აზრი გამოთქმული)¹ მის მიერ შეგენილ ჰიმნოგრაფიულ კრებულებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ გიორგი მთაწმიდელი რიგ შემთხვევებში კრიტიკულად უდგებოდა მის წინანდელ თარგმანებს (მაგ. წმინდა წერილისა და ეგზეგეტიური ლიტერატურის თარგმანებს). კერძოდ, თითქმის ყველა არსებულ თარგმანს ადარებდა ბერძნულ დედნებს და ასე შექონდა თვენში, პარაკლიტონსა თუ ზატიკში და თავადაც თარგმნიდა ხელახლა.

¹ К. Кекелидзе. Иерусалимский Канонарь. 1917, Тифлис 3-11; უძველესი იადგარი. გამოსაცემად მოამზადეს ელ. მეტრეველმა. ც. ჭანკიევა და ლ. ხეესურიანმა. 1980, 223-240.

გიორგი მთაწმიდელის, როგორც ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის მთარგმნელის, წარმოსახენად შევადარეთ საბაწმინდური ჰიმნოგრაფიის ყველაზე გამორჩეული ჰიმნოგრაფების იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის რამდენიმე ჰიმნოგრაფიული კანონის (სათვეო ნაწილიდან) იადგარისეული და თავად გიორგის შედგენილ თვენში არსებული თარგმანები. რამაც გამოკვეთა სამი შემთხვევა: 1) გიორგი მთაწმიდელი იწონებს იადგარის თარგმანს და უცვლელედ გადააქვს თვენში; 2) თარგმანს ასწორებს რამდენიმე ადგილას; 3) ძველ თარგმანებს ხელახლა თარგმნის და რაც არ იყო თარგმნილი, ისიც გადმოაქვს ქართულად.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: გიორგი მთაწმიდელი მცირედ ასწორებს იადგარის თარგმანს:

ღვთისმშობლის მიძინების კანონი

Ὁς ἐπὶ νεφέλης, Παρθένε, τῶν ἀποστόλων
ὁ δῆμος ὀχουμένος πρὸς τὴν Σοῶν ἐκ περάτων,
λειουρηῆσαι σοὶ τῆν κουφῆν
ἦθροίϛετο, ἄψ' ἦς ὁ ἄψιστος Θεὸς τοῖς ἐν σκότει
καὶ σκιᾷ δικαιοσύνης **ἤλαμψε** ἡλίου.
ვითარცა გუნდი მოციქულთა
ღრუბელთა ზედა მსხდომარე, უბიწოო,
ცისკილით მოწვევული დღეს
შემურვად შენდა,
სულმცირისა მის
ღრუბლისა, ქალწულო, ნათლად **გამოუბრწყინდა**
მსდომარეთა ბნელსა
და აჩრდილთა, მზე იგი სიმართლისაჲ **(იადგარი)**.

შემურვად შენდა შემოკრბა დღეს
ღრუბელთა ზედა მსხდომარე გუნდი მოციქულთაი

სიონს შინა, ქალწულო,
ცისკიდეთაგან ღრუბლისა მის სულმცირისა,
რომელმან – ეგე გამოგვიბრწყინვე ჩვენ,
მხდომარეთა ბნელსა
და აჩრდილთა, მხედ იგი სიმართლისაჲ (გიორგი მთაწმიდე-
ლი თვენი).

გარკვეულ სხვაობებს გვინვენებს კოზმა იერუსალიმელის
ღვთისმშობლის მიძინების, დავით და იაკობის, გრიგოლ ღვთისმ-
ეტყველის, მინა მოწამის და იოანე დამასკელის ღვთისმშობლის
შობის, ქრისტესშობის კანონთა იადგარისეული და გიორგი მთაწ-
მიდელისეული თარგმანები:

Θεία საკვირველითა (იადგარი) საღმრთოთა (გიორგი მთაწ-
მიდელი)

Θεοπνεύτω ღმრთისა (იადგარი) მღმრთიესულიერითა (გიორ-
გი მთაწმიდელი)

Θεοδόχου ღმრთივშემწყნარებელსა (იადგარი) ღმრთისა სად-
გურსა (გიორგი მთაწმიდელი)

Θεολόγε მღვდელთმოძღუარო (იადგარი) ღმრთისმეტყველო
(გიორგი მთაწმიდელი)

Ἄθλόφορε მოწამეო (იადგარი) მოღუაწეო (გიორგი მთაწმიდე-
ლი)

σκεύος εκλογής ჭურ პატიოსან (იადგარი) ჭურ რჩეულ (გიორ-
გი მთაწმიდელი)

ἔθεισργησας განამდიდრენ (იადგარი) განაღმრთვენი (გიორგი
მთაწმიდელი)

φωτοφαιείς ἔτυχον გამოუჩნდა (იადგარი) გამოუბრწყინდა
(გიორგი მთაწმიდელი)

φύλαττε დაიტყვე (იადგარი) დაიცვე (გიორგი მთაწმიდელი)

πρωτοεπίσκοπος მღვდელთმოძღუარი (იადგარი) მღვდელთმო-
ვარი (გიორგი მთაწმიდელი)

არის შემთხვევები, როცა იადგარში დედნისეულ სტროფთა
მიმდევრობა შეცვლილია (მაგ. კოზმა იერუსალიმელის ქრისტეს-

შობის კანონი VII ოდა), იოანე დამასკელის ნათლისღების კანონი VI ოდა). გიორგი მთაწმიდელი დედნის ვარიანტს იცავს.

იადგარში დავით და იაკობისადმი მიძღვნილი კანონის ავტორად დასახელებულია იოანე დამასკელი და კოზმა იერუსალიმელი. ცალკეული ოდების ფარგლებში სტროფებთან მონაცვლეობს კოზმას და იოანეს სახელები. გამოდის, რომ ერთი კანონის ფარგლებში გაერთიანებულია ორი ავტორის მიერ შექმნილი საგალობელი. ძლისპირთა აკოლუთია კოზმას კუთვნილებაა. ბერძნულ თვეებში ეს კანონი კომპილაციური სახით არ გვხვდება. გიორგი მთაწმიდელი იმეორებს იადგარის ვარიანტს ზუსტად. არც თარგმანს ცვლის. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ დავით და იაკობის კომპილაციური კანონი მომდინარეობს ბერძნული დედნიდან, რომელიც დღეისთვის შემორჩენილ ბერძნულ ხელნაწერთა შორის აღარ ჩანს.²

გიორგი მთაწმიდელი უკვე თარგმნილ საგალობელს ხელახლა თარგმნის.

კოზმა იერუსალიმელის წმ. გიორგის კანონი

Ι λ α ρ ω ζ μετέδωκας 7

τοῖς πεινομένοις τόν πλοῦτον 8

καί πιαυθείς ἐλαίῳ 7

ἀγάτης σῶμα καί ψυχῆν ἀθλητικῶς, Γεώργιε,, τόν τυράννον 20

ἄμφω κατεπάλαισας (III ოდა1) 7

49 მარცვალი

განუყავ **ს ი ხ ა რ უ ლ ი თ 7**

სიმდიდრე შენი გლახაკთა 8

და დასთრგუნე მრჩობლითა სათნოებითა 12

მძლავრებაჲ ბოროტისაჲ მის, დიდებულო გიორგი, 15

და ხმა – ჰყავ სიხარულითა: წმიდა ხარ, უფალო (იადგარი sin1, sin64, წვირმი) 13

55 მარცვალი

² ლ. ჯღამაია. გიორგი მთაწმინდელის თვენი. თბილისი, 2009, გვ. 3-5.

განუყავი სიმდიდრე შენი სიხარულითა გლახაკთა,
რაჟამს განაპოხენ სულნი და ჳორცნი შენნი ჴეთითა
მოწყალებისათა, წმიდაო გიორგი,
და დასთრგუნე მრჩობლითა მით სათნოებითა
მძლავრი იგი ბოროტი
და ძლიერსა მას უგალობდ და იტყოდე:
წმიდა ხარ შენ, უფალო (იელი)
83 მარცვალი

განუყავ გლახაკთა სიმდიდრე ფ ა რ უ ლ ა დ
და იცხე ჴეთითა სიყუარულითა ჳორციითა და სულთა
ერთბამად მოღუაწებისათა და მძლავრსა სძლე, გიორგი
46 მარცვალი
(თვენი)

Στηριχθεὶς τῆ χάριτι
καὶ πυρπολούμενος ζῆλω
μη ἔρωτώσιν ἄφθης
ἐνρέθης τοῖς μη ζητοῦσι
ὑπερ Χριστοῦ, Γεωργίε, χολούμενος
πλάνη δεισιδαίμοι (III 2)³

განძლიერდი მადლითა, რაჟამს სადმრთოთა შურითა
შეიჭურე, ღუაწლითა მძლეო გიორგი, და განრისხენ
შენ ქრისტესთვის
და საცთური მძლავრთა განაქარვე და იტყოდე:
წმიდა ხარ შენ, უფალო
(იადგარი sin1, sin 64, წვირმი)
57 მარცვალი

რაჟამს განძლიერდი
მადლითა და შეიჭურე შურითა, გამოუწნდი მათ, რომელნი

³ I. Folieri. Initia Hymnorum Ecclesiae Graecae. Vil. V. Biblioteca Vaticana, 1966.
. J. Louth. St. John Damascene, Oxford. University Press. 2001. pp. 21-30.

არა გიკითხვიდეს
და ეპოე მათ, რომელნი არა გეძებდეს და განწირისხენ
ქრისტესთვის, წმიდაო გიორგი, და საცთური უშჯულოთაჲ
განაქარვე ძალითა უფლისაჲთა (იელი)
76 მარცვალი

მადლითა განამტკიცე და შურისა ცეცხლთა
მოტყინარე გამოუნდი და მკითხუელთა და
ეპოე არა მეძიებელთა, ქრისტესთვის, გიორგი,
განრისხებული საცთურსა ზედა კერპთასა 15
53 მარცვალი
(თვენი)

Ἦχησαν την ἀκοήν 7
τῶν λόγων σου τύραννοι, 7
σὺ γὰρ θεοὺς κερτομῶς γελιοῦς 10
ἐδείκνυς Χριστὸν τον Θεόν 8
σαρκί σταυρωθέντα, 6
ἀπάτην ψυχόληθρον(I' 3) 7 45

ოხრიდეს სასმენელთა
შინა მათთა ძლიერნი სიტყუათაგან შენთა, გიორგი,
ბასრობდი რაჲ ღმერთთა საცინელთა
და განაცხადე ქრისტე და
დაჰხსენ საცთური სულთა წარწყმელისა
(იადგარი sin1, sin64, წვირმი)
51 მარცვალი

ოხრიდეს სასმენელთა
შინა მათთა ძლიერნი სიტუითა შენთა, ახოვანო
გიორგი, რაუამს
ღმერთთა მათ საცინელთა
გამოუცხადე ქრისტე,
ღმერთი ჯუარცმული,

დაჰსსენ საცთური სულთა წაწყმედისაჲ ძალითა
ჯუარისაჲთა (იელი).

ესმათ რა სმენაჲ სიტყუათა შენთა მძლავრთა, 11
სირცხვილეულ იქმნეს, 6
რამეთუ შენ ღმერთნი მათნი გინებულ ჰყვენ 12
და საცინელად გამოაჩინენ და ქრისტე ღმერთი ჰქადაგე 18
ხორცითა ჯუარცმული, 7 უქმყოფელი საცთურისა
სულთა წარმწყედელისა. 15
(თვენი).

ამ შემთხვევაში ცხადია, რომ გიორგი მთაწმიდელის თარგ-
მანი ტექსტობრივად უფრო ზუსტად მისდევს ბერძნულს, ხოლო
ფორმით საკმაოდ დაშორებულია დედნისგან.

ყურდლებას შევაჩერებთ ერთ ფაქტზე. ღვთისმშობლის
შობისადმი მიძღვნილი კანონის თარგმანი გვხვდება იადგარ-
ში. გიორგი მთაწმიდელის თვენი ამ საგალობლის ავტორად
გერმანე კონსტანტინეპოლელს ასახელებს. იოანე დამასკელის
კანონების გამოცემებში კი ღვთისმშობლის შობის აღნიშნუ-
ლი კანონი, ნამდვილად მისი კუთვნილებაა. ძნელი ასახსნელია
თვენში არსებული ფაქტი. ჩვენი ვარაუდით, გიორგი მთაწმიდელს
შეცდომა აქვს დაშვებული. სავარაუდოა, რომ ეს შეცდომა ბერ-
ძნული ხელნაწერიდან მომდინარეობს. ევტრატიადესისა და
ლუთის მიერ გამოცემული იოანე დამასკელის საგალობლების
ტექსტები ძირითადად ათონური ხელნაწერების მიხედვით არის
გამოცემული (XI-XVI). ამიტომ ძნელად ასახსნელია, რომელი
ხელნაწერიდან მომდინარეობს ეს შეცდომა.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართული ხელნაწერების
კოლექციის ხელნაწ. JER.124 –ში (გიორგი მთაწმიდელისეული
რედაქციის თვენია). ამ ნუსხაში უცვლელად არის გადასული
იადგარისეული თარგმანი:

Χαίρε σεμνή

Μήτηρ και δούλη Χριστού του Θεού ή της ἀρχαίας πρόξενος

μακαρίτης των ἀνθρώπων τῷ γένει(I 2)

იხარებდ, უბიწოო,
დედაო ქრისტეს ღმრთისაო,
რომელ მიზეზ ექმენ ნათესავსა კაცთასა
მოდებად პირველსა ნეტარებასა
შობითა შენითა დღეს, რომელსა პატივ-სცემთ (იაღვარი).

იხარებდ, უბიწოო,
დედაო ქრისტეს ღმრთისაო,
ლომელ მიზეზ ექმენ ნათესავსა კაცთასა
მოდებად პირველსა ნეტარებასა
შობითა შენითა დღეს, რომელსა პატივ-სცემთ (თვენი).

**Ἀπείρογαμὲ Δεσποίνα, ταῖς σάϊς λιταῖς
λυτρομένοι πταισμάτων, εὐχυσάμους π ἄ ν τ ε ζ
σε μακίζομεν (I' 3)**

შენ, უქორწინებელო მარიამ,
მეოხებითა შენითა განმარინენ ჩუენ
ცოდვათა ჩუენთაგან,
რ ა ე თ ა გადიდებდეთ შენ (იაღვარი).

შენ, უქორწინებელო მარიამ,
მეოხებითა შენითა განმარინენ ჩუენ
ცოდვათა ჩუენთაგან,
რომელნი გადიდებთ (თვენი).

საყურადღებოა გიორგი მთაწმიდელის ერთი შენიშვნა, რომელიც Ath. 65-ში (თვენი) გვხვდება „ნუთუ ვინ-მე ჰბერძნობდეთ რადმე და ზოგთა გალობათა ხმასა ეზებდეთ, რაცა თუ ბერძულად არა მას ხმასა ჰყვნენ, ნუ ექებ. მე ზოგნი გალობანი, რომელიც კმად მინდა მისით მითარგმნია, მაგრა სიტყუა თუ ოდენ ჯერ იყო და მოჰვიდოდა, სიტყუანი იგივე არიან, ვითა ბერძულსა იყვნეს“.

აქ გიორგი პირდაპირ მიუთითებს საგალობელთა თარგმანის მისეულ მეთოდზე. თუ ვინმე ბერძნულის მიხედვით საგალობლებში „ხმას ეძიებდეთ“, ნუ ექებთ, მე ზოგიერთი გალობა, რომ-

ელი ხმაც მინდოდა, იმაზე ვთარგმნე, ხოლო თუ სიტყვები საკმარისი იყო და საზომითაც (იგულისხმება მარცვალთარაოდენობა ტროპარებში) (= მოჰვიდოდა) ქართულს, ბერძნულის მიხედვით ზუსტად გადმოვიდე სიტყვებით.

გიორგი მთაწმიდელის თვენში გეხედება იოანე დამასკელის და კოზმა იერუსალიმელის ის საგალობლები, რომლებიც იადგარში არ ჩანს, ანუ ჯერ არა არის ნათარგმნი,

ამ ჰიმნოგრაფიულ კანონთა თარგმანები თვით გიორგი მთაწმიდელს ეკუთვნის. ეს საგალობლებია:

იოანე დამასკელის: იოანე ნათლისმცემლის მუცლადღების, ბასილი დიდის, ეპიფანე კვიპრელის, იოანე ნათლისმცემლის შობის.

კოზმა იერუსალიმელის: ჯვრის ამადღების, კოზმა და დამიანესი, ანდრია მოციქულის, იაკობ დაჭრილის.

ჩვენი დაკვირვებების შესაჯამებლად ვიტყვით, რომ ზემოთ მოყვანილი ქართული თარგმანების მაგალითები გარკვეულწილად ცხადად წარმოაჩენს ათონის მწიგნობრული სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლის, გიორგი მთაწმიდელის მიერ ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის თარგმანის მეთოდის თავისებურებას ორი სახელგანთქმული ჰიმნოგრაფის იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის საგალობელთა თარგმანების მიხედვით.

გიორგი ალიბეგაშვილი – საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული
უნივერსიტეტის პროფესორი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი

ბერი – მონაზონი – ენკრატისი

ყოველ გონიერ ქმნილებაში,
გინდ მამაკაცი იყოს ის და გინდ ქალი,
არის ძალა სიყვარულისა,
რომლითაც ადამიანებს უნარი აქვთ,
მიემთხვიონ სიყვარულს ღვთისასაც
და კაცისასაც.
წმიდა ანტონი დიდი

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოში სხვადასხვა დროს შემოვიდა და გავრცელდა ბერ-მონაზვნური მოწესების სამი ფორმა: ანტიოქიური, პალესტინური და ბიზანტიური. მათ ტიპიკონთაგან მიღებულ და გადამუშავებულ წეს-განგებათა შედეგად ჩამოყალიბდა ქართული ქრისტიანული კულტურისათვის დამახასიათებელი ბერმონაზვნობის ფორმა, რომელიც არა მხოლოდ ხელოვნებაში (ხუროთმოძღვრება, ქვის რელიეფები, კედლის მხატვრობა, ხატწერა, ჭედურობა, ტიხრული მინანქარი, ხელნაწერთა დასურათება, ნაქარგობა), არამედ ლექსიკაშიც აისახა, რაც იმის დადასტურებაა, რომ ქართული კულტურის ხორცშესხმა ენაში ბიზანტიურ სამყაროსთან ყოველთვის ძალიან მტკიცე, რეალური და კონკრეტული ძაფებით იყო დაკავშირებული.

სტატიის სათაურად გამოვიტანეთ ასკეტიკის სამი ძირითადი ტერმინი: **ბერი – მონაზონი – ენკრატისი**. ზოგადად უნდა ითქვას, რომ მრავალი ტერმინის მნიშვნელობა სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული იყო, ზოგიერთს არ იღებდა ლექსიკა, ზოგი მათ-

განი ნაწილობრივ იცვლიდა დედნისეულ აზრობრივ დატვირთვას, ან სულაც სხვა შინაარსის მატარებელი ხდებოდა. ვნახოთ, ამ კუთხით რა ვითარებაა დასახელებული სამი ტერმინის, განსაკუთრებით კი **ენკრატისის** შემთხვევაში.

იოანე მოსხის „ლიმონარიდან“ მოყვანილ ციტატაში - „ძლით დავარწმუნეთ მათ, რაფთა... შეიმოსონ სქემად **ენკრატისთა**“ - სიტყვა **ენკრატისს** იღია აბულაძე **მონაზონ ქალად** განმარტავს;¹ ზურაბ სარჯველაძეს „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ **ენკრატისობის** ახსნა „მცირე სჯულისკანონის“ მიხედვით აქვს წარმოდგენილი: „მონაზვნობა. დედანი, რომელთა **ენკრატისობის** წესი მიიღონ და მონასტერსა შინა დაეწესნენ, ყოვლადვე ნუმცა გამოვლენ მონასტრისაგან“².

რაც შეეხება ისტორიოგრაფიულ თხზულებებს: ჯუანშერის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“ მეფე ვახტანგის ისტორიიდან ასეთი ეპიზოდია გადმოცემული - ბიზანტიის წინააღმდეგ ერთ-ერთი ლაშქრობის შემდეგ გორგასალმა ტყვეები იგდო ხელთ, მათ შორის, სასულიერო პირებიც; მან „განავლინა ქადაგი, რათა ყოველნი მოწესენი გამოვიდენ სამალავთაგან მათთა, და ტყუენი განუტევენენ, და სადაც ენებოს, წავიდენ. და გამოვიდა სიმრავლე მღვდელთა და დიაკონთა, **მოწესეთა მონაზონთა და ენკრატისთა**, ქუაბებით“.³ ამ ციტატაში აშკარაა, რომ მოწესე მონაზვნებში მამაკაცი, ხოლო **ენკრატისებში** ქალი მოსაგრეები იგულისხმებიან.

ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს სამეფოს აღწერაში“ ალექსანდრე II კახთ-ბატონის (1574-1605 წ.წ.) დის შესახებ წერია: „იყო დაÁ aleqsandresi, romelsac aRerCia **ენკრატისობა** და სცხორებდა ალავერდსა“.⁴ აქაც **ენკრატისობა** განმარტებულია **მონაზონ ქალობად**, ხოლო **ენკრატისი** - **მონაზონ ქალად**.

¹ იოანე მოსხი. ლიმონარი. გამოსცა ი. აბულაძემ. თბილისი, 1960, გვ. 117.

² მცირე სჯულისკანონი. გამოსცა ე. გიუნაშვილმა. თბილისი, 1972, გვ. 53.

³ ქართლის ცხოვრება. ტ. I. გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1955, გვ. 163.

⁴ ქართლის ცხოვრება. ტ. IV. გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1973, გვ. 580.

Enkratis-ის მნიშვნელობები ე. სოფოკლესის „რომაული და ბიზანტიური პერიოდების ბერძნულ ლექსიკონში“ ასეა წარმოდგენილი: **თავდაჭერილი, თავშეკავებული, უბიწო, უმანკო** ანტიკური ხანის ავტორებთან, მაგალითად, ქსენოფონტესთან; ქრისტიანულ ეპოქაში კი ის **ასკეტის, განდევნილის** აზრობრივ დატვირთვასაც იძენს (ირინეოს ლიონელი, ათანასე დიდი, კირილე იერუსალიმელი)⁵ და ბერმონაზვნობის ტერმინოლოგიაში იკავებს ადგილს.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „**ენკრატისი** დედათ მოწესე, ყოველად მომჭირნეა“, ქვემოთ, სხვადასხვა ხელნაწერის მიხედვით, ამ სიტყვის მნიშვნელობა უფრო დაზუსტებულია: „დედათა ეწოდების, ყოველთა საქმეთა მომჭირნეთა, **-ენკრატისი**, ხოლო მამათა – **მონაზონი (მონოზანი)**. დედათა ყოველთა საქმეთა მომჭირნესა ეწოდების **ენკრატისი**, ხოლო მამათა – **მონაზონი**. დედათ **მონაზონია** ყოვლის საქმისა მომჭირნე“.⁶ შესაბამის ბუდეებში მონაზონს სულხან-საბა **ვაჟ მოწესედ** განმარტავს, **მონაზონას** კი – **ქალ მოწესედ**, ხოლო **ბერის** მნიშვნელობას მხოლოდ **ხან-მრავალ კაცად** წარმოადგენს.

თანამედროვე სასულიერო ლიტერატურასა და მეტყველებაში **ქალ მოწესეს მონაზონს** უწოდებენ, **მამაკაც მოწესეს** კი იმავე სიტყვა **მონაზონს** ან **ბერს**; თუმცა **ბერი სულიერი ჰასაკის** სისრულეს მიღწეული **მონაზონია**, რომელიც სულიერი გამოცდილებით მოძღვრავს და ასწავლის. მას სხვა მონაზვნებისგან მოხუცებულობა გონებისა გამოარჩევს (ბერძნულ ენაში ბერის შესატყვისია Gerontas, Geron, რუსულში – Старец).⁷

ანტიოქიურ-სირიული ტრადიციით, მოსაგრე მამაკაცებსა და ქალებს კი **ძენი აღთქმისა** და **ასულნი აღთქმისა** ეწოდებათ (წმიდა მამები აფრაატ სპარსი, ანტონი დიდი, პახუმი დიდი).⁸

⁵ რომაული და ბიზანტიური პერიოდების ბერძნული ლექსიკონი (ინგლისურ ენაზე). შეადგინა ე. ა. სოფოკლესმა. ლონდონი, 1914.

⁶ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. წიგნი I. თბილისი, 1966, გვ. 236.

⁷ ბერი ეფრემ ფილოთეველი, მამობრივი დარიგებანი, თბილისი, 2012, გვ. 8.

⁸ ს. ავერინცევი, სოფია-ლოგოსი, კიევი, 2001, გვ. 39 (რუსულ ენაზე).

„ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში“ შეტანილ არცერთ ტექსტში სიტყვა **ენკრატისი** გამოყენებული არ არის. რაც შეეხება **ბერს** - ის სასულიერო პირად, მონაზონადაა განმარტებული და, ბუნებრივია, ძალიან ხშირად გვხვდება, განსაკუთრებით კი **ცხოვებითი** ჟანრის თხზულებებში. **ბერია** ის, ვინც **ადჭურვილია ჯვრით, მარტოდმყოფია, დაყუდებით ცხოვრობს, მოხუცებულია** (იგულისხმება გონებით მოხუცებულიობა), **ჰყავს მოწაფეები, მორჩილები, ნათესაყუდელია, ხელთა დმრთისათა შევედრებულ არს, ღვთის მეცნიერება აქვს, სულიერ სიტყვებს წარმოთქვამს, სასწაულებს აღასრულებს, წმიდა-ყოფს კონკრეტულ ადგილს (მაგ., მთას), სიყვარულის მცნებას ნერგავს, გარეული ცხოველები ემორჩილებიან და მისგან მოელიან მფარველობას და ა. შ.**⁹

ამგვარ პირთა სულნი ანუ **სულნი წმიდათანი ხელთა შინა ღვთისათა არიან.**

დასკვნის სახით ვიტყვით: ქართულმა სასულიერო და სალიტერატურო ენამ **ქალი მოწესის** აღსანიშნად არც **ენკრატისი** მიიღო და არც **მონაზონა**, არამედ **მონაზონი**, რომელიც **აღთქმის ძეს** აღნიშნავს, თუ **აღთქმის ასულს**, კონტექსტის მიხედვით ირკვევა; რაც შეეხება **ბერს** და **მონაზონს**, აუცილებელია მათი ერთმანეთისგან გამოიჯვნა, რადგან **ბერი-ბერობა, მონაზონ-მონაზვნობისგან** განსხვავებით, **მოწესე მამაკაცის** სრულიად სხვა სულიერ მდგომარეობას (გონებით მოხუცებულიობას) გამოხატავს.

⁹ ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, ტ. I. თბილისი, 2005, გვ. 79-82.

სოფიკო გვარამაძე – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული
უნივერსიტეტის დოქტორანტი

არჩილის „სამიჯნურონი“, მისტიკურ-ალეგორიული ლექსი

„სამიჯნურონის“ შესახებ კვლევიძე აღნიშნავს, რომ „არჩილის „სამიჯნურონი“ აღწერილია ნამდვილი მიჯნურობა, თვალწარმტაცი ფერებით დახატული ლამაზი არსება,¹ თუმცა არაფერია იმის შესახებ აღნიშნული, რომ ეს მიჯნურობა საღვთო ტრფიალია და ეს პოეტური შედეგრი საუკეთესო ნიმუშია ალეგორიულობისა.

მართებულად შენიშნავს ს. ცაიშვილი, რომ არჩილი „სამიჯნურონი“ საღვთო სიყვარულზე საუბრობს, მომხიბლავი სატრფოს სახეში კი მაცხოვარი მოიაზრება.²

ლექსი რელიგიური გრძნობებითაა გაუღენთილი, ესაა ადამიანის სულის ხედვა უხილავი სილამაზისა, რომელიც თეოლოგიაში მრავალგზისაა აღნიშნული, სიყვარულის შესახებ საუბრობენ მოციქულები, ჯერ კიდევ სახარება ქადაგებდა მისტიურ სიყვარულს ქრისტესა და განუყოფელი სამებისას.

მართალია, არჩილის „სამიჯნურონისა“ და თეიმურაზ I-ის „მაჯამას“ შორის უამრავი ლიტერატურული პარალელი შეიძლება გავავლოთ, როგორც სიმბოლოების მხრივ, ასევე თემატური თვალსაზრისით, მაგრამ გადამღერებად მაინც ვერ ჩავთვლით, რადგან არჩილის შემოქმედებას პარალელი მოექმენება, არა მხოლოდ თეიმურაზ I-ის შემოქმედებასთან, არამედ შოთა რუსთავე-

¹ კ. კვლევიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. II. თბილისი, 1952, გვ. 476.

² ს. ცაიშვილი. ქართული მწერლობა თბილისი, 1990, გვ. 99.

ლის, ვახტანგ VI-ის, დავით გურამიშვილის, ასევე ბიბლიასთან, მითოლოგიასთან.

არჩილის მიერ წამოჭრილი პრობლემები არის ეპოქის მთავარი სატკივარი, სწორედ ამიტომ ემთხვევა ე. წ. „აღორძინების ეპოქის“ თითქმის ყველა ლიტერატურული მოღვაწის შემოქმედების ძირეული მოტივები ერთმანეთს.

ლექსის პერსონაჟი თავად ავტორია, რომელიც სასოებით მზირალი ადამიანია, ლექსში მრავალფეროვან სიმბოლო-ეპითეტებს მიმართავს პოეტი ქრისტეს შესაფერისი გამოსახვისთვის, ერთ-ერთი ასეთი სიმბოლოა მზე, რომელიც არის ირეალური, მისტიკური სახე, სწორედ ასეთივე სიმბოლოთი ამკობს დავით გურამიშვილი ქრისტეს „უცნაური მზე“, ეს სახე-სიმბოლო ერთბაშად შეიცავს ყოველგვარ არსს ამ სიტყვისას, იგი გამომხატველია ქრისტიანული რელიგიური თვალთახედვის, მისი ღვთაებრივი არსის, მზე, როგორც ქრისტეს სიმბოლო მრავალ ლიტერატურულ ქმნილებაში გვხვდება.

„მკითხველ – მთარგმნელ, „მაჯამას“ წილ მეც ეს მამირთმევა“³ – წერდა არჩილი. თითქოს „მაჯამის“ გალექსვა ე. წ. „აღორძინების“ ეპოქისთვის აუცილებელი პირობაა, ეს არჩილთანაც იგრძნობა, თუ თვალს გადავაგვლებთ მთელს ეპოქას, დავინახავთ, რომ ყველა მოღვაწეს გაულექსავს „მაჯამა“, არჩილმა ოდნავ დაარღვია წესი და თავის მაჯამას „სამიჯნურონი“ უწოდა.

ერთი შეხედვით, მკითხველი იფიქრებს, რომ „სამიჯნურონში“ აღწერილი მიჯნურობა, გაშმაგებული ქალისადმი ტრფიალია, მაგრამ საკმარისია, თვალი გადავაგვლოთ ბიბლიას, რომ ყოველივე ცხადი გახდება, მასში საუბარია ქრისტეს სიყვარულზე, ამას გვიმოწმებს ლექსის სახე-სიმბოლოთა ახსნა „ღმერთი სატრფოს სახით, ხშირად არის წარმოდგენილი, ამგვარი აღგვორიულობით არჩილი ენათესავება დავით გურამიშვილსაც და ე. წ. „აღორძინების“ ეპოქის სხვა შემოქმედთაც“⁴ სი-

³ ქართული მწერლობა. ტ. VI. თბილისი, 1980, გვ. 569-577.

⁴ გ. კუჭუხიძე. მეფე-პოეტები.– XVI-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა. თბილისი, 2012, გვ. 113.

ვეარულის ალეგორიული გააზრება ე. წ. „აღორძინების“ ეპოქის ტენდენციად ქვეყლა, აღნიშნავს კ. კეკელიძე.⁵ გავისხენოთ „დავითიანი“, ზუბოკის თემა, სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზისაა ახსნილი და უდავოა, რომ მასში იგულისხმება ქრისტეს სიმბოლური ხატება. ქრისტეს რწმენას გამოხატავს არჩილის შემდეგი ტაეპებიც:

„თუ არ მინდომებს, რად მინდა, მქონდეს სრულ მისი ჩივილი, მაშ რას იქსა ტურფა, წალკოტს ჯდეს, ბუღბუღსა ჰქონდეს ყივილი?!“

წალკოტი საუფლო ედემია, **ბუღბუღი** კი ქრისტეა, რომელიც ღვთის სიყვარულს ქადაგებს. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ბუღბუღი, როგორც უფლის სიმბოლური სახე, ლექსში უხვადაა წარმოდგენილი ისეთი ეპიზოდები, სადაც თითქოსდა ასახულია საერო ტრფიადის ამსახველი ისტორია, მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით მის ქვეტექსტს, ძნელი მისახვედრი არ იქნება, რომ მასში საუბარია ქრისტესა და ქრისტიანული რწმენის სიყვარულზე: „ნეტა იმას, ვის ჰქონდეს ეს სიძე-სძლობა, მაცრობა!“

ზვიად გამსახურდია საგანგებო ყურადღებას უთმობს სიძე-სძლობას, „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველებაში“, სადაც აღნიშნავს „სიძისა“ და „სძლის“, აგრეთვე „ქორწინების“ ალეგორიულ მნიშვნელობას, „სიძე“ არის მაცხოვარი, „სძალი“ კი ეკლესიას, ზეციურ იერუსალიმს გამოხატავს – „ეკლესია არის სძალი, დედა ღვთაებრივი ღვინისა, საიდანაც იშვა იესო“, ქორწილი კი მართალთა ნეტარებას, ღვთაებასთან ზიარებას გამოხატავს.⁶

„სძალი“ ბიბლიური წარმოშობის სახელია, ასევე ჰიმნოგრაფიაში ფართოდ გავრცელებული მიმართვაა ქალწულ მარიამისადმი. იგავებში: „საქორწილო ნადიმის შესახებ“, მათეს სახარებაში და „მექორწინების შესახებ“.⁷

⁵ კ. კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. XIV. თბილისი, 1986.

⁶ ზ. გამსახურდია. ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება. თბილისი, 1991, გვ. 36, 119.

⁷ ახალი აღთქმაჲ. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა. თბილისი, 2003, გვ. 41, 26, 424, 403.

იმის დასამტკიცებლად, რომ არჩილის „სამიჯნურონი“ ასახავს საღვთო სიყვარულს, ამისათვის განვიხილოთ მის მიერ ლექსში დასახელებული სახე-სიმბოლოები.

ნამი ზეციური მადლმოსილების სიმბოლოა, იგი ხშირად ნახსენები ბიბლიაში, როგორც ზეციდან მოვლენილი მადლი, რომელიც მოასწავებდა რაღაც ახლის და საუკეთესოს დასაწყისს, გავიხსენოთ მსაჯულთა წიგნი, გედეონის ისტორია. ღმერთმა გედეონს უთხრა, რომ კალოზე მატყლის საწმისს დადებდა. თუკი მასზე ცვარი აღმოჩნდებოდა და მიწა კი მშრალი იქნებოდა, მაშინ გედეონი უფლის შეწევნით იხსნიდა ისრაელს მტრისაგან.

როგორც აკაკი ბაქრაძე აღნიშნავს, „ცვარი ლოგოსია, ანუ ღმერთის სიტყვაა, საწმისი კი მისი ხილვის საშუალება, ანუ ღვთისმშობელი“.⁸

არჩილს „ნამი“ გამოყენებული აქვს მეტად სიმბოლურ-ალუზურ ასპექტში: „თეთრის ცრემლისა ნამითა სასროლად წამწამ იწება“.

თეთრი სპეტაკი ფერია, ამიტომაც ამკობს ღვთაებრივ ცვარს ამ ეპითეტით, თეთრი საღვთისმეტყველო ლიტერატურაში გამოხატავს ახალ რელიგიას ნაზიარებს, ახლადმოქცეულს, სახარებაში კი თეთრი ღვთაებრივ ნათებას უკავშირდება, ფერისცვალებაში ქრისტემ ღვთაებრივი ბრწყინვალება უნდა გამოხატოს თეთრი ფერით. ე. ი. არჩილთან საუბარია ღვთაებრივ სიბრძნესთან ზიარებაზე.

არჩილი სულიერი კათარზისისკენ მიიკვლევს გზას, რომლის მოპოვებას ცრემლით ცდილობს, წმინდა მამათა მოძღვრებაში ცრემლი გაიაზრება, როგორც სულიწმინდის მიერ მოვლენილი მადლი, იგი სულიერი კათარზისის ფაქტორია, არჩილი ღვთაებრივი სიბრძნის ზიარებით სულიერ კათარზისის მოლოდინშია.

ბაღის სიმბოლიკაში არჩილს ნაგულისხმევი აქვს ამქვეყნიური სამყოფი, კაცური ბუნებაც, რომელშიც შემოდის ქრისტე და დაემკვიდრება, აქვე ასახელებს კვიპაროსს, რომელიც ჩვენთვის „წმინდა ნინოს ცხოვრებდანაა“ ცნობილი, როგორც წმინდა ხე, რომელიც ამოზრდილ იქნა ქრისტეს კვართზე, სწორედ მისი მოჭრა გახდა საფუძველი ქრისტიანულ სამყაროსთან ზიარებისა

⁸ აკ. ბაქრაძე. რწმენა თბილისი, 1990, გვ. 373.

და საეკლესიო მშენებლობისა საქართველოში.

სიმბოლურ ხატთა შორის ყველაზე არქეტიპული მნიშვნელობისაა **ვარდთმეტყველება**. ვარდი სილამაზის, მშვენიერების, მოწამეობის სიმბოლოდ არის წარმოსახული სასულიერო პოეზიაში, სადაც იგი არა მხოლოდ ქრისტესა და ღვთისმშობლის, არამედ წმიდანთა მეტაფორადაც გამოიყენება.

მხატვრულ-სააზროვნო სისტემაში ვარდის სიმბოლოზე მსჯელობისას, ნესტან სულაგა აღნიშნავს, რომ ვარდი ალეგორიული-მეტაფორული ფუნქციის მატარებელია.⁹

ვარდის სიმბოლიკის ინტეგრალებს სუფისტურ ლიტერატურაშიც ვხვდებით, თუმცა არჩილთან სუფიური ტენდენციების მხოლოდ ტიპოლოგიური მსგავსებაა, რასაც მოწმობს სახე-სიმბოლოთა ახსნა.

არჩილს სახე-სიმბოლოთა საღაროში შემოაქვს **ყვავილი**, რომელიც არა მხოლოდ მაცხოვრის, არამედ ღვთისმშობლის მეტაფორაცაა. ტიტე მოსიას დაკვირვებით, „ღვთისმშობლის სიმბოლო-მეტაფორად ყვავილის გამოყენება სასულიერო-საეკლესიო ლიტერატურაში ცხოველმყოფელ ხასიათს ატარებს“.¹⁰ „გიხაროდენ, ყოვლად წმიდაო ქალწულო... დაუჭნობელო ყუავილო“,¹¹ – ნათქვამია უძველეს იადგარში.

ძალზედ სიმბოლური სახეა **„მარგალიტი“**; რომელიც სისპეტაკის, ქალწულებრივი უცოდველობის სიმბოლოა. ქრისტიანულმა სიმბოლიკამ იგი მაცხოვრის სიმბოლოდ დასახა. სახარებისეული იგავის თანახმად: „მერმე მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა ვაჭარსა, რომელი ეძიებნ კეთილთა მარგალიტთა. და პოის რაჲ ერთი მარგალიტი მრავალ-სასყიდლისაჲ, წარვიდა

⁹ ნ. სულაგა. ვარდის სახისმეტყველება „ვეფხისტყაოსანში“. – რუსთველოლოგია. ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისული გამოცემის 290-ე წლისთავს. თბილისი, 2003.

¹⁰ ტ. მოსია. მცენარის სახისმეტყველება. თბილისი, 2004.

¹¹ უძველესი იადგარი. გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა. თბილისი, 1980.

და განვიდა ყოველივე, რაღცა ედვა, და მოიყიდა იგი“.

ზეციური მარგალიტის მოპოვება, ქრისტეს სიბრძნესთან ზიარება წმიდანთა ცხოვრების უმთავრესი მიზანია, რამაც საბოლოო ადგილი უნდა განუკუთვნოს მათ ცათა სასუფეველში.

არჩილი ძალზედ საინტერესო დატვირთვით იყენებს მარგალიტის სიმბოლოს, რომელიც მისთვის ცათა სასუფეველის მოპოვების საშუალებაა: „მარგალიტთა მეპატრონეს კარგად ღალი დაეყარა, / მიველ, მინდა მოეყიდა, მიწყინა, არ შემიყარა“. იგივე ასპექტში განიხილავს დავით გურამიშვილი ქრისტეს და მასთან დაკავშირებულ სიმბოლიკას: „საყვარელო, სახით თქმულო უსასყიდლო მარგალიტო“.¹²

მოხმობილი ნიმუშების თვალნათლივ ცხადყოფს არჩილის „სამიჯნურონის“ პოეტურ ხატს, მის შინაგან თვალსაზრისს, რომელიც ნათლად მეტყველებს ალეგორიულ ენიგმატურ ენაზე.

არჩილი აღნიშნავს, რომ იხილა ყვავილებით სავსე წალკოტი, მზე, მთვარე. წალკოტი არჩილისეული გაგებით არის სამოთხე, მისი მიჯნური კი აღუზიურად ქრისტეა. ქრისტიანული სიმბოლიკით ქრისტეს სიმბოლო შეიძლება იყოს მზეც, მთვარეც და ვარსკვლავიც „მაშინ მართალნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზე, სასუფეველსა მამისა მათისასა, რომელსა ახსენ ყურნი სმენად, ისმენენ!“ ცნობილია, რომ მზე და მთვარე ქრისტეს ორბუნებოვნებას გამოხატავს, მზე-ღვთაებრივს, მთვარე-კაცებრივს.¹³

ბიბლიაში ქრისტე თავს ცისკრის ვარსკვლავს უწოდებს: „მე, იესომ, მოვაველინე ანგელოზი ჩემი, რათა გიწამოს ესე ყოველი თქვენ ეკლესიათა. მე ვარ ძირი და ნათესავი დავითისი, ვარსკვლავი ბრწყინვალე განთიადისა“.

მთვარის სულიერ ასპექტებზე საინტერესო დასკვნებს გვთავაზობს ზვიად გამსახურდია. მისი აზრით, „ეზოტერულ ქრისტიანობაში მთვარე-მნათობი სულიერად შეესაბამება სულიწმიდას, ისე როგორც მზე-მნათობი ძეს“.

მასთან ერთად არსებობდა მზის და მნათობთა კულტი, მზის

¹² დავით გურამიშვილი. დავითიანი. თბილისი, 1986, გვ. 73.

¹³ ვ. ნოზაძე. ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება. პარიზი, 1974, გვ. 143.

წილი დედამიწაზე ცხოველთაგან იყო ღომი.¹⁴

არჩილიც სწორედ ამდაგვარ მითოლოგიურ-ევანგელურ პასაჟებს ხატავს, ღომი ბიბლიაში, გამოცხადებაში ქრისტეს სიმბოლოა: „აჰა ესერა სძალო ღომიან თესლისაგან იუდააჲსა, ძირიან დავითის-მან, რომელმან აღიღოს წიგნი და შვიდნი იგი ბეჭედნი მისნი“.

რაც შეეხება ტექსტში „დილის მთიები, მთიები განთიადისა“ (არჩილი), „მზეთა მზის მთიები“ (დ. გურამიშვილი) სიმბოლოს, ესაა იგივე ცისკრის ვარსკვლავი, ძე ღმერთის ჰიპოსტაზი, ახალ აღთქმაში სწორედ ვარსკვლავის გამოჩენა უკავშირდება მაცხოვრის შობას, რაც საგანგებოდაა აღნიშნული იოანეს გამოცხადებაში, სწორედ ეს კაშკაშა ვარსკვლავი ბრწყინავს არჩილის „სამიჯნურონში“.

სიმბოლური სახეა „ღვინო თეთრ მინაში“, რომელიც თასში გადასხმისას კაშკაშებს. ღვინო უხსოვარი დროიდან იყო სიმბოლო ღვთაებრივი შეცნობისა, მას საფუძველი ჯერ კიდევ მითოლოგიიდან ეყრება, იგი გამოიყენება ქრისტიანულ ექვარისტიკაში, ზიარების დროს მიღებული ღვინო და პური ქრისტეს სისხლის და ხორცის სიმბოლური სახეა, ეს ყოველივე არჩილთან სიმბოლურად არის გააზრებული, ლექსში წარმოდგენილი თითოეული სახე-სიმბოლო აშკარა მიმართებაშია ბიბლიასთან, სხივის სიმბოლიკით არჩილი ნათლად გულისხმობს სულიწმიდას: „ვერ შესატყვისად შევამკეთ, მისთვის გელევს სხივ-შუქებითა“.

სიმბოლოთა ანალიზისას, სათანადო ბიბლიურ-თეოლოგიური წყაროების მოძიებისა და დამოწმების გზით, საშუალება მოგვეცა, კიდევ ერთხელ დავრწმუნებულიყავით ლექსის თეოლოგიურ გააზრებაში, რაც სავსებით თავსდება სასულიერო პოეზიის ჩარჩოებში და ადეკვატურად ეხმიანება ქრისტიანული მსოფლმხედველობის პარამეტრებს, ავტორის ორიგინალური ხედვა და პოეტური აზროვნება ლექსის თითოეულ სიმბოლურ დეტალში მქდავანდება. თითოეული სიმბოლო ღრმა თეოლოგიური დატვირთვის მატარებელია, მათი ძირები კი სახარებაშია საძიებელი.

¹⁴ რ. სირაძე. სახისმეტყველება. თბილისი, 1987, გვ. 15.